780
2000

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპონგე

3-6

2000

სარჩევი

2000/3—6

მაისი
დეკემბერი

(114)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა და პოეზია

ბაბრიელ მარკესი — დამფლდარი კაცის ზინაალმდეგ მიმართული სიყვარულის ქრონიკა* — ესპანურიდან თარგმნა **თეა გვასალიამ** 3

უილიამ ფოლკნერი — გამტაცებელნი. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა **ზაურ კიდაძემ** 26

ივან კოტლიარევსკი — ენეიდა. პოემა. უკრაინულიდან თარგმნა **ამირან ასანიძემ** 105

სემ შეპარდი — სიყვარულით შემდეგი. ინგლისურიდან თარგმნეს **თამარ ჟღენტმა** და **თამაზ მეტრეველმა** 127

მიგელ დე უნამუნო — სიყვარული და პედაგოგიკა. ესპანურიდან თარგმნა **მერი ტიტვინიძემ** 152

წერილები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილე. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა **დავი ფანჯიკიძემ** 272

მანანა იამანიძე. — შარდ დე პეისონელის ესე. 284

ლეონა თეთრუაშვილი — გოეთეს ტორკვატო ტასსოს ტრაგიკული დანაშაული. 313

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2000, № 3—6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-ბოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახობაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა ბართაია (პ/მ მდივანი)
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქებულაძე
დალი ფანჯიკიძე
გივი შაჰნაზარი
გივი ძნელაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

გად. წარს. 30. 06. 2000 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 10. 2000 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16, სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ 300. შეკვ. 571.

გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

გაბრიელ მარკესი

დამჯდარი კაცის წინაალმდეგ მიმართული სიყვარულის დიატრიბა*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესპანურიდან

თარგმნა თეა გვასალიამ

(მესამე ზარის დარეკვამდე, სანამ დარბაზში სინათლეს ჩააქრობენ, დაშვებული ფარდის უკან, სცენის სილრმიდან ისმის იატაკზე დანარცხებული ჭურჭლის მსხვრევის ხმა. ეს არ არის ქაოტური ხმაური, მას უფრო სისტემური და გარკვეულწილად მოზეიმე ხასიათიც კი აქვს. ეჭვი არაა, რომ ვილაცა ამგვარად გამოხატავს უნუგეშო ბრაზს.

ხმაურის მიწყნარებისთანავე იწევა ფარდა და ჩაბნელებული სცენა მოჩანს.

ღამეა. გრასიელა სიბნელეში ასანთს გაკრავს სიგარეტის მოსაკიდებლად და სცენა ოდნავ ნათდება: ეს მდიდართა საძინებელი ოთახია თანამედროვე, გემოვნებით შერჩეული ავეჯით. კუთხეში სპექტაკლის ბოლომდე იდგება ძველი საკიდი. მასზე დაკიდებულ ტანსაცმელს გრასიელა მონოლოგის დროს გამოიყენებს.

ძირითადი სცენა პატარა ადგილია, რომელსაც ერთადერთი მთავარი გმირის სულიერი განწყობის შესაბამისად იცვლება. გრასიელა მონოლოგის დროს თვითონ ცვლის დეკორაციას. ზოგჯერ ჩუმად შემოდის მოსამსახურე და ხმისამოუღებლად ამატებს გარკვეულ დეტალებს.

მარჯვენა კუთხეში, ინგლისურ სავარძელში ვაუნძრევლად ზის შავ კოსტიუმში გამოწყობილი ქმარი. სახეზე გაზეთი აქვს აფარებული, ვითომ კითხულობს. სინამდვილეში მანეკენია.

სპექტაკლის მსვლელობის დროს გრასიელა ხან წყალს მოსვამს, ხან სიგარეტს მოუკიდებს, მაგრამ მალევე ჩააქრობს საფერფლეში. ეს ჩვევაზე მეტად ნერვულ ტიკს ჰგავს, რასაც რეჟისორი დრამატული მომენტების გასამძაფრებლად გამოიყენებს. ამიტომ მთელი მონოლოგის მანძილზე სცენაზე უნდა ეწყოს ჭიქები, გრაფინები, სიგარეტისა და სიგარის კოლოფები.

---

* დიატრიბა — გესლიანი, ღვარძლიანი სიტყვა ზეპირად წარმოთქმული ან წერილობით, რომელიც შეიცავს პირადული ხასიათის გალაშქრებას.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედების ადგილი კარიბის ზღვის სანაპირო ქალაქია, სადაც ჩრდილშიც კი 35 გრადუსი სიცხეა, ჰაერის ტენიანობა კი 90 პროცენტს აღწევს. გრასიელა და მისი ქმარი ერთი ვახშმიდან დაბრუნდნენ, რამდენიმე საათში 1978 წლის 3 აგვისტო გათენდება. ქალს სადა, გრილი კაბა აცვია და ყოველდღიური სამკაულები უკეთია. უხვი მაკიაჟის მიუხედავად ეტყობა, რომ ფერმკრთალია და კანკალებს, თუმცა [illegible] ერევა თავს იმ ადამიანივით, რომლისთვისაც უიმედობა კარგა ხნის წინ განვლილი ეტაპია).

გრასიელა:

არაფერი ისე არ ჰგავს ჯოჯოხეთს, როგორც ბედნიერი ცოლ-ქმრობა!

(ხელჩანთას სავარძელში აგდებს. იატაკიდან სალამოს გაზეთს იღებს. სწრაფად გადაავლებს თვალს და მასაც ჩანთის გვერდით მოისვრის. შემდეგ სამკაულებს იხსნის და სცენის ცენტრში დადგმულ მაგიდაზე აწყობს).

მხოლოდ ღმერთკაცს შეეძლო ასე აეხილა თვალები ჩემთვის ზუსტად ჩვენი ვერცხლის ქორწილის წინ. თანაც მადლიერი უნდა ვიყო, რომ ამ მომაკვდინებელი 25 წლის მანძილზე ყოველ დღე ვტკბებოდი საკუთარი უჭკუობით. შვილიც კი, შვილიც კი უქნარა და ქალების მუსუსი გამომივიდა ბოზიშვილი მამამისივით.

(მოსაწევად ჯდება, ფეხსაცმელს იხდის, ღრმა ფიქრებში მიდის და დაბალ ხმაზე, კრაზანას ბზუილივით მონოტონურად აგრძელებს დაუსრულებელ საყვედურთა კრიალოსნის ჩამომარცვლას).

შენ რა გეგონა? ბოლო წუთში გადავდებდით წვეულებას, რომელზეც მთელი წელი ლაპარაკობდნენ, რათა მე მებადურის ცოლივით გატეხილ ვარცლთან დავრჩენილიყავი და შენ წამებულის გვირგვინი დაგედგა თავზე? ხა, ხა! საბრალო, მარადი მსხვერპლი! პასუხსაც არ მცემ, არა? უარს ამბობ ჩვენს პრობლემებზე ვილაპარაკოთ, როგორც ამას ნორმალური ხალხი აკეთებს, სახეშიც კი არ მიყურებ!

(ხანგრძლივი ლოდინი).

გეთანხმები: სიჩუმეც პასუხია. შეგიძლია საუკუნის ბოლომდე მანდ იჯდე. ჩემი მოსმენა მაინც მოგიწევს.

(სიგარეტს აქრობს. დაუნდობლად სრესს ნამწვავს საფერფლეში და მონოლოგის შეუწყვეტლად იწყებს გახდას.

კაბა ზურგზე ღილების გრძელი მწკრივითაა შეკრული. გრასიელა აკრობატის მოძრაობებით ცდილობს მათ გახსნას, რათა ქმარს არ მიმართოს დასახმარებლად, მაგრამ არაფერი გამოსდის. ამიტომ კეფასთან ხელს ავლებს კაბის საყელოს, მთელი ძალით ქაჩავს აქეთ-იქით და ღილებს აგლეჯს, ბოლოს წინდებს იხდის და ფეხშიშველი, აბრეშუმის საცვლების ამარა რჩება).

საღამოს ჩვენთან ამ ქვეყნის მაღალი საზოგადოების ნაღები მოიყრის თავს. ანუ ყველა მოვა ღარიბების გარდა. შენ თვითონ არ დაიფიცე 25 წლის წინ, რომ შენი ცხოვრების ყოველ წუთს ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ცოლ-ქმრის ვერცხლის ქორწილისთვის მზადებას მოანდომებდი?!

აბა, ეს დღეც მოვიდა. ასე მოჩვენებითი ყურადღებით რომ არ იყო

ვითომ საკითხავად ჩამძვრალი დღევანდელის ნაცვლად გუშინდელ გაზეთში, უკეთესად შეძლებდი იმ კოლოსალური თანხის დაანგარიშებას, რაც დღევანდელი საღამო უნდა დაჯდეს.

(ნათურის ახლოს ჯდება და საღამოს გაზეთის კითხვას იწყებს).

ათასზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი სტუმარი, 400 ფუნტი ხიზილალა, მთელი ქვეყნის მარაგი ინდაურის ხორცი და იმდენი ალკოჰოლიანი სასმელი, რომ მისი შესაძენი თანხა მთლიანად მოსპობდა ქვეყანაში არსებულ სიღატაკეს. *(აქ გრასიელა ჩამოთვლას წყვეტს, რადგან ხვდება, რომ მთლად სანდო ინფორმაციას არ ფლობს).* შეიძლება რამეში ვცდები, მაგრამ ძალიან არ ვაზვიადებ. *(აგრძელებს უყურადღებოდ კითხვას).* ტურისტები პროტესტს აცხადებენ, რადგან სასტუმროებში მხოლოდ ჩვენი მოსაწვევი ბარათებით იღებენ სტუმრებს, წითელი ვარდები სამი დღის წინ გაქრა მაღაზიებიდან. დღეს გამოიტანეს და მამასისხლად ყიდიან. მთავრობა მკაცრად აფრთხილებს მოსახლეობას არ წამოეგონ ათასი ჯურის ყალთაბანდების ანკესზე, რომლებიც ჯგროდ ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში, რადგან ეგონათ დიდი სახალხო დღესასწაული მზადდებოდა.

(ერთხანს კიდევ კითხულობს და შორს ისვრის გაზეთს).

ამ ქვეყანას არაფერი ეშველება!

(უფრო მხნედ აგრძელებს). ასე რომ, ყველა მოვა, ჩემი თანამეკალმეებიც კი, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დაიმცირებენ თავს და პინგვინებივით გამოეწყობიან, რომ ამ ბედნიერ საღამოს გვერდი დამიმშვენონ. ის ქალბატონიც მოვა, რა თქმა უნდა, ყველაზე ადრე. შენ რა, გეგონა ისე დავიმცირებდი თავს, რომ არ დავპატიჟებდი? ხა! ხა! თუკი აქამდე ჩვენი ქორწინების არც ერთი, კარგი თუ ცუდი წლისთავი არ გამოუტოვებია, ყველაზე მნიშვნელოვან, ბოლო წვეულებაზე რატომ არ უნდა გამოცხადდეს?!

(მას სადღაც შორიდან მომავალი, წირვისთვის შემოკრული ეკლესიის ზარების ხმა აწყვეტინებს. დასამშვიდებლად ცოტა ხნით ჩუმდება, მაგრამ ემოციებს მაინც ვერ უმკლავდება).

— ღმერთო ჩემო! სადაცაა გათენდება. 1978 წლის სამი აგვისტო, ოთხშაბათი. ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ქორწინებიდან 25 წლის შემდეგ ისევ სამი აგვისტო მოვიდოდა!

მაშინაც ასეთი დღე იყო. თითქმის ამავე დროს გამოვედით სან ხულიან ელ ოსპიტალარიოს ეკლესიიდან. შენ ფქვილის ტომრისგან შეკერილი, დაძენძილი პერანგი გეცვა, რომელსაც ზურგზე ქარხნის ბეჭედი ერტყა. მე კი ჩემზე ორჯერ მსუქანი მეგობრისაგან ნათხოვარი, მონაზვნის ფართხუნა სამოსის მსგავს კაბაში ვიყავი გამოწყობილი, წამოზრდილი მუცელი რომ არ დამტყობოდა. ვილაცამ მოგვაძახა კიდეც „ცოტაც მოეცადათ და მეჯვარედ შვილი გაჰყვებოდათო".

რა საოცრება იყო! გამთენიის პირველი სხივებით შეფერადებულ ბალბისფერ ცაზე შავი ფრინველები ირეოდნენ, ჩვენს თავზე წრეებს ურტყამდნენ და ზედ გვასკინტლავდნენ. მაშინ თქვი, თუმცა ახლა არ აღიარებ: ასეთი ავისმომასწავებელი ნიშნის შიშით იულიუს კეისარიც კი ვერ გაბედავდა დაქორწინებას, მე კი გავრისკეო. ყველაზე უცნაური ისაა, რომ სასწაული მოახდინე. როგორ ავხსნა? *(შეცბუნებული):* იმდენი მოახერხე, რომ თავი ბედნიერი მეგონა, ბედნიერი უსიყვარულოდ! თუმცა ვცდებოდი. ძნელი ასახსნელია, მაგრამ არა უშავს, მე ხომ მესმის.

(აქ თითქმის შეუმჩნევლად ქმრისკენ აბრუნებს თავს).

(ირონიულად). რას ელი? გგონია კისერზე ჩამოგეკიდები და მადლობას გეტყვი იმისთვის, რაც გამიკეთე? თუ იმიტომ უნდა ვიყო მადლიერი, რომ ქონება და სახელი არ მაკლია?

(ჰაერში მუქარით იქნევს მუშტს).

აი!

(დასამშვიდებლად კიდევ ერთ სიგარეტს უკიდებს. ამასობაში ეკრანზე, წინა პლანზე განათებული ოვალი ჩნდება. ეს ღამის მაგიდის სარკეა. გრასიელა ტაბურეტზე ჯდება სახით მაყურებლისკენ და შუქით შემოსაზღვრულ ოვალში იხედება. ცოტა ფიქრის შემდეგ ნოსტალგიამორეული ოხრავს):

— გაგვეპარა ცხოვრება, ამის დედა ვატირე!

(სახის კანს ორივე ხელით იზელს და ნაღვლიანად იხსენებს როგორ გამოიყურებოდა 25 წლის წინათ. საფეთქლებს ხელით სწევს ზემოთ: ასეთი იყო, ხმამაღლა არაფერს წარმოთქვამს, მაგრამ ტუჩების მოძრაობით შეიძლება მიხვდე, რას ეუბნება საკუთარ თავს. სარკეს უახლოვდება თავისივე გამოსახულების უხმო პასუხის მოსასმენად, ქმრისკენ იყურება იმაში დასარწმუნებლად, რომ მისი არ ესმის და კიდევ ერთ, ასევე უხმო წინადადებას ეუბნება სარკეს. გაღიმება უნდა, მაგრამ ვერ ახერხებს, თვალები ცრემლით ევსება, თითებით ცდილობს ცრემლების შეშრობას, მაგრამ მაკიაჟი ეთხუპნება. ველარ ითმენს და ბრაზით წამოიძახებს):

— ჯანდაბა!

(სარკის წინ მაკიაჟის მოშორებას იწყებს, ბრაზით — რატომ ვიტირეო, შემდეგ მშვიდდება და ნელა აგრძელებს საქმეს და ლაპარაკს. ოღონდ ამჯერად ქმარს კი არა, საკუთარ გამოსახულებას მიმართავს):

— ის განთიადები რომ არ ყოფილიყო, მთელი ცხოვრება ახალგაზრდებად დავრჩებოდით. არ ცდებიან, რომ ამბობენ — ადამიანი განთიადისას ბერდებაო. შებინდება, მართალია, ნაღველს იწვევს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ღამის თავგადასავლებისთვის გამზადებს (როგორც ჩემი ლიტერატორი მეგობრები იტყოდნენ). განთიადები — არა. დღესასწაულების დროს გამთენიის სიჩუმეს რომ ვგრძნობ, ისეთი კანკალი მეწყება, მთელი სხეული მითრთის. უნდა წავიდე! თანაც ჩქარა და თვალდახუჭული, უკანასკნელი ვარსკვლავები რომ არ დავინახო, თორემ თუ ქუჩაში სადღესასწაულოდ გამოპრანჭულებს დაგვათენდა თავზე, წლების ისეთი სეტყვა დაგვატყდება, რომ წელში ვერ გავიმართებით. ამიტომაც არ მიყვარს ფოტოსურათები: ერთი წლის წინ გადაღებულ სურათს რომ უყურებ, ბებოს სკივრიდან ამოღებული გგონია.

(აგრძელებს მაკიაჟის მოშორებას).

რამდენი წლის ვიყავი? თითქმის ოცდაათის. მაშინ ეს ბევრი მეგონა, ძალიან ბევრი. ბავშვები ამბობდნენ: ოცდაათი წლის მოხუცებულიო. ჰო, 30 წლის ვიყავი, ჟენევიდან ღამის მატარებლით პირველად რომ გავემგზავრეთ რომში. სანთლების შუქზე ვივახშმეთ და შვეიცარიელ ახალდაქორწინებულებს ბანქო ვეთამაშეთ. იმ საწყლებს ერთი სული ჰქონდათ, წაეგოთ და დასაწოლად წასულიყვნენ. მე გამთენიის ექვს საათზე გამეღვიძა ბედნიერს და რატომღაც სარკეში ჩავიხედე. რა საშინელება იყო! სულ ცოტა, ხუთი წლით უფროსს ვგავდი. ასეა, როცა სიბერე სხეულს კი არა, სულს ეპარება, არც კიტრის ნიღაბი გიშველის, არც პლაცენტის ცხელსაფენები.

სამწუხაროა! მატარებელი გადაადგილების ერთადერთი ადამიანური

საშუალებაა. თვითმფრინავი სასწაულია, მაგრამ ისე სწრაფად მოძრაობს, რომ დანიშნულების ადგილზე მხოლოდ ადამიანის სხეული ჩადის, რომელიც 2-3 დღე მთვარეულივით დაბორიალებს, სანამ ჩამორჩენილი სული არ დაეწევა.

(ჩერდება და ქმარს უყურებს, თითქოს მისი ხმა მოესმაო, შემდეგ ზიზღით და დამარცვლით ეუბნება).

— შენ-არ-გე-ლა-პა-რა-კე-ბი.

(შემდეგ ვითომ ფანჯრიდან დაინახაო, ამჩნევს, რომ გათენდა).

რა სასწაულია. ეს დღეც მოვიდა. რა თქმა უნდა, სულ არ ჰგავს იმ განთიადებს, ღარიბები რომ ვიყავით. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ამ განთიადმაც მომიმატა ხუთი წელი *(ისევ თავის თავს უცქერის)*. გაზეთს უკან დაბალზამებული ქმრის გვერდითაც კი!

(დიდხანს ტკბება განთიადით და აღარ დარდობს ამ სასწაულის ხილვისათვის მომატებული ხუთი წლის გამო. ამასობაში სცენას დღის შუქი ეფინება. ბოლოს ნაღვლიანად ოხრავს):

— ღმერთო ჩემო! რა ბედნიერები ვიყავით.

(ისევ ქმარს მიმართავს): მარტო იმიტომ ხარ კუპრში მოხარშვის ღირსი, რომ ვერ ამჩნევდი, რამხელა სიყვარული გელოდა შინ. კიდევ ბევრ ასეთ განთიადს გავიმეტებდი, ოღონდ ახლა ისევ სანაპიროს ქოხში ვცხოვრობდეთ, შემწვარი თევზის სუნი მოგვდიოდეს და ღია კარს მიღმა შუადღის სასიყვარულო ექსტაზში შესული ზანგი ქალების ვნებიანი კივილი გვესმოდეს. ნეტავ ახლაც იმ ვეებერთელა ჰამაკში გვეძინოს, ჩვენს გარდა კიდევ ორ კაცს რომ დაიტევდა. ისევ ნახშირის ღუმელი გვედგას, რომელსაც ვერც კი ვხმარობდით და ისევ ჩეჩმაში დავდიოდეთ მოსასაქმებლად, საიდანაც ზღვის მოქცევის დროს ისეთი სიმყრალე ამოდიოდა, რომ სუნთქვა ჭირდა!

(შუქის ოვალი ქრება და საძინებელი კარიბის ზღვის პირას აშენებული ქოხის ღარიბულად გაწყობილ ოთახად იქცევა. ძველ, დამტვრეულ ავეჯს ლაპარაკის დროს თვით გრასიელა აწყობს თავთავის ადგილას. ბოლოს ვეება, ჭრელ ჰამაკსაც ჩამოჰკიდებს. სცენის სიღრმეში განათებული ზღვაზე გამავალი ფანჯარაა. სარეცხის გასაშრობი თოკებიცაა გაბმული, მაგრამ იქ მხოლოდ მამაკაცის ორი პერანგი ჰკიდია. ერთადერთი, რაც სცენაზე არ შეცვლილა, გაზეთსუკან დამალული ქმარია.

სკამიდან წამომდგარ გრასიელას ექვსი თვის მუცელი ეტყობა, ტანზე კომბინაცია აცვია, თავი კი ნაჭრით აქვს წაკრული. მოკლედ, ღარიბი და შეყვარებული ახალგაზრდა ქალია).

— მინდა კედელს ვურტყა თავი, როცა მახსენდება, რომ ამაღამ მხოლოდ დედაჩემი არ მოვა. არა და, ყველაზე მეტად მას ეკუთვნის აქ ყოფნა, თუნდაც იმიტომ, რომ დროზე გამაფრთხილა: დავიწყება ერთადერთი ბედნიერებაა, რომლის საზღაურსაც არავინ გვახდევინებსო.

ჩემი ბედი ალბათ სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, მეც რომ დედაჩემის უნარი გამომყოლოდა: მოხდენამდე განმეჭვრიტა მოვლენები, თითქოს ცხოვრება შუშასაჯით გამჭვირვალე ყოფილიყოს. განსაკუთრებით შენი ცხოვრება. ვიცოდით, რომ ხარაის დე ლა ვერათა ცნობილი ოჯახის რენეგატი იყავი, წინაპართა სიგელებით უკანალს იწმენდდი, ფანჯრიდან მოისროლე საგვარეულო ოქროს ღერბი და სხვა რეგალიები. ყველას მართლა ასეთი გვეგონე, მხოლოდ დედაჩემი არ მიტყუებულა. სან ლორენსოს

ბაზრობაზე პირველად რომ დავანახე შენი ოქროსფერი კულულებით დამშვენებული თავი, წესიერად ვერც გააცნობიერა ვინ იყავი, ან იმ მოჩხუბარ ინვალიდებს შორის რა გინდოდა, მაგრამ გამაფრთხილა: „ამ ბიჭს ორი სახე აქვს, ერთს, რომელსაც ჩვენ გვიჩვენებს, არა უშავს, მეორე — უარესი უნდა იყოს".

(ილებს დანამული თეთრეულით სავსე კალათას და მავთულზე ჭიდებს რამდენიმე ნაჭერს).

მე რა გამაჩნდა, მაგრამ შენს გამო მაინც ყველაფერზე უარი ვთქვი *(მხრებს იჩეჩავს)*. თუმცა არ მიკვირს. შენ, რა თქმა უნდა, არასდროს დაგიფასებია, რამხელა მსხვერპლი გავიღე შენი გულისთვის. დაფასებას ვინ ჩივის, ვერც კი შეამჩნიე. და იცი რატომ? იმიტომ, რომ არ იყავი იმ ბედის ღირსი, რაც ცხოვრებამ გარგუნა. ვერავის დავაბრალებ — ჯვარი ამკიდა საზიდავად-თქო, რადგან მე თვითონ, საკუთარი ხელით დავიდგი თავზე ოქროს ეკლებით დაწნული გვირგვინი.

მითხრა თუ არა დედაჩემმა, რომ შენ ჩემი ცხოვრების კაცი არ იყავი, გუნება მომეშხამა. ჩემი სიყვარული ხალხს ღარიბი გოგონას ჭირვეულობად მიაჩნდა. ჰო, ღარიბი ვიყავი, ლას ბრისას უბანში ვცხოვრობდი, 19 წლისას მშვენიერი ტანი მქონდა, მაგრამ ისე ვლაპარაკობდი, თითქოს პირში ცხელი კარტოფილი მედო. *(თავის თავს აჯავრებს)*: ოტილია სარეჩხს რეჩხავს, ბიჭი ბურთშს აგორებშს. ქალი ყავაშ სვამს.

შენ კი დღევანდელი მოდის ფუძემდებლად უნდა ჩაგთვალო. თმა აქამდე გქონდა მოშვებული *(ხელს იდებს კისერზე)*, წვერი ყოველთვის სამი დღის გაუპარსავს გიგავდა, პილიგრიმის სანდლებში ფეხის თითები გიჩანდა. იმითაც კი გაუსწარი დროს, რომ უარი თქვი ალკოჰოლზე და მოსაწევზე და მხოლოდ ბოსტანში მოყვანილ საზრდოს მიირთმევდი. თვითნათქვამა კი იყავი, როგორც ყველა კაცი და თითქმის ყველა ქალი, განსაკუთრებით კარგად გამოგდიოდა იმის დამტკიცება, თუ რა უსამართლოდაა სამყარო მოწყობილი. მახსოვს, მაშინაც იმ ცინიკურ მოსაზრებებს აფრქვევდი, რომლებსაც ახლაც იყენებ დღევანდელი პოლიტიკოსების გასაკრიტიკებლად, დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს ქვეყანა.

თავიდან დედაჩემის ჯინაზე ჩაგებლაუჭე. ის საწყალი ვირივით მუშაობდა, ჯერ მდიდარი გოგონებისთვის განკუთვნილ მონაზონთა სკოლაში რომ მესწავლა, შემდეგ უნივერსიტეტი რომ დამემთავრებინა. ოღონდ დიპლომი ამელო და სულ არ დაეძებდა, რა სპეციალობას ავირჩევდი. შენ რომ გამიცანი, დედაჩემი ბაზრის ქალებთან მაქებდა, თითქოს გასაყიდად ვყავდი გაჩენილი.

(მიდის საუთოო მაგიდასთან, ცეცხლზე ძველებურ უთოს ახურებს და მავთულიდან ჩამოხსნილი პერანგის გაუთოებას იწყებს).

დაწოლის წინ ყველაფერს ვიხდიდი, რათა ჩემი სხეულის ყოველ გოჯს შენთან შეხების ნეტარება ეგრძნო. მხოლოდ რემედიოსის ქალწულის მედალიონს ვიტოვებდი, რომელიც ყოველგვარი ბოროტებისგან მიცავდა. ერთი ეგ იყო, შენგან ვერ დამიცვა, დედიშობილა ვიწექი, მახსოვს მაშინ ქალები თმას არსად არ იპარსავდნენ. ერთხელ შიშველი ფანჯრიდან გადავხტი და სანაპიროს დამყაყებულ წყალში ჩავყვინთე შენს მოსაძებნად. რა კარგი იყო! არც არაფერი მიჭერდა, არც ერთგულების ქამარი მეკეთა, არც მუხლებამდე საცვლებში ვიხლართებოდი. სულ შიშველი ვიყავი, ში-

შველი და ცინცხალი ველოდი შენთან შეხვედრას და ქუჩის ძაღლივით ვგორავდი აშმორებულ ფსკერზე.

ორივენი ერთ დღეში აღმოვჩნდით: შენ შენს მშობლებს გამოექეცი, მე — ჩემებს. სამაგიეროდ ბედნიერები ვიყავით იმით, რაც არ გვქონდა. ახლა კი ყველაფერი თავზე საყრელი გვაქვს სიყვარულის გამო.

(მეზობელი ოთახიდან გამოუცდელი შემსრულებლის მიერ საქსაფონზე დაკრული ნოსტალგიური მელოდია ისმის.

ეს სპეციალურად ჩვენი პიესისათვის დაწერილი, იმ ეპოქის სულით გაჟღენთილი ძალიან ლამაზი სიმღერის მუსიკაა. გრასიელა მონოლოგს წყვეტს, ჯერ უსიტყვოდ აყოლებს ხმას საქსაფონს, შემდეგ ხმადაბლა იწყებს სიმღერას, თითქოს სიტყვების გახსენებას ცდილობს, ბოლოს უკვე მთელ სიმღერას პროფესიონალივით ასრულებს. პარალელურად საუთოო მაგიდას კეცავს, ჰამაკს ხსნის და ღარიბული ოთახი ისევ მდიდრულ საძინებლად იქცევა. სიმღერის ბოლოს ოთახს დღის შუქი ეფინება).

მე სიღარიბე არ მაწუხებდა. პირიქით, ნეტა ახლაც იქ ვიყო, უქონელი, ობოლი და ენაბრგვილი და ცხონებული ამალია ფლორიდას საქსაფონი მაყრუებდეს. საბრალო ამალია: მთელი ცხოვრება ცდილობდა ერთი სიმღერის შესწავლას. *(საქსაფონის ხმით იმეორებს უკვე ნამღერი ნაწარმოების დასაწყისს და ბედნიერი ხმით იცინის).* ზოგჯერ მოთმინებას ვკარგავდი და ვყვიროდი *(ყვირის):* „გადააგდე ეგ სპილენძი, ამელია!“ ის კი მთელი სერიოზულობით, ყვირილითვე მპასუხობდა *(ყვირის):* „ნუ სულელობ, ბავშვო, საქსაფონი სპილენძი არ არის“ და იგივე სიმღერის დაკვრას აგრძელებდა.

არ არის მართალი რომ ამბობენ, ბედნიერება სულ რამდენიმე წუთს გრძელდება და როცა მთავრდება, მხოლოდ მაშინ ხვდები, რომ ბედნიერი ყოფილხარო. სინამდვილეში ბედნიერება სიყვარულის ბოლომდე არსებობს. როცა გიყვარს, სიკვდილიც კი გეიოლება.

(სიგარეტს უკიდებს).

კიდევ გეყოფა თავხედობა და მეტყვი ამ სიბერეში ეჭვიანი გახდიო?! მხოლოდ ღმერთმა იცის, რად მიჯდებოდა სიმშვიდე შემენარჩუნებინა და ყურადღება არ მიმექცია შენს სასიყვარულო თავგადასავლებზე მოარული ხმებისთვის. იმ დღეს, დილის ხუთ საათზე ცოცხალ-მკვდარი რომ შემოიძურწე სახლში მართლა თავს კი არ დაგსხმიან, როგორც გაზეთებში დაიბეჭდა, მთელი ღამე არასრულწლოვან გოგოსთან გაატარე უცხო სახლში ჩაკეტილმა — მერე შენ თვითონ შემოიხიე ტანსაცმელი და სახეში მუშტები ირტყი, შენს მიერვე შეთხზული ზღაპარი რომ დაეჯერებინათ. ერთხელ მართლა დაგესხნენ თავს, ოღონდ მაშინ როსიტა სან რომანთან ერთად იყავი მანქანაში. რა საშინელებაა! თვით როსიტა სან რომანთან, წმინდანად რომ მოაქვს თავი. მაშინ მართლა ბევრი გირტყეს ორივეს, ის კი არა, რაც ბანდიტებმა დაგაკლეს, შენ თვითონ ურტყი როსიტას, იმ კაცებს მის თვალწინ რომ არ გაეუპატიურებინეთ. ალბათ ამიტომ მეცინება, ანონიმურ წერილებს რომ მიგზავნიან. იქ მარტო ისეთ ამბებს მიყვებიან, სადაც ცუდად მიგდის საქმე, სასიამოვნო თავგადასავლებს შენ თვითონ ყვები, ოღონდ ეგაა, არავინ გიჯერებს.

თუმცა მე ეგ ამბები ნაკლებად მაღელვებს, რადგან დღემდე ვასრულებ ქორწილში შენთვის მოცემულ პირობას: ერთ საყვარელს ნუ გაიჩენ და ისე სულ არ მაინტერესებს, ვისთან დაწვები, ოღონდ არ დამიწყო ახ-

ლა მტკიცება ასეც ვიქცეოდიო. იმდენი ხანია იმ ქალთან დადიხარ, რომ ლამის მასთანაც ვერცხლის ქორწილი გადაიხადო. მის საწყალ ქმარზე ამბობენ, კვირაში ერთხელ საპარიკმახეროში დადის რქების შესანარჩებლადო, მათ შვილებს კი ხარაის დე ლა ვერათას არაბული ქუთუთოები აქვთ. ყველას, უმცროსი ქალიშვილის გარდა. იმ ჭინკას, კაცმა არ იცის საიდან, ზანგის თმა გამოჰყვა, რაც, მადლობა ღმერთს, იმაზე ფიქრის საბაბს მაძლევს, რომ შენც ქმრის ბედი გაიზიარე.

(კარს ქვემოდან დილის გაზეთი შემოაცურეს. გრასიელა გაზეთს იღებს და ქმრის ახლოს დებს).

(ირონიულად): აბა, დღევანდელი აიღე და დაასვენე ეგ საცოდავი გაზეთი. გაიცრიცა ამდენი კითხვით.

(ცოტა ხნით გაჩუმდება, თითქოს კარს უკან რაღაც ხმაური ისმის, მიაყურადებს და ხმამაღლა იძლევა ბრძანებებს სალამოს დღესასწაულისთვის):

არაფერი მაგის მსგავსი! უთხარი გასპარს, ისე მოიქცეს, როგორც შაბათს მოილაპარაკეთ. ბოლო წუთს თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედოს.

(პაუზა პასუხის მოსასმენად).

დიახ. და ძალიან გთხოვთ მეტი აღარ შემაწუხოთ. არც სენიორი. არც ტელეფონთან დაგვიძახოთ. თქვით, რომ არ იცით, სად წავედით. არ ვიცით, როდემდე ვიქნებით დაკავებულები. *(ყალბი სიცილი).*

გმადლობთ, ბრიხიდა.

(ფიქრობს).

რა უტვინო ვარ! ყვითელ პრესაში დაწერენ ვერცხლის ქორწილის დღე საწოლში გაატარესო. *(მხრებს იჩეჩავს)* სულაც არ მენაღვლება, მით უმეტეს, რომ სიცრუეა. რას ვამბობდი?

(ხალხისკენ შეტრიალდება და მაყურებელს ეკითხება):

ვინმეს ახსოვს რას ვლაპარაკობდი?

(ხალხის რეპლიკებიდან შეწყვეტილ მონოლოგს იხსენებს, მაგრამ მანამდე ისევ პუბლიკას მიმართავს):

დიდი მადლობა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი და ჩემი მეუღლის საქმეა. თქვენ ნუ ჩაერევით. მაპატიეთ, კარგი?

(ჭიქაში სასმელს ასხამს. ერთ ყლუპს სვამს. ცოტა ხანს ფიქრობს და ისევ ქმრისკენ მიბრუნდება).

კარგი. ახლა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მორჩა! მე შენი სათადარიგო დედა ვიყავი, დაწოლის წინ წინდებს გითბობდი, ფეხები რომ არ გაგყინვოდა, ფრჩხილებს საქარგავი მაკრატლით გაჭრიდი, თითებს შუა ტალკს გაყრიდი დათუთქული ადგილები რომ არ დაგწყლულებოდა, შენი შუბლი მეჭირა, როცა მთვრალს გული გერეოდა და მოთმინებით ვიტანდი გამთენიისას, საბნის ქვეშ გაშვებულ ქარებს. მაგრამ არა უშავს, როგორც იქნა მივიღე გადაწყვეტილება, რაც პირველსავე დღეს უნდა მიმეღო: ჯანდაბაში მივდივარ!

(სვამს ჭიქაში ჩარჩენილ სასმელს).

იქნებ არ გახსოვს. 3 აგვისტოს ორი წელი გავიდა, რაც ერთად არ ვწოლილვართ ამ მოვლენის ერთი წლისთავზე სრულიად უმიზეზოდ ლას ანუელესიდან დარეკე. მე ეს ზარი წლისთავის აღნიშვნად ჩავთვალე. წლეულს ერთად ვიყავით. საწოლში გვიანობამდე ვკითხულობდი, არც მე და-

მიძინია და რაიმე ნიშნის მოლოდინში ძველ ჟურნალებს ვფურცლავდი, მაგრამ არაფერი მომხდარა.

შენი შეცდენა აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ლაპარაკი ნამდვილად მინდოდა. ახლაც მინდა. იქნებ თავშეკავების ორი წლის თავზე ის მისაყვედურო, რომ ერთხელ საწოლში განცხრომაში მყოფმა სხვისი სახელი მიწოდე. *(სხვათა შორის, მისი სახელი არ ყოფილა, არც მახსოვს, რა დამიძახე).* მშვენივრად ვიცი, რომ ადამიანთა უმეტესობა იმ მომენტში სხვა პარტნიორზე ფიქრობს. ასე არ არის? მე თვითონაც ამგვარად ვიქცევი, თუმცა შენთვის რქები არასოდეს დამიდგამს. საკმაოდ მიყვარდი იმისთვის, რომ შენი სახელი სხვისაში არ ამრეოდა.

ალბათ კარგი იქნებოდა, იმავე ღამეს გველაპარაკა ყველაფერზე. მაგრამ არა, ამ სახლში წელსქვემოთა პრობლემებზე ლაპარაკი მილებული არ არის. აკრძალულია. ასე რომ, შენ მშვიდად გადაბრუნდი კედლისკენ, დაიძინე და ორი წელი აღარ მომკარებიხარ. ასე იყო დღემდე. მას შემდეგ ორი წელი და 18 დღე გავიდა. ამიერიდან აღარც დავითვლი. მორჩა!

მართალი გითხრა, ყოველთვის მეშინოდა ასეთი პრიმიტიული რეაქციის. იმ დღიდან, რაც ამ სახლში აღმოვჩნდი. *(ცოტა ხანი ფიქრობს):* აჰა, მაინც ვთქვი! აქ დედაშენმა საიდუმლოდ დამიბარა შენი შვილის დაბადების შემდეგ. თავიდან არ ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ასე აჯობებდა შენთვის და ბავშვისთვის და, როგორც იქნა, მოსვლა გავრისკე. ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გამიჭირდა ამ სახლში შემოსვლა, მე საცოდავი ხალიჩებს ფეხს ვუქცევდი, რადგან მეგონა, ზედ დაბიჯება არ შეიძლებოდა. ფასადის ორნამენტები, კოშკურები და ვესტიბიულის სამშვენისები ოქროსგან გაკეთებული მეგონა. ყველაფერი, რაც ბრჭყვინავდა, ოქროდ ჩავთვალე. ახლა არ იკითხავ, რა ვაჟკაცობა დამჭირდა დედაშენთან სალაპარაკოდ?! მე ხომ ის ქალი უხეშ სერჟანტად მყავდა წარმოდგენილი, რომელიც თავისივე მოგონილი კანონების მეტს არაფერს ემორჩილებოდა.

(როცა გრასიელა დედამთილის გახსენებას იწყებს, სცენა ბნელდება. სინათლის წრე მხოლოდ ერთ ადგილს აშუქებს, სადაც ვენურ სარწეველა სავარძელში მოხუცი არისტოკრატი ზის, სახეზე სირაქლემას ფრთების მარაო აქვს აფარებული, რომელსაც ნელ-ნელა იშორებს. სანამ გრასიელა მასზე საუბარს აგრძელებს, ქალი ხან ჩაის სვამს, ხან მარაოთი ინიავებს, ოღონდ ეს ყველაფერი ირეალურ სურათს უნდა ჰგავდეს).

კუბოს კარამდე მემახსოვრება, როგორი იყო დედაშენი, პირველად რომ ვნახე. ტერასაზე, ყვავილებს შორის იჯდა მოწნულ სარწეველა სავარძელში, სახე იაპონელი ქალივით ჰქონდა გაპუდრული, თეთრი კაბა ეცვა, ყელზე მარგალიტის ექვსფა მძივი ეკეთა და სირაქლემას ბუმბულის იმ მარაოთი ინიავებდა, ყოველ წელს დედოფლისთვის რომ გვთხოვენ სილამაზის კონკურსის ორგანიზატორები. პირველი, რაც პირში მომახალა, ის იყო, რომ თურმე ჩემი მეტყველების დეფექტი ჩემივე დაუდევრობის ბრალი ყოფილა. მკითხა, ჩაი ხომ არ გინდაო. მე უარი ვუთხარი. აბა რას ვიზამდი! ჩაიზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ პატარაობისას, სიცხე თუ ამიწევდა, დედაჩემი წამალივით მასმევდა ხოლმე. „ეჰ, შვილო ჩემოო", — მითხრა, — „კიდევ რამდენი რამ გაქვს ასათვისებელიო". მახსოვს, მაშინ იმანაც გამაოცა, რომ ბებიის კვალობაზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მაღალი ქალი იყო, გამხდარი და ძალიან ლამაზი, თანაც იმსიგრძე

წამწამები ჰქონდა, ალბათ სახეს მარაოზე უკეთესად უგრილებდა. ყველაზე მეტად მაინც მისი მელანქოლიური ხელები მომეწონა, სანთლისგან ჩამოსხმული ხელები, ასე რომ ჰგავდა შენსას, სამაგიეროდ შემაძრწუნა იმის მიხვედრამ, რომ რასაც ჩაიფიქრებდა, აუცილებლად შეასრულებდა.

იქამდე არასოდეს მენახა ასეთი წყნარი ადგილი. სადღაც შორს იადონი ჰყავდათ. ის რომ გალობას იწყებდა, ყვავილები ირწეოდნენ. შუა ლაპარაკის დროს სახლის სილრმიდან ვილაცის გულისმომკვლელი ხველება მოისმა და სიჩუმე ისე გაღრმავდა, რომ ზღვაც კი გაჩერდა, საღამო მოკვდა, სამყარო გაირინდა, ყველაფერი დადუმდა და ვიგრძენი, ჰაერი აღარ მყოფნიდა. დედაშენს თითის წვერებით აღებული ფინჯანი ხელში შეაცივდა და სანამ ხველება არ ჩაწყნარდა, ხმა არ ამოუღია, შემდეგ ძალიან ნელა წარმოთქვა (*ამბობს კონფიდენციალური ტონით*): „ის არის". მოგვიანებით, სახლიდან რომ გამოვდიოდი, ვილაცამ შეცდომით ფანჯარა გამოაღო და ძალაუნებურად თვალი მოვკარი. აჩრდილს ჰგავდა, გაძვალტყავებულს ყვითელი ფერი ედო, თავზე ერთი ღერი თმა არ ჰქონდა, პირში— ერთი კბილი. უზარმაზარ თვალებში უკვე იმქვეყნიური გამომეტყველება ედგა, მაგრამ იმ მდგომარეობაშიც კი იგრძნობოდა მისი ავტორიტეტის ძალა. და მე მივხვდი, მისი ერთი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა შენს მოსასპობად.

დედაშენი დარწმუნებული იყო, რომ კვირის ბოლომდე ვერ გაატანდა. ამიტომაც გამომიძახა. შენზე მელაპარაკა, თავის ერთადერთ შვილზე, შემდეგ ჩვენს ბიჭს გადასწვდა, რომელიც ასევე დედისერთად დარჩებოდა, რადგან შენს მოდგმაში თურმე ერთი ბიჭის შემდეგ ბავშვი აღარ იბადება. ასე გაგრძელდება, სანამ რომელიმე თაობას გოგო არ შეეძინება და გვარი არ გადაშენდება.

დედაშენი ყველაფერზე თანახმა იყო. შემპირდა, თქვენს ქორწინებას კანონიერად ვაღიარებ, შენს გენეალოგიურ შტოს ყალბი საბუთებით გავაკეთილშობილებ, ამოდენა სასახლეს თავის შიგთავსით დაგითმობთ, ოღონდ მოვიდეს და მომაკვდავ მამას პატიება სთხოვოსო. მე კინაღამ ხმამაღლა გადავიხარხარე, მაგრამ თავი შევიკავე და ვუპასუხე, ძალიან კარგად ვიცნობ ჩემს ქმარს, დარწმუნებული ვარ, ცოცხალი თავით არ მოვა, მაგრამ თქვენი ხათრით მაინც ვთხოვ-მეთქი. მაშინ დედაშენმა ისეთი დარწმუნებით მითხრა: ჯერ გამოუცდელი ხარ, შვილო, კაცებს არ იცნობო, რომ კინაღამ გავცოფდი. მე მაინც დავიჟინე: არ მოვა სენიორა, დამიჯერეთ-მეთქი. არც მას დაუხევია უკან: მოვა, აგერ ნახავ, თუ არ მოვა.

(სიგარეტს უკიდებს).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მიხვედი.

მე ჩემი ნებით არ წავსულვარ. ისიც მართალია, რომ მთელი ღამე გეხვეწებოდი, დაკრძალვას დასწრებოდი, მეგონა არაფრით არ დამთანხმდებოდი. დღემდე ვიფიქრებდი, რომ სწორად მოვიქეცი, ერთი პატარა დეტალი რომ არა: იქიდან სულ სხვა კაცი დაბრუნდი. რა საშინელებაა! ერთმა პომპეზურმა დაკრძალვამ დაგავიწყა შიმშილი, დამცირება და მთელი შენი კონფლიქტები გარემომცველ სამყაროსთან. ანგელოზის კულულები შეგაჭრეს, წვერი გაგპარსეს, ტანგოს საცეკვაოდ დაგვარცხნეს, ბრიოლინით გადასლექილი თმა შუაში გაგიყვეს, ინგლისური შალის კოსტიუმი ჩაგაცვეს ჟილეტითა და ჯიბის საათით და თითზე საგვარეულო ბეჭედიც

წამოგაცვეს, რომელიც აღარასოდეს მოგიხსნია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: მე რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ იმაზეც დათანხმდებოდი, შენთვის მარკიზი დაეძახათ. ასე მიმართავდნენ მამაშენს, თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, მართლა ასეთი ბრწყინვალე წინაპრები გყავდა თუ არა.

ვაი სირცხვილო! მაშინვე სხვებს დაემსგავსე, როგორც თვითონ ალიარე, ბაბუაშენის მამის ალიკვალი გახდი. ის კი არა, შეკრულობაც კი დაგჩემდა, მიუხედავად იმისა, რომ იქამდე ეგ პრობლემა არასოდეს გაწუხებდა. პირიქით!

რა უნდა მექნა მე საწყალს, გიჟივით შეყვარებულ ქალს იმის გარდა, რომ მთელი არსებით მომენდომებინა შენი ღირსი ვყოფილიყავი. მოვახერხე კიდეც: ამ ქალაქში, სადაც ყოველი მეორე კაცი დოქტორია, მე ერთადერთი ვარ, ვინც ოთხჯერ მოიპოვა ეს ხარისხი. ოთხჯერ ავუხდინე ოცნება დედაჩემს. ამას გარდა, ორ წელიწადში დავეუფლე ფრანგულს, კიდევ ორი წლის შემდეგ ინგლისურად ავლაპარაკდი, რა თქმა უნდა, ცუდად, მაგრამ შენ თვითონ არ მითხარი, საერთაშორისო ენად ინგლისური კი არა, დამტვრეული ინგლისური ითვლებაო? ორი ნაშრომიც გამოვაქვეყნე, ერთი კლასიკურ ფილოლოგიაში Catulo-ს ეჭვებზე და მეორე, რომელიც მართლა ძალიან კარგი გამოვიდა, რიტორიკასა და მჭევრმეტყველებაში. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მე თვითონ გამოვისწორე დიქცია დემოსთენეს მეთოდით: პირში კენჭები მეწყო და დღეში ოთხი საათი ჰეგზამეტრებით ვლაპარაკობდი. *(საჩვენებელ თითს პირში იდებს და ამბობს):* Quis, quia, ubi, quilus auxiliis, eur, quamodo, quando?

ამ სახლში რომ გადმოვედი, სამუდამოდ დავკარგე ჩემი სკოლისდროინდელი მეგობრები და ვერც შენს წრეში დავუახლოვდი ვინმეს. ბოლოს იმ ქალებს დავემსგავსე, კუბოში ჩაკეტილებივით რომ ცხოვრობენ და წარმოდგენა არა აქვთ, სად დადიან მათი ქმრები. მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან საოცნებოც კი არაფერი მქონდა. უშენოდ დავდიოდი კონცერტებზე, კინოში, საქველმოქმედო საღამოებზე. ჩემს ლიტერატორ კოლეგებს დავუახლოვდი, რომლებიც ლექხებს მიძღვნიდნენ, მაგრამ არ მამცირებდნენ და საყვარლობას არ მთავაზობდნენ. ხედავ, რამდენი რამის შეცვლა დამჭირდა, შენზე ნაკლები რომ არ ვყოფილიყავი. მახსოვს, ერთხელ ნახევრად ხუმრობით თქვი ჩემზე: მარკიზობა შეიფერა, ჩემი სიყვარული შვილის სიყვარულში გაცვალა, საწოლი მხოლოდ იმიტომ აინტერესებს, რომ დაიძინოს ან კიდევ უარესი, თავი მოიმძინაროსო. ისიც კი დამაბრალე, მაგის შუქნიშანზე სულ წითელი ფერი ანთიაო, სპეციალურად ყოვნდება დიდხანს სააბაზანოში, იქიდან გამოსულს დაძინებული რომ დავხვდეო და რა ვიცი, კიდევ რა არ მოიგონე. სინამდვილეში ქუჩიდან დაბრუნებულს შენ აღარ გქონდა აღარაფრის თავი. ასეა თუ ისე, ოცი წელი ისე შემოგვადნა ხელში, უკან მოხედვაც ვერ მოვასწარით.

(აქედან მოყოლებული თოვლიანი ქარბუქის სცენაზე გრასიელა მოდების ნამდვილ ჩვენებას მოაწყობს, სანამ გადაწყვეტს, რომელი კაბა ჩაიცვას წვეულებაზე. სამოსელის რაოდენობა და მოზომების სცენების ხანგრძლივობა წარმოსახვითი სარკის წინ მთლიანად რეჟისორზეა დამოკიდებული. ოლონდ ტანსაცმელი აუცილებლად იმ ეპოქის და მრავალფეროვანი უნდა იყოს და, რაც მთავარია, გრასიელას სულიერ მდგომარეობასა და დრამატულ სიტუაციას უნდა უხდებოდეს).

ახლა გყოფნის სინდისი და მეუბნები, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია, რახან ლათინურის სწავლა დავიწყე! რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია, ოღონდ არც ლათინური, არც ბავშვი არაფერ შუაშია. მე მაშინ დავაშალე, თავიდანვე რომ არ მოგსვი შენს ადგილზე. იცი, ეს ვინ მისაყვედურა? დედაშენმა. ერთ საღამოს, ისე რომ აზრადაც არ მოსვლია მე თუ არაფერი ვიცოდი, მითხრა: „არ მესმის, რატომ არ უშლი იმ გაცვეთილ, ვოდევილების მსახიობთან წანწალსო". არ მინდოდა, ჩემი უმეცრებით გამეხარებია და ვკითხე: თქვენ თუ გიყვებათ რამეს-მეთქი. რა თქმა უნდა, არაო! — მიპასუხა. ასეთ თემაზე საუბარს ყველა გაურბისო. „ჰოდა, არ მჯერა, რომ სიმართლეა", ვუთხარი მე. „და მართალიც რომ იყოს, ხალხის მონაჩმახისთვის ყურის დაგდებას, ჩემი ქმრის დაჯერება მირჩევნია". მაშინ დედაშენმა პირველად გამილიმა ოდნავი სიყვარულით და მითხრა: „ფრთხილად იყავი, შვილო, სიამაყის გამო საკუთარ ღირსებას ნურავის გაათელინებ, ასეთ საქმეებში ეს ყველაზე დამღუპველი შეცდომაა".

ეს ხმები ჩემამდეც მოვიდა. თუმცა მე ყველაფერი უფრო ადრე ვიგრძენი, როცა დონ სანჩოსთან შენი საყვარელი დავინახე. გულმა რეჩხი მიყო და მივხვდი, რომ თქვენს შორის რაღაც მოხდა, ხდებოდა ან აუცილებლად მოხდებოდა. გეგონა არ მახსოვდა ის დღე? ცდები, გენაცვალე. ეს ნატიფი ხელოვნების თეატრში გამართული რუბინშტეინის კონცერტის შემდეგ იყო. გილენ პედრასამ წარგვადგინა ერთმანეთთან. სხვებს რომ არ გაეგოთ ჩაგიჩურჩულე კიდეც — ბოზის სახე აქვს-მეთქი. ხომ კარგი ინტუიცია აღმომაჩნდა? საბრალო, 80 წლის რუბიმ, თერთმეტჯერ რომ გამოიძახეს ბისზე და შოპენის ყველა ნოქტიურნი დააკვრევინეს, ღამის ორ საათზე დალია 4 ბოთლი შამპანური და ძეხვით, წიწაკით და ხახვით მომზადებული ამოდენა *(ხელით აჩვენებს)* ტორტილია[1] შეჭამა. ბევრიც გვაცინა პოლონური ამბებით, მაგრამ შენ ერთი სიტყვაც არ გაგიგია, რადგან სულ უკან-უკან გაგირბოდა თვალი. ისეთი საცოდავი სანახავი იყავი, რომ მახსოვს, გითხარი „დაწყნარდი, უკვე წავიდა-მეთქი". რა თქმა უნდა, არაფერი შეიმჩნიე. მაგის ჩიტი იყავი? მაგრამ მამალივით წაგრძელებულ კისერზე ძარღვი რომ აგითამაშდა, მივხვდი, შიგ ათიანში მქონდა მორტყმული.

ასე არ იყო?

(ამაოდ უცდის პასუხს).

ასე შემთხვევით გასკდა ეგ ამბავი. თორემ მე იქამდე სულ არ ვიცნობდი მაგ ქალს. ან საიდან უნდა მცნობოდა. ამბობენ, ვისთან არ წვებოდა, ობლებისთვის დადგმულ სპექტაკლებში პატარა როლები რომ მიეღოო. მერე კარგი მსახიობი დადგა. კი ბატონო, ვინ უარყოფს?! მაგრამ ამ სახლის დიასახლისად რომ წარმოვიდგენ, სიცილით ვკვდები. ახალი სენიორა ხარაის დე ლა ვერა! ძალიან მძიმე სატარებელი იქნება ეს გვარი ოცდაოთხკარატიანი პროთეზის პატრონისათვის, ცხენივით რომ ჭიხვინებს როცა უნდა და სადაც უნდა, იმ ძუძუებისთვის, არც ერთ ლიფში რომ არ ეტევა, და იმ უკანალისთვის, ჩემს გამონაცვალ, გადაკეთებულ კაბებში რომაა გაკვეხებული.

ტორტილია[1] — ესპანური კერძი. მზადდება კარტოფილით, კვერცხით და სხვადასხვა სპეციით.

ისიც ვიცი, მის ახლანდელ ქმარს ქვეყნის ფული რომ მიეცი, ოღონდ ეგ ქალი ცოლად მოეყვანა, ახლაც უხდი ხელფასს, ვითომ შაქრის ლერწმის პლანტაციების ზედამხედველად მუშაობს. სინამდვილეში, ის უბედური შენი შვილების მამის როლს ასრულებს.

რაო? იქნებ თქვა ჭორებიო. ჰო, რა თქმა უნდა. შენ რა შუაში ხარ, სპექტაკლების შემდეგ მე ვეპატიჟებოდი ხოლმე მაგ ქალს სავახშმოდ და ისიც სულ სხვადასხვა კაცის თანხლებით მოდიოდა. მე მოვიყვანე პირველად ამ სახლში, მე მივეხმარე ქორწილისთვის მზადებაში და ფული რომ დააკლდა, მე დავუმატე. რას ვიზამ, შევცდი. მეგონა, ასე კულტურულად შევძლებდი მისთვის სინდისის ქენჯნა მეგრძნობინებინა, მაგრამ ისიც შენსავით ხისთავიანი გამოდგა. *(ხელით მაგიდაზე აკაკუნებს).*

(შედის სააბაზანოში და ახლა იქიდან ისმის მისი მონოლოგი).

წლების მანძილზე ვითმენდი ანონიმურ წერილებს. ხან კარქვეშ რომ ვპოულობდი, ხან მანქანის მინაზე. არ ვიმჩნევდი ჩემს გასაგონად წარმოთქმულ ქარაგმულ სიტყვებს, ყურადღებას არ ვაქცევდი სატელეფონო ზარებს. ერთხელ გამთენიისას დამირეკეს და იმ ადგილის ზუსტი მისამართი მომცეს, სადაც შენს ტურფასთან ერთობოდი. არ დაგიმალავ, საბოლოოდ მხოლოდ ორი წლის წინ დავრწმუნდი, რომ დიდი რომანი გქონდათ გაჩაღებული. ეს მაშინ მოხდა, შაქრის პლანტაციებში რომ დავპატიჟეთ სადილზე. მე თვითონ ერთადერთხელ ვიყავი იქ ნამყოფი და მაშინაც დავიფიცე, ჩემი ფეხი აღარ იქნებოდა იმ სოფელში. რა ვქნა, ვერ ვიტან შაქრის ლერწმის წებოვან სუნს და ლურჯ ბუზებს, თანაც იმ საცოდავი მუშების ცოდვით ვიწვი, დღიური ულუფის სანაცვლოდ რომ ამუშავებ ვირივით და არჩევნების დღეს ნახირივით რომ მიერეკებიან ხმის მისაცემად. მაგრამ იმ დღეს მაინც მოახერხე ჩემი გადარწმუნება და მხოლოდ ახლა ვხვდები რატომ: ასეთი იყო ჩვენი ბედისწერა.

(კულისებიდან წყლის ხმა ისმის და რამდენიმე წამში სცენაზე გრასიელა გამოდის)

ასეც უნდა მომხდარიყო. მივედით თუ არა პლანტაციებში, პეონების ყაყანსა და საერთო არეულობაში, ძლივს გამოგლიჯეს ჩემი თავი გახელებულ ძაღლებს, ჩემს დასაგლეჯად რომ მოიწევდნენ. მათი რეაქცია არ გამკვირვებია, რადგან მე ნანახი არ ვყავდით, სამაგიეროდ იმას მიელაქუცნენ სიყვარულით, ხელები აულოკეს, კუდები სულ ფეხებსშუა უსვეს და ჯაჭვებით რომ არ დაებათ, ვინ იცის, კიდევ როგორ გამოხატავდნენ სიყვარულს.

(აგრეძელებს რაც შეიძლება ირონიულად) მაშინაც კი გამიჭირდა დაჯერება და იცი, რატომ? როგორ შეიძლება კაცს ცოლზე უშნო საყვარელი ჰყავდეს!

(უცებ ბრაზდება)

კი მაგრამ, რა გინდოდა? ქუჩა-ქუჩა მედია შენთვის? თუ ჩემი თანამშრომლებისთვის მეთხოვნა შენი თვალთვალი? ან იქნებ უჩემოდ გატარებული ყოველი დღის და ღამის ანგარიში უნდა მომეთხოვა? მეტი საქმე არ მქონდა! არ ვიცოდე მაინც, როგორ სიამოვნებთ კაცებს ცოლების ეჭვიანობა. ყველა კაცი ერთნაირია, ყველა! თუ ეპისკოპოსი მოგესალ-

მათ და ხელზე აღმოსავლური ნელსაცხებლის სურნელი დაგიტოვათ, სახეგაბრწყინებულები ბრუნდებით შინ და ფარული სიამოვნებით ჩრით ხელებს ცოლს ცხვირში, რათა იმ უბედურმა ათასი საშინელება წარმოიდგინოს და უმიზეზოდ მოგიწყოთ სკანდალი.

(სცენის სიღრმიდან ამალია ფლორიდას ნაღვლიანი საქსოფონის ჩუმი ხმა ისმის, რომელიც თანდათან ისე ძლიერდება, რომ გრასიელას ხმას ფარავს).

ჯიბეში უკულმა დაწერილ ტელეფონის ნომრებს მალავთ, საწყალმა ცოლმა რეცხვის დროს რომ მიაგნოს.

(საქსოფონის ხმით შეწუხებული გაბრაზებული ყვირის) დამაცადე ლაპარაკი!

(მუსიკის ხმა უცებ წყდება, გრასიელა ოთახისკენ აბრუნებს სახეს და აგრძელებს):

— დამაცადე ლაპარაკი, ამალია ფლორიდა. რატომ არ გინდა მშვიდად მოისვენო მაგ შენს სასუფეველში?

(ცოტა ხნით ჩუმდება, ამალია ფლორიდას მხოლოდ მისთვის გასაგებ პასუხს ისმენს და ეპასუხება):

— კიდევ ვიმღერო? არც იფიქრო; ეგ დრო წავიდა.

(ისევ ჩუმდება მეზობლის რეპლიკის მოლოდინში და უცებ შეურაცხყოფილი სახით ტრიალდება მაყურებლებისკენ).

გესმით რეებს ბედავს? ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, მეცადინეობაში მიშლი ხელსო. *(ისევ მეზობელს მიმართავს):* არა, ამალია ფლორიდა. ეს შენი სახლი არასოდეს ყოფილა, ხვალიდან აღარც ჩემი იქნება. ასე რომ, თავიდან მომწყდი და დამაცადე ქმართან ლაპარაკი.

(რამდენიმე წამით სიჩუმეს უგდებს ყურს და მუსიკის ხმა რომ აღარ ესმის, თანაგრძნობით ოხრავს):

საბრალო ობოლი.

(ისევ მონოლოგს აგრძელებს).

მერედა როგორ გიყვარს შენივე გამოგონილი იდუმალი სიტუაციები. ოღონდ, როცა საქმე სიმართლეს ეხება, ისე იბნევი, რომ აღარ იცი, სად შეძვრე. სახლში ქურდივით იპარები და პირდაპირ სააბაზანოს აფარებ თავს შენი ლოსიონი რომ დაისხა გარედან მოტანილი სუნის დასაფარად. იქიდან გამოსული ადგილს ვერ პოულობ, ოცნებებში გართული ჭამ და ტელეფონის ყოველ ზარზე ცახცახებ. მარტო შენ არა, ყველა კაცი ასე იქცევა. თუ ერთ მშვენიერ დღეს ცოლიც ცხვირჩამოშვებული დაგხვდათ სახლში, გული გისკდებათ, რამეს ხომ არ მიხვდაო. და, საკმარისია ქალმა თვალი თვალში გაგიყაროთ, რომ შიშით შარვალში ისვრით. დედლებო!

ვერაფრით ვერ ისწავლე, რომ როცა ახლადგაღვიძებული ცოლი ხმას არ იღებს, ჯობია ზედაც არ შეხედო, ისე ადგე, შენ როგორ იქცევი? ისე გეშინია, რომ ზრდილობისა და გალანტურობის განსახიერებად ხარ ქცეული. აი, თუ ეჭვიანობის საბაბი მოგეცა, შენზე ბედნიერი კაცი არ არის. მოღალატე ქმარზე ეჭვიანი არსება ხომ ამ ქვეყნად არ არსებობს. აბა როგორ! თვითონ მთელ სალამოს სხვასთან ატარებს და გაგიჟებული ბრუნდება სახლში, რადგან ვერ გაუგია, ვის ელაპარაკებოდა ცოლი ტელეფონით რამდენიმე საათი, ანუ მთელი ის დრო, როცა ტელეფონი დაკავებული იყო. შენ სხვებზე მეტად გაგიჟებდა ეგ ამბავი. მე ხომ არასოდეს მიკითხავს შენთვის სად იყავი, სად მიდიოდი ან როდის დაბრუნდებოდი. ასე

თავისუფლად კი გადიოდი სახლიდან, მაგრამ უკან დაბრუნებული ორაზროვან კითხვებს მისვამდი, რაღაც სისულელეებს იგონებდი, რომ გაგეგო, სად და ვისთან ვაპირებდი ვახშმობას, შემთხვევით შენც იგივე ადგილას რომ არ მოგეყვანა შენი ტურფა.

ნამდვილად ღირდა იმის ნახვა, ბრაზით როგორ აცახცახდი, როცა ჩემზე გითხრეს, ერთდროულად ექვს თანამშრომელთან გილალატია, ეს მე, რომელიც ჩემს ძვირფას ქმართან კეთილგონიერების განსახიერება ვიყავი. წარმომიდგენია, როგორ გაცოფდი, როცა დაგარწმუნეს, რომ ნანოსთან ვიწექი. რა საშინელებაა!

(ცოტა ხანს ფიქრობს, მზაკვრულად იღიმება და სხვა ტონით აგრძელებს):

სიმართლე გაინტერესებს? სინამდვილეში ბევრად უარესი რამ მოხდა, ვიდრე მოგიყვნენ ან ვიდრე შენ შეგიძლია წარმოიდგინო.

(ხანგრძლივი პაუზა).

მოკლედ, მასთან-არ-დავ-წო-ლილ-ვარ!

იმიტომ არა, რომ ვერ გავბედე, ან სურვილი არ მქონია. უბრალოდ, ისიც ყველა კაცივით დედალი გამოდგა.

მე თავიდანვე დავუშვი შეცდომა, თუმცა არაფერს ვნანობ. კიდევ ერთხელ რომ განმეორდეს ჩემს ცხოვრებაში იგივე ეპიზოდი, მაინც ასე მოვიქცეოდი. ის პერიოდი იყო, ძალიან რომ გვიჭირდა, როგორც დედაჩემი ამბობდა, კურკლი გვახმებოდა უკანალზე. ერთ დილას, ბავშვის რძის ფულიც რომ ვერ შევაგროვეთ, ჩემი ვარდისფერყვავილებიანი კაბა ჩავიცვი და ნანოს სანახავად წავედი, რომელსაც არც კი ვიცნობდი. მის კაბინეტში რომ შევაღწიე, ისე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თავით ფეხებამდე ლორის ქონში ამოსვრილივით დავრჩი. შევატყვე, საქმეს კარგი პირი უჩანდა და ლაპარაკი დავიწყე. ჯერ სხვა თემებს შევეხე, შემდეგ პირდაპირ მოვთხოვე, ვაჟკაცობა გამოეჩინა და შენთვის სამუშაო მოეცა. ასეთი შტერი კაცი არც მანამდე მყავდა ნანახი და იმედი მაქვს, ვერც მომავალში ვნახავ. ასე მიპასუხა: თქვენნაირი ქალის გულისთვის ნიანგსაც კი შევჭამო *(თითქოს შექსპირი ჰქონოდეს წაკითხული)* და შემომთავაზა, მომდევნო სამშაბათს მივსულიყავი მის კაბინეტში მარტო და სატვირთო ლიფტით, თანაც სამუშაო საათების შემდეგ. სამაგიეროდ, ოთხშაბათს დილით სამსახური გექნებოდა. თანაც, თავის საქციელის გასამართლებლად ათასი არგუმენტი მოიყვანა. ისიც კი თქვა, რომ შენნაირ კაცს მშვენივრად უნდა გაეგო, რომ თავისუფალი სიყვარული ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრების ცივილიზებული მეთოდი იყო. თქვენი ახალგაზრდობაც გაიხსენა, როცა მამიკოების მანქანებით პარკში მიიპარებოდით, კენჭისყრით ირჩევდით გოგონებს და შემდეგ ერთმანეთში ცვლიდით. ჩვენც ბედნიერები ვიყავით და ისინიცო, დაასკვნა ბოლოს. სხვა რამის თქმა აღარ დავაცალე. სამშაბათს, საღამოს ექვს საათზე ლიფტით ავედი მის სართულზე და ბეჭდით სამჯერ მივაფხაჭუნე კარის მინაზე, როგორც მანამდე გამაფრთხილა. კარი თვითონ გამიღო. *(კმაყოფილი იცინის).*

შიშით უკვე ჩასვრილი იყო.

კინაღამ მუხლებზე დაეცა პატიების სათხოვნელად. სულ თავში იშენდა ხელებს, ეს უწმინდური აზრი როგორ მომივიდაო, ნეტა ჩემთვისაც მოეცა ღმერთს ისეთი ცოლი, რომელიც ქმრის დასახმარებლად ასე გასწი-

670
21.
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რავდა თავსო. კიდევ ბევრი იტირა და ივიშვიშა. ბოლოს კი გამომიცხადა, რომ მოცემულ სიტყვას აუცილებლად შეასრულებდა და შენ შენი მდგომარეობისა და გვარის შესაფერის სამუშაოს მოგიძებნიდა.

(ელიმება). ღმერთო ჩემო! რა სიტყვების მოსმენამ არ მოუწია იმ უბედურს. შემეშინდა კიდეც, გულის შეტევა არ დაემართოს. *(ფიქრობს)* როცა ავუხსენი, როგორი არაკაცური საქციელი იყო საბრალო ქალის ასე დამცირება. ისიც ვუთხარი, თუ ვაჟკაცი ხარ, დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო-მეთქი. *(იწყებს ტანსაცმლის გახდას):* გავიხადე ჩემი ყვავილებიანი კაბა, ქუსლებზე დაკემსილი წინდები, ახალნამშობიარევი ქალის ლიფი და სანამ მთლად დედიშობილა დავრჩებოდი, იმ უბედურმა მაგიდის გადასაფარებელს სტაცა ხელი და ტანზე შემომახვია.

ახლა, როცა ათასში ერთხელ ვხვდები ხოლმე ცალმხარწართმეულს, ინვალიდის სავარძელში რომ დააგორებენ აქეთ-იქით, ორივე ისეთ სახეს ვიღებთ, ვითომ არაფერი გვახსოვს. თუმცა, მან მშვენივრად იცის, რომ მე ვიცი, რომ მან იცის და იმ მოგონებას ვერაფერი წაგვიშლის მეხსიერებიდან. მას შემდეგ მთელი ოცდაორი, არა, ოცდასამი წელი გავიდა, მაგრამ რა სიამოვნებით ვიხსენებ ყოველ დეტალს!

აი, მაშინ მოხდა ეს ყველაფერი და არა ხუთი წლის წინ, ვიღაცამ ეს ძველი ამბავი დამახინჯებით რომ ჩაგაწვეთა და შენც გაცოფებული მოხვედი სახლში.

(აგრძელებს ხშმაკურად).

მართალი თუ გინდა, შენგან ფლორო მორალესი იმსახურებდა ტყვიას. არა, თვითონ არაფერ შუაში ყოფილა, ჩემი ბრალი იყო ყველაფერი.

უფრო სწორად, შენ თვითონ წამოგცდა პარიზში: „საწყალი ფლორო მორალესი ვნახე, მარტოა ჩამოსული, ხმის გამცემი არავინ ჰყავსო". სანამ მე იმის მიხვედრას ვცდილობდი, რისი თქმა გსურდა, შენ ვითომ სხვათა შორის გააგრძელე: „კონცერტზე დავპატიჟებდი, ბრიუსელში რომ არ ვიყოთ მიწვეული ვახშამზე რუმპელ მაიერის ხალხთან, შენ რომ ასე გაბეზრებენ თავს. ნეტა, რატომ ვერ იტან იმ ხალხს? ან ბრიუსელი რატომ არ მოგწონს?" მართალი იყავი, ბრიუსელი მაღიზიანებს, რუმპელ მაიერის ხალხიც და შენც. განსაკუთრებით, როცა რაღაცის თქმა გინდა და ვერ ბედავ. არასოდეს მიყვარდა უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხთან ვახშმობა, დაძაბულობისაგან მოკრუნჩხული ფეხის თითებით, არამშობლიურ ენაში შეცდომა რომ არ დამეშვა. ამიტომ ბევრი არაფერი დამიკარგავს, როცა ნატვრა აგისრულე და ბრიუსელში მარტო გამგზავრება შეგთავაზე. „თქვი, რომ პარიზის სუსხმა გამაცივა. მე კი ამასობაში საწყალ ფლოროსთან ერთად წავალ კონცერტზე. კი ეკუთვნის ჩვენგან ერთი დაპატიჟება". ასე არ იყო?

ახლა კი ვხვდები, რა გაწუხებდა. ბრიუსელში მასთან ერთად გაემგზავრე. ის ქალბატონი თურმე მომდევნო რეისით მოგვყვებოდა უკან. ვახშამი იმიტომ გამოიგონე, რომ მას შეხვედროდი. მშვენივრად იცოდი, რომ მე მეორედ ბრიუსელში წამსვლელი არ ვიყავი და ფრანგულად მოლაპარაკე საზოგადოებაში ვახშმობის არანაირი სურვილი არ გამიჩნდებოდა. აი, ასე დამტოვე ფლორო მორალესის ანაბარა, თან ჩვეული არგუმენტი მოიშველიე, „საშიში არაფერია, ის სხვა გუნდში თამაშობს". *(დამცინავად)* ხა! ხა!

პარიზში პირველად ვიყავი. მე დარეტიანებულ ინდაურს ვგავდი და პროვინციელობა რომ არ დამტყობოდა, ხან შენ გბაძავდი, ხან სხვების მანერებს ვიმეორებდი.

მაგრამ ფლორო მორალესის წყალობით მარტო ზღაპრული შაბადი კი არ გავატარე, ისეთი რამეებიც გავიგე, რაც შენგან მაკლდა და რამაც საფუძვლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება.

უსამართლო ვერ ვიქნები. არასოდეს დამიმალავს, რომ ჩემი დღევანდელი სტატუსი შენი დამსახურებაა. დისერტაციებსა და ნაშრომებზე მეტად შენი მადლიერი უნდა ვიყო, რადგან ამ სახლში რომ გადმოვედით, მახსოვს, საფერფლესა და კრემატორიუმის ურნას ვერ ვარჩევდი ერთმანეთისაგან. შენ ისე თბილად მასწავლიდი ცხოვრებას, რომ მეგონა სიყვარული გამოძრავებდა. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ყველაფერი ამპარტავნობის ბრალი იყო.

მუსიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შენამდე მხოლოდ უბნის აკორდეონებს, სანტო დომინგოს მერენგეებსა და პუერტო რიკოს საყვირებს ვუსმენდი ჩახუთულ ღამეებში. შენ ნელ-ნელა შემომაპარე ბახი, ბეთჰოვენი, ბრამსი, ბარტოკი და, რა თქმა უნდა, „ბითლზი". ხუთი „ბანი", რის გარეშეც დღეს სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. შენგან გავიგე, რატომ თქვა სტრავინსკიმ ვივალდიზე, თხუთმეტჯერ დაწერა ერთი და იგივე კონცერტიო.

მაგრამ ის, რაც ფლორო მორალესმა მიმახვედრა იმ საღამოს, შენი ნასწავლის უკეთ გამოყენებაში დამეხმარა: თურმე თავიდანვე ეჭვით უნდა შევხედოთ ყველაფერს რაც ბედნიერებას გვანიჭებს. ის კი არა, უნდა დავცინოთ კიდეც მათ, თორემ ბოლოს ისინი იცინებენ ჩვენზე.

უკვე ვიცი, რასაც ფიქრობ. სულელი გგონია, როგორც ყოველთვის *(მხრებს იჩეჩავს)*. ჰო, მეც. *(იცინის)*. იცი, რა მითხრა იმ ბარბაროსმა? მოცარტი არ არსებობს, რაც ცუდი აქვს, ჰაიდნს უგავს, კარგი კი — ბეთჰოვენსო.

კარგი, თუ გინდა ეს ყველაფერი სალონურ ყბედობად ჩათვალე. მაგრამ რა დამავიწყებს, როგორი კავალერი იყო! ყოველი სიტყვით და ჟესტით მაგრძნობინებდა, რომ ჩემს მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ამქვეყნად ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩემგან ბევრ რამეს სწავლობდა და, რაც მთავარია, სინაზის გამოხატვის არ ეშინოდა. რამდენიმე საათის შემდეგ დავრწმუნდი, რა იოლი იქნებოდა მასთან ცხოვრება. გაცილებით იოლი, ვიდრე შენთან, თუმცა უეჭველია, ნაკლებად სახალისო.

(სანამ ამას ყვება, სცენაზე უნდა დაღამდეს).

ჯადოსნური ღამე იყო. შემეშინდა კიდეც, მეორე დღეს, ბრიუსელიდან რომ დაბრუნდებოდი, შენს გვერდით თავი უკაცრიელ კუნძულზე არ მეგრძნო.

კონცერტის შემდეგ სავახშმოდ რომ გამოვედით, ქუჩები მანათობელი ქაფით იფარებოდა. ძლივს მივხვდი, რომ თოვდა, რადგან მანამდე თოვლი ნანახიც არ მქონდა.

(სცენის სიღრმეში ღამის პარიზის კონტურები ნათდება და ფიფქები ცვივა. ვრასიელა ბეწვის ქურქსა და ოციანი წლების ქუდს ირგებს).

მან ფეხსაცმელი გაიხადა, ზონრებით ერთმანეთზე გადააბა და ყელზე ჩამოიკიდა. „ფილტვების ანთება დაგემართება", — ვუთხარი მე. „რას ამბობ", — მიპასუხა, — „თოვლი ცხელია". მაშინ მეც იგივე გავაკეთე.

(შუა თოვლში ფეხსაცმელს იხდის).

რა საოცრებაა! (ამბობს ბედნიერი). ათოვდა ოქროსფერ გუმბათებს, ათოვდა გემებს, საყვირების გუგუნით რომ დაცურავდნენ ხიდებქვეშ. მთელ პარიზში მხოლოდ ჩემთვის და მისთვის თოვდა, მთელ სამყაროში თოვდა მხოლოდ მისთვის და ჩემთვის.

(აკორდეონის თანხლებით იწყებს „La Complainte de la Butte-ს" სიმღერას და ბედნიერებით გაბრუებული ცეკვავს თოვლში, თან ზამთრის თბილ ტანსაცმელს იხდის და ისევ იმ კაბაში რჩება, პირველად რომ ეცვა. თოვა გრძელდება, მუსიკა მთელ თეატრს ედება.

თოვლში თოკზე გაფენილი სარეცხი ჩნდება. ცოტა ხანში თოვა შეწყდება და დაღლილი გრასიელა სარეცხის თოკებქვეშ დადგმულ სკამზე ჯდება, რეალობას უბრუნდება და უნუგეშო ხმით აგრძელებს).

უკვე სასტუმროსთან ვიყავით, თოვლისგან მიღებული სიამოვნებით მოთენთილები, როცა აზრად მომივიდა, რომ ნომერში დაპატიჟებას მომთხოვდა. წყურვილს მოიმიზეზებდა, სურათების დათვალიერების სურვილს გამოთქვამდა ან რაიმე ისეთ მიზეზს მოიგონებდა, კაცები რომ იყენებენ ქალების ოთახში მოსახვედრად. მაშინვე ვიფიქრე — ეს სხვანაირი იქნება-მეთქი. იმ სულსწრაფ კაცებს არ ჰგავდა, ნაჩქარევად რომ ამთავრებენ საქმეს, ვალის მოხდის მიზნით ეკითხებიან ქალს, თუ მოგეწონაო და მაშინვე იძინებენ კედლისკენ პირშექცეულები. დარწმუნებული ვარ, ის სხვებივით არ მოიქცეოდა. განსხვავებული ორიენტაციის რომ არ იყო, თავიდანვე მივხვდი. ეს თქვენ გიყვართ ამ იარლიყის მიწებება თქვენგან განსხვავებული კაცებისთვის. პირიქით, ნამდვილი მამაკაცი გამოდგა, იმდენად ნამდვილი, რომ ოთახში ასვლაც კი არ შემოუთავაზებია. სასტუმროს კართან დამემშვიდობა და ორთავე ლოყაზე მაკოცა მხურვალე ტუჩებით. არასდროს მიგრძვნია თავი ასე მარტოსულად, როგორც მაშინ, ფლორო რომ წავიდა. მეორე დილით, საუზმესთან ერთად, ვარდებით სავსე კალათა შემომიტანეს. მის სავიზიტო ბარათზე ორად ორი სიტყვა ეწერა: „რა სამწუხაროა". მაშინ ისეთ რამეს მივხვდი, რისი გაგებაც იქამდე ჯიუტად არ მინდოდა: არის ცხოვრებაში მომენტი, როცა გათხოვილი ქალი შეიძლება ისე დაწვეს სხვასთან, რომ ქმარს არ უღალატოს.

(მეორე ოთახიდან საქსოფონზე შესრულებული ისევ ის სავარჯიშოები ისმის. მუსიკის ხმა ძლიერდება და გრასიელაც ნელ-ნელა აღწევს თავს პარიზულ მოგონებებს).

ეჰ, ამალია ფლორიდა, შენსავით არავის შეუძლია ჩემი რეალობაში დაბრუნებით დასჯა.

(მუსიკის ხმა ერთბაშად წყდება. გრასიელა მტკიცე გადაწყვეტილებით დგება).

მორჩა, ყველაფერი დამთავრდა, ჯანდაბას წარსული!

(თოკებიდან უხეშად გლეჯს გამშრალ ტანსაცმელს და სცენის მილმა ყრის. თენდება. ბოლოს სკამსაც აყირავებს. სცენაზე ისევ თანამედროვე ოთახი რჩება. დღის შუქზე, ოთახის სიღრმეში, ზეთში შესრულებული პირველი მარკიზის პორტრეტი მოჩანს. ქმარი ისევ გაზეთს კითხულობს).

აღარ მაინტერესებს გამოგონილი ღერბები, ყალბი ველასკესების მიერ დახატული ყალბი ბაბუების ყალბი პორტრეტები, არც ფლიდი პოლიტიკოსების მიერ ნაყიდი ამომრჩევლების ხმები. რამდენი წელი ვიმშვიდებდი თავს ფუჭი ოცნებით ზღვისპირას აშენებულ მყუდრო სახლზე, სადაც ჩემს თანამოკალმეებთან ერთად დავიდებდი ბინას! მორჩა, აღარც ეს მინდა; ერთადერთი სურვილი მაქვს — აღარაფერმა მომაგონოს წარსული. არავინ აღარ მაინტერესებს, საკუთარი შვილიც კი, იმიტომ რომ შენიცაა. გესმის? ასე რომ, არც მისი ამბები მაღელვებს.

(პაუზა).

ორშაბათს დავურეკე, ვითომ იმის გასაგებად, რომელ რეისს მოჰყვებოდა. სინამდვილეში ერთი სული მქონდა, ჩემი მდგომარეობა მომეყოლა. ავტომოპასუხემ მითხრა, სხვა ნომერზე დამერეკა. იქაც დავრეკე, დილის 7 საათზე. ყურმილი ქალმა აიღო. ხმაზე ეტყობოდა, რომ შიშველი იყო და ქერა. მითხრა, რომ შენს შვილს მასთან ეძინა, მაგრამ 9 საათამდე მისი გაღვიძების უფლება არ ჰქონდა. ვუთხარი ვინც ვიყავი, მაგრამ არ დამიჯერა და უხეშად მომიშორა თავიდან. და იცი რატომ? შენს შვილს დაურწმუნებია, დედ-მამით ობოლი ვარო.

(მაჯის საათზე დაიხედავს და აჩქარდება).

როგორ გაფრინდა დრო!

(სირბილით გადის. კულისებიდან შხაპის ხმა ისმის. გრასიელა ხმამაღლა, უფრო შინაურული ტონით აგრძელებს მონოლოგს).

მერე შუადღეზე გადავურეკე და ვკითხე, ობლად რატომ ასაღებდა თავს. მანაც ხატოვნად ამიხსნა: მთელი ცხოვრება ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დედ-მამა არასოდეს მყოლიაო. წყნარად მელაპარაკებოდა, ცდილობდა არ გავებრაზებინე. მერე ისიც მითხრა, ძალიან ვწუხვარ, დედა, მაგრამ თქვენს ვერცხლის ქორწილს ვერ დავესწრები, ჩიკაგოში მივდივარ აგატას ჯვრისწერაზეო. აგატა ის გოგო ყოფილა, დილით რომ ველაპარაკე. მაშინ მართალია შენს შვილთან იწვა, მაგრამ ცოლად სხვა კაცს უნდა გაჰყოლოდა ერთი-ორი წლით, რადგან მისთვის უფრო ადრე მიუცია პირობა.

(შხაპის ხმა წყდება. გრასიელა ხალათით შემოდის. თმა ფენით აქვს გამშრალი და სადღესასწაულოდ იწყებს მორთვას).

მაინც ვერ მოვითმინე და გავუმხილე: წლების მანძილზე მტანჯველი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ცალკე ცხოვრება გადავწყვიტე-მეთქი. შეძლებისდაგვარად დამაჯერებლად ავუხსენი, რომ როცა ორი ადამიანი ერთმანეთს შორდება, ცალ-ცალკე ორივე მართალია. ვგრძნობდი, რომ ვალის მოხდის მიზნით მისმენდა, თუმცა ბოლომდე მაცადა და მითხრა: „ძალიან კარგი, დედა, შენი ახალი სახლის ტელეფონი დამიტოვე. ჩიკაგოდან რომ დავბრუნდები, დაგირეკავ“.

(სცენაზე ისევ ჩნდება სარკის განათებული ოვალი. გრასიელა ჩაცმას ამთავრებს, სამკაულების ზარდახშას იღებს და მაკიაჟის გასაკეთებლად ჯდება პატარა სკამზე, რომელსაც თვითონ დგამს სარკის წინ. ახლა უკვე ქმარს კი არა, საკუთარ გამოსახულებას მიმართავს. სანამ თვითონ თვალებს იღებავს, ოთახში ფეხისწვერებზე შემოდის უნიფორმაში გამოწყობილი მსახური და ოთახში ვარდებით სავსე კალათებს დგამს. აქედან მო-

ყოლებული, სპექტაკლის ბოლომდე ის კიდევ რამდენჯერმე შემოვა და სცენის სილრმეს ყვავილებით აავსებს. დარბაზში ვარდების სუნი დგება).

პირველად 48 წლის ასაკში გამოხვედი წყობიდან, თანაც სრულიად უმიზეზოდ და ჭურჭლის მსხვრევით გამოხატე ბრაზი.

(ხელის მოქნევით აკეთებს თეფშის კედელზე მიხეთქვის იმიტაციას, ისმის თეფშის მტვრევის ხმა, რომელიც ამ აბზაცის ბოლომდე გრძელდება).

თუ ამით ჩემი შეშინება გინდოდა, პირიქით გამოგივიდა. თავიდან მეგონა, ამ ინციდენტს ჩვენი ინტიმური ურთიერთობის განახლება მოყვებოდა, მაგრამ შევცდი. ეს წლების მანძილზე შეკოწიწებული ფარსის შესანიშნავი ფინალი გამოდგა.

(ზარდახშას მაგიდაზე გადმოაპირქვავებს. ნაირ-ნაირი ბრჭყვიალა სამკაულები მეკობრის განძს ჰგავს. გრასიელა ბრილიანტის ყელსაბამს, საყურეებს და სამაჯურს ირჩევს და სარკის წინ იკეთებს).

ეს, კბილის ჯაგრისის არ იყოს, მხოლოდ ჩემი საკუთრებაა: ჯილდო ჩემი არნახული, ფიზიკური გამძლეობისთვის.

(ხელით სინჯავს საუკეთესო სამკაულებს).

ეს ოჯახური რელიქვიაა — ოქროთი და პლატინით დამზადებული, მარგალიტებით და ბრილიანტებით მორთული დიადემა პირველი მარკიზის 18 წლის ცოლს ეკეთა თავის ქორწილში *(მოიზომებს)*. მას შემდეგ არავის უსმარია, რადგან მხოლოდ გვარში უფროს ქალიშვილს აქვს საკუთარ ქორწილში მისი გაკეთების უფლება. ქალიშვილი კი თქვენს საგვარეულოში ალარ დაბადებულა. თერთმეტი ზურმუხტით დამშვენებული სამაჯური, *(იღებს და ყელზე იკეთებს)*, თუმცა ყელსაბამადაც გამოდგება. ნიშნობის ბეჭედი: საფირონი და ორი ბრილიანტი *(იზომებს)*. მეც შემეძლო ამის ტარება, მაგრამ ჩვენ ნიშნობისთვის დრო არ დაგვიკარგავს. ეს მარგალიტების ექვსფა მძივია, რომელიც დედაშენს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მოხსნეს. *(ყველაფერს იხსნის, ოხრავს)*. აი, ესლა დარჩა მეკობრეთა იმპერიისგან. *(სარკე ქრება. გრასიელა ხელის ერთი მოსმით ყრის ძვირფასეულობას ზარდახშაში, სააბაზანოში შედის და ლაპარაკს აგრძელებს).*

რომ ვიცოდე ამ ქონებას აუქციონზე გაყიდიან და ფული ქველმოქმედებას მოხმარდება, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ აქ რომ დავტოვო, ვიღაც ბოზანდარას ჩაუვარდება ხელში. მეტი საქმე არ მაქვს!

(ცოტა ხნით ჩამოვარდნილ სიჩუმეს დეზოდორანტის ხმა არღვევს. გრასიელა ცარიელი ზარდახშით შემოდის, რომელსაც სანაგვე ყუთში აგდებს).

ნუ ღელავ, ამით არ გალატაკდები. ცხადია, არც მე დაგაწვები კისერზე. ისე წავალ, როგორც მოვედი, ოღონდ იმ გათახსირებულ ქალს არ ეგონოს, რომ მისი გულისთვის მიგატოვე. პირიქით, მადლობელიც კი ვარ მისი, თვალები რომ ამიხილა და ჩემი მონური ყოფა დამანახა. მივდივარ და ვტოვებ ამ მეშჩანურ სამყაროს, რომელმაც ყველაფერი მომცა სიყვარულის გარდა.

(ჭიქაში სასმელს ისხამს და პატარა ყლუპებით სვამს).

ასეთ ცხოვრებაზე არ ვოცნებობდი, როცა შენთან ერთად გავიპარე. რამდენი წელი დავკარგე ამ უცხო სახლში! მაგრამ არა უშავს, ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც ვიპოვნი ჩემს ბედნიერებას სადაც უნდა ვიყო და როგორც უნდა ვიყო, ბოლო ამოსუნთქვამდე არ დავყრი ფარ-ხმალს. თუ გათხოვება სახელისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მეტს არაფერს იძლევა, სხვა გზას დავადგები.

(კულისებიდან ეტიკეტის მიხედვით გამოწყობილი წყვილები შემოდიან და ნახევრადგანათებული სცენის სილრმეში ნაწილდებიან ვარდებიან კალათებს შორის. მათი სახეების გარჩევა შეუძლებელია და საერთოდაც ჩრდილებს გვანან. ასეც დარჩებიან სპექტაკლის ბოლომდე).

ხომ ხედავ, რა კარგად გადავიტანე ჩემი ინტიმური ცხოვრების კრახი. ის კი არა, კიდევ მეტს ავიტანდი და თანაც სიხარულით, ოღონდ დაბერებაში მოგხმარებოდი. აღარ შემიძლია ამდენი ყოველდღიური ბედნიერების ატანა. ჩვენს სახლში ხომ არასოდეს ყოფილა დადგენილი სადილის დრო იმის გამო, რომ არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდი შინ. რამდენჯერ შემიბრუნებია თევზი შესაწვავად, სანამ შენს მოლოდინში გამომთვრალი სტუმრები უაზროდ დაბორიალებდნენ ხალიჩებზე. სამაგიეროდ, როცა გამოჩნდებოდი, ისე მომაჯადოებლად იქცეოდი, რომ სტუმრები მე მიწყებდნენ ალმაცერად ცქერას, თითქოს მე დამეგვიანოს სახლში მოსვლა, ან კიდევ უარესი, თითქოს მე ვყოფილიყავი დამნაშავე შენს დაგვიანებაში. საკმარისი იყო პიანინოს მიჯდომოდი ან კარტი გაგეშალა, რომ საბოლოოდ მონუსხული სტუმრები მზად იყვნენ ფეხები დაეკოცნათ შენთვის, ხოლო როცა ერთადერთ ამოჩემებულ სიმღერას იწყებდი ასუნსიონის ღვინოზე, ფოიეს მარმარილოს ლომებიც კი გაყოლებდნენ ხმას. სიმღერა კი იქამდე გრძელდებოდა, სანამ დოქებში ბოლო წვეთი ღვინო არ დაილეოდა.

(ისტერიულად): მორჩა!

(ერთბაშად უწევს ხმას):

აღარ შემიძლია შენი ტყუილების ატანა. თანაც ბავშვივით უცოდველი სახით რომ იტყუები და მეტი დამაჯერებლობისათვის მე მიმოწმებ: „ასე არ არის, საყვარელო?“ მეც ექოსავით უნდა გამოგეპასუხო: „ჰო, საყვარელო“. აღარ მინდა გაიძვერა პოლიტიკოსების ნახვა ჩემს სახლში, ველარ ვიტან მწარე ხუმრობებს, ჩემი ლიტერატორი მეგობრების მისამართით რომ გამოთქვამენ ეგ იდიოტები. ყელში ამომივიდა ანეგდოტი კაცზე, რომელიც ბარში ვისკის ითხოვს წყლის გარეშე, მას კი პასუხობენ, სოდის გარეშე მოგიტანთ, რადგან წყალი არა გვაქვსო. მეზიზღება ანგრეული სამზარეულო, როცა შენ ქათმის მომზადება მოგდის აზრად ინდური რეცეპტით. მძულს შენი დილის რიტუალები, რადგან ვერასდროს პოულობ სასურველ პერანგს, თუმცა კარადაში 200 ერთნაირი, ახლადგარეცხილი და გაუთოვებული პერანგი ჰკიდია. აღარ შემიძლია ჟანგბადის ბალონების თრევა, ყოველთვის, როცა ზედმეტს სვამ და ღამის სამ საათზე გეჩვენება, რომ ჰაერი არ გყოფნის. ყელში ამომივიდა შენი წუწუნი, როცა ცხვირზე წამოკოსებულ სათვალეს ეძებ, ან როცა აღმოაჩენ, რომ ვარდის სურნელიანი ტუალეტის ქაღალდი გათავებულა. აღარ მინდა მთელს სახლში დაყრილი შენი ტანსაცმლის ყურება. ჰალსტუხი შემოსასვლელში გდია, ქამარი — მისაღებში, პერანგი — სასადილო ოთახში, ფეხსაცმელები — სამზარეულოში, წინდები — სადაც მოგეხასიათება. დავიღალე შენი კუდში დევნით და ყველა ოთახში ანთებული სინათლეების ჩაქრობით. აღარ მინდა წყალდიდობის მეშინოდეს, ყოველთვის, როცა სააბაზანოში ონკანები გრჩება მოშვებული. არ მინდა, შუაღამეზე ტელეფონის ხმა მაღვიძებდეს, რომლის გამორთვა ყოველთვის გავიწყდება. რაც მთავარია, შენ არაფერი გაღელვებს. ქვეყანა რომ დაგექცეს თავზე, მაგ გაზეთს ვერ აგაგ-

ლეჯს კაცი, წალმა რომ მორჩები კითხვას, უკულმა აგრძელებ, თითქოს არაბულად იყოს დაწერილი.

(გრასიელა ასანთის კოლოფს იღებს, რომელიც ცარიელი აღმოჩნდება, მონოლოგის შეუწყვეტლად კრეფს სცენაზე გაფანტულ სხვა კოლოფებს. ყველა ცარიელია, ბოლო კოლოფს ბრაზით ახეთქებს იატაკზე და ყვირის):

ყველაზე მეტად იმას ვერ ვიტან, ასეთი მომხიბლავი რომ ხარ!

(სულის მოსათქმელად ჩერდება და უფრო მშვიდად აგრძელებს):

სადაცაა 50 წლის გახდები და ჯერაც ვერ მიმხვდარხარ, რომ მთვარეზე გაფრენის, ჩელოსათვის დაწერილი ექვსი სუიტის და სულიერი განდიდებების მიუხედავად, ადამიანები მაინც ძაღლების დონეზე დავრჩით. მშვენივრად ვგრძნობ, როგორ მიყურებენ კაცები (და, სხვათა შორის, ზოგიერთი ქალიც), როგორ გამომარჩევენ ხოლმე ხალხში, როგორ მოიკვლევენ გზას ჩემსკენ და ლოყაზე კოცნით მესალმებიან. ზოგიერთს ეს ჩვეულებრივი ჟესტი ჰგონია, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. დიახ! ზოგიერთი კაცი ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ კარგად, ქუჩის ძაღლივით დამსუნოს. ჩვენ, ქალებს სხვადასხვა სუნის გამოშვება შეგვიძლია, ზოგი სუნი თანხმობას ნიშნავს, ზოგი — უარს. იმ ხალხში, რომელიც გარს გვახვევია, მეგობრებს შორისაც კი, ყოველმა ქალმა იცის, რომელთან აფრქვევს თანხმობის სუნს. ამას კაცებიც ხვდებიან, ოღონდ ასეთ კონფიდენციალურ თემაზე არასოდეს ვსაუბრობთ, თუმცა ასეთი რამ ნამდვილად არსებობს. ისე, ყოველი შემთხვევისათვის, რა იცი, როდის დაგჭირდება.

(აგრძელებს აღგზნებული):

ასე რომ, ჩემო კარგო, როცა საჭირო იქნება, ისეთი კაცი მეყოლება გვერდით, რომელსაც ისე ვეყვარები, რომ სიყვარულისთვის გამალვიძებს, როცა თავს მოვიმძინარებ, აბაზანის კარს ჩამომიღებს, თუ დიდხანს ვალოდინებ, ახალმთვარობაზე ვამპირად იქცევა და მკვდარივით მარტო საწოლში კი არა, ნებისმიერ ადგილზე და სიტუაციაში მოვუნდები. ისეთი კაცი, რომელიც იმიტომ კი არ შემაწუხებს, რომ წარმოიდგენს, თითქოს არ მინდა მასთან სექსი, არამედ იმდენს იზამს, რომ ყველაფერს მომანდომებს, სადაც არ უნდა ვიყო და რა დროც არ უნდა იყოს — ხიდქვეშ, კიბეებზე თუ ატლანტიკის თავზე მოგუგუნე თვითმფრინავის ტუალეტში, როცა სამივე სალონს ძინავს. კაცი, რომელსაც ყველაზე თავბრუდამხვევი ექსტაზის თუ ყველაზე დამაბრმავებელი ფინალის დროსაც ეცოდინება, რომ ჩემთანაა, მარტო ჩემთან და სხვა არავისთან, იმიტომ რომ სწორედ მე მოვსვლინა ზეცამ მისთვის და საკუთარი თავისთვის კუბოს კარამდე ბედნიერების მისანიჭებლად.

(ასანთის ძებნით გაღიზიანებული ქმარს უახლოვდება, ჯიბიდან სანთებელას აცლის, სიგარეტს უკიდებს და აგრძელებს):

თუ ასეთ კაცს ვერ ვიპოვნი, არა უშავს. მირჩევნია, დარჩენილი ცხოვრება მის ძებნაში გავატარო, ვიდრე შიშით აღმოვაჩინო, რომ ველარავის შევიყვარებ ისე, ერთი ვინმე რომ მიყვარდა. იცი, ვინ?

(ყვირის):

შენ, იდიოტო!

(ყოველგვარი ბრაზისა და ბოროტი ზრახვების გარეშე, თითქოს თამაშობსო, ქმრის გაზეთს ცეცხლს უკიდებს, შემდეგ სავარძელს შორდება, ზურგს აქცევს და მონოლოგს ისე ასრულებს, რომ ვერც ხვდება, როგორ ეკიდება ცეცხლი ქმარს).

შენ, უბედურო: შენ, რომელსაც ჯერ კიდევ დაბადებამდე გამოგეკიდე დედიშობილა; შენ, ვისაც ღამეებს გითევდი და შეშინებული ვრწმუნდებოდი, რომ ცოცხალი იყავი და ჩემი, ახალშობილივით კანის ყოველ გოჯს გიმოწმებდი, რომ არაფერს შეეწუხებინა იმ არსების სიმშვიდე, თავიდან ფეხებამდე მე რომ მეკუთვნოდა.

(ისმის ორკესტრის მიერ შესრულებული ღამის პირველი მამბო, მუსიკის ხმა ძლიერდება და გრასიელა მის გადაფარვას ცდილობს):

იმიტომ, რომ მე თვითონ გამოგიგონე, ჯერ კიდევ გაცნობამდე გამოგიგონე. ისეთი, როგორიც მინდოდა რომ ყოფილიყავი, სამუდამოდ ჩემი რომ ყოფილიყავი, მერე სიყვარულის ალში გაგხვიე და განგწმინდე, ისეთი სიყვარულის ცეცხლში, ჯერ რომ არავის უნახავს ამ ჯოჯოხეთში. *(იმედგაცრუებული ყვირის):*

ჯანდაბას შენი თავი!

(უხილავ მუსიკოსებს მიმართავს):

მალაპარაკე ე ე თ!

(მისი ხმა ალარ ისმის. მამბო ძლიერდება, გრასიელა მუსიკოსებს მიმართავს, პირს ალებს, უესტებით ემუქრება ბინდ-ბუნდში გაფანტულ სტუმრებს და მთელ სამყაროზე გამწყრალი ქმრის დაფერფლვამდე აგრძელებს უხმო მონოლოგს).

ფ ა რ დ ა

მეხიკო. ნოემბერი, 1997 წელი.

უილიამ ფოლკნერი

გაგტაცებელნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზაურ კიღაძემ

თავი 9

ნედი მართალი იყო, როცა თქვა, ხმა გავარდაო. ევერბიმ ის საჯირითო თათმანი რომ წამაძრო, ხელზე დავიხედე. წინადღეს თითების ძირში გადასერილი ხელის კვალობაზე არა უშავდა რა, სისხლი აღარ მდიოდა, მე მგონი, მაშინაც აღარ მდიოდა, როდესაც შუადღით მეხთამტეხელს შეჭიდებული აღვირს ვეწეოდი მის დასაოკებლად. მაგრამ ევერბის არაფრის გაგონება არ უნდოდა. ხოდა, ჯერ ექიმთან მიმიყვანა. მის სახლამდე დაახლოებით ერთი მილი იქნებოდა ქალაქის ამ ბოლოდან. ბუტში იცნობდა მას, იცოდა, სადაც ცხოვრობდა. მაგრამ ის კი არ ვიცოდი, როგორ მოახერხა ევერბიმ ჩვენს წასაყვანად ამ კაცის დაყოლიება — საყვედური უთხრა, დაემუქრა თუ რაღაცას შეპირდა ან სულაც შეიძლება ისე მოიქცა, როგორც დედა კალმახი, რომელიც შვილ კალმახს დაჰფოფინებს და ყურადღებას არ აქცევს წამახულ ანკესს. ხოდა, მეთევზე იძულებულ ია როგორმე ერთმანეთს დააცილოს დედა და შვილი; ან შეიძლება თავიდათავი ევერბი კი არ იყო, არამედ ცარიელი მათარა, რადგან მეტს ველარ დალევდნენ, სანამ პარშემის სასტუმროში არ მივიდოდნენ; იმიტომ რომ, როცა ბიძია პარშემის სახლთან მივედი, ლიკურგეს დედა კიბის თავში იდგა, დაეკავებინა საშაქრე, დოქით წყალი და გოგრის ხაპი, ბუტჩი და ბუნი კი ჭიქებს ცლიდნენ, ხოლო ლიკურგე ცარიელ მათარას ეძებდა, რომელიც ბუტჩმა ვარდის ბუჩქებში მოისროლა.

ხოდა, ბუტჩმა ექიმთან წაგვიყვანა. პატარა, ოდესღაც თეთრად შეფეთქილი სახლი იყო პატარავე ეზოთი. აქაურობა მთლად დაებურა ნაირფერ მცენარეებს, რომლებიც ყვავილობას იწყებენ გვიან ზაფხულსა და შემოდგომით; მათი მძაფრი სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. შეჭალარავებული ფაშფაშა ქალი გამოგვეგება პენსნეთი, მასწავლებლად ნამუშევარსა ჰგავდა, ვინც თხუთმეტი წლის მერეც ზიზღით იხსენებს რვა წლის ბავშვებს. კარი რომ გააღო, შეგვათვალიერა (ნედი მართალი იყო) და ვიღაცას გასძახა სახლში, დოლის ცხენი რომ ჩამოიყვანეს, ისინი არიანო მოსულები, მიტრიალდა და სადღაც გაქრა. ბუტჩი არც კი დალოდებია შეპატიჟებას, მხიარულად გადააბიჯა ზღურბლს, თითქოს იქ მოუთმენლად ელიანო (კვლავ ვიხილეთ ძლიერება იმ სამკერდე ნიშნისა და ის, ვისაც გულზე დაეკიდა, მფლობელი იყო მისი, სწორედ ასე უნდა შე-

1. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1—2, 2000 წ.

სულიყო სხვის სახლში, სხვანაირად არა მარტო საკუთარი თავის ღალატი იქნებოდა, არამედ მთელი იმათი კასტის თავლაფის დასხმაც.

— როგორ ბრძანდებით, ექიმო? პაციენტი მოგიყვანეთ.

შეჭალარავებული კაცი იყო ექიმიც, თუმცა მის ჩამოწოწილ ულვაშზე ვერც იტყოდი, ჭალარაა, რადგანაც კარგა მაგრად ჩაეყვითლებინა თამბაქოს კვამლს. იმასაც ნედივით თეთრი პერანგი ეცვა, თუმცა ისეთი სუფთა არა, ზედ შავი სერთუკი, რომელსაც სამი დღის წინ ჩამოწუწული კვერცხის ლაქა ეტყობოდა და საერთოდაც რაღაც სუნი ასდიოდა, ოღონდ არაყისა არა, ყოველ შემთხვევაში, მთლად არაყისა არ უნდა ყოფილიყო.— მე და ძამიკო ჰოგანბეკი მისაღებში მოვიცდით. — ბუტჩმა უთხრა — თქვენ ნუ შეწუხდებით, ვიცი, სადაცაა ის ბოთლი. ექიმის დარდი ნუ გაქვს, — ახლა ბუნს მიუბრუნდა, — ვისკის ახლოსაც არ ეკარება. თუ ძალიან არ გაუჭირდა, სამაგიეროდ, კანონით ცოტაოდენი ეთერის სპირტი ეკუთვნის ყოველი პაციენტისთვის, ვისაც სისხლდენა აქვს ან მოტეხილობა. ხოდა, თუ ვინმეს ძველი ნაკაწრი აქვს ან მოტეხილი თითი ან ამასავით კანი გაესერა, ექიმი ძმურად უყოფს წამალს: თვითონ — სპირტი, პაციენტს კი ყველაფერი დანარჩენი. ხა-ხა-ხა. აქ მოდი.

ხოდა, ბუნი და ბუტჩი მისაღებ ოთახში გავიდნენ, მე და ევერბი კი (უსათუოდ შეამჩნევდი, ოტისი არც არავის მოუკითხავს. ეტლიდან გადმოვედით; ეტყობა ბუტჩის საკუთრება უნდა ყოფილიყო, ასეა თუ ისე, ამ ეტლით ის დაბრძანდებოდა. წამოსვლისას ბიძია პარშემისას შევყოვნდით, რადგანაც ბუტჩი ევერბის დაყოლიებას ცდილობდა, ჯერ სთხოვა, მერე მიელაქუცა, მერე დააძალა, წინ, ჩემ გვერდით დაჯექიო, მაგრამ ევერბიმ გააცურა: სწრაფად დაჯდა უკანა სკამზე, თან ცალი ხელი ჩემთვის ჰქონდა ჩავლებული, ცალიც — ოტისისთვის, და აქეთ-იქიდან მოგვისვა, ამასობაში კი ბუტჩის გვერდით, წინა სკამზე, ბუნი აძვრა. ხოდა, შემდეგ. როცა ბუტჩში და ჩვენ ყველანი ექიმის წინკარში შევედით, ოტისი არც არავის გახსენებია), ექიმს სხვა ოთახში გავყევით, სადაც ცხენის ძუით დატენილი ტახტი იდგა ზედ ჭუჭყიანი ბალიშითა და ბამბის საბნით, აგრეთვე ტრიალა მაგიდა წამლის შუშებით, უფრო მეტი კი ბუხრის თავზე დაეწყოთ. იმ ზამთარს ბუხარი რომ უკანასკნელად დაუნთიათ, ნაცარი არც არავის გამოუწმენდია. ოთახის ერთ კუთხეში პირსაბანი იდგა, იქვე ტაშტი და დოქი, შორიახლოს კი ღამის ქოთანი, რომლის გადალვრაც არ გახსენებოდათ. მეორე კუთხეში საფანტის თოფი აეყუდებინათ. დედა აქ რომ ყოფილიყო, ასეთი ფრჩხილების პატრონს სწორედაც არ დაანებებდა მისიანის ნაკაწრის შეხებას, მით უმეტეს, ჩემი გადასერილი თითებისას. როგორც ჩანს, ევერბიც ამ აზრისა იყო. ხოდა, მან — ევერბიმ — ასე თქვა, სახვევს მე მოვხსნიო, და მომხსნა. ვუთხარი, აღარ მტკივა-მეთქი.

ექიმმა ლითონის ჩარჩოიანი სათვალით დამხედა.

— რა წაუსვით? — ასე იკითხა. ევერბიმ უთხრა, ესა და ესო. ახლა მეც ვიცი, რაც წამისვა. ექიმი ევერბის დააცქერდა: — საიდან გქონდათ?—მერე სათვალეს კუთხეში წაავლო ხელი, ზევით ასწია და ისევ დააცქერდა ევერბის: — ჰოო, გასაგებია, — მერე კი დასძინა, — კარგი, კარგი, — სათვალე ისევ ჩამოიწია და, დიახ, სწორედ ასე იყო. ამოიხვნეშა: — ოცდათხუთმეტი წელიწადია, რაც მემფისში აღარ ვყოფილვარ. —

ერთხანს იყუჩა და მერე ისევ, გეუბნები, ამოიხვნეშა: — კი, ოცდათხუთმეტი წელიწადია. — მერე კი ასე თქვა, — ჯობს ხელს ნუ ვახლებთ სულაც, შეუხვიეთ და მორჩა. — ხოდა, სწორედ დედაჩემივით, თუმცა ბინტი ექიმისა იყო, ევერბიმ ხელი შემიხვია.

— შენ უნდა გამოხვიდე ხვალ დოლზე? — მკითხა ექიმმა.

— დიახ, — უპასუხა ევერბიმ.

— როგორმე უნდა აჯობო ლინსკომის ბედაურს.

— შევეცდებით, — მიუგო ევერბიმ, — რამდენი მოგართვათ?

— არც არაფერი, — მან უთხრა, — მე კი არა, თქვენ უმკურნალეთ. ოღონდ იმ ლინსკომის ბედაურს მოუგეთ ხვალ და არაფერი მინდა.

— თქვენ ხომ გასინჯეთ და უნდა გადაგიხადოთ, — თქვა ევერბიმ, — თუნდაც იმიტომ, კარგად არისო, რომ მითხარით.

— არაა საჭირო, — ისევ მიუგო მან, თან თავისი ბებრული თვალებით უმზერდა, სათვალის მინებს რომ გაედიდებინა. მზერა გაფანტული ჰქონდა ტაფაზე დახლილი კვერცხივით და მომეჩვენა, თითქოს ვერ აღგვიქვამდა მე და ევერბის როგორც რაღაც ახალმოვლენილთ.

— დიახ, საჭიროა, — უთხრა ევერბიმ, — რამდენი მოგცეთ?

— მაშინ იქნებ ზედმეტი ცხვირსახოცი გქონდეთ ან კიდევ რაღაც... — მიუგო მან, — დიახ, ოცდათხუთმეტი წელიწადია. მყავდა იქ ერთი, მაშინ, ყმაწვილკაცი რომ ვიყავი, ამ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის წინათ, მერე კი ცოლი მოვიყვანე და... — შემდეგ კვლავ დასძინა, — დიახ, ოცდათხუთმეტი წელიწადია.

— ჰოო, — თქვა ევერბიმ. მიტრიალდა, ზურგით ჩვენკენ დადგა, დაიხარა, შარიშური მოიღო მისმა კაბამ. ცოტა ხნის მერე ისევ მოიღო შარიშური, და შემოტრიალდა: — აი, თქვენი იყოს, — უთხრა და წვივსაკრავი გაუწოდა.

— იმ წყეულ ცხენს უნდა მოუგოთ, — თქვა ექიმმა, — უნდა მოუგოთ, უსათუოდ! — მერე წინკარიდან ხმები მოგვესმა, უფრო სწორად, ბუტჩის ხმა. მისი ბუხუნი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ იქ შევიდოდით.

— თუ იცით, რა მოხდა? ამ ჩვენმა ძმაბიჭმა უარი თქვა დალევაზე. დავმეგობრდით, სულ ერთად ვართ, ერთმანეთს სულს ვუბერავთ, ეს კი უარს მეუბნება. ძალიან მაწყენინა. — ბუნს უმზერდა ზარზეიმით, თან უტიფრად ილრიჭებოდა. ბუნი ახლა კი შექმნილიყო საშიში, როგორც ნედი (როგორც ჩვენ ყველანი), უძილობისგან ისიც დაღლილ-დაქანცულიყო. მაგრამ ნედს მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა — ის ცხენი, სულაც არ აწუხებდა ევერბი და ბუტჩის ის სამკერდე ნიშანი. — რაო, ძმაკაც? — თქვა ბუტჩმა და ისევ დააპირა ძმაბიჭურად მისთვის ზურგზე ხელი დაეკრა, ცოტათი უფრო ღონივრად, მაგრამ არც მთლად ღონივრად.

— აღარ გინდა, — უთხრა ბუნმა. ბუტჩი შეჩერდა, თუმცა ხელი ზეაღმართული დარჩა, თან ისევ ღრეჭით უყურებდა ბუნს.

— მუსუსი მქვია მე, — ასე თქვა, — მაგრამ შენ ბუტჩი დამიძახე.

ბუნმა ცოტა ხნის მერე ამოთქვა: — მუსუსი.

— ბუტჩი, — ბუტჩმა თქვა.

ცოტა ხნის მერე ბუნმაც ამოთქვა, — ბუტჩი!

— ყოჩაღ, — უთხრა ბუტჩმა. მერე ევერბის მიუბრუნდა: — რაო, ექიმმა, ხომ კარგადაა საქმე? ისე კი უნდა გამეფრთხილებინე. ამბობენ, ეს ჩვენი ექიმი დიდი მექალთანე ყოფილა ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის

წინათ, ჯერ კაბის ქვეშ შეუძვრებოდა ქალს და მერე მოუხდიდა ხოლმე შლაპასო.

— წავიდეთ, — თქვა ბუნმა, — ხომ გადაუხადე?

— კი, — მიუგო ევერბიმ. ყველანი გარეთ გამოვედით და მაშინ იკითხა ვილაცამ, ოტისი სადღაა? ვილაცამ კი არა, რაღა თქმა უნდა, ევერბიმ. ოტისო, დაიძახა ხმამაღლა, მკაცრად, შეშფოთება, ნასოწარკვეთილება დაეტყო მის ხმას.

— ნუთუ ჭიშკარზე მიბმული ცხენისაც შეეშინდა? — თქვა ბუტჩმა.

— წავიდეთ, — თქვა ბუნმა, — აღარ დაგველოდა ალბათ და ქალაქში წავიდა, აბა სხვაგან სად წავიდოდა. შეგვხვდება გზაში და თან წავიყვანთ.

— რატომ? — ევერბიმ თქვა, რატომ არ...

— აბა, რა ვიცი, — მიუგო ბუნმა, — შეიძლება ის მართალია, — ბუტჩს გულისხმობდა, მერე კი ოტისზე თქვა: — მთელ არკანზასსა და მისისიპიში მისნაირ გონებაგახსნილ ნაბიჭვარს ვერ ნახავ, მაგრამ ასეთი მხდალია. წავიდეთ. — ეტლში ჩავსხედით და ქალაქისკენ გავსწიეთ. მესმოდა, რატომაც წუხდა ევერბი ოტისის გამო: თუ იმას შენ გვერდით ვერ ხედავდი, მაშინ საფიქრალი იყო, სად იყო და რატომ, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ვინმე, ასე უეცრად რომ დაეკარგოს სხვათა ნდობა. ხოდა, არა მგონია, ამ ეტლში მსხდომთაგან რომელიმეს იგი ზოოპარკში ან სადმე სხვაგან წაეყვანა. სულ ცოტა ხანში კი მთელ პარშემშიც ვერ ნახავდით ასეთ ადამიანს.

მაგრამ სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე ოტისი არსად შეგვხვედრია. არც ნედი გამოდგა მართალი, დოლის მოყვარულები აღარ მოგვასვენებენო. მეც ასე მეგონა, სასტუმროს წინ და აივანზე დაგვხვდებოდნენ. შემცდარი ვიყავი, იქ არავინ არ იყო. ზამთარში კი, რაღა თქმა უნდა, სულაც არ იყო ასე, მწყერზე ნადირობის დროს და განსაკუთრებით ორი კვირის მანძილზე, როდესაც იმართებოდა ძაღლების ეროვნული გამოფენა, იმხანად, ლონდონისგან განსხვავებით. პარშემში ზაფხულის სეზონი არ იყო; ხალხი სხვაგან მიდიოდა, წყლებზე ან მთებში, მემფისის ახლო, რალიში აიუკაში, აქვე, არც ისე შორს მისისიპიდან, ან ოზარკსსა და კიმბერლენდის მთიანეთში (თუმცა პარშემელებმა საზაფხულო სეზონი არც ახლა იციან, ისევე, როგორც არც სადმე სხვაგან იციან ზაფხულისა და ზამთრის სეზონები, ანდა რა სეზონზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ზაფხულობით შენობებში ტემპერატურა ხელოვნურად 60 გრადუსამდე აჰყავთ ფარენგეიტით, ხოლო ზამთრობით 90 გრადუსამდე. ასე, რომ, ჩემისთანა გამოუსწორებელი რეტროგადები იძულებულნი არიან ზაფხულში სიცივეს გაექცნენ და ზამთარში — სიცხეს და ქუჩას შეაფარონ თავი. არც ავტომობილები უნდა დაგვავიწყდეს, იმდენად ეკონომიკურ კი არა, რამდენადაც სოციალურ აუცილებლობას რომ წარმოადგენს დღეს, და უკვე შორს აღარაა ის დრო, როცა საკმარისია კაცობრიობა ერთდროულად შეჩერდეს, შეწყვიტოს მოძრაობა, რომ მიწის ზედაპირი გამაგრდეს, გამყარდეს და ერთ მთლიან მასად გადაიქცეს: ჩვენ მეტისმეტად ბევრნი ვართ; ადამიანთა მოდგმა დაღუპვის პირასაა მისული და ამის შიზეზი არის არა საყოველთაო გათიშულობა, არამედ საყოველთაო შერწყმა-შეერთებაა, და ეს უბრალო რამ არ გეგონოთ, ეს თავად არსებობის

ლიბო და საძირკველია. მე ველარ, მაგრამ შენ შეიძლება მოესწრო იმ დღეს, როდესაც სასტიკი, სასოების წარმკვეთი ეკონომიკური კი არა, სწორედ სოციალური ყოფა საზოგადოებას თავს მოახვევს ისეთ კანონს, რომელიც ქალს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლებას მიბცემს, ისევე, როგორც ახლა ერთქმრიანობის უფლება აქვს.

მაგრამ ზამთარში, რაღა თქმა უნდა, ასე არ იყო: [illegible] ნადირობის დრო მოდიოდა, იმართებოდა დიდი ეროვნული გამოფენა. ჩრდილოეთიდან ჩამოდიოდნენ ნავთობისა და ხორბლის ბიზნესის უოლსტრიტელი, ჩიკაგოელი და სასკაჩევანელი მაგნატები, ჩამოჰყავდათ ჯიშიანი ძაღლები, რომელთა ჩამომავლობა თვით უფლისწულებსაც კი შეშურდებოდათ; დიდებული სადგომები აეგოთ ამ ოთხფეხთათვის, სადაც ახლა ავტომობილით მისვლა სულ რამდენიმე წუთში შეიძლება — რედ-ბენქსში, მიჩიგანსიტიში, ლა-გრეინჯსა და ჯერმანტაუნში; და სახელები — პოლკოვნიკ ლინსკომისა, რომლის ცხენის წინააღმდეგაც (ჩვენი ვარაუდით) ხვალ უნდა გამოვსულიყავით, ჰორას ლიტლისა და პეიტონისა ისეთივე მაგიური იყო მეძებარი ძაღლების მოყვარულთათვის, როგორც ბეისბოლის თაყვანისმცემლებისთვის ბეიბ რუტისა და ტაი კობისა; ხოლო ბ-ნი ჯიმ ევანტი ჰიკორი ფლეიტიდან და ბატონი პოლ რეინი, ვინც პარშემიდან რამდენიმე მილის დაშორებით ცხოვრობდა, პოლკოვნიკ სარტორისის ჯეფერსონისკენ მიმავალი რკინიგზის გაყოლებაზე, — ეს ორივენი (ჩემი აზრით) იმ სუფთა სისხლის პოინტერებისა და სეტერების პატრონთა შორის თავს მიყრუებული მხარის ბინადრებად გრძნობდნენ; ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა ეს ვეებერთელა, უთავბოლოდ აგებული სასტუმრო, სავსე ელეგანტური სტუმრებითა და მსახურებით, დარბაზი ფერადი ლენტებით მოერთოთ და მოეკაზმათ და სადაც არ გაიხედავდი, ყველგან ვერცხლის თასები ეყარა და ჰაერშიც თითქოს შარიშური გაჰქონდა ფულს.

მაგრამ ახლა კი არავინ იყო. წყნარ, ცარიელ ქუჩას მაისის მტვერი დასდებოდა (ექვსს გადაცილებული იყო უკვე და პარშემელები ვახშმობდნენ ან ვახშმის თადარიგს იჭერდნენ). ოტისიც აღარსად ჩანდა, თუმცა ალბათ სადღაც იყო შემძვრალი. ჩემდა გასაოცრად ბუტჩიც გამქრალიყო. კარებამდე მოგვიყვანა, გადმოგვსვა და წავიდა. თუმცა კი იმდენ ხანს შეყოვნდა, რომ ევერბისთვის დამცინავი, ღვარძლიანი მზერა მიეპყრო, მერე ბუნსაც მისწვდა მისი კიდევ უფრო ღვარძლიანი, მქირდავი თვალი, და ასე თქვა: — დარდი ნუ გაქვს, კაცო, მალე დავბრუნდები, თუ რამე მოსაგვარებელი გაქვს, ჩემს დაბრუნებამდე მოაგვარე, თორემ შეიძლება ხელი შეგეშალოს, — და წავიდა. ერთი სიტყვით, ის ახლა იქ მიდიოდა, სადაც ხანდახან უნდა ყოფილიყო, სახლში; მე კი ისევ გამოუცდელი ბრიყვი ვიყავი (მთლად ისეთი არა, როგორიც ამ ოცდაოთხი საათის წინ, მაგრამ მაინც), ოღონდ მე ბუნის მხარე მეჭირა, მისი ერთგული ვიყავი, ევერბისაც, რაღა თქმა უნდა; ხოდა, გუშინდელს მერე თავს იმდენი გადამხდა (შევძელი თუ არა ამის გადახარშვა, ეს სულ სხვა ამბავია), რომ ზუსტად ვიცოდი, თუ რად მინდოდა ცოლი ჰყოლოდა მას სახლში, დედათა მონასტრიდან მოტაცებული უმწიკვლო ქალი და ამ უმწეო, უქმაგო არსების ღალატით კიდევ ერთი ბრალდება დაემატებინა თავისი უგვანო ცხოვრებისთვის; ანდა იქნებ სჯობდა ცბიერი დედაკაცი ჰყოლოდა ცოლად, რომელიც იმით ახერხებდა მის შენარჩუნებას, რომ დროდადრო უკიჟინებდა,

ამასთან და ამასთან მლალატობო. იმიტომ რომ ამ კაცისთვის სიძვით მოპოვებული სიამოვნების ნახევარი, შესაძლოა, მსხვერპლის სახელის საქვეყნოდ გამოჭენება იყო. მაგრამ ვცდებოდი. მას ცოლი არ ეყავდა.

ოტისი ვერც შიგნით ვნახეთ. მხოლოდ მმართველის მოვალეობის შემსრულებელი იყო ვესტიბიულში, სადაც სანახევროდ შალითაგადაკრული ავეჯი იდგა, და კიდევ ერთი დროებით აყვანილი ოფიციანტი, ხელსახოცს რომ იქნევდა რესტორნის კარში მდგომარე. აქ კი ავეჯი მთლიანად შეეფუთათ, მხოლოდ ერთი მაგიდა იყო დარჩენილი, რათა მასპინძლობა გაეწიათ ისეთი უსახელო სტუმრებისთვის, ჩვენ რომ ვიყავით. ოტისი კი არსად ჩანდა.

— სადაც უნდა, იქ იყოს, — ჩაილაპარაკა ბუნმა, — მაგრამ ეშმაკმა უწყის, რას ჩაიდენდა.

— რა უნდა ჩაედინა, — მიუგო ევერბიმ, — ბალღია ჯერ კიდევ.

— მართლაც, — ბუნმა უთხრა, — ერთი პატარა, შეიარაღებული ბალღია. ხოდა, გაიზრდება და კი შეიძლება მოიპაროს...

— გაჩერდი, — თქვა ევერბიმ, — უფლებას არ მოგცემ...

— კარგი, კარგი, — უთხრა ბუნმა, — მოიპაროს კი არა, იპოვნოს-მეთქი იმდენი ფული, რომ ნამდვილი დანა იყიდოს ჯიბის დანის ნაცვლად, და თუ ვინმე მისკენ ზურგით მიტრიალდება, ძველებური ჯაჭვის პერანგი უნდა ეცვას, ისეთი, მუზეუმებში რომ გვინახავს. რალაც უნდა გითხრა, — უთხრა ევერბის, — ვახშამი იქნება მალე. მერე მატარებელს უნდა დავხვდეთ. სამკერდე ნიშნით დამშვენებული ულაყიც სადაცაა ჭიხვინ-ჭიხვინით შემოჯირითდება. — მკლავზე ხელი წაავლო. — წავიდეთ.

ბუნი რასაც ამბობდა, მინდოდა თუ არა, ყველაფერი მესმოდა, სხვა გზა არც მქონდა, რადგან ევერბი უჩემოდ არსად არ მიჰყვებოდა. ჩვენ — ისინი—ქალების სასტუმრო ოთახისკენ გავეშურეთ. ბევრი დრო ალარც გვქონდა, უნდა გვევახშმა და მერე სადგურში წავსულიყავით მისს რებას დასახვედრად, სასტუმროებში იმხანად ქალები ისე ადვილად ვერ შერბოდნენ ჯენტლმენებისას. როგორც გაგონილი მაქვს, ახლა შერბიან, მაშინაც კი, როცა, ესეც მაქვს გაგონილი. აცვიათ მხოლოდ ის, რაც რეკლამების მიხედვით შორტები თუ ტრუსებია, და რაც ქალებს თავისუფლებას ანიჭებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში; მართალი თუ გინდა, სასტუმროში მანამდე არასოდეს მენახა მარტოდმყოფი ქალი (მამაჩემის თანხლებით იყო იქ ყოველთვის დედაჩემი), და მახსოვს, გაოცებული ვიყავი, როგორ შეძლო ევერბიმ იქ მოხვედრა საქორწინო ბეჭდის გარეშე. ყველა სასტუმროში იყო ქალების ოთახი, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ ვიყავით ახლა, შედარებით მომცრო, მაგრამ უფრო კოხტად გაწყობილი დარბაზი, თითქმის სრულიად ტილოს შალითებში ჩასმული ავეჯით. მაგრამ მე მაინც ბუნის მხარეზე ვიყავი; ოთახში არ შევსულვარ, კარს უკან დავდექი, ევერბიმ იცოდა, სადაც ვიყავი და, თუმცა კი ვერ მხედავდა, შეეძლო ჩემთვის მოეხმო. ხოდა, ყველაფერი მესმოდა, დიახ, ყურსაც ვუგდებდი. სხვა რა გზა მქონდა, ყური უნდა დამეგდო სწორედ. კარგა მაგრა შორს შევტოპე ცდუნებისა და ცხოვრების შეცნობის გზაზე, ისევე, როგორც ძალზე შორს შევტოპე ბანქანებისა და ცხენების ქურდობაში, და ახლა უკან ველარ დავიხევდი. მესმოდა მათი ხმები, ჯერ ევერბისა, იმ წუთსავე კვლავ რომ ატირდა:

— არა, არ მინდა, თავი გამანებე!

მერე ბუნისა:

— კი, მაგრამ რატომ? მიყვარხარო, ხომ მეუბნებოდი, თუ მატყუებდი?

მერე ევერბისა:

— მიყვარხარ და სწორედ ამიტომ. თავი გამანებე! გამიშვი! ლუციუს, ლუციუს!

მერე ისევ ბუნისა:

— გაჩუმდი, გაჩუმდი! — მერე ერთი წუთი აღარაფერი გამიგონია. არ ვიყურებოდი, ოთახში არ ვიჭვრიტებოდი, მხოლოდ ყურს ვუგდებდი. უფრო სწორად მესმოდა: — თუ შენ იმ პოლიციელზე გამცვალე, მაშინ... — მერე ისევ ევერბის ხმა გაისმა:

— არა, არა! არა-მეთქი!

მერე ველარ გავარჩიე სიტყვები, ვიდრე ისევ ბუნმა არ თქვა:

— რაო? შევეშვიო? რას ამბობ, რას შეეშვი?

მერე ევერბიმ:

— დიახ! შევეშვი! მეტად აღარ, აღარასოდეს!

მერე ბუნმა:

— თავს როგორ შეინახავ? ჭამა არ გინდა ან თავშესაფარი?

მერე ისევ ევერბიმ:

— სამუშაოს ვიშოვნი, მე მუშაობა შემიძლია.

— რა შეგიძლია, ჩემსავით გაუნათლებელი ხარ. თავის რჩენას როგორ შეძლებ?

— თეფშებს გავრეცხავ. სარეცხის რეცხვა შემიძლია, დაუთოება. შემიძლია საჭმლის გაკეთება ვისწავლო. რაღაცას მოვახერხებ. ბარვას შევძლებ, ბამბის კრეფასაც. ბუნ, თავი დამანებე, გეხვეწები, გეხვეწები! რაღაც უნდა ვიღონო. .ნუთუ ვერ ხედავ, რა დღეში ვარ? — მერე ფეხის ხმა მომესმა, თუმცა სქელი ნოხი ეფინა იატაკზე. ევერბი ქალების ოთახიდან გაიქცა. ხოდა, ამჯერად ბუნი წამადგა თავს. სახედაღრეჯილი მიმზერდა. ნედი უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, დოღიღა აწუხებდა მეტი არაფერი.

— აბა, ერთი შემომხედე, — ბუნმა თქვა, — აბა, ერთი კარგად შემომხედე. ცუდი ბიჭი ვარ? ეშმაკმა დალახვროს, განა ასეთი რა უბედურება მჭირს, რომ ეს გოგო ახლა ზედაც აღარ მიყურებს? — სახე მოღრეცოდა, თითქოსდა სადაცაა იფეთქებდა. მერე ისევ განაგრძო, — და რაღა მაინცდამაინც მე დამიბრიყვა, ბედი არ გინდა! დასწყევლოს ღმერთმა, მე რომ დამინახა, მაშინ მოუნდა გამოსწორება? ქვეყნის ნათრევი რომ არის, თუ დაავიწყდა? ფულს იმიტომ ვუხდი, რომ ჩემი საკუთრებაა, სანამ მე მის გვერდით ვარ. სწორედ ისევე, როგორც მე მიხდიან ფულს იმისთვის, რომ პატრონისა და ბატონი მორის საკუთრება ვარ. მაგრამ ახლა გაიძახის, მეტი აღარო. მორჩა და გათავდა. აღარ შემიძლია, თავი უნდა დავანებოო! მე აღარ მეკითხება? უჩემოდ ვერაფერსაც ვერ დაანებებს თავს, ისევე, როგორც მე ვერ დავანებებ თავს სამუშაოს პატრონსა და ბატონ მორისთან შეუთანხმებლად, — შეჩერდა, გამძვინვარებული, სახეშეშლილი, გადაფითრებული, მთლად უმწეო და, უფრო მეტიც. თავზარდაცემული. კარებში ზანგი ოფიციანტი იდგა და ხელსახოცს იქნევდა. ბუნმა ძლივს შეძლო თავის დაოკება; ნედს კი თავი

მხოლოდ იმ დოღით ჰქონდა გამოჭედილი და მეტი არც ალარაფერი ადარდებდა. ბუნმა მითხრა: — წადი და უთხარი, ვახშმად მოვიდეს, ცოტა დრო დაგვრჩა, მატარებელს უნდა დავხვდეთ. მეხუთე ოთახშია.

მაგრამ ევერბი ოთახიდან არ გამოვიდა. ხოდა, მარტო ვივახშმეთ მე და ბუნმა. ისევ ისე სახედალრეჯილი იყო. ხორცს ... სწორად, კეპავდა, როგორც ხორცის მანქანა, რომელმაც ... ბა არ იცის, ჩააყრიან და იმან თავისი საქმე უნდა ქნას. ცოტა ხნის მერე მე ვუთხარი:

— იქნებ ის ბიჭი ფეხით დაადგა არკანზასის გზას. ოჯერ თუ სამჯერ აქვს ნათქვამი დღეს, თავი რომ დაგენებებინათ, ახლა უკვე დიდი ხანია იქ ვიქნებოდიო.

— მართალია, — თქვა ბუნმა, — შეიძლება წინ იმიტომ გაგვისწრო, ევერბის ჭურჭლის მრეცხავის ადგილი უშოვნოს, ან იქნებ თავადაც გამოსწორდა უკვე და ორივენი ისე ამოჰყოფენ ზეცაში თავს, არკანზასში ან კიდევ სხვაგან სადმე არც გაჩერდებიან. ხოდა, ალბათ გზის დასაზვერად დაწინაურდა, მემფისს შეუმჩნევლად რომ ჩაუარონ.

წასვლის დრო მოვიდა. ერთი-ორი წუთი იყო უკვე იმ გოგოს კაბის კალთას ვხედავდი სასადილო ოთახის კარიდან. ახლა ის ოფიციანტიც შემოვიდა.

— ორ საათსა და რვა წუთზე გამოსულმა მატარებელმა, — გვითხრა, — სწორედ ახლახან პირველი მილის გადასასვლელთან ჩაიქროლა.

სადგურისკენ გავსწიეთ, შორს არ იყო. სამივენი მეგობრულად მივდიოდით, როგორც შეეფერება ადამიანებს, ერთ სასტუმროში რომ ათევენ ღამეს. იმის თქმა მინდა, ჩვენ — ისინი — უკვე ალარ ვჩხუბობდით; ჩვენ — ანუ მათ — შეგვეძლო ერთმანეთთან საუბარი გაგვება, მშვიდი და წყნარი. ევერბის შეეძლო ასე, თუკი ბუნი პირველი ეტყოდა რამეს. უკვე ახლოს ვიყავით, ლიანდაგი უნდა გადაგვევლო და ბაქანსაც მივადგებოდით. მატარებელიც გამოჩნდა. ორივენი (ბუნი და ევერბი) ისე მიდიოდნენ, თითქოს ერთმანეთთან იყვნენ გადაჯაჭვულნი და ამავე დროს დაცილებულნი, გაუცხოებულნი და გათიშულნი, თუმცა კი მრავალი უხილავი ძაფით დაკავშირებულნი, და ველარაფერი დააშორებდათ. მით უმეტეს, როგორც ბუნი ფიქრობდა, უბრალო ჭირვეულობა. მიუხედავად ასაკისა, ის (ბუნი) გამოცდილებითა და ჭკუა-გონებით ვერ დაიკვეხნიდა და ამ მხრივ სულაც არ იყო ჩემზე უფროსი, და არც კი უწყოდა, ქალებმა არა ძარტო ჭირვეულობა იციან, მერყევნიც არიან და ილუზიების ტყვენი, ზოგჯერ შეიძლება წინამდებარე ჯირკვლისგანაც შეჭირვებულნი. მატარებელმა, ორთქლმავალმა სტვენითა და გრუხუნით ჩაგვიარა, სამუხრუჭე ხუნდებმა ნაპერწკლები შემოგვაფრქვია. ექსპრესმა თანდათან სვლა შეანელა. გრძელი შემადგენლობა იყო: სატვირთო ვაგონები, ვაგონი მწეველთათვის, რომლის ნახევარიც ზანგებისთვის იყო განკუთვნილი, დასაჯდომი და საძილე ვაგონების დაუსრულებელი წყება, დაბოლოს, ვაგონ-რესტორანი. ეს სემ კოლდუელის მატარებელი იყო, და თუ ევერბიმ და ოტისმა პარშემამდე სამსახურებრივი ვაგონით იმგზავრეს, მისს რება პრეზიდენტის პირად ვაგონში თუ არა, ვაგონ-სალონში მაინც უნდა ყოფილიყო. მატარებელი გაჩერდა, როგორც იქნა, თუმცა არც ერთი კარი არ გაღებულა, არც თეთრქურთუკიანი მებარგული გამოჩენილა და არც გამ-

ცილებელი, თუმცა, რალა თქმა უნდა, სემი რომელიღაც სარკმლიდან იმზირებოდა, ჩვენ დაგვეძებდა. და უცებ ბუნმა დაიძახა: „ასწყევლოს ღმერთმა, მწეველთა ვაგონში არიანო, და გაიქცა. მერე ყველამ დავინახეთ, შორს იყვნენ. ფორმაში გამოწყობილი სემი მისს რებას ჩამოსვლაში ეხმარებოდა, რომელსაც კიდევ ერთი ქალი ჩამოჰყვა, [illegible] მწეველთა ვაგონიდან არ გადმოსულა, არამედ იქიდან, სადაც [illegible] ახლევარი იყო და რომლითაც ისინი მგზავრობდნენ. ეს ნიუ-იორკს და ვაშინგტონს შიმავალი ჩქარი მატარებელი იყო, რბილად რომ დაქროდა დედამიწაზე და დაჰყავდა ბრილიანტებით მორთული ქალები და პირში დოლარიან სიგარაგაჩრილი მამაკაცები. იგი კვლავ დაიძრა, საფეხურზე მდგომმა სემმა ხელის დაქნევალა მოასწრო. მატარებელმა სულ მალე დაპატარავება დაიწყო, აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა მომცრო ორთქლის ქულების ფრქვევითა და გაუთავებელი გუგუნით. ბოლოს სულ მთლად დაპატარავდა, ჩვენ წითლად მოციმციმე ტყუპ სინათლესლა ვხედავდით და ისიც მალე თვალს მიეფარა. წიდამოყრილ სავალზე საკვოიაუებსა და ჩანთებს შორის ორნი დარჩენილიყვნენ: მისს რება, თაედაჯერებული, მშვენიერი, და მის უკან მინი, სიკვდილივით შემზარავი.

— უბედურება მოგვივიდა, — მისს რებამ თქვა, — სასტუმრო სად არის? — სასტუმროში წავედით. გაჩირაღდნებულ ვესტიბიულში უკვე კარგად ვხედავდით მინის. არა, სიკვდილივით შემზარავი არ იყო იგი. სიკვდილი სიმშვიდეა. მინის მაგრად მოკუმული ტუჩები და დაძაბული, ჩაფიქრებული სახე კი არც არავის უქადდა სიმშვიდეს. სასტუმროს მმართველი შემოვიდა, — ქალბატონი ბინფორდი ვარ. — უთხრა მისს რებამ,— ჩემი დეპეშა თუ მიიღეთ: ჩემს ოთახში დაუდგით-მეთქი ჩემს მოახლეს საწოლი?

— დიახ, ქალბატონო ბინფორდ, — მმართველმა მიუგო, — მაგრამ ჩვენ ცალკე განყოფილება გვაქვს მსახურებისთვის თავისი სასადილოთი...

— გაქვთ და გქონდეთ, — უთხრა მისს რებამ, — მე გეუბნებით, ჩემს ოთახში დაუდგით-მეთქი საწოლი მოახლეს, მინდა გვერდით მყავდეს. მისაღებში დავიცდით, რაც გითხარით, მომიგვარეთ. საითაა? — მაგრამ საითაც იყო ქალების სასტუმრო ოთახი, თავად მიხვდა, და ჩვენც გავყევით.

— სად არის? — იკითხა.

— ვინ? — ჰკითხა ეეერბიმ.

— თავადაც მშვენივრად იცი, — უთხრა მისს რებამ, და უცებ მივხვდი, ვისაც გულისხმობდა, წამიც და იმასაც მივხვდებოდი, რაც მოხდა, მაგრამ ველარ მოვასწარი, მისს რება დაჯდა. შენც დაჯექიო, უთხრა მინის. მინი არც კი განძრეულა. — კარგი, — უთხრა მისს რებამ, — მოუყევი ამათ. — მინიმ გაგვიღიმა: რალაც შემზარავი ღრუ გამოჩნდა, თითქოს მტაცებელს დაულიაო პირი: დიდებული, უზადო კბილების რკალი გამოერღვია ენით უთქმელი ტანჯვით ალსავსე ჩაშავებულ ხვრელს, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ოქროს კბილს გაჰქონდა ბრწყინვა. ახლა კი მივხვდი, რატომ გაიძურწა ოტისი პარშემიდან. უნდა გასცლოდა იქაურობას, თუნდაც სულ ფეხით ევლო არკანზასამდე. ხოდა, მაშინ, ორმოცდათექვსმეტი წლის წინათ მეც შენსავით თავზარი დამეცა, შევძრწუნდი და თვალს არ ვუჯერებდი, ვიდრე მინიმ და მისს რებამ არ გვიამბეს ყველაფერი.

— ის იყო! — თქვა მინიმ, — მეტი ვინ უნდა ყოფილიყო! იმ დროს გამომაცალა, როდესაც მეძინა!

— რა ჯანდაბაა, — ასე თქვა ბუნმა, — ვილაცამ პირიდან კბილი გამოგაცალა და შენ კი ვერც ვერაფერი გაიგე?

— ეშმაკმა წაგიღოს, ყური დამიგდე, — უთხრა მისს რებამ, — მინის შეკვეთით ისეა ის კბილი გაკეთებული, რომ შეუძლია ჩაიდგას და ამოიღოს კიდევაც. წელებზე ფეხს იდგამდა, დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული. რამდენი ხანი აგროვებდი? სამი წელიწადი, ხომ, მინი? დაბოლოს შეძლო, იმდენი მოაქუჩა, რომ თავისი საკუთარი კბილი ამოაღებინა და სამაგიეროდ ღვთისგან დაწყევლილი ოქროსი ჩაადგმევინა. ჰოი, რამდენს ვეჩიჩინებოდი, საკუთარი ნებით როგორ უნდა შეამუსრინო ასეთი ბროლივით კბილები, თითოეულში სხვა შენს ადგილას ათას დოლარს მისცემდა და მთელ თავის სარჩო-საბადებელსაც ზედ დაუმატებდა-მეთქი. იმას აღარ ვამბობ, რა ფული დაუჯდა, ჭამის წინ მისი ამოღება რომ შეძლებოდა...

— ჭამის წინ ამოღებაო? — ბუნმა იკითხა, — რა ეშმაკად უნდოდა, რაღად უფრთხილდებოდა ასე?

— დიდხანს ვოცნებობდი ასეთ კბილზე, — მიუგო მინიმ, — თავს არ ვზოგავდი, ფულს ვაგროვებდი, ყველას დამატებით სამუშაოს ვთხოვდი, ხოდა, ღეჭვასა და ფურთხს ხომ არ გავაფუჭებინებდი.

— ხოდა, ჭამის წინ ამოიღებდა ხოლმე, — თქვა მისს რებამ, — და სწორედ თეფშთან დაიდებდა, თვალი რომ არ მოეცილებინა. არა მარტო დარაჯობდა, ტკბებოდა კიდეც მისი მზერით, მაგრამ მას მაშინ არ აუცლია. მინი ამბობს, რომ უკანვე ჩაიდგა საუზმის მერე, და მეც მჯერა მისი. არც არასდროს ავიწყდებოდა, რადგანაც ის კბილი იყო მისი სიამაყე, განძი ფასდაუდებელი და კარგადაც უნდა მოევლო; თქვენ კი დაგავიწყდებოდაო, სადმე რომ დაგეყენებინათ თქვენი წყეული ცხენი, რომელიც ალბათ იმ ოქროს კბილზე ათასჯერ ძვირი დაგიჯდათ...

— სულ ეახსოვდა, არც არასდროს დამვიწყებია, — თქვა მინიმ, — როგორც კი ჭამე, უკანვე ჩავიდგი, ნამდვილად მახსოვს, ოღონდ ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდიოდა, ისეთი დაღლილი ვიყავი...

— მართალია, — თქვა მისს რებამ, ახლა ევერბის მიმართავდა, — მეც ძლივს ვიდექი ფეხზე, როდესაც წუხელ სადგურიდან დაბრუნდით. მხოლოდ გამთენიის ხანს მოვედი ცოტათი გონს და ვთქვი, კმარა-მეთქი. მზე უკვე ამოსული იყო, მინის რომ ვუთხარი, მოდი, ერთი ჯინი გადაკარი, მერე ნახე, სადარბაზოს კარი დაკეტილი თუ არის და დაწექი-მეთქი. თავად კი ზევით ავედი და ჯეკი გავაღვიძე, გავაფრთხილე, იცოდე, ვინც არ უნდა რქიანი ნაბიჭვარი მოვიდეს სენტ-ლუისის სამხრეთიდან და ბრახაბრუხი ატეხოს, საღამოს ექვს საათამდე კარი არავის არ გაუღო-მეთქი. ხოდა, მინი წავიდა და დაწვა იმ თავის საკუჭნაოში აივნის უკან. თავიდან ასე ვფიქრობდი, ალბათ კარი არ ჩაკეტა-მეთქი...

— რაღა თქმა უნდა, ჩავკეტე, — მინიმ თქვა, — იქ ხომ ლუდი გვაქვს შენახული, სულ ვკეტავ მას მერე, რაც ის ბიჭი ჩამოვიდა, რადგან გასულ ზაფხულს სტუმრად რომ იყო ჩვენთან, თავი ცუდად დამამახსოვრა.

— ასე იყო სწორედ, — თქვა მისს რებამ, — მუხლმოკვეთილს მკვდა-

რივით დაეძინა იმ თავის საწოლზე, კარი ჩაკეტილი ჰქონდა და რას იფიქრებდა, ვიდრე არ...

— გამოვიღვიძე, — თქვა მინიმ, — ქანცგაწყვეტილსა და ლონეგამოლეულს მკვდარივით მეძინა და ძლივს გამოვფხიზლდი. ვწევარ და ვგრძნობ, პირში რაღაც მჭირს, თითქოს რაღაც მაქვს გაჩხერილი, არადა, ვფრთხილობ ხოლმე ჭამისას. ავდექი, სარკესთან მივედი და რომ ჩავიხედე...

— მიკვირს, ჩატანუგაში როგორ ვერ გაიგონეს მისი კივილი, პარშემზე ალარაფერს ვამბობ, — მისს რებამ თქვა, — კარი კი ისევ დაკეტილი იყო...

— ის იყო! — დაიწივლა მინიმ, — ვიცი, ის იყო. ყოველდღე მომადგებოდა და მეკითხებოდა, რა ღირს, რატომ არ ყიდიო, რამდენს მოგცემენო ან სად წაიღებდი გასაყიდადო...

— მართალია, — თქვა მისს რებამ, — გარეული კატასავით იმიტომაც ჩხაოდა ამ დილას, როდესაც უთხარი, სახლში კი არა, პარშემს უნდა წამოხვიდეო ჩემთან ერთად, — ახლა ევერბის ეუბნებოდა იგი. — და როდესაც ორთქლმავლის კივილი გაიგონა, ადგა და გაიპარა, ხომ ასეა? შენი აზრით, სად უნდა იყოს? მინის ის კბილი უსათუოდ უნდა დავუბრუნო.

— არ ვიცით, — ევერბიმ მიუგო, — ეტლიდან გაქრა დაახლოებით ექვსის ნახევარზე, მერე ალარც გვინახავს. გვეგონა, აქ დაგვხვდებოდა, აბა, სხვაგან სად უნდა წასულიყო, მაგრამ ჯერ ვერსად ვერ ვნახეთ.

— კარგად არ მოგიძებნიათ, — თქვა მის რებამ, — მაგას სტვენით ვერ გამოიტყუებთ, ცეცხლი უნდა შეუნთოთ, როგორც ვირთხას ან გველს, თუ გინდათ, სამალავიდან გამოვიდეს. — სასტუმროს მმართველი დაბრუნდა. — რაც გთხოვეთ, თუ მომიგვარეთ? — ჰკითხა მისს რებამ.

— დიახ, ქალბატონო ბინფორდ, — მიუგო მან. მისს რება ადგა.

— მინის დავაბინავებ და იმასთან დავრჩები, ვიდრე არ დაიძინებს. მერე კი ვახშამზე უარს არ ვიტყოდი, — ასე უთხრა სასტუმროს მმართველს, — სულ ერთია, რაც უნდა იყოს.

— ცოტა გვიანია, — თქვა მმართველმა, — სასადილო დარბაზი უკვე...

— მერე კიდევ უფრო გვიანი იქნება, — თქვა მისს რებამ, — რაც უნდა იყოს, მომიტანეთ, სულ ერთია. წამოდი, მინი. — ის და მინი გავიდნენ. მერე მმართველიც მიჰყვა იმათ. ჩვენ კი იქვე დავრჩით, არც ერთი ჩვენგანი არ დამჯდარა; ის — ევერბიც — ფეხზე იდგა; ამ ტანვეება გოგოს გარინდება უხდებოდა, ასევე სევდაც, სანამ ასე იყო გარინდებული. თუმცა შეიძლება ეს უფრო სირცხვილი იყო, ვიდრე სევდა.

— აბა, რა უნდა ენახა ან ესწავლა იმ ფერმაში, — ასე თქვა, — ხოდა, ვფიქრობდი... გასულ ზაფხულს ერთი კვირით მოვაცილე იქაურობას. წელსაც. და თქვენ რომ ჩამოხვედით, როგორც კი ლუციუსი დავინახე, მაშინვე მივხვდი, სწორედ ასეთი მინდოდა ყოფილიყო ოტისი, ოღონდ ამას ვერ ავუხსნიდი, ვერც ვასწავლიდი. ხოდა, ვიფიქრე, თუკი ლუციუსთან დაჰყოფსმეთქი ორ-სამ დღეს...

— რა თქმა უნდა, — მიუგო ბუნმა, — მისი აღზრდა გინდა. — მერე მიუახლოვდა, მაგრამ გულში არ ჩაუკრავს ამჯერად, არც წაკარებია. ზურგზე ხელი დაჰკრა, თითქოს მაგრადაც, ტლანქად, სწორედ ისე, რო-

გორც ბუტჩმა დაჰკრა მას ბიძია პარშემისას, მაგრამ მხოლოდ ჩანდა ასე. — არა უშავს, — ასე თქვა, — რას იზამ. შენ მხოლოდ მისი სიკეთე გინდოდა, მეტი არაფერი. ახლა კი წამოდი...

ოფიციანტი გამოჩნდა ისევ.

— თქვენი მეეტლე სამზარეულოშია, სერ, ამბობს, რაღაც უნდა ვუთხრაო აუცილებლად.

— ჩემი მეეტლე? — ბუნმა თქვა, — მე მეეტლე არა მყავს.

— ნედი უნდა იყოს, — ვუთხარი და კარისკენ გავსწიე. ევერბიმ ბუნს დაასწრო და უკან მომყვა. სუყველანი სამზარეულვში გავყევით ოფიციანტს. ნედი ლამის ზედ მიტმასნოდა მზარეულს, ზორბა ზანგის ქალს, ბაკანთან რომ იდგა და თეფშებს ამშრალებდა. ასე ეუბნებოდა:

— ფულის დარდი ნუ გაქვს, ლამაზო. მე სწორედ ის კაცი ვარ... — მაგრამ დაგვინახა და წამსვე ამოიკითხა ბუნის ფიქრები, — ნუ ლელავ, პასემებთან არის. ახლა რალა დააშავა?

— ვინ? — ჰკითხა ბუნმა.

— ოტისზე გეუბნება, — ვუთხარი, — ოტისი უპოვნია.

— როდის დავკარგე, რომ მეპოვნა, — თქვა ნედმა. — ბიძია პასემის ძაღლებს სად დაემალებოდა. საქათმის უკან აკაციის ხეზე შეაგდეს ამ ერთი საათის წინ, მერე ლიკურგემ ჩამოსვა იქიდან. ჩემთან წამოსვლა არ მოისურვა. ეტყობა, არსადაც არ აპირებს წასვლას. ამჯერად რალა ჩაიდინა? — მოვუყევით. — ის გოგოც აქ არის ახლა? — წყნარად ჩაიცინა, ხიხი-ხიო. ბოლოს ასე დაუმატა, — მაშინ იმას პასემებთან ველარ ჩავუსწრებ.

— ეს როგორ? — ბუნმა ჰკითხა.

— შენ მის ადგილას რომ ყოფილიყავი, თუ დარჩებოდი? — თქვა ნედმა. — ახლა მან იცის, გოგომ უკვე გაილვიძა და კიდევაც მოისაკლისა კბილი. ისიც იცის, მისს რება ქვეყანას შეძრავს და მანამ არ დაწყნარდება, სანამ არ დაიჭერს, ფეხებით არ დაკიდებს და იმ კბილს არ გააგდებინებს. თავად ვუთხარი, სადაც მივდიოდი ჯორით, ხოდა, კი ეტყოდა ვიღაცა, როდის ჩამოდის მატარებელი, და იმასაც, რამდენი ხანი სჭირდება სადგურამდე მისვლას. ის კბილი რომ აგეწაპნა, შენ კი იქ დარჩებოდი?

— კარგი, — უთხრა ბუნმა, — რას უპირებს?

— სხვა რომ ყოფილიყო, — ნედმა თქვა, — ამას ვიტყოდი, სამი გზა აქვს-მეთქი: ან უნდა გაყიდოს ან უნდა დამალოს, ან ვილაცას მისცეს. მაგრამ, რადგან ვიცი, ვინც არის, ორიდან ერთს აირჩევს, ან გაყიდის ან დამალავს და თუ დამალვას შეეცდება, მაშინ აჯობებდა სულაც იმ გოგოს პირში ჩაეტოვებინა. ხოდა, საუკეთესო გზა ეს არის — სასწრაფოდ გაყიდოს ის ოქროს კბილი მემფისში, მაგრამ მემფისამდე შორია, ფეხით ვერ ჩავა, მატარებელში უნდა ჩაჯდეს (ეს კი ფული ღირს, თუმცა შეიძლება ფული აქვს კიდეც და არც დაიშუროს, რადგან ცუდ დღეშია), ამისთვის კი პასემს უნდა დაბრუნდეს, მაგრამ საშიშია, შეიძლება ვინმემ დაინახოს. ხოდა, საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, ის კბილი ხვალ დოლზე გაყიდოს. მე და თქვენ რომ ვყოფილიყავით, კბილს უეჭველად ერთ-ერთ ცხენზე ჩავიდოდით, მაგრამ ეგ ამას არ იზამს, რადგან ჩქარობს და არც საიმედოდ ეჩვენება, თუმცა ჩვენ სწორედ დოლიდან უნდა დავიწყოთ

მისი ძებნა. კარგი იქნებოდა ადრე გამეგო იმ კბილის შესახებ, სანამ ბიჭი ჩემს ხელთ იყო, დავტყუებდი როგორმე. ხვალ დილით, შვიდს რომ ოცი აკლია, ბატონი სემ კოლდუელი დასავლეთისკენ მიმავალი მატარებლით აქ ჩამოივლის და ის ბიჭი ჩემი რომ იყოს, სადგურზე გავიყვანდი, ჩავაბარებდი ბატონ სემს და ვეტყოდი, ხელი არ გაუშვათ, ვიდრე ორკანზასში მიმავალ პირველივე მატარებელზე არ დასვამთ-მეთქი.

— ხვალ შეძლებ იმის მოძებნას? — ჰკითხა ევერბიმ, — აუცილებლად უნდა ვნახო. ის ხომ ჯერ ბავშვია. მინის კი სხვა კბილს ვუყიდი. მაგრამ ჯერ ის უნდა ვნახო როგორმე. კი მეტყვის, არა მაქვს, თვალითაც არ მინახავსო, მაგრამ მე უნდა...

— კი ბატონო, — ნედმა უთხრა, — მეც ასე მოვიქცეოდი. ვეცდები, მოვძებნო. ხვალ დილით ადრე ლუციუსის წასაყვანად გამოვივლი, მაგრამ ჯობს დოლის დაწყების წინ ადგილზე ვცადოთ ბედი. — მერე მე მითხრა, — ხალხი უკვე დაიძრა პასემისკენ, ვითომდა ისე, სხვათა შორის, ყურები კი დაცქვეტილი აქვთ, ნეტავი ვის აქვს იმედი, რომ ეს ცხენი დოლზე გაიმარჯვებსო. ხოდა, იცოდე, ხვალ ქვეყნის ხალხი მოგროვდება. გვიანია ახლა, უნდა დაწვე, მე კი პასემების ჯორი სახლში უნდა დავაბრუნო. ის თათმანი სადა გაქვს, ხომ არ დაგიკარგავს?

— ჯიბეში მაქვს, — მე ვუთხარი.

— არ დაკარგო, — გამაფრთხილა, — თორემ მარცხენა დარჩება ჯენტად, მხოლოდ მარცხენას კი, თუ მარჯვენაც არა გაქვს, ვერ ჩაიცვამ, ცუდი ნიშანია, — მიტრიალდა, თუმცა იქვე შეჩერდა, იმ გათქვირებულ დედაკაცს გულგრილად ვერ აუარა გვერდი; ასე ეუბნებოდა ახლა: — თუ გადავიფიქრე და ქალაქს დავრჩი ლამის გასათევად, მინდა ვიცოდე, საუზმე როდის გექნება მზად, ლამაზო.

— დილაუთენია, როცა შენი ჭაჭანებაც არ იქნება აქ, — გაეპასუხა მზარეული.

— ღამე მშვიდობისა ყველას, — თქვა ნედმა და წავიდა. ჩვენ სასადილო დარბაზში დავბრუნდით, სადაც იმ ოფიციანტმა, ახლა ჟილეტი რომ ეცვა და არც საყელო ეკეთა და არც ჰალსტუხი, მისს რებას მოართვა ღორის კატლეტი, შვრიის ფაფა, ფუნთუშები და შავი მოცხარის მურაბა, ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვქონდა ვახშმად, არც მთლად ცხელი და არც მთლად ცივი, როგორც ამბობენ, შინაურულად, სწორედ ისე, როგორც თვითონ იყო ჩაცმული.

— დაიძინა? — იკითხა ევერბიმ.

— კი, — მიუგო მისს რებამ. — ის პატარა ნაბ... — შეჩერდა. — მაპატიეთ, — თქვა და განაგრძო, — მეგონა, რაღა არ მინახავს-მეთქი, ისეთ საქმიანობას ვეწევი. მაგრამ ჩემს დაწესებულებაში კბილს თუ მოიპარავდნენ, რას ვიფიქრებდი. ასეთი პატარა და ასეთი გარეწარი. ნამდვილი გველის წიწილაა! დიდი გველისა არც უნდა გეშინოდეს, იცი, რაც არის მისგან მოსალოდნელი, პატარა კი უკნიდან მოგეპარება და დაგგესლავს, სანამ იმას მიხვდებოდე, რომ კბილები ჰქონია, ჩემი ყავა სად არის? — ოფიციანტმა ყავა მოუტანა და წავიდა. და უცებ ამ ვეებერთელა დარბაზში, სადაც შალითაგადაკრული ავეჯი იდგა, სივიწროვე ვიგრძენი; სწორედ ასე იყო ყოველთვის, როდესაც ბუნი და ბუტჩი ერთად აღმოჩნდებოდნენ ოთხ კედელშუა, მაშინ ირგვლივ ყველაფერი დიდდებოდა, ერთი ათად იქცეოდა,

ერთმანეთში ირეოდა და აღარაფრისთვის რჩებოდა ადგილი. ის — ბუტ-
ჩი—შეიძლება ისევ ექიმთან იყო ნამყოფი ან იქნებ სადმე სხვაგან, სადაც
თუნუქის სამკერდე ნიშნიანის გაწბილებას ვერავინ გაბედავდა, ეფეოდ
მუქთად უნდა მოერთმიათ დასალევი. გვიანი იყო, დაღლილი ვიყავი,
მაგრამ ის ისევ ჩვენთან მოვიდა, და უეცრად მივხვდი, რომ ჯერ კი-
დევ არ წარმოეჩინა ბოლომდე თავი და ყველაფერი ახლა უნდა დასრულ-
ებულიყო. კარებში დაყუდებულიყო, მთლად ამოევსო, თვალები უტიფრად
უელავდა, მხიარულ გუნებაზე ჩანდა, ლოყები კიდევ უფრო გაღაჟღაჟ-
ებოდა და მის ოფლიან პერანგზე მიმაგრებული ის სამკერდე ნიშანიც გად-
მოკარკლული თვალივით მოგვჩერებოდა. თითქოს ის — ბუტჩი — ამ ნი-
შანს ატარებდა არა როგორც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების
ოფიციალურ დასტურს, არამედ როგორც ბოისკაუტი თავის სამკერდე ნი-
შანს, ვითარცა ჭეშმარიტად თავგანწირულ ბრძოლაში მოპოვებულ იშვი-
ათ ჯილდოს და ამავე დროს სიმბოლოს მისი განსაკუთრებულობისა და
აგრეთვე მისი ნებისმიერი საქციელის დაუსჯელობისა, რაღაც მისტიკური
არილით რომ არის გარემოცული. იმავე წამს ევერბი წამოხტა, მაგიდას
შემოურბინა და მისს რებას გვერდით დაჯდა, ვისაც კარებში ასვეტილი
ბუტჩი თვალს არ აცილებდა. ხოდა, მაშინ ბუნი უკან გადავწიე და პირველ
ადგილზე ევერბი დავაყენე, რადგან მას უფრო ბევრი საზრუნავი ჰქონ-
და. ბუნს მხოლოდ ბუტჩი ადარდებდა, ხოლო ევერბის ორივენი ერთად,
ბუნიცა და ბუტჩიც.

— კარგი, კარგი, — ბუტჩმა თქვა, — მთელი კატალპა-სტრიტი აქ,
პასეს ჩამოეხეტა? — პირველად ასე მეგონა, მისს რებას მეგობა-
რია ან იმასთან რაღაც საქმით მაინც დაკავშირებული-მეთქი. მაგ-
რამ ასეც რომ ყოფილიყო, ბუტჩს მისი სახელი აღარ ახსოვდა. თუმცა
მე მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი. უკვე მესმოდა, რომ არიან ამქვეყნად ბუ-
ტჩისნაირები, რომ არავინ არ არსებობს მათთვის, მხოლოდ ისინი, ვინც
სჭირდებათ, უფრო სწორად, ვინც ამ წუთას სჭირდებათ, ამ წუთას კი კი-
დევ ერთი ქალი სჭირდებოდა (ყოველ შემთხვევაში უარს არ იტყოდა), იმის
დარდი აღარ ჰქონდა, ვინ იქნებოდა, ოღონდ კი მეტნაკლებად ახალგაზრდა
ყოფილიყო და მიმზიდველი. არა, კი არ სჭირდებოდა, თავის გზაზე გადა-
აწყდა და რაღას იზამდა. როგორც ლომი, სხვა ლომთან რომ აპირებს შებ-
მას ანტილოპას გულისთვის და დარწმუნებულია გამარჯვებაში (ლომზე
და არა ანტილოპაზე გამარჯვებაში), ისეთი რეგვენი როგორ იქნება, რომ
სხვა ანტილოპასაც არ გაჰკრას თათი, თუ შემთხვევით გადაეყარა ბილიკ-
ზე. თუმცა მისს რება სულაც არ გახლდათ ანტილოპა. ბუტჩი ძუ ლომს
გადაწყდომოდა თავის სავალზე. ხოდა, ასე თქვა: — კარგია, ამ ჩვენმა
ძმაბიჭმა ტვინი რომ გაანძრია. მე და მაგას გასაყოფი რა გვაქვს, ორივენი
ხომ ხორცის ერთ ნაჭერს არ დავუწყებთ ძიძგნას, როდესაც აქვე მეორეცაა.
იმ პირველის დიდად მსგავსი, თუმცა კი ცოტათი სხვანაირტყავიანი, მაგ-
რამ არა უშავს.

— ეს ვინღაა? — ჰკითხა მისს რებამ ევერბის, — მეგობარია შენი?

— არა, — მიუგო ევერბიმ და მოიკრუნჩხა, არადა, ისეთი ტანვეება
იყო, როგორღა უნდა მოკრუნჩხულიყო. — გთხოვთ...

— ამის თქმა უნდა, — ბუნმა თქვა, — მეგობრები აღარ ჰყავს უკვე. სულაც აღარავინ არ უნდა, დაამთავრა თავისი მოღვაწეობა, წავაგებთ დოლს და წავა, გადაიკარგება სადღაც. მუშაობას დაიწყებს ფუფშების მრეცხავად. თუ გინდათ, ჰკითხეთ.

მისს რება ევერბის უმზერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გთხოვთ... — გაიმეორა იმან.

— თქვენ კი რაღა გნებავთ? — მისს რებამ ჰკითხა ბუტჩს.

— არც არაფერი, — უთხრა ბუტჩმა, — რა უნდა მნებავდეს. მე და ჩვენი ძმაბიჭი ცოტა წავკინკლავდით, მაგრამ თქვენ გამოჩნდით და ყველაფერი მოგვარდა, უკეთესად რომ აღარ იქნება, ისე, — ევერბის მიუახლოვდა და მკლავზე ხელი წაავლო: — წავიდეთ, ეტლი სადარბაზოსთან დგას, თავს ნულარ შევაწყენთ ამათ.

— აბა ერთი მმართველი მომგვარე, — ხმამაღლა მითხრა მისს რებამ. მაგრამ განძრევაც ვერ მოვასწარი; მანამდე კარისკენ რომ გამეხედა, ალბათ თვალს მოვკრავდი მის უკან მდგარ მმართველს. იგი მაშინვე შემოვიდა. — ეს არის უფროსი პარშემში? — მისს რებამ ჰკითხა.

— რატომ მეკითხებით, ქალბატონო ბინფორდ? ბუტჩს აქ ყველა იცნობს, — მიუგო მმართველმა, — პარშემში უამრავი მეგობარი ჰყავს, ისე კი ჰადუიკიდანაა, იქ არის უფროსად. კაცმა რომ თქვას, პარშემში ჩვენ უფროსი არცა გვყავს. ჯერ ამისი ღირსი არა ვართ და ალბათ იმიტომ.

ბუტჩის ჩასუქებული სხეულის სიმხურვალე მისწვდა, გარს შემოეხვია მმართველს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ზღურბლზე გადმოაბიჯებდა, თითქოს ის — მმართველი — თაგვივით ჩაეფლო და ჩაიძირა ნაზფაფუკ ამბრში. მაგრამ ბუტჩს ახლა ცივად და ბოროტად უელავდა თვალები.

— შეიძლება იმიტომაცაა თქვენთან ყველაფერი უკულმართად, — უთხრა ძან მმართველს, — შეიძლება იმიტომაც ტკეპნით ერთსა და იმავე ადგილს და წინ ვერ მიიწევთ, რომ უფროსის ხელი გაკლიათ.

— კარგი, ბუტჩ, — თქვა მმართველმა.

— მე მგონია, ყოველ გამვლელს შეუძლია ქუჩიდან აქ შემოეხეტოს, სტაცოს ხელი ყმაწვილქალს, რომელიც კი თვალში მოუვა, და ლოგინზე წამოაქციოს, თითქოსდა სამეძაო სახლი იყოს, — თქვა მისს რებამ.

— წამოაქციოს ვინ? სად? — თქვა ბუტჩმა, — რით უნდა წამოაქციოს? ქალალდის ორ დოლარიანით?

მისს რება წამოდგა.

— წამოდი, — უთხრა ევერბის, — დღეს კიდევ გადის ერთი მატარებელი მემფისში. მე ვიცი, ვინც არის ამ ბუნაგის პატრონი. ხვალ ვნახავ და დაველაპარაკები...

— კარგი, ბუტჩ, — თქვა მმართველმა, — დაიცადეთ, ქალბატონო ბინფორდ...

— წადი, შენს ადგილზე დაბრუნდი, ვირჯილ, — უთხრა ბუტჩმა მმართველს, — ნოემბრამდე ოთხი თვეღაა დარჩენილი, ვაითუ უცებ ვიღაც მილიონერი შემოვიდეს თავისი ჯიშიანი მეძებრებითურთ; ვიღაც ხომ უნდა დახვდეს, რომ აჩვენოს, ხელი სად მოაწეროს. წადი-მეთქი, შინაურები ვართ აქ ყველანი. — მმართველი გავიდა. — ახლა კი ხელს რა შეგვიშლის... — თქვა ბუტჩმა და ევერბის ისევ წაეტანა მკლავზე.

— საკმარისია, — უთხრა მისს რებამ ბუტჩს, — მოდით, მე და თქვენ სადმე გავიდეთ, სადაც მარტონი ვიქნებით. სიტყვა მაქვს სათქმელი.

— რის თაობაზე? — ჰკითხა ბუტჩმა. ქალს პასუხი არ გაუცია, კარისკენ გასწია. — მარტონიო, თქვენ ამბობთ? რატომაც არა, მაგრამ ასეთ კარგ გოგოს თავად თუ ვერ ვასიამოვნებ, მაშინ ჩვენს ძმაბიჭს მოვუხმობ. — გავიდნენ. ვესტიბიულში დარჩენილნი ვერ ვხედავდით, რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა. დაახლოებით წუთის თუ ცოტა მეტის შემდეგ კი იქიდან მისს რება გამოვიდა, კვლავ მკაცრი, დიდებული და ალუშფოთებელი. წამიც და ბუტჩიც შემოჰყვა ამ სიტყვებით: — ასე ხომ? ამასაც ვნახავთ. — მისს რება მტკიცე ნაბიჯით მოგვიახლოვდა, ჩვენ კი მზერას არ ვაცილებდით ბუტჩს, რომელმაც ვესტიბიული ისე გაიარა, ჩვენკენ აღარ გამოუხედავს.

— თავი დაგვანება? — ევერბიმ ჰკითხა.

— დიახ, — უთხრა მისს რებამ და ბუნს მიუბრუნდა, — ეს შენც გეხება. — მერე მე შემომხედა: — ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, ასეთი რა უყავით იმ კაცს? — ბუნმა უთხრა.

— არც არაფერი, — მხარზემოდან მიუგო იმან, რადგანაც მე მიმზერდა, — ასე მეგონა, ამ სამეძაო სახლში რა არ მინახავს-მეთქი. მაგრამ ეს მანამ, სანამ ბალღები არ გამოჩნდნენ. შენ რომ მოიყვანე, — ევერბის ეუბნებოდა ახლა, — იმან მმართველი გამიქცია, და თუკი კბილები ნახა სადმე, ერთიც არ გადაურჩა, სულ მოიპარა, ზედ თორმეტი დოლარის ლუდიც მიაყოლა. ვითომ ეს არ გვეყოფოდა, ახლა ბუნმა ჩამოიყვანა კიდევ ერთი, რომელმაც ჩვენი ცოდვილი გოგოები პატიოსნების გზაზე დაყენა და ულუკმაპუროდ დააგდო. მე წავალ, დავიძინებ, თქვენ კი...

— და მაინც, — ბუნმა ჰკითხა, — მას რა უთხარით ასეთი?

— რომელი ქალაქიდან ხარ? — კითხვითვე უპასუხა მისს რებამ.

— ჯეფერსონიდან, — მიუგო ბუნმა.

— ჯეფერსონისა და მემფისისთანა ქალაქების მაცხოვრებლებმა, კანონის მსახურნი რანი არიან, არც კი იცით. ეს რომ გაიგოთ, პარშემისთანა პატარა დაბაში უნდა ჩახვიდეთ. მე კი ვიცი, რადგანაც სწორედ ასეთ ადგილას ვარ გაზრდილი. ის პოლიციელია. ჯეფერსონსა და მემფისში შეიძლება ერთი კვირა ისე დაჰყოს, ვერც კი შენიშნოთ. მაგრამ აქ, სადაც თავისი ამომრჩევლები ახვევია გარს (იგი ხომ უმრავლესობამ — თორმეტმა თუ ცამეტმა კაცმა აირჩია, ხოლო უმცირესობამ — ცხრა, ათმა თუ თერთმეტმა კაცმა მის წინააღმდეგ მისცა ხმა და, ვინ იცის, უკვე ნანობს კიდეც ამას, და თუ არა, სულ მალე ინანებს), სულაც ფეხებზე ჰკიდია სუყველანი ერთად, ოლქის შერიფიც, შტატის გუბერნატორიცა და შეერთებული შტატების პრეზიდენტიც. ბაპტისტია ის და იმიტომ, ანუ, უპირველეს ყოვლისა, ბაპტისტია და მერე კანონის მსახური. მაგრამ თუ შეუძლია ერთდროულად ბაპტისტიც იყოს და კანონის მსახურიც, ამას რა სჯობს. ოღონდ ამასთანავე იცის, სად შეუძლია შეჰყოს ცხვირი და სად არა; სადაც არავის დაუპატიჟებია, იქ ყოველთვის უსიამოვნება ელის. ასე ამბობენ, ძველად ყოფილა ერთი ფარაონი, რომელიც დიდებულად მართავდა ქვეყანას, ყოფილა კიდევ ერთი დიდი ადამიანი, ბიბლიის დროინდელი, კეისარი რქმევია, იმანაც ჩინებულად იცოდა

თავისი საქმე. ხოდა, ისინი უნდა ჩამოსულიყვნენ არკანზასს, მისისიპისა და ტენესიში და ენახათ, რას სჩადიან აქაური პოლიციელები.

— მაგრამ საიდან გაიგეთ, ვინც იყო? — ჰკითხა ევერბიმ. — საიდან გაიგეთ, რომ აქ საერთოდ ასეთი ვინმე იყო?

— ასეთები ყველგან არიან, — თქვა მისს რებამ, — სწორედ ახლა არ გითხარით, სადაც გავიზარდე და ვცხოვრობდი, ვიდრე ყელში არ ამომივიდა. არც კი მიკითხავს, მაშინვე მივხვდი, ვინც ბრძანდებოდა. ესლა მინდოდა, გაეგო იმ ნაბიჭვარს, რომ აქაც, პარშემშიაც მოუვლიან მისნაირებს. მე წავედი...

— და მაინც ისეთი რა უთხარით? — ისევ ჰკითხა ბუნმა, — ნუ დამიმალავთ, იქნებ ოდესმე გამომადგეს.

— გეუბნები, არც არაფერი, — მისს რებამ თქვა, — ამ თავგასული ულაყების მოთოკვა რომ არ მესწავლა, ერთი ხელი სამკერდე ნიშანზე რომ უკიდიათ, მეორე კი — შარვლის შესაკრავზე, მაშინ კარგა ხანია გლახაკთა თავშესაფარში ვიქნებოდი. ასე ვუთხარი, თუ კიდევ დამანახვებ შენს სიფათს. ავდგები და იმ ცხვრისსახიან მმართველს გავაგზავნი, რომ აქაური კონსტებლი გააღვიძოს და უთხრას, ჰადუიკის შერიფის თანაშემწემ ეს წუთია როგორ შეუწყო-მეთქი ხელი პარშემის სასტუმროში ორი მეძავის რეგისტრაციას. მე დასაძინებლად მივდივარ და თქვენც ამას გირჩევთ. წამოდი, კორი. მე უკვე მოვახსენე მმართველს შენი შელახული ღირსების შესახებ, ასე რომ კეთილ ინებე, თავი ისე დაიჭირე, როგორც შეგშვენის, მანამდე მაინც, სანამ აქ ხარ. — გავიდნენ. მერე ბუნიც გავიდა. შეიძლება სადარბაზოს კარს მიაშურა, რომ ენახა, ბუტჩის ეტლი ისევ იქ იდგა თუ წასულიყო. მერე უცებ ევერბი ჩემკენ გადმოიხარა, ეს მაღალი, ტანვეება გოგო, და სწრაფად ჩამჩურჩულა:

— თან არაფერი წამოგიღია? სხვა ტანსაცმელი-მეთქი. სახლიდან რითაც წამოხვედი, ისევ ის გაცვია.

— მერედა რა მოხდა, — მე ვუთხარი.

— უნდა გაგირეცხო, — თქვა მან, — საცვალი, წინდები და პერანგი, ის საჯირითო თათმანიც. წამოდი, გაიხადე.

— მაგრამ გამოსაცვლელი რომ არა მაქვს, — ასე ვუთხარი.

— არა უშავს, მაინც ხომ დასაძინებლად უნდა დაწვე. ხვალ ადგები და ყველაფერს გარეცხილს დაგახვედრებ. წამოდი. — კარს უკან იდგა და მელოდებოდა; გავიხადე ფეხსაცმელი, პერანგი, საცვლები, წინდები, საჯირითო თათმანიც წავიძრე და გამოღებულ კარში გადავაწოდე. ღამე მშვიდობისაო, მითხრა მან და კარი დავხურე, ლოგინში ჩავწექი; თუმცა სულაც არ იყო ჩვენი ამბავი დასრულებული, ჯერ კიდევ ბევრი გვქონდა საზრუნავი და გასაკეთებელი — დოღის წინა ღამე იყო და კი უნდა გაგვემართა საიდუმლო თათბირი. დალლილ-დაქანცულები უნდა მოვყოლოდით გააფთრებულ ჩურჩულს, შეგვემუშავებინა ხვალინდელი სტრატეგია. მაგრამ უცებ მივხვდი, ზედმეტი იყო ყველაფერი, ისიც კი არ ვიცოდით, ცხენი ვისი იყო, (გარდა ნედისა, რალა თქმა უნდა), მისი წარსულიდან კი მხოლოდ ეს იყო ცნობილი, მუდამ ისეთი სისწრაფით მიჰქროდა, რომ დოღში მონაწილე ორი ცხენიდან ის ყოველთვის მეორე გადაკვეთავდა ხოლმე ფინიშის ხაზს; ისიც ვიცოდით, რომ დოღი ხვალ უნდა გამართულიყო, მაგრამ სად, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, არავის უთქ-

ვამს; რომ მისი მეტოქე უნდა ყოფილიყო ბედაური, რომლის არსებობა (სხვა რა გზა იყო) უნდა სიტყვაზე გვერწმუნებინა. იმასაც მივხვდი, ადამიანის საქმიანობათაგან განსაკუთრებით დოლი და ყველაფერი, რაც კი მასთანაა დაკავშირებული, უფლის ხელშია. ბუნი რომ შემოვიდა და დამხედა, მე უკვე ვთლემდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტანსაცმელი რა უყავი? — მკითხა.

— ევერბიმ უნდა გამირეცხოს, — ვუთხარი მე. შარვალი და ფეხსაცმელი უკვე გაეხადა და ის იყო ხელი უნდა გაეწვდინა შუქის ჩასაქრობად, რომ გაჩერდა, გაქვავდა.

— რაო, რა თქვი? — წამსვე გამოვფხიზლდი, მაგრამ გვიანღა იყო. თვალდახუჭული, გაუნძრევლად ვიწექი. — რა სახელი ახსენე?

— მისს კორი, — მე მივუგე.

— არა, რაღაც სხვა სახელი თქვი, — მის დაჟინებულ მზერას ვგრძნობდი. — შენ თქვი: ევერბიო, — კვლავ მის დაჟინებულ მზერას ვგრძნობდი. — ასე ჰქვია იმას?.. მაშ, თავისი ნამდვილი სახელი გითხრა? — მერე კი ძლივს გავიგონე. ასე ჩაიჩურჩულა: — ღმერთო დიდებულო — და წამწამებს შუა დავინახე, ოთახში ჩამობნელდა. მერე საწოლი გაჭრიალდა. მახსოვს, სწორედ ასე ჭრიალებდა მისი სხეულის სიმძიმის ქვეშ ყველა საწოლი, როდესაც მასთან ერთად ოთახში მძინებია, ერთხელ თუ ორჯერ ჩვენსას, როდესაც მამა სხვაგან გაემგზავრა და ბუნი ჩვენთან დარჩა ღამე, რომ დედას არ შეშინებოდა, მერე კი მისს ბოლენბოსას ამ ორი ღამის წინ და კიდევ წუხელ, მემფისს, თუმცა მაშინვე მომაგონდა, რომ მემფისში მასთან კი არა, ოტისთან მეძინა. — ღამე მშვიდობისა, — ასე მითხრა,

— ღამე მშვიდობისა, — მეც ვუთხარი.

10

მერე იყო დილა და იყო ხვალ, დღე, როდესაც პირველად ნამდვილ დოლზე ჭოკები უნდა ვყოფილიყავი (გავიმარჯვებდი და ბუნი, ნედი და, ცხადია, მეც შევძლებდით სახლში დაბრუნებას. მართალია, ზარზეიმით არ შემხვდებოდნენ, მაგრამ პატარა ბიჭს კარს ვერ დამიკეტავდნენ, ქუჩაში ვერ დამტოვებდნენ, თანაც მათი სისხლი და ხორცი ვიყავი). სწორედ ამ დღისკენ მოვიჩქაროდით მთელი ძალითა და ზაკვა-ხრიკებით (ყველა სხვა დანარჩენი იყო შედეგი, ანუ, შეიძლება ასეც ვთქვათ, რაღაც თანამდევი ჩემი გულუბრყვილობის თუ სიბრიყვის, ბაბუას ავტომობილის გატაცების საფუძველი რომ გახდა). ხოდა, ეს დღეც დადგა.

— თავისი ნამდვილი სახელი გითხრა? — თქვა ბუნმა. გესმის? გვიანი იყო, წუხელ იმ ძილ-ღვიძილში ენას კბილი ვერ დავაჭირე.

— დიახ, — მე ვუთხარი; იმწუთასვე მივხვდი, სიცრუე წამოვროშე, იმ გოგოს ჩემთვის არც არაფერი უთქვამს, იმან არც კი იცოდა, მე თუ ვიცოდი და იმ კვირა ღამის მერე რომ ჩემთვის ევერბის ვეძახდი. მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო სინანული. — სიტყვა მომეცი, — ასე ვუთხარი, — იმას კი არა, მე, ხმამაღლა ამ სახელს არ დაუძახებ, ვიდრე თავად არ გეტყვის.

— სიტყვას გაძლევ, — თქვა მან, — მე შენ არასდროს მომიტყუები-

ხარ. სინამდვილეში არც არასდროს... კარგი, კარგი, — დასძინა მერე, — სიტყვას გაძლევ. — მერე კი ისევე თქვა, როგორც წუხელ, ჩუმად, თითქმის შიშით, — ღმერთო დიდებულო! — ჩემი სამოსი — პერანგი, წინდები, საცვლები და ის საჯირითო თათმანი, ლამაზად დაკეცილი, გარეცხილ-გაუთოებული იდო სკამზე კარს იქით. ბუნმა გადმოიწოდა.

— ვიდრე ჩაიცვამდე გარეცხილს, კიდევ უნდა იბანავო, — მითხრა.

— შაბათს ხომ ვიბანავე, — ვუთხარი.

— მთელი შაბათი ღამე გზაში ვიყავით, — თქვა მან, — მხოლოდ კვირას ჩავედით მემფისს.

— გინდაც კვირას იყოს, — ვუთხარი.

— დღეს კი სამშაბათია, — თქვა, — და ორი დღეა გასული.

— ერთი დღე, — ვუთხარი, — ორი ღამე და ერთი დღეა სწორედ.

— იმის მერე სულ გზაში ვართ, — თქვა ბუნმა, — ორი ფენა ჭუჭყი გექნება ახლა ტანზე.

— შვიდი იქნება სულ მალე, — ვუთხარი მე, — საუზმეზე დაგვაგვიანდება.

— ჯერ უნდა დაიბანო, — გამიმეორა.

— ჩავიცვამ და მადლობას ვეტყვი ევერბის, რომ გამირეცხა, — მე ვუთხარი.

— ჯერ უნდა დაიბანო, — მითხრა ისევ მან.

— სახვევი დამისველდება.

— ხელს მაღლა ასწევ და ისე დაიბან, — თქვა ბუნმა.

— შენ რატომ არ იბან? — ვუთხარი მე.

— შენზეა ახლა ლაპარაკი და არა ჩემზე. — ხოდა, აბაზანაში შეედი, დავიბანე, ჩავიცვი, მერე სასადილო დარბაზში ჩავედით. მართალი იყო ნედი. წუხელ იქ მხოლოდ ერთი მაგიდა იდგა, მისი ერთი კიდე გადაეწმინდათ და ჩვენთვის გაეწყოთ. შვიდნი თუ რვანი იყვნენ ახლა იქ, მამაკაცები ყველა (ჩამოსულები, უცხონი კი არა, მაგრამ რადგან თავად ჩვენ პარშემელები არ ვიყავით, ამიტომ არ ვიცნობდით. იმათთაგან არც ერთი არ გადმოსულიყო პულმანის ვაგონიდან, არ ეცვათ აბრეშუმის საცვლები და არ ეწეოდნენ აპმანის სიგარებს. მაისის თვის შუა რიცხვებში პარშემის ზამთრის საერთაშორისო სპორტული სეზონი ჩვენ არ გაგვიხსნია. ზოგიერთს სპეცსამოსი ეცვა, ერთის გარდა ყველანი ჩვენსავით უჰალსტუხოდ იყვნენ. ჩვენსავით ჰქონდათ გატაცებანი და ჟინი, იმედები, ჩვენსავით უქცევდნენ ენას, ჩვენსავით იცოდნენ, ბუტჩმაც მათ შორის, ჩვენი კონსტიტუციური უფლებები, რომელშიც გათვალისწინებული იყო ადამიანის თავისუფლება, კერძო ინიციატივის შესაძლებლობა, ყველაფერი ის, რამაც შექმნა ჩვენი ქვეყანა და ახლა ის ვართ, რაც ვართ; შეგვეძლო დოლიც გაგვემართა, შეგვეჯიბრებინა ორი აქაური ცხენი; და თუ ვინმე, გინდ პიროვნება, გინდ რაღაც საზოგადოება თუნდაც მეზობელი ოლქიდან შეეცდებოდა ჩვენს საქმეში ჩარევას და დოლის აკრძალვას, ანუ იმაზე მეტს მოისურვებდა, რისი უფლებაც ჰქონდა, ვთქვათ, მხოლოდ ერთ ცხენზე ფულის ჩამოსვლას არ დასჯერდებოდა, მაშინ ჩვენ ყველანი, ამა თუ იმ ბედაურის გულშემატკივრები ერთხმად წინ აღვუდგებოდით და გავაძევებდით), ჩვენს მაგიდასთან ისხდნენ და ბუნსა და მისს რებას ესაუბრებოდნენ. მაგრამ ევერბი აქ არ იყო, მაშინ კი წამით ასეთი საშინელი სურათი წარმომიდგა თვალწინ, ბუტჩი დერეფანში ჩაუსაფრდა, ხელი

სტაცა, თრევა-თრევით წაიყვანა, როდესაც მას სკამით ჩემი გარეცხილი ტანსაცმელი მოჰქონდა ჩემი და ბუნის ოთახის კარისკენ. მაგრამ იმწამსვე მივხვდი, მეტისმეტი უნდა ყოფილიყო გაქანება ჩემი ფანტაზიისა; თუკი იმ ქალმა წუხელ მე გამირეცხა, რაღა თქმა უნდა, თავისთვისაც გაირეცხავდა, მისს რებაც არ დაავიწყდებოდა, გვიან დაწვებოდა და ბევრ გალვიძებული იქნებოდა ჯერ კიდევ. ხოდა, იმ მაგიდასთან რომ ვიუდი, ერთმა კაცმა თქვა:

— ეს ბიჭი უნდა გამოვიდეს დოღზე? ამას უფრო მუშტი-კრივში გამოსვლა მოუხდებოდა.

— სწორად მიხვდით, — მიუგო ბუნმა და შაშხიანი თეფში გამომიწოდა, მისს რებამ კი — კვერცხები და ქერის ფაფა, — წუხელ ბარდა ჭამა და ხელი გაიჭრა.

— ხო-ხო, — იმ კაცმა თქვა, — ამჯერად ისე ვერ მოიმატებდა წონაში.

— მართალი ხარ, — თქვა ბუნმა, — თვალი არ უნდა მოვაცილოთ, თორემ შეიძლება დანა-ჩანგლები შეახრამუნოს და ბუხრის რიკულებიც მიაყოლოს.

— ხო-ხო, — თქვა იმ კაცმა, — ვისაც შარშან ზამთარში ჰყავს ნანახი ეს ცხენი, იმან იცის, მარტო წონის დაგდება არ უშველის ან იქნებ კიდევ რამე საიდუმლო იცით, ჰა?

— მართალი ხარ, — მიუგო ბუნმა და ისევ საუზმეს მიუბრუნდა, — საიდუმლო რომც არ გვქონდეს, თითქოსდა გვაქვს, ისე უნდა ვიყოთ.

— ხო-ხო, — კვლავ თქვა იმ კაცმა; წამოიშალნენ, — აბა წარმატებას გისურვებთ, თუმცა ამ ბიჭმა კიდეც რომ წონაში დაიკლოს, თქვენს ცხენს ეს ვერ უშველის. — მოსამსახურე ქალი შემოვიდა, ჭიქით რძე და თეფშით ცხელი ფუნთუშები შემოგვიტანა. მინი იყო, ახალ წინსაფარსა და ჩაჩში, შეიძლება მისს რებამ სესხად მისცა ან მიაგირავა იგი ამ სასტუმროს მეპატრონეს. სახე ისეთი ჰქონდა, როგორც შეეფერებოდა გაძარცვულ-გაუბედურებულს, თუმცა ახლა უკვე დაწყნარებული, დამშვიდებული იყო, როგორც ჩანს, დასვენებულიცა და გამოძინებულიც, და მაინც, ცხადია, რაც მოხდა, იმას რა დაავიწყებდა. ის ორი უცნობიც გავიდა.

— ხედავ? — თქვა მისს რებამ, — ბევრი არ გვინდა, ერთი კარგი ბედაური და მილიონი დოლარიც ჩასასვლელად.

— კვირა საღამოს ნედს რომ მოუსმინეთ, — ბუნმა თქვა, — და კიდეც დაიჯერეთ მისი ნათქვამი, ასე გსურდათ და იმიტომ, მე კი სხვა რა გზა მქონდა. იმ დაწყევლილი ავტომობილის გაუჩინარების მერე ეს ცხენილა დაგვრჩა, ხოდა, მოდი და ნუ დაიჯერებ.

— გეყოფა, — მისს რებამ უთხრა, — გაჩუმდი.

— შენც ნულარ დარდობ, — ბუნმა მითხრა, — ის სადგურში წავიდა, იქნებ ის ბიჭი ძაღლებმა დაიჭირეს კვლავ და ნედმა იქნებ მატარებელში ჩასვა. ანუ იმ გოგომ ასე მითხრა...

— მაშ ნედმა ის ბიჭი იპოვნა? — ვკითხე.

— არა, — თქვა ბუნმა, — ნედი ახლა სამზარეულოშია. შეგიძლია მას ჰკითხო, ანუ იმ გოგოს ასე აქვს ნათქვამი. დიახ. ასე რომ სადარდებელი კიდევ გაქვს დარჩენილი. მისს რებამ ის ბალთიანი კაცი კი მოგაცილა, მაგრამ მეორე ხომ დარჩა, რა გვარია? მგონი, კოლდუელი, იმ მატარებელს ჩამოჰყვა ამ დილით.

— რაებს მიედ-მოედები? — უთხრა მისს რებამ.

— არც არაფერს, — მიუგო ბუნმა, — სათქმელი რაღა უნდა მქონდეს. მორჩა, გათავდა. ლუციუსის მეტოქენი ახლა ის ორია, ბალთიანი და რკინიგზელის ქუდიანი. — მაგრამ მე უკვე ფეხზე წამოვდექი, რადგან ვიცოდი, სადაც შეიძლებოდა ევერბის ნახვა.

— სულ ეს იყო შენი საუზმე? — მისს რებამ ჰკითხა.

— თავი დაანებე, — თქვა ბუნმა, — შეყვარებულია კაცი. — მისალები გამოვიარე. შეიძლება ნედი მართალი იყო, დოლს რაც უნდა, ეს ორი ცხენია, რომლებსაც სხვა საქმე არ აქვთ, თანაც დიდი-დიდი ათი მილით ერთმანეთს დაცილებულნი, მაშინ ჰაერიც კი შეიქნება გამავრცელები ახალი ამბებისო. მაგრამ ქალების სასტუმრო ოთახში მათ ჯერ კიდევ არ შემოელწიათ. მტირალი ევერბი კარგი სანახავი იყო-მეთქი, რომ ვთქვი, ეს იმიტომ, რომ იმდენად ტანსრული გახლდათ, რამდენიც არ უნდა ეტირა, ცრემლები ისე შეაშრებოდა სახეზე, ნაკვალევსაც არ დაუტოვებდა. ახლა მარტო იჯდა ოთახში და ცრემლებად იღვრებოდა კვლავაც, მესამედ, არა, მეოთხედ, თუ იმ ორ ღამეს გავიხსენებთ. კი იყო საკითხავი, რატომ; არც არავინ აძალებდა ჩვენთან ერთად წამოსვლას და შეეძლო მემფისს დაბრუნებულიყო რომელიმე მატარებლით. ის კი აქ იყო, ასე სურდა და იმიტომ, და კიდევ, პარშემს რომ ჩამოვედით, უკვე მეორედ ტიროდა. ისე კი, რაც უნდა ცრემლის მდინარე ჰქონოდა დაგუბებული, ოტისის გულისთვის დასალვრელად მაინც არ ღირდა, ხოდა, ვუთხარი:

— არა უჭირს რა. ნედი იმას იპოვნის. დიდი მადლობა, რომ გამირეცხეთ. ბატონი სემი სადღაა? მგონი, ამ მატარებლით უნდა ჩამოსულიყო.

— მემფისში მოუხდა წასვლა ფორმის გასახდელად, — ასე თქვა, — დოლზე ისე გამოწყობილი ხომ ვერ მოვა. შუადღით დაბრუნდება სატვირთოთი. ჩემი ცხვირსახოცი სად არის?

მოვუძებნე ცხვირსახოცი. — იქნებ სახე დაიბანოთ, — ვუთხარი, — ნედი მონახავს და კბილსაც დააბრუნებინებს.

— სულაც არა მაქვს იმ კბილის დარდი, — მითხრა, — მინის ახალ კბილს ვუყიდი. მე მხოლოდ... ან კი ფერმაში რა უნდა ესწავლა... იქ ხომ... შენ ხომ ისიც აღუთქვი დედაშენს, სხვისას რომ არ აიღებ?

— ამის აღთქმა არცაა საჭირო, — ვუთხარი, — არავისი არაფერი არ უნდა აიღო და მორჩა.

— მაგრამ სიტყვა მომეცით, თუ გეტყოდა, ხომ მისცემდი?

— არც არაფერს მეტყოდა, — ვუთხარი მე, — არ უნდა აიღო და მორჩა.

— დიახ, — თქვა. მერე დასძინა, — მემფისს აღარ დავრჩები. სადგურში რომ ვიყავი ამ დილით, სემს ვუთხარი და იმან, ძალიან კარგიო, თქვა, სამუშაოს მიშოვნის ჩატანუგაში ან კიდევ სადმე. შენ მაშინ ისევ ჯეფერსონში იქნები და ბარათს გამოგიგზავნი, მოგწერ, სადაც ვიქნები, და თუკი მოისურვებ...

— დიახ, — ვუთხარი, — მეც მოგწერთ. წამოდით. ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონდეთ საუზმე დამთავრებული.

— შენ კიდევ არ იცი ჩემ შესახებ, ვერც წარმოიდგენ...

— ვიცი — ვუთხარი, — ევერბი კორინთია. უკვე ორი თუ სამი დღეა

ასეც გეძახით, მართალი თუ გინდათ, ოტისმა მიამბო, არც არავის ვეტყვი, თუმცა კი რატომ, არ ვიცი.

— არ იცი? ძველად სოფელში არქმევდნენ ხოლმე ასეთ სახელებს. ხოდა, მოდის ვილაცა დაწესებულებაში და გეუბნება, ევერბი კორინთიას დაუძახეთო. შერცხვებოდათ, ან სიცილით დაიხოცებოდნენ. ასე ფიქრე, დავირქმევ ივონას, ბილის ან კენის-მეთქი. მერე რებამ [illegible], კარი იყოსო.

— რა სისულელეა! — ვუთხარი.

— შენი აზრით, კარგად არ ისმის? აბა ხმამაღლა თქვი, — მე ვთქვი. ყური დაუგდო. სწორედ ასე უსმენენ ხოლმე ექოს. — ჰო, — თქვა, — მგონი, შეიძლება ასე დამიძახონ.

— მაშინ წადით და ისაუზმეთ, — ვუთხარი, — ნედი მელოდება და უნდა წავიდე. — მაგრამ ამ დროს ბუნი შემოვიდა.

— ბევრი ხალხი მოგროვილა იქ, — თქვა მან, — მგონი, არ უნდა მეთქვა იმ ყეყეჩისთვის, დღეს შენ რომ იქნები ჟოკეი, — მერე შემომხედა, — შეიძლება სულაც არ უნდა წამომეყვანე ჯეფერსონიდან. — ოთახის ბოლოს ფარდის უკან ერთი პატარა კარი იყო. მერე ასე თქვა, — აბა წამოდი, — კარის იქით კიდევ ერთი დერეფანი იყო. იქიდან სამზარეულოში გამოვედით. სქელ-სქელი მზარეული ქალი ჭურჭელს რეცხავდა ნიჟარაში. ნედი იქვე, მაგიდასთან იჯდა და თავის საუზმეს ამთავრებდა, მაგრამ მაინც ენად იყო გაკრეფილი:

— თაფლად რომ ვიღვრები ქალის წინაშე, არ იფიქრო, ქარს ვატანდე სიტყვას. რალაც-რალაცის ყიდვასაც შევძლებ... — მაგრამ მყის შეჩერდა და იმწუთასვე წამოდგა. ასე მითხრა, — მზადა ხარ? სწორედ დროა ქალაქგარეთ წავიდეთ. ზღვა ხალხი ირევა იქ, ფული რომ ჰქონდეთ ამათ და ყველა ჩამოსულიყო სხვა ცხენზე, ჩვენც რომ ფული გვქონოდა და გვცოდნოდა, რომელი ბედაური გაიმარჯვებდა, არა მარტო იმ ავტომობილს დავიბრუნებდით, ჯეფერსონში მთელ პასემსაც თან წავიყოლებდით. ასე მოვთაფლავდით ჩვენს პატრონ პრისტს. ქალაქის მესაკუთრე ჯერ კიდევ არ ყოფილა და იქნებ მოსწონებოდა.

— დაიცა, — თქვა ბუნმა, — ნუთუ არაფერი თადარიგის დაჭერა არ გვინდა?

— თადარიგის დაჭერა ვისაც უნდა, ეს მეხთამტეხელია, — თქვა ნედმა, — მისი თადარიგი ის იქნება, წინ გაიჭრეს და მანამ ირბინოს, სანამ არ ეტყვიან, გაჩერდიო. მაგრამ ვიცი, რასაც გულისხმობ, დოლი პოლკოვნიკ ლინსკომის სარბენ ბილიკზე იქნება ორ საათზე, აქედან ოთხი მილის დაცილებით, მე, მეხთამტეხელი და ლუციუსი დოლის დაწყებამდე იქ ორი წუთით ადრე გავჩნდებით... თქვენ კი სჯობს იქ დაგვხვდეთ. ისე რომ მაშინვე უნდა წახვიდეთ აქედან, როგორც კი ბატონი სემი სატვირთო მატარებლიდან გადმოვა. შენი და მისი საქმეა დროზე მიხვიდეთ და მეხთამტეხელზე ფულს ჩახვიდეთ, ჩასასვლელი ფულიც იქონიოთ.

— დაიცა, — უთხრა ბუნმა, — იმ ავტომობილს კი რალა ვუყოთ? რა ჯანდაბად გვინდა ფული, თუ სახლში უმისოდ დავბრუნდებით...

— იმ ავტომობილს თავი დაანებე, — თქვა ნედმა, — ხომ გითხარი, იმ ბიჭებსაც უნდათ სახლში დაბრუნება, ამ სალამოსვე უნდა დაბრუნდნენ.

— ვინ ბიჭებს? — ჰკითხა ბუნმა.

— დიახ, დიახ, ბატონო, — უთხრა ნედმა, — შობა კარგია, კუდში ახალი წელი რომ არ მოსდევდესო. — მინი შემოვიდა სინზე დასვავებული გასარეცხი ჭურჭლით, ყავისფერ სახეზე ნიღაბი აკვროდა, ტრაგიკული, ნუგეშდაკარგული.

— აბა, მიდი, — ნედმა უთხრა, — კიდევ ერთიც [illegible] ვნახავ, რა ზომა კბილი გინდა, ამაღამ რომ მოგიტანო.

— ამას ნუ იზამ, გოგო, — თქვა იმ ჩასუქებულმა ზანგის ქალმა, — შეიძლება ამ მისისიპელი თაფლიკაცის სიტყვა იქ რამე ღირს, მაგრამ აქ, ჩვენთან, ტენესიში იმით ვერც ვერაფერს იყიდი, თუნდაც ჩემს სამზარეულოში.

— დაიცა, — ისევ თქვა ბუნმა.

— ბატონ სემს დაუცადეთ, — მიუგო ნედმა, — ის გეტყვით ყველაფერს. მე და ლუციუსი კი წავალთ დოღის მოსაგებად. შენ და ბატონმა სემმა აქაურ ხალხში გამოიკითხეთ, ის ჩიტირეკია ხომ არ უნახავთ და იმ კბილის ამბავიც გაიგეთ. — ამჯერად ნედი ბიძია პარშემის ერთი ჯორით შებმულ ორთვალათი ჩამოსულიყო. ახლაც მართალი გამოდგა. სულ შეცვლილიყო ამ ერთ ღამეში ეს დაბა. თუმცა ხალხი იმდენივე იყო ქუჩაში, რამდენიც გუშინ. თითქოსდა თავად ჰაერი იყო შეცვლილი, რაღაც სიხარული დასტყობოდა ირგვლივ ყველაფერს; პირველად ახლა წარმოვიდგინე ნათლად, კიდევ რამდენიმე საათი და ცხენზე ამხედრებული უნდა გამოვსულიყავი. მწარე გემო ვიგრძენი პირში.

— წუხელ ასე არ თქვი, ქალაქიდან რომ დავბრუნდები, ოტისი წასული იქნებაო, — ვუთხარი.

— წასულა კიდეც, — თქვა ნედმა, — მაგრამ არც ისე შორს აქედან. ძაღლები უკვე ორჯერ ყეფდნენ წუხელ იმ საჯინიბოს ახლოს; მათაც ისევე გულს ურევს, როგორც ადამიანებს. ამ დილით რომ წამოხვედი, იმწუთასვე მივიდოდა საუზმეზე.

— მაგრამ სანამ მას ვნახავდეთ, კბილი რომ გაყიდოს?

— ამის დარდი ნუ გაქვს, — მითხრა ნედმა, — ვერ გაყიდის. არავინ იყიდის მისგან და იმიტომ. საუზმეზე თუ არ მივა, მაშინ ლიკურგე იმ თავისი ძაღლებით ისევ ხეზე შეაგდებს და ეტყვის, წუხელ პარშემიდან დაბრუნებულს თურმე ასე მითქვამს, მემფისში ერთი კაცია, ვინც იმ გოგოს კბილში ოცდარვა დოლარს იძლევაო. დაიჯერებს კიდევაც. ასი ან თუნდაც ორმოცდაათი დოლარი რომ უთხრან, მაშინ არ დაიჯერებს. ოცდარვა დოლარი კი რა ფულია, და ასე იაფად ყიდვა რომ უნდათ, იმიტომაც უფრო დაიჯერებს; ასე ეგონება, იმ მემფისელ კაცს მინის მოღორება უნდაო. და თუ ამ საღამოს დოღის დროს მოინდომებს გაყიდვას, ამდენსაც არავინ მისცემს. ხოდა, უნდა დაიცადოს, ვიდრე მემფისს არ დაბრუნდება. ახლა კი თავიდან ამოიგდე ის კბილი და დოღზე იფიქრე. ხომ გახსოვს, ორჯერ უნდა გამოხვიდე. პირველს კი წავაგებთ, მაგრამ შენ ამაზე ნუ იდარდებ...

— რაო? — ვუთხარი, — რატომ?

— რატომ და მარტო ორჯერ უნდა გავიმარჯვოთ.

— პირველი რატომლა უნდა წავაგოთ? რატომ პირველივე არ უნდა მოვიგოთ? თავიდანვე წინ უნდა გავიდეთ, თუკი შევძლებთ, — წუთით ჩუმად იყო და ისე მიჰყავდა ორთვალა.

— სადავიდარაბოა ეს დოღი, ბევრი ზედმეტი რაღაც გამოტყვრა და იმიტომ.

— ბევრი ზედმეტი რა? — ვკითხე მე.

— ბევრი რაღაც, — თქვა, — ხალხიც ბევრია ჩარეული, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბევრჯერ უნდა გამოვიდეთ. ერთხელ რომ ვიყოთ გამოსასვლელი საღღაც ბუჩქების იქით და ჩვენ გარშემო არც-არავინ იყოს, მხოლოდ მე, შენ და მეხთამტეხელი და კიდევ ერთი ცხენი თავისი ფოკეით, მაშინ არა უშავდა რა. გუშინ ხომ ნახეთ, რომ მეხთამტეხელს ერთხელ შეუძლია გაიმარჯვოს. გამოსასვლელი კი სამგზისაა.

— მაგრამ ის ჯორი ხომ რამდენჯერაც გინდოდა, იმდენჯერ გამოგყავდა, — ვუთხარი.

— ეს ცხენი ის ჯორი ნუ გგონია, — თქვა, — იმ ჯორისთანა ცხენი ჯერ არ დაბადებულა და თუ გინდა ჯორიც. ამ ჩვენს ცხენს არც იმდენი ჭკუა აქვს სხვა ბედაურებივით. ხოდა, კარგად უნდა გვახსოვდეს, ერთხელ კი გავაჭენებთ როგორც საჭიროა და იმედია ორჯერაც. მაგრამ ესაა და ეს. მხოლოდ, იმედია-მეთქი. ასე რომ, სასწორზე თავს ნუ შევაგდებთ. ჩვენ ხომ ვიცით, ერთხელ შევძლებთ მოვაგებინოთ და, თუ გაგვიმართლებს, ორჯერ უნდა გავიმარჯვოთ. თუ მაინცდამაინც ერთგზის უნდა წავაგოთ, ისე რომ ჭკუა ვისწავლოთ და სხვა ჯერზე ხელი არ მოგვეცაროს, ის პირველი უნდა იყოს.

— კი, მაგრამ ბუნს თუ უთხარი? მან ხომ არ...

— დე პირველი წააგოს, რათა მთელი ფული არ დავკარგოთ, იმ ქალებმა რომ მოაგროვეს ჩასასვლელად. ვიცი, მისს რება მთელ ფულს არ წააგებს. შემდგომი ორი ჯერისთვის შეინახავს. პირველი წაგება კარგია, დრო მოვა და კიდევაც ვეტყვით ბუნს რაც საჭიროა, ასე რომ შენ...

— ამაზე არ გეუბნები, — ვუთხარი მე, — პატრონისაზე გეუბნები...

— ხომ გითხარი, კარგად მახსოვს, არ დამვიწყებია-მეთქი. — თქვა, — სადარდებელი ახლა შენ სხვა გაქვს. შენი სადარდებელი ეს დოღია და მეტი არაფერი, როგორმე უნდა გავიმარჯვოთ. გუშინ მეხთამტეხელს რომ მიაჭენებდი, ამან რა მასწავლა-თქო, სწორედ ამაზე უნდა იფიქრო. შენი საზრუნავი ახლა მხოლოდ ეს არის. დანარჩენი კი მე ვიცი. ის თათმანი თუ წამოიღე?

— კი, — მე ვუთხარი. მაგრამ ჩვენ ბიძია პარშემისას არ მივდიოდით. სულ სხვა მიმართულებით იყო ჩვენი სავალი.

— ჩვენი საკუთარი საჯინიბო ჩავიგდეთ ხელში ახლა ამ დოღისთვის, — თქვა ნედმა, — პასემის მრეველიდან ერთს ხევი აქვს, სადაც წყარო მოჩუხჩუხებს, თხუთმეტი წუთის სავალი არ იქნება იქიდან სარბენ ბილიკამდე, ჩვენს ადგილსამყოფელს ვერც ვერავინ გაიგებს, არც არავინ მოგვაბეზრებს თავს, ვიდრე თავად არ მოვისურვებთ. ლიკურგემ და პასემმა სწორედ საუზმის მერე წაიყვანეს იქ მეხთამტეხელი.

— ბილიკი? — ვთქვი. რაღა თქმა უნდა, რაღაც ბილიკი უთუოდ უნდა ყოფილიყო. ამის შესახებ რატომღაც არ მიფიქრია. თუკი რამეზე ვფიქრობდი, მგონია, ეს იყო, რომ ვილაც მოვიდოდა მეორე ცხენით, ანუ მოიყვანდა და ჩვენ პირდაპირ ბიძია პასემის მდელოზე გავმართავდით ჯირითს.

— ეს მართალია, — თქვა ნედმა, — ნამდვილი სარბენი ბილიკია, მსგავსი დიდი ბილიკებისა, მხოლოდ ნახევარმილიანია და იქ არც ტრიბუ-

ნებია და არც ლუდისა თუ არყის გასაყიდი ფარდულები. დოლზე კი უნდა იყოს სწორედ. ის ბილიკი მეორე ცხენის პატრონ პოლკოვნიკ ლინსკომის მდელოზეა, მე და ლიკურგე წუხელ იქ ვიყავით და ვნახეთ. სარბენი ბილიკი-მეთქი და არა ის ცხენი. მე ჯერ ის ცხენი არ მინახავს. მაგრამ იქნებ კი ვნახოთ დღეს, შორიდან მაინც მის კუდს მოვკრათ თვალი. ჩვენ ყველაფერი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ის ცხენი მეორე და მესამე გაჭენებაზე მეხთამტეხელის კუდს ხედავდეს. ასე რომ მგონია, იმ ბიჭს უნდა დაველაპარაკო, ვინც მისი ჟოკეი იქნება. ის ზანგის ბიჭია, ლიკურგე იცნობს მას. რაღაც-რაღაცები უნდა ვუთხრა და თან ისე, რომ მერელა მიხვდეს, რაც ვუთხარი.

— ჰო, — ვუთხარი, — მაგრამ როგორ?

— ჯერ იქ უნდა მივიდეთ, — თქვა ნედმა. ხოდა, წავედით. რა თქმა უნდა, ამ მიდამოს პირველად ვხედავდი. პოლკოვნიკ ლინსკომის პლანტაციაზე მივდიოდით, შეიძლება სხვისაზეც — კარგად მოვლილი მინდვრები, ახლახან აჯეჯილებული ბამბისა და სიმინდის ყანები, მაგარი ლობით გარშემოვლებული საძოვრები, მოიჯარადრეთა პატარა სახლები და ბამბის საწყობები მათ ბოლოში; ბეღლებიც იყო აქ და საჯინიბოებიც; და უცებ თეთრად გამოჩნდა სარბენი ბილიკის წრე; ჩვენ — ანუ ნედმა — გადაუხვია მწვანით დაბურულ სავალზე და ტევრისკენ გავსწიეთ, აგერ ის ადგილიც, მყუდრო, დაცული და, თუ გნებავთ, მიმალულიც: წიფლნარი ღელის პირას, აქვე მეხთამტეხელი და ლიკურგე მისი სადავით ხელში, მეხთამტეხელი გასუფთავებული, გაკრიალებული, შუქჩრდილების ლაციცში აქა-იქ ბზინვა რომ გაუდიოდა. იქით მეორე ჯორი იდგა ხეზე მიბმული. ხოლო ბიძია პარშემი, შავ-თეთრ ფერებში, კაცი დრამატული, თითქმის მეფურად მოკალათებულიყო იმ უნაგირზე, რომელიც ლიკურგეს მოეხსნა და სავარძლის მაგივრად დაედგა. ჩვენ გველოდებოდნენ ყველანი. იმწუთსვე მივხვდი, რად ამიტანა უსიამო გრძნობამ. თურმე ყველანი ჩვენ გველოდნენ. სწორედ იმ წუთს, როდესაც მეხთამტეხელი და მე ერთად შევიგრძნობდით (არათუ ვისუნთქავდით) ერთსა და იმავე ჰაერს, არანაკლებ ათასი ნაბიჯის დაშორებით იმ სარბენი ბილიკიდან, ხოლო შეჯიბრის დაწყებამდე ათასისავე მეათედ წუთზე მეტი არ იყო დარჩენილი, სწორედ იმ წუთს ჩავხვდი, რომ არამარტო მეხთამტეხელი და მე ვიყავით ერთ ბედქვეშ, ჩვენ გვიკავშირდებოდა სხვათა ბედ-ილბალიც, ყოველ შემთხვევაში ჩვენზე იყვნენ დამოკიდებულნი ბუნიცა და ნედიც, ანუ ის, შეძლებდნენ თუ არა ისინი სახლში დაბრუნებას. რაღაც მისტიკური იყო იმ ამბავში, რომ თერთმეტი წლის ბიჭს დააწვა ასეთი ტვირთის თრევა, რაც სწორედაც არ იყო მისი საქმე. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ვერ შევამჩნიე, ანუ დავინახე და ვერ მივხვდი, ლიკურგემ რომ მეხთამტეხელი ბიძია პარშემთან მიიყვანა, მერე მოგვიახლოვდა და ჯორის ალვირს ჩაეჭიდა. ნედმა ჰკითხა, აბა თუ გაიარეცი, და მან, დიახ, ბატონო, უპასუხა. მერე ნედმა მითხრა, რად არ მიხვალ და არ გამოართმევ მეხთამტეხელის სადავეს ბიძია პარშემს, რომ არ შეწუხდესო? იმწუთასვე შევასრულე, რაც თქვა. ხოლო ნედი და ლიკურგე დარჩნენ ერთმანეთის პირისპირ ორთვალასთან. ცოტა ხნის მერე ნედი ჩვენთან მოვიდა, ლიკურგემ კი იმ ორთვალადან ჯორი გამოხსნა, ალვირი და მოსართავები დაახვია, მერე ის ჯორი მეორეს გვერდით იქვე ხეზე მიაბა და ჩვენთან დადგა, სადაც ნედი ჩაცუცქულიყო ბიძია პარშემის გვერდით.

— აბა კიდევ ერთხელ გვიამბეთ იმ ორი უკანასკნელი შეჯიბრების შესახებ. თქვენ ხომ თქვით, არც არაფერი მომხდარაო, ეს როგორ არც არაფერიო?

— ჩვეულებრივად, — მიუგო ბიძია პარშემმა, — იმ დოღზე სამჯერ უნდა შემოეცლოთ წრეზე, მაგრამ ორიც საკმარისი შეიქნა. [illegible] აღარ იყო საჭირო, ან აღარც მოისურვეს და იმიტომ.

— იქნებ უკანა ჯიბეში არ მოისურვეს ჩაძრომა, — თქვა ნედმა.

— შესაძლოა, — უთხრა ბიძია პარშემმა, — პირველად ის თქვენი ცხენი დროზე ადრე გაჭენდა, მეორედ კი კარგა მაგრა შეაგვიანა ან იქნებ მათრახის გადაკერა მოუხდათ ჯერ ადრე და მერე დაგვიანებით. ერთი სიტყვით, პირველად რომ გადაუჭირეს, თქვენი ცხენი კარგა წინ გაიჭრა და მთელ წრეზე იყო ასე, მაშინაც კი, როცა მათრახს მიეჩვია. ცხენიც კაცივითაა, მიეჩვევა მათრახს და მერე გინდ ცემე და გინდ გაუჯავრდი, სულ ერთია. პირდაპირზე რომ გავიდა და იმ თქვენმა ბედაურმა დაინახა მის წინ ცარიელი სავალი, თითქოსდა ასე თქვა თავისთვის: „რა წესია, მე ხომ აქ უცხო ვარ"; ხოდა, ცოტათი ჩამორჩა, ისე, რომ პოლკოვნიკ ლინსკომის ცხენის ჟოკეის მუხლს თავით სწვდებოდა და ასე იყო მანამ, სანამ არ უთხრეს, ახლა კი შეგიძლიათ გაჩერება. მეორედ რომ გავიდა, ისევ იმ ჭკუაზე იყო და ასე ეგონა, ესეც პირველის გაგრძელება უნდა იყოსო და ისევ ისეთივე მოკრძალებული დარჩა, ანუ არც ამჯერად გასცილებია პოლკოვნიკ ლინსკომის ბიჭის მუხლს, ვიდრე იმ მემფისელმა ჟოკეიმ, ვინც განგებამ მაშინ მას მხედრად მოუვლინა, პირველად არ გადაუჭირა, როგორც ჩანს, არც ისე გვიან, რადგანაც იმწუთასვე წინ გაიჭრა, სანამ არ დაინახა, არავინ იყო მის წინ სავალ ბილიკზე.

— არც ისე ნაადრევად, მაკ-უილს რომ შიშით სული კოჭებში გაპარვოდა, — თქვა ლიკურგემ.

— და მაგრადაც, ხომ? — ჰკითხა ნედმა.

— საკმარისად, — ლიკურგემ მიუგო. ნედი ისევ ჩაცუცქული იყო. თითქოსდა იმ ღამით ცოტათი მაინც მოესწრო დაძინება, მიუხედავად იმისა, რომ ძალლები გაუთავებლივ უყეფდნენ ხეზე ამძვრალ ოტისს. თუმცა მაინც დაღლილ-დაქანცული ჩანდა.

— კარგი, — მითხრა მან, — გაისეირნეთ ახლა შენ და ლიკურგემ იმ საჯინიბომდე, დინჯად იყავი, თითქოს მხოლოდ იმ ცხენის ნახვა გინდა, დღეს საღამოს რომ შენი მოწინააღმდეგე იქნება. იდექი იქ შენთვის ჩუმად, ლიკურგეს დაანებე ლაპარაკი და როცა წამოხვალ, უკან არ მიიხედო. — აღარც კი მიკითხავს, რატომ-მეთქი. მაინც არაფერს მეტყოდა. საჯინიბო შორს არ იყო, კარგად მოვლილი ნახევარი მილის გზა გავიარეთ და თეთრად შეღებილ მეჩხერ ღობეს მივადექით. მალე საქონლის ეზო და იქ აგებული საჯინიბო დავინახეთ. იმდენად კარგი იყო, ასეთი ბიძია ზაკს რომ ჰქონოდა მაკ-კასლინების მამულში, შეიძლება დეიდა ლუიზა იქ გადასულიყო საცხოვრებლად. მივდიოდი და ვერავის ვხედავდი. მაინც რას ველოდებოდი? იქნებ იმ სასადილო დარბაზში საუზმეზე რომ იყვნენ, იმაზე უფრო მეტ კომბინეზონიან და უშალსტუხო გულშემატკივრებს, რომლებიც კედლის გასწვრივ თამბაქოს ღეჭვა-ღეჭვით იქნებოდნენ ჩაცუცქულნი, როგორც დილით რესტორნიდან დავინახე. შეიძლება ჯერ კიდევ ადრე იყო და მივხვდი, სწორედ ამიტომაც გამოგვაგზავნა ნედმა ჩვენ. ლიკურგე ზანტი ნაბიჯით შევიდა იმ შენობაში ანუ საჯინიბოში. სწორედ

იმსიდიდე იყო ჯეფერსონში ჩვენი თითქმის უშემოსავლო საეტლე სადგომი, თუმცა, ცხადია, უფრო სუფთა. ერთ მხარეს ალკაზმულობის საწყობი მოეთავსებინათ, მეორე მხარეს — კანტორა, ჩვენ რომ გვქონდა, იმის მსგავსი; ზანგი მეჯინიბე სილრმეში ბაგას ხვეტავდა, ვილაც ყმაწვილი კაცი, რომელიც ლიკურგეს ტყუპისცალი გეგონებოდა, კედელთან თივაზე ნამოგორებულიყო. ასე უთხრა ლიკურგეს, გამარჯობა, ვაჟო, ცხენის ნახვა გინდაო?

— გაგიმარჯოს, ვაჟო, — ლიკურგემ მიუგო, — ორივე ცხენი უნდა ვნახო. ის მეორეც აქ უნდა იყოს, ხომ?

— რაო, ბატონი ვანტოში არ ჩამოსულა ჯერ კიდევ?

— ის ალარ ჩამოვა, — თქვა ლიკურგემ, — კოპერმაინს ახლა შეჯიბრებაზე სხვა თეთრი კაცი გამოიყვანს, ბატონი ბუნ ჰოგანბეკი. მისი ჟოკეი ეს თეთრი ბიჭი იქნება. ეს კი მაკ-უილია, — მომიბრუნდა მე. მაკ-უილი ერთხანს მაკვირდებოდა, მერე კანტორის კართან მოვიდა, გამოალო, ვილაცას გასძახა და გვერდზე მიდგა, თეთრი კაცი გამოატარა (მწვრთნელია, ჩამჩურჩულა ლიკურგემ, ბატონი უოლტერიო); იმან თქვა:

— დილა მშვიდობისა, ლიკურგე, ის ცხენი სად გყავთ გადამალული? რა თავგზას გვიბნევთ? გამოტყდი.

— არა, ბატონო, — ლიკურგემ მიუგო, — მგონი, ჯერ კიდევ არ ჩამოუყვანიათ ქალაქიდან. ჩვენ კი უკვე აქ გვეგულებოდა, ხოდა, იმის სანახავად მოვედით.

— ფეხით მოხვედით მამაშენის სახლიდან?

— არა, ბატონო, — ლიკურგემ უთხრა, — ჯორებით.

— მერედა სად დააბით? მე არც ერთი არ დამინახავს. ან იქნებ ისეთი სალებავი გადაავლეთ, უჩინმაჩინები შეიქნენ იმ ცხენივით, რომელიც გუშინ დილას სატვირთო ვაგონიდან გადმოიყვანეთ.

— არა, ბატონო, — უთხრა ლიკურგემ, — გამოვხსენით და მინდორზე გავუშვით საბალახოდ, დანარჩენი გზა კი ფეხით გამოვიარეთ.

— ისე კი, რახან ცხენის სანახავად მოხვედით, გულს ალარ დაგწყვეტთ, გამოიყვანე, მაკ-უილი, და უჩვენე.

— ჯერ წინიდან შეხედეთ, რაკი დათვალიერება გინდათ, — მაკ-უილიმ თქვა, — მთელი ზამთარი კოპერმაინის ჟოკეები აქერონტის გავას უმზერდნენ, წინიდან არც ერთ მათგანს არ უნახავს.

— კარგი, მაშინ ეს ბიჭი იმის დათვალიერებას წინიდან დაიწყებს. შენ რა გქვია, ვაჟო? — მითხრა მე, — აქაური არ უნდა იყო.

— არა, ბატონო, მისისიპიდან, ჯეფერსონიდან ვარ.

— ბატონ ჰოგანბეკს ჩამოჰყვა, კოპერმაინი ამას გამოჰყავს დოლზე, — უთხრა ლიკურგემ.

— ჰოო! — ბ-მა უოლტერმა თქვა, — ბატონმა ჰოგანბეკმა იყიდა იგი?

— არ ვიცი, ბატონო, — ლიკურგემ მიუგო, — შეჯიბრებაზე გამოჰყავს ბატონ ჰოგანბეკს. — მაკ-უილიმ ცხენი გამოიყვანა. მან და ბ-ნმა უოლტერმა ასალი გადააძვრეს, შავრა იყო, მეხთამტეხელზე უფრო მსხვილი, უფრო ფიცხიც ჩანდა, თვალის თეთრონს ატრიალებდა, მის გვერდით თუ ვინმე გაინძრეოდა ან დაილაპარაკებდა, ყურებს დაცქვეტდა და უკანა ფეხს წამოსწევდა თითქოსდა წიხლის საკვრელად. ბ-ნი უოლტერი

და მაკ-უილი ორივე რაღაცას ეუბნებოდნენ, ეჩურჩულებოდნენ, თვალს არ აცილებდნენ.

— კარგი, თქვა ბ-ნმა უოლტერმა, — წყალი დაალევინე აქერონტს და ბაგაში წაიყვანე. — ჩვენც მივყევით. — გამხნევდით, — ასე დასძინა, — დოლი შეჯიბრებაა, მეტი არც არაფერი.

— დიახ, ბატონო, — მიუგო ლიკურგემ, — ყველა ასე ამბობს. დიდი მადლობა, რომ გვაჩვენეთ.

— გმადლობთ, ბატონო, — მეც ვუთხარი.

— ნახვამდის, — გვითხრა ბ-ნმა უოლტერმა, — იმ ჯორებს ნულარ ალოდინებთ. დოლზე შევხვდებით ერთმანეთს დღისით.

— არ ვალოდინებთ, ბატონო, — მიუგო ლიკურგემ.

— დიახ, ბატონო, — მეც ვუთხარი. წამოვედით, გვერდით ჩავუარეთ ისევ იმ საჯინიბოსა და სარბენ ბილიკს.

— ბატონმა მაკ-კასლინმა რაც გვითხრა, ხომ გახსოვს? — ლიკურგემ თქვა.

— ბატონმა მაკ-კასლინმა? — მე ვუთხარი, — ჰო, როგორ არა.

ის კი არ მიკითხავს ამჯერადაც, რატომ-მეთქი? თავად მივხვდი ახლა. ან შეიძლება არ მინდოდა დაჯერება, რომ მივხვდი, რომ თერთმეტი წლისას ასე სწრაფად უნდა შემმუსვროდა ილუზიები. ხოდა, თუ ვკითხავდი, რატომ-მეთქი, ეს იმის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, რომ მივხვდი.

— კარგად ვერ გამოიყურება ის ცხენი, — ვუთხარი.

— შეშინებულია, — თქვა ლიკურგემ, — სწორედ ასე გვითხრა ბატონმა მაკ-კასლინმა წუხელ.

— წუხელ? — ვკითხე, — მე კი მეგონა, იმ ბილიკის სანახავად იყავით მოსულნი.

— ის ბილიკი რატომ უნდა ენახა? — მითხრა ლიკურგემ, — ბილიკს ვერსად ვერ გააჭენებ. ცხენის სანახავად იყო მოსული.

— იმ სიბნელეში? — გამიკვირდა, — კი მაგრამ, არც დარაჯი ჰყავდათ ან არც კარი არ ჰქონდათ ჩაკეტილი?

— მაკ-კასლინი რაღაცას რომ ჩაიფიქრებს, ასრულებს კიდევაც, — თქვა ლიკურგემ, — თავადაც ხომ იცი? — ხოდა, ჩვენ, ანუ მე, უკან არც კი მიგვიხედავს. მივედით იმ ჩვენს სალოცავ ადგილზე, მეხთამტეხელი თუ კოპერმაინი და კიდევ ორი ჯორი დაფოთლილ ჩრდილში ჩლიქებს აბაკუნებდნენ, კუდებს იქნევდნენ, ხოლო ნედი ჩაცუცქულიყო ბიძია ბარშემის უნაგირის გვერდით, წყაროს იქით კიდევ ერთი ზანგი ჩამჯდარიყო. თითქოსდა სადღაც მყავდა ნანახი, მერე კი ვიცანი, სანამ ნედი მეტყოდა: ეს ბობოაო. ასე იყო სწორედ. ისიც მაკ-კასლინი გახლდათ, ბობო ბიჩემპი, ლუკასის ნათესავი — ლუკას კუინტუს კეროთერს მაკ-კასლინ ბიჩემპისა, ვინც, როგორც ბებიას ჰქონდა ნათქვამი, მისთვის კი დედამისს ეთქვა, გარეგნობით (და ხასიათითაც, ყოყოჩა და აუტანელი იყო), იმ ბებერ ლუციუსს დამსგავსებოდა, მხოლოდ სხვადასხვა ფერისანი იყვნენ. ბობო კიდევ ერთი ნაშიერი გახლდათ ბიჩემპისა, უდედოდ, დეიდა ტენისას იზრდებოდა, ვიდრე გარესამყაროს ძახილმა თავის წიაღში არ გაიტყუა და ამ სამი წლის წინათ მემფისს ჩავიდა. ბობო ადრე იმ კაცთან მსახურობდა, ვისიც იყო მეხთამტეხელი, — თქვა ნედმა, — დღევანდელი ჯირითის სანახავად ჩამოვიდა.

მაშასადამე, კარგად იყო საქმე, რადგან, რაც ჩვენ გვაწუხებდა, უფრო სწორად, მე, შეიძლება მას ცოდნოდა — სადაც იყო ის ავტომობილი. შეიძლება სულაც მას ჰყავდა. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, ბუნი და ნედი სულ ადვილად ნაართმევდნენ ავტომობილს; და უცებ თავში გამიელვა, მთელი უბედურება ისაა, რომ თავად არ [illegible] ასე ყოფილიყო. ვთქვათ და გვეთქვა ბობოსთვის, მიდი და ახლავე [illegible] ეი ის ავტომობილი. მაშინ ჩვენ აქ რაღა გვინდოდა? მაშინ რად ვიღელვებდით და ვიშფოთებდით ასე? მაშინ რატომ გადავაფარეთ მეხთამტეხელს შესანიღბავად ასალი, შუალამით მემფისის გარეუბანში ქურდულად გამოვატარეთ და სადგურში მივიყვანეთ; სინდისზე ხელი ავიღეთ, ქალის კალთას ამოვეფარეთ, ძმაბიჭობითა თუ კიდევ სხვა რაღაცით სარკინიგზო კომპანიას მთელი სატვირთო ვაგონი მოვპარეთ და პარშემში ჩამოვიყვანეთ. სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ, ბუტჩთან ჭიდილსა თუ მინის კბილზე, ბიძია პარშემის სახლში შეჭრასა და შებილწვაზე, თეთრად გათენებულ ღამეებზე (დიახ, დიახ!), იმაზეც რომ ჩემიანები მენატრებოდნენ (კიდევ მე და მე), გამოსაცვლელი საცვლებიც რომ არ წამომიღია; და მთელი ეს ცოდვა-ბრალი და თაღლითობა იმიტომ მოვიმოქმედეთ, ჩვენი კი არა, ვილაცის ცხენი დოლზე გამოგვეყვანა და ასე დაგვებრუნებინა ის ავტომობილი, რომლის წამოყვანის უფლება ჯერ ერთი არ გვქონდა და მეორეც — სულაც შეგვეძლო იმ ავტომობილის მოსაყვანად ჩვენსას გაზრდილი რომელიმე ზანგი ბიჭი გაგვეგზავნა. ხომ გესმის, რასაც გეუბნები? თუ იმ ნაშუადღევს დოლზე გამარჯვება არ იყო მთავარი, ანუ თუ მეხთამტეხელი და მე არ ვიყავით საბოლოო და უკანასკნელი საიმედო ზღუდე ბუნს, ნედსა და ბაბუას მრისხანებას შორის და მათ პასუხს ალარ მოსთხოვდნენ, თუ ამ დოლზე გაუმარჯვებლად ან სულაც მონაწილეობის მიუღებლადაც შეეძლოთ ნედსა და ბუნს უკან, ჯეფერსონში დაბრუნება (ერთადერთი თავშესაფარი რომ იყო ნედისთვის, ბუნს კი მხოლოდ აქ შეეძლო გაძლება) ისე, ვითომც არც არაფერი მომხდარიყო და ისევე ეცხოვრათ, ვითომც იქიდან ერთხელაც არ გამოედგათ ფეხი, მაშინ იმ ბიჭბუჭებივით რაღად ვიქცეოდით, ყაჩაღობანას რომ თამაშობენ? ისე კი ბობოს შეიძლება ცოდნოდა, სადაც იყო ის ავტომობილი, რაც სრულიად შესაძლებელი იყო და ვერც ვერავინ იტყოდა რამეს, ის ხომ ჩვენიანი გახლდათ. ხოდა, ასეც ვუთხარი ნედს.

— ხომ გეუბნები, იმ ავტომობილის დარდი ნუ გაქვს, — მითხრა მან, — ხომ დაგპირდი, დრო მოვა და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. სადავიდარაბო ისედაც ბევრი გაქვს, იმ დოლის მეტი ალარაფერი არ უნდა გახსოვდეს. მთავარი ახლა ეს არის. — მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, — რამე ხომ არ შეგეშალათ?

— მე მგონი, არა, — მიუგო ლიკურგემ, — ერთხელაც არ მიგვიხედავს უკან.

— ალბათ ასეცაა, — თქვა ნედმა. ბობო უკვე სადღაც გამქრალიყო. ისე წასულიყო, არც გამიგია და არც დამინახავს. — ქილა მოიტანე, — უთხრა ნედმა ლიკურგეს, — დროა ცოტა რამ შევჭამოთ, ვიდრე მარტონი ვართ და სიწყნარეა. — ლიკურგემ თუნუქის ქილა მოიტანა, ლორის ქონს ყიდდნენ იმით, სუფთა წელსახოცი იყო გადაფარებული, ხოლო შიგნით მჭადის ნაჭრები და შემწვარი ხორცი. ღელეში ჩასაცივებლად იდგა ასეთივე ქილა ბადაგით.

— თუ ისაუზმე? — მკითხა ბიძია პარშემმა.

— დიახ, ბატონო, — ვუთხარი.

— მაშინ მეტს ნულარ შეჭამ, — თქვა მან, — შეგიძლია ერთი ნაჭერი მჭადი აიღო და წყალი მიაყოლო.

— მართალია, — თქვა ნედმა, — ცარიელ კუჭზე უფრო ადვილია ჯირითი. — ხოდა, ერთი ნაჭერი მჭადი მომეცა. ყველანი ბიძია პარშემის უნაგირის ირგვლივ ჩავცუცქდით, შუაში დავიდგით ის ორი ქილა. უკნიდან, ნაპირის მხრიდან ფეხის ხმა მოგვესმა და მაშინვე მაკ-უილის ხმაც გავიგონეთ.

— როგორ ბრძანდებით, ბიძია პარშემ? დილა მშვიდობისა, პატივცემულო, — უთხრა ნედს. მოგვიახლოვდა და არ ვიცი, მანამდე თუ მერე, მეხთამტეხელს დააცქერდა. — ოჰო, კოპერმაინი ყოფილა თურმე. იმ ბიჭებმა ბატონ უოლტერს თავზარი დასცეს ამ დილით, ვაითუ სხვა ცხენი გამოჰყავთო შეჯიბრებაზე. ვის გამოჰყავს, თქვენ, პატივცემულო?

— შეგიძლია ბატონი მაკ-კასლინი დაუძახო, — უთხრა ბიძია პარშემმა.

— დიახ, ბატონო, — მიუგო მაკ-უილიმ, — ბატონო მაკ-კასლინ, თქვენ გამოგყავთ?

— თეთრი კაცია ერთი, ბატონი ჰოგანბეკი, — უთხრა ნედმა, — სწორედ მას ველოდებით ახლა.

— რას იზამ, კი სჯობდა კოპერმაინი კი არა, სხვა ცხენი ყოფილიყო აქერონტის მეტოქე, — თქვა მაკ-უილიმ.

— ასეც ვუთხარი ბატონ ჰოგანბეკს, — მიუგო ნედმა და ჭამა განაგრძო. მერე დინჯად დაავლო ხელი ბადაგით სავსე ქილას და დინჯადვე მოსვა. მაკ-უილი თვალს არ აცილებდა. მერე ნედმა ქილა დადგა და უთხრა, დაჯექი და შემოგვიერთდიო.

— დიდი მადლობა, — თქვა მაკ-უილიმ, — უკვე გეახელით. ბატონ ჰოგანბეკს შეიძლება იმიტომ შეაგვიანდა, რომ სხვა ცხენი უნდა მონახოს.

— დრო აღარ არის, — თქვა ნედმა, — ამით უნდა გამოვიდეს. თავიდათავი ის არის, რომ აქ მხოლოდ ერთმა კაცმა იცის, რა ზნეც სჭირს ამ ცხენს და ამიტომაც არ მისცემს ჩამორჩენის ნებას. ამ ცხენს წინ გასწრება არ უყვარს. კვალში ჩამდგარს უყვარს სირბილი, ვიდრე ფინიშის სწორზე არ გავა და არ დაინახავს, საითაც უნდა გასწიოს. ჯერ მე მისი ჯირითი არ მინახავს, მაგრამ თუნდაც ნაძლევს ჩამოვალ, ვიცი, ის მეწინავე ცხენი რომც ნელა გაიქცეს, ეს მაინც არ გაუსწრებს, რათა მარტო არ დარჩეს, ვიდრე ფინიშის სწორს არ მიატანს და ურ მიხვდება, დოლია და სიჩქარე უნდა მოუმატოს. თუ ვინმეს მისი დამარცხება უნდა, სიფრთხილე მართებს, არ უნდა გააღიზიანოს, ხოლო როცა გაიგებს, დოლზე ვარო, გვიანღა იქნება. როდესმე შეიძლება ვინმემ ისე შორს ჩამოიტოვოს, რომ დაფრთხეს და აიწყვიტოს კიდეც. მაგრამ ამ დოლზე ასე არ მოხდება. თავიდათავი ისაა, მხოლოდ ერთმა იცის აქ ეს ამბავი და არა იმან, ვინც უნდა იცოდეს.

— ის ერთი კი ვინღაა? — მაკ-უილიმ ჰკითხა.

ნედმა კიდევ ერთი ნაჭერი ჩაკბიჩა.

— იმ ცხენის ჟოკეი ცი დღეს ვინაა?

— მე, — უთხრა მაკ-უილიმ, — ბიძია პარშემმა და ლიკურგემ ვითომ არ გითხრეს, რომ მე ვარ სწორედ?

— შენზე უფრო კარგად ვინ მეტყვის, ვინც არის, — მიუგო ნედმა, — დაჯექი და ჭამე, ბიძია პასემს იმდენი აქვს, ყველას გვეყოფა.

— დიდი მადლობა, — კვლავ უთხრა მაკ-უილიმ. — ეს, — განაგრძო მან, — ბატონ უოლტერს გაუხარდება, სწორედ კრაურმაენი რომაა და არა სხვა. ყველას გვეშინოდა, ვაითუ სხვა ახალს გადავეყაროთო. სარბენ ბილიკზე გნახავთ, — თქვა მერე და წავიდა. ერთხანს შევიცადე.

— კი მაგრამ, რატომ? — ვკითხე.

— აბა რა ვიცი, — მითხრა ნედმა, — შეიძლება არც კი დაგვჭირდეს, რაც შეგვეძლო, ყველაფერი ვიღონეთ, გახსოვს, რა გითხარი ამ დილით? სადავიდარაბოა ხოლმე დოლი და რაღას არ გაიგებ. ჯერ ერთი, ჩვენი არ არის ის ბილიკი და არც ჩვენი მშობლიური კუთხეა ეს მიდამო. დაბოლოს ის ცხენიც ხომ ჩვენი არ არის, ასე ვთქვათ, ნათხოვარია. დამხმარეც არავინ არ გვეყოლება. ჩვენდა თავად რაღაც უნდა ვიღონოთ. სწორედ ასეც უნდა. კარგი ბედაურიაო ის ცხენი, რომ ამბობენ, მართალია ვითომ? თუ ასეა, რატომ არ გამოჰყავთ დოლზე მემფისში, ლუისვილსა ან ჩიკაგოში? მხოლოდ საღღაც სოფლის კუთხე-კუნჭულებში დოლი რომ იმართება, იქ, და მისი მეტოქეები ჩვენსავით რომ გამოტყვრებიან, ისინია, დიახ, ასეა, წუხელ რომ ვნახე, ის ცხენი ვერაფერი შვილია. მეოთხედ მილზე კარგად გაჰქუსლავს და მერე ორმოცდაათ ნაბიჯზე ისე წახდება, ვერც მიხვდები.

— მაკ-უილის, — მე ვუთხარი.

— ... მაკ-უილის ამის დარდილა ჰქონდა, აქერონტზე შემომჯდარიყო და თავი მისთვის იქით მიეტრიალებინა, სადაც საჭიროა; ორგზის გაიმარჯვა და უკვე ჰგონია, გინდაც ერლსენდი იყოს და დენ პეტჩიც* ჩემთან რას მოვლენო. რაღაც აზრი ჩავაწვეთეთ და ახლა თავში ორი აზრი უტრიალებს, ერთი მეორის საწინააღმდეგო. დავიცადოთ, ვნახოთ. მანამდე კი აგერ იმ ბუჩქებში წამოწექი და დაისვენე, ხმა ახლა ყველგანაა გავარდნილი, ხალხი სუნსულს დაიწყებს დასაყნოსად და აღარ მოგასვენებს.

ასეც ვქენი. მაგრამ ძილ-ღვიძილში ხმაური მესმოდა. იდაყვზე წამოწევა და ცალი თვალით ბუჩქებიდან გაჭვრეტა არ დამჭირვებია იმათ დასანახავად, ვისაც კომბინეზონები ეცვათ, უპალსტუხოდ იყვნენ და გაპოხილი შლაპები ეხურათ, ჩაცუცქულები თამბაქოს ღეჭვა-ღეჭვით ცხენს ათვალიერებდნენ, ზანტნი, სიტყვაძუნწნი, სახეკუშტნი და მაინც მეძინა, როცა ლიკურგე თავს დამადგა. კარგა ხანი გასულიყო, სხივებს აფენდა ნაშუადღევის მზე. წასვლის დროაო, ასე მითხრა. ნედისა და ბიძია პარშემის გარდა მეხთამტეხელთან აღარავინ იყო. სხვანი უკვე სარბენი ბილიკისკენ წასულიყვნენ, მეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. მეგონა, ბუნსა და სემს ვნახავდი, იქნებ ევერბიცა და მისს რებაც მოსულიყვნენ (მაგრამ ბუტჩი არც კი გამხსენებია; შეიძლება მისს რებამ მართლაც შესძლო მშვიდობიანად მისი თავიდან მოცილება, უკან ჰადუიკში დააბრუნა ან

---

* ერ ლ ს ე ნ დ ი — 1920—1930 წლებში სახელგანთქმული ჟოკეი, ვინც მრავალგზის იმარჯვებდა შეჯიბრებაში; დ ე ნ პ ე ტ ჩ ი — ასევე სახელგანთქმული ბედაური, რომელსაც ერთ მილზე რეკორდი ჰქონდა დამყარებული.

კიდევ სადმე, სადაც, იმ მმართველის სიტყვით, ცხოვრობდა. იგი აღარც მახსოვდა, და უცებ გამიელვა თავში, რას მიქადდა ეს დილა).

— ჯერ არ მოსულან? — ვიკითხე.

— იმათთვის არც არავის უთქვამს, სად უნდა მოსულიყვნენ, — თქვა ნედმა, — ბუნ ჰოგანბეკი ჩვენ აქ არ გვჭირდება. აბა ადექი, [illegible] ურება უნდა ამ ცხენს. — შევჯექი. კარგად მოვლილი მაკ[illegible]ქილი უნაგირი და ასეთივე მოვლილი გაქექილი აღვირი ნაწილი იყო ბიძია პარშემის (ან კიდევ ვილაცის) სამხედრო ნადავლისა იმ წაგებული ომიდან. ოღონდ ჩვენ მიერ არა, რაშიაც წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, შენი შინაბერა დეიდებ-მამიდებისაგან განსხვავებით.

— იქნებ ოტისს ეძებენ, — ვუთხარი მე.

— იქნებ კი, — თქვა ნედმა, — მართლაც დიდებული ადგილია იმაზე სანადიროდ, თუკი იპოვნიან.

გზას დავადექით. ბიძია პარშემი და ნედი მეხთამტეხელს წინ მიუძღვებოდნენ; ლიკურგეს კი ორთვალა უნდა წამოეყვანა და ის მეორე ჯორიც, ოღონდ უფრო შორი გზით. მაგრამ საკითხავი იყო, მოახერხებდა კი ამ დუნდგოში გამოსვლას. მთელი ეს არემიდამო გადატენილი იყო ფურგონებით, მათი აქ მომყვანი ოთხფეხნი კი გამოეხსნათ და უკან ან გვერდით ბიგებზე მიებათ, ორთვალები, ცხენები და ჯორები კი პირდაპირ ღობეებზე. ჩვენ, უფრო სწორად, მე, ვხედავდი უამრავ ხალხს მოაჯირის გასწვრივ თუ ბაკის სიახლოვეს, უჰალსტუხო და კომბინეზონებიან თეთრებსა და შავებს, რადგანაც არ დაგავიწყდეს, შინაურული დოღი უნდა გამართულიყო; სწორედ ეს იყო დემოკრატია, მაგრამ არა მოზეიმე, მოზეიმე შეიძლება ყველა და ყველაფერი იყოს, თუკი სულ მუდამ მცველად ედგებოდნენ მის სათუთ უბიწოებას; არა, ეს იყო მოქმედი დემოკრატია — პოლკოვნიკი ლინსკომი, კაცი არისტოკრატი, სუვერენი, არც კი მობრძანებულიყო, და, რამდენადაც ვიცოდი, არც არავინ უწყოდა, სად იყო, და რამდენად ესეც ვიცოდი, არც არავის ჰქონდა ამის დარდი. იმ ცხენებიდან ერთის პატრონი ის გახლდათ (მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვისი იყო ის ცხენი, რომლის მხედარიც მე ვიყავი), მასვე ეკუთვნოდა აქაური მტვერიც, სადაც ჩვენ ჯირითი უნდა გაგვემართა, და თეთრად შეღებილი კოხტა ბარიერით შემოვლებული სარბენი ბილიკი და იქვე საბალახო, ფურგონებით, ორთვალებით გადაჭედილი. ერთ ადგილას ღობეც შეელეწა ვილაცის დაფეთებულ თუ გაცოფებულ ბედაურს; და მაინც არავინ იცოდა, სად იყო ის კაცი და არც არავის აინტერესებდა ეს.

ბაკისკენ გავსწიეთ. დიახ, დიახ, ყველაფერი გვქონდა, რაც დოღისთვის იყო საჭირო, გარდა, როგორც ნედი ამბობდა, ტრიბუნების და ლუდარაყის კიოსკებისა; ყველაფერი გვქონდა-მეთქი და ამასთან ერთად დემოკრატიაც; მსაჯებად აერჩიათ სადგურის ლამის ტელეგრაფისტი და ბ-ნი მაკდაიარმიდი, სადგურის სასადილოს მფლობელი. არაკად დადიოდა მისი ამბავი, შაშხს ისე თხლად ჭრისო, რომ ერთი ნაჭრის შემოსავლით მთელ ოჯახს შეეძლო ჩიკაგოში გამგზავრებულიყო საზაფხულოდ; განმკარგულებელი და სტარტერი გახლდათ ძაღლების მწვრთნელი, ამავე დროს მწყერებზე მონადირე და ამ ფრინველებით ბაზარზეც მოვაჭრე, ვინც სულ ახლახან თავდებით იყო ციხიდან გამოშვებული, მკვლელობა ედებოდა ბრალად (როგორც მონაწილესა თუ თვითმხილველს), ეს ამბავი ამ ზამთარში აქვე ახლოს, არყის გამომხდელ ქარხანაში მომხდარიყო. ერთი სიტ-

ყვით, როგორც გითხარი, ეს გახლდათ გამომზეურება ნების, არჩევნების, კერძო ინიციატივის თავისუფლებისა. ბუნიცა და სემიც უკვე გველოდებოდნენ. — ვერა და ვერ ვიპოვეთ, — თქვა ბუნმა, — თქვენ ხომ არ გინახავთ?

— ვინ არ გვინახავს? — თქვა ნედმა. მერე მე მითხრა, აბა ჩამოდიო. ის მეორე ცხენიც აქ იყო, ისევე მშფოთვარე, რასაც მე ცუდად ეფინას ვეძახდი, მაგრამ ლიკურგემ მითხრა, ნედმა თქვა, შეშინებულიაო. მერე დასძინა, მეხთამტეხელი როგორაა?..

— ჯანდაბას იმ უდღეურის თავი! — თქვა ბუნმა, — ამ დილას არ მითხარი, აქ შემოეხეტებაო.

— შეიძლება რალაც აქვს კიდევ ჩაფიქრებული, — უთხრა ნედმა. მერე მე მომიბრუნდა: — იმ ცხენმა გუშინ რა გასწავლა? უკვე ორი წრე დაარტყმევინე, ხოდა, გაიხსენე, რა გასწავლა. გაიხსენე. — შევეცადე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიხსენე.

— არც არაფერი, — ვუთხარი, — დაგინახავდა თუ არა, პირდაპირ შენკენ გამოქცევა უნდოდა. ხოდა, არ ვანებებდი.

— სწორედ ეს არის, პირველად მეტი არც არაფერი გინდა, ბილიკის შუაგული გეჭიროს, თავის ნებაზე მიუშვი და ნულარ შეაწუხებ. პირველ ჯერზე მაინც წავაგებთ, ისე რომ...

— რაო, წავაგებთო? — მიაძახა ბუნმა, — მაშ რა ჯანდაბად...

— შენ მოუვლი იმ ცხენს თუ იქნებ მე დამანებებ? — ჰკითხა ნედმა.

— კი ბატონო, — მიუგო ბუნმა, — თუგინდ ჯანდაბამდისაც... — მერე დასძინა: — ერთი მითხარი, ის ნაბიჭვარი...

— მაშინ სხვაგვარად გკითხავ, — თქვა ნედმა, — იმ ცხენს შენ გინდა მიხედო, მე კი იმ კბილის საძებრად წავიდე, ხომ?

— უკვე გადიან, — გვითხრა სემმა, — დრო აღარ არის. აბა ერთი ფეხი მომეცი. — და ცხენზე შემსვა. ისე რომ, დრო აღარ იყო არც ნედის ჭკუის დარიგებებისა და არც არაფრისა. მაგრამ აღარც დაგვჭირვებია, ამჯერად ჩვენი გამარჯვების (გამარჯვების კი არა, დივინდენდისა, რომელმაც ყველაფერი აგვინაზღაურა, როგორც მერე გაირკვა) მიზეზი არც მე ვიყავი და არც მეხთამტეხელი, არამედ ნედი და მაკ-უილი; ვერც კი მივხვდი, რა მოხდა, მხოლოდ შემდეგ გავიგე. რადგანაც ტანით ასე პატარა ვიყავი (რაც უდავო იყო) და გამოცდილებაც არ მქონდა (რაც კიდევ უფრო უდავო იყო), თანაც იმ მეორე ცხენს ახლა სულ ველარ იმორჩილებდნენ, თქვეს და შეთანხმდნენ, რომ სტარტთან მეჯინიბეები მიგვიყვანდნენ და არ გაგვიშვებდნენ, ვიდრე არ დაიძახებდნენ: „აბა გასწითო". ასეც ვქენით (ანუ, სხვა რა გზა იყო). მეხთამტეხელი ისე მოიქცა, როგორც ყოველთვის, როდესაც ნედი მის ახლოს იმყოფებოდა და შეეძლო მის ქურთუკსა და ხელს დრუნჩით მისწვდენოდა. აქერონტიც ისე მოიქცა, როგორც ყოველთვის, ანუ ყალყზე დგებოდა, ტლინკებს ყრიდა, მეჯინიბის საკბენად მიიწევდა; და მაინც სტარტს თანდათან ვუახლოვდებოდით. დოლის დაწყებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი; ასე მეგონა, უკვე ვხედავდი, ის კაცისმკვლელი-განმკარგულებელი ფილტვებს როგორ ბერავს და სადაცაა დაიყვირებს, გასწითო! — რომ ყოვლად გაუგებარი რალაც მოხდა.

— აბა მაგრად იყავი, — დამიძახა უეცრად ნედმა და მთელმა ჩემმა სხეულმა ჭახანი მოიღო. არ ვიცი, ისეთი რა მოიშველია, სადგისი, გიზი

თუ ხელში ჩაბღუჯული ლურსმანი, ეს კია, მეხთამტეხელმა ისკუპა, შეხტა, ისე რომ სტარტერს, გასწითო, კი არ დაუყვირია, დაილრიალა:

— სდექ! სდექ! ნწნ, ნწნწნუ! — ჩვენ, ანუ, მეხთამტეხელი და მე, დავემორჩილეთ. სწორედ ახლა დავინახე მუხლებზე დაცემული აქერონტის მეჯინიბე იქ, სადაც აქერონტმა დააგდო, თავად აქერონტი და [illegible] კი მთელი ძალით მიქროდნენ ბილიკზე. მაკ-უილი კისერს [illegible], [illegible]ნდოდა როგორმე გაეჩერებინა, მაგრამ უკვე აეწყვიტა მის ბედაურს. განმაკარგულებელი და რამდენიმე გულშემატკივარი გამოვარდნილიყვნენ სარბენ ბილიკზე, რათა მისთვის გზა გადაეჭრათ და როგორმე სტარტის ხაზთან დაებრუნებინათ. ეს იგივე იყო, ერთი ბაქნიდან მეორე ბაქნამდე სემის გაქანებულ ექსპრესისთვის რომ გეყვირა, გაჩერდიო. თუმცა მაკ-უილიმ ბოლოს მაინც სვლა შეანელებინა და უკვე სულ ერთი იყო, უკან წამოვიდოდნენ თუ წინ, მანძილი იგივე იყო გასავლელი. ხოდა, მაკ-უილიმ (თუ თავად აქერონტმა) პირველი არჩია, ნედი კი მუხლთან მიჩურჩულებდა:

— ხომ ხედავ, ნახევარი მილი მაინც მოვიგეთ. მერე კი მარტო დარჩები. მსაჯები მე... — მსაჯები მართლაც გვიახლოვდებოდნენ, — მხოლოდ გახსოვდეს, ამ ჯერს ყურადღებას ნუ მიაქცევ... — ჰო, მას დისკვალიფიკაცია მისცეს. თუმცა კი მარტო ის დაინახეს, რომ მეხთამტეხელი მანამდე გაუშვა, სანამ დაიძახებდნენ, გასწითო; ვიღაც ბრბოდან გამოსულმა მოხალისემ ითავა ამჯერად მეხთამტეხელის დაკავება. მაკ-უილი თვალებით მბურღავდა ამ დროს, აქერონტი ყალყზე დგებოდა და მეჯინიბეს რის ვაივაგლახით მოჰყავდა საწყისი ხაზისკენ. პირველობა ამჯერად მაკ-უილის დარჩა. გესმის, რისი თქმა მინდა? თუ უკეთურობას არც რა გაეგებოდა სადღაც სოფლად გამართული დოღის შესახებ, არც იყო საჭირო; ესეც საკმარისი იყო, რომ სემი მიბოძა სტარტერად. და ასე მივიწევდი კვლავაც ბოროტების ბილიკზე, ისევე როგორც ოდითგანვე არსებული, ყოვლისადმი გულგრილი რაღაც პროცესი, მსგავსად ოსმოსისა, ან, ვთქვათ და, ფენა ფენას თავისთავად რომ ედება ხოლმე. თავად არ ვიცი, ისე მივუშვი აღვირი (დიდად დამეხმარა ის მოხალისე, რომელიც ჩემი და მეხთამტეხელის პირადი განმკარგულებელი შექმნილიყო) და ასე გავქვავდით. რა თქმა უნდა, თვალი მოვკარი აქერონტის მეჯინიბის ქუსლებს და მერე თავად აქერონტსაც, რომელიც უკვე მეორე წრეს შედგომოდა, მაშინ როცა მეხთამტეხელს და მე ფეხიც არ მოგვიცვლია. მაგრამ ამჯერად მაკ-უილიმ შეძლო აქერონტის მოთოკვა ჯერ კიდევ მოსახვევამდე და მაშველთა ჯგუფმაც მოასწრო მასთან მირბენა და უკან გამობრუნება, ხოდა, ჩვენ — მე და ნედმა — მილის სამი მეოთხედი მოვიგეთ. თუმცა არცთუ ისე მთლად უდავო იყო ეს ამბავი. მაგრამ მთავარი ჯილდო თავად მაკ-უილი გახლდათ — გამძვინვარებულიცა და შეშინებულიც, კვლავ ბრაზით რომ გამომხედა. ის ორი მეჯინიბე კი აქერონტის აკავებდნენ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო, რათა ასე თუ ისე მივსულიყავით სასტარტო ხაზთან. მერე მეხთამტეხელი და მე ცოტათი განზე შევდექით, იმათთვისაც ადგილი ხომ უნდა მიგვეცა, როცა დაიძახებდნენ, გასწითო.

ხოდა, ჩვენც გავსწიეთ. მეხთამტეხელი ღონიერიც იყო და დამჯერიც, მაგრამ სიფიცხე აკლდა და ტვინიც არ ჰყოფნიდა იმის მისახვედრად, რომ დოღზე იყო გამოსული. მაკ-უილი ახლა რაც შეეძლო აკავებდა აქერონტს,

ასე რომ პირველი წრე სულ ჩვენ ვიყავით წინ. მეხთამტეხელი ვერა და ვერ შეგუებოდა მარტოობას და თანდათან უკლებდა სვლას, ვიდრე აქერონტმა არ აიწყვიტა, გამოჰქუსლა, ჩაგვიქროლა, მიუხედავად იმისა, რომ მაკ-უილი კვლავაც ცდილობდა მის შეკავებას. მაშინ კი მოუმატა მეხთამტეხელმა სიჩქარეს, თანაუგრძნო და იმიტომ. მეორე წრეზე იმდენად წამოეწია, აქერონტის კისერს გაუსწორდა და ჩვენი გულშემატკივრების ბრბომაც კიჟინა დასცა, ამაოდ არ ჩავსულვართო ფულს. წინ ფინიშის ხაზი გამოჩნდა. მაშინ მაკ-უილიმ რაც ძალა და ღონე ჰქონდა გადაუჭირა აქერონტს, თითქოსდა მეხთამტეხელსაც მოხვდაო ეს მათხარი. ოცი ფუტი კიდევ და შეგვეძლო მაკ-უილი კიდეც ჩამოგვეტოვებინა თუნდაც ინერციის ძალით. მაგრამ ეს ოცი ფუტი ალარსად იყო. კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გადმომხედა მაკ-უილიმ მხარზემოდან არათუ მრისხანედ და შიშით, უკვე ზარზეიმითაც; მეხთამტეხელს სვლა შევანელებინე, მოვატრიალე და ვხედავ, საბალახოზე ჩხუბი შეიძლება არა და ჩოჩქოლი კი შექნილიყო, მხრების, თავების და ზურგების ორომტრიალი მთავარი მსაჯის ბაქანთან. და უეცრად ამ ბრბოს შუაგულში პერანგშემოფხრეწილი ბუნი ამოიმართა, ვითარცა მუხა მუმლის ჯგროში, ცალ ხელს აქეთ-იქით იქნევდა, რომელზეც ორი თუ სამი კაცი ჩამოკიდებოდა, და ღრიალებდა. მერე კი გაუჩინარდა და ახლა ნედს მოვკარი თვალი, ბილიკით ჩემკენ გამორბოდა. მერე ბუტჩი და კიდევ ვილაც კაცი გამოეყო ბრბოს და აქეთ წამოვიდნენ. რა მოხდა-მეთქი? — ნედს მივაძახე.

— არაფერი, — მითხრა. მერე ალვირი გამომართვა, მეორე ხელით კი უკანა ჯიბეში ქექვა დაიწყო. — ისევ ის ბუტჩია, მაგრამ ახლა რატომ მოვიდა, არ ვიცი. — და ხელი გამომიწოდა, დინჯად, მოზომილი მოძრაობით, თუმცა კი სწრაფად, — აჰა, აიღე, შენ არ დაგიწყებენ ჩხრეკას. — ნაჭრის ქისა იყო, როგორშიც თამბაქოს ინახავენ ხოლმე. შიგ კაკლის ოდენა მკვრივი რაღაც იდო. — შენ გქონდეს, არ დაკარგო, ვინც მოგცა, კარგად დაიხსომე — ნედ უილიამ მაკ-კასლინ ჯეფერსონ მისისიპიმ.

— დიახ, — ვუთხარი მე და უკანა ჯიბეში ჩავიდევი. — მაინც რა... — მაგრამ ალარ დამამთავრებინა.

— აბა ჩქარა გასწი, პარშემ ბიძია ნახე და მასთან იყავი. არ გინდა არც ბუნი და არც სხვა ვინმე. სხვებსაც მიაყოლებენ, თუ იმას დაიჭერენ. პირდაპირ პასემ ბიძიასთან მიდი და მასთან დარჩი. მან იცის, რაც უნდა ქნას.

კარგი-მეთქი, — მივუგე. ბუტჩმა და იმ კაცმა უკვე სარბენი ბილიკის ჭიშკარს მოატანეს. პერანგშემოხვეული იყო ბუტჩიც. ჩვენ გვიმზერდნენ.

— ეს არის? — იმ კაცმა ჰკითხა.

— ჰო, — უთხრა ბუტჩმა.

— აბა ეგ ცხენი აქ მოიყვანე, ვაჟო, — იმ კაცმა უთხრა ნედს, — მე მჭირდება.

— ფეხი არ მოიცვალო, — ნედმა მითხრა და ცხენი მათ მიუყვანა.

— აბა ჩამოდი, შვილო, — მითხრა იმ კაცმა დაყვავებით, — შენ მე არ მჭირდები. — ჩამოვხტი. — აბა ერთი ალვირიც მომაწოდე. — ნედს უთხრა. ნედმა მიაწოდა. — შენ კი უნდა წაგიყვანო, — უთხრა ისევ ნედს, — დაპატიმრებული ხარ.

11

ბრბო თანდათან მატულობდა. ჩვენ ისევ ბუტჩისა და იმ კაცის წინ ვიდექით, მეხთამტეხელის აღვირი რომ ეჭირა.

— რისთვის, თეთრო ბატონო? — ჰკითხა ნედმა.

— ციხისთვის, ვაჟო, — მიუგო მან, — საიდანაც ხარ, ეგ რა ჭკვია, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან ასე ვეძახით.

— დიახ, ბატონო, — თქვა ნედმა, — ჩვენთანაც ასე ეძახიან. მაგრამ თუ რატომ მიჰყავთ, ზანგებსაც ეუბნებიან.

— ჰე, კანონის კაცო! — განაცხადა ბუტჩმა, — თურმე ქალალდის ნახვა უნდა ამას. აბა აჩვენეთ... ნუ შეწუხდებით, მე თავად, — რალაც დააძრო უკანა ჯიბიდან. კონვერტი იყო, გაზინზლული. ნედმა გამოართვა, ხელში დაიკავა, აუმღვრევლად, წყნარად, — მოგწონს, ჰა? — თქვა ბუტჩმა, — კაცმა წერა-კითხვა არ იცის და ქალალდს კი თხოულობს. უსუნე მაინც. თუ მოგწონს მისი სუნი?

— დიახ, ბატონო, — თქვა ნედმა, — ყველაფერი კარგადაა.

— თუ კმაყოფილი არა ხარ, ნუ დაგვიმალავ, თქვი, — უთხრა ბუტჩმა.

— არა, ბატონო, — გაუმეორა ნედმა, — ყველაფერი კარგადაა. — ჩვენ გარშემო კიდევ უფრო მოჯარდა ხალხი. ბუტჩმა კონვერტი დაიბრუნა, ისევ უკანა ჯიბეში ჩაიდო და დაიძახა: — ყველაფერი კარგადაა, ბიჭებო, მხოლოდ ეს არის გაუგებარი, ამ ცხენის პატრონი ვინ არის. დოლი არ გადაგვაქვს. პირველი გარბენა ჩაითვლება, დანარჩენი ხვალ გაიმართება. ჩემი თუ გესმით მანდ, ბოლოში?

— არც რა გვესმის, თუკი მოგებული თანხის გაცემა გაუქმდება,— თქვა ვილაცამ. სიცილი გაისმა.

— აბა რა ვიცი, — თქვა ბუტჩმა, — ვისაც კი ნანახი აქვს ამ მემფისული ცხენისა და აქერონტის შეჯიბრება შარშან ზამთარს და მაინც მასზე ჩამოვიდა ფულს, დაუკარგავს და ეს არის. — ერთხანს იყუჩა, მაგრამ ამჯერად სიცილის გუნებაზე არავინ დამდგარა. მერე ვილაცამ, შეიძლება სულაც სხვამ დაიძახა:

— უოლტერ კლეპიც ასე ფიქრობს? კიდევ ათი ფუტი და ეს ქურანა დღეს აქერონტის უკან ჩამოიტოვებდა.

— კი ბატონო, კი ბატონო, — გასძახა ბუტჩმა, — ხვალ ვნახავთ, თუ რამე არ შეიცვლება, შემდგომი ორი გარბენი ხვალ იქნება. ორმოცდაათ დოლარს ვინც ჩავიდა, არ დაეკარგება, პოლკოვნიკმა ლინსკომმა მხოლოდ ერთი მოიგო. ახლა კი წავიდეთ, ეს ცხენი და მოწმეები ქალაქს უნდა ჩავიყვანოთ, იქ ყველაფერი ნათელი შეიქნება და მერე დოლისთვის უნდა მოემზადოთ სახვალიოდ. გასძახოს ვინმემ, ჩემი ორთვალა მოიყვანონ. — მერე ბუნი დავინახე, მთელი თავით მათზე მაღალი, დაწყნარებულ-დამშვიდებული ჩანდა, სისხლი ჯერ კიდევ არ მოეწმინდა და ვილაცას (ასე მეგონა, ხელზე ბორკილებით ვნახავდი, მაგრამ შევცდი, ჩვენთან დემოკრატიაა ჯერ კიდევ. ის უმცირესობაში იყო მოხვედრილი მხოლოდ, განდგომაში ვერ დაადანაშაულებდნენ) მისთვის დაგლეჯილი პერანგის სახელოთი კისერი შეეხვია, რათა არ გამოჩენოდა ნაიარევი. მერე სემიც დავინახე, მისთვისაც დაედოთ რალაც ნიშანი, პირველმა მან გამოაღწია ამ

ბრბოში და ჩვენთან მოვიდა. — რაო, სემ, — ბუტჩმა უთხრა, — მთელი ნახევარი საათი შენ გარშემო დავრბოდით და არა და არ მიგვიშვი.

— მართალი ხარ, არც მოგიშვებდი, — სემმა მიუგო, — კიდევ გეკითხებით და უკანასკნელად. ჩვენ დაპატიმრებულნი ვართ?

— ვინ ჩვენ? — ჰკითხა ბუტჩმა.

— ჰოგანბეკი, მე და ეს ზანგის კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ ერთი გამოჩნდა კანონის მოყვარული, — უთხრა ბუტჩმა იმ მეორეს. უკვე მივხვდი, სწორედ მეორე იყო ყველაზე უფროსი პარშემში, ვინც მისს რებამ წუხელ მოიხსენია; არჩეული კონსტებლი ამ მხარისა, სადაც ბუტჩი თავისი ბალთითა და პისტოლეტით ჩვენსავით ერთი სტუმართაგანი გახლდათ, რადგან ის (ბუტჩი) დანიშნული მოხელე იყო, მისნაირები უამრავნი იყვნენ ჰადუიკსა და ოცდაათ მილზე მის ირგვლივ. — იქნებ მასაც მოსურვებია ქალალდის ნახვა?

— არა, — თქვა იმ მეორემ, კონსტებლმა, მერე სემს მიუბრუნდა, — შეგიძლიათ მიბრძანდეთ, სადაც გნებავთ.

— მაშინ მემფისს ჩავალ, იქნებ სამართალი იქ ვნახო, — მიუგო სემმა, — ისეთი სამართალი, რომ ჩემნაირებს შარვალი და იმის ქვეშ რაცაა არ შემოახიონ. ამალამვე თუ ვერ დავბრუნდები, ხვალ დილაადრიან მაინც აქ ვიქნები. — მერე შემომხედა და მითხრა: — წავიდეთ. ჩემთან ერთად წამოდი...

— არა, — მე ვუთხარი, — აქ უნდა დავრჩე.

— ეს ბიჭი ვისთან ერთადაა? — კონსტებლმა იკითხა.

— ჩემთან, — მიუგო ნედმა. თითქოსდა არც გაუგონია, ნედმა რა თქვა, ისე განაგრძო:

— აქ ვინ ჩამოიყვანა?

— მე, — მიუგო ბუნმა, — მის მამასთან ვმუშაობ.

— მე კი მის ბაბუასთან ვმუშაობ, — თქვა ნედმა, — ჩვენ ორივემ თვალი არ უნდა მოვაცილოთ.

— რას იზამ, — თქვა სემმა, — ვეცდები ამალამვე დავბრუნდე. მერე კი ყველაფერს მივხედავთ.

— ხოდა, როცა კი უკან დაბრუნდებით, — კონსტებლმა უთხრა, — გახსოვდეთ, რომ არც მემფისში ხართ და არც ნაშვილში. მერე რა რომ აქ ჰადუიკის ოლქია. გადმოხვალთ თუ არა მატარებლიდან და ამ სადგურში გაჩერდებით, არ დაგავიწყდეთ, ეს მეოთხე უბანია.

— კარგადაა ნათქვამი, მოსამართლევ, — თქვა ბუტჩმა, — თავისუფალი შტატი პასემი, ტენესი.

— თქვენც გეუბნებით, იცოდეთ, — მიუგო კონსტებლმა, — სწორედ თქვენ უნდა გახსოვდეთ ეს ყველაზე მეტად.

ორთვალა იმ ადგილს მოუახლოვდა, სადაც ბუნი ჰყავდათ გაკავებული. კონსტებლმა ანიშნა ნედს, უნდა დაჯდეო. უეცრად ბუნმა გაიბრძოლა, ნედმა რალაც უთხრა. მერე კონსტებლი ისევ მე მომიბრუნდა. — ეს ზანგის კაცი მეუბნება, ბებერ პასემ ჰუდისას უნდა წავიდესო.

— დიახ, ბატონო, — მე ვუთხარი.

— მომწონს-მეთქი, ამას ვერ გეტყვი, თეთრ ბიჭს ზანგის ოჯახში რა უნდა. ჩემთან უნდა წამოხვიდე.

— ვერ წამოვალ, ბატონო.

— კარგი, — თქვა ისევ ლმობიერად, — აბა წავიდეთ, ამდენი არა მცალია.

— აქ კი მოგიხდებათ შეჩერება, — უთხრა ნედმა, კონსტებლი გაქვავდა, მერე სანახევროდ შემოტრიალდა.

— რაო, რა თქვი?

— სწორედ აქ თავდება თქვენი ძალაუფლება, აქ [illegible]ნებია. — თქვა ნედმა. კონსტებლი კიდევ წამით იყო გარინდებული, კაცი კარგა ხანშესული, თუმცა არ ეტყობოდა, ხმელ-ხმელი, ჯანმაგარი, პისტოლეტი არ ჰქონია არც ჯიბესა და არც სხვაგან სადმე, ბალთა შეიძლება კი ჰქონდა, მაგრამ თვალს იყო მიფარებული.

— მართალი ხარ, — თქვა და მერე მე მითხრა, — ღამის გათევა იქ გინდა, ბებერ პასემთან?

— დიახ, ბატონო, — ვუთხარი მე.

— კარგი, — თქვა მან. — აბა დასხედით, ბიჭებო, — უთხრა ბუნსა და სემს.

— ამ ზანგს რაღა ვუყოთ? — ჰკითხა ბუტჩმა მერე ალვირი გამოართვა იმას, ვინც ორთვალა მოიყვანა და ზედ ასვლა დააპირა, სადაც ბუნი და სემი უკვე ისხდნენ უკან. — თქვენი ცხენით წამოვა?

— ჩემი ცხენით, თქვენ წამოხვალთ,—უთხრა კონსტებლმა. მერე კი ნედს მიუბრუნდა, — აქ ამოდი, ვაჟო, შენ, მგონი, ამ ოთხფეხთა დიდი მცოდნე ხარ აქ. — ნედმა ალვირი ბუტჩს გამოართვა, ბორბალს ხელი ჩაავლო, გააჩერა, რათა კონსტებლს ასვლაში შეშველებოდა, მერე თავადაც აძვრა და მის გვერდით დაჯდა. ბუნი ისევ ზემოდან დამყურებდა — სახედალილავებული, სისხლშემხმარი, თუმცა უკვე დამშვიდებული.

— სემს გაჰყევი, — ჩამომძახა.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს, — ვუთხარი.

— არა, — თქვა ბუნმა, — მაგრამ..

— მე ვიცნობ პასემ ჰუდს, — თქვა კონსტებლმა, — არა მგონია იქ რამე გაუჭირდეს; თუ არადა, ამალამვე მივალ და წამოვიყვან. აბა გასწი, ვაჟო. — წავიდნენ, თვალს მიეფარნენ.

კაციშვილი ალარავინ იყო ირგვლივ, მარტოდ დავრჩი, ისე, თითქოს ორი მონადირე სადღაც, ტყესა თუ მინდვრად დაცილდება და მერე მოგჯიანებით კვლავ გადაეყრებიან ერთმანეთს ღამით ბანაკში. თუმცა კი მარტოდ როგორ უნდა ვყოფილიყავი, კუნძულზე ვიყავი და ჩემ გარშემო ზღვა იყო ოფლით გაზინზლული შლაპების, უჰალსტუხო პერანგებისა და კომბინეზონების. უცხო, უსახელო სახეები მყისვე მიტრიალდებოდნენ ხოლმე, შევხედავდი თუ არა, და არავინ იყო ეთქვა ჩემთვის „ჰო" ან „არა", ან „წადი", ან „დარჩი". არავინ იყო, ვინც დამიყვავებდა უკვე მეორედ ბედის ანაბარად მიგდებულს; თორმეტი წლის ბიჭისთვის ძნელია ამდენს გაუძლოს, ასეთი მიუსაფრობა გადაიტანოს. იგი განადგურდება, გაისრისება, გაცამტვერდება. უცებ იმათთაგან ერთ-ერთმა მითხრა:

— პასემ ჰუდს თუ ეძებ, იქ არის, იმ ორთვალაშია, შენ გელოდება. — მართლაც იქ იყო. ფურგონები და ორთვალები უკვე მიდიოდნენ. სინამდვილეში უკვე ყველანი წასულიყვნენ, ალარც ცხენები და ჯორები ჩანდნენ. მივედი ორთვალასთან და გავჩერდი. არც კი ვიცი, რატომ გავჩერდი. შეიძლება არც არსად მქონდა წასასვლელი. კიდევ ერთი ნაბიჯი და იმ ორთვალას მივეხეთქებოდი ალბათ.

— დაჯექი, — მითხრა პარშემ ბიძიამ, — სახლში წავალთ და ლიკურგეს დაველოდებით.

— ლიკურგეს? — ისე ამოვთქვი, თითქოს პირველად მესმოდა ეს სახელი.

— ქალაქს წავიდა ჯორით. ყველაფერს გაიგებს, რაც ხდება, და მერე უკან დაბრუნდება. ამალამ ჯეფერსონში მიმავალი ბატარეებლის გასვლის დროსაც გვეტყვის.

— ჯეფერსონში? — ვკითხე.

— ხოდა, წახვალ სახლში, — იგი არც კი მიმზერდა, — თუ გინდა.

— სახლში ახლა ვერ წავალ, — ვუთხარი მე, — ბუნს უნდა დავუცადო.

— თუ გინდა-მეთქი, — თქვა პარშემ ბიძიამ, — აბა ამოდი. — ავედი. საბალახო გავიარეთ და გზაზე გავედით. — ჭიშკარი დაკეტე, — მითხრა, — ვიღაცამ ხომ უნდა დაკეტოს. — დავკეტე ჭიშკარი და ისევ ორთვალას მოვაშურე.

— ორთვალა თუ გიტარებია? — მკითხა.

— არა, ბატონო, — აღვირი მომცა. — არ ვიცი და როგორ, — მე ვუთხარი.

— ახლა ისწავლი. ჯორი ცხენს სულაც არა ჰგავს. თუ ცხენმა რამე მრუდე ცნება ჩაიდო თავში, როგორმე უნდა გამოაცვლევინო. გინდა მათრახით, გინდა დეზებით, გინდა დაუღრიალო და ისე. ჯორი კი სხვანაირია, შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ ცნებას ჩახვდეს და არჩევანი გააკეთოს. თუ გინდა შეაცვლევინო, ისე უნდა მოაჩვენო თავი, რომ თავად ის აკეთებს არჩევანს. ჭკუა უჭრის და ამიტომ. ჯენტლმენიცაა ამავე დროს და თუკი თავაზიანად და პატივისცემით მოეპყრობი, ისე რომ მის მოსყიდვასა და დაშინებას არ შეეცდები, ისიც თავაზიანად და პატივისცემითაც იქნება შენთან, სანამ თავად შენ არ გადახვალ წესს. ხოდა, სწორედ ამიტომ არ უნდა მიელაქუცო როგორც ცხენს, რადგანაც იცის, შენ ის არ გიყვარს, ცდილობ მის მოლორებას და რაც გსურს, გინდა ის გააკეთებინო. ეს კი მისთვის შეურაცხმყოფელია. აი ამ ჯორის მართვა კი ასე შეგიძლია: სახლის გზა იცის, მყის იგრძნობს, რომ აღვირი მე არ მიჭირავს. ხოდა, შენ მეტი არაფერი გინდა, აღვირის მოძრაობით შეატყობინე, რომ შენც იცი სახლის გზა, მაგრამ ის აქ ცხოვრობს, შენ კი ჯერ კიდევ ერთი პატარა ბიჭი ხარ და მისი იმედი გაქვს.

მივდიოდით საკმაოდ ჩქარა, ჯორი მსუბუქად, ფაქიზად მიაბაკუნებდა და ცხენმა რომ იცის, იმის ნახევარი მტვერიც არ დაუყენებია. ვხვდებოდი უკვე, რასაც ბიძია პარშემი მეუბნებოდა, ვგრძნობდი არა მარტო მის ძალას, არამედ ჭკუას და საზრიანობას, იმის სურვილსაც, თუკი დასჭირდებოდა, სწორი არჩევანი გაეკეთებინა.

— სახლში რას აკეთებ ხოლმე? — მკითხა ბიძია პარშემმა.

— ვმუშაობ შაბათობით, — ვუთხარი.

— მაშინ ალბათ ფულს მოაგროვებდი. რა გინდა იყიდო იმით? — და უეცრად ყველაფერი მოვუყევი მწევარ ძაღლებზე, ბიძია ზაკივით მელიებზე ნადირობა რომ მინდოდა, ბიძია ზაკი როგორ მეუბნებოდა, ჯერ მწევრებით კურდღლებზე ნადირობა უნდა ისწავლოო, როგორ მიხდიდა მამა გასამრჯელოს მასთან ეტლების სადგომში მუშაობისათვის. ყოველ შაბათს ათ ცენტს მაძლევდა და დამპირდა, დაგიმატებო, თუ დაგაკლდება პირველი

წყვილის საყიდლადო. თორმეტი დოლარი უნდოდა ამას და მე უკვე მქონდა გადანახული რვა დოლარი და ათი ცენტი; და მაშინ უეცრად ცრემლები წამსკდა, ავღრიალდი — დაღლილ-დაქანცული ვიყავი და არა იმიტომ, ერთი მილი რომ ჭენებით გავიარე, ადრეც მიჯირითია უფრო დიდ მანძილზე, თუმცა კი ნამდვილ დოღზე არა. შეიძლება იმიტომაც, დილას ადრე რომ ავდექი და სოფლის გზებზე მომიხდა ჯიყჯიყი, თან ერთი ნაჭერი ცივი მჭადი იყო ჩემი სადილი. იქნებ მშიოდა და მეტი არაფერი. ასე იყო თუ ისე, იქვე ჩვილი ბავშვივით ღრიალი მოვრთე, ალექსანდრესა და მორიზე უარესად, პარშემ ბიძიას ხალათში თავი ჩავრგე და ისე. მან ცალი ხელი მომხვია, მეორეთი კი ალვირი გამომართვა, ხმაც არ გაუღია, მერე მაინც თქვა, ახლა კი დაწყნარდი, ჩვენ უკვე სახლში ვართ და სანამ შევალთ, სჯობს პირი დაიბანო, ქალებმა რომ ასე არ დაგინახონო.

ასეც ვქენი; ჯერ ჯორი გამოვხსენით, წყალი დავალევინეთ, აღკაზმულობა მოვხსენით, დავკიდეთ, ჯაგრისი გადავუსვით, ბაგაში შევიყვანეთ, ქერი დავუყარეთ, ორთვალა ფარდულში შევაგორეთ, პირი დავიბანე, გავიმშრალე (ასე თუ ისე) საჯირითო თათმანით და სახლში შევედით. სალამოს სუფრა — ვახშამი — მზად დაგვხვდა, თუმცა ჯერ კიდევ ხუთი საათიც არ დამდგარიყო. გლეხებივით თუ ფერმერებივით სუფრას მივუსხედით — პარშემ ბიძია, მისი ქალიშვილი და მე, ლიკურგე ჯერ კიდევ არ მობრუნებულიყო ქალაქიდან. პარშემ ბიძიამ მკითხა:

— შენთან, სახლში მადლობას თუ სწირავენ ღმერთს?

— დიახ, ბატონო, — მივუგე.

— მაშინ თავი მოვიდრიკოთ. — თავი დავხარეთ. ლოცვა წაიკითხა მოკლედ, მოწიწებით, ღირსეულად, ქედმოდრეკის გარეშე. ასე მიმართავს ერთი დარბაისელი, გონიერი კაცი მეორეს და ამცნობს ზეცას, ვახშამი უნდა დავიწყოთო, და მადლობას სწირავს უფალს ამ მიწიერ სიკეთეთა გამო და ამავე დროს ახსოვს, ვისი შეწევნითაც აქვს ლუკმაპური; ჰუდებსა თუ ბრიგინსებს (ლიკურგესა და მისი დედის გვარი, როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო) ოფლი რომ არ დაეღვარათ, ცარიელი ოეფშებილა ექნებოდათ სამადლობლად; მერე თქვა, „ამინ", გაშალა ხელსახოცი და ერთი ყურით საყელოში დაიმაგრა სწორედ ისევე, ბაბუამ რომ იცოდა, და ვახშამს შევუდექით; ბოსტნეული უკვე გაციებულიყო, არადა, სოფლის წესისამებრ ცხელი უნდა გვეჭამა ეს კერძი დილის თერთმეტ საათზე, სამაგიეროდ ფუნთუშები იყო თბილი, კიდევ სამნაირი მურაბა და ბადაგი. მზე ჯერ კიდევ მთლად არ ჩასულიყო, გრძლად დაეფინა მქრქალი სხივები. მერე ასევე იმძლავრა ხანგრძლივმა ბინდმა, რომელიც შეცვალა ხანგრძლივმავე ღამემ, მე კი არ ვიცოდი, სად დავიძინებდი და რაზედ. პარშემ ბიძია იჯდა და ოქროს საწმენდით კბილებს იჩიჩქნიდა, როგორც ბაბუამ იცოდა, ისე. თითქოსდა ჯადოსნური ფარნით ხედავდა ჩემი სულის მოძრაობას.

— სათევზაოდ წასვლა თუ გინდა? — მკითხა. მაინცდამაინც არ მინდოდა, სურვილიც არ მქონდა როგორმე მესწავლა დიდხნობით უმოძრაოდ ჯდომა.

— დიახ, ბატონო — მივუგე.

— მაშინ წავიდეთ, ამასობაში ლიკურგეც დაბრუნდება. — უკანა აივნის კედელზე ორი ლურსმანი ჩაერჭოთ და ზედ დაეკიდათ სამი ბამბუკის ანკესი თავისი ტივტივებით, საძირავებითა და ყველაფრით. ორი ჩამოიღო

და, წავიდეთო, მითხრა. ხელსაწყოების ფარდულში ლურსმნით სახურავ-დახვრეტილი ვედრო იდგა. — ჭრიჭინები ჰყავს ლიკურგეს ამაში, — მითხრა, — მე კი ჭიაყელები უფრო მომწონს. — სწორედ ამით ჰქონდა გაშოტენილი მიწით სავსე ლრმა ბადია. მან კი არა, მე; მე ვთქვი ასე:

— მე ამოვიღებ, — და გატეხილი ჩანგალი გამოვართვი, ერთიმეორის მიყოლებით მიწიდან ამოვასხი ჭიაყელები და თუნუქის ქილაში გადავუძახე.

— წავიდეთ, — კვლავ მითხრა და თავისი ანკესი მხარზე გაიდო. გვერდით ჩავუარეთ ბოსელს. მაშინვე გავუხვიეთ და იქვე ჩამომდინარე ღელეს მივაშურეთ; კარგად დატკეპნილი ბილიკი ჯერ მაყვლის ბუჩქნარს მიუყვებოდა, მერე კი ტირიფნარს. მერე ღელეც გამოჩნდა, წყალი თითქოსდა თავის წიაღში ფრთხილად იკრებდა მიმქრალ სხივებს და ფრთხილადვე აბრუნებდა უკან; აქვე იყო მორიც საჯდომად. — ჩემი გოგო აქ თევზაობს, — ასე თქვა, — მერის ორმოს ვეძახით ამ ადგილს. შენ აქ დაჯექი, მე კი ცოტათი ქვემოთ ჩავალ. — და წავიდა. სწრაფად ილეოდა საღამო ხანის ნათელი, ღამის სუნთქვა მოახლოებულიყო. მორზე ვიჯექი ქინქლების რიალსა და ბზუილში. არც ისე ძნელია საჭირო წუთს შენს თავს უთხრა, *არ მინდა ფიქრი*. ცოტა ხნის მერე გავიფიქრე, ანკესს მოვისვრი წყალში და თვალს მივადევნებ, თანდათან ჩამოწოლილ ღამის სიბნელეში როგორ უჩინარდება ტივტივა. ისიც კი გავიფიქრე, ლიკურგეს ჭრიჭინას წამოვაგებ ანკესს-მეთქი, მაგრამ ჭრიჭინას ასე ადვილად ვერ დაიჭერ, თანაც ლიკურგე ღელის პირას ცხოვრობს, ბევრს თევზაობს და სატყუარას ვერ დავუხარჯავ. ხოდა, იმწუთასვე ასე გამიელვა თავში, *არ მინდა ფიქრი*. ტივტივა ნათლად ჩანდა წყალზე და ალბათ სულ ბოლოს დაინთქმებოდა ღამის სიბნელეში. წყალს კი უფრო ადრე დაფარავდა მოახლოებული წყვდიადი. პარშემ ბიძიას ვერ ვხედავდი და არც მისი ხმა ისმოდა, ისიც კი არ ვიცოდი, რამდენად ქვემოთ ჩასულიყო ნაპირზე. და სწორედ კარგი დრო იყო, ჩვილ ბავშვად ვქცეულიყავი. მაგრამ რად გინდა, მაინც არავინ დამინახავდა, არავინ შემიცოდებდა, ვერავის ავუჩუყებდი გულს. მართალი თუ გინდა, მინდოდა მხოლოდ ჩემს საკუთარ მშობლიურ სახლში დაბრუნება, ჩემს რბილ ლოგინში ჩაწოლა და დაძინება, რათა ასე შემეცვალა ჩემი ახლანდელი ყოფა; უკვე გაისმა უფეხურათა ჩხავილი, სადღაც ღელის მიღმა დაჰკივლა ჭოტმა, ხმაზე ეტყობოდა, დიდი ჭოტი უნდა ყოფილიყო; შეიძლება მთელი ეს მხარე დიდი ტყეა და, თუკი ლიკურგეს (ან პარშემ ბიძიას) ძაღლები წუხელ ოტისს კვალში ჩაუდგნენ, სულ ადვილად შეძლებდნენ კურდღლების, ენოტებისა და ოპოსუმების დევნასაც. ხოდა, ვკითხე კიდეც ამის შესახებ. კარგა მაგრა ჩამობნელებულიყო, და როცა ჩემ უკან მისი ხმა გავიგონე, ვერც მივხვდი, როდის მოახლოებულიყო.

— მოდის ანკესზე?

— დიდი მეთევზე არა ვარ, — ვუთხარი მე, — შენი ძაღლები კი როგორ ნადირობენ?

— კარგად, — მითხრა ლიკურგემ. მერე ისე დაიძახა, არც კი აუწევია ხმა, ბაბუო. — თეთრად მოჩანდა პარშემ ბიძიას პერანგი, ჩვენთან მოვიდა, ლიკურგემ ხელი დაავლო ამ ორივე ანკესს და ყველანი ბილიკს ავუყევით. ორი ძაღლი გამოგვეგება, მერე სახლში შევედით, იქ ლამპა ენთო, სუფრაზე ლიკურგეს ვახშამი იდგა, ზედ ხელსახოცი გადაეფარებინათ.

— დაჯექი, — პარშემ ბიძიამ უთხრა, — ჭამე და თან მოგვიყევი. — ლიკურგე მაგიდას მიუჯდა.

— ჯერ კიდევ იქ არიან, — თქვა.

— ჰადუიკს აქამდე არ წაუყვანიათ? — ჰკითხა პარშემ ბიძიამ. მერე მე მითხრა, პასემში ციხე არა აქვთ, სკოლის უკან ფიცრული ფარდულში ჩაკეტავენ ხოლმე მამაკაცებს, მერე კი ჰადუიკის ციხეში გადასაყვანად ქალები იქ ჯერ არ წყოლიათო.

— არა, ბატონო, — მიუგო ლიკურგემ, — ის ქალბატონები ისევ სასტუმროში არიან, ოღონდ კართან პოლიციელი დარაჯობთ. ფარდულში მხოლოდ ბატონი ჰოგანბეკია. ბატონი კოლდუელი კი მემფისს გაემგზავრა ოცდათერთმეტიანით. თან ის ბიჭი წაიყვანა.

— ოტისი? — ვკითხე მე, — რაო, კბილი დააბრუნებინეს?

— არ ვიცი, — თქვა ლიკურგემ, თეფშს ერთი წამით თვალი მოაცილა და შემომხედა, — ის ცხენიც კარგადაა. ვიყავი და ვნახე, სასტუმროს საჯინიბოშია. ბატონმა კოლდუელმა წასვლამდე ბატონ მაკ-კასლინისთვის გირაო შეიტანა და ცხენს ყურადღებას არ მოაკლებს, — ჭამა არ შეუწყვეტია. — ჯეფერსონისკენ მიმავალი მატარებელი ათს ოცი რომ დააკლდება, მაშინ გავა. თუ ვიჩქარებთ, მივუსწრებთ. — პარშემ ბიძიამ ჯიბიდან დიდი ვერცხლის საათი ამოიღო და დახედა. — კი, მივასწრებთ, — ისევ თქვა ლიკურგემ.

— არ შემიძლია, — მე ვუთხარი, — აქ უნდა დავიცადო. — პარშემ ბიძიამ საათი ჯიბეში ჩააბრუნა, წამოდგა, ხმადაბლა დაიძახა:

— ბერი. — ის წინა ოთახში იყო, ისე შემოვიდა, ხმა არც კი გამიგია.

— უკვე გავშალე, — თქვა და მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, — შენი ლეიბი შემოსასვლელშია, — მერე ისევ მე მითხრა: — გუშინდელივით ლიკურგეს ლოგინზე დაწვები.

— ლიკურგეს ლოგინი რად მინდა, — ვუთხარი, — პარშემ ბიძიასთანაც კარგად დავიძინებ. — მშვიდად გამომხედეს, — პატრონთან ბევრჯერ დამიძინია, — ვუთხარი. — ისიც ხვრინავს ხოლმე, მაგრამ ვერ მაღვიძებს.

— პატრონთან? — იკითხა პარშემ ბიძიამ.

— ბაბუას ვეძახით ასე, — ვუთხარი მე, — ისიც ხვრინავს, მაგრამ ვერ მაღვიძებს.

— კარგი, ასე იყოს, — თქვა პარშემ ბიძიამ. მის ოთახში შევედით. ფაიფურის ლამპა იყო იქ, ყვავილებით მოხატული, მაგიდის კუთხეში მოოქრულჩარჩოიანი პორტრეტი იდგა მოოქრულსავე სადგამზე. ძველმოდურსამოსლიანი ქალი ეხატა. ლოგინზე ისეთივე ჭრელი საბანი ეფინა, ლიკურგეს რომ ჰქონდა. მაისი იყო, მაგრამ ბუხარში მაინც ნაკვერჩხლები ღვიოდა, კიდევ ერთი სკამი იდგა, ერთიც სარწეველა სავარძელი. მაგრამ მე იმაზე არ დავმჯდარვარ. შევედი ოთახში და გავჩერდი. პარშემ ბიძია ისევ შემოვიდა. ლამის პერანგი ეცვა და თავის ვერცხლის საათს ქოქავდა. — აბა გაიხადე, — მითხრა. ასეც ვქენი, — დედაშენი სახლში ასე გაძინებს?

— არა, ბატონო, — ვუთხარი.

— თან თუ გაქვს რამე წამოღებული?

— არა, ბატონო. — საათი ბუხრის თავზე შემოდო, კართან მივიდა და დაიძახა:

— მერი! — ქალი გაეხმიანა. — ლიკურგეს ერთი სუფთა პერანგი შემოუტანე. — ცოტა ხნის მერე ქალმა კარებში პერანგი მოაწოდა. — მოდი, ჩაიცვი, — მითხრა. მივედი და გამოვართვი. — ლოგინში ლოცულობ თუ დაჩოქილი?

ბიბლიოთეკა

— დაჩოქილი, — ვუთხარი მე.

— მაშინ ილოცე. — მუხლი მოვიდრიკე იქვე ლოგინთან და ვილოცე. ლოგინი უკვე გაშლილი იყო, შევწექი. მან ლამპა ჩააქრო, მერე ჭრიალი მოისმა. იმ ღამეს მთვარე გვიან ამოვიდა და მაღლა იდგა, მაგრამ საკმაოდ გაენათებინა ოთახი — ჩანდა თეთრი ბალიში, ზედ შავთეთრი ლანდი, თეთრი ულვაში და წვერი, ზურგზე იწვა და ხელები გულზე დაეკრიფა. — ხვალ დილით ქალაქს წაგიყვან. ბატონ ბუნ ჰოგანბეკს ვნახავთ და, თუ გეტყვის, ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო, ახლა კი სახლში უნდა წახვიდეო, წახვალ?

— დიახ, ბატონო, — მივუგე მე.

— კარგი, დაიძინე, — მითხრა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეტყოდა, უკვე ზუსტად ვიცოდი, რაც მსურდა, იქნებ წინადღიდანაც ვიცოდი, რომ სახლში მინდოდა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ წაგება არავის უყვარს, მაგრამ როცა ასე ხდება, ისღა დაგრჩენია, უკან არ დაიხიო. ბუნმა და ნედმა არ დაიხიეს და კიდევაც იქ მოხვდნენ, სადაც არიან. იქნებ არც თქვან, რომ დავიხიე, თუკი თვითონ მეტყვიან, სახლში დაბრუნდიო. იქნებ მართლაც ძალზე პატარა ვარ, იქნებ არც შემიძლია იმ ტვირთის ზიდვა, რაც დამაწვა, ვინმე ჩემზე დიდი, ჩემზე უფროსი და უფრო მოხერხებული, რომ ჰყოლოდათ, მაშინ არც წავაგებდით. გესმის? სწორედ ასე იყო, ცხადი, ნათელი და უდავო სიმართლე ის გახლდათ, რომ სახლში მინდოდა და გამბედაობა არ მყოფნიდა მეთქვა, არათუ ფეხი მომეცვალა. ხოდა, როცა თავს გამოვუტყდი, არამარტო ხელმოცარული, მხდალიც ვიყავი, შემეძლო ჩვილივით მშვიდად დამეძინა. პარშემ ბიძია უკვე ფშვინავდა (ნეტავი იმას მოესმინა ბაბუას ხვრინვა-ხრიალი). მაგრამ ამას არ შეეძლო ჩემი ძილის ამღვრევა — ხვალ სახლში ვიქნებოდი, აქედან შორს, სადაც არც ნაპარავი ცხენები იქნებოდნენ, არც უმანკოებას მონატრებული მეძავები, არც მოხეტიალე ვაგონის გამცილებლები, არც ნედი და არც მამაჩემის სადავეს დასხლეტილი ბუნ ჰოგანბეკი; თუმცა ძილს მაინც რაღაც მიმღვრევდა, მოსვენებას აღარ მაძლევდა, და ორგზის თუ სამგზის ღრიალი რომ ჩამესმა, ძილ-ბურანის ზედაპირზე ამოვცურდი, გათენებულიყო, მზე ანათებდა; პარშემ ბიძიას უკვე დაეტოვებინა ლოგინი. ახლა კი ცხადლივ გავიგონე გარედან ვიღაცა შემოგვღრიალებდა:

— ჰეი, ჰეი, ლიკურგე, ლიკურგე! — წამოვიჭერი, საწოლიდან გადმოვხტი, ფანჯარას ვეცი და ეზოში გადავიხედე. ნედი იყო და მასთან ერთად ის ცხენი.

12

და აი, ნაშუადღევს, ორ საათზე, მაკ-უილი და მე კვლავ შევსხედით ჩვენს ფიცხ ბედაურებზე (აქერონტი მაინც ძალზე ფიცხი იყო), ძლივს ვაკავებდით, ვიდრე ჩვენი სტარტერი, ბ-ნი კლეპი (მეძებარი ძაღლების მწვრთნელი-მონადირე-ნანადირევით მოვაჭრე-კაცისმკვლელი) დაიძა-

ხებდა, გასწითო. ამ კაცმა წინადღეს ისეთი შიში ჭამა, ახლა იქით მიმ-
დგარიყო, სანამ მე და მაკ-უილი წილს ვყრიდით, თუ ვინ უნდა დამდგა-
რიყო კიდეზე; მაკ-უილიმ მოიგო. მაგრამ მანამდე იყო რაღაც-რაღაცები
და უნდა გიამბო. უპირველეს ყოვლისა ნედი გამოჩნდა, ვერ იყო კარგად,
ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, ძილი [illegible] აკლდა,
ძილი და მოსვენება არც ჩვენ გვქონია. თუმცა ბუნი და მე [illegible] შა-
ინც ვიწექით ის ოთხი ღამე, რაც ჯეფერსონიდან წამოვედით, ნედი კი
მხოლოდ ორი ღამე, მესამე ღამე სატვირთო ვაგონში გაათია იმ ცხენთან
ერთად, ხოლო მეოთხე საჯინიბოში, და ორივეგან თივაზე იწვა. სამოსელიც
დაჭმუჭნილ-გაზინზლული ეცვა, პერანგიცა და შარვალიც. გუშინღამ ევერ-
ბიმ მე სუყველაფერი გამირეცხა, ნედს კი გაუხდელად ეცვა აქამდე, მხო-
ლოდ ახლა გამოიცვალა, პარშემ ბიძიას გახუნებული, თუმცა სუფთა კო-
მბინეზონი და ჯემპრი ჩაიცვა და ასე მიუჯდა სამზარეულოში მაგიდას.
ამასობაში კი მერიმ პერანგი გაურეცხა და შარვალიც გაუწმინდა. მე და
ნედი ვსაუზმობდით, პარშემ ბიძია ყურს გვიგდებდა.

ნედმა გვიამბო, გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ ვილაცამ, — ბ-
ნმა პოლიმასმა, კონსტებლმა კი არა, ვილაცა სხვამ, თივაზე მწოლი გა-
მოაღვიძა და უთხრა, წაიყვანე ეს ცხენი და მოუსვი ამ ქალაქიდანო.

— მხოლოდ შენ და მეხთამტეხელი გამოგიშვათ? — ვკითხე. — ბუნი
და სხვები სადღა არიან?

— იქ, სადაც თეთრმა ხალხმა მიიყვანა, — თქვა ნედმა. — ხოდა, ასე
ვუთხარი, დიდი მადლობა-მეთქი, თეთრო კაცო, მეხთამტეხელს აღვირში
ჩავავლე ხელი და...

— კი მაგრამ, რატომ?

— განა სულ ერთი არ არის შენთვის. ახლა მთავარი ის არის, ნაშუა-
დღევს ორ საათზე სასტარტო ხაზთან დავდგეთ და ორი გარბენი მოვი-
გოთ, პატრონის ავტომობილი დავიბრუნოთ და ჯეფერსონში წავიდეთ; იქ-
იდან არც უნდა წამოვსულიყავით სწორედ.

— ბუნი თუ არ წავიყვანეთ, ისე ვერ წავალთ, — მე ვუთხარი, — შენ
და მეხთამტეხელი თუ გამოგიშვეს, იმას რატომღა აჩერებენ?

— ყური მიგდე, — თქვა ნედმა, — მე და შენ ისედაც ბევრი საქმე
გვაქვს, დოლზე უნდა გავიდეთ. კარგად ისაუზმე, მერე წამოწექი და დაის-
ვენე, ვიდრე არ დაგიძახებ...

— გეყოფა, ნულარ ატყუებ, — პარშემ ბიძიამ უთხრა. ნედი თეფშში
თავჩარგული სწრაფად ჭამდა. დაღლილ-დაქანცული იყო, თვალის თეთრი
გარსი დაწითლებული კი არა, მთლად ჩასისხლიანებული ჰქონდა.

— ბატონი ბუნ ჰოგანბეკი ერთხანს ვერსადაც ვერ წავა. ციხეში ჩაა-
ყუდეს. ამ დილით ჰადუიკს ჩაიყვანენ და იქ გამოკეტავენ, მაგრამ ახლა ეს
უნდა დაივიწყო, მე და შენ მხოლოდ...

— ყველაფერი მოუყევი, — თქვა პარშემ ბიძიამ, — რას არ გაუძლო,
რაც აქ ჩამოიყვანეთ და ამ საქმეში გარიეთ, რატომ გგონია, რომ სხვა ვე-
ღარაფერს გაუძლებს, სანამ ამ დავიდარაბას თავს არ დააღწევთ და შინ არ
დააბრუნებთ? რა არ ნახა აქ, ჩემს ეზოსა თუ სახლში ან კიდევ იქ, ჩემს
საძოვარზე, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რასაც ქალაქში ნახავდა. ის
მუტრუკი იმ გოგოს რომ გადაეკიდა და გასაქანი აღარ მისცა, გოგოს მწე
და მშველელი მხოლოდ ეს თერთმეტი წლის ბალღი იყო, მეტი არავინ. არც
ბუნ ჰოგანბეკი, არც სამართლის მსახურნი და არც ჯანლონით სავსე თეთრ-

კანიანი მამაკაცები, ის გოგო ამის იმედადღა იყო. ხოდა, მიდი მოუყევი. — და უცებ ვიღაცამ ჩემს წიაღში ასე დაიძახა: არა, არა, ნუ ჰკითხავ, რად გინდა ამის ცოდნა! მე ვკითხე:

— და მაინც რა ქნა ბუნმა? — ნედს თეფშიდან თავი არ აუწევია, ჩასისხლიანებული თვალები აუხამხამდა, თითქოსდა ქვეშა შეაყარესო.

თავ-პირი დაალეწა იმ უფროსს. იმ ბუტჩს. კბილებიც სულ გააცხებინა. ჩემსა და მეხთამტეხელზე ადრე ის გაუშვეს. წამიც არ დაუყოვნებია, პირდაპირ იმ გოგოსთან წავიდა...

— მისს რებასთან, ხომ? — მე ვუთხარი, — მისს რებასთან?

— არა, — ნედმა თქვა, — იმ მეორესთან, ტანვეება რომ არის, რა ჰქვია, არ ვიცი. ერთი კარგად მიბეგვა და მერე...

— რაო, მიბეგვაო? — ვუთხარი მე, — ბუნმა ევერ... მისს კორი მიბეგვა?

— მისს კორი ჰქვია? ჰო, მერე გატრიალდა, იმ უფროსთან მიიჭრა და თავ-პირი დაალეწა, სულ ფეხებზე დაიკიდა ის მისი პისტოლეტიცა და სამკერდე ნიშანიც, ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან...

— ბუნმა მიბეგვა, — ასე ვთქვი, — იმან მიბეგვა, ხომ?

— სწორედ ასე იყო, — ნედმა თქვა, — ჩემი და მეხთამტეხელის გათავისუფლება იმ გოგოს დამსახურებაა. ბუტჩი მისვდა, გოგოს ხელში ვერ ჩაიგდებდა, და როცა გაიგო, მე, შენ და ბუნი შინ ვერ დავბრუნდებოდით, დოლში თუ არ გავიმარჯვებდით, ეს გამარჯვება კი არ იქნებოდა უმეხთამტეხელოდ, ადგა და მეხთამტეხელი დაამწყვდია. ასე იყო ეს ამბავი. მორჩა და გათავდა. პარშემ ბიძიამ სწორედ ახლა არ გითხრა, ორშაბათსვე მივხვდი, რაც უნდა მომხდარიყოო. მეც უნდა მივმხვდარიყავი და ასეც იქნებოდა, მაგრამ მეხთამტეხელის გარდა ალარაფერი მახსოვდა და არც ბუტჩს ვიცნობდი კარგად...

— არ მჯერა, — მე ვუთხარი.

— დიახ, — მან თქვა, — ასე იყო სწორედ. ბედის ამბავია და იმის სიმუხთლეს რას განჭვრეტ. სრულიად შემთხვევით მოხდა, რომ ორშაბათს იმ გოგოს გადაეყარა, და რადგან სულ მუდამ იმედი ჰქონდა იმ თავისი სამკერდე ნიშნისა და პისტოლეტის, ასე ფიქრობდა, რასაც მინდა იმას გავაკეთებო. მაგრამ ამჯერად ესეც დაინახა, მხოლოდ პისტოლეტი და სამკერდე ნიშანი საკმარისი არ იქნებოდა და მეხთამტეხელს დაადგა თვალი; ისიც გაიგო, რომ ჩვენთვის დოლზე გამარჯვება, იმ ავტომობილის დაბრუნება და, ვინ იცის, იქნებ სახლში დაბრუნებაც ერთი იყო...

— არა! — მე დავიყვირე, — არა-მეთქი! ის არ იქნებოდა! საერთოდაც ის აქ არ არის! გუშინ სალამოს მემფისს წავიდა სემთან ერთად! შენ კი არ იცი, შენთვის არავის უთქვამს! ის სხვა იყო! ის ვიღაც სხვა იყო-მეთქი!

— არა, — თქვა ნედმა, — სწორედ ის იყო. თავად არ ნახე ორშაბათს ყველაფერი.

დიახ, ვნახე, შუადღით ეტლით რომ ვბრუნდებოდით, იმ ექიმთანაც და სალამოსაც, სასტუმროში რომ ვიყავით, ვიდრე მისს რებამ არ გააგდო, და ყველამ ვიფიქრეთ, რომ საბოლოოდ მოგვწყდა თავიდან, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა; მაგრამ მისს რება, რაც უნდა იყოს, ქალია მაინც. ნედს ვუთხარი:

— ვინმე რატომ არ მიეშველა? ჯაცი ალარავინ იყო, ვინც იმ გოგოს

დაეხმარებოდა? თუნდაც ის კაცი, ვინც შენ და მეხთამტეხელი წაგიყვანათ, სემსა და ბუტჩს კი, ორივეს, ასე უთხრა, იქნებ რაღაცას კი წარმოადგენთ იმ თქვენს მემფისში, ნეშვილსა თუ ჰადუიკში, მაგრამ აქ პასემში მე ვარო უფროსი... — და მერე დავიყვირე: — არ მჯერა!

— კი, — ნედმა თქვა, — მეხთამტეხელი რომ გამოუშვეს და ღლეს დოლზე გამოვიყვანთ, იმ გოგოს დამსახურებაა. ჩემზე, ბუნსა და სხვებზე არ გეუბნები; ბუტჩს ჩვენი დარდი არ ჰქონდა, მაგრამ ის კი უნდოდა, როგორმე დილამდე ბუნი თავიდან მოეცილებინა. ამისთვის მეხთამტეხელი სჭირდებოდა მას, მეტი არავინ, მაგრამ ბატონი პოლიმასი რომ დაერწმუნებინა, მეც მიმაყოლა, ბუნიცა და სხვებიც. ხოდა, ბუტჩმა ისიც მოატყუა და გამოიყენა. ამ დილას კი რაღაც მოხდა; ბუტჩმა შეიძლება საზღაური მიიღო და ამიტომაც განაცხადა, რაღაც შეცდომა იყო, გაუგებრობაო, ეს ის ცხენი არ არისო, ან სულაც შეიძლება თავად ბატონი პოლიმასი მიხვდა რაღაცას, ადგა და სუყველანი გამოუშვა. ბუნი კი იმ წუთასვე იმ გოგოსთან გაქანდა და კარგად მიტყიპა, და მერე ისე, რომ არც კი შეჩერებულა, უკანვე დაბრუნდა, ბუტჩს მივარდა და ცარიელი ხელებით სულ ცხვირპირი დაულეწა, არც მისმა პისტოლეტმა შეაჩერა და არც სხვა რამემ. მაშინ კი მიხვდა ბატონი პოლიმასი, რომ ამ საქმეს ცუდი სუნი უდიოდა და თუმცა იგი ტანმორჩილიცაა და ბებერიც, კაცური კაცია. ასე ამბობენ, უკვე ერთი წელია დამბლა აქვს მის ცოლს, თითის განძრევაც არ შეუძლიაო, ხოლო შვილები დაოჯახებული არიან ყველანი, ზოგი სად ცხოვრობს და ზოგი სად. ხოდა, ბატონი პოლიმასი თავისი ხელით ბანს, აჭმევს, ლოგინიდან აყენებს დილით და აწვენს საღამოს, საჭმელსაც თავად აკეთებს, სახლსაც ალაგებს, ხანდახან ვინმე მეზობლის ქალი თუ მივა და ცოტას მიეხმარება. ამ კაცის შემხედვარე რას იფიქრებ, ამდენი თუ შეუძლია. ხოდა, მისულა იქ (მე იქ არ ვყოფილვარ, მიამბეს), და რას ხედავს, ორს თუ სამს ბუნი გაუკავებია, ერთიც ბუტჩის შეჩერებას ცდილობს, პისტოლეტით იმის ცემას არ ანებებს; ხოდა, მივიდა ბუტჩთან, პისტოლეტი წაართვა, ფეხის წვერებზე აიწია, სამკერდე ნიშანი ააგლიჯა, თან ნახევარი პერანგიც ააყოლა, მერე ჰადუიკში დარეკა და ავტომობილი გამოიძახა, რათა სუყველანი ციხეში წაესხათ, ქალებიც კი. ქალები თუ არიან, მაშინ ამას ეძახიან ტორლიალს.

— ხეტიალს, — პარშემ ბიძიამ გაუსწორა, — მაწანწალობას.

— ხოდა, მეც ამას არ ვამბობ, — მიუგო ნედმა, — თუმცა, რაც გინდა ის დაარქვი. მე ამას ციხეს ვეძახი.

— არა მჯერა, — ასე ვთქვი, — იმ გოგომ უკვე თავი დაანება.

— ხოდა, მაშინ მადლობა უნდა მოვახსენოთ, ისევ რომ დაიწყო, — ნედმა თქვა, — თორემ მე, შენ და მეხთამტეხელი...

— თავი დაანება, — მე დავიყვირე, — სიტყვა მომცა!

— მეხთამტეხელი კი რაღატომ დაგვიბრუნეს? — თქვა ნედმა, — დოღზე ალარ უნდა გავიდეთ? ბატონმა სემმა არა თქვა, დღესვე უკან დავბრუნდებიო, იმან კი კარგად იცის, რაც უნდა ქნას. ხოდა, ჩათვალე, რომ მე, შენ და ბუნი უკვე სახლში ვართ.

ისევ ისე ვიჯექი. ჯერ კიდევ ადრე იყო. სულ ახლახან შესრულებულიყო რვა საათი. ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა, პირველი ცხელი დღე, ზაფხულის მაცნე და მაუწყებელი. თუ გესმის, არა *მჯერა-მეთქი*, გაუთავებლივ რომ ვიმეორებდი, შვებას მგვრიდა ეს სიტყვები, მაგრამ მხოლოდ

წამით; როგორც კი ამ სიტყვების ჟღერა მიწყდებოდა, ვგრძნობდი, რომ ოდნავადაც არ გამნელებოდა ტკივილი, წყენა, სასოწარკვეთა და მრისხანება.

— ქალაქს უნდა წავიდე, — პარშემ ბიძიას ვუთხარი, — იქნებ ერთი ჯორი მათხოვოთ, როგორც კი სახლში ჩავალ, ფულს გამოგიგზავნით. — იმწუთასვე წამოდგა.

— აბა, წავიდეთ, — ასე თქვა.

— რისთვის? — თქვა ნედმა, — მაინც დაგვიანებულია. ბატონმა პოლიმასმა ავტომობილი გამოიძახა. წასულები იქნებიან უკვე.

— გზაში დახვდება, — თქვა პარშემ ბიძიამ, — ნახევარი მილიც არ იქნება აქედან იმ გზამდე, სადაც ისინი გაივლიან.

— მე კი ცოტა უნდა წავიძინო, — თქვა ნედმა.

— ვიცი, — მიუგო პარშემ ბიძიამ, — მე გავყვები. გუშინვე დავპირდი, გამოგყვები-მეთქი.

— მე ჯერ სახლში არ მივდივარ, — ასე ვუთხარი, — სულ ცოტა ხნით ქალაქს უნდა წავიდე, მერე კი უკანვე დავბრუნდები.

— კარგი, — თქვა ნედმა, — ყავას დავამთავრებ ახლავე. — მაგრამ იმას ალარ დავუცადეთ. ერთი ჯორი, როგორც ჩანს, ლიკურგეს მინდვრად გაეყვანა, მეორე კი აქვე იყო. ჯერ კიდევ შებმული არ გვყავდა ორთვალაში, რომ ნედიც გამოვიდა. პარშემ ბიძიამ გვიჩვენა, მოკლეზე სადაც უნდა გადაგვეხვია, ჰადუიკისკენ მიმავალ გზაზე რომ გავსულიყავით. თუმცა ალარაფრის დარდი არ მქონდა, სულ ერთი იყო, სადაც შევხვდებოდი. ნეტავი არ ვყოფილიყავი ასე გაწამებული დოლის ცხენებით, ქალებით, შერიფის თანაშემწეებით და კიდევ სხვათა გამო, ნეტავი იმათ თავ-თავიანთი სახლებიდან ფეხი არ გამოედგათ, მაშინ ბუნთან შეხვედრას სადმე განცალკევებულ, მყუდრო ადგილას ვამჯობინებდი, მისთვისაც კარგი იქნებოდა და ჩემთვისაც. მაგრამ ახლა სულ ერთი იყო, სად შევხვდებოდი, გინდ შარაგზა ყოფილიყო და გინდ ქალაქის მოედანი, თუნდაც ყველანი ავტომობილში ყოფილიყვნენ ჩაჭედილნი. მაგრამ გზაში არსად შეგვხვედრია ავტომობილი, როგორც ჩანს, ბედი მწყალობდა; ხალხის თვალწინ დალაპარაკება სწორედაც გაუსაძლისი იქნებოდა, განსაკუთრებით კი მისთვის, ვინც მთელი ოთხი დღე ერთგულად ემსახურებოდა უკეთურებას და სამაგიეროდ სულ ცოტას მოითხოვდა: თუ რალაც აუცილებლობა არ იქნებოდა, ალარასოდეს შეხვედროდა მათ. მადლობა ღმერთს, ასეც მოხდა, ის კი იყო, ცარიელი „სტენლი-სტიმერი" სასტუმროს მიადგა, რომ ჩვენც მივედით. შვიდადგილიანი ავტომობილი ისეთი ფართო იყო, ორი ქალის, არა, მინის ჩათვლით სამი ქალის ბარგი-ბარხანასაც დაიტევდა, მემფისიდან ორი დღით რომ გამგზავრებულიყვნენ პარშემს. როგორც ჩანს, ახლა მალლა იყვნენ და თავიანთ ავლადიდებას ალაგებდნენ. ასე რომ ცხენის მპარავთა მარაქასაც ჰყავდა მწე და მშველელი. ნედმა ბორბალი შეაკავა, რომ ძირს ჩავსულიყავი.

— ალარ იტყვი, აქ რა გინდა? — მკითხა.

არა-მეთქი, მე ვუთხარი. ცარიელი იყო აივანზე ჩამწკრივებული სკამები; თუკი კეისარი თავისი ტრიუმფის აღნიშვნას აქ ინებებდა, მაშინ განცალკევებით, სრულ მარტოობაში მოუხდებოდა ზეიმი, განცალკევება კი სწორედ რომ უპრიანი იყო ახლანდელ მდგომარეობაში მყოფი ბუნისა და ბუტჩისთვის. მისალებიც ცარიელი იყო და ბატონ პოლიმასს შეეძლო იმით

სარგებლობა, მაგრამ კაცურმა კაცმა ქალების სასტუმრო ოთახი არჩია და ახლა ყველანი იქ იყვნენ — თავად ბატონი პოლიმასი, ავტომობილის მძღოლი (კიდევ ერთი სამკერდე ნიშნიანი შერიფის თანაშემწე), ბუტჩიცა და ბუნიც; ორივეს ეტყობოდა სულ ახლახან გადატანილი ბრძოლის ნაკვალევი. მაგრამ ჩემთვის თავიდათავი ბუნი იყო და ეს კიდევაც [illegible] ჩემს სახეზე, რომელსაც კარგა ხანია იცნობდა, ან შეიძლება [illegible] გულმა თუ სინდისმა ამცნო. ხოდა, იმავე წამს წარმოთქვა:

— დაიცა, ლუციუს, დაიცა-მეთქი! — მსწრაფლ წამოდგა, დაიხია, უკან გაიწია, ცალი ხელი სახეზე აიფარა. მივედი, მივადექი, ჩემზე ორჯერ უფრო მაღალი იყო, შედგომით კი ვერაფერზე შევდექი (მეტი თავის მოჭრა იქნებოდა!) და უნდა ავმხტარიყავი, იმდენი უნდა მომეხერხებინა, როგორმე მივწვდენოდი მის სახეს და გამერტყა; დიახ, კვლავ ვტიროდი და ვლრიალებდი, მას ვერც კი ვხედავდი, ისე ავხტი რაც ძალი და ღონე მქონდა, ავძვერი ალპებისამებრ მაღალსა და სალ კლდეზე და როგორც იქნა გავარტყი. ბატონი პოლიმასი კი ჩემ უკან იდგა და გაიძახოდა:

— მიდი, კიდევ შემოჰკარი! მაგან ქალს ხელი გაარტყა, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს იგი! — და მან (თუ ვილაც სხვამ) ხელი შემაშველა, ვიდრე კლაკნა-გრეხით არ დავუსხლტი და დაბრმავებულმა კარს არ მივაშურე, ანუ იმ ადგილს, სადაც კარი უნდა ყოფილიყო და საითკენაც ვილაცას მივყავდი.

— დაიცა, — დამიძახა ბუნმა, — იმ გოგოს ნახვა არ გინდა? — ხომ გესმის, მე კი დაღლილი ვიყავი და ფეხებიც მტკიოდა, ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდიოდა და ძილიც მაკლდა, უფრო მეტიც, ჭუჭყიანი ვიყავი, სუფთა ტანსაცმელი მინდოდა. მართალია, ევერბიმ გამირეცხა ყველაფერი ორშაბათ ღამით, მაგრამ მე არ მინდოდა ასე ნაუცბათევად გარეცხილი სამოსლის ჩაცმა, მინდოდა ჩამეცვა მშობლიური სახლის კარადაში ნადები საცვლები, გახამებული და ლილაში გავლებული, რალაც გრილ-საამური სურნელი რომ ასდიოდა ხოლმე; მაგრამ მთავარი მაინც ფეხები იყო, სუფთა წინდები და ფეხსაცმელი მენატრებოდა.

— არავის ნახვა არ მინდა, — ვუთხარი, — მე სახლში მინდა.

— კარგი, — ბუნმა თქვა, — მისმინეთ... თუ არის აქ ვინმე, ვინც დილის მატარებელში ჩასვამს ბიჭს? ფული მაქვს... ვიშოვი...

— ხმა, კრინტი, — ვუთხარი, — არსადაც არ მივდივარ. — ისევ დავიძარი კარისკენ, ანუ ისევ მივყავდი იმ ვილაცას, რადგან თვითონ ვერაფერს ვხედავდი.

— დაიცა, — ბუნმა თქვა, — დაიცა, ლუციუს!

— ხმა, კრინტი-მეთქი. — ვთქვი ისევ. იმ ხელმა შემომაბრუნა და კედელს მივაწყდი.

— სახე შეიმშრალე, — ბატონმა პოლიმასმა მითხრა და თავისი ფერადი ცხვირსახოცი გამომიწოდა, მაგრამ არ გამოვართვი, ჩემი სახვევითაც კარგად შევიშრობდი ცრემლებს, ამით თუ არა, საჯირითო თათმანით მაინც, შეჩვეული იყო კიდევაც ჩემს ტირილს. ვინ იცის, ცოტა ხანს კიდევ ჩემთან რომ დარჩენილიყო, დოლსაც მომაგებინებდა. ახლა უკვე ვხედავდი— ვესტიბიულში ვიყავით. უნდა მივტრიალებულიყავი, რომ ბატონმა პოლიმასმა გამაჩერა. — ცოტა ხანს დაიცადე, — ასე მითხრა, — თუ არავის ნახვა არ გინდა. — მისს რება და ევერბი ჩამოდიოდნენ კიბეზე, თან ხელჩანთები ჩამოჰქონდათ, მაგრამ მინი არ იყო მათთან ერთად. ავტომობი-

ლის მძღოლი-შერიფის თანაშემწე მათ ელოდებოდა. ხელჩანთები გამოართვა და ისე ჩაგვიარეს, ჩვენკენ არც კი გამოუხედავთ. მისს რება თავაწეული მიდიოდა, მკაცრი და შეუდრეკელი. კიდევ კარგი მსწრაფლ გვერდით მიდგა ის მძღოლი-შერიფის თანაშემწე, თორემ მასაც და ხელჩანთებსაც ზედ გადაუვლიდა. გარეთ გავიდნენ. — ბილეთს გიყიდი ჯეფერსონამდე, — მითხრა ბატონმა პოლიმასმა. ხმა, კრინტი-მეთქი, იმისთვის არ მითქვამს. — ვხედავ, სულ მარტო დარჩი. მატარებელში ჩაგსვამ და ვეტყვი გამცილებელს...

— ნედს უნდა დავუცადო, — ვუთხარი, — უიმისოდ ვერსად ვერ წავალ. გუშინ ჩვენთვის ხელი რომ არ შეგეშალათ, ახლა უკვე წასულები ვიქნებოდით.

— ნედი ვინლაა? — მკითხა მან და მეც ვუთხარი. — დოლზე იმ ცხენის გაყვანას დღესაც აპირებთ შენ და ის ნედი? — დიახ-მეთქი. — ნედი ახლა სად არის? — ვუთხარი, სადაც იყო. — აბა წავიდეთ, — მითხრა, — ამ გვერდითა კარით გავიდეთ. — ნედი იქვე იდგა, იმ ჯორის ახლოს, ავტომობილიც იქვე იყო, მინი კი არც აქ ჩანდა. შეიძლება მემფისს დაბრუნდა გუშინ სემთან და ოტისთან ერთად. ოტისი ხელში ჩავარდნოდა, და სანამ კბილს არ გააგდებინებდა, რას გაუშვებდა. მეც ალბათ ასე ვიზამდი.

— ბატონმა პოლიმასმა შენც დაგიჭირა? — მკითხა ნედმა, — ახლა რაღა მოხდა? ბორკილი რატომ არ გადევს? ვერ ნახა შენი ზომის?

— ხმა, კრინტი-მეთქი.

— სახლში ამას როდის წაიყვან, შვილო? — ჰკითხა ბატონმა პოლიმასმა ნედს.

— მე მგონია ამაღამ, — ნედმა თქვა. ახლა არც ბიძია რიმუსი გახლდათ იგი, არც თავხედი და არც ლაზღანდარა, — როგორც კი დოლს მოვრჩებით, რამეს მოვიფიქრებ.

— ფული თუ გაქვს საკმარისი?

— დიახ, ბატონო, — ნედმა მიუგო, — დიდი მადლობა. დოლის მერე ყველაფერი კარგად იქნება. — მერე ორთვალას ბორბალი შეაკავა და ორივენი ზედ ავედით. ბატონი პოლიმასი ლატანს ხელჩაჭიდებული იდგა და გვითხრა:

— ნამდვილად აპირებთ დღეს ლინსკომის ბედაურს შეაჯიბროთ თქვენი ცხენი?

— დღეს ჩვენ ლინსკომის ბედაურს დავამარცხებთ, — ნედმა მიუგო.

— იმედი გაქვს ალბათ, — უთხრა ბატონმა პოლიმასმა.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა ნედმა.

— რამდენად ხარ დარწმუნებული? — ჰკითხა ბატონმა პოლიმასმა.

— ასი დოლარი რომ მქონდეს, სულ მეხთამტეხელზე ჩავიდოდი, — უთხრა ნედმა. ერთმანეთს უმზერდნენ ერთხანს, მერე ბატონმა პოლიმასმა ლატანს ხელი გაუშვა და ჯიბიდან გაქექილი საფულე დააძრო. დავინახე თუ არა, ასე გავიფიქრე, ნედს რომ აქვს, ზუსტად იმისი ასლია-მეთქი, ისეთივე გაქექილ-გაქუცული და ამ ჩემს საჯინიბო თათმანზე უფრო გრძელი. ხოდა, ველარ გაიგებდი, ვის ვისთვის უნდა მიეცა ფული და რისთვის; ბატონმა პოლიმასმა საფულე გახსნა, იქიდან ორი ერთდოლარიანი ამოიღო, ისევ დაკეტა და ფული ნედს გაუწოდა.

— ჩემს მაგივრად ჩახვალ, — ასე თქვა, — თუ მოიგებ, ნახევარი შენი იყოს, — ნედმა გამოართვა.

— კარგი, ჩავალ თქვენს მაგივრად, — უთხრა, — დიდი მადლობა. ამ საღამოსვე გამოგიგზავნით სამჯერ, ოთხჯერ უფრო მეტს. — ჩვენ, უფრო სწორად ნედმა ჯორი მიაბრუნა და დავიძარით. ავტომობილის ყვერდით არ ჩაგვივლია. — მტირალასა ბანიო, — ნედმა თქვა, — დოლზე გამოდიხარ და ტირილს ვერ გადაჩვეულხარ.

— ხმა, კრინტი-მეთქი, — ვუთხარი. ნედმა ისევ მიაბრუნა ორთვალა. ლიანდაგზე გადავედით და იმ ადგილს ჩავუარეთ, რომლისთვისაც შეიძლებოდა მოედანი დაგვერქმია, თუკი პარშემი იმდენად დიდი ქალაქი შეიქნებოდა, რომ მოედანი ჰქონოდა. რომელილაც დუქნის წინ შევჩერდით.

— ალვირი დაიკავე, — ნედმა მითხრა და ჩავიდა, დუქანში შევიდა. სულ მალე გამოვიდა იქიდან ქალალდის პარკით ხელში, დაჯდა, ალვირი მოიმარჯვა და გავსწიეთ სახლისკენ — პარშემ ბიძიას სახლისკენ-მეთქი. მერე თავისუფალი ხელით დიდი პარკიდან პატარა ამოიღო; პიტნის კანფეტები იყო შიგ. — აილე, ცოტა ბანანებიც ვიყიდე, და როგორც კი მეხთამტეხელს იმ წყაროსთან მივიყვანთ მდელოზე, ვჭამოთ, მერე იქნებ წავუძინო კიდეც, თუკი მთლად არ გადავჩვეულვარ ძილს. იმ გოგოზე კი ნულარ დარდობ; ბუნ ჰოგანბეკს, რაც გინდოდა, ხომ უთხარი. ქალს რომ გაჰკრავ ყბაში, ეგ მისთვის არაფერია. კაცივით ხელს ვერ შემოგიბრუნებს, ხმასაც არ ამოიღებს, მაგრამ თუ მიტრიალდები, იმწუთასვე უთოთი ან სამზარეულო დანით გეცემა. კი შეიძლება თვალი ჩაულურჯდეს ან ტუჩი გაუსკდეს ცოტათი, მაგრამ ამას არაფრად აგდებს და თუ იცი რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ჩალურჯებული თვალი ან დასივებული ტუჩი ამის მაუწყებელია, კაცს მოვწონვარ და თავს არ დამანებებსო.

ხოდა, კიდევ ერთხელ დავდექით სასტარტო ხაზთან მაკ-უილი და მე, ჩვენს მროკავ, ფიცხელ ბედაურებს ძლივს აჩერებდნენ მეჯინიბეები (დიახ, ეს მართალია, მეხთამტეხელიც მოუსვენრად როკავდა; და თუ ის ვერ შეითვისა გუშინ, რომ ჩვენი იმედი უნდა გაემართლებინა და პირველი მისულიყო ფინიშთან, იმას მაინც მიხვდა, ყოველ შემთხვევაში, მეხსიერებაში ჩარჩა ალბათ, რომ სტარტზე ტოლი არ უნდა დაედო აქერონტისთვის).

ამჯერად ნედის საბოლოო დარიგება მარტივი, ზუსტი და მოკლე იყო.

— მხოლოდ ეს უნდა გახსოვდეს: მე ვიცი, რომ შემიძლია ერთხელ გავამარჯვებინო და იქნებ მეორედაც. მაგრამ მე რომ ვამბობ, *ვიცი-მეთქი*, ყველაზე უფრო საჭირო რომ იქნება, მაშინ უნდა გამოვიყენო. ხოდა, მე ეს მინდა, რომ პირველივე გარბენის სტარტზე, სანამ მსაჯი, თუ ვინც არის, დაიყვირებს, გასწითო, შენ გულში ასე თქვა: ნედ უილიამ მაკ-კასლინი *ვარ მე* და მერე რაც საჭიროა, იმას იზამ.

— რა არის საჭირო? — ვკითხე.

— თავადაც არ ვიცი ჯერ, — ასე თქვა, — მაგრამ იცოდე, აქერონტი ცხენია და ზოგჯერ ცხენს რა არ მოუვა, მით უფრო იმაზე ამხედრებულ ზანგის ბიჭს. ხოდა, თვალყური გეჭიროს, მზად იყავი და თუ რამე მოხდება, მაშინვე თქვი: *ნედ უილიამ მაკ-კასლინი ვარ მე*, და რაც გასაკეთებელია, გააკეთე, თანაც სწრაფად, და ნურაფრის დარდი ნუ გექნება. თუ არც არაფერი მოხდა და შენც არაფერი გამოგივიდა, ზედ ფინიშის ხაზთან

დაგხვდები და ნახავ, რასაც ვიზამ, რადგანაც ჩვენ ხომ ვიცით, ერთხელ მაინც გავამარჯვებინებ მეხთამტეხელს.

მერე გაისმა ყვირილი, გასწითო! ჩვენმა მეჯინიბეებმა ისკუპეს და თავს უშველეს, ჩვენ კი წინ გავიჭერით (უკვე გითხარი, წილი ვყარეთ და კიდეზე მაკ-უილი იდგა), უფრო სწორად, მაკ-უილი გაიჭრა წინ. კარგად არ მახსოვს, ნებსით თუ უნებლიედ აღვირი მოვწიე და მეხთამტეხელი ისე გაიჭრა, კინალამ მხარ-მკლავი და ის მტკივანი ხელი ჩამომაგლიჯა, აქერონტი უკვე მთელი ძალით მიქროდა და სამი ტანით გაგვისწრო. მეც თავის ნებაზე მივუშვი მეხთამტეხელი, მაგრამ დისტანციას ვინარჩუნებდი, სამი ტანით უკან მივდევდით. და უცებ მაკ-უილიმ ერთი რამ გააკეთა, რასაც დღეს ნაგვიანევ რეაქციას ვეძახით. თავის მოუტრიალებლად ცალი თვალის კიდით გვერდზე გამოიხედა, ასე ეგონა, მის მუხლთან ვიქნებოდი; რამდენიმე წამს ისევ მთელი ძალით მიქროდა, სანამ თვალმა არ ამცნო მის თავს, რომ მეხთამტეხელი და მე იქ არ ვიყავით, სადაც ვეგულებოდით. მაშინ კი იკადრა კისრის მოღრეცა, თავი მოაბრუნა და უკან გამოიხედა. დღესაც კარგად მახსოვს მისი თვალების გაელვება და განცვიფრებით დაღებული პირი, თვალწინ მიდგას, რა გაშმაგებით მოსწია სადავეს, რათა აქერონტი შეეკავებინა. თუნდაც დავიფიცებ, ნამდვილად გავიგონე მისი ღრიალი: „წყეულიმც იყავ, თეთრო ბიჭო, დოღზე ხარ და მიდი, მიდი რაღა!“ და მანძილმა სწრაფად იწყო შემცირება ჩვენ შორის, რადგანაც აქერონტს კისერი მოუგრიხა და იმდენი ქნა, თითქმის შემოატრიალა და გარდიგარდმო დააყენა სარბენ ბილიკზე; ცხენმა თითქმის გადაკეტა გზა მოაჯირიდან მოაჯირამდე და თითქოსდა წამით გაირინდა კიდევაც; მგონია, არ ვცდები, თავგზააბნეულ მაკ-უილის ასე გაუელვა თავში: ცხენს შევატრიალებ, უკან დავბრუნდები, მეხთამტეხელს წინ გავუშვებ და ასე გავაგრძელებ სრბოლასო. მეყსეულად, ისე, რომ თავად ვერც მივხვდი, ასე აღმომხდა: *ნედ უილიამ მაკ-კასლინი ვარ მე*, და რაც ძალი და ღონე მქონდა, მათრახი გადავუჭირე მეხთამტეხელს, თავიც ისე მივუტრიალე, ისე მივმართე, რომ აქერონტსა და მოაჯირს შორის დარჩენილ სავალში გაჭრილიყო და მოაჯირს კი არა, აქერონტს წამოსდებოდა; მახსოვს, ასე გავიფიქრე, *ფეხს მომტეხს-მეთქი*; რაღა უნდა მექნა, მათრახი დავუშვი და ბედს მივენდე, აღარც შიშს ვგრძნობდი და აღარც არაფერს, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით ველოდი შეჯახებას, დარტყმას, სისხლის ნთხევას, ძვლების მსხვრევას და რა ვიცი კიდევ რას. მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, რა მოხდა. შეიძლება საკმარისი ადგილი იყო დარჩენილი აქერონტსა და მოაჯირს შორის, შეიძლება სწორედ ისეთი სიჩქარით მივქროდი, როგორიც საჭირო იყო, ან შეიძლება ბედმა გამიღიმა და ჩემი ფეხი კი არა, მეხთამტეხელი გაეხახუნა აქერონტის გავას. მათრახი აღვმართე იმავე წამს და, რაც ძალი და ღონე მქონდა, გადავკარი. მსაჯთაგან ვერავინ, ვერც დოღის განმკარგულებელი, ვერც ძაღლების მწვრთნელი-ვაჭარი-მონადირე თუ კაცისმკვლელი, ვერც ვინმე მეთვალყურე თუ გულშემატკივარი, ვერავინ, თუნდაც მთლად უპატიოსნესი და სპეტაკი, ვერ იტყოდა, რომ მათრახი ჩემსავე ბედაურს არ გადავუჭირე, რადგანაც იმწუთას ჩვენ ოთხნი ერთმანეთში ისე ავირ-დავირიეთ, რომ მხოლოდ აქერონტმა იცოდა, სინამდვილეში მათრახი ვისაც მოხვდა.

გზა ხსნილი იყო. ქარივით მივქროდით მეხთამტეხელი და მე. უკან არ მიმიხედია, არც შემეძლო და, რაც მოხდა, მხოლოდ მერე გავიგე. ასე

მიამბეს, აქერონტს არც კი უცდია ზედ გადავლებოდა მოაჯირს, ჯერ ყალყზე შედგა, შემდეგ შელეწა ის ზღუდე, მტვრისა და ნაფოტების კორიანტელი დააყენა, და ძირს არც დანარცხებულა, ისე გაიჭრა იქით, მინდორზე. მაყურებლებმა ძლივს უშველეს თავს და მიმოიფანტნენ. მერე კი, როგორც იქნა, მაკ-უილიმ შემოატრიალა და სცადა უკანვე [illegible] — გადმოეხტუნებინა (გარღვეულ მოაჯირთან დაბრუნება [illegible] ჩვენ — უფრო სწორად მეხთამტეხელმა — გვარიანად გავუსწარით). მაგრამ რაც მაკ-უილის სურდა, აქერონტმა არ ინება და მთელი ძალით მოაჯირის გასწვრივ განაგრძო სრბოლა, ოღონდ გარეთა მხრიდან, ხოლო მაყურებლები ბღავილითა და კივილით ბაყაყებივით გვერდზე ხტებოდნენ, არ გადაგვთქეროსო, ამასობაში კი ის ახალ სარბენ ბილიკსა თუ ახალ პრეცედენტს ქმნიდა. მერე კვლავ მომესმა მისი ხმა, უფრო სწორად, იმათი — მაკ-უილისა და აქერონტის, რომლებიც მსწრაფლ გვეწეოდნენ, თუმცა კი ჩვენ შორის ის მოაჯირი იყო. მეხთამტეხელისა იყო ახლა ის სარბენი ბილიკი და ძალუმი, თანაბარზომიერი ნავარდით მიდიოდა, მაგრამ აზრადაც არ მოსდიოდა, რომ აჩქარება მართებდა; ხოდა, აქერონტი, ზედმეტი ორმოცდაათი იარდი რომ გაირბინა და ფინიშამდეც რომ მოუწევდა კიდევ ერთი ამდენის გარბენა ზედმეტად, გაგვისწორდა, ოღონდ ისევ მოაჯირს იქიდან; კვლავ სწორეზე მივქროდით, მერე მარცხნივ მოვუხვიეთ და უკვე ცხადლივ ვხედავდი, სასოწარკვეთილი, გააფთრებული, ჭკუაარეული მაკ-უილი როგორ ცდილობდა თავის შველას, რა უნდა ექნა? უკან მიებრუნებინა თავისი ბედაური იმ შელეწილ ლობესთან და იქიდან სარბენ ბილიკზე დაებრუნებინა, მაგრამ ვაითუ გაოგნებულიყო ნამსხვრევების გროვის დანახვაზე, ან იქნებ, რაც უფრო ნაღდი იყო, ახალ გაკვალულ სარბენ ბილიკს გაჰყოლოდა, სადაც არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებოდა.

კონსერვატიზმი გამოვიდა გამარჯვებული (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება): ჩვენ ისევ სწორეზე მივქროდით (ახლა უკვე მეორე წრისა), და ისევ მოსახვევი. და თუმცა ისინი ისევ გრძელ ბილიკზე რბოდნენ, მაინც წინ იყვნენ. მერე ფინიშის ხაზიც გამოჩნდა, აქერონტი ლამის მთელი ტანით გვისწრებდა, ხოდა, მახსოვს, ასე გამიელვა თავში, მოდი, მათრახს გადავკრავ მეხთამტეხელს, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი; ფინიში სულ უფრო ახლოვდებოდა, მაყურებელი უკვე ყვიროდა, ღრიალებდა, საძრახისი აქ არაფერი იყო; ალბათ ცოტას უნახავს—თუ საერთოდ უნახავს ვინმეს—ასეთი დოღი, როცა ცხენები ბარიერის აქეთ-იქით მიქრიან. აქერონტმა აიწყვიტა, თავისუფალი იყო მის წინ გზა, როგორც სავალი ზეციისკენ. ორი ტანით გვისწრებდა უკვე, როდესაც ჩვენ, უფრო სწორად, მეხთამტეხელმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, მან კი (აქერონტს, როგორც ჩანს, დიდად მოსწონდა ბარიერს იქით ჭენება) მესამე წრე დაიწყო; ძლივს შეძლო მაკ-უილიმ მისი შემოტრიალება, მაგრამ რაღა დროს, და ისევ ღრიალი, ყვირილი: „არ ითვლება! არა! არა! კი ითვლება! არა, არ ითვლება! მსაჯებს მოვუხმოთ! ედის ვკითხოთ! რას იტყვი, ედ!“ და ის მაყურებლები, მოაჯირს მიღმა რომ მიფანტ-მოფანტა აქერონტმა, იმ შელეწილ ლობეში მოძვრებოდნენ და აქეთ მხარეს შეგროვილთ უერთდებოდნენ. ნედს ვეძებდი, თითქოსდა დავინახე, მაგრამ შევცდი, ლიკურგე იყო, ჩემკენ მორბოდა, მეხთამტეხელს მაშინვე ალვირში ჩაავლო ხელი და შეატრიალა.

— წამოდი, — ასე თქვა, — შენ დასვენება გინდ[illegible] ამას კი გაგრილება.

ბატონმა მაკ-კასლინმა მითხრა, იმ აკაციებთან მიიყვანეთ, ჩრდილში, სადაც ორთვალა დგას, იქ მშვიდად იქნება, თანაც გაამშრალებთო. — მაგრამ მე ჯერ არ მივყვებოდი.

— ერთი მითხარი, რა მოხდა? — ვკითხე, — თუ ჩაგვითვალეს? გამარჯვებულები ხომ ჩვენ ვართ? პირველები ჩვენ მივედით ფინიშზე, მათ კი შემოუარეს. ცხენი შენ წაიყვანე, მე კი მივალ და ყველაფერს გავიგებ.

— არა-მეთქი, გეუბნები, — მითხრა ლიკურგემ. მეხთამტეხელი უკვე მიჰყავდა, — ბატონმა მაკ-კასლინმა შემოგითვალა, მანდ ნუ გაჩერდებიო. მე და შენ მეხთამტეხელთან უნდა ვიყოთ და მეორე გარბენისთვის მოვემზადოთ. იქამდე ერთი საათიც აღარ არის დარჩენილი. ის გარბენი უნდა მოვიგოთ, იცოდე, სხვა გზა არა გვაქვს, რადგან პირველი შეიძლება არ ჩაგვითვალონ. — ხოდა, წავედით, სარბენი ბილიკი რომ ჩავათავეთ, ლიკურგემ ლატანი გადასწია და ლობის იქით გადავედით. აკაციები იდგა ორასი იარდის დაშორებით; ბიძია პარშემის ორთვალა დავინახე ერთ-ერთზე მიბმული. მსაჯთა ტრიბუნიდან ისევ მოისმოდა ღრიანცელი და ისევ მინდოდა მივბრუნებულიყავი, რომ გამეგო რა ხდებოდა. მაგრამ ლიკურგეს ესეც ჰქონდა გათვალისწინებული: ვედრო მოეტანა, ჯაგრისები, ჩვრები და წყლით სავსე კარაქის სადღვებელიც ჩაედგა ორთვალაში; უკვე შეგვეძლო უნაგირი მოგვეხადა მეხთამტეხელისთვის და საქმეს შევდგომოდით.

ხოდა, სანამ ნედი მოვიდოდა, პირველი ცნობა იმის შესახებ, რაც მოხდა (და რაც გრძელდებოდა) სხვისი ნათქვამით შევიტყვე — ჯერ ლიკურგესაგან, თუმცა მას ბევრი ვერაფრის ნახვა მოესწრო, რადგან ნედს მაშინვე ჩემთან გამოეგზავნა, მოგვიანებით კი სხვებისაგანაც; იყო ღრიალი, ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა, ზოგი იძახდა, ასეაო, ზოგი კი — ასე არა, ისეაო (დიახ, შარშან ზამთარში ორჯერ დამარცხებისა და გუშინდელი წაგების მიუხედავადაც მაინც იყვნენ ვილაცები, მეხთამტეხელზე რომ ჩამოსულიყვნენ ფულს; მე მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი და აბა რა ვიცოდი, რაც არ უნდა წყალწალებული ჯაგლაგი იყოს, თუკი როგორმე შეძლებს სასტარტო ხაზთან მიჩანჩალებას, ვილაც მაინც დადებს იმაზე სანაძლეოს); და ამ აბობოქრებული ბრბოს შუაგულში ნედი ჩამდგარიყო — თავაზიანი, მშვიდი, მტკიცე და შეუპოვარი, შემართული ყოველი შეტევის მოსაგერიებლად.

— ეს რა დოღია! დოღში ორი ცხენი მაინც უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ კი რა ვნახეთ, ერთი ცხენი სულაც გადავიდა სარბენი ბილიკიდან.

ნედი კი პასუხობდა:

— არა, ბატონო, რამდენი ცხენი უნდა იყოს, წესებში არ არის ნათქვამი, მხოლოდ ეს არის ნათქვამი: თუ ცხენი წესს არ არღვევს, წინ თუ მიიწევს შეუჩერებლივ და პირველი გადაკვეთს ფინიშის ხაზს, ისე, რომ არც მხედარი ჩამოვარდეს და არც არაფერი, მაშინ გამარჯვებულიც ის იქნება.

ახლა მეორემ უთხრა:

— თავად შენივე სიტყვებით, გამარჯვებული ის ყორანა ბედაურია. მას არც არაფერი დაურღვევია, გარდა იმ ოცი ფუტი სიგრძის ლობისა, წამითაც არ შეჩერებულა, ისე მიქროდა; საკუთარი თვალით ვნახე, ოცზე მეტმა კაცმა მაინც ძლივს მოასწრო განზე გახტომა, კინაღამ ფლოქვე-

ბით არ გადათქერა. შენც ხომ ნახე, მთელი ორი ტანით წინ იყო ქურანაზე, როცა ფინიშის ხაზი გადაკვეთა.

ნედმა უპასუხა:

— არა, ბატონო, ფინიშის ხაზი ერთი მოაჯირიდან მეორემდეა, მისი-სიპიმდე კი არა, თუნდაც იქამდე იყოს, დღეს დილიდან [illegible] რამდენმა ცხენმა გადაკვეთა, ჩვენ კი ბაიბურშიც არა ვართ, ბატონო. იმ მილრინკულ ლობეზე კი რაც თქვით, გეთანხმებით, ვერ არის კარგი ამბავი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცხენით ვიყავით დაკავებული, მივრბოდით როგორც წესი და რიგია და არც დრო გვქონდა იმ მეორე ბედაურს დავლოდებოდით, როდის დაბრუნდებოდა ბილიკზე.

მერე უეცრად სამი ახალმოსული გამოჩნდა სარბიელზე, როგორც ნაამბობიდან ჩანდა. მაგრამ სამივე უცნობი არ ყოფილა, ერთი იმათთაგანი პოლკოვნიკი ლინსკომი გახლდათ და როგორც მეზობელს, ყველა იცნობდა ამ არემიდამოში, ხოლო თანმხლები ორი კაცი, როგორც ჩანს, მისი სტუმარი იყო, ქალაქელები უნდა ყოფილიყვნენ, ხნოვანებით მისი ტოლნი და ისეთივე შეძლებულნი, სერთუკებში გამოწყობილნი, ჰალსტუხიანები. ერთ-ერთმა, როგორც ჩანს, საქმის მოგვარება ითავა, აყაყანებულ ბრბოს შუაგულში შევიდა და ნედთან, თავგზააბნეულ განმკარგულებელთან და მსაჯებთან დადგა. ასე განაცხადა:

— ჯენტლმენებო, ნება მიბოძეთ ერთი წინადადება შემოგთავაზოთ. აი ეს კაცი, — ნედისკენ ხელი გაიშვირა, — ამბობს, რომ მის ცხენს წესი არ დაურღვევია და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. მაგრამ ყველამ ნახეთ, მეორე ცხენი უფრო სწრაფი იყო და კიდევაც პირველი მივიდა ფინიშთან. ამ ბედაურების პატრონები აქ არიან, ჩემ გვერდით: პოლკოვნიკი ლინსკომი, თქვენი მეზობელი, და ბატონი ვან ტოში, მემფისიდან, აქედან რომ არც ისე შორსაა, და როცა ბატონ ვან ტოშს გაიცნობთ, მასაც უთუოდ მეზობლად მიიჩნევთ. ხოდა, ასე შეთანხმდნენ — მე მგონია, მსაჯებიც ყაბულს იქნებიან — ეს გარბენი იმად ჩაითვალოს, რასაც ბანკირები პირობით ანაბარს ეძახიან. გინდოდათ თუ არა, ყველას გქონიათ საქმე ბანკირებთან... — ამბობენ, კაცმა აქ პაუზა გააკეთა, იქნებ ვინმემ გაიცინოსო, და ასეც მოხდა, — და იცით, რომ ისინი ყველაფერს სახელს არქმევენ.

— და ხეირსაც ნახულობენ! — თქვა ვილაცამ და ისევ გაისმა ხარხარი, რომელიც სტუმარს სრულიად მუქთად ერგო, და თავადაც გადაიხარხარა.

— ამჯერად პირობითი ანაბარი გადავადებას ნიშნავს, არც გაუქმებას და არც დაკარგვას, გადავადებას-მეთქი. ყველა ფსონი ძალაშია, არც არავინაა მოგებული და არც არავინაა წაგებული; თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ თანხა ან ერთდროულად ორივე ცხენზე ჩახვიდეთ ფსონს, ან, რაც გნებავთ, ის გააკეთოთ; წინა გარბენზე რა თანხასაც ჩახვედით, მომავალ გარბენზეც ძალაში დარჩება, ხოლო ცხენების მფლობელები კიდევ ორმოცდაათ-ორმოცდაათ დოლარს დაუმატებენ, და საბოლოოდ მოგებული ის იქნება, ვინც უკანასკნელ გარბენს მოიგებს. სულ ბოლო გამარჯვება იყოს საბოლოო გამარჯვება. აბა, რას იტყვით?

აი ეს იყო, რაც მე, — უფრო სწორად ჩვენ — ლიკურგემ და მე მოგვიანებით გავიგეთ. ჯერ კი არაფერი არ ვიცოდით, ნედს ველოდებოდით ან სხვა ვინმეს, ვინც მოვიდოდა ან ვისაც ჩვენს დასაძახებლად გამოაგზავნიდნენ. მეხთამტეხელი უკვე დაურვებული იყო და ზურგზე ასალ-

გადაფარებულს ლიკურგე აქეთ-იქით დაატარებდა, არ აჩერებდა. მე კი ვიჯექი ხეზე მიყრდნობილი, ის ჩემი საჯირითო თათმანი წავიძრე, რათა შეხვეული ხელი შემშრობოდა. თითქოსდა საათები, თითქოსდა მარადისობა გავიდა, მერე კი მომეჩვენა, რომ საერთოდ წარხოცილიყო დროჟამი, სადღაც დანთქმულიყო თუ გალეულიყო. მერე ნედი გამოჩნდა, სწრაფად მოდიოდა. მე უკვე გითხარი, თუ რა საშინლად გამოიყურებოდა იმ დილით, მაგრამ ნაწილობრივ ეს მისი ტანსაცმლის ბრალი იყო. ახლა კი სუფთა (თითქმის სუფთა) პერანგი ეცვა, შარვალსაც არა უშავდა. თუმცა ამჯერად თავიდათავი მისი სამოსელი არ იყო, თუნდაც მთლად ჭუჭყიანი ყოფილიყო, თავიდათავი სახე იყო მისი. ისეთი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, თავად ბედისწერა რომ დახვდება უეცრად გზაზე და ეს ბედისწერა ასე განუცხადებს: *გული დაიმშვიდე. კიდევ ოცდაათი-ორმოცი წუთი და შენ მე დამჭირდები. მზად იყავი, მანამდე კი ნურაფერზე იღელვებ, შენს საქმეს მიხედე.* მაგრამ ჩემთვის — ჩვენთვის-მეთქი — ნედს სულაც არ მოუცია დრო. ორთვალასთან მივიდა, გადმოიღო შავი ქურთუკი, ჩაიცვა და ასე მითხრა:

— ეს გარბენი იმად გამოაცხადეს, რასაც პირობით ანაბარს ეძახიან, და ვინც წააგებს, ის წაგებული იქნება საბოლოოდაც. მოემზადე, — თუმცა ლიკურგეს უკვე გადაეძრო ცხენისთვის ასალი და მის შესაკაზმავად დიდი დრო აღარ დაგვჭირვებია. მე ზედ შემსვეს. ნედი მეხთამტეხელის თავთან იდგა, ერთ ხელში აღვირი ეჭირა, მეორეს კი ქურთუკის ჯიბეში აფათურებდა, რაღაცას ეძებდა. — ამჯერად აღარ გაგიჭირდება. გუშინ ცოტა მუჯლუგუნი წავკარით, დღეს კი შენ გააცურე. მეტი აღარ გამოგვივა. მაგრამ არა უშავს, მისი გაცურება აღარც დაგვჭირდება. მე ვიცი, რასაც ვიზამ. შენ კი ეს გევალება, როგორმე ფინიშამდე უნდა გაძლო, არ გადმოვარდე, იცოდე. შენი საზრუნავი ეს არის და კიდევ, სარბენი ბილიკიდან არ გადაახვევინო. ორშაბათს რაც გასწავლე, გახსოვდეს. პირველი წრის დასასრულს რომ დაიწყებს ეს ჩვენი ბედაური ფიქრს, ნედი სად იდგაო ორშაბათს, გადაჰკარი. სვლა არ შეანელებინო. იმ მეორე ცხენის დარდი ნუ გაქვს, თავს ნუ აიტკივებ, სად არის და რას შვრებაო. შენსას უნდა მიხედო. ხომ გაიგე, რაც გითხარი?

დიახ-მეთქი, ვუპასუხე.

— კარგი. ესეც დაიხსომე: ბოლოს რომ მოუხვევ და ფინიშისაკენ მიმავალ სწორეზე გახვალ, ვარაუდებს თავი დაანებე, უნდა იცოდე, რომ მეხთამტეხელი ბოლომდე ხედავს სარბენ ბილიკს. თავად მიხვდები ყველაფერს, ფინიშთან რომ მიხვალ, მანამდე კი ნუ მოჰყვები ვარაუდებს, თუ ხედავს ან ვაითუ ვერ ხედავსო. შენ უნდა იცოდე, რომ ის კარგად ხედავს ყველაფერს ფინიშის ხაზამდე და იმას იქითაც. და თუ შენ წინ ის მეორე ცხენი აღმოჩნდება, მაშინ მეხთამტეხელი როგორმე მინდვრის მხარეს უნდა გადაიყვანო, ისე, რომ მის წინ სავალი თავისუფალი იყოს და მის მზერას არაფერი ელობებოდეს ფინიშის ხაზამდე და იმის იქითაც. თქვენ შორის დისტანციის გაზრდას ყურადღებას ნუ მიაქცევ, მთავარია, მეხთამტეხლის წინ მთელი სივრცე ხელისგულივით მოჩანდეს, — თქვა და ჯიბიდან ამოიღო მეორე ხელი, რომელშიც მეხთამტეხელმა დრუნჩი ჩარგო და დაყნოსა. კვლავ მომივიდა რაღაც სუსტი სუნი, პარშემ ბიძიას საძოვარზე რომ ვიგრძენი პირველად, სუნი, იმწამსვე რომ უნდა მეცნო მეც

და სხვასაც, და კიდევაც ვიცნობდი, დრო რომ მქონოდა საამისოდ. — თუ დაიმახსოვრე, რაც გითხარი?

— დიახ, — ვუთხარი.

— მაშ მიდი, — მითხრა, — შენ კი, ლიკურგე, წინ გაუძეხი.

— შენ არ წამოხვალ? — ვკითხე მე. ლიკურგე აღვირს ჩაეჭიდა და ძლივს მოაცილა ნედის ხელისგულს მეხთამტეხელის დრუნჩი. დაბოლოს, ნედმა ისევ ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— ახლა კი მიდი, — ისევ მითხრა, — შენ უკვე იცი, რაც უნდა ქნა.

ლიკურგე ეწეოდა, მაგრამ მეხთამტეხელი ჯიუტობდა, უკანვე მიბრუნებას ცდილობდა. მაშინ ლიკურგემ უფრო მაგრად მოსწია აღვირს.

— ცოტათი გადაუჭირე, — მითხრა ლიკურგემ, — ჭკუაზე მოიყვანე. — ასეც მოვიქეცი, და ჩვენ სარბენ ბილიკზე გავედით. მაკ-უილი და მე უკვე მესამედ დავდექით სტარტზე ჩვენს ფიცხელ რაშებზე განრთხმულები. მაკ-უილის მეჯინიბემ აღარ მოისურვა მესამედ მიწაზე დაგორება და არც ვინმე სხვა გამოჩნდა მოხალისე, არავინ არ გადადო თავი. ხოდა, მაშინ ორნი გამოვიდნენ, დემოკრატიის წარმომადგენლები, ხელში მოიმარჯვეს ბამბის ბარდანების შესაკრავი ბაწარი, დადგნენ ბილიკის აქეთ-იქიდან და მაგრად გადაჭიმეს მოაჯირიდან მოაჯირამდე. ასეთი შესანიშნავი სტარტი არც გვქონია აქამდე. რაღა თქმა უნდა, აქერონტი, წელან ექვსდუიმიანი ფიცარი რომ შელეწა და მოაჯირს იქით ამოჰყო თავი, ახლა მოაჯირიდან ექვსი ფუტით დაცილებული როკავდა, ხოლო მეხთამტეხელი, ლამის ცხვირით რომ იყო მიბჯენილი იმ ზღუდეს, ძროხასავით თვინიერი გამხდარიყო და, მგონი, ბრბოში ნედს დაეძებდა. უცებ განმკარგულებელმა დაიყვირა, გასწითო! ის თოკი მოისროლეს, და იმავე წამს გვერდით ჩაგვიქროლეს აქერონტმა და მაკ-უილიმ, რომელმაც შიგ ყურში ჩამძახა:

— ახლა კი გასწავლი ჭკუას, თეთრო ბიჭო!—მართალია, კი ჩაგვიქროლეს, მაგრამ უეცრად მეხთამტეხელმაც აიწყვიტა და მაკ-უილის მუხლს გაუსწორდა. და აქ გამოჩნდა მისი ძალა, რიტმი და სიკისკასე. მაგრამ მისი გონება ისევ ისე იყო მომართული, ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რომ დოლზე იყო გამოსული. ესეც უნდა ვთქვა, მას შემდეგ, რაც მე მხედრობა მომანდეს, ჩვენი შეჯიბრება პირველად ახლა დაემსგავსა ნამდვილ დოლს; სარბენ ბილიკზე მიქროდა ორი ბედაური, თითქოსდა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, თუმცა ჯაჭვი ოდნავ მოშვებულიყო. ფინიშის საპირისპირო მხარეს მივქროდით და ეს ჩვენი სრბოლა-ჭენება მდორე შექმნილიყო, ანუ ისეთი, სიზმრად რომ ხედავს კაცი; გაიჭრებოდა აქერონტი წინ, ასე მეგონა, უკან ჩამოგვიტოვებს-მეთქი, მაგრამ იმავ წამს ჩემი ბედაურიც მოუმატებდა სიჩქარეს და წამოეწეოდა. ეს უკვე ნამდვილ ორთაბრძოლას ჰგავდა. მოაჯირს მილმა კიჟინა დასცხეს, ჯერ კარგად არ იცნობდნენ მეხთამტეხელს და არ უწყოდნენ, რომ უბრალოდ იმიტომ არ სურდა უკან ჩამორჩენა, რათა მარტო არ ყოფილიყო. აგერ მარცხენა მოსახვევიც და ფინიშისკენ მიმავალ ბილიკზე გავედით, რომლითაც პირველი წრე სრულდებოდა და, გეფიცები, მეხთამტეხელი უკვე ნედს ეძებდა, გეფიცები, ამ გამალებული ქროლვისას ჭიხვინიც კი აღმოხდა. პირველად მესმოდა ცხენის ჭიხვინი ჭენების დროს, და თუ ეს შეიძლებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი.

მთელი ძალით გადავუჭირე მეხთამტეხელს მათრახი. შეხტა, ფეხი აერია და ისევ ოთხზე გადავიდა; ამასობაში ორი კორპუსის ტოლა მანძილი

ვაჩუქეთ მაკ-უილის. ისევ დავკარი მათრახი, მაგრამ მეორე წრე ისევ ორი კორპუსით ჩამორჩენილებმა დავიწყეთ. ხოდა, იმდენ ხანს ვურტყამდი, ვიდრე ნედის ადგილი აქერონტმა არ დაიკავა მის გონებაში, იმაში, რასაც ალბათ მისი გონება ერქვა, და ისევ არ გაუსწორდა თავით მაკ-უილის მუხლს, მორჩილად და თვინიერად, წინ წასვლა არც უფიქრია. ეს მძლავრი, დიდებული სხეულის პატრონს, რომლის არც ერთ კუნთს არ ეშინია ცნობა ტვინიდან და არც ტვინისთვის უცნობებია დაკვირვებასა და გამოცდილებას, რომ ამ შლეგური ქროლვა-ჭენების ერთადერთი არსი და მიზანი ეს იყო — პირველი მისულიყო გარკვეულ ადგილას. ახლა უკვე მაკ-უილი ურტყამდა მათრახს თავის ბედაურს, ასე რომ მე აღარც მჭირდებოდა მათრახის ქნევა, სულ ამაო იქნებოდა, მეხთამტეხელი არც უსწრებდა აქერონტს და არც ჩამორჩებოდა. მერე ისევ მოვუხვიეთ და ისევ ფინიშისკენ მიმავალ სწორეზე გავედით. კვლავ მეხთამტეხელზე ვიყავი ამხედრებული და მეხთამტეხელიც კვლავ მიქროდა სარბენ ბილიკზე; დრო დადგა, როდესაც ნედის საბოლოო მითითება უნდა შემესრულებინა, ანუ შევყოვნებულიყავი ოდნავ, გვერდით გადამეყვანა მეხთამტეხელი და მაკ-უილი ერთი კორპუსით მაინც გამეშვა წინ, ისე, რომ მეხთამტეხელის მზერა სავალის ბოლოს, ფინიშის ხაზსა და მის იქითა არესაც დაუბრკოლებლივ მისწვდენოდა. რაღა თქმა უნდა, მან — მეხთამტეხელმა — პირველმა დაინახა ნედი. ხოლო პირველი, რაც მე ვიგრძენი, ეს იყო — ჩემმა კისრის ძვლებმა ჭახანი მოიღო, როცა მეხთამტეხელმა, თითქოს რაღაც უჩინარი ტვირთი მოიცილაო, აიწყვიტა და წინ გაიჭრა. მერე მეც დავინახე ნედი: ტანმომცრო, გაჩხინკული, ფინიშის ხაზიდან დაახლოებით ორმოცდაათი იარდის დაშორებით მარტოდ მდგომარე. ჩვენ სწრაფად ვუახლოვდებოდით აქერონტსა და მის მხედარს, რომელიც გაუთავებლივ იქნევდა მათრახს, მერე წამის უმალესად გაიელვა მაკ-უილის მოღრეცილმა სახემ და გაქრა, მერე ფინიშის ხაზიც გადავჭერით.

— აქ მოდი, ვაჟო, — თქვა ნედმა, — აჰა, აიღე.

ხოდა, ის — მეხთამტეხელი — ისე უეცრად შეჩერდა, კინაღამ ძირს არ მომისროლა, შეტრიალდა და სავალის გარდიგარდმო დადგა (აქერონტი უკვე ზედ მოგვდგომოდა და კი მქონდა იმედი, ისიც უნდა გაჩერებულიყო), მერე მოწყდა ადგილიდან და ნედთან მიიჭრა, მისი გაჩერება და დრუნჩის ჩარგვა ნედის ხელისგულში ერთი იყო, მე კი ჯიდაოზე მოქცეული, თავის შეკავებას ვცდილობდი და რითაც შემეძლო ყველაფერს ვებღაუჭებოდი, ნატკენი ხელითაც კი.

— მოვიგეთ! — გავყვიროდი. — მოვიგეთ! ვაჯობეთ!

— კარგად გამოგვივიდა, — თქვა ნედმა, — შენს ბედის ვარსკვლავს შეევედრე, კვლავაც მოგიმართოს ხელი, — ასე მითხრა, რადგანაც, ხომ გესმის, ის-ის იყო გავიმარჯვე ჩემს პირველ დოღში. იმის თქმა მინდა, ნამდვილ დოღში გავიმარჯვე-მეთქი, რომელსაც მონიფული მაყურებლები ჰყავდა. ამდენ მაყურებელს ერთად პირველად ვხედავდი, ყველამ ნახა ჩემი გამარჯვება, სანაძლეოც კი დაედოთ (ზოგიერთს ზაინც), ჩემი იმედი ჰქონდათ, გაიმარჯვებსო. ხოდა, ველარ დავაკვირდი ნედის სახეს, არც მისი ხმა მესმოდა და არც ის, რასაც ამბობდა, რადგან მაყურებლები უკვე ალტაცების ყვირილით მოძვრებოდნენ ლობეზე და სარბენი ბილიკით ჩვენკენ გამორბოდნენ. გარშემო მეხვია პირდაღებული, წამონთებული სახეები, ოფლით გაპოხილი შლაპები და უჰალსტუხო პერანგები. — აქეთ გა-

მოიხედე, — თქვა ნედმა, მაგრამ ვერ მივხვდი, რა უნდოდა, მოგუგუნე ხმებისა და სახეების ზღვაში ვიყავი ჩაყურყუმელავებული.

— ყოჩაღ, ბიჭო! კარგი ჯირითი გცოდნია! — მაგრამ ჩვენ არც კი შევჩერებულვართ, ნედი მეხთამტეხელს წინ მიუძღოდა და გაიძახოდა:

— გზა მოგვეცით, თეთრო ხალხო, გზა მოგვეცით, თეთრო ხალხო! — დაბოლოს გვერდით მიდგნენ, გაგვატარეს, მაგრამ იმავე ხაზს გამოგვედევნენ, ტალღასავით მოგვაწყდნენ. ჭიშკარს მივატანეთ როგორც იქნა, სადაც მსაჯები გველოდებოდნენ, და ნედმა კვლავ თქვა, გამოიხედეო... და მერე აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ გარინდებული ცხენი და იმასთან მდგარი ნედი ალვირით ხელში, როგორც ცოცხალ სურათებშია, მე კი მეხთამტეხელის ყურების ზემოდან ვუმზერდი ბაბუას, ხელჯოხზე (ოქროსბუნიკიანი რომ ჰქონდა, იმაზე) ოდნავ დაყრდნობილი იდგა, ხოლო მის უკან კიდევ ორნი იდგნენ, რომლებსაც, ეტყობა, ოდესღაც, უხსოვარ დროს ვიცნობდი.

— პატრონო, — ასე წარმოვთქვი.

— ხელზე რა მოგივიდა? — მან მკითხა.

— დიახ, სერ, — ასე ვთქვი, — დიახ, პატრონო.

— შენ ახლა არა გცალია, — მითხრა მან, — არც მე, — მეტად თავაზიანად, მეტად ცივად იყო ნათქვამი, თუმცა არა, არც არანაირად. — სახლში დავბრუნდებით და მაშინ ვილაპარაკოთ, — დასძინა და წავიდა. ის ორნი კი სემი და მინი იყვნენ თურმე და მომჩერებოდნენ. მინის წყნარი, პირქუში და დაღონებული სახე ჰქონდა. ნედი კი ამ ხნის განმავლობაში სულ ფეხზე მექაჩებოდა.

— გუშინ რომ მოგეცი, სად გაქვს ის სათუთუნე ქისა? — მეუბნებოდა, — ხომ არ დაგიკარგავს?

— არა, — ვუთხარი და ქისა ჯიბიდან ამოვიღე.

13

— მიდი, უჩვენე ამათ, — უთხრა მისს რებამ მინის. ისინი, ჩვენს — არა, ბუნის — არა, უფრო სწორად ბაბუას — ავტომობილში ისხდნენ: ევერბი, მისს რება, მინი, სემი და პოლკოვნიკ ლინსკომის მძღოლი, მაკუილის მამა; პოლკოვნიკ ლინსკომსაც ჰყავდა ავტომობილი. ხოდა, ისინი — მძღოლი, სემი და მინი — ჰადუიკს წასულიყვნენ მისს რებას, ევერბისა და ბუნის ჩამოსაყვანად და ჩამოეყვანათ კიდეც პარშემს, აქედან კი მისს რება, მინი და სემი მემფისს გაემგზავრებოდნენ მატარებლით; უფრო სწორად, ბუნის გარდა ყველა ჩამოეყვანათ, ის კვლავ ციხეში იყო, უკვე მესამედ. ახლა ისინი პოლკოვნიკ ლინსკომის სახლთან შეჩერდნენ, რათა ბაბუასთვის მოეთხროთ ყველაფერი. მისს რება ავტომობილში იჯდა და ისე ჰყვებოდა, ხოლო ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და მე იქვე ვიდექით, რადგან მისს რებამ სახლში შეპატიჟებაზე უარი თქვა; ბუნისა და ბუტჩის ამბავს გვიამბობდა.

— აბა, რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო იმათთან ერთად ავტომობილით ჰადუიკამდე მგზავრობა. კიდევ კარგი შერიფის თანაშემწე გვახლდა, იმ გალეულ ბებერ კონსტებლზე რომ აღარაფერი ვთქვა; შეხედავ და იტყვი, ამას რა შეუძლიაო, მაგრამ იმასთან ხუმრობას არავის ვურჩევ. მადლობა ღმერთს, ჰადუიკში ჭკუა ეყოთ და ისინი სხვადასხვა საკანში გამო-

კეტეს. მთელი უბედურება ის იყო, კორის იმ ახალშეძენილ მეგობარს პირში ალიკაპი ვერ ამოსდეს... — აქ მისს რება შეჩერდა; მე კი ვერბის დანახვაც არ მინდოდა. ტანვეება, მეტისმეტად ტანვეება იყო და რალა მნიშვნელობა ჰქონდა დალილავებულ თვალს ან გახეთქილ ტუჩს, კმაყოფილებას ორივე ერთად თუ მიანიჭებდა, ცალკ-ცალკე ვერა ხოლა, ოღონ ავტომობილში, რადგან სად წასულიყო, სად დამალულიყო, არ იცოდა. და იმ ლოყას, რომელსაც მე ვხედავდი, ნელ-ნელა მოედო ალმური.

— მაპატიე, შვილო, — თქვა მისს რებამ, — წამომცდა. ჰო, სად გავჩერდი?

— ბუნმა რალაც ჩაიდინაო, — უთხრა ბაბუამ.

— ჰო, დიახ, — თქვა მისს რებამ, — სხვადასხვა საკანში გამოკეტეს დერეფნის იქით-აქეთ, ხოლო მე და კორის, საყვედურს ვერ ვიტყვი, ქალბატონებივით გვექცეოდნენ. ციხის უფროსის ცოლისას წაგვიყვანეს, იქ უნდა დავრჩენილიყავით და უცებ, რა ჰქვია იმას... ბუტჩმა ღრიალი მორთო: „მერე რა მოხდა, მე და ჩემმა ძმაკაცმა ერთმანეთს თუ ცხვირიდან ძმარი ვადინეთ და ტანსაცმელიც შემოვახიეთ, სამაგიეროდ... — მაპატიეთ, ეს კი უნდა ფრანგულად გითხრათ, — თქვა მისს რებამ, — „მემფისელი ბოზები ქუჩიდან წამოვიყვანეთო". ეს რომ ბუნმა გაიგონა, კინალამ საკნის კარი ჩამოიღო, მაგრამ კიდევ კარგი მაგრად ჩაეკეტათ, ხოდა, კაცი იფიქრებდა, იქნებ ამან ცოტა მაინც დააცხროსო. აბა, საკანში გამომწყვდეულს რალა უნდა ექნა. ჩვენც სწორედ ასე გვეგონა. და როდესაც სემი მოვიდა და საიდანღაც ის სათანადო ქაღალდიც მოიტანა... — ჰო, მართლა, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, — მიუბრუნდა ის ბაბუას, — არ ვიცი, რამდენი გადაიხადეთ, მაგრამ თუკი ანგარიშს სახლში გამომიგზავნით, ვალს დაგიბრუნებთ. ბუნი მიცნობს, ჩემი მისამართიც იცის.

— გმადლობთ, — უთხრა ბაბუამ, — შეგატყობინებთ, თუკი რამე ხარჯი იქნება. და მაინც, ბუნმა რა ქნა, ჯერ არ გითქვამთ.

— ჰო, დიახ. პირველი ის გამოუშვეს, რა ჰქვია იმას... და დიდი შეცდომაც მოუვიდათ, რადგან ჯერ კარგად არც ჰქონდათ გაღებული ბუნის საკნის კარი, რომ ბუნი გამოვარდა და პირდაპირ იმ..

— ბუტჩს, — მე ვუთხარი.

— ბუტჩს ეცა, — თქვა მისს რებამ, — ერთი დარტყმით ძირს დასცა და ზემოდან მოექცა. მაგრამ ბუნს თავისუფლება არ დასცალდა, მხოლოდ ერთი გავლა-გამოვლა შერჩა დერეფანში და უკანვე საკანში შეაბრძანეს ისე, რომ იმ ბოქლომიდან გასაღები ჯერ არც ჰქონდათ გამოღებული. და მაინც შენდა უნებურად აღტაცებული რჩები... — მისს რება კვლავ შეჩერდა.

— რითი? — მე ვკითხე.

— რაო, რა თქვი? — მან მკითხა.

— ისეთი რა გააკეთა, რომ კაცი აღტაცებული დარჩეს? თქვენ არ გითქვამთ. მაინც რა გააკეთა?

— შენ როგორ ფიქრობ, კინალამ რომ არ წააგლიჯა იმ..

— ბუტჩს, — მე ვუთხარი.

— ... ბუტჩს თავი ჯერ კიდევ ციხეშივე, ეს არაფერია? — თქვა მისს რებამ.

— სწორედაც ასე უნდა მოქცეულიყო, — ვუთხარი მე.

— კარგი ერთი, — მისს რებამ თქვა. — აბა, წავიდეთ. მატარებელს

უნდა მივუსწროთ. ანგარიშის გამოგზავნა არ დაგავიწყდეთ, — მიუბრუნდა ბაბუას.

— სახლში შემობრძანებულიყავით, — უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, — ვახშამი მალე მზად იქნება. შეგიძლიათ ღამის მატარებლით გაემგზავროთ.

— არა, დიდი მადლობა, — უთხრა მისს რებამ, — რამდენ ხანსაც არ უნდა დარჩეს თქვენი მეუღლე მონტიგლში, ბოლოს ხომ მაინც დაბრუნდება, მაშინ რას ეტყვით?

— სისულელეა, — მიუგო პოლკოვნიკმა ლინსკომმა, — ამ სახლის ბატონ-პატრონი მე ვარ.

— იმედი მაქვს, იქნებით კიდევაც, — უთხრა მისს რებამ. — ჰო, მართლა, — მიუბრუნდა მინის, — უჩვენე ამათ. — იმან — მინიმ — ჩვენ არ გაგვიღიმა, მე გამიღიმა. სწორედაც დიდებული იყო: უზადო, მკვიდრი, მწყობრი, შუქმომფინარე მარგალიტების ნახევარწრე და მათ შუა ჩაჭდეული ოქროს კბილი, რომელიც უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სამი ბუნებრივი თეთრი კბილი ერთად. მერე კვლავ შეაწება ბაგენი და კვლავ გახდა წყნარი, აუმღვრეველი, შეუვალი და მოუწყვლელი, რამდენადაც შეიძლება ცხოვრების ორომტრიალში გადასროლილი გორგალი ძვლებისა და ხორცის იყოს უწყვლადობასთან წილნაყარი და მისი ბეჭდით აღბეჭდილი. — კარგი, — თქვა მისს რებამ. მაკ-უილის მამამ ძრავა აამუშავა და ჩაჯდა, ავტომობილი დაიძრა. ბაბუა და პოლკოვნიკი ლინსკომი მიტრიალდნენ და სახლისკენ წავიდნენ, მეც უნდა მივყოლოდი მათ, რომ ავტომობილის საყვირის ხმა გავიგონე, ხმადაბლა ერთხელ დააყვირეს და იქით გავიხედე. მანქანა გაეჩერებინათ, სემი გადმოსულიყო და ხელს მიქნევდა.

— აქ მოდი, — დამიძახა, — მისს რება გიხმობს ერთი წუთით. — სანამ მივიდოდი, თვალს არ მაცილებდა. — შენ და ნედმა რად არ მითხარით, რომ ის ცხენი გაიმარჯვებდა ნამდვილად? — მკითხა.

— კი მაგრამ, ხომ იცოდით, — მე ვუთხარი, — აბა აქ რისთვის ჩამოვედით.

— კარგი, კარგი, — თქვა, — ნედი მეუბნებოდა, შენც მეუბნებოდი, ყველანი მეუბნებოდნენ, მაგრამ რატომ არავინ არ მოისურვა ჩემი დარწმუნება? ბედი მთლად არ მწყალობს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მისს რებას მარიფათი მაკლია, მარიფათი რომ მქონოდა, ახლა უკვე საბარგო ვაგონის მფლობელი ვიქნებოდი. აჰა, აიღე, — კარგა მოზრდილი ქაღალდის ფულის შეკვრა გამომიწოდა, — ნედისაა. მიდი და უთხარი, კიდევ რომ იპოვის სადმე ცხენს, დოლში გამარჯვება რომ არა სურს, აქეთ-იქით სიარულს ნუ მოჰყვება, პირდაპირ დეპეშა გამომიგზავნოს.

მისს რება ჩემკენ გადმოიხარა, მშვენიერი და მკაცრი, იმის გვერდით კი ევერბი იჯდა გარინდებული, იმდენად ტანბრგე, რომ არ შემემჩნია, არ იქნებოდა. მისს რებამ თქვა:

— ციხეში თუ მოვხვდებოდი, სწორედაც არ მეგონა. თუმცა არც იმას ვფიქრობდი, რომ არ მოვხვდებოდი. ერთი სიტყვით, სემი ჩემ მაგივრადაც ჩავიდა ფულს. მე ბატონი ბინფორდისთვის მივეცი ორმოცდაათი, ხოლო ხუთი მინისთვის. სემმა სამი ორთან მოიგო. ხოლო, მე, უფრო სწორად, ჩვენ გვინდა თანაბრად გაგიყოთ მოგება. ახლა მე ამდენი ნაღდი ფული არა მაქვს, თანაც გზაზე ვდგავარ...

— არ მინდა, — ასე ვუთხარი.

— ვიცოდი, ასე იტყოდი, — თქვა მისს რებამ, — ამიტომაც სემს კიდევ ხუთი დოლარი მივეცი, რომ შენ მაგივრადაც ჩასულიყო. ხოდა, ახლა შვიდნახევარი გერგება, — და ფული გამომიწოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— არ მინდა, — ისევ ვუთხარი.

— ხომ გეუბნებოდით, — უთხრა სემმა.

— თამაშის დროს მოგებული ფულია და იმიტომ? — მისს რებამ თქვა, — ამის პირობაც გაქვს დადებული?

ასე არ იყო. იქნებ ჯერ დედას აზრადაც არ მოსდიოდა, აზარტულ თამაშს რომ დავიწყებდი. თუმცა ასეთი პირობის მიცემა არავისთვის არ მჭირდებოდა. მხოლოდ ეს იყო, მისს რებასთვის როგორ უნდა ამეხსნა, არ ვიცოდი, რადგან თავადაც ვერ გავრკვეულიყავ კარგად, მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი, რომ რაც გავაკეთე, ფულის გულისთვის არ გამიკეთებია, ფული აქ არაფერ შუაში იყო, უბრალოდ რაკი ამ ამბავში გავეხვიეთ, დაწყებული უნდა დამემთავრებინა, ნედსა და მე უნდა გაგვესრულებინა, თუნდაც ყველანი განზე გამდგარიყვნენ; თითქოსდა მეხთამტეხელს თუ მოვაგებინებდით დოლს, მართალიც შევიქნებოდით (არა, შედეგს ვერ ავიცილებდით, მაგრამ გარკვეულწილად მართალი შევიქნებოდით). იმის იმედი არ გვქონია, იმას გამოვასწორებდით, რაც ჩავიდინეთ, ანუ, რაც ბუნმა და მე განვიზრახეთ, საკუთარი ნებით წამოვიწყეთ ჯეფერსონში ოთხი დღის წინ, მაგრამ არც თავის დაძვრენა და არიდება გვიცდია, მხოლოდ იმას ვცდილობდით, როგორმე დაგვესრულებინა, რაც დავიწყეთ. მაგრამ ეს ყველაფერი როგორ უნდა მეთქვა, არ ვიცოდი. ხოდა, ასე ვუთხარი:

— არ დავპირებიეარ, არ იყო საჭირო.

— კარგი ერთი, — მითხრა სემმა, — გამოგვართვი და ჩვენს გზაზე გაგვიშვი, მატარებელს უნდა მივუსწროთ. ნედს მიეცი, თუ გინდა, ან იმ ბერიკაცს, ვისთანაც წუხელ ღამე გაათიე. უქმად არ გააჩერებენ. — ფული გამოვართვი, ორი შეკვრა იყო, ერთი დიდი და ერთი მომცრო. ეტერბი კი ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო ამ ტანბრგე გოგოს, იმდენად ტანბრგეს, რომ წვრილმანებს არ დაგიდევდათ. — მიდი, — სემმა თქვა, — თავზე მაინც გადაუსვი ხელი. ქალს ძაღლიც კი არ შეუყეფსო, ნედმა არ გასწავლა?

— არ სურს, — მისს რებამ თქვა, — ერთი ამას შეხედეთ, ღმერთო დიდებულო, რა ხართ მამაკაცები. ეს მაინც ხომ ჯერ თერთმეტისაა. მერედა რა განსხვავებაა ერთით მეტი იქნება თუ ნაკლები. კვირადღიდან მოყოლებული ეს გოგო სულ ამას ამტკიცებდა, ამ საქმეს შევეშვიო, მაგრამ მთელი ცხოვრება თუ შეშას ჭრი, გინდ ერთი კუნძით მეტი იყოს და გინდ ერთით ნაკლები, რალა მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს თუ პირობა დარღვეულია და აბრაც ჩამოხსნილი?

ავტომობილს შემოვუარე. ეტერბი ისევ გაუნძრევლად იჯდა, იმდენად ტანვეება, რომ წვრილმანებს არ დაგიდევდათ და დატყობითაც ძლივს ეტყობოდა სახეზე, ისევე როგორც ჩიტის სკინტლი სარეკლამო დაფას ან თურქულ დოლს; ხოდა, იჯდა იქ, ისეთი ვეება, სწორედაც ვერ მოიბუზებოდა, არადა, დარცხვენილი იყო, რადგან ტუჩი (ნედმა მართალი თქვა) შესიებოდა და, რაც მთავარია, თვალი ჰქონდა ჩალურჯებული; ამ ზორბა გოგოს სახეზე ერთი პატარა ლაქაც კი უფრო დიდი და უჩვეულო ჩანდა, უფრო საჩინო და თვალშისაცემი იყო, ვიდრე სხვა ადამიანის სახეზე.

— ეგ არაფერია, — მე ვუთხარი.

— ვიფიქრე, ასეა-მეთქი საჭირო, — ევერბიმ თქვა, — სხვა რა გზა მქონდა.

— თუ ხედავთ, — თქვა მისს რებამ, — რა ადვილია! მეტი არც არაფრის თქმა არ გინდა, ჩვენ ისედაც დაგიჯერებთ. თქვენ შორის არ არსებობს მამაკაცი, თუნდაც მთლად წყალწაღებული, მთლად გაუბედურებული, თუნდაც სამოცდაათს მიტანებული, რომ ქალმა თავი არ დაირწმუნოს, სხვა გზა არ მქონდაო.

— ეტყობა, სხვანაირად არ გამოდიოდა, — მე ვუთხარი, — სამაგიეროდ მეხთამტეხელი დავიბრუნეთ სწორედ დოლის დაწყების წინ. მაგრამ ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. ჯობს წახვიდეთ, თორემ მატარებელზე დაგაგვიანდებათ.

— სწორია, — თქვა მისს რებამ, — ამას კიდევ ვახშამიც მოსამზადებელი აქვს. შენ ჯერ გაგონილი არა გაქვს და შეიძლება გაოცებულიც დარჩე, მემფისს აღარ დაბრუნდება. უარი თქვა ცოდვილ საქმიანობაზე, ცოდვა-ცდუნებით აღარ ივლის თავისი ცხოვრების გზაზე, თუკი რასაც ამბობენ მართალია — პარშემისთანა ადგილას ცოდვა-ცდუნებას არცა აქვს გასავალი, მამრნი აქ მხოლოდ ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და სურვილებს იკმაყოფილებენო. პარშემში სამუშაო იშოვნა, აქაური კონსტებლის ოჯახში მოეწყო, დარეცხავს, საჭმელს გააკეთებს. მის ცოლს ლოგინიდან გადმოიყვანს, დაბანს, ისევ დააწვენს. პირველივე თუნუქის სამკერდენიშნიანს, ვისაც კი გადაეყრება, აღარ გაუყოფს არც თავის მონაგარს და არც თავის ლოგინს, და თუ დასჭირდება, ფარად იფარებს ყავადანს ან მოთხვრილ ტაფას. აბა, წავიდეთ, — მიუბრუნდა სემს, — იმ მატარებელს ამდენს შენც ვერ მოაცდევინებ.

წავიდნენ. მეც მივტრიალდი და სახლს მივაშურე. ვეებერთელა სახლი იყო, კოლონებითა და პორტიკებით, დიდებული ინგლისური ბაღით, იქით საჯინიბოები (ერთ-ერთში მეხთამტეხელი დაეყენებინათ), ეტლების სადგომი და კიდევ რაღაც ნაგებობები ჩანდა, სადაც ადრე მონები ჰყავდათ დაბინავებული. ერთი სიტყვით, ეს იყო პარშემების მამული (ახლაც არის), ის, რაც დარჩა დიდი ადგილ-მამულიდან, რომელიც ეკუთვნოდა იმ კაცს და იმ ოჯახს, ვისი სახელიც ეწოდა ქალაქსაც, არემიდამოსაც და ადამიანებსაც, მაგალითად, ბიძია პარშემ ჰუდს. მზე უკვე გადასულიყო, მალე დღეც მიილეოდა. და სწორედ მაშინ პირველად მივხვდი, რომ გათავდა, დასრულდა ოთხი დღის დავიდარაბა და გაწამაწია, მზაკვრობა, ტყუილები და მღელვარება, ყველაფერი უკან დარჩა, გარდა საზღაურისა. ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბატონი ვან ტოში უკვე სახლში ისხდნენ სადღაც და ვახშმობის წინ გროგს მიირთმევდნენ. ვახშმობის ზარს კი ნახევარ საათზე ადრე არ დარეკავდნენ. ხოდა, მეც გვერდზე გადავუხვიე, ვარდნარი გავიარე და უკანა კიბეს მივადექი. არც შევმცდარვარ, ნედი იქ დამხვდა მჯდომარე.

— აილე, — ვუთხარი და ფულის ის კარგა დიდი შეკვრა გავუწოდე, — სემმა თქვა, რომ შენია. — გამომართვა. — არ დაითვლი? — ვკითხე.

— იმან ხომ დაითვალა, — ნედმა თქვა. მეორე მომცრო შეკვრაც ამოვიღე ჯიბიდან. ნედმა დახედა და მითხრა, — ესეც მოგცა?

— მისს რებამ მომცა, ჩემ მაგივრად ჩასულა.

— ეს დოლში მოგებული ფულია, — თქვა ნედმა, — შენ ჯერ კიდევ

პატარა ხარ, დოლში მოგებული ფული საშენო არ არის. თუნდაც ხნიერი იყოს კაცი, ასეთი ფული არც საიმისოა, მით უმეტეს საშენო. — ვერც ნედს ვუთხარი, ვერც იმას ავუხსენი რამე. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ნედმა უკვე უთქმელადაც იცოდა ყველაფერი. და მართლაც იმწამსვე დაადასტურა, რომ ასე იყო: — ჩვენ ხომ ფულის გულისთვისაც გაგვიკეთებია, რაც გავაკეთეთ, — ასე თქვა.

— შენც უარს ამბობ, ხომ? — ვუთხარი მე.

— არა, — მიპასუხა, — ჩემთვის უარის თქმა უკვე დაგვიანებულია, მაგრამ შენთვის სულაც არ არის გვიანი. ხოდა, სულმა რომ არ წაგძლიოს, ფულს გამოგართმევ.

— სემმა მითხრა, შეგიძლია პარშემ ბიძიას მისცეო, მაგრამ თამაშში მოგებულ ფულს არც ის აიღებს, ხომ?

— ნამდვილად გინდა მისცე?

— დიახ, — მე ვუთხარი.

— კარგი, — თქვა მან, მომცრო შეკვრაც გამომართვა და დიდ შეკვრასთან ერთად საფულეში ჩადო, საკეტი გაატკაცუნა. თითქმის ბნელოდა უკვე, მაგრამ ვახშმის ზარი რომ დაერეკათ, უთუოდ გავიგონებდი.

— ჰო, მართლა, კბილი როგორ გამოართვი იმას? — ვკითხე.

— მე კი არა, — მითხრა, — ლიკურგემ გამოართვა სწორედ იმ დილას, შენს წამოსაყვანად რომ მოვედი სასტუმროში. დიდი დავიდარაბა არ დასჭირვებია. ერთხელ ხომ უკვე შეაგდეს იგი ძაღლებმა ხეზე. ხოდა, ლიკურგემ ერთი პირობა იფიქრა, მოდი, ისევ ძაღლებს მივუსევ, აკაციაზე შევაგდებინებ, მანამდე ვაყურყუტებ იქ, სანამ ის ჩიტირეკია კბილს ქუდში ან კიდევ სხვა რამეში არ შეახვევს და ძირს არ ჩამოაგდებსო. მაგრამ ლიკურგეს ისიც ახსოვდა, რომ ჩიტირეკიას ცხენების ეშინოდა, განსაკუთრებით კი მეხთამტეხელის დანახვაზე ეპარებოდა სული კოჭებში, მაგრამ რადგანაც მეხთამტეხელი იმ დღეს დოლზე უნდა გამოსულიყო, დასვენება სჭირდებოდა. ამიტომაც ლიკურგემ იფიქრა, ჯორიც გამომადგებაო. ხოდა, ჩიტირეკიამ ჯაყვა დააძრო, მაგრამ ლიკურგემ უმალ წაართვა და თუ მისცემს ვინმეს, მხოლოდ ვინმე უფროსთაგანს. — ნედი შეჩერდა. ვერ იყო კარგად. გამოძინება ვერ მოესწრო. მაგრამ მაინც შვებას გრძნობს კაცი, ბოლოს და ბოლოს თავის ბედს პირისპირ რომ გადაეყრება, და რაც არის, არის, ველარსად გაექცევა.

— კარგი, — ასე ვუთხარი, — მერე?

— ახლა არ გითხარი, იმ ჯორმა სუყველაფერი მოაგვარა-მეთქი.

— როგორ?

— როგორ და ლიკურგემ ის ჩიტირეკია შეუკაზმავ ჯორზე შესვა, ხოლო ფეხები ჯორის მუცლის ქვეშ მაგრად შეუკრა და ასე უთხრა, თუ იმ კბილს ქუდში შეახვევ და გადმოაგდებ, ჯორს მყისვე გავაჩერებო, ხოდა, ლიკურგემ ოდნავ დაჰკრა ჯორს სახრე, ჯერ იქაურობას არც კი იყო ის ოთხფეხი გაცილებული, რომ ჩიტირეკიამ იკადრა ქუდის გადმოგდება, თუმცა შიგ არაფერი ჩაუდვია. მაშინ ლიკურგემ ქუდი დაუბრუნა და კიდევ ერთხელ გადაუჭირა ჯორს სახრე. სულაც არ გახსენებია, ლობეებზე ხტომა რომ უყვარდა იმ ჯორს, და გადაევლო კიდევაც ოთხი ფუტის სიმაღლის მავთულხლართს. ლიკურგემ თქვა, ასე გავიფიქრე, იმ ჩიტირეკიასთან ერთად ნამდვილად პასემამდე შეუბერავსო. მაგრამ შორს აღარ წასულა, მოუხვია და ისევ ბიძია პარშემის ნაკვეთში ისკუპა. ხოდა, ჩიტირე-

კიამ მეორედ მოისროლა ქუდი, ამჯერად შიგ კბილის ჩადება არ დავიწყებია. თუნდ სულაც ნუ გადმოაგდებდა, მე რა. ის გოგოც ხომ მემფისს დაბრუნდა?

— დიახ, — მე ვუთხარი.

— ასეც ვიფიქრე. მან ჩემზე უკეთ იცის, რომ ბევრი წვალება ჩაუვლის, ვიდრე მე და ბუნ ჰოგანბეკს კვლავ გვიხილავს მემფისი. და თუ ბუნს ისევ ციხეში ჩააყუდებენ, ამაღამ ვერც ჯეფერსონი, ვერც მისისიპი გვიხილავს, მე მგონი.

მეც ასე ვფიქრობდი. ფიქრი არ მინდოდა, არც არჩევანის გაკეთების თავი მქონდა და არც რამე გადაწყვეტილების მიღება მსურდა, თუმცა არც ის მეხატებოდა გულზე, რომ სხვები იზამდნენ ამას ჩემ მაგივრად, ვიდრე პასუხს მომთხოვდნენ. მოულოდნელად თეთრ ქურთუკში გამოწყობილი მაკ-უილის მამა გამოვიდა, რომელიც მსახურთუფროსიც იყო ამავე დროს, ასე იყო თუ ისე, ზარის ხმა არ გამიგონია. მე უკვე დაბანილი ვიყავი (ტანსაცმელიც გამოცვლილი მქონდა; ბაბუამ ჩამომიტანა ჩანთით, ფეხსაცმელიც კი). ხოდა, მსახურთუფროსმა სასადილო ოთახში შემიყვანა. შუა ოთახში გავჩერდი, სულ მალე სხვებიც შემოვიდნენ, ბაბუა, ბატონი ვან ტოში და პოლკოვნიკი ლინსკომი, რომელსაც თან შემოჰყვა მისი ბებერი ჩასუქებული სეტერი. ყველანი ფეხზე ვიდექით, ვიდრე პოლკოვნიკი ლინსკომი ლოცვას იტყოდა. მერე სუფრას მივუსხედით, ის ბებერი სეტერიც პოლკოვნიკ ლინსკომის სავარძლის გვერდით წამოწვა. ვახშამს შევუდექით, მაკ-უილის მამის გარდა თეთრწინსაფრიანი მოახლეც გვემსახურებოდა. მე უკვე აღარაფერი მეკითხებოდა, აღარც არჩევანის გაკეთება და აღარც გადაწყვეტილების მიღება. ხოდა, კინალამ დესერტის თეფშში ჩავრგე თავი და დავიძინე. მაშინ ბაბუამ თქვა:

— აბა, ჯენტლმენებო, ხომ არ დავიწყოთ?

— ჩემს კაბინეტში გავიდეთ, — თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. ასე დიდებულად მოწყობილი კაბინეტი ჯერ ნანახი არ მქონდა. ნეტავი ბაბუასაც ჰქონოდა ასეთი. პოლკოვნიკი ლინსკომი ადვოკატიც გახლდათ, ამიტომაც კარადები სავსე იყო საკანონმდებლო წიგნებით, აგრეთვე მეურნეობასა და ცხენსაშენთან დაკავშირებული საქმიანი ქაღალდებით. მინისკარიან კარადაში მოჩანდა დასაკეცი ანკესები და ნაირ-ნაირი თოფები, აქ იდგა სავარძლები და ტახტი, ბუხრის წინ პატარა ხალიჩა ეფინა, სადაც ბებერი სეტერი წვებოდა; კედლებზე ცხენებისა და ვარდის გვირგვინებით შემკული ჯოკეების ფოტოსურათები ეკიდა, ყოველ სურათზე გამარჯვების თარიღიც მიეწერათ. ბუხრის თავზე მანასასის პატარა ბრინჯაოს ქანდაკება იდგა (არც კი ვიცოდი, პოლკოვნიკი ლინსკომი თუ მანასასის მფლობელი იყო), განცალკევებულ მაგიდაზე იდო დიდი წიგნი — ჯიშიანი ბედაურებისა და მათი წინაპრების ნუსხა; კიდევ ერთი პატარა მაგიდა იდგა, ზედ სიგარეტის კოლოფი იდო, წყლით სავსე სურა, გრაფინი, საშაქრე და ჭიქები ეწყო. ვერანდაზე გამავალი ფრანგული ფანჯარა ღია იყო, საიდანაც ვარდნარი მოჩანდა. ვარდებისა და ცხრატყავას სურნელებას აევსო მთელი ოთახი, ბაღიდან ჯაფარას ყვირილი მოისმოდა.

მერე მსახურთუფროსი შემოვიდა და ნედი შემოიყვანა, ბუხართან სკამი დაუდგა და ისინი — ჩვენ — დავსხედით: პოლკოვნიკი ლინსკომი თეთრ ტილოს კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ბატონ ვან ტოშს ისე ეცვა, როგორც იმხანად იცვამდნენ ჩიკაგოში (სადაც ცხოვრობდა, ვიდრე მე-

მფისს არ ეწვია და ისე მოეწონა, რომ ნაკვეთი იყიდა და ცხენების მოშენებასა და წვრთნას მიჰყო ხელი, ხოლო ხუთი-ექვსი წლის წინ ბობო ბიჩემპი აიყვანა სამუშაოდ), ბაბუას გრძელკალთებიანი ნაცრისფერი სერთუკი ეცვა, კონფედერატების ტრადიციებს ვერ ღალატობდა (უფრო სწორად, იმათ ფერს, ნაცრისფერს, თუმცა კი თავად ჯარისკაცი არ ყოფილა; იმხანად მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო, დედისერთა გახლდა და დედასთან ერთად ცხოვრობდა კაროლინაში, სანამ მამამისი სერჟანტ-მეჯროშედ მსახურობდა უეიდ ჰემტონთან, ვიდრე ერთ დილას, გეინზ მილის ბრძოლის შემდეგ ფიცჯონ პორტერის გუშაგმა ტყვია არ დაადევნა და ცხენიდან არ ჩამოაგდო ჩიკაჰომინის გადასასვლელთან; ბაბუას დედა 1864 წელს გარდაიცვალა, ბაბუა ამის შემდეგაც კაროლინაში ცხოვრობდა ერთხანს, მაგრამ 1865 წელს, როდესაც გენერალმა შერმანმა კაროლინა დაარბია, იძულებული გახდა საბოლოოდ დაეტოვებინა იქაურობა და მისისიპიში ჩამოვიდა, თავისი შორეული ნათესავის, გვარად მაკ-კასლინის შთამომავალთა ასავალ-დასავლის გასაგებად — იმ შორეულ ნათესავსაც ბაბუასავით ლუციუს კუინტუს კეროთერსი ერქვა. — ხოდა, ბოლოს მოძებნა კიდეც მისი შვილთაშვილი, სარა ედმონდსი და 1869 წელს ცოლად შეირთო).

— აბა, — თქვა ბაბუამ, — თუ დაწყებაა, თავიდან დაიწყე.

— დაიცადეთ, — უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. გადმოიხარა, ჭიქაში ვისკი დაასხა და ნედს გაუწოდა, — გამომართვი.

— დიდი მადლობა, — მიუგო ნედმა, მაგრამ არ დაულევია. ჭიქა ბუხრის თავზე შედგა და ისევ დაჯდა. ბაბუასთვის ერთხელაც არ შეუხედავს, არც ადრე და არც ახლა, იჯდა და იცდიდა.

— აბა, მიდი, — თქვა ბაბუამ.

— დალიე, — თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, — გამბედაობას შეგმატებს. — ნედმა აიღო ჭიქა და სულმოუთქმელად დაცალა. ხოდა, იჯდა ასე, ცარიელი ჭიქით ხელში, არც ახლა უმზერდა ბაბუას.

— კარგი, — ბაბუამ უთხრა, — დაიწყე.

— დაიცადე, — თქვა ბატონმა ვან ტროშმა, — ერთი ეს მითხარი, იმ ცხენს როგორ მოაგებინე?

ნედი გაუნძრევლად იჯდა, ის ცარიელი ჭიქა ისევ ხელში ეკავა, ჩვენ კი თვალს არ ვაცილებდით და ველოდებოდით. მერე კი ასე თქვა, ამ ხნის მანძილზე პირველად მიმართა ბაბუას: — ბოდიშს ვუხდი ამ თეთრ ჯენტლმენებს, თუ შეიძლება ცალკე უნდა დაგელაპარაკოთ.

— რა უნდა მითხრა? — ჰკითხა ბაბუამ.

— მაშინ გაიგებთ, — მიუგო ნედმა, — და თუ თქვენი აზრით ამათაც უნდა იცოდნენ, თავადვე ეტყვით.

ბაბუა წამოდგა.

— თქვენი ნებართვით, — თქვა და დერეფანში გამავალი კარისკენ გასწია.

— იქნებ აივანზე სჯობდეს, — უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, — ბნელა იქ, სწორედაც შესაფერისი ადგილია ალსარებისა და შეთქმულებისთვის. — ხოდა, ჩვენც იქით გავემართეთ. დიახ, მეც გავყევი. ბაბუა შედგა და ნედს უთხრა:

— ლუციუსიც იყოს?

— მაგანაც ისარგებლა იმით, — უთხრა ნედმა, — ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცოდეს, თუ რამ გაუწია სამსახური. — აივანზე გავედით და

მყისვე შევაბიჯეთ სიბნელეში, ვარდისა და ცხრატყავას სურნელება შემოგვეხვია, სადღაც ახლოდან ჯაფარას ყვირილი მოგვესმა, შორიდან უფეხურათა ხმამაც მოაღწია, ორნი უნდა ყოფილიყვნენ. და ისევე, როგორც ღამღამობით ჩვენთან მისისიპიში — ტენესი კი დიდად არ განსხვავდება მისგან — სადღაც ძაღლმა დაიყეფა. — სურდინით წავახალისე, — წყნარად თქვა ნედმა.

— რად ცრუობ, — ბაბუამ უთხრა, — როდის იყო ცხენები სარდინს ჭამდნენ!

— ის ჭამს, — მიუგო ნედმა, — თქვენც იქ იყავით, თავად ნახეთ, რომ გაიმარჯვა. მე და ლუციუსმა წინასწარ გამოვცადეთ, შეიძლებოდა არც გამოგვეცადა. გასულ კვირას როგორც კი შევხედე, მივხვდი იმწუთასვე, ჩემი ჯორის ჭკუისა არის-მეთქი.

— ჰე, — წამოიძახა ბაბუამ, — აი თურმე როგორ დაარბენინებდით შენ და მორი იმ ჯორს.

— არა, ბატონო, — მიუგო ნედმა, — ბატონმა მორიმ ეს ამბავი სულაც არ იცოდა. არც არავინ იცოდა, მხოლოდ მე და იმ ჯორმა. ხოდა, ეს ცხენი იმასავითაა, დღეს უკანასკნელ წრეზე რომ გავიდა, მე უკვე სურდინით ხელში ველოდებოდი და მანაც კარგად იცოდა ეს.

ოთახში დავბრუნდით. იქ მყოფნი კარს იყვნენ მოჩერებულნი, როცა შევედით.

— ჰოო,—ბაბუამ თქვა, — სამწუხაროდ ეს ოჯახური საიდუმლოა, მაგრამ თუ ამის აუცილებლობა იქნება, რა თქმა უნდა, გაგიმხელთ. ოღონდ ერთი პირობით, თუ მსაჯულობას ამ საქმეში მე მომანდობთ. ვან ტოშს, ცხადია, აქვს უფლება პირველმა მიიღოს ახსნა-განმარტება.

— თუ ასეა, მაშინ სხვა რა გზა მაქვს, ნედი უნდა ვიყიდო ან კოპერმაინი მოგყიდოთ, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა, — მაგრამ იქნებ სჯობდეს იმ კაცის, ჰოგანბეკის ჩამოსვლას დაველოდოთ?

— თქვენ სულაც არ იცნობთ ჰოგანბეკს, — თქვა ბაბუამ, — მან ჩაიყვანა ჩემი ავტომობილი მემფისს. ხვალ დილით ციხიდან რომ გამოვიყვან, ის დააბრუნებს უკანვე ჯეფერსონში. ხოლო მანამდე სადაც გინდა, იქ ყოფილა, არყოფნაზე მეტად არც მისი ყოფნა იქნება საგრძნობი, — ნედისთვის ამჯერად აღარც კი უთქვამს, მიდი, დაიწყეო.

— ბობო ვილაც თეთრ კაცს გადაეყარა, — თქვა ნედმა. ამჯერად ბატონ ვან ტოშს აღმოხდა: „ჰოო...“ და ნელ-ნელა გავიგეთ მთელი ეს ამბავი ორივესგან, ნედისგან და ბატონ ვან ტოშისგან, ბატონი ვან ტოში აქაური არ იყო, ჩამოსული გახლდათ და რაკილა ჩვენს მხარეში დიდი ხანი არ იყო რაც ცხოვრობდა, ვერ წარმოედგინა, როგორი გარეწარი უნდა ყოფილიყო ის თეთრი კაცი, რომელსაც ერთი სოფლელი ზანგის ბიჭი გადაყროდა, მანამდე არც არასდროს რომ არ გაედგა ფეხი სახლიდან და მერე დიდ ქალაქში ჩასულიყო ფულის მოსახვეჭად და გასართობად; ფულის გულისთვის მზად იყო ეთამაშა კიდეც. შეიძლება ეს კარტის თამაში იყო, ან კარტის თამაშით დაიწყო ყველაფერი, რაც ყველაზე ბუნებრივი საშუალებაა ნაცნობობის გასაბმელად და დასაახლოვებლად. მაგრამ ამ დროისათვის უკვე საქმე ბევრად შორს იყო წასული, თითქოს თავად ნედმაც არ იცოდა, ზუსტად სადამდე, ან იქნებ პირიქით, ზუსტად იცოდა, მაგრამ ეს უკვე თეთრების სამყაროსთან იყო დაკავშირებული. ერთი სიტყვით, ნედს

თუ დავუჯერებდით, ვერ იყო კარგი ამბავი — ბობოს ას ოცდარვა დოლარი ვალი დაედო და იმ თეთრმა კაცმა განუცხადა, თუ კანონის დამცველებმა ამის შესახებ გაიგეს, მადლობა თქვი, რომ ბატონ ვან ტოშის ცხენსაშენიდან გამოგდება გაკმარონო. ბობო ასე დაარწმუნა, სადავიდარაბო მაშინ გექნება, თუ მე აღარ გეყოლები გვერდით, რომ დაგიცვა და გამოგესარჩლოო. დაბოლოს ბობო ისეთ დღეში ჩავარდა, სხვა ვერაფერი მოაფიქრდა, ბატონ ვან ტოშს მიადგა, ას ოცდარვა დოლარი მჭირდება და იქნებ მომცეთო; სოლო პასუხად ის მიიღო, რასაც შეიძლება კიდეც მოელოდა, რადგან ვისაც სთხოვდა, არა მარტო თეთრი კაცი იყო და აქაურობისთვის უცხო, არამედ ხანში შესულიც, იმ ასაკს გადაცილებული, როცა ადამიანისთვის უცხო არ არის სიჭაბუკის ვნებანი და გასაჭირი ხოდა, უარი უთხრა. სწორედ გასულ შემოდგომას მოხდა ეს ამბავი.

— მახსოვს, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა, — ასე ვუთხარი, თავიდან მომწყდი, შენი ფეხი არ იყოს-მეთქი აქ, და მეგონა, მართლა წავიდა.

თუ გესმის, რისი თქმა მინდა? ის — ბატონი ვან ტოში — ცუდი კაცი არ ყოფილა, მაგრამ უცხო იყო, ჩამოსული. მაშინ ბობომ, ეს უკანასკნელი იმედიც რომ გადაეწურა, თუმცა თავადაც არ სჯეროდა, დამეხმარებაო, საიდანლაც „გამოჩხრიკა", როგორც თავად თქვა (რა ხერხითა და საშუალებით, ნედმაც არ იცოდა, ან შეიძლება იცოდა კიდეც, ანდა ეს ხერხი და საშუალება ისეთი იყო, ბობომ თავისი რასის კაცსაც ვერ გაუმხილა, ამასთან მისი ნათესავიც რომ იყო) თხუთმეტი დოლარი და იმ კაცს მისცა, სამაგიეროდ ის მიიღო, რაც მოსალოდნელი იყო, რასაც შეიძლება თავადაც ელოდა (მაგრამ რაღა უნდა ექნა, რა წყალში გადავარდნილიყო?), და ისევ მუქარა, ზეწოლა, რადგანაც დაამტკიცა, თუ გასაქანს არ მისცემ, ფულის შოვნა შეუძლია.

— კი მაგრამ, ჩემთან რატომ არ მოვიდა? — თქვა ბატონმა ვან ტოშმა.

— მოვიდა, — მიუგო ნედმა, — თქვენ კი უარი უთხარით. — მდუმარებამ დაისადგურა. — თქვენ თეთრი კაცი ხართ, — დაყვავებით განაგრძო ნედმა, — ბობო კი ზანგის ბიჭია.

— მაშინ ჩემთან რატომ არ ჩამოვიდა? — ბაბუამ თქვა. — სადაც არის კიდეც მისი ადგილი, სადაც უნდა დარჩენილიყო და ცხენების საქურდლად არ დაეწყო წანწალი.

— თქვენ კი როგორლა მოიქცეოდით, — უთხრა ნედმა, — თავქუდმოგლეჯილი რომ გამოქცეულიყო მემფისიდან, მოსულიყო თქვენთან და ეთქვა, ნურაფერს მკითხავთ, მომეცით ასი დოლარი და ცოტა მეტიც, მემფისს დავბრუნდები, მივდგებ-მოვდგები და პირველივე შაბათიდან ნაწილ-ნაწილ დაგიბრუნებთო ვალს.

— შეეძლო ეთქვა, რისთვის სჭირდებოდა, — მიუგო ბაბუამ, — მეც ხომ მაკ-კასლინი ვარ.

— თქვენ თეთრი კაცი ხართ, — თქვა ნედმა.

— კარგი, განაგრძე, — უთხრა ბაბუამ.

ხოდა, ბობომ დაინახა, იმ თხუთმეტმა დოლარმა კი არ გადაარჩინა, პირიქით, მთლად დაღუპა. როგორც ნედმა თქვა, ბობოს წამითაც აღარ ჰქონდა მოსვენება იმ თავისი დემონისგან. შეიძლება ის თეთრი კაცი შე-

შინდა: ასე ნაწილ-ნაწილ, თითო-ოროლა დოლარობით ვალს როდის დამიბრუნებსო, ან შეიძლება იფიქრა, ბობო იმდენად თავზარდაცემული და სასოწარკვეთილია, ვინ იცის, იქნებ შეცდომა მოუვიდეს ან სულაც დანაშაული ჩაიდინოს, მით უმეტეს, რომ მისი რასის ხალხი დიდი ჭკუით არ გამოირჩევა, მაშინ ხომ ყველაფერს დავკარგავო. ასეა თუ არა, სწორედ მაშინ იყო, რომ მან — იმ თეთრმა კაცმა — სცადა ერთი დარტყმით დამში მოეყვანა საქმე და ისეთი საქციელისაკენ უბიძგა ბობოს, ერთბაშად რომ გაათავისუფლებდა ვალისგან, კრედიტორისგან, სადარდებლისგან და ყველაფრისგან. თავდაპირველად ეს მოაფიქრდა: ბობოს ბატონ ვან ტოშის საწყობი უნდა გაეძარცვა, ორთვალასა ან ფურგონზე დაეტვირთა, რაც ხელში მოხვდებოდა, უნაგირები იქნებოდა, აღვირები თუ მოსართავები, მერე კი გაუჩინარებულიყვნენ. მაშინვე ბობოზე აიღებდნენ ეჭვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ის თეთრი კაცი ამ დროისთვის უკვე შორს იქნებოდა. და თუ ბობოც ჭკუით მოიქცეოდა და დროზე გაეცლებოდა იქაურობას, ჭკუით მოქცევა კი ალბათ მასაც შეეძლო, — შეერთებული შტატები დიდი ქვეყანაა და თავშესაფარსაც ნახავდა სადმე და სამუშაოსაც იშოვნიდა. მაგრამ (ნედის თქმით) თავად იმ თეთრმა კაცმა უარყო ეს გეგმა. მეორე დილასვე მისი იქნებოდა ცხენის აღკაზმულობით დატვირთული ორთვალა თუ ფურგონი, ოღონდ უცხენოდ, ხოლო მათ გაყიდვას მრავალი დღე დასჭირდებოდა, მას კი ამდენი დრო არ ჰქონდა.

ხოდა, სწორედ მაშინ გაახსენდა ცხენი; ერთად უნდა შეეკრიბათ ფურგონსა თუ ორთვალაში ჩაყრილი ტყავის ნაჭრები და ერთიანად გაეყიდათ. და თუკი ის თეთრი კაცი დროს აღარ დაკარგავდა და თითოეულ დოლარზე ვაჭრობას არ დაიწყებდა, საქმე არ გაუჯანჯლდებოდათ. მაგრამ ეს საეჭვო იყო, ხოდა, იმ თეთრ კაცს, ბობოს კი არა, მოაფიქრდა, ბობომ ჩემთვის ცხენი უნდა მოიპაროსო. ბობომ კი ესლა იცოდა, თუკი ცხენს არ მოიპარავდა, ცუდად წაუვიდოდა საქმე. ორშაბათ დილას (ამ დავიდარაბის მწვერვალი შაბათს იყო, სწორედ იმ დღეს, როდესაც ბუნი, მე და ნედი ავტომობილით ჯეფერსონიდან წამოვედით) ბოლო მოეღებოდა ყველაფერს — სამუშაოსაც დაკარგავდა, თავისუფლებასაც და საერთოდ ყველაფერს ამქვეყნად. ამ დავიდარაბამ კი თავის მწვერვალს სწორედ მაშინ იმიტომ მიაღწია და დაუყოვნებლივ მოქმედებაც იმიტომ იყო საჭირო, რომ ცხადი შეიქნა, სულ ადვილი იყო ბატონ ვან ტოშის ცხენის მოპარვა, იმდენად ადვილი, თითქოს მათ განგებ აჩეჩებენო. თავად მეხთამტეხელი (უფრო სწორად, კი პერმაინი) იყო ეს ბედაური, ქალაქიდან ნახევარი მილის დაშორებით რომ იდგა საჯინიბოში გასაყიდად გამოყვანილ სხვა ცხენებთან ერთად, და ბობოს, ვისაც ბატონ ვან ტოშის შეჯინიბედ იცნობდნენ, როცა მოისურვებდა, მაშინ შეეძლო მისი წაყვანა (მიყვანითაც ხომ ბობომ მიიყვანა იმ საჯინიბოში), აღვირს ამოსდებდა და მორჩა. საჭოჭმანო სულ სხვა რამ იყო და ეს იმ თეთრმა კაცმა კარგად იცოდა: ამ ცხენს საგანგებოდ დოღისთვის წვრთნიდნენ, მას კი ჯირითი და შეჯიბრება არ სურდა, ამიტომაც ბატონი ვან ტოშისა და მწვრთნელის, ბატონი კლეპის თვალში ისეთი სახელგატეხილი იყო, რომ იმ საჯინიბოში მიაბრძანეს და, სულ ერთია, რამდენად, პირველივე მსურველისთვის უნდა მიეყიდათ. ხოდა, ბობოს შეეძლო მისულიყო და ცხენი წამოეყვანა და ამ ამბავს ბატონ ვან ტოშს არც არავინ მოახსენებდა, თუკი თავად არ მოიკითხავდა. ამისდა კვალად ბო-

ბოს მეორე დილამდე (ორშაბათამდე) რაღაც უნდა ელონა, მერე უკვე გვიანი იქნებოდა.

ასე იყო საქმე, როდესაც იმ კვირა საღამოს ნედმა მისს რებას სახლთან დაგვტოვა, თავად კი კუთხეში შეუხვია, ბილ სტრიტზე ამოჰყო თავი და პირველივე არალეგალურ ბარში შევიდა. სწორედ იქ ნახა ბობო, ვისკის ბოთლის ფსკერს ჩაშტერებული რომ ცდილობდა გამკლავებოდა თავის ბედ-იღბალს.

ბაბუამ თქვა:

— ჰო, ახლა კი გავიგე. ზანგები შაბათ საღამოს... ბობო უკვე მთვრალია, შენ კი ენაგადმოგდებული ჯეფერსონიდან მოქრიხარ, რათა პირველივე ლუდხანაში... — შეჩერდა, მერე კი თქვა, უფრო სწორად, ეცა ნედს:— დაიცა, დაიცა. არა, შაბათი არ იყო. თქვენ მემფისს კვირა საღამოს ჩახვედით... — ნედი გაუნძრევლად იჯდა ცარიელი ჭიქით ხელში. მერე კი ასე თქვა:

— ჩვენი ხალხისთვის შაბათი საღამო კვირა დღემდე გრძელდება.

— და ორშაბათ დილამდეც, — თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, — ორშაბათ დილით, ნაბახუსევზე, ჭუჭყიანები, გაბრუებულები, გასავათებულები გამოიღვიძებთ ჭუჭყიან საკანში და იქამდე ეყრებით იქ, ვიდრე თეთრი კაცი არ მოვა და ჯარიმას არ გადაიხდის თქვენს გამოსაყვანად, პირდაპირ ბამბის მინდორში რომ გიკრათ თავი წაუხემსებლად. ხოდა, მთელი დღე მუშაობით არაქათგამოლეულები მხოლოდ მზის ჩასვლის ხანს მოხვალთ გონს და მიხვდებით, რომ სიკვდილი ჯერ ადრეა; მეორე დღესაც ასე იქნება, იმის შემდეგაც, ვიდრე კვლავ არ დადგება შაბათი და თქვენც კვლავ არ მიაგდებთ გუთანსა თუ ბარს და თავქუდმოგლეჯილნი არ გაიქცევით, რათა ორშაბათ დილით ისევ იმ აყროლებულ საკანში გამოიღვიძოთ. არ ვიცი, რატომ იქცევით ასე.

— არ იცით და ვერც გაიგებთ, — მიუგო ნედმა, — სხვა ფერისანი ხართ. ერთ შაბათ საღამოს მაინც რომ იგემებდეთ ზანგისკაცობას, მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარასოდეს მოისურვებდით თეთრი კაცის ტყავში ყოფნას.

— კარგი, — თქვა ბაბუამ, — განაგრძე. — ხოდა, ბობომ მოუთხრო თურმე ნედს თავისი გასაჭირი: ნახევარი მილის იქით ერთი ბედაურია, რომელიც ლამის იხვეწება, მომიპარეთო. იმ თეთრმა კაცმა იცის ეს და შემუქრება, მაიძულებს მოვიპარო, დრო კი ცოტა მაქვს, სულ რამდენიმე საათი. — კარგი, — ისევ თქვა ბაბუამ, — ახლა ჩემს ავტომობილზე გადადი.

— სწორედაც დროა, — მიუგო ნედმა. ისინი — თავად ნედი და ბობო მივიდნენ საჯინიბოში ცხენის სანახავად. — დავინახე თუ არა, მაშინვე ის ჩემი ჯორი მომაგონდა — ბობოც, ჩემი არ იყოს, ძალზე ახალგაზრდა გახლდათ, რომ ის ჯორი ხსომებოდა, მაგრამ ჩემსავით ისიც მისი ლეგენდებით გარემოცული იზრდებოდა. — ხოდა, გადავწყვიტეთ მივსულიყავით იმ თეთრ კაცთან და გვეთქვა, რაღაც მოხდა და ბობო ცხენს ველარ მოიპარავსო, მაგრამ სამაგიეროდ შეიძლება ავტომობილი მოგგვაროთო. დამაცადეთ, — უთხრა მან ბაბუას სწრაფად, — ჩვენც თქვენსავით ვიცოდით, იმ ავტომობილს არც რა მოუვიდოდა ამ ამბის გასრულებამდე. შეიძლება ოცდაათი-ორმოცი წლის მერე, თუკი სადმე, ჯეფერსონის რო-

მელიმე ქუჩის კუთხეში დადგებით, მზის ჩასვლამდე დუჟინობით ავტომობილი დაითვალოთ, მაგრამ ახლა ასე არ არის. შეიძლება მაშინ კი მოიპაროთ ავტომობილი და მყიდველიც იშოვნოთ, გამოკითხვას ხომ არ დაგიწყებთ, საიდან წამოიყვანე, ვინ ხარ და რატომ ყიდიო. მაგრამ ახლა ჯერ ასე არ არის. ხოდა, ის კაცი თუ ისეთი იყო, მე რომ ვფიქრობდე (ეუმცა კი ჯერ ნანახი არ მყავდა), ვერ დაიწყებდა აქეთ-იქით ავტომობილეთ სიარულს, როგორმე სასწრაფოდ და თანაც უჩუმრად რომ გაეყიდა, ისევე, როგორც სასწრაფოდ და უჩუმრად ვერც სპილოს გაყიდდა. თქვენც ხომ დიდი დავიდარაბა არ გადაგხდენიათ იმის მოსაძებნად და დასაბრუნებლად, როგორც კი ბატონ ვან ტოშთან ერთად ამ საქმეს მოკიდეთ ხელი, ხომ ასეა?

— განაგრძე, — უთხრა ბაბუამ. ნედმა განაგრძო:

— ხოდა, ის თეთრი კაცი იკითხავდა, რა ავტომობილიო? მაშინ მეც უნდა ჩავრეულიყავი ლაპარაკში და შეიძლება იმ თეთრ კაცს ასე ეთქვა, შენ ვინ გეკითხებაო. ბობო კი ასე ეტყოდა, ამას ის ცხენი სჭირდება, რადგან იცის, როგორც უნდა მოაგებინოსო. დოლის შესახებ უკვე მოლაპარაკებულები ვართ, სამშაბათს უნდა გაიმართოს, და თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ, ფულს იმ ცხენზე ჩახვიდეთ და იმდენი მოიგოთ, სამმაგად და ოთხმაგად აინაზღაუროთ ის ას ცამეტი დოლარი, მერე კი თუ გინდათ, იმ ავტომობილს სულაც მიაფურთხეთო. რადგანაც თქვენნაირ გამოცდილ კაცს არ შეეშლება, რისი მოცილება შეიძლება იოლად და სადავიდარაბო რა შეიქნებაო. ხოდა, სწორედ დამში უნდა მოგვეყვანა ეს საქმე, მაგრამ ჩამოხვედით თქვენ და ყველაფერი ჩაგვეშალა: ნახავდა ის თეთრი კაცი პირველ გარბენს და პირველად არც არაფერს ჩამოვიდოდა, კი, ასე იზამდა სწორედ, და მეხთამტეხელი ჩვეულებისამებრ რომ წააგებდა პირველ გარბენს, იმ თეთრი კაცისთვის არაფერი იქნებოდა გასაკვირი, უკვე ეცოდინებოდა ამ მისი ჩვეულების შესახებ და ამიტომ. ჩვენც ასე ვეტყოდით: მოდით, მეორე გარბენს დაელოდეთო, თავად კი იმ ცხენს ავტომობილის წილ ჩამოვიდოდით. თეთრი კაცი დარწმუნებული იქნებოდა, მეორედაც წააგებდა მეხთამტეხელი და იმ ავტომობილთან ერთად ცხენიც მას დარჩებოდა. — ისინი — ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბატონი ვან ტოში — ნედს მიშტერებოდნენ. არც ვეცდები აგიწეროთ, როგორი გამომეტყველება ჰქონდათ, მაინც ვერ შევძლებ. — ხოდა, ჩამოხვედით და ყველაფერი ჩაგვიშალეთ, — დასძინა ნედმა.

— გასაგებია, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა, — ყველაფერი ეს ბობოს დასახსნელად მოაწყვე. მაგრამ ვთქვათ და კოპერმაინს მეორედაც წაეგო, მაშინ ბობოს საქმე როგორ იქნებოდა?

— კოპერმაინმა გაიმარჯვა, — თქვა ნედმა, — თქვენ ხომ თავად ნახეთ.

— და მაინც, ვთქვათ და წაეგო, — უთხრა ბატონმა ვან ტოშმა.

— მაშინ ბობოს თავად უნდა დაეძვრინა თავი, — მიუგო ნედმა, — როცა მისისიპიდან წამოვიდა და იმ ბამბის მინდორს თავი დაანება, მემფისში თაღლითობა, კარტის თამაში და სხვა რაღაც-რაღაცები რომ დაეწყო, ჩემთვის არაფერი უკითხავს.

— მაგრამ ბატონ პრისტს, მგონი, ნათქვამი აქვს, რომ ბობო შენი ბიძაშვილია, — უთხრა ბატონმა ვან ტოშმა.

— რას იზამ, თითო მახინჯი ყველა ოჯახში გამოერევა, — მიუგო ნედმა.

— მოდი, გროგი დავლიოთ, — სწრაფად თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. წამოდგა, სასმელი მოამზადა და ჭიქები შეავსო. — შენ ცდალიე, — უთხრა ნედს. ნედმა ჭიქა გაუწოდა და პოლკოვნიკმა ლინსკომმა დაუსხა. ნედმა ხელუხლებელი ჭიქა ისევ ბუხრის თავზე შემოდგა, მაგრამ ამჯერად აღარავის უთქვამს რამე.

— კარგი, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა. მერე კი დასძინა, — ამას რა სჯობს, პრისტ, თქვენ თქვენი ავტომობილი დაიბრუნეთ, მე კი ჩემი ცხენი. და შეიძლება იმ არამზადამაც, რაკილა შიში ჭამა, ჩემს მეჯინიბეებს თავი დაანებოს. — ხმას არავინ იღებდა. — ბობოს რაღა ვუყო? — ხმა არც ახლა ამოუღიათ. — შენ გეკითხები, — უთხრა ბატონმა ვან ტოშმა ნედს.

— დაიტოვეთ, — მიუგო ნედმა. — ჩემი ჯიშის ხალხს, ბიჭებზე, ყმაწვილკაცებზე გეუბნებით, ასე ადვილად ჭკუას ვერ ასწავლით...

— მხოლოდ ზანგებს? — ბატონმა ვან ტოშმა ჰკითხა.

— შეიძლება საერთოდ მაკ-კასლინებს გულისხმობს, — თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა.

— მართალია, — თქვა ნედმა, — რაღა მაკ-კასლინები და რაღა ზანგები, ერთი ზნე სჭირთ, ხოლო თუ ნარევია, მით უფრო უარესი. მაგრამ ახლა უბრალოდ ყმაწვილკაცებზე მოგახსენებდით, თუმცა ბობო ზანგი მაკ-კასლინია, შეიძლება სანახევროდ ყრუებიც არიან. ერთი სიტყვით, თავად უნდა იწვნიონ, რომ მიხვდნენ, თაღლითობას სიკეთე არ მოაქვს. შეიძლება არც ბობოსთვის ჩაუვლია ამაოდ ამ გაკვეთილს. ახლის მოყვანას სჯობს ძველი და გახედნილი დაიტოვოთ.

— კარგი, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა. ყველანი ჩუმად ისხდნენ. — კარგი, — კვლავ თქვა ბატონმა ვან ტოშმა. — სხვა რა გზაა, ნედი უნდა ვიყიდო ან კოპერმაინი გავყიდო. — კვლავ ჩუმად ისხდნენ ყველანი. — ნედ, თუ შეგიძლია კიდევ მოაგებინო?

— მაშინ კი მოვაგებინე, — მიუგო ნედმა.

— მე გეუბნები, კვლავაც თუ შეგიძლია-მეთქი, — უთხრა ბატონმა ვან ტოშმა. ყველანი ჩუმად ისხდნენ. — პრისტ, — განაგრძო ბატონმა ვან ტოშმა, — გჯერათ, რომ კიდევ შეუძლია მოაგებინოს?

— დიახ, — უთხრა ბაბუამ.

— ხოდა, თუ გჯერათ, რამდენს ჩამოხვალთ? — კვლავ ჩუმად ისხდნენ ყველანი.

— თქვენ ამას როგორც ბანკირს ისე მეკითხებით? — ჰკითხა ბაბუამ.

— ვთქვათ ისე, როგორც ერთ ჩრდილო-დასავლეთ მისისიპელ კაცს, ვინც ღვთით და შეერთებული შტატების კონსტიტუციით ნაბოძებ შვებულებას ატარებს ძირძველ და მდიდარ სამხრეთ-დასავლეთ ტენესელებს შორის, — თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა.

— კარგი, — თქვა ბატონმა ვან ტოშმა, — მე კოპერმაინს ჩამოვალ, თქვენ კი ნედის საიდუმლოს და კიდევ ერთხელ გავმართოთ დოლი ერთ

მილზე. თუკი ნედი ისევ დაამარცხებინებს კოპერმაინს ლინსკომის ყორანას, ის საიდუმლო ჩემი იყოს, კოპერმაინი კი თქვენი. ხოლო თუ კოპერმაინი დამარცხდება, თქვენი საიდუმლო რაღად მინდა, შეგიძლიათ ხუთას დოლარად წაიყვანოთ ან არ წაიყვანოთ კოპერმაინი.

— თქვენ იმის თქმა გინდათ, თუკი წააგებს, შემიძლია ხუთას დოლარად წავიყვანო, ანდა ამდენივე გადავიხადო და აღარ წავიყვანო? — ბაბუამ თქვა.

— მართალს ბრძანებთ, — მიუგო ბატონმა ვან ტოშმა, — და წაგებული რომ ამოიგოთ, ერთის წილ ორ დოლარს ჩამოვალ, რომ ნედი იმ ცხენს ველარ მოაგებინებს. — კვლავ იყუჩეს.

— ხოდა, ან უნდა მოვიგო, ან უნდა ვიყიდო, სხვა გზა არა მაქვს, — თქვა ბაბუამ.

— ან არადა სიყმაწვილე დაგვიწყებიათ და ის არის, — უთხრა ბატონმა ვან ტოშმა, — სცადეთ გაიხსენოთ. მეგობრებს შორის ხართ. მცირე ხნით მაინც დაივიწყეთ, ბანკირი რომ ბრძანდებით. აბა სცადეთ, — კვლავ ჩუმად ისხდნენ.

— ორ-ნახევარი, — ბაბუამ თქვა.

— ხუთი, — ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

— სამ-ნახევარი, — ბაბუამ თქვა.

— ხუთი, — ბატონმა ვან ტოშმა მიუგო

— ოთხი და თხუთმეტი, — ბაბუამ თქვა.

— ხუთი, — ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

— ოთხ-ნახევარი, — ბაბუამ თქვა.

— ოთხი და ოთხმოცდათხუთმეტი, — ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

— თანახმა ვარ, — ბაბუამ თქვა.

— მეც თანახმა ვარ, — ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

ხოდა, უკვე მეოთხედ მოაჯდა მაკ-უილი აქერონტს, მე კი მეხთამტეხელს (ანუ კოპერმაინს), ჩვეულებისამებრ მოუსვენრად რომ ტოკავდნენ ჯუთის წვრილი, სუსტი თოკის მილმა. შიშნაჭამ, შეურაცხყოფილ, თავგზაარეულ და ამავე დროს გამბედაობით აღსავსე მაკ-უილის ამჯერად ჩემთვის აღარაფერი უთქვამს. იცოდა, რომ გუშინ რაღაც მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რაც, კაცმა რომ თქვას, არც არავის არ უნდა დამართოდა, მით უმეტეს ცხრამეტი წლის ბიჭს, ვინც ცდილობდა მოეგო, როგორც თავად ფიქრობდა, ჩვეულებრივი დოღი, რომელიც, მართალია, ყველა წესის დაცვით არ გამართულა, მაგრამ ერთზე მაინც იყვნენ შეთანხმებულნი, ჯადოქრობისა და შელოცვისთვის არ მიემართათ. ამჯერად, თუ სად უნდა დავმდგარიყავით, წილი არ გვიყრია. ჩვენ — მაკ-უილის და მე — გვითხრეს, თქვენ თვითონ აირჩიეთო, მაგრამ ნედმა საჩქაროდ განაცხადა: „დღეს ჩვენთვის სულ ერთია. გუშინდელს მერე მაკ-უილი გუნებაზე ვერ არის, ხოდა, გუნების გამოსაკეთებლად, რომელ ბოძთანაც უნდა, იმასთან დადგეს". არ ვიცი, ბოლმა იყო ამის მიზეზი თუ კეთილშობილება, მაგრამ მაკ-უილიმ უარი თქვა ამაზე და ყველანი საგონებელში ჩაგვაგდო, ვიდრე განმკარგულებელმა, თავდებით გამოშვებულმა კაცისმკვლელმა, არ დაგვიძახა:

— აბა მიდით, ბიჭებო, დოლზე ხართ გამოსული და თოკის უკან დადექით, სადაც უნდა იდგეთ.

ნედს ახლა აღარ მიუმართავს წინასწარი შელოცვისა თუ რიტუალისთვის, მეხთამტეხელისთვის აღარ მოუთათუნებია დრუნჩზე ხელი. ვერ გეტყვი, დაავიწყდა-მეთქი, ნედს არც არაფერი ავიწყდებოდა, შეიძლება მე არ ვიყავი ყურადღებით, ვერ შევამჩნიე, გამომეპარა. ერთი სიტყვით, ამის დრო აღარ იყო. არც უკანასკნელი რჩევა-დარიგება მოუცია, ასე და ასე მოიქეციო, თუმცა რაღა უნდა ეთქვა? წინა საღამოს ბატონი ვან ტოში, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბაბუა ასე შეთანხმდნენ: რადგანაც ეს დოლი კერძო იყო, თანაც, შეიძლება ასე ითქვას, სხვა გზა არც გვქონდა, უსათუოდ უნდა გამართულიყო, — ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეგვენახა, რაც ისეთივე ძნელი იყო, როგორც პარშემსა და მის შემოგარენში იმის დამალვა, თუ როგორი ამინდი იყო გუშინ პოლკოვნიკ ლინსკომის საძოვარზე, რადგანაც მთელი პარშემი ეს იყო მხოლოდ: ერთადერთი ზამთრის ჟამს მოქმედი სასტუმრო, ორად ორი დუქანი, პირუტყვის დასატვირთი და გადმოსატვირთი ბაქანი, რკინიგზის საკვანძო სადგური, რამდენიმე ეკლესია, სკოლა და აქეთ-იქით მიმოფანტული ფერმები. ასე რომ, ყოველგვარი ხმები, თუნდაც ერთხელ დაცდენილი სიტყვა დოლის შესახებ, მით უმეტეს, თუ დოლი ხელმეორედ უნდა გამართულიყო, მსგავსად ამინდისა წამის უმალესად ვრცელდებოდა მთელ პარშემში. ხოდა, ყველანი გამოცხადდნენ დოლზე, მათ შორის მსაჯიც — ღამის ტელეგრაფისტი, ვისაც ცოტა წაძინება ნამდვილად მოუხდებოდა. წინადღეს რომ იყო, იმაზე ნაკლები ხალხი მოვიდა, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ბაბუა და ბატონი ვან ტოში ისურვებდნენ — ერთმანეთში ირეოდა გაზინზლული შლაპები, ჩიბუხები, უჰალსტუხო პერანგები და კომბინეზონები. ბოლოს ვილაცამ დაიყვირა, გასწითო! თოკი მიწაზე დავარდა და ჩვენ წინ გავიჭერით.

წინ გავიჭერით-მეთქი. მაკ-უილიმ ჩვეულებისამებრ ორი ტანით გაგვისწრო, ვიდრე მეხთამტეხელი მიხვდებოდა, რომ დოლი დაიწყო, მაშინ კი სწრაფად და მორჩილად მოუმატა სიჩქარეს, მაკ-უილის მუხლს გაუსწორდა და შეეძლო კიდევაც (თუკი მოისურვებდა) ზედ დრუნჩით მიკვროდა; მარჯვნივ მოვუხვიეთ, ფინიშის საპირისპირო მხარეს გავედით, ადგილები გავცვალეთ მე და მაკ-უილიმ, ჯერ დავუახლოვდით, მერე ისევ დავცილდით ერთმანეთს რაღაც სიზმარეული, მდოვრე სვლით, რაც ნაცნობი სურათი უნდა იყოს მისთვის, ვინც თვითმფრინავში მჯდარა შეკრული მწყობრით ფრენის დროს. მარცხენა მოსახვევიც და ფინიშისკენ მიმავალ ბილიკზე გავედით. ანგარიშმიუცემლად მათრახი გადავკარი მეხთამტეხელს სულ ახლოს იმ ადგილიდან, სადაც შეეძლო გაეხსენებინა, რომ დრო იყო ნედის ძებნა დაეწყო. თვალი მოვავლე მოაჯირთან მდგომთ, იქნებ ნედი დავინახო-მეთქი. მეხთამტეხელმა არც კი უწყოდა, საით მიქროდა, მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, ნედისთვის მოეკრა თვალი. მაგრამ სულ ამაოდ. კვლავ მარჯვენა მოსახვევი, კვლავ ფინიშის საპირისპირო ბილიკი, მერე მარცხენა მოსახვევიც... და უკვე ფინიშისკენ მივქრიოვართ, დრო იყო უკვე და მეხთამტეხელი მოაჯირიდან აქეთ, სილრმეში გადმოვიყვანე, საიდანაც (ამასობაში აქერონტი წინ გაიჭრებოდა, მაგრამ მთავარი ეს იყო — წინ არ აგვფარებოდა) ყველაფრის დანახვა შეეძლო. მაგრამ ნედს თუ თვალი მოჰკრა, ჩემთვის არ უგრძნობინებია. არც მე მითქვამს მისთვის: გაიხედე! გაიხედე იქით! იქ დგას-მეთქი! ნედი იქ არ ყოფილა და იმი-

ტომ. ცარიელი იყო ბილიკი ფინიშზე გაჭიმული თოკის მილმა, რომელიც ისეთი წვრილი და სუსტი იყო, თითქოს საცერში გატარებული მთვარის სხივიაო. მაკ-უილი ახლა გააფთრებით ურტყამდა მათრახს თავის ბედაურს, მეხთამტეხელი კი მონუსხულივით მისდევდა ზუსტად ერთი თავით უკან, და თუ აქერონტი მოახერხებდა საათში სამოცი მილით გაჭენებას, არც ის ჩამორჩებოდა, ანუ ისევ ერთი თავით იქნებოდა უკან, ხოლო თუ აქერონტს მოაფიქრდებოდა ფინიშამდე ათი ნაბიჯით აქეთ შეჩერება, ჩვენც შევჩერდებოდით და ისევ ერთი თავით უკან ვიქნებოდით. მაგრამ აქერონტი არ შეჩერებულა. ისევ ისე შეწყვილებულნი მივქროდით, ოღონდ ოდნავ ქეშად, თითქოს ჩვენი დამაკავშირებელი ჯაჭვი მოშვებულიყო. და აი ფინიშის ხაზმაც გაიელვა, მაკ-უილი და მე ისევ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, უფრო სწორად, მოზეიმე მაკ-უილი შემობრუნდა ჩემკენ და კაციჭამიასავით არეოხროხდა: „ჰო-ჰო-ჰო, ჰო-ჰო-ჰო!“ მერე სვლა შეანელა, თუმცა კი ალარ შეჩერებულა და პირდაპირ (როგორც ვივარაუდე) საჯინიბოსკენ წავიდა; რაღა თქმა უნდა, მან და აქერონტმა დაიმსახურეს დასვენება. მე კი მეხთამტეხელი შემოვატრიალე და გამოვბრუნდი. ნედი ჩვენკენ გამორბოდა, უკან ბაბუა მოჰყვებოდა, მაგრამ არ მორბოდა. ჩვენი გუშინდელი თაყვანისმცემლები და გულშემატკივრები გვტოვებდნენ, მიდიოდნენ; კეისარს კეისრობა ჩამორთმეული ჰქონდა უკვე.

— წამოდი, — ნედმა მითხრა და ალვირს წაეტანა სწრაფად, თუმცა აუღელვებლად, ოდნავ მოუთმენლადაც, მაგრამ თითქმის უგულისყუროდ. — მიუყვანე.

— რა მოხდა? — იკითხა ბაბუამ, — რა ჯანდაბა დაემართა?

— არც არაფერი, — მიუგო ნედმა, — დღეს სურდინი არ მქონდა და ამან იცოდა ეს. მე ხომ გითხარით, რა ჭკუისაა ეს ცხენი.

მერე მე მომიბრუნდა:

— ბობო გელოდება იქ. ეს ოჩანი იმას მიუყვანე, მემფისს წაიყვანს. ჩვენ სახლში მივდივართ ამალამ.

— დაიცადე, — მე ვუთხარი, — დაიცადე...

— დაივიწყე ეს ცხენი, — თქვა ნედმა, — რაღად გვინდა. პატრონმა დაიბრუნა თავისი ავტომობილი და მხოლოდ ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი დოლარის ზარალი ნახა, მაგრამ თუ თავიდან მოიშორებ ამ ცხენს, ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი დოლარი რა სასსენებელია. თუკი იმ ჭიჭყინა თევზის გამოშვებას შეწყვეტენ, მთელი ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს, ამ ცხენს ადგილიდან ველარ დაძრავ. ხოდა, იმ კაცმა, ბატონმა ვან... რა ჰქვია იმას... სადაც უნდა იქ წაიყვანოს; იქნებ ოდესმე კოპერმაინმა იმასა და ბობოს მოუთხროს, რაც გუშინ მოხდა.

მაგრამ იმ საღამოს ალარ გავემგზავრეთ. პოლკოვნიკ ლინსკომისას დავრჩით, ვახშმის შემდეგ იმის კაბინეტში შევედით. ბუნი ნაბრძოლ-ნაგვემი. ჩანდა, მოთვინიერებულიც და ამავე დროს დაწყნარებულ-დამშვიდებულიც. სუფთად იყო, წვერი გაეპარსა, ახალი პერანგი ჩაეცვა, რომლის ყიდვაც, როგორც ჩანს, ჰადუიკში მოესწრო. სწორედ იმავე მაგარ სკამზე დამჯდარიყო, ნედი რომ იჯდა წინა საღამოს.

— არა, — ასე თქვა, — ის კაცი ამის გულისთვის არ მიცემია. დაბოღმილი ამაზე ალარ ვარ. იმ გოგოს საქმეა. თანაც ყველაფერს უცებ თავს ვერ დაანებებ. რას იზამ... რა იზამ...

— თანდათანობით უნდა დაანებო, ხომ? — თქვა ბაბუამ.

— არა, ბატონო, — მიუგო ბუნმა, — ამას არ გეუბნებით. კი დაანებებ თავს, მაგრამ მერე დასუფთავებაა საჭირო, ნაგვის გატანა, მოწესრიგება, თუმცა კი თავი დანებებული გაქვს უკვე. მთავარი სულ სხვა რამეა. იმიტომ მინდოდა იმისთვის კისრის მოგრეხა, რომ ჩემს ცოლს ბოზი დაუძახა.

— რაო, ცოლად გინდა მოიყვანო? — ჰკითხა ბაბუამ. მაგრამ ბუნმა ბაბუას კი არ უპასუხა, მე მეცა, პირდაპირ ცოფიანივით მომვარდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, — ასე მომაძახა, — შენ ის გოგო შიშველი ხელებით დაიცავი, დანასაც კი არ მორიდებიხარ, მე კი ცოლად რომ შევირთო, ისიც არ შეიძლება? მართალია, თერთმეტი წლისა არა ვარ, მაგრამ რითი ვარ შენზე ნაკლები?

აი, თითქმის დასრულდა ეს ამბავი. მეორე დღეს დაახლოებით საღამოს ექვს საათზე უკანასკნელი ქედიც გადავიარეთ და ქალაქის მოედნის ირგვლივ შემოჯარული ხეების წვეროკინებში სასამართლოს შენობის საათი დავინახეთ. ნედმა კი, ხი-ხი-ხი, წინ იჯდა ბუნთან ერთად, მერე კი ასე დასძინა, თითქოსდა ორი წელია, რაც აქ არ ვყოფილვარო.

— დელფინა რომ სეირს გიჩვენებს ამ საღამოს, მაშინ იტყვი, ნეტავი მართლაც არ ვყოფილიყავიო, — უთხრა ბაბუამ.

— ან არ დავბრუნებულიყავიო სულაც, — თქვა ნედმა. — მაგრამ ქალს, ვინც მთელი დღე ხვეტავს, საჭმელს აკეთებს, რეცხავს, ხეხავს, ალაგებს, მე მგონია, კი უნდა ხანდახან ცოტათი გართობა-გამხიარულება.

ჩამოვედით. ავტომობილი გაჩერდა. გაუნძრევლად ვიჯექი. მერე ბაბუა ჩავიდა და მეც ჩავყევი.

— ბატონ ბელოტს აქვს გასაღები, — თქვა ბუნმა.

— არა, იმას არა აქვს, — მიუგო ბაბუამ. გასაღები ჯიბიდან ამოიღო და ბუნს გაუწოდა. — აბა წავიდეთ, — თქვა მან. ქუჩა გადავიარეთ და ჩვენს სახლს მივადექით. თუ იცი, რას ვფიქრობდი? *არც არაფერი შეცვლილა-მეთქი*, რადგანაც რაღაც კი უნდა შეცვლილიყო, თუნდაც სულ ოდნავ, იმას არ ვამბობ, თავად უნდა შეცვლილიყო-მეთქი, იმას ვამბობ, რომ მე უნდა შემეცვალა, რადგან თან მომყვა ის ცვლილება, ბოლო ოთხი დღის მანძილზე რომ მოხდა ჩემს არსებაში. და თუ ამ ოთხი დღის შემდეგ, რომელიც ალსავსე იყო სიცრუით, ტყუილით, მზაკვრობითა და ხრიკებით, სიმტკიცითა თუ გაუბედაობით, ან ყოველივე იმის შემდეგ, რაც გავაკეთე, რაც ვნახე, გავიგონე თუ გავიგე, რის გაკეთებას, დანახვას, გაგონებასა და გაგებას დედაჩემი და მამაჩემი არ დამანებებდნენ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე უნებლიეთ შევიტყე და რისთვისაც ჯერ მზად არ ვიყავი, რასაც ვერსად შევინახავდი, ვერსად დავმალავდი, თუ ყოველივე ამის შემდეგ არც არაფერი შეცვლილა, თითქოსდა არც არაფერი მომხდარაო — არც შემცირებულა, არც გადიდებულა და არც უფრო ჭკვიანი ან უფრო გულმოწყალე გამხდარა, მაშინ სულ ტყუილუბრალოდ ჩაუვლია რაღაცას, დაკარგულა, ამაოდ დახარჯულა; ან ის რაღაც იყო იმთავითვე მცდარი, არასწორი და არც უნდა არსებულიყო, ანდა თავად მე ვიყავი შემცდარი ან არასწორი ან სუსტი და ვერ ვიქნებოდი იმის ღირსი.

— წამოდი, — მითხრა ბაბუამ, არც ალერსიანად და არც მკაცრად, უბრალოდ მითხრა. ასე გავიფიქრე: *ნეტავი დეიდა კელი გამოვარდებოდეს*,

თუნდაც ალექსანდრე ჰყავდეს ხელში ან თუნდაც უიმისოდ, და დამიცა-
ცხანებდეს! მაგრამ არაფერი ხდება: ისევ ისე დგას ჩვენი სახლი, ყველა სა-
ხლზე ადრე რომ შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში; მაისის საღამოა, უკვე ექვს
არის გადაცილებული, ის დროა, როდესაც ვახშმობის თადარიგს იჭერენ;
დედა ნაუცბადევად მკოცნის და მერე თვალს არ მაცილებს, ერთი ჭალარა
მაინც გამორეოდა ამ დროის განმავლობაში; მამაც აქ არის, ვისიც მუდამ
ცოტა... შიში მქონდა-მეთქი, სწორი ნათქვამი არ არის, მაგრამ სხვა სიტ-
ყვა ვერ მომიფიქრებია. შიში იმიტომ მქონდა, რომ არ მქონოდა, მისიც
შემრცხვებოდა და საკუთარი თავისაც. მერე ბაბუამ დაიძახა: — მორი.

— ახლა არა, პატრონო, — მამამ მიუგო. მერე მე მომიბრუნდა: —
მოდი, დროზე მოვრჩეთ ამ საქმეს.

— დიახ, ბატონო, — მე ვუთხარი და უკან გავყევი. დერეფანი გავია-
რეთ და სააბაზანოსთან მივედით. მე კართან დავდექი, მან კი კაუჭიდან სა-
მართებლის პირის გასამართავი ქამარი ჩამოხსნა, მერე გვერდზე მივდექი,
რომ გამოსულიყო, და გზა განვაგრძეთ. დედა სარდაფის კიბის თავზე იდ-
გა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, სხვა ვერაფერი მოეხერხებინა, არა-
და ხომ შეეძლო ეთქვა: შეჩერდი, ამას ნუ იზამ, ან გეყოფრები, ან მორიო,
ან, ლუციუსო, მაინც. მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს და მამას ჩავყევი დაბ-
ლა, ისევ შევიცადე, ვიდრე სარდაფის კარს გააღებდა და მერე შიგ შევე-
დით. ზამთრობით სახმელებელს ვინახავდით აქ, ზაფხულობით კი მოთუ-
თიანებულ ყუთში ყინულს. დედასა და დეიდა კელის აქ თაროები ჰქონ-
დათ, ზედ შემოდგმული ნაირ-ნაირი მურაბის, ხილფაფისა და კონსერვის
ქილებით, აქვე იდგა ძველი სარწეველა-სავარძელი, დედა და დეიდა კე-
ლი ამ სავარძელში სხდებოდნენ, როდესაც ქილებისთვის თავი უნდა მო-
ეკრათ. დეიდა კელი ზოგჯერ წასთვლემდა ნასადილევს, თუმცა სულ გვიმ-
ტკიცებდა, რას ამბობთ, დაძინება ფიქრადაც არ მომსვლია. დაბოლოს,
ჩვენ მივადექით იმას, რაც შედეგად მოჰყვა ჩემს ოთხდღიან თაღლითო-
ბას, ჯახირსა და გაწამაწიას. მაგრამ ეს სწორი რომ არ იყო, ორივემ ვი-
ცოდით, მამამაც და მეც. მე იმის თქმა მინდა, თუკი ამდენი ტყუილის, მზა-
კვრობის, თავნებობისა და თაღლითობაში თანამონაწილეობის შემდეგ მა-
მას ესლა შეეძლო, რომ ქამრით ვეცემე, ასეთი მამა კარგი ვერ იქნებოდა
ჩემთვის. და თუ იმას, რაც მე ოთხი დღის მანძილზე მოვიმოქმედე და ჩა-
ვიდინე, ქამარი გამოასწორებდა, მაშინ ცხადი იყო, ორივენი ძალზე და-
ვმდაბლებულიყავით. თუ ხედავ? ჩიხში ვიყავით მომწყვდეულნი, მაგრამ
ბაბუამ გვიშველა, კარზე დააკაკუნა. თუმცა კარი არც იყო დაკეტილი. ბა-
ბუას მამას ბაბუა ასე დაემოძღვრა, იმას მამაჩემი, მამაჩემს კი მე, რომ
კარს არც უნდა კლიტე, ისიც საკმარისია, მიხურული იყოს, მაგრამ შენ
უნდა დაელოდო, ვიდრე არ დაგიძახებენ, შემობრძანდითო. ბაბუას კი
ალარ დაუწყია ლოდინი.

— არა, — უთხრა მამამ, — შენც ასე მოიქცეოდი ამ ოცი წლის წინ.

— შეიძლება, მაგრამ მას შემდეგ ჭკუა მომემატა, — თქვა ბაბუამ, —
იქნებ როგორმე ელისონი მაღლა აიყვანო და დაამშვიდო. — მამა გავი-
და, კარი კვლავ დაიხურა. ბაბუა სარწეველა-სავარძელში ჩაჯდა. მსუქანი
არ იყო, მაგრამ ღიპი მაინც იმხელა ჰქონდა, თეთრ ჟილეტში დასტყობო-
და და საათის მომსხო ოქროს ძეწკვიც დაეჭიმა.

— ვცრუობდი, — მე ვუთხარი.

— აქ მოდი, — მითხრა ბაბუამ.

— არ შემიძლია, — მე ვუთხარი, — ხომ გეუბნები, ვცრუობდი-მეთქი.

— ვიცი, — მან თქვა.

— მაშინ რაღაც იღონე, რაღაც გააკეთე, რაც გინდა, სულ ერთია.

— არ შემიძლია, — მან თქვა.

— არაფრის გაკეთება არ შეიძლება? სულ არაფრის?

— მე ამას არ ვამბობ, — თქვა ბაბუამ, — მე არ შემიძლია-მეთქი, თორემ შენ შეგიძლია.

— რა? — მე ვკითხე. — როგორ უნდა დავიწყო ეს, მითხარი, აბა როგორ?

— ვერც დაიწყებ, — ასე მიპასუხა, — არც არაფრის დაწყება შეიძლება, არც არაფერი იკარგება, მეტად ღირსსახსოვარია და იმიტომ.

— რა უნდა ვქნა?

— ამით უნდა იცხოვრო, — მითხრა ბაბუამ.

— ამით უნდა ვიცხოვრო? შენ გინდა თქვა — მუდამ? სიცოცხლის ბოლომდე? თავს ველარასოდეს დავალწევ? ველარასოდეს? ნუთუ არ გესმის, არ შემიძლია.

— შეძლებ, — მან თქვა, — უნდა შეძლო. კაცური კაცი ასე უნდა მოიქცეს. კაცურმა კაცმა ყველაფერს უნდა გაუძლოს, ნებისმიერ განსაცდელს უნდა გაუმკლავდეს. კაცური კაცი რასაც აკეთებს, იმის შედეგებზე პასუხისმგებელია, თავისი მხრებით უნდა ზიდოს ეს მძიმე ტვირთი, მაშინაც კი, როდესაც თავად არ არის მოთავე, სხვამ ჩაითრია და ვერ უთხრა, არაოთუმცა კი იცის, უნდა ეთქვა. აქ მოდი. — მწარედ ავტირდი, ავლრიალდი ბაბუას მუხლებთან მდგომარე (უფრო სწორად, დაჩოქილი, უკვე ისეთი მაღალი ვიყავი), მან კი ერთი ხელი წელზე მომხვია, მეორე კეფაზე დამადო; მე თავი ჩავრგე იმის გახამებულ პერანგში და მისი სუნი ვიგრძენი — სახამებლის, წვერის საპარსი ლოსიონის, საღეჭი თამბაქოსი და ბენზინისა, რომლითაც ბებიასა და დელფინას სერთუკიდან ლაქები ამოჰყავდათ. ვისკის სუსტი სუნიც მომივიდა; ჩვეულებისამებრ ბაბუა დილითვე გადაჰკრავდა ხოლმე უზმოზე ლოგინში. როცა ბაბუასთან ერთად მეძინა, დილით, უპირველეს ყოვლისა, ოთახში ნედი შემოდიოდა (თეთრი ქურთუკის გარეშე, ხან საერთოდ უქურთუკოდ, ან სულაც უპერანგოდ, და მაშინაც კი, როდესაც ბაბუამ ცხენებს ეტლების სადგომში მიუჩინა ადგილი, ნედს მაინც ამ ოთხფეხთა სუნი ასდიოდა). შემოიტანდა ლანგარს გრაფინით, წყლით სავსე დოქით, საშაქრით, კოვზითა და ჭიქით. ბაბუა ლოგინში წამოჯდებოდა, სასმელს მოამზადებდა და გადაჰკრავდა. მერე ცოტა შაქარს ჩაუმატებდა რაც დარჩებოდა იმაში, მოურევდა, ცოტა წყალსაც ჩასხამდა და მე მასმევდა. ხოდა, ერთ დღეს ბებიამ შემოგვისწრო და ბოლო მოუღო ამას. — კარგი, გეყოფა, — მითხრა ბაბუამ, — სად გაქვს ამდენი ცრემლი. წადი, პირი დაიბანე. კაცური კაციც ტირის ხანდახან, მაგრამ მერე პირს იბანს ყოველთვის.

ასე გასრულდა ეს ამბავი. ორშაბათი იყო, ნაშუადღევს სკოლიდან დავბრუნდი (მამამ დედას არ დაანება წერილის გაგზავნა სკოლაში პატიების სათხოვნელად, ასე რომ გაცდენა ჩამიწერეს, მაგრამ მისს როდსმა თქვა, რაც გამოტოვა, ვამუშავებ და კლასს დავაწევო) ნედი კვლავ უკანა კიბეზე

ᲘᲯᲓᲐ, ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ, ᲓᲐ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲔᲫᲔᲑᲜᲐ. ᲛᲔ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ:

— ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲘᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲐᲠᲑᲔᲜᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲮᲕᲓᲐᲠᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲡ ᲩᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲡᲔᲛᲛᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲕᲪᲐ ᲛᲔᲮᲗᲐᲛᲢᲔᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

— ᲛᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲜᲔᲓᲛᲐ, — ᲡᲣᲗᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲘᲒᲔ. ᲘᲛ ᲑᲔᲑᲔᲠ ᲞᲐᲡᲔᲛ ᲰᲣᲓᲡᲐᲪ ᲔᲠᲒᲝ ᲝᲪᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲬᲐᲕᲐᲒᲔᲗ, — ᲛᲔ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ.

— ᲨᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲗᲐᲛᲢᲔᲮᲔᲚᲛᲐ ᲬᲐᲐᲒᲔᲗ, — ᲗᲥᲕᲐ ᲜᲔᲓᲛᲐ, — ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲔ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲥᲔᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲩᲐᲕᲔᲓᲘ.

— ᲠᲐ? — ᲐᲡᲔ ᲬᲐᲛᲝᲕᲘᲫᲐᲮᲔ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘ ᲕᲙᲘᲗᲮᲔ; — ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲒᲔ? — ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲢᲝᲙᲔᲑᲣᲚᲐ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ. ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲘᲧᲝ, ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲘᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲰᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ. ᲛᲪᲘᲠᲔᲝᲓᲔᲜᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲛ ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲬᲐᲛᲐᲬᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲝᲔᲜᲐᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲕᲜᲐᲮᲔ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲜᲐᲮᲔ, ᲘᲛ ᲧᲝᲤᲐᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲫᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲢᲐᲜᲖᲔ ᲩᲐᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ (ᲗᲣ ᲮᲔᲓᲐᲕ, ᲠᲐ ᲯᲘᲣᲢᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲫᲐᲮᲘ, ᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ-ᲛᲔᲗᲥᲘ? ᲨᲐᲑᲐᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲨᲣᲐᲓᲦᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲣᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔ — ᲝᲠᲜᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘᲗ — ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲕᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲰᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲘᲧᲝ, ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲣᲜᲛᲐ, ᲜᲔᲓᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲔ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲕᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲯᲔᲤᲔᲠᲡᲝᲜᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ: ᲘᲛ ᲨᲐᲑᲐᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲓᲐᲜ, ᲛᲘᲡᲡ ᲑᲝᲚᲔᲜᲑᲝᲡᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲗᲔᲕᲐᲓ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ—ᲘᲛ ᲬᲣᲗᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲛᲔᲮᲗᲐᲛᲢᲔᲮᲔᲚᲖᲔ ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲫᲘᲠᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲮᲔᲓᲔ, ᲑᲐᲑᲣᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲐᲨᲣᲠᲔ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲮᲐᲜᲘ ᲜᲔᲓᲘ ᲛᲐᲠᲗᲝᲓᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ ᲭᲐᲞᲐᲜᲡ, ᲛᲐᲠᲗᲝᲓᲛᲐᲠᲗᲝ ᲣᲛᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐᲡ, ᲘᲛ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲯᲔᲑᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲮᲔᲚᲗ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ—ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ, — ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲡᲮᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲛᲣᲡᲠᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲒᲝᲛᲐ ᲘᲛ ᲯᲔᲑᲘᲠᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲰᲧᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ). ᲛᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘᲡᲐ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲙᲐᲪᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲝ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲒᲔ ᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲐᲐᲒᲔᲗ. ᲮᲝᲓᲐ, ᲐᲡᲔ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ: — ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔ, ᲗᲣ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ, ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲗᲮᲐᲡ ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲔᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲜᲐ? — ᲘᲡ ᲙᲘ ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲘᲯᲓᲐ, ᲜᲘᲠᲨᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ; ᲓᲔᲓᲐᲡ ᲠᲐᲢᲝᲛᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲝᲓᲐ ᲭᲐᲚᲐᲠᲐ ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ? ᲒᲐᲜᲐ ᲛᲔ ᲙᲘ ᲨᲔᲕᲘᲪᲕᲐᲚᲔ ᲘᲝᲢᲘᲡᲝᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ? ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ ᲑᲐᲑᲣᲐᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ: ᲘᲛ ᲒᲐᲠᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲫᲘᲜᲐᲕᲡ, ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲐᲪᲐ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ — ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲝ. ᲛᲔᲠᲔ ᲜᲔᲓᲛᲐ �თᲥᲕᲐ:

— ᲐᲛ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲐᲘᲒᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓᲐᲪ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲤᲣᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲒᲔ. ᲨᲔᲜ ᲠᲐ, ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲛᲐ ᲛᲔ ᲛᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲝᲡ ᲐᲜ ᲛᲔ ᲕᲐᲬᲧᲔᲜᲘᲜᲝ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ, ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲝᲠᲘᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ?

— რას გულისხმობ? — მე ვუთხარი.

— თუკი შევთავაზებ, შენს ვალს გადავიხდი-მეთქი, გამრდის, რომ პირში ვეტყვი, ცხენების თუ არაფერი გესმის, ფულს რაღად ჩადიოდი-მეთქი. და თუ იმასაც ვეტყვი, რა ფულითაც ვაპირებ ამ ვალის გადახდას, სწორედაც დავამტკიცებ ამას, ხომ ასეა?

— და მაინც არ მესმის, შენთვის რა არის საწყენი, — ვუთხარი მე.

— ხომ შეიძლება გამომართვას, — მითხრა ნედმა.

დაბოლოს, ის დღეც დადგა. ევერბიმ შემომითვალა, მოდიო. მეც წავედი. მთელი ქალაქი გავიარე, ვიდრე გარეუბანში ერთ პატარა ქუჩაზე მდებარე სახლს არ მივადექი, რომელიც თოჯინების საცხოვრებელი გეგონებოდა. ბუნმა იმ ფულით იყიდა, ბაბუას რომ უბრუნებდა ორმოცდაათ ცენტობით ყოველ შაბათს. ევერბის მომვლელი ქალი ჰყავდა, თავად კი ლოგინში უნდა წოლილიყო, მაგრამ რადგანაც მე მელოდებოდა, სკამზე იჯდა ხალათმოსხმული. ჩვილს რომ დავყურებდი, აკვანთანაც მოვიდა და მხარზე ხელით დამეყრდნო.

— მოგწონს? — მკითხა მან. — არ მეტყვი, რას ფიქრობ?

არც არაფერს ვფიქრობდი. კიდევ ერთი ჩვილი იყო, უკვე ბუნივით გონჯი, თუმცა სანამ ისეთივე ტანბრგე შეიქნებოდა, ოცი წელი ლოდინი დაგვჭირდებოდა. ასეც ვუთხარი.

— რა დაარქვით იმას?

— იმას რა არის, — მითხრა მან, — ბიჭს. აბა თუ გამოიცნობ?

— მაინც რა? — მე ვკითხე.

— მისი სახელია ლუციუს პრისტ ჰოგანბეკი, — იყო პასუხი.

ივან კოტლიარევსკი

ე ნ ე ი დ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოემა. უკრაინულიდან

თარგმნა ამირან ასანიძემ

ამირან ასანიძემ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გაასრულა უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის, ახალი უკრაინული სალიტერატურო ენის ფუძემდებლის ივან კოტლიარევსკის (1789-1839), პოემის „ენეიდას" თარგმნა, რომლის პირველი და მეორე თავი წლების წინათ ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა.

პოემა დიდი რომაელი პოეტის, ვერგილიუსის ამავე სახელწოდების პოემის თარგაზეა აგებული, მაგრამ ორიგინალური უკრაინული ნაწარმოებია, სადაც ოლიმპიელი ღმერთები ზევსი, ნეპტუნი, პლუტონი, ბახუსი, ჰებე, ვენერა, იუნონა, აგრეთვე სიბილა თუ სხვები ზაპოროჟიელი კაზაკები და კაზაკი ქალები არიან, რომელთაც ავტორმა მშობლიური ხალხის ყველა ნიშან-თვისება მიაწერა და მათი მეშვეობით თავისიანების ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ავ-კარგი ასახა. ისინი ცხელ ოფლს ღვრიან და მერე თავდავიწყებით ღრეობენ, მარცხდებიან და იმარჯვებენ, ებრძვიან და უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი, მუსრავენ და ქმნიან.

პოემა საუცხოო ხალხური იუმორითაა გაჟღენთილი და ჩინებული პოეტური ოსტატობითაა შექმნილი, თარგმნილია მრავალ ენაზე, ქართულად პირველად ითარგმნა.

გთავაზობთ პოემის მესამე თავს.

ნაწილი მესამე

ფეხზე ძლივსა დგას ტროელთა გმირი,
საფრთხემ დაასვა საბრალოს დაღი,
წახდა ვაჟკაცი, — მოთქვამს და ტირის,
სულს ძლივს იბრუნებს მალიმალ რახით;
ვერ დაიოკა გული საგულეს,
დაჯაბნა შიშმა და სიძაბუნემ —
ზღვა დაგვლუპავსო კუპრივით შავი;
მჯილის ცემით და კვნესით მიცურავს,
იმედი სულ მთლად გადაიწურა —
არც ღმერთების სწამს და ალარც მამის.
მაგრამ მათ აფრებს უფრო და უფრო
მძლედ უბერავენ ზურგის ქარები,
და უტევს ფლოტი ტალღებს მოქუფრულს
თავგამეტებით და გამალებით;
ისე მიარწევს ზღვათა მორევი,
ნიჩბებსაც უშვეს ბოლოს ტორები
და ჩიბუხს მიჰყვეს ბიჭებმა ხელი;
მღერიან ვისაც რისი ხოში აქვს —
ნამდვილ კაზაკურს, ზაპოროჟიულს,
ხოლო ვინც იცის, რუსულსაც მღერის.

საგაიდაჩნის[1] უმლერენ, პეტროს,
ცხადია, სიჩსაც[2], მძლავრს და
ერთიანს,
პიკინირებში[3] გაწვეულ მხედრებს,
კაზაკი ბიჭის ღამით ხეტიალს,
პოლტავასთან რომ მოსრეს შვედები[4],
ეზო-კარიდან ლაშქრად დედები
ვით აცილებდნენ ომში პირმშოებს;
ბენდერთან როგორ ურტყამდნენ
მტერს[5] და
იმ შიმშილის ჟამს ბიჭებმა ვერსად
ხემსად ატრიაც რომ ვერ იშოვეს.

ყველაფერს ისე ვერ გაასრულებ,
როგორც სრულდება ხოლმე
ზღაპრები,
ვერ გაასრულა ეს ზღვა ტროელმა,
თუმცა უტევდა ზვირთს
გამძაფრებით;
ვერ იქნა, სივრცე ველარ გალია,
აებნათ გზები და სად არიან,
ღმერთმანი, ქვეყნად არავინ იცის:
რისთვის, რატომ და საით მიჰქრიან,
გულში რა უძევს, რა უფიქრია
და რას უმიზნებს ანქიზეს ბიჭი.

ამ ხეტიალში ზღვებიდან ზღვაში,
მიწას და ნაპირს დაედო ფასი,
და როცა ბოლოს გამოჩნდა იგი,
ტროელთა ტანჯვაც დასრულდა
მაშინ.
მალე მიადგნენ ხმელეთს სანუკვარს—
მას მიესია ხალხი ძალუმად,
ამოვიღოთო მუხლიდან ქარი;
ქარი კი არა, — სულს გეფიცებით, —
ეს გახლდათ თურმე კუმის[6] მიწები
და ბიჭებს უცებ გაუღეს კარი!

დედა ეტირა ვარამს და წუხილს,
ისევ აივსნენ ზღვა სიხარულით;
სულ რად უმართლოს ჩათლახს და
ულირსს,
კარგი რად დარჩეს ხელმოცარული!
რა დროს პრანჭვაა და თავპატიჟი —
უხმელეთობით ლამის დაგიჟდნენ —
საქმე გაჩარხე, თუ გული გერჩის:
ვინ უარყობამ გზაში გატანჯა,
ვინ ქალწულს დასდევს და ვინ
პატარძალს —
როგორმე ხილად მოიგდოს ხელში!

ხერხიანები და ყრჩალები
აქაც მოყვასს და თვისტომს ეძებენ,
ხრიკებში ისე გამოიჯაგნენ,
რომ აცდუნებენ თვითონ ბელზებელს;
თითქოს ამ ხალხთან იყვნენ აქამდეც,
დაუმოყვრდნენ და დაუმძახალდნენ,
და გაუტიეს!.. მეტი რა გინდა!..
გადაივიწყეს ზღვაც და ხიფათიც,
ვისაც როგორი აქვს მარიფათი,
ისეთს მიუჯდა ხელად მაგიდას.

ლხინის ანთია ირგვლივ ხანძარი,
მარაქაა თუ ისე ღრეობა,
მოაჯადოვეს ქვეყნის ქალ-რძალი,
არ აკლდებიან ქორწილს, ძეობას;
სადაც კი ჭიქას გააქვს ჭახანი,
იქ მიდის კვალიც სტუმართაგანის,
მიდი, ისარე სულო და გულო;
კაცებს უზომო არაყს ასმევენ,
მათი ცოლები მიჰყავთ მას მერე,
რომ იმათ ცალკე მიუჭახუნონ.

ვისაც გართობა მოეგუნება,
და ბანქოს გიჟად მოჰქონდა თავი,
შუალამემდე უტყაპუნებდა
„ნისკას“ და „პარის“, „კეპას“ და
„ლავის“.
იმან კი, ვისაც გააჩნდა გროში,
ფულზე თამაშით მოიკლა ხოში —
თხა ვინა თქვაო თხაზე ნაკლები;
არც „პამფილაზე“[7] ყოფილან
ხამად —
გადაჰყვნენ სასმელს, ქალებს და
თამაშს —
ვერვის ნახავდით
გულხელდაკრეფილს!

მხოლოდ ენეასს ქცეოდა შხამად
ქალიც და ბანქოც, სუფრაც და
ლხინიც,
სიზმრად ხედავდა პლუტონს და
მამას,
სულ ჯოჯოხეთით უდუღდა ტვინი;

შუაგულ სმაში დააგდო ყველა,
უჩუმრად ადგა, ეგების ველად
ვინმე ვნახოო, გვარი მოკეთის,
ხოლო მოყვასი თუ არ შემხვდება,
სადმე ავსული მაინც ეგდება —
მიმასწავლისო გზას ჯოჯოხეთის.

მიდის და მიდის... და კინკრიხოდან
ცხვირ-პირზე დასდის ოფლი
წურწურით,
ბოლოს, რაღაცას თვალი რომ ჰკიდა,
გალია კიდეც ტევრი ძუნძულით:
შეკრთა! — ეზლაპრა, რაც ტყის პირს
ნახა —
ქათმის ცალ ფეხზე ქოხივით რაღაც
შემომდგარიყო და ტრიალებდა;
თვალმოწკურული მივიდა ახლოს,
ფრთხილად გასძახა — „ემანდ ვინ
სახლობს?“ —
ეგებ მოდგესო ვინმე კარებთან.

დიდხანს ელოდა მასპინძელს გარეთ,
— გამომხედეო ერთი, ვინა ხარ, —
ბოლოს, ბრახუნი რომ აუტეხა,
ააყირავა ქოხი კინაღამ.
ამ დროს უკბილო და გადამღრძვალი,
თითქოს მიწიდან ამოძვრა ქალი;
ბანჯგვლიან მკერდზე,
სახედაღმეჯილს,
მარგულთა მწკრივი ესხა მძივებად,
ჩოფურა, კოჭლი, ეშმას ნაგლეჯი,
კაცს მარტო კუზით გააციებდა.

ჯერ დაებინდა ენეასს აზრი,
მერე კი ტანში დააზრიალა:
ეს ამოდენა შრომა და ღვაწლი
ჩამეყარაო წყალში მთლიანად.
სულ მოემჩვარა მთელი სხეული,
როს მიეახლა ეშმაკეული
და ბაგე გახსნა: „ვის ვხედავ ამას,
ჩემი ანქიზეს ღირსეულ ბოკვერს!..
ყოჩაღ შენ, ყოჩაღ, რომ მაინც
მოხველ
და ცხადლივ გხედავ მთელსა და
ლამაზს.

კარგია, კარგი ასე რომ მოხდა,
ბოლო მოელო ფიქრსა და ლოდინს,
იმ ხნიდან გიცდი ჩემს ბებერ ქოხთან,
ნაპირს მოადგა რაც შენი ფლოტი.
დიდი ხანია მაცნობეს [illegible]
სასწრაფოდ ხელის [illegible]
გინდა —
ამაზე ჩემთან იყო ანქიზეც“.
ტროელი ერთხანს იდგა ლობესთან,
მერე გაბედა, ჰკითხა შობელძალს,
ვინ ბრძანდებითო, ერთი გვაღირსეთ.

„ფებოსის[8] ტაძრის ვარ ფოფოდია,
ვიღა არ მიცნობს კუმელ სიბილას[9],
ქვეყნად ჩემი ხნის ქვაც აღარ გდია,
დრომ თმაზე თეთრად გადამირბინა;
ქალწულობაში მახსოვს შვედები,
ხოლო თათრები რომ
გვაფეთებდნენ,[10]
გვერდით ვედექი უკვე ქმრიანებს,
ვით მკიდა, მახსოვს, ყანებს კალია[11];
ხალხი მიწისძვრამ რომ გადარია,
რომ მახსენდება, სულ მაჟრიალებს.

რა გინდა, ქვეყნად რომ არ ვიცოდე,
ამ ქოხისა ვარ თუმცა ხიზანი,
ჭირში მარჯვენას გამოგიწოდებ,
ხალხს ვეხმარები
ვარსკვლავთმისანი,
ყბაყურას, ავზნეს, ციებ-ცხელებას
თუ შევულოცე, მყის ეშველება,
ვკურნავ გათვალულს, დუდკოსაც
ვშველი,
შელოცვა ვიცი, შენი ქებული, —
წამს მოვაბრუნო შეშინებული,
ამოვაძვრინო ხვრელითგან გველი.

ახლა ეგვტერში შევიდეთ ჩქარა —
სიბილას ცნებას მიჰყევ, გმირო შენ:
ნათელ ფებოსს რომ აღუთქვამ
ზვარაკს,
მას მერე ერთი მაგრად ილოცე.
თუ გსურს ფებოსმა შენი გაიგოს,
ოქრო უშურვლად უნდა გაიღო, —
ცოტა ჩემთვისაც გამოიმეტე;

რალაცას გეტყვი, რადგან მოხვედი,
ეგებ გასწავლო გზაც ჯოჯოხეთის,
სულ ნუ გადიწყვეტ, შვილო,
იმედებს".

ტროელი ეგვტერს შევიდა წმინდას,
მოჰყვა და მოჰყვა თაყვანს ძალუმად,
რომ მაღალ ფებოსს მტრედისფერ
ციდან
მოელო მასზე დიდი წყალობა.
ქალმა კი ბევრი არ დაახანა —
მყის აიჯაგრა თმები ჭალარა
და როკვას მოჰყვა ეშმას დასმული,
თვალნი აღაპყრო, აფრქვია დუჟი —
უსტვენს და ქშინავს — თითქოსდა
სულში
ჩაუსახლდაო ავსულს ავსული.

თავში იცემდა, ხტოდა, ჩხაოდა,
როკვით გალურჯდა, როგორც დაირა,
სხმარტალებდა და ძირს გორაობდა
ვით გოჭი ლაფში — ნაირ-ნაირად,
და სანამ ლოცვას მორჩა ენეას,
სიბილა იქცა მთლად მოჩვენებად —
სულ მიიბნიდა გვემით ვნებული,
ტანიდან ხვითქის დიოდა ღვარი
და ენეასიც, შიშისგან მკვდარი,
ქალს შეჰყურებდა გაოგნებული.

სიბილამ ცოტა რომ მოიხედა
და მოიწმინდა პირიდან დუჟი,
ფებოსის აზრი ამცნო ენეასს —
არ ყოფილაო ვედრება ფუჭი:
„იცი, ოლიმპომ რა დამაბარა?
ცოცხალნი შენ და შენი ამალა
რომს ვერ ჩახვალთო ვერას დიდებით,
სიკვდილის შემდეგ, მოგეცათ ლხენა,
გალიარებთ და გადიდებთ ყველა,
მაგრამ, მოიცა, ნუ დამშვიდდები.

ჯერ შენი საქმე კვლავ უკან წავა, —
უამრავ მწარეს ისევ იგემებ,
კიდევ შეხვდები ფათერაკს მრავალს,
ოთხშიაც ბევრჯერ ამოგილებენ...
ღრჯუ იუნონას შურს შენი
ღვაწლის, —
გამწარებს!.. მისი შხამი და ღვარძლი
შენს ბადიშებსაც დაგესლავს ნაღდად
და, დღეს ვაების თუმცა მონა ხარ,
მალე იღბალი მთელ შენს მონაგარს
ბედნიერებას დაუდგამს ტახტად".

აქ ჯერ ჩაქინდრა ტროელმა თავი,
სახეზე მიწის დაედო ფერი
და როცა მორჩა როკაპი ჯღავილს,
თავზე იტაცა ორივე ხელი:
„მე გუშინდელი ღლაპი არა ვარ,
რას დამჩხავიო გულშემზარავად! —
შესძახა და ქალს გახედა მტრულად,—
რაებს მიჰქარავ!.. მორჩი ეგეთებს!
ჯობს ავითესო ტაძრიდან სულაც,
აქ რა ეშმაკად შემოვეხეტე...

თუმცა რას იზამ, რაც არის არის —
აღსრულდეს, რაიც ღმერთებს
სწადიათ!
ანგელოზები არ ვართ ცისანი —
ერთ დღესაც უნდა მოვკვდეთ,
ცხადია,
ოღონდ, მისანო, ერთსა გთხოვ ამას,
ეგებ მოხუცი მაჩვენო მამა —
მოვნატრებივარ საცოდავს ძლიერ;
ერთი სული მაქვს, გვემა ცოდვილთა
ვიხილო, ჰოდა, შემწე ხო მინდა, —
ცაში ახედე ვარსკვლავთა იერს.

მე არც ბოლო ვარ და არც პირველი,
მოსალოცავად ვინც ქვესკნელს ჩადის,
ორფევსს, ხომ გახსოვს, წამპალს
საშინელს,
ვერ დააკარა პლუტონმა თათიც,
ან ჰერკულესის ფათერაკები! —
იქ რომ ჩავიდა და ეშმაკების
მიფანტ-მოფანტა კოპორტა მთელი!
დავიძრათ, დროა, ახლა მე და შენ,
ფეშქაშად გაძლევ ამ ორ ქვედანელს,
სხვა დროს სხვა იყოს, მოიტა ხელი!"

„ანქიზეს ბიჭო, რაებსა ბლანდავ,
ცეცხლთან თამაშობ? — ჰკითხა
ბებიამ, —
შენ ან ჯოჯოხეთს არ იცნობ, ანდა
წუთისოფელი მოგბეზრებია.
პლუტონის კარზე ჩვენი სტუმრობა

თუ მიგაჩნია მართლაც ხუმრობად,
გადაქცეულხარ ბრძენი ჩერჩეტად.
გადაგეშლება თუ არა თვალწინ
მისი სამეფო — მოგელის ბრანწი —
მყისვე შეგსანსლავს ბოლობეჭედა.

და თუ მაინც არ მოუკელ ჭუჭყუნს,
რომ საიქიოს მამა გაჩვენო,
ხელს არ გავანძრევ უხელისჭუჭყოდ,
უნდა მივიღო ჯერ გასამრჯელო.
მერე ვთქვათ, ქვესკნელს როგორ
ჩავიდეთ —
როგორ ვიხილოთ მკვიდრნი
შავეთის...
ჩვენში, ენეას, ცოდო რად ვზიდო,
მარტო ყეყეჩი არ ილებს ფარას,
ვინც ჭკვიანია და შნო აქვს კიდე,
მამა რო არის, მამასაც ჰპარავს.

ახლა კი კარგად დამიგდე ყური —
ისმინე ჩემი სიტყვები ტკბილი
და მერე, დავთრებს თუ არ აურევ,
ჯოჯოხეთისკენ გასწავლი ბილიკს:
ხომ ხარ ნაჩვევი ულრანში ყიალს,
გადალმა ერთი ასეთი ტყეა,
იმ ტყეში ხე დგას, თუმცა ტანწვრილი,
მაგრამ ოქროსფერს, რაღაც მაზალოს,
მუგუზალის დარს ისხამს მაჟალოს,
ირგვლივ ჩინჩხლებს ყრის
ტოტებაწვდილი.

ჰოდა, იმ ხიდან შენ ერთი ჟვერი[12]
უნდა მოგლიჯო, თუნდაც პატარა,
თორემ უმისოდ, ჩემი ხომ გჯერა,
ვერ წარუდგები, შვილო, სატანას.
ვერც პლუტონისგან გამობრუნდები
უიმშტოდ! — თავის შავი ხუნდებით
დაგაკაბალებს მყისვე წყეული.
გასწი და ძალა დაატა თვალებს, —
ჭყიტე და ჭყიტე ოთხივე მხარეს,
სად გაბრწყინდება ის ხე გრძნეული.

იმ მაჟალოს ტოტს მოგლეჯ თუ
არა, —
მაგრად დაიხშე წამსვე ყურები,
მოუსვი უკან მოუხედავად, —
არ შეანელო სრბოლა სრულებით,
როს მოგძახებენ ტყიდან ქაჯები:
„სად მიხვალ, ჩვენთან რატომ არ
რჩები?“ —
გაშპი, გაფრინდი, შვილო, იქედან;
ყურს ნუ ათხოვებ ავსულთა
ენავილს: —
წესს აგიგებენ, ცოცხალი თხვით
მათკენ ერთხელაც თუ მიიხედავ“.

მიწყდა თუ არა ხმა საესავი,
თვალთაგან გაქრა ეშმაკეული,
დარჩა ტროელი იაქესავით,
სულ თვალწინ უდგას ის ხე
გრძნეული...
მიდის და მიდის ბედის მორჩილი...
ბოლოს ლასლასით, ქშენით, ქოშინით
ძლივს შეერია ულრან-უსიერს;
ფორთხვით იმტვრია ჩირგვებში
კინჩხი,
კბენდა ასკილი, კაწრავდა კვრინჩხი,
თითქოს ცოდვებმა ახლა უწიეს.

ფიქრმა შეიპყრო ბურვილს მისული,
რატომ შემხვდაო ასე ტყის სული;
ხანაც ღრიალი უხეთქავს გულს და
ხანაც ყმუილი ვილაც ბინძურის.
დადგა, ილოცა ორიოდ წუთი,
ჩამოისალტა ყურებზე ქუდი
და მერე ისევ ულრანს გაუყვა;
ქანცგამოცლილი მიდის და მიდის,
და აჰა, თუმცა ეშვება ბინდი,
მაინც ვერ ხედავს იმ ხეს, სანუკვარს.

შიშმა დაჯაბნა ბიჭი, ეტყობა,
გადაქცეულა მარტო თვალებად,
მაგრამ იმიტომ, შორს რომ შეტოპა,
სულიც კოჭებში მიეპარება;
ჰოდა, უეცრად რაღაც ძლიერმა
იქვე მახლობლად რომ გაიელვა, —
იმ მაჟალოსთან მოვხვდიო, მგონი,
და უკვე ლამის ჭკუაზე შეცდა! —
მაშინვე ჟვერი ჩაბღუჯა ტორით,
როგორც კი გაჩნდა სასწაულ ხესთან!

აღარც აცია, აღარც აცხელა —
და ტოტი მთელი ძალით და ღონით
რომ ჩამოდღლიზა, იმ ხემ, საწყალმა,
კვნესა მოიღო სიმწრისგან, მგონი;

ნარ-ეკლის გლეჯით და კისრის
ტეხით, —
მიწაც შეინძრა, — რომ დაჰკრა ფეხი
და გამოკურცხლა უკან — იალა!..
დაბლოტნილს, ვგონებ, ქაჯმაც
უგანოს,
ეშმაკს დააფრთხობს მასზე
უგვანოს —
ბირკავებშია სულ ერთიანად.

ლამის დაახრჩო გზაში ქოშინმა,
ოფლის ჩამოსდის ცხვირ-პირზე
თქეში;
ტახტზე მიეგდო ლომი მაშინვე,
გაჩნდა თუ არა ბიჭებთან ხვნეშით;
ძლივს ამოღერღა: — რომ არ
ენანათ,
ხარი, თხა, ცხვარი გამოელალათ —
ვუძღვნათო მარტო პლუტონს კი
არა —
მთლად ჯოჯოხეთის
მთავარმართებლებს,
ცოდვილთა გვემას ცეცხლს რომ
მატებენ —
მსხვერპლს შევწირავთო თანაზიარად.

როგორც კი უკუნს ცრიატმა სძლია
დღისა და ღამის უკვდავ მიჯნაზე,
ნავლი დაედო მთიების იერს
და შეეპარა ზეცას რიჟრაჟი,
ტროელთა რაზმი მოცოცხლდა უცებ,
ატყდა ჩოჩქოლი და ფაციფუცი,
საქმე გაუჩნდათ მღვდლებს და
დიაკებს;
აჰა, მოლალეს კიდეც საკლავი,
წესს აუგებენ ტარიგს ახლავე,
ცეცხლიც ქვესკნელის ღმერთებს
მიაგეს.

ჰა, რქაში სტაცა მღვდელმა ხარს
ხელი,
ნიღრი უმარჯვა, შიგ შუბლში
თანაც,
თავი მოიგდო ლაჯებში მერე
და ფაშვში შესცა პირბასრი დანა;
რომ გამოფატრა და გამოწელა,
მწკრივში დააწყო შიგანი ხელად
და ჩხიბვას მოჰყვა — პასუხს
დაეძებს!..[13]

მერე თქვა: „ღმერთის ჩვენზე
წყალობა
და ენეასის ბედსვიანობა
ამოვიკითხე, ვით ვარსკვლავებზე“.

ბოლო არ უჩანს დიკთა დუდლუნს,
მაჭუტიც რომ ვერ მიაყურადებს...
რომ გაჰბლავიან ცხვრები და თხები,
სული რომ ხდებათ საწყალ
კურატებს,
ამ დროს სიბილა დაატყდათ თავზე,
დორბლითა ჰქონდა ლაშები სავსე —
მყისვე დასჩხავლა ხატის
მსახურებს:
„დახეთ ეშმაკთა საკბილო ღორებს,
აქედან გასწით, გაგვეცათ თორემ,
ყველას კინწისკვრით
გაგაპანღურებთ!

შენ კი, ენეას, ბრბოზე, ნახირზე,
უნდა ამაღლდე — გელის ანქიზე,
ეგ შენი ხროვა დააგდე მყის და
სმენაზე დადექ ჩემს დაძასილზე;
ჰე, ლომო, ჩვენი წასვლის დრო
დადგა —
მხარზე მოიგდე ის შენი აბგა
და აღავლინე ცისკენ ლოცვები;
შიგ ხმელა პური მაინც ჩაუშვი —
ვინ იცის, ეგებ მამას რა უჭირს —
შიმშილით ხომ არ დავიხოცებით;

კუჭის წვა თუა, იქ დათარეშობს! —
შენ თუ პურ-მარილს ელი, --
ნაკლებად! —
ფეხებსაც გაფშეკ სულთა მხარეში,
ფინჩხა პური რომ მოგენატრება.
შავეთს ბილიკი ტყვილად
გავკვალე? —
იქ ხშირადა ვარ, რა გაკანკალებს:
მე ვიცი მისი ხალხი ურჯული
და გზაწვრილები როგორც გველიან,
მისი ხვრელები და კუნჭულები
პირველად კი არ მომიხელია“.

ტროელი თითქოს ახლა მიუხვდა,
რას ქაქანებდა ასე არჯალი,
მყისვე მოირგო ჩექმა იუხტის,
შემოისალტა სარტყელ-ხვანჯარი,

სადღაც მონახა დიდი კომბალი,
რომ ნაგაზებმა ეს სვემომპალი
არ დაგლიჯონო გზაში ვაგლახად;
ხელი ხელს მისცეს, მხარს კიდევ —
მხარი,
ეშმაკეთისკენ დაიძრა ქალი
და ენეასიც ააჯაგლაგა...

ახლა კი მივხვდი, რომ ეს ოხერი,
კალმოსნობისთვის ცოდვამ მიწია,
რა გამეგება მე ჯოჯოხეთის,
ტყვილი ვთქვა? — აბა, სად
შემიძლია!
ჩემო მკითხველო, შენ გთხოვ ისევე,
როგორმე გაძელ და მომიტევე,
ასეთი შავი დღე რომ დამადგა;
კბილი კვლავ ძველებს უნდა
დავასო, —
საიქიოზე მეც მეგბაასონ,
თუ რამ სმენიათ მამა-პაპათგან.

ღმერთმა აცხონოს ვერგილიუსი,
ჭკვიანი კაცი იყო ძალიან,
მაგრამ, სხვაგვარად ნუ გაგვიგებს
და,
გარდაიცვალა კაი ხანია —
ჯოჯოხეთს ეშხით აღწერს სულმნათი,
მაგრამ დღეს სხვაა მისი სურათი
და ვინძლო ველარ იცნოთ
სრულებით;
ზოგი რამ თვითონ შევაფერადე,
ვაკელ, ვამატე და ჰა, თქვენამდე
მომაქვს ნათქვამი ხანდაზმულების.

ჰოდა, ჩვენს მგზავრებს მივხედოთ
ბარემ...
ჩანჩალს არჩიეს ნაბიჯი ჩქარი,
თვალს აცეცებენ ოთხივე მხარეს,
ეგებ ქვესკნელის დალანდონ კარი;
წინ აღემართათ პიტალო შავი:
იმ კლდის მღვიმეში რომ დურთეს
თავი,
გულში წამოცდა ტროელს „ავაჰმე!“
და როკაპს მიჰყვა კომბლის
ცეცებით —
ქვაბშიო ისე გზას ვერ გავაგნებთ,
ნაღდად რასმეო წამოვედებით.

აქ, ჯოჯოხეთის პირველ ქუჩაზე
მომწყვლელი სუნი იდგა სიმყრალის,
ხრჩოლავდა კვამლი სულშემხუთავი,
დღე მიმწუხრივით იყო მიმქრალი.
ვინც მიესალმა განგებულ ნებით
მათ სულ პირველად [illegible] ბებ
დები —
თვლემა და მისი დაი — მთქნარება;
კრძალვით დაუკრეს თავი ანაზდად
მამაც ენეასს და მის თანამგზავრს,
ჯოჯოხეთში რომ მიეჩქარებათ.

შემდეგ კი, როგორც წესდებით
ჯერ არს,
წინ გაეჯგიმათ სიკვდილი ცელით,
და საპატიო ყარაულისკენ
ანიშნა მიმსვლელთ — თაბუნი
გელით!
მართლაც, დალანდეს ორ მწკრივად
მდგარი
შიმშილი, რბევა, წითელი ქარი,
ჟამი, ქოთაო, ციებ-ცხელება;
ყოველგვარ ჭირთა ეშხი და პენი:
სიცივე, ომი, ქოლერა, ქეცი —
მუსრს რომ ავლებენ ქვეყნიერებას.

ამ ხროვას წესით ენაცვლებიან
სულ ქვაწვია და გულღრძო
მგზავრები:
ავი ცოლები, დედინაცვლები,
მამინაცვლები და სიმამრები.
სიდედრებსა და ქვისლებს მისდევენ
მაზლისცოლები და ცოლისძმები,
ბუზი აქლემად რომ ეჩვენებათ;
ამათ კი — ანჩხლი რძლები, მულები,
თავს რომ წაჰგვარეს კდემა
სრულებით,
ხალხს კი — სიმშვიდე და მოსვენება.

მერე სხვა დასი დალანდა მზერამ,
ქალალდებს ლეჭდა მათი აჩრდილი,
ხელში სამელნე ეჭირა ყველას,
ბატის ფრთა ჰქონდათ ყურთან
გაჩრილი: —
უნიჭო ვექილს, ასისთავს, ნაცვალს,—
წურბელებს, სისხლი რომ უნდა ასვათ,
ცვლიდნენ მდივნები, რწმუნებულები;

მოსამართლეებს, მწერლებს,
მოხელეთ —
პოლიციელთა შეფი, ოხერი, —
ვერ გაძღებოდით მათი ყურებით.

მათ მოჰყვებოდნენ მუზმუზელები,
ვითომდა დიდი ღვთისმოსავები,
ჩუმპოზე ეწყოთ ლოხი ხელები,
ძირს ჩაექინდრათ ქლესა თავები;
მარხვა სამი დღე ჰქონდათ კვირაში,
ბევრს ლოცულობდნენ უფლის
წინაშე;
ბოღმას ქარასტას მძივზე
მარცვლავდნენ,
გულში სჩვეოდათ დედის გინება,
ღამით, ქალთან თუ სირჩის დაცლაზე,
გენახათ მათი გულმოდგინება.

იმათ პირდაპირ, ერთ დიდ
კვარტალში,
მაწანწალების იდგა ლაშქარი,
ვინ აღარ იყო მათ მარაქაში:
კახპა, მუსუსი, ლოთი, აშარი;
როსკიპებისთვის დალალ-კულული
შემოეჭრათ და თავჩაღუნულნი
ქუჩაში იდგნენ დედიშობილა;
იქ, კოკობზიკას რომ ეძახიან, —
მხარს უმშვენებდა მარჯვე ლაქია —
სიკვდილმა მასთან დააძმობილა.

აი, წარმტაცი ლამაზმანებიც,
ამათ ბეხრეკი ქმრები გაწირეს —
ცოლად კი გაჰყვნენ, მაგრამ მალიმალ
ვნებას უცხრობდნენ ხოლმე
ყმაწვილებს;
შეხედეთ ერთი: ა, ეს მამრები,
გასამრავლებლად შთამომავლების
ენაცვლებოდნენ ქმრებს, უვარგისებს;
ჩვილთა ხმა გესმით? — ქვაბს რომ
ედება —
საშოშივე რომ მოსრეს დედებმა
და ქვეყნის ხილვა აღარ აღირსეს.

ენეასს, ბევრი ჭირის გადამტანს,
წრთობა ბოლომდე მაინც არ ეყო —
ცახცახ-ძაგძაგით ლამის გათავდა,
თითქოს უბელო ცხენზე მჯდარიყოს;
ისევ სიბილა!.. ღმერთმა დალოცა, —
იმის ქვედაწელს, შავი ჯვალოსას
ებდღვნა და ისე აეკრა ლომი,
გაოგნებული ურჯულოთა ნახვით —
ბელელში, ხვრელს რომ ეცემა ხოლმე,
დაფეთებული ფისოსგანა თაგვი...

მიტომაც ითრევს წელს, ვით ოჩანი,
მაგრამ როკაპი, გასაოცარი,
ძირს ვგონებ ფეხსაც არ ადგმევინებს
ჩვენს დევგმირს, — მიჰქრის,
როგორც ფრთოსანი.
კარგა მაგრად რომ გასდინდათ ქაფი,
მდინარე სტიქსის მიადგნენ ნაპირს,
სადაც სულების ხროვა ეყარა;
ამოიცნობდით მათ სურვილს მყისვე:
თავსაც დასთმობდნენ, ღვთისნიერს
ვისმე
გალმა ნაპირზე რომ გაეყვანა.

მზით გარუჯული მოჰქრის მენავეც,
ღრჯუ, წარბშეკრული და უგუნებო,
სახეზე აძევს ბოშის იერი,
ზანგივით ტუჩებგადმობრუნებულს;
შუბლქვეშ უხტიან მაგიურ ძალით
არაჟნისფერი გუგები თვალის;
მკერდს თექასავით მოუჩანს წვერი,
თმა გაუფოფრავს თავზე ტრიქომას,
დუჟისგანა აქვს ლაშები სველი,
შიშის ზარსა სცემს მნახველს
მიტომაც.

ფალას-ფულასი, ჯერ არ ხილული,
ჩამობრძანდვია მხრებზე კვართივით,
მიმონასკვული და დაცხრილული
ტანთ რომ მიუკრავს რალაც
ხლართებით.
და ამ ძველმანზე, სისქეზე თითის,
გადასიპულა ტურტლი და ზინთი...
სველი, ძონძივით შარვლის ტოტები,
თეძოს და წვივებს ძლივს უფარავენ,
ფეხსახვევები გამოუჩურთავთ
ძირგამოგლეჯილ, დამპალ ქალამნებს.

ქამრის სანაცვლოდ არტყია ხრალი
და შეუმკია ეს ხრალი ქისით:
წეკო, ჩიბუხი, აბედი, ტალი,
ზედ კვესიც, — აი, სიმდიდრე მისი,
ქარონი[14] ჰქვია მეურვეს ნავის,

მართლა ღმერთკაცად რომ მოაქვს
თავი, —
კაკვიან ნიჩაბს უსვამს ჯიქურად,
ნახშირისფერი წყლით გალუმპული,
სტიქსზე მოშხუის ქეიბურივით,
თითქოსდა ნავიც იყოს ბუმბულის.

დიდბაზრობისას დახლებს, ყაფაზებს
ჯერ რომ აავსებს ხალხი უშქარი,
მერე იქიდან რომ მიაწყდება,
ცოცხალს ერთბაშად თევზის
მუშტარი,
ისე სტიქსის პირს, ჩხავილთან ერთად,
იდგა გნიასი, მჯიღის კვრა,
ჯგლეთა, —
თითქოს იძრაო სულთა ქვეყანა;
ენაცვლებოდა მუჯლუგუნს ქიშტი —
ყველა ცდილობდა დაესწრო
სხვისთვის,
რომ ქარონს ჯერ ის გადაეყვანა;

დურდო რომ ბურახს ააჭანჭყარებს,
მზეში მუმლის რომ ზრიალებს
გუნდი,
რომ აიჭრება მწნილი ჭარხლისა, —
ამდაგვარს უმზერს შენავე უნდილთ:
დალანდავენ და იწყებენ ღნავილს —
წაგვიყვანეო, ქარონო, ნავით,
ნულარ წახვალო უჩვენოდ ნურსად,
ხელგამოწვდილნი მოწყალედ
გელით!..
შენც არ მომიკვდე — მწვირიან
ყურსაც
არ იბარტყუნებს მუტრუკი ძველი.

ერთს რომ მოიქნევს ნიჩაბს კეტივით,
ვისაც მოადებს — კარგავს გონებას,
რათა ეგრევე დედა უტიროს,
სიფათზე ვინც არ მოეწონება.
როცა ხუშტური მოუვლის, მაშინ
ჩააკინკილებს ერთ-ორ კაცს ნავში,
დანარჩენს ზედაც აღარ უყურებს.
სულებს ექცევა მართლაც
მხეცურად —
სტიქსის სილრმეში როცა შეცურავს,
კარგად მეყოლეთ თუნდ საუკუნედ...

მგზავრებმა ჯლიქვით რომ გაინიეს,
მისადგომისკენ ნავმისაბმელის,
წინ არ შემოხვდა ენეასს, კაცო,
პალინურუსი, შტურმანი ძველი?!
შეჰბღავლა იმან: „ჩვენ მენავის
ვერ მოიგოო გულიანვერაგნ,
ნავში ჩასხდომის არ გვრთავს
ნებასო!..
სიბილამ მყისვე გათიშა ძმები;
ტროელს დასჭყივლა: „— ციდევ
ვერ ხვდები,
შე, მამაძაღლო, ვის სად ებაზრო?!."

და კუდიანმა, ჯერაც არიფი
იქით გაქაჩა მაჯით ძლიერით,
სადაც ბორგავდა და მძვინვარებდა
ეს ზინტლიანი ქასქანჯიელი;
როგორც სჩვევიათ ჩვენში, დუქანთან,
ქარონი ყეფდა ისე უხამსად, —
შლეგი, ცალტვინა — სალოსი სრული;
სულებს სულ კარგის სული
უკურთხა —
სხვა დროს ამდაგვარ ზმებს და
ჩუქურთმებს
ვერ მოითმენდა ვერც ჩიტის გული!

უცხო მგზავრები როცა დალანდა,
მენავეს ლოპრის დასდინდა ღვარი,
მთლად აეშალა ტანზე ბალანი,
აბღავლდა როგორც დაჭრილი ხარი:
„ჰუ, დამიხედეთ ოხერ-ტიალებს —
სად ჯანდაბიდან მოხეტიალდნენ?! —
ხომ გამაცოფეს მკვდარმა სულებმა,
ცოცხლებს გასწავლით, როგორ
იანგლოთ.
ისე დაგუეყოთ, თავგასულებმა
საკუთარ ჭერხოს ველარ მიაგნოთ.

მომწყდით, არ გნახოთ ჩემმა
თვალებმა,
თორემ ხომ ხედავთ ამ ხოფს,
დალოცვილს, —
თავ-პირს გაგიხდით
ნიორწყალივით, —
ველარ აგაწყობთ ვერც ტარტაროზი!
წუთისოფლიდან ასე ცოცხლები

როგორ ბედავთ და აქეთ მოძვრებით!
მე აქ ჩემს მკვდრებსაც ვერ
ავუდივარ,
თავზე დამასხდნენ ძალლიშვილები,
სალ-სალამათნი ვის რად უნდიხართ,
უჰ რას გავძღები თქვენი გინებით!"

ალარ უჩანდა მის ღავღავს ბოლო...
ენეასს შიშით ეტირა ყოფა —
უფრო მიეკრა სიბილას, ხოლო
როკაპმა თავი დაუკრა ქოფაკს:
„რა დაგემართა, ასე რად ცხარობ,
რას გვემართლები, ბატონო ქარონ,
კი ნუ დაგვთათხავ, — იყუჩე,
წყნარად,
სულ არ ვაპირებ ყასიდად ღიჭინს,
ველარ მიცანი სიბილა, განა?..
ჯერ ხომ არ იცი, რაოდენ გვიჭირს.

არა გრცხვენიან? რას სჩადი ამას,
თავს რად იმდაბლებ ყველა
ოხერთან,
ა, ოქროს ყველი, — უჩვენა მამაცს,—
პლუტონისათვის მიგვაქვს, ხომ
ხედავ!"..
და შემდეგ წვრილად ჩამოუკაკლა,
სად მიუძღოდა ენეასს ახლა —
საიდან, რისთვის, რატომ და ვისთან...
შეცბა მენავე, ალივსო ნდობით,
სულ რალაც ოთხჯერ მოუსვა ხოფი
და ნავის ცხვირით მისულებს
მისწვდა.

ჰოდა, მგზავრებიც მყის
დაფაცურდნენ,
და კისრისტეხით ნავს მიაშურეს, —
ჯოჯოხეთისკენ უნდა გაცურონ,
მღვრიე ტალღები მიატლაშუნებთ;
დარანებისკენ უტევდა წყალი,
შეკრთა ენეას, წამოხტა ქალიც...
შიშნაყლაპებმა ესლა იაზრეს —
სვე-ბედი ისევ ქარონს მიანდონ, —
უკან მოხედვაც კი ვერ მოასწრეს,
რომ ნავი გალმა ნაპირს მიაგდო.

ორივ გადმოსხა და გასამრჯელოდ
დასჯერდა მხოლოდ კაპიკნახევარს,
ჯოჯოხეთისკენ გზაც მიასწავლა —
რას მიქვიაო უკანდახევა;
ისევ ჩასჭიდეს ერთმანეთს ხელი,
კარგა მანძილზეც გალეს ველი,
როცა უეცრად შამბში დალანდეს
ძალლი მგლისფერი, სამთავიანი[15] —
ენეასს რალა გადამალავდა —
იწყო ნაგაზმა ღრენა-ღრიალი,

და როს დუნდულის გამოსადღლეზად
აალაპლაპა კბილიც, ენებიც,
ღრიალი მორთო ჩვენმა
დევგმირმა —
ლამის გაიჭრას უკან ჭენებით;
ამ დროს სიბილამ სამტროდ ატეხილ
ქოფაკს დაუძრო პურის ნატეხი,
და გავეშებულს, მათ რომ ელტვოდა,
გული მოულბო წრუპუნ-ალერსით,
ბლეზი საკბილოს გამოენთო და
დაუსხლტნენ მყეფარს,
ღოჯებალესილს.

ჩაყამებული შეხვდა მისულებს,
შავეთის ბჭეთა შემოგარენი,
ცაზე არ ჩანდა, დანისლულიყო
მთვარის ბაკმიც და ხომლის არილიც;
ჩალუსკუმებულ ჯანღიანიდან
ვილაც ღნაოდა და ღრიალებდა,
იქ მოეყარა თითქოსდა თავი
ყველა ვაებას, რაც კი არსებობს...
დიახ, თვალნათლივ ნახა ორთავემ,
რა ცოდვის ლულიც იდგა გარშემო.

ისიც იხილეს, — ჰოი, ღმერთებო! —
ფისი, გოგირდი, კუპრი და ნავთი
ვეებერთელა კოცონშენთებულ
შავ-შავ ქვაბებში რომ დულდა
ზავთით;
მტრისას და, თურმე ცოდვიანები
შიგ ჩაესხათ და ალრიალებდნენ
შესაფერისად დამსახურების!
გზას რომ დაუყვნენ სულ
, დაბლა-დაბლა,
კალმით ვერ ალწერ, ვერ იტყვი
ზღაპრად,
რაც იქ დალანდეს სასწაულები!

აქ რომ პირუტყვად მიაჩნდათ ხალხი,
გლეხკაცს რომ მუდამ შავ დღეს
აყრიდნენ,
პანებს იქ მიტომ ბუგავდნენ ალხით,
კოცონზე წვავდნენ
შამფურგაყრილებს;
ჯერ უნდა ქყანტში აჭრილი ლელით
და შეშის თრევით ეწყვიტათ წელი,
მერე დაენთოთ ეს კოცონები;
ვინც ჩამუხლავდა, — ეშმაკი
დაღლილს
ერეკებოდა ფოლადის სახრით —
ზურგს უჭრელებდა სისხლის
ზოლებით!

ძვალ-რბილს იგლეჯდნენ ტანზე
კბილებით
ბურგომისტრები და რატმანები;
ქლესა მსახურებს, ცეხმისტრებს,
პანებს
აწყევლინებდნენ ბედ-ილბალს
მწარედ...
სხვაც ბევრი გახლდათ მსგავსი
ამათთან:
წუწკი მწერლები, მოსამართლენი, —
კაცს ფულთან ერთად სულს რომ
ართმევდნენ
და მრუდედ სჭრიდნენ მაინც
სამართალს.

მხრებზე, მუცელზე ცხელი შოლტებით
ცხრაპირ ტყავს გლეჯდნენ სულ
წყება-წყებად,
ვინც თავის თავზე აღმართა ხელი,
სიკვდილში პოვა თითქოსდა შვება:
ფერდდაჩხვლეტილებს წვერბასრი
დანით
თუთქავდა კუპრის ქაფქაფა ღვარი;
მეტი რა იყო ეშმას ხელობა:
თავშესაქცევად მოეგდოთ ქაჯებს —
ქვასანაყებით უმსხვრევდნენ მაჯებს,
რომ არ ცდილიყვნენ კვლავ
თვითმკვლელობას.

ა, სიბრძნით სავსე ვიროსოფოსი,
რომ დაჰყურებდა ყველას მაღლიდან;
ბერი, ხუცესი და დეკანოზი,
მრევლს რომ თვალებში ნაცარს
აყრიდა;
რას იკისრებდა, ხომ ყველამ უწყის,
ფოფოდიების თუ ხელის ჭუჭყის
სუნს რომ იკრავდა ხარბი მოძღვარი...
ხოლო ვინც ციდან წყვეტდა
ვარსკვლავებს,
მრუშ ქსენძთან ერთად ჯერ ხომ
ქასრავდნენ,
ხრუკავდნენ, წვავდნენ მერე
დოჩხარით.

იქ ცრუპენტელებს აიძულებდნენ
ენით ელოკათ ტაფები ცხელი,
ადნობდნენ ვერცხლს და ქვაწვია
მდიდრებს
პირში ასხამდნენ ნაცადი ხელით.
უცოლოები — მიწყივ დრანჯები,
თავს რომ იქცევდნენ კახპა-
ხარჭებით, —
სარზე ეკიდნენ იმ ნაწილებით,
რითაც იცხრობდნენ ვნების სტიქიონს,
რომლითაც ურცხვად სცოდავდნენ
ხოლმე,
თანაც ეკიდათ ზედ საიქიო.

შეხეთ დოყლო ქმრებს, ამათ ტუტუცი
ცოლები ველარ დაიმორჩილეს —
შუალამემდე დახუნტრუცობდნენ,
არ აკლდებოდნენ მდადედ
ქორწილებს;
თვალი რჩებოდათ ტალიკ ბიჭებზე
და მერე კაი ჩიტსაც იჭერდნენ...
მიტომაც იყო, მათ ქმრებს
თვალებზე
ჩამოფლაშოდათ ჩაჩი რქიანი,
გოგირდიანი მდულრავდათ ქვაბი —
მღვიმეს ზარავდა მათი ღრიალი.

მამასახლისებს და მათ დამქაშებს
სჯიდნენ და სჯიდნენ შეუბრალებლივ;

ნავთიან ქვაბში იხარშებოდნენ
ნაზულუქევი ერთ დროს მამები,
ვაჟებს რომ ზრდიდნენ
გავირებულებს,

გუნდუკის კმევით და დაამებით.
ხოლო რაც მოსდევს აღზრდას
ზადიანს,
ეს ხომ ყველასთვის ცხადზე ცხადია—
შვილები იქცნენ მუქთახორებად,
და მერე იმას ცდილობდნენ მხოლოდ,
მშობლისთვის მალე მოეღოთ
ბოლო —
რათა ხელთ ეგდოთ მათი ქონება.

აი, ავხორცი, ამოჩემებულ
ქალიშვილს ხეირს რომ არ აყრიდა,
უმთვარო ღამით, პნკალს აყოლილი,
გადუძვრებოდა თურმე სარკმლიდან,
არ ანებებდა ეულად წოლას:
ეწმახნებოდა — გირთავო ცოლად
და იქამდეო, გვრიტო, რა გაძლებს...
ამდაგვარ ღლაბუცს როგორც
უძლებდნენ,
ეს ჯვრისწერისას სავსე მუცლებზე
თვალნათლივ აჩნდათ იმ ჩჯენს
პატარძლებს.

შეხეთ, ვაჭარი, მოკლე არშინით
ვინაც ადებდა ფართალს მაზანდას—
სარფა დამრჩესო, თუნდაც ნარჩენი
არ ეთმობოდა სისხლის ფასადაც;
გაქნილ მიკიტნის, ღლეტას ნაჩვევი
მევახშეების, კვაჭი ჩარჩების
გვერდით თუთქავდნენ, მსუნაგ
დახლიდარს;
ვინც ძველმანებით მოითბო ხელი,
ან კიდევ თაფლის სასმელით
ცხელით —
არავის შერჩა, რაც ითაღლითა.

ბედს შესჩიოდა ლოთს მაჭანკალი,
ულირს ფეიქარს — ცუდი ნალბანდი,
ძმად შეკრულიყო მაწანწალასთან
ყველა ურჯულო და ყალთაბანდი:
ჰაიდამაკი, ქურდი, გრძნეული
თუ ბეითალი, ფულს მიჩვეული,
ყასაბი, ქოქი რომ გაწყდა მისი...
ჭონსა თუ ხარაზს, თერძს თუ
მენაბდეს —
ამქრებიანად — ყველას ყელამდე
მოსული ჰქონდა მდულარე ფისი.

გაუთლელი და დიდგვაროვანი,
ურწმუნონი და ქრისტიანები,
ახალგაზრდა თუ უკვე მხცოვანი,
შლიახტიჩები თუ მეშჩანები;
გლეხი — ხაზინის, პანისეული,
საღფეხაცა და ფეხმონგრეულიც,
სამოქალაქოც, სამხედროც ძველი,
უპოვარიც და განძით ქებულიც —
ყველა აქ გახლდათ, ერიც და ბერიც,
თვალხილულიც და
თვალდავსებულიც.

სიცრუით წელში ვინ გამართულა? —
სიმართლის არ თქმა ცოდو-
ბრალია —
შერეკილ მგოსნებს ამდენ ხალტურას
ვინ შეარჩენდა?! — ხომ მართალია!—
ტყვე თათრებივით ხელ-ფეხ
გაკრულებს,
გვემა ელოდათ რაღაც ზღაპრული!..
დიახ, ასეა, მიეთ-მოეთი
ლექსის წერისას საქმეს არ შველის,
თორემ, მერწმუნე, ძმაო პოეტო,
არც შენ აგცდება ეს სატანჯველი...

იქვე, სულ ახლოს ძუძუს გოჭივით
თაფლში ბრანავდნენ ვილაც
პამპულას[18],
წვერწამახული, მსხვილი ანწუხი
სიგრძივ გაერჭოთ მისთვის
შამფურად;
რა ვუთხრა იმის შნოს და მარიფათს,
სული რომ ასე გაილარიბა:
მოძმის ლექსების ბეჭდვით ნებავდა
ხელის მოთბობა ბილწს და გარეწარს,
გადაივიწყა მერვე მცნება და
სხვის ნალვაწს მიჰყო ხელი სარეწად.

ფერმა გადაჰკრა ტროელთა არწივს,
იმ ადგილს გასცდა ფეხაჩქარებით,
და მოშორებით მოგზაურს თვალწინ
გადაეშალა გვემა ქალების;
ღმერთმა აშოროს ყველა ჩვენიანს,
როგორიც ენთო იქ გეენია;
ვარვარა ორთქლში ჰყრიდნენ
აჯამებს,

შეგძრავდათ მათი წივილ-კივილი,
ასე იტყოდით, წანდილნაჭამებს
თუ ჰკლავთო მუცლის გვრემა-
ტკივილი.

ქალწული, ქალი თუ პატარძალი —
ყველა წყევლიდა თავის გაჩენას,
ჯილაგს, სამზეოს, ცუნდრუკს,
სერობებს,
იმ ღმერთს, ისინი რომ შეაჩვენა;
იმიტომ ადგათ მდედრებს შავი დღე,
სიბრძნით სავსენი თავს რომ
გავიდნენ —
ქმრების კისრები ტახტად რომ
სურდათ...
გამეხებული ცოლის ბრძანება
ვაგლახ, რომ სულ არ გვეპრიანება,
მაგრამ რას იზამ — აღსრულდეს
უნდა.

დახეთ, ლოცვანის დამზუთხველებიც,
უღმერთოები, ღმერთს რომ
ფიცავდნენ,
განუწყვეტლივ რომ პირჯვარს
იწერდნენ,
თავს რომ ხუთასჯერ ხრიდნენ
მიწამდე.
— აჰა! — იტყოდა მათი მხილველი,—
ღვთისმოსავები გასაკვირველი,
მაგრამ მარტო რომ რჩებოდნენ
ბნელში,
წიგნს მოისროდნენ და აღტკინებით
როკავდნენ, რბოდნენ ამძუვნებულნი,
ცოდვებში უკვე ჭიპდაჭრილები.

აი, მაზალოდ ჩაცმას ჩვეული,
როსკიპი, კახპა — სულ დარჩეული,—
ეს კოხტაპრუწა ქალბატონები,
რომ ბაზაზობდნენ ხორცით,
სხეულით;
ამ ღორმუცელებს მარხვის შენახვაც
რომ არ შეეძლოთ, უნდა გენახათ,
რა კუპრის ქვაბიც ედგათ სასწორად;
თავს აწონებდნენ ხალხს ტუჩ-
კბილებით
და მერე კუდებაბზეკილები
ათამაშებდნენ ეშხით სასკორავს.

ჰა, პატარძალთა ტანჯვა-წამებაც,
გულს მოგიკლავდა მათი დანახვა —
ქერა, შავტუხა ლამაზმანები
უნდა ეხარშათ წესის თანახმად;
ქმრებად ირჩიეს ხალხი ხნიერი,
ბოლოს ზირნიხით — ცხამით,
ძლიერით
სამარადჟამოდ განაწყვეს ძილად,
მერე გიყვარდეთ! — დაძღნენ
სავსებით
სიამითა და ყმაწვილკაცებით
და შავეთს პოვეს მიტომაც ბინა.

ეს კაროჟნები რაღას წივიან,
თავზე კულულებდაზვინულები? —
ჩათლახობდნენო?!. ხალხის თვალში
რომ
უბიწოები ჩანდნენ სრულებით? —
დიახაც, დღისით ხელს თუ ახლებდით,
მხოლოდ ჩაგმანულ, ბნელ-ბნელ
სახლებში,
ღმერთმაც იმიტომ აღარ დაზოგა:
ფისით მოთხვრილი ჰქონდათ
ღაწვები,
რომ თვალთმაქცობას ეგზომ
ნაჩვევნი,
ველარ ცდილიყვნენ თითლიბაზობას.

მუდამ სურინჯით ითხვრიდნენ
ლოყებს,
ხოლო შუბლს და ცხვირს —
ფერ-უმარილით!
კაცის მიზიდვის საღებავს, ოხერს,
ჰქონია თურმე ძალა ფარული;
თალგამის ედგათ წინა კბილები
და ცხიმით ტუჩებგათხიპნილები,
მანჭვა-გრეხით რომ დააბიჯებდნენ,
მამრთან რომ თავი ყინჩად ეჭირათ,
უბეს ივსებდნენ თურმე ჭინჭებით,
რომ ძუძუ-მკერდი წარმოეჩინათ.

გავარვარებულ თუჯის ტაფებში
ის დედაბრები იყვნენ ჩაყრილნი,
სუყველაფერში ცხვირს რომ
ტენიდნენ,
იღრინებოდნენ თანაც ძაღლივით,
სულ ძველი ხალხი ჰყავდათ
საქებრად,

ახლებს ბლიკვის კვრით
აქიაქებდნენ:
ალარ ახსოვდათ ყმაწვილქალობა,
ისე იფხანდნენ ენას ბოროტად, —
კაცებში როგორ დაგელაობდნენ,
რომ ერთი ბავშვი მაინც
ჰყოლოდათ.

იქ გრძნეულებთან ერთად
ბორბლავდნენ
მისნებს და ბებრებს, ღმერთმა
დასწყევლოს!..
და იმათ ძარღვებს მრგვალ-
მრგვალ მორგვებად
მიტომ ახვევდნენ უსანასრელოდ,
რომ ჩხიბვის მერე ბუხრის პირიდან
ფრენად ილტვოდნენ ცისკენ
ჯირითად;
ავი სულებით რომ მიმოქრიდნენ,
გულს რომ გვიხეთქდნენ ღამით
არჯლები,
რწყილი როა და ტყავს რომ
აძრობდნენ,
რომ მკითხაობდნენ ცერცვის
მარცვლებით,

რას უშვრებოდნენ ცბიერ
მაჭანკლებს,
როგორ გადმოგცეთ, ვერ აღწერს
უნა;
ქალიშვილები ისე დაჩანგლეს,
ულვთოდ წავიდა ხელიდან ყველა;
საბრალო კაცებს ცოლი წაჰგვარეს
მუსუსებისთვის!.. ასე, ამგვარად
დაარქიანეს ქმარიც, ხიზანიც;
ტანჯვას მიტომაც ვერ გადაურჩნენ,
ხელთ მოგდებული სხვათა საუნჯე
დრანჯს რომ ჩაუგდეს ხელში
იჯარით.

ორსავე თვალით ნახა ტროელმა
მდედრებს ვით სჯიდნენ, რა
უმკაცრესად! —
ქოსმენების ქონს თუ ყრიან ხოლმე
ქვაბებში ასე, ცხიმის საწრეტად.
ყველა აქ იყო: პანის ასულიც,
გასათხოვარიც და მონაზონიც,

ქალბატონიც და ისე დიაციც, —
მოთრეულები ძალისძალათი:
ზოგს სვიტა ეცვა, ზოგს კიდე —
კაბა,
ზოგსაც ზარბაბის ეცვა ხალათი.

ძველებსა სჯიდნენ განგების ნებით,
რას უშვრებოდნენ ახლა დანარჩენს?
დიახ, ბანაკი ახალი მკვდრების
აქაც ელოდა თავის განაჩენს;
აუარება იყვნენ ახლები,
მათთვის სასჯელი არანაკლები
უკვე მზად ჰქონდათ მსაჯულ-
ნაფიცებს;
ისევ ეცვალა ენეასს ფერი,
ისევ ჩაბღუჯა სიბილას ხელი
და ამ ქვაბის ზღურბლს გადააბიჯეს.

სულთა ამხელა არვეს დანახვამ
ვაჟკაცი თუმცა ააკანკალა,
მაგრამ რა ექნა — შიგ გაერია
როგორც ასპიტებს შავი ანკარა;
იქ მყოფი ყველა მარჩიელობდა,
ვის როგორი და რა დღე ელოდა:
„ქვესკნელში დანთქმა ალბათ
ამცდება,
წესით ედემის მელის ბაღები!..“ —
ფიქრობდა ერთი, ხოლო მეორე —
„ვაიმე, ნაღდად დავიდაგები!...“

როგორ ცხოვრობდნენ და რას
იქმოდნენ,
ჩამოჰკრა ყამმა სხვისთვის გაენდოთ,
დრო კი, იცოცხლეთ, ჰქონდათ
ფიქრისთვის,
სამასლაათიც ნახეს საერთო;
მფლანგველს ქველობა დარჩა
ოცნებად —
სიკვდილმა სწორედ მაშინ მოცელა,
როცა შეიცნო ყადრი ფულისა;
ძუნწი ძუნწობდა ისე უაზროდ,
ერთი განცხრომაც კი ვერ მოასწრო
და სწორედ ამან გააგულისა.

ბრძანებულებებს ყბედობდა ყბედი,
და რა მოჰქონდა სტატუტს
ერისთვის[17],

იშკილებს უკვე წვრილად
კაკლავდნენ
გაქნილი, ურცხვი და აფერისტი;
ბრძენი ფიზიკის თუთქით ბოლავდა—
სულ პირველადო იყო მონადა[18]
და მერე მისგან — ცაც და დუნიაც;
ენა წააგდო ხეპრე ხვადაგმა:
ბანოვანთაგან ვინ სად დადაგა,
ისე, რომ არც ერთს დაუწუნია!

ამ მოსამართლეს, ბუზმენტებიანს,
ოცნებად ექცა ლამის ციმბირიც,—
ისე დაბლანდა საქმე მავანის,
მაშინვე მისცხეს კუდქვეშ პილპილი;
თავს წააცლიდა ვიდრე ჯალათი
გამოჯაგული ხელით — მანამდი
სიკვდილმა იხსნა — წესი აუგო;
იქით ექიმი — თავის ლანცეტით,
სასაქმებელით და სპერმაცეტით —
ჰყვებოდა, მახე ვის სად დაუგო.

აი, ქალებზე ნერწყვმოდენილი
ფრანტები, დიდი ხალხის ბალღები,
ფრჩხილებს იკვნეტდნენ
გამწარებულნი,
გაფხორილები ფარშევანგივით;
ხან მზეს ნატრობდნენ
სასომიხდილნი,
გმინავდნენ, ჯავრი სჭირდათ
სიკვდილის —
შეგვიმოკლაო გზანი სავალი;
ველარ გამოჰკრეს ხელი დიდებას—
მოლორება და გადაკიდება
ველარ მოასწრეს კიდევ მრავალის.

მეჯინიბე თუ ბანქოს ხელფუნჩი,
კვაჭი, ლაქია, ლოთი ეული,
მალემსრბოლი თუ პირისფარეში,
ქარიბერტყია თუ მზარეული —
ფქვავდნენ და ფქვავდნენ ხრიკს
და ოინებს,
სააქაოში ვით იბოინეს,
როგორ ატარეს ამქვეყნად ჟამი;
პანს და პანის ცოლს, უბედურები,
ჯიბეში ხელს რომ უფათურებდნენ,
რომ დუქნებისკენ ერბინათ ღამით.

ა, ტაშიკოლა ქალთა სულები
ფრთაჩამოყრილნი დგანან ამჯერად,
თვალს ველარავის უპაჭუნებენ,
აღარვინ დასდევთ გამოსაჭერად —
გულუბრყვილოებს ველარ ავნებენ,
დედაკაცები ჯადო-შამნებით;
ხოლო ის ბრიყვი მაჯლაჯუნები,
განუსჯელად რომ სჯიდნენ მოახლეთ,
აქ მხოლოდ კბილებს აკრაჭუნებდნენ,
რაც პატივი და სითბო მოაკლეს.

უცებ, რას ხედავს — აგერ, დიდონაც!
ნატისუსალის სუნი რომ უდის,
მთლად ნახშირივით არ
დაშაშრულა?!
მყის მოიშვლიპა ტროელმა ქუდი,
შეიკუნტრუშა „ვაჰმე, სალამი!
სიდან სადაო სულის მალამო,
ვინძლო აქ ისევ კართაგენია?!..
რად ჩაიფერფლე კოცონში, გვრიტო,
სიცოცხლის ეშხით გაძეხი ვითომ?
ეს რა იკისრე, არა გრცხვენია?!

ჩასაყლაპავი არ იყავ განა?..
ფერ-ხორცი გაკლდა?.. ჰოდა, რა
ჰქენი?!..
შენს ხსენებაზე, შე დუდრუქანა,
ნერწყვით მევსება ისევ ბაგენი...
ახლაც ღმერთი ხარ ჩემთვის,
პირადად,
აღარ ულირხარ თუმც სხვებს
ჩირადაც —
შეილახაო თავი ძალიან;
შენ თავსა ვფიცავ, ისე ვიხარე,
გული მწყდებოდა, რომ გავიყარეთ,
მაგრამ მიბრძანეს!.. ჩემი ბრალია?..

რაც იყო, იყო, მოიტა ხელი,
დღეიდან ისევ ერთად ვიქნებით,
კვლავ ვიარშიყოთ, ავივსოთ ლხენით,
ნულარასოდეს ნუ გავიყრებით;
მოდი, ჩაგიკრა გულში ალერსით,
ისევ გაკოცო ჭკვიან თვალებში..“
გადაირია ქალი კინაღამ,
იკივლა: „— ერთხელ უკვე
დავმცირდი,

კვლავ გეარშიყო?.. გასწი! გამცილდი!..
თორემ მაგ ცხვირ-პირს ამოგინაყავ!"

და მაშინათვე გაქრა ლანდივით —
გულზე შეუხსნა მიჯნურს იარა;
გაოგნებული იდგა ვაჟკაცი,
როცა სიბილამ დაილრიალა:
„იმდენს იდარდებ ახლა მაგაზე,
ვიდრე მავანი წიხლს არ ჩაგაზელს
და ფერდებს წითლად არ
შეგილებავს...
მკვდრებს მაინც ნულარ იგდებ
მასხარად,
ქალებს რომ თავგზას უბნევ
აშკარად, —
ჰმ! აქაც ძუკნებს ეარშიყება!.."

გზა რომ განაგრძეს, არც იყვნენ
კარგად
ქვესკნელის სილრმეს მიღწეულები,
რომ წინ მოაწყდათ ტალღად და
ტალღად
ერთ დროს მოკეთე ხალხის სულები;
თვისი ბატონი როცა იხილეს,
ატყდა ხორხოცი, სტვენა, ხვიხვინი
და ხვევნა-პროშტნა დასცხეს მაგარი;
ყური წაილო ტუშმა და ტაშმა
და იმ ურდოში ენერას ვაჟმა,
ბევრი შეიცნო ტროელთაგანი:

პედკა, ტერეშკა და შელიფონი,
მერე — სვირიდი, ლაზარი, ხარკა,
ფესკა, ოლეშკა, ისკა, სიზონი,
ოხრიმ და პარხომ, ლესკა და პანკა;
სტეცკა, ონისკა და ოპანასი,
ოსტაპ, ოვსიი, დენის, ტარასი —
ის, ვინც ნავიდან გადმოვარდნილი,
შავმა ზვირთებმა თან დაიყოლა,
ვისაც ომებში ლომებს ადრიდნენ...
მუსიც აქ გახლდათ, — თვით
ვერნიგორა[19].

თითქოს თორაში დუღდა ყალალი,
ზრიალს შერთვოდა როშვა-ყაყანი —
ერთად აუშვეს ასათქვეფავად
ტყუილ-მართალი ძველიც, ახალიც;
ვითომც ყრილობა აქვთო თახსირთა,
ბილწსიტყვაობა ისე გახშირდა
ლაგამაწყვეტილ ხორხოც-
ლრიალთან;
ლორლალს მოუნდნენ შთელი დღე
ლამის —
შეყრიდან ბლომად გამოხდა ყამი
და ჩვენს ენეასს შეაგვიანდა.

სიბილას ძალზედ არ ეპიტნავა,
აქ რომ ბაზრობდნენ ასე გიჟურად,
თანაც ამდენ ხანს, ნამეტნავად კი —
ტყვილის გუდად რომ იქცა ბიჭუნა;
მე გასწავლითო ლანძღვა-გინებას,
დასმულებოო ვირიშვილებად, —
ისეთი რიხით დაუტატანა,
ხალხი დალანძლა ისე უშვერად,
ტროელი მყისვე მიჰყვა სატანას,
ვინსაით, ყველამ თავს რომ უშველა.

როცა გალიეს, მართალი გითხრათ,
ასე, ნახევარ ვერსზე ნაკლები,
კიდეც გამოჩნდა კარ-მიდამოში
მეფე პლუტონის სრა-სასახლენი;
ჩვენს როკაპს ცეცხლის მოედო ფერი,
ენეასს უთხრა: „მაგ ოქროს ჟვერით
მუხლმოსაყრელად სადაც მიდიხარ
უნდა იცოდე, შვილო, წინასწარ, —
იმ სახლს ხომ ხედავ, სულთა მეუფე
იქ ცხოვრობს თავის
პროზერპინასთან".

ჰა, ალაყაფსაც მიუახლოვდნენ,
უნდა შეეღოთ ის იყო კარიც,
როცა მოესმათ: — „ჰეი, ვინ
მოდის?" —
და გარეთ გონჯი გამოდგა ქალი[20];
ეს ბავჯავჯლანა, ნავსი ყველაზე,
იმგვარად სცემდა სარეკელაზე,
პანის კარზე რომ იცოდნენ წინათ;
ჯაჭვები ერტყა წელზე მასპინძელს,
ხოლო თავსა და მხრებზე ასპიტებს
სქელ კულულებად დაედოთ ბინა.

თანაც ეს ქალი ერთობ გულუხვად,
განუკითხავად და გამეტებით,
ხელში მოგდებულ ცოდვილ
ულუფებს

კურატებივით ყვლეფდა ღვედებით;
გრეხდა, კრუნჩხავდა, ძელზე კიდებდა,
დალავდა, წვავდა, ახიწიწებდა;
ზოგს რომ ფხოჭნიდა, ფლეთდა,
შიგნავდა,
კბენდა, ბალთავდა, ჭყლეტდა,
მდუღრავდა,
მავანს და მავანს სულ ძვლებს
უხრავდა,
წყურვილსაც სულთა სისხლით
იკლავდა.

ენეასი კვლავ შიშით გათავდა,
ეგეთი გახდა, როგორც მიტკალი, —
ვისი ბრძანებით გვემენ მაგათო,
თუ ქალი ხარო, ერთი მითხარი.
სხვა რა უწყოდა სიბილამ მეტი —
უთხრა: „შავეთში ცოდვილთა ბედი
ხელში უპყრია იმ მოსამართლეს,
ვისაც სახელად ხმობენ ეაკოსს[21],
თუმცა სიკვდილით არავის არ სჯის,—
ყველას თავისი უნდა მიაგოს!.."

ბჭენი განიხვნა მათ წინ მაშინვე,
ვერვინ გაბედა თუნდაც დაღრენა,
და პროზერპინას კარს მიაშურეს,
სავედრებლად და მუხლმოსაყრელად,
რომ მიერთმიათ ის ოქროს ყვერი,
რითაც ადრევე მოირთეს ხელი,
ქალი კი თურმე გახლდათ შეუძლოდ
და ჩვენს ენეასს ის არ აჩვენეს, —
შენლა აკლიხარ ახლა სნეულსო, —
ციანლამ დასცხეს და შეაჩვენეს.

სამაგიეროდ, ორთავ ეწვია
მიწისქვეშეთის მეფის პალატებს,
ნახეს — მტვრის ბეწოც არა ძევს
არსად,
სუყველაფერი ბრწყინავს, ანათებს;
კედლებს მანჭვალი შვენოდა რვალის,
პეჟოს სარკმლების ბზინავდა თვალი;
ჭვიოდა ტყვია, სპილენძი, კალა,
ფოლადი, ოქრო — უფრორე ჭარბად,
უცხოდ მორთული და მოოჭვილი
ენაცვლებოდა დარბაზი დარბაზს.

ამის დამნახავ ჩვენს მოგზაურებს
ნეტა გენახათ, რა მოუვიდათ!..
განსაკუთრებით ბატონ ენეასს —
ლამის შექანდა ლომი ჭკუიდან! —
ხან უსტვენს, ხანაც პირდაფჩენილი
ქალს შესციცინებს ხოლმე შტერივით,
ტუჩს აცმაცუნებს ანდა მეტწილად;
ეს რა იხილეს მისმა თვალებმა —
წილად ხვდომია აქ ნეტარება,
ვინაც სამზეოს არ წაწყმედილა;

გულხელდაკრეფილთ, სულ შაბაში
აქვთ,
წვანან, ნებივრად პლაკვენ ყალიონს,
იმდენი უდგათ წინ სამნახადი,
მის დღეში რომ სვან და ვერ დალიონ;
განა თუ რახი, თუთუნიანი? —
თვისკენ გიზიდავთ კამკამ-კრიალით,
ცერეცოსა და მსგავსთა ნაყენი,
აბილაბლაბი და ხიზილალა,
მარწყვა, ბალახის ყური, ქებული,
შენელებული პილპილ-ზაფრანით,
ცხელ-ცხელ ღუმელში დავარგებული.

ახლა საჭმელი: ფუნთუშა, გირცი,
წიწიბურა და ერბოს ხავიწი,
ფამფარა, ჭილი, მოცვი... რა ვიცი,
იმათ სუფრაზე რალა არ იყო —
კვერცხი შემგბარი... ტაფამწვარი ხომ
სულ გერმანულად იყო ნადღვები;
კვერი, კუნელი, მარწყვი, მაყვალი,
სამოთხის ვაშლი, კვრინჩხი ახალი, —
ციკ ლუდს და ბურახს სვამდნენ
კათხებით.

ნახა ტროელმა: თუკი შემცოდეთ
გვემდნენ მხეცურად და გაავებით,
და არ აკლებდნენ სახმილს, ესოდენს,
სამაგიეროდ, ღვთისმოსავები,
თურმე, მეშვიდე ცაზე არიან,
აქვთ ყრიამული და რია-რია:
ვინ სვამს, ვინ მღერის და ვინ
ყინტრაობს,
ვის სძინავს, ვინ დუმს და ვინ
გაჰყვირის...
იწექ, იხტუნე, ჭამე, რაც გინდა,
სისხლი გწყურია? — აგე, მახვილი!

ყოყლოჩინობა, ტყლარჭვა, ფლიდობა
ურთიერთშორის დაგმობილია,
ძმა ძმას ვაგლახად ბუზს არ აუფრენს,
რამეთუ მათთვის უცხო ხილია
გინება, ჩხუბი, აყალმაყალი,
გაავება და ბილწი ყაყანი —
ათიათასად ფასობს ზრდილობა;
ვისაც ვინ უნდა, არშიყობს მასთან, —
არ ჩანს არსაით ქილიკი კაცთა,
საკმეველს უკმევთ სიამტკბილობა.

ირგვლივ არც ცივა და არცა ცხელა,
თითქოსდა ეცვათ ხიფთნები გრილი,
დაუფლებია სიამე ყველას,
ისე, ვით ჩვენში აღდგომა დილით;
სულო და გულო, რამე გწადია? —
წამსვე მოფრინავს, — ციდან,
ცხადია!..
ენეასს, ვაჟკაცს, შეძრულს ისედაც,
შუბლზე მოექცა ისევ თვალები,
ცნობის წადილით კვლავ ქალს
მიხედა —
ვინ არიანო ეს წმინდანები?

„ეს ხალხი, შვილო, — უთხრა
სიბილამ, —
ჩინოვნიკები ხომ არ გგონია?
აქ ვერ მოიძევ უბადრუკ რაინდს,
თულს, მედავითნეს, ჩუმპოქონიანს;
ფერადი ლანდრა ან ტარსიკონი
შვენოდეს ვისმეს — ვერსად იპოვნი —
ბუნდლა არაა აქეთ მდიდრების;
მათი დალანდვაც ძვირზე ძვირია,
„მამაო ჩვენოს“ რომ გაჰყვირიან,
თავს რომ იმკობენ ოქროს მიტრებით;

ამ სულით საპყრებს თაბუნი ფიცხი
აფრაკად თვლიდა, უმზერდა
ზიზღით —
ბრმებს, კოჭლებს, საწყლებს,
უილაჯოებს
დუნდგო მასხარად იგდებდა მიწყივ:
ფუყე აბგებით, ღვთის ანაბარა,
დაღინღილებდნენ და წარამარა
ფიცხელი შეხლა ჰქონდათ
ძაღლებთან;
— შეგიწყალოთო ღმერთმა
თქვენივემ, —
და სამოწყალოდ ხელგაშვერილებს
ჯლიქვსა და პანლურს არვინ
აკლებდა.

აქვე უმწიკვლო ქალწულებია,
უქორწინოდ რომ ერ დაიბერნენ,
და ის ქვრივები, მიუსაფარნი,
ვინც უშვილძიროდ შეხვდა სიბერეს...
ამათ კი მარტო უწიათ ყოფნამ,
რომ დიდობისას, დაზრდილებს
ობლად“[22],
გადასახადი გადაეხადათ...
ჰა, ისიც, ვინაც კეთილი გულით,
მოძმეს უვახშოდ ასესხა ფული,
რადგან მოყვასი გულზე ეხატა.

იქით გახედე, ენეას, ერთი, —
იმ სტარშინების მოჩანს ამქარი,
ნამუსიანად რომ წარსდგნენ
ღმერთთან,
ბევრი არ იყო თუმცა ამგვარი.
ძლიერთა იმა ქვეყნის ბინადართ,
ვის ხელშიც კაცი არა გმინავდა,
იმ ქვეყანაზე სანთლით პოვებდი;
ვინც კაზაკები არ გააცურა,
იმ ზნაჩკოვების[23] გარდა, დასტურად,
ა, ასისთავნიც, ბუნჩუკოვებიც[24]“.

ვაჟი არ ცხრება: „მე ის მაგიჟებს
და უნდა მითხრა დაუფარავად,
კაცო, რომ არ ჩანს არსად ანქიზე,
საითკენ გაჰყვა სულთა ქარავანს?
არც ედემშია, არც — ცოდვილებთან,
ნეტაი, რომელ კუნჭულს მინებდა,
დედი, კანონი არ ჭრის მაგაზე?“ —
უთხრა: „სადაც სურს, დაიდებს ბინას
მამა, ვენერას ქმარია ვინაც, —
იმის სახლეულს ყველა აფასებს“.

ქაქან-ქაქანით მთის წვერს უწიეს
ოფლადგაღვრილმა მოგზაურებმა,
ეგებ ანქიზე მოვიხელთოთო
დასხდნენ და ირგვლივ იწყეს ყურება;
ფუჭი ლოდინით გაბეზრდა თვალი...
ხოლო ვენერას მოხუცი ქმარი
ამ დროს ტაფობში დასუნსულებდა
და მუხთალ ბედზე დაბოღმილიყო:

ტვინს იბურღავდა — ავმა სულებმა
დამილუპესო ნადდად შვილიკო.

მაგრამ კინწიხზე პირმშოს, სანუკვარს,
ანაზდეულად რომ მისწვდა მზერა,
შიგ გულისგულში სახმილგამჯდარი
კაცი ფერდობზე აიჭრა ცერად:
ოქროდ მიღირსო თუნდაც საათით
შვილთან ჭუკჭუკი და მასლაათი,
ჯანიან მკერდზე მკერდით შეხება,
ერთურთს ბაასით შევიყოლიებთ,
ხოლო, გზადაგზა მხნეს და ღონიერს,
ავეხუტები, გადამეხვევა...

„გამარჯობაო! — შესძახა მყისვე, —
არა გრცხვენია, შე ყურუმსალო!
შავეთშიაც რომ არ იშლი ღლაბუცს,
რას მაყურყუტებ, როგორც
უსაქმურს?!..
წამო, ეწვიე მამის საუფლოს,
მერე საქმეზეც წავისაუბროთ,
კარ-მიდამო მაქვს შენგან ქებული...“
ბიჭი გახევდა — ეტყობა უჭირს:
ლენჩივით დგას და ჩამოსდის დუჭი—
კოცნა — კი, მაგრამ
მიცვალებულის?!.

შვილის ხვაშიადს ჩასწვდა ანქიზე,
კაცი კაცური, გულმეცნიერი,
კოცნა თავადაც გადაიფიქრა,
თუმც რა ხანია, ვაჟკაცს მიელის;
არ დავაფრთხოო უფრო სტუმარი,
მყის წამოიწყო ხმით იდუმალით,
რომ ენეასს და იმის არწივებს
ბოლოს ვერავინ შერაცხს დედლებად,
გაიმარჯვებენ, სახელი მათი
საუკუნეებს შეეკედლება.

იმ დღეს სულეთში, ვახშმობის
დრომდე,
ვვლავ საქმიანი დუღდა ცხოვრება.
მერე გართობა მოიწადინეს
პატარძლებმა და გასათხოვრებმა:
ფეხაწყობილნი უვლიდნენ ვორონს[25],
აწკრიალებდნენ სიმღერას ქოროდ,
ზურგს უჭრელებდნენ ერთურთს
ჩალიჩით;
ზოგი, შეყრილი დამწვარ ძენძებთან,
მკითხაობდა და პასუხს ეძებდა,
ზოგიც თავსატეხს ხსნიდა ხალისით.

ნაწნავს იწნავდნენ თავს
გჯირგვინებად,
დალალ-კავებსაც იმკობდნენ
ცქაფად,
ვეგერს[26] როკავდნენ
ხტუნვა-სირბილით,
არ ივიწყებდნენ არც ტისნა ბაბას[27].
ზოგს სხვის სარკმელთან ყუნტვა
უყვარდა,
ბედზე ჩხიბავდა ზოგიც ბუხართან;
სანთლით მჭვარტლავდა კოვზს,
სამკითხაოს,
ველად სირბილმა ვინაც მოლალა,
ვინ ღორის ჯაგარს წვავდა წკვარამში,
ვის თავს ერჩივნა დამალობანა.

ამ ქალიშვილებს მიჰგვარა ვაჟი
ანქიზემ, თანაც უთხრა აი, რა: —
ეს ერთი მყავსო, ესეც საწყალი,
შეივრდომეთო რამენაირად.
„თქვენი ჭირიმე, — ხვეწნა დაუწყო,—
ეგებ მართალი სიტყვა გვაუწყოთ,
ვისაც მისნობა გაქვთო ხელობად,
ქენით სიკეთე — გვეცით პატივი,
დაგვისურათეთ ხვედრი ხატივით,
ნუ დააკლებთო საქმეს მცდელობას...“

ერთი ლამაზი უჯდათ შუაში —
იმათთან ერთად ანცობდა მაშინ,
ცქვიტი, გიჟმაჟი, მთლად
ვერცხლისწყალი,
თხა იყო სწორედ, ნამდვილი ქაჯი,
ისე ჩხიბავდა, ისე მისნობდა,
ქვეყანა მართლაც იმას იცნობდა...
ხრიკთა ხელფუნჩი მაშინვე ჭორად
გადააქცევდა ქილიკს ერცახეს,
ზედგამოჭრილი იყო ნამდვილად,
რომ შეარქმევდა ვინმეს მეტსახელს.

მყის მიუსკუპდა ამ ჩვენს ანქიზეს —
ყურში ჩურჩულით უთხრა ძიაკაცს:
„ვიცი, შეატყვეთ, რომ მკითხავებში
პირველი გოგო მე ვარ — დიახაც...

ჰოდა, დაენდეთ ჩემს
გულწრფელობას,
რომ არ დავაკლებ საქმეს
მცდელობას...
ქვეყანამ იცის, ნაღდი რომა ვარ,
რომ არ ვკადრულობ ზღაპრების
ქაქანს,
მაგ შენი ბიჭის სვეს და მომავალს
ჩაგიწიკწიკებ სულ კაკალ-კაკალ".

კოჭობში ჩადო წიწკანას ბუდე,
ზედ დაუმატა ყოვლად გრძნეული,
კონსტანტინობა დღეს დაკრეფილი
ყვავილები და ბალახეული,
კამკამა წყალში აჩაჩ-დაჩაჩა
ღიღილო, სალბი და ვარდკაჭაჭა,
გვიმრა, შროშანი, ირმის ბალახი,
ქონდარი, კიდევ — ხენიახურა,
ჯერ გაახურა პუტუნ-პუტუნი
და მერე ხალანს ხუფი დახურა.

„აქეთ მოიწი, — უთხრა ენეასს, —
ბიჭი ჩანხარო მართლაც მედგარი,
ეგრე იჯექ და ღველფს დაუბერე".
წინ მიუმარჯვა ქოთან-ზედგარი.
ცეცხლმა რომ წყალი გადაარწია,
შიშინ-შიშინი იწყო კვაწიამ,
მერე — თუხთუხი, მერე —
კვარჩხალი...
ტროელმა, — ნაღდად მომეყურაო, —
კაცის ხმა იყო ნეტა, თუ რაო?
ანქიზეც სმენად იქცა საწყალი.

ტროელი ქშინავს, ცეცხლს
უქშუტუნებს —
ნეტა რას გვამცნობს თიხის ქვაბიო,
ქოთანმა ქოთქოთს უფრო უმატა,
ხმაც აღაღადდა უფრო მკაფიოდ:
„უკვდავთა გელის, ლომო, მამობა,
ნაგრამი შენი დელგმად წამოვა,
ზღვათა და ხმელთა ბრძენი
მმართველი —
იქნები ფიცხელ გმირთა მშობელი,
ამქვეყნად შენ და შენი მართვენი
ბრძოლით გახდებით ყოვლის
მცყრობელი.

მიწიერ ედემს მოელარეშებ,
როცა ალმართავ რომის ქონგურებს,
იზარზეიმებ მთელ იმ მხარეში,
იბაირამებ და ილომგულებ.
ვერ შემოგბედავს კაცი სამდურავს...
მანამ იცხოვრებ დარდიმანდულად,
უწმინდეს ხამლებს ვიდრე
ემთხვევი[23]...
ახლა კი მამას დაემშვიდობე,
რადგან დარჩენას თუ მოინდომებ,
თავი არ დაგრჩეს შავეთს
შემთხვევით".

ამის გამგონე მშობელს, საბრალოს,
გულზე სახმილი შემოეყარა —
პირმშო, რომელიც შავეთს დალანდა,
დაბრუნებოდა უნდა ქვეყანას...
დიახ, ოლიმპომ ასე ინდომა!
ჰოდა, ანქიზემ სწორედ მიტომაც
„დარჩიო", ვერც კი ჩაიდუდუნა,
შეიქმნა ცხელთა ცრემლთა
ღვარღვალი,
ბღაოდა ბიჭი... მამაც საწყალი
აჩხავლდა, როგორც მარტში
კრუტუნა.

საიქიოდან მოგზაურები
მოკლეზე მოჰყვნენ გზაწვრილს
ქვეყნისას,
შვილს მამის მხარეს რჩებოდა თვალი,
ვიდრე კისერი არ მოეღრიცა.
სიქაგაცლილი, ნაგვემ-ნათრევი,
იქ მისუნსულდა, სადაც ადრევე
დაბანაკება ხალხის ინება,
დროც გასულიყო უკვე მას აქეთ,
ჩაძინებოდათ ტკბილად კაზაკებს,
და ისიც მიწვა დასაძინებლად.

ნაწილი მესამე

1. **საგაიდაჩნი, პეტრო კონონის ძე (?—1622)** — ზაპოროჟიელთა ჯარების ჰეტმანი; იბრძოდა ყირიმელ თათართა და თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

2. **ზაპოროჟიის სიჩი** — უკრაინელ კაზაკთა გაერთიანება, რომელიც მდ. დნიპროს ქვედა წელზე დაარსდა XVI ს. პირველ ნახევარში.

3. **პიკინირებში გაწვეულ მხედრებს...** — პიკინირელთა პოლკები — უკრაინაში დასახლებული პოლკებია, შექმნა მეფის მთავრობამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, რათა ნოვოროსიისკის გუბერნია ყირიმელი თათრებისა და თურქებისაგან დაეცვა.

4. **პოლტავასთან რომ მოსრეს შვედები...** — იგულისხმება რუსეთ-შვეციის ომი, კერძოდ, როცა 1708 წელს შვეციის ჯარები შეიჭრნენ უკრაინაში, უკრაინელი ხალხი, აღსდგა დამპყრობთა წინააღმდეგ. პოლტავის ბრძოლა, რომელიც 1709 წლის 27 ივნისს გაიმართა, და რომელშიც უკრაინის კაზაკთა პოლკებიც მონაწილეობდნენ, შვედების არმიის განადგურებით დასრულდა; იგივე ამბავზეა საუბარი ქვემოთ ნახსენებ ფრაზაშიც: „ქალწულობაში მახსოვს შვედები" (სიბილა).

5. **ბენდერთან როგორ ურტყამდნენ მტერს და...**—1789 წელს თურქეთის ციხესიმაგრე ბენდერში (ბესარაბია) დაბანაკებული მტერი რუსეთის ჯარებმა ალყაში მოაქციეს, მაგრამ თვითონ შიმშილისაგან დასნეულდნენ, რასაც კოტლიარევსკი განმარტავს კიდეც შემდეგ ფრაზაში: **„ხემსად ატრიაც რომ ვერ იშოვეს"**.

6. **კუმის მიწები... კუმა** — ქალაქი-სახელმწიფო სამხრეთ იტალიაში, სადაც პირველად დასახლდნენ ბერძენი კოლონისტები.

7. **„ნისკა", „პარი", „კეპა", „ლავი", „პამფილა"** — ბანქოს თამაშებია.

8. **ფებოსი** — ბერძნული მითოლოგიით ხელოვნებისა და წესრიგის მფარველი ღმერთი, ზევსის შვილი.

9. **კუმელი სიბილა** — ლეგენდარული მისანი ქალი, ექსტაზში მყოფი მომავალს წინასწარმეტყველებდა.

10. **ხოლო თათრები რომ გვაფეთებდნენ...** — იგულისხმება ყირიმელ თათართა თავდასხმები უკრაინაზე XVII საუკუნეში, აგრეთვე რუსეთ-თურქეთის ომი 1735-1739 წლებში.

11. **ვით მკიდა, მახსოვს, ყანებს კალია...** — 1748 და 1749 წლებში უკრაინის ტრამალებს კალია შეესია და ერთიანად გააოერანა მისი ნათესები.

12. **ჰოდა, იმ ხიდან შენ ერთი ყვერი...** — იგულისხმება ოქროს შტო (ყვერი) — სიცოცხლის სიმბოლო, რომელიც ენეასს ზღვების წიალთა ქალღმერთ პროზერპინასთვის უნდა მიერთმია.

13. **მწკრივში დააწყო შიგანი ხელად და ჩხიბვას მოჰყვა — პასუხს დაეძებს...** — იგულისხმება ძველ რომში გავრცელებული ჩვეულება — დაკლული საქონლის შიგნეულზე მკითხაობა.

14. **ქარონი** — ბერძნულ მითოლოგიაში მიცვალებულის სულთა მდინარე სტიქსზე გადამყვანი მიწისქვეშა სამეფოში სამსჯავროზე წარსადგენად.

15. **ძაღლი მგლისფერი, სამთავიანი** — იგულისხმება ძაღლი ცერბერი, რომელიც საიქიოს ბჭისკარს დარაჯობდა.

16. **თაფლში ბრაწავდნენ ვიღაც პამპულას...** — ი. კოტლიარევსკის ზოგიერთი ბიოგრაფის მტკიცებით, პოემის ამ სტრიქონში იგულისხმება მაქსიმ პარ-

პურა — „ენეიდას“ პირველი გამომცემელი. მოგვიანებით მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ პარპურას, გარდა ქველმოქმედებისა, კომერციული მიზნებიც ამოძრავებდა. როგორც პ. ჟიტეცკი წერდა: პარპურა გულისყურით მოეკიდა „ენეიდას“ გამოცემას და, რადგან უკრაინული ენა უყვარდა, „ენეიდას“ მცირე განმარტებითი ლექსიკონიც დაურთო — იმ დროისათვის პირველი უკრაინულ ლიტერატურაში. შემდგომ ეს ლექსიკონი თვით კოტლიარევსკიმაც გამოიყენა თავისი პოემისათვის.

17. **და რა მოჰქონდა სტატუტს ერისთვის** — იგულისხმება ე. წ. ლიტვური სტატუტი — კანონებისა და განკარგულებების კრებული, რომელიც ლიტვაში შემოიღეს XVI საუკუნიდან, როცა ამ სახელმწიფოში უკრაინის მიწებიც შედიოდა. ეს კოდექსი მოქმედებდა მაშინაც, როცა უკრაინის მიწები რუსეთმა შეიერთა.

18. **სულ პირველადო იყო მონადა** — მონადა — ფილოსოფიური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს განუყოფელ სულიერ ერთეულს, სუბსტანციას, რომლისგანაც შედგება სამყარო.

19. **ვერნიგორა, მუსი** — პოლტავის მკვიდრი, დაიხრჩო მდინარე ვოსკლაში; იგი კოტლიარევსკის თანამედროვე გახლდათ, როგორც ამ სტროფში ჩამოთვლილი მრავალთაგანი.

20. **და გარეთ გონჯი გამოდგა ქალი** — იგულისხმება ტიზიფონა, ფურია, შურისძიების ქალღმერთი, რომელიც ადამიანებს ჩადენილი დანაშაულებისთვის სიკვდილის შემდეგაც კი სჯიდა. გამოსახავდნენ მოხუც, გონჯ ქალად, რომელსაც თავზე თმის ნაცვლად ასპიტები ჰქონდა შემოხვეული.

21. **ვისაც სახელად ხმობენ ეაკოსს** — ეაკოსი — ზევსის ვაჟი, კუნძულ ეგინას გამგებელი. სამართლიანობისათვის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთ მოსამართლედ დაინიშნა მიწისქვეშეთში.

22 **დაზრდილებს ობლად** — იგულისხმება თავშესაფარში გაზრდილი ობლები. კოტლიარევსკი აქ გულისხმობს იმათ, ვინც ობოლთა თავშესაფარში იზრდებოდნენ და როცა სრულწლოვანები ხდებოდნენ, უნდა მიკუთვნებოდნენ რომელიმე ფენას და გადასახადი ეხადათ.

23. **ზნაჩკოვი** — წოდება XVII საუკუნის უკრაინის კაზაკთა ჯარში.

24. **ბუნჩუკოვი** — არჩევითი პირი ამავე ჯარში.

25. **ვორონი** — გოგონების საგაზაფხულო ფერხული.

26. **ვეგერი** — უნგრული ცეკვა.

27. **ტისნა ბაბა** — საბავშვო თამაში.

28. **უწმინდეს ხამლებს ვიდრე ემთხვევი** — ამ სტრიქონში მინიშნებულია მასზე, რომაელები კათოლიკურ ეკლესიას რომ დაემორჩილნენ და პაპის ხამლებს ემთხვევნენ.

სემ შეპარდი

სიყვარულით შეშლილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნეს თამარ ყლენტმა და თამაზ მეტრეველმა

სემ შეპარდი თენესი უილიამსის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი დრამატურგია. მე გავიზარდე — ამბობს იგი — „ახალგაზრდული ავტომობილური კულტურის გარემოში, სამხრეთ კალიფორნიაში, რომელიც თავისთავად წარმოადგენს „რალაც ნარკოტიკულ მაგიას". შეპარდმა თავად გამოსცადა ნიუ-იორკის ბნელ კვარტალებში ცხოვრების რომანტიზმი. მუშაობდა ოფიციანტის თანაშემწედ და ღამის კლუბში მაგიდებს ალაგებდა. ირიცხებოდა „ჰოლი მოდალ რაუნდერსის" დასარტყმელ საკრავების ჯგუფში, ღამეებს ქუჩებში ათევდა, ნიუ-იორკის ბოჰემის გულში — ისტ ვილიჯში. მცირე ხნით შეიხიზნა ჩარლზ მანგუსმა — ცნობილი ჯაზმენის შვილმა. განუწყვეტლივ წერდა პიესებს (თუმცა როკ-მუსიკის ვარსკვლავობაზე ოცნებობდა). ოცი წლისამ მიაღწია პირველ წარმატებას: მისი ორი პიესა — „ალპიური ბალი" და „კოვბოი" სცენაზე დაიდგა. როკ-მუსიკოსები არა მარტო მისი პიესების გმირები არიან, თავად როკ-მუსიკაა თემატურად შესული მის დრამატურგიაში.

ახალგაზრდობაში ცხენოსნობითა და როდეოთი იყო გატაცებული. ერთ როდეოში გახელებულ ხარზე გამარჯვებამ უფრო მეტი სიამოვნება მომანიჭა, ვიდრე „დამარხულ ბავშვში" მიღებულმა პულიტცერის პრემიამ, — უთქვამს ერთხელ. ახლა იგი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი დრამატურგი, სცენარისტი და კინომსახიობია, თეატრისა და კინოს რეჟისორი, მომხიბლავი ჯესიკა ლანჟის ქმარი, სამი შვილის მამა.

შეპარდის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი — ჯენიფერ ალენი წერდა: „მან წარმატებას მიაღწია, გამოირჩეოდა ყველასგან, იპოვა საკუთარი მანერა. მაგრამ გარკვეული აზრით, იგი ჯერ კიდევ დარჩა იმ ოცი წლის ჭაბუკად, რომელმაც თითქმის არაფერი იცოდა თეატრის შესახებ, მაგრამ როგორც კი თეატრალურ ცხოვრებაში ამოჰყო თავი, უმალვე დაარღვია ყველა წესი და კანონი, რადგან წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მათ არსებობაზე". დაწერილი აქვს ორმოცზე მეტი პიესა და ოთხი კინოსცენარი.

შემთხვევითი არ არის, რომ კრიტიკოსები მას უწოდებენ „თეატრის ვენიას", „თავისი თაობის უდიდეს ამერიკელ მემატიანეს". მის პოპულარობას თუნდაც ის მოწმობს, რომ ერთ-ერთმა პოპულარულმა როკ-ჯგუფმა დაირქვა მისი პიესის („ნამდვილი დასავლეთი") სახელწოდება. მისი დრამატურგიული მოღვაწეობის გვირგვინად მიჩნეულია „ოჯახური ტრილოგია": „სადღაც ამერიკაში..." („მოშიმშილე კლასის წყევლა-კრულვა"),

1976 წელს მიიღო პრემია — ობი (ეს ყოველწლიური პრემია ენიჭება „ბროდვეის მილმა“ თეატრალურ ხელოვნებაში გაწეული თვალსაჩინო ღვაწლისათვის); „დამარხული ბავშვი“ — 1979 წელს ობისა და პულიტცერის პრემიები; „ნამდვილი დასავლეთი“ — 1980 წელი.

შეპარდის პიესების გაცნობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ცნობილი კრიტიკოსისა და თეატრალური პროდუსერის ვინსენტ ჰენდმენის სიტყვები: „...ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს თვით ამერიკა მოედინება მის ძარღვებში“.

ნოდარ გურაგანიძე,
(ჟურნ. „ხელოვნება“, № 7-8, 1992 წ.)
„ამერიკული თეატრის გაუხედნავი მუსტანგი“).

(პიესა ერთ მოქმედებად)

მოქმედი პირნი:
მეი
ედი
მარტინი
მოხუცი

მოჯეიკის უდაბნოს ახლოს მესამე კატეგორიის იაფფასიანი მოტელის ერთი უბადრუკი ნომერი. გახუნებული მწვანე ფერის კედლები. იატაკზე მუქი ყავისფერი ლინოლეუმი. არავითარი ხალიჩა. სცენაზე, ოდნავ მარჯვნივ, დგას ოთხბუნიკიანი, გახურებულ, ლურჯ გადასაფარებლიანი რკინის საწოლი. მაგიდაც რკინისაა, ღია ყვითლად შეღებილი. იქვე ორმოცდაათიანი წლების ორი სკამი დგას. სკამებს ლითონის დასაჯდომები და გაცვეთილი, ყვითელი პლასტმასის საზურგეები აქვს. მაგიდა დგას ავანსცენის მარცხენა ნაწილში. ერთი სკამი სცენის შუაგულისაკენ არის შებრუნებული, მეორე კი მაგიდის მარჯვნივ დგას და ავანსცენისკენაა მობრუნებული. მაგიდა ცარიელია. მარცხენა კედლის შუაში მოყვითალო კარია. იგი გარეთ იღება. როცა კარი ღიაა, ოთახში ვერანდიდან აღწევს მკრთალი ნარინჯისფერი სინათლე. მარჯვენა კედელში აბაზანის ყვითელი კარია. დასაწყისში კარი სანახევროდაა მიხურული. აბაზანიდან ფაიფურის ძველი პირსაბანი, თეთრი პირსახოცები და უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ქალის აქსესუარები მოჩანს. აქედან სცენაზე მოყვითალო შუქი შემოდის. სილრმეში, შუა კედელზე დიდი ფანჯარაა ძველი და ჭუჭყიანი მომწვანო პლასტიკატის ფარდებით. ფანჯრიდან ლამპიონის მოყვითალო-მონარინჯისფრო შუქი შემოდის. სცენის უკიდურეს მარცხენა ნაწილში პატარა ფიცარნაგია. ფიცარნაგი შავია, ასეთივე ფერის ფარდებით შემოვლებული. მარჯვნივ მაყურებლისგან ზურგშექცეული სარწეველა სავარძელი დგას. სავარძელში პირგადაუკრავი ბალიში დევს. შუქი ჩამქრალია. სიბნელეში ისმის მერლი ჰაგარდის სიმღერა „გაიღვიძე“. შუქი ნელ-ნელა ინთება. მუსიკის ხმა და სინათლე ერთდროულად მატულობს. ფიცარნაგი სიბნელეში რჩება. სცენის შუქი მას მკრთალად ანათებს. სცენაზე სამი მსახიობია.

მოხუცი სავარძელში ზის და მარჯვნივ იხედება. მაყურებელი ხედავს მის პროფილს. მის გვერდით, იატაკზე, ვისკის ბოთლი დგას. მოხუცი ბოთლს იღებს, პლასტმასის ჭიქაში ცოტაოდენს დაისხამს და მოსვამს. მოხუცს წითელი, გაბურძგნული წვერი აქვს. თავზე სვეტსონის, პატარა ქობიანი, ძველი, დალაქავებული ქუდი ახურავს, ტანზე კი გახუნებული, დალიანდაგებული პიჯაკი აცვია. პიჯაკი იდაყვებთან გამოძეხძილია. აცვია აგრეთვე მოკლე, შავთეთრი კუბოკრული შარვალი, გაცვეთილი შუქი ფერის ჩექმები (ვესტერნის სტილი), ძველი ყილეტი და მომწვანო პერანგი.

მოხუცი მხოლოდ მეისა და ედის წარმოსახვაში არსებობს. მთელი პიესის განმავლობაში ისინი მოხუცს ელაპარაკებიან, დარწმუნებული არიან, რომ ის აქ არის, მათთან. მოხუციც მათ ისე მიმართავს, თითქოს ყველანი ერთ სივრცეში და დროში იმყოფებოდნენ.

მეი მაყურებლის პირდაპირ, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარა, ფეხები იატაკზე აქვს დაბჯენილი, გადაჯვარედინებული ხელები კი მუხლებს შორის მოქცეული. თავდახრილი ჩასჩერებია იატაკს და თავის პირველ რეპლიკამდე გაუნძრევლად ზის ამ მდგომარეობაში. მას ჯინსის ფართო ქვედაკაბა და ძალიან დიდი, თეთრი მაისური აცვია. ფეხშიშველია, ერთ ფეხზე კოჭს ვერცხლის ჯაჭვი უმშვენებს. ოცდაათს გადაცილებულია.

ედი მაგიდის ახლოს მეის პირდაპირ ზის სკამზე. კოვბოის სტილის ტალახიანი და დაგლეჯილი ჩექმები აცვია. მის ძველ, გახეხილ და ჭუჭყიან ჯინსებს და აგრეთვე კნოპებიან მაისურს ზეთის შავი ლაქები ამჩნევია. ქამარზე ორი დეზი ჰკიდია. სიარულისას ოდნავ კოჭლობს და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, იფიქრებთ, მთელი ცხოვრება ცხენზე გაუტარებია. ორმოცს გადაცილებულია, მაგრამ ნაადრევად მობერებული.

იატაკზე, მის გვერდით, როდეოს ბრტყელი ქამარი აგდია, სწორედ ისეთი, კოვბოი ცხენის გასახედნად რომ იყენებს. მარჯვენა ხელზე ტყავის ხელთათმანი ჩამოუცვამს. ედი პატარა თეთრი ტომრიდან ხის ფისს იღებს, რომელიც ხელთათმანს ეგლისება. მეის თვალს არ აცილებს, მოხუცისაკენ კი არც იხედება. სიმღერა ნელ-ნელა წყდება. ედი წინ გადაიხრება, ხელთათმანიანი ხელით როდეოს ქამარს დასწვდება და დაგრეხავს. ფისიანი ხელთათმანი და ქამარი ერთმანეთს ეხახუნება და ტკაცუნს იწვევს.

სცენა მთლიანად ნათდება. ედი ქამარს იატაკზე დადებს და ხელთათმანს წაიძრობს.

ედი (ზის. ხელთათმანს მაგიდაზე მოისვრის. პაუზა). მეი, მომისმინე, არსად არ ვაპირებ წასვლას, ვერა ხედავ, აქა ვზივარ. შემომხედე. (მეი თავს არ სწევს) შენ რა, თვალს ვერ მისწორებ? შენ ხომ იცი ვინცა ვარ, იქნებ სხვა გინდა რომ ვიყო? (პაუზა) წყალი ხომ არ გინდა? (ნელა დგება და მეის უახლოვდება, თმაზე ხელს გადაუსვამს. მეი უძრავად ზის). მეი, ნუ ზიხარ რა ასე გაუნძრევლად. თუ გინდა, წავალ და რამეს გიყიდი. შემწვარი კარტოფილი გინდა? (მეი უეცრად ფეხზე ხელს სტაცებს და თავს მის მუხლებს მიადებს) არ წავალ, არა, ნუ გეშინია. ხომ გითხარი, ვრჩებიმეთქი. (მეიმ უფრო ძლიერად შემოხვია ხელები. ედი უძრავად დგას. მეის თმაზე ხელს გადაუსვამს) კარგი, გეყოფა, გამიშვი ხელი. გინდა საწოლში ჩაგაწვენ, კარგი? (ქალი ახლა მეორე ფეხზეც შემოხვევს ხელს) მოდი, დაგაწვენ და ჩაის დაგალევინებ, ჩაი ხომ გინდა? (მეიმ თავი ჯიუტად გაიქნია) არც ლიმონიანი? კარგი რა, მეი, როგორმე უნდა დაწყნარდე და მომენდო, ხომ გესმის? (პაუზა. ქალი ედის ხელსა ჰკრავს და ისევ არ იძვრის) მოდი,

წამოწექი და დაისვენე (ცდილობს ლოგინზე წამოაწვინოს და საბანი დაახუროს. ქალი განრისხებული გადმოხტება ლოგინიდან და კაცს მუშტებს დაუშენს. კაცი რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს. მეი ისევ ლოგინზე ჩამოჯდება და ედის განრისხებული მიაჩერდება. პაუზა). გინდა წავიდე? (მეი უარის ნიშნად თავს გააქნევს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეი. არა!

ედი. მაშ, რა გინდა?

მეი. ყარხარ.

ედი. ჰო, ვყარვარ.

მეი. დიახ.

ედი. მთელი ეს დღეები გზაში ვარ, საჭესთან.

მეი. თითები გიყარს.

ედი. ცხენების ბრალია.

მეი. ტრაკი.

ედი. მორჩი ახლა.

მეი. ჰო, რაღაც სუნს აფრქვევ.

ედი. დაიწყე არა ისევ სისულელეები?

მეი. ჰო, მდიდარი ქალის სუნამოიანი უკანალის სურნელება აგდის.

ედი. კი, რა თქმა უნდა.

მეი. თორემ ტყუილია.

ედი. მე შენს სანახავად დავბრუნდი, გესმის?

მეი. არა მჭირდები.

ედი. ოკეი, ძალიან კარგი.

მეი. არ წახვიდე.

ედი. მივდივარ *(მარცხენა კარიდან გავა და კარს ხმაურით გაიხურავს).*

მეი *(უიმედოდ).* ნუ წახვალ *(აიღებს ბალიშს, მკერდზე მიიხუტებს და საწოლზე პირქვე დაენარცხება. კვნესის და თითქოს საწოლის ერთი მხრიდან მეორისაკენ მიხოხავს. გარედან ედის ნაბიჯების ხმა ისმის. ედი იგივე კარიდან შემოდის. მეი საწოლიდან წამოხტება, ბალიში ისევ მკერდზე აქვს მიხუტებული და კარს მისჩერებია. ედი კარს მიიჯახუნებს. ხელთათმანები და ქამარი გარეთ დაუტოვებია. ორივენი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან. წამით ერთმანეთს შეხედავენ. ედი მეისკენ მიდის. მეი ოთახის მარჯვენა კუთხისაკენ დაიხევს, ბალიში ისევ მკერდზე აქვს მიხუტებული. ედი ისევ მარცხენა კართან დგას და მეის უმზერს)!*

ედი. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, შენ თვითონ მითხარი.

მეი. შენც კარგად იცი.

ედი. რა?

მეი. თავიდან უნდა მომიშორო როგორმე.

ედი. რას ლაპარაკობ?

მეი. დიახ, მაიძულო რომ გაგცილდე.

ედი. ვითომდა რატომ? შენ რა, ხუმრობ?

მეი. ძალიან შორს შევტოპე.

ედი. ნუ სულელობ!

მეი. შენ ხომ იცი, რა ჭკვიანიც ვარ. წინასწარ ვიცი, რაც უნდა გაიფიქრო.

ედი მარცხენა კედლის გასწვრივ ავანსცენისაკენ გადის. მეი ისევ მოპირდაპირე კუთხეში დგება.

ედი. მეი, მე შენს დასახმარებლად ჩამოვედი აქ, გაიგე?

მეი. არა მჯერა. შენ იმიტომ დაბრუნდი, რომ თავს დამნაშავედ გრძნობ. და არც არაფრის ტრაკი არა გაქვს.

ედი. ძალიან კარგი. *(მიდის მარცხნივ, მაგიდის ახლოს, კედლის გასწვრივ. პაუზა).*

მეი. *(მშვიდად, თავის კუთხეში)* მე ის უნდა მოჯალა.

ედი. ვინ?

მეი. ვინ!

ედი. მოკეტე!

მეი ნელ-ნელა უკან იხევს. სცენის მარჯვენა გაწაპირა კედლის გასწვრივ. ედი კი იმავდროულად, მარცხნივ, წინ გამოდის. ორივენი კედელს აკრულები მოძრაობენ.

მეი. მოვკლავ. ჯერ იმას მოვკლავ და მერე კი შენ. დალესილი დანებით დაგკლავთ, ორი დანით. ერთით შენ და მეორეთი იმას! *(კედელს იდაყვს ჩასცხობს)*! რომ თქვენი სისხლი ერთმანეთში არ აირიოს. ოღონდ იმას ჯერ ვაწამებ... შენ არა. შენ მხოლოდ ჩაგაძალლებ. სწორედ მაშინ, როცა კოცნას დამიწყებ, როცა იფიქრებ, რომ უკვე ყველაფერი ჩაწყნარდა, ზუსტად მაშინ, როცა დარწმუნდები, რომ მაჭამე. აი მაშინ მოკვდები.

მეი მარჯვენა კედლის უკიდურეს კუთხეში შეჩერდება. ედი კი მარცხნივ, ავანსცენის ზღვარზე. პაუზა.

ედი. იცი შენ რამოდენა გზა და რამდენი კილომეტრი გამოვიარე, შენამდე რომ მომელწია? ხვდები მაინც?

მეი. ვინ დაგპატიჟა მერე?

ედი. ორი ათას ოთხას ოთხმოცი.

მეი. მართლა? შენ რა, კატმანდუში იყავი?

ედი. ორი ათას ოთხას ოთხმოცი.

მეი. რა მოხდა მერე?

ედი თავს დაბრის და იატაკს ჩააშტერდება. მეი მას უმზერს. ედი კედელს ეყრდნობა.

ედი. მე შენ მაკლდი. მართალს გეუბნები. ყველაზე მეტად მაკლდი. მთელი გზა შენზე ვფიქრობდი, თვალწინ სულ შენი სახე მედგა, ან შენი სხეულის რომელიმე ნაწილსა ვხედავდი.

მეი. მაინც რომელს?

ედი. კისერს.

მეი. ჩემს კისერს?

ედი. ჰო.

მეი. ჩემი კისერი გაკლდა?

ედი. მთლიანად მაკლდი. მაგრამ შენი კისერი განსაკუთრებით მომენატრა. არ ვიცი რატომ. ჰო, ჰო, შენი კისერი გამახსენდა თუ არა, ავტირდი.

მეი. ატირდი?

ედი *(მარცხნივ კართან შეჩერდება. მეი კი ისევ მარჯვნივ დგას, სილრმეში)*. ჰო, ბავშვივით ვსლუკუნებდი, ვერაფრით ვერ დავწყნარდი, ლაპალუპით მდიოდა ცრემლი, ოდნავ სულს მოვითქვამდი და ისევ ისე ამომიჯდებოდა გული. მთელი გზა ასე გრძელდებოდა. მანქანები მასწრებდა, ხალხი მიყურებდა, მე კი თავს მაინც ვერ ვიკავებდი.

მეი. ეგ როდის დაგემართა, სანამ სხვა თავგადასავლები გადაგხდებოდა იმ შენს ქალბატონთან, თუ მერე?

ედი (*კედელს თავს მიარტყამს. ბრაგუნი*). იმ ქალბატონთან მე არავითარი თავგადასავალი არა მქონია.

მეი. ტყუილია.

ედი. ერთადერთხელ ვივახშმეთ ერთად, ეგ იყო და ეგ.

მეი. აჰ, მართლა? (*მოდის წინ, მარჯვენა კედლისაკენ*).

ედი. ორჯერ.

მეი. შენ მასთან ხშირად დადიოდი, ნუ იტყუები!

ედი. რაც გინდა ის იფიქრე.

მეი (*შეჩერდება აბაზანის კარის წინ, ედის პირდაპირ*). მე ვიცი სიმართლე, ტვინს ტყუილად მირევ (*პაუზა*).

ედი. მე შენს წასაყვანად ჩამოვედი, მეი.

მეი (*ბალიშს საწოლზე მოისვრის და მარჯვენა კუთხისაკენ მიდის*). თუ მაგის სათქმელად ჩამოხვედი, იცოდე, მე იმ სიბინძურეში აღარასოდეს დავბრუნდები.

ედი. ადგილის შეცვლას ვაპირებ, მიწის ნაკვეთი ვიყიდე ვოიომინგში.

მეი. ვოიომინგში? შენ ხომ არ შეიშალე, ვოიომინგში გინდა წამიყვანო? იქვე ახლოს რომელი ქალაქია? ბუფალო ბილი, არა? მთლად გადაკარგულში.

ედი. შენ აქ ველარ დარჩები.

მეი. რატომ ვითომ? მე სამუშაო მაქვს აქ და თანაც პატიოსან ქალადაც მთვლიან.

ედი. სამუშაო გაქვს?

მეი (*წავა საწოლის თავისაკენ*). დიახ, შენ რა, გონებაჩლუნგად მთვლიდი?

ედი. არა, მაგრამ, შენ ხომ ჯერ არსად გიმუშავია?

მეი. მზარეული ვარ.

ედი. მზარეული? როგორ, შენ ხომ ერბოკვერცხის შეწვაც კი არ იცი.

მეი. კარგი, კარგი... არ ღირს შენთან ლაპარაკი (*შევარდება სააბაზანოში და კარს შიგნიდან გასაღებით გადაკეტავს. ედი მისდევს, ცდილობს კარი შეაღოს*).

ედი (*სააბაზანოს კარს აწვება*). მეი, მომისმინე, მე დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ. უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. ფერმას იქ გადავიტან, ცხენებისათვის თავლას ავაშენებ... ხეხილის ბაღი გვექნება, ქათმებიც გვეყოლება...

მეი. მეზიზღებიან ქათმები, მეზიზღებიან ცხენები... (*ისევ სააბაზანოშია*) მძულს სადაც ყველაფერი მისკინტლულ-მოსკლინტულია. შენ მე სხვაში გამცვალე. ახლა კი სოფლის იდილიურ ცხოვრებაზე, ქათმებსა და იმათ კვერცხებზე ლამაზ ზღაპრებს მიყვები. მძულს, მძულს ეს ყველაფერი, მეზიზღება, ამის გაფიქრებაც კი გულს მირევს.

ედი (*ამასობაში სცენას გაივლის და მაგიდის ახლოს შეჩერდება*). მიეჩვევი.

მეი (*სააბაზანოდან გამოვა*). აუტანელი ხარ! (*სააბაზანოს კარს მიაჯახუნებს, სცენას გაივლის და ფანჯრის წინ დადგება*).

ედი. აღარ მიგატოვებ (*ჯდება*).

მეი. რამდენჯერ მითხარი ეგ უკვე?

ედი. რა?

მეი. აღარ მჯერა ნაგ შენი ფანტაზიებისა, მეც აგყვები ხოლმე და

ბოლოს პირში ჩალაგამოვლებული ვრჩები, რამდენჯერ გაგითამაშია ამის მსგავსი ამბები, რამდენჯერ?

ედი. რომელი?

მეი. თითქოს სიზმარში ვიყო, მთვარეულივით დავათრევ დამძიმებულ ფეხებს, როდემდე?

ედი. ეს სიზმარი არ არის.

მეი. ყველაფერი სიზმარია.

ედი. მე შენ არასდროს მიმიტოვებიხარ.

მეი. არა, შენ, უბრალოდ, გაქრი.

ედი. მაგრამ ახლა ხომ ისევ აქა ვარ?

მეი. მადლობა ღმერთს.

ედი. მე მსურს გიშველო, მეი, დამიჯერე. მინდა, შენს გვერდით ვიყო. მოხდეს რაც მოსახდენია, გეფიცები.

მეი. გაეთრიე!

ედი (პაუზა). შენ თვითონ რატომ გაიქეცი ჩემგან?

მეი. გავიქეცი? მე?

ედი. რა იყო, რა... რა მოხდებოდა, რომ მშვიდად დამლოდებოდი? ხომ იცოდი, რომ შენს წასაყვანად აუცილებლად დავბრუნდებოდი?

მეი (სცენას გადაკვეთს და საწოლის თავთან დადგება). იცი შენ რას ნიშნავს წლების განმავლობაში ამ თუნუქის ყუთში გამოკეტილი ცხოვრება? თვიდან თვემდე, ქარსა და ქარიშხალში, ინათებს თუ არა, სამრეცხაოსკენ უნდა გასწიო. შენ ეს გართობა ხომ არა გგონია?

ედი (ისევ ისე ზის). მთელი ტომარა ჟურნალები გიყიდე.

მეი. რომელი ჟურნალები?

ედი. მოდების... მთელი დასტა ვიყიდე აქ წამოსვლამდე. მეგონა, გაგიხარდებოდა. ძირითადად ფრანგულებია.

მეი. აა, კი... იცი, განსაკუთრებით რომელი მომეწონა? ის შენი ქალბატონი რომ ეხატა ყდაზე, ნამდვილად არაჩვეულებრივი იყო.

ედი. კარგი ერთი (დგება, მიდის მარცხენა კარისაკენ).

მეი. სად მიდიხარ?

ედი. მანქანიდან ბარგს გადმოვიღებ და დავბრუნდები.

მეი. შენ რა, აქ დარჩენას აპირებ?

ედი. ჰო, რა ვიცი, ვიფიქრე, ერთ ღამეს გავათევ-მეთქი, თუკი შენ წინააღმდეგი არ იქნები.

მეი. დამცინი?

ედი. გასაგებია, მაშინ წავალ.

მეი (წამოდგება). მოიცა... (ედი კარს მიხურავს. პირისპირ დადგებიან და ერთმანეთს უყურებენ. მეი ნელა-ნელა უახლოვდება კაცს. შედგება. ედი მისკენ რამოდენიმე ნაბიჯს გადადგამს, შედგება. ისევ დაიწყებენ მოძრაობას ერთმანეთისაკენ. პაუზა. ერთმანეთს შესცქერიან. გადაეხვევიან. ხანგრძლივი, ნაზი კოცნა. ერთმანეთს ძალზე ფაქიზად ეპყრობიან. მეი იღიმება, ედის დაჟინებით ჩაჰყურებს თვალებში, მოულოდნელად ფეხებს შუა მუხლს ამოჰკრავს. ედი ორად მოიკაკვება და იატაკზე გაგორდება. მეი დაჰყურებს. პაუზა). მე შენ ჩაგაბარგებ, ბინძურო (მეი სააბაზანოში შევა. კარს მოიჯახუნებს. კარის მიჯახუნების ხმა დამალული მიკროფონისა და დიდი დოლის საშუალებით რამდენადმე ძლიერდება. ისე რომ, როცა მსახიობი კარს კეტავს, ისმის საოცრად ინტენსიური, ხანგრძლივი ექო.

იგივე შეიძლება ითქვას მარცხენა კარზე. ედი ისევ იატაკზე წევს. ტკივილის გამო ორივე ხელი ლაჯებში აქვს ამოდებული. შუქი ნელა ქრება. მოხუცის ადგილი ნათდება. ის ედის მიმართავს)!

მოხუცი. შენ, მგონი, ილუზიონისტი ხარ... არც ისე მაგრად მოგხვდა. მაიმუნობ, ხომ ასეა?

ედი *(კვლავ იატაკზეა).* არ ვიცი.

მოხუცი. არ იცი? ჰმ... შენ თუ არ იცი, მაშ, ვინ იცის?! რალაც მინდა გაჩვენო. ნამდვილი რამ მინდა გაჩვენო, გაიგე?

ედი. კარგი, მაჩვენე!

მოხუცი. კედელზე ფოტოს ხედავ? *(უთითებს ცარიელ კედელზე. ედი იქით იყურება)* ხედავ? კარგად დააკვირდი, ხომ ხედავ?

ედი *(კედელს მისჩერებია).* კი!

მოხუცი. იცი ვინ არის?

ედი. ვერა, ვერ ვიხსენებ, ვერა ვცნობ.

მოხუცი. ბარბარა მანდრელი. ის არის. ბარბარა მანდრელი. არ გაგიგონია არასოდეს?

ედი. რა თქმა უნდა, გამიგონია.

მოხუცი. შენ დაიჯერებ, რომ ამ ქალზე ჯვარი მქონდა დაწერილი?

ედი *(პაუზა).* არა.

მოხუცი. აი, ხომ ხედავ. აი, რაში არა ვგავართ ერთმანეთს. ეს სინამდვილეა. ჰო, მე ნამდვილად დავიწერე ჯვარი ბარბარა მანდრელზე, ოლონდ ჩემს ფიქრებში. ხომ მიმიხვდი?

ედი. რა თქმა უნდა, მიგიხვდი.

მოხუცი. ძალიან კარგი. მიხარია, რომ ერთმანეთს ასე კარგად ვუგებთ *(მოხუცმა ჭიქიდან ერთი ყლუპი მოსვა, შუქი, რომელიც მას ანათებს, ნელ-ნელა ქრება, ხოლო სცენა თანდათან ნათდება. განათების ამ ცვლილებას კარის გაღება-მიხურვის ერთდროული ხმაც უფრო ეფექტურს ხდის. მეი სააბაზანოდან გამოვა. კარს ნელა მიხურავს. მკლავზე გამომწვევად აქვს გადაკიდებული წითელი კაბა, ხელში წინდები, მალალქუსლიანი ფეხსაცმელი, პატარა შავი ჩანთა და სავარცხელი უჭირავს. ტანსაცმელს საწოლზე დაყრის, ედის ზურგს შეაქცევს და თმას ივარცხნის. ედი ისევ იატაკზეა. მეი თმის ვარცხნას ამთავრებს, სავარცხელს საწოლზე მოისვრის, ტანთ გაიძრობს და წითელ კაბას იცვამს. თან ედის ესაუბრება. ის უბრალო გოგოდან ლამაზ სექსუალურ ქალად გადაიქცევა. ეს ყოველივე თითქმის შეუმჩნევლად ხდება).*

მეი *(ძალიან ცივად, მონოტონურად, თითქოს საკუთარ თავს სწერდეს წერილს).* არ მესმის, რას ვაკეთებ. ვერ ამომიხსნია, რატომ მეზიზღები ასე. ამდენი ხნის შემდეგ. არ მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ. პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მძულხარ. წმინდაო ღმერთო, შენი დანახვაც კი არ მინდა. ახლა ერთადერთი, რაც თვალწინ მიდგას, თქვენი ფოტოა. შენ და ის. არ ვიცი, ნამდვილი სურათია თუ არა. ან ამას რა მნიშვნელობა აქვს. სურათი ნამდვილად ყალბია, მაგრამ თავიდან ვერაფრით ვერ ამოვიგდე. ორნი, გვერდიგვერდ. ეს ფოტო უფრო მაგიჟებს, ვიდრე თქვენი ერთად დანახვა. ამ ფოტომ გული დამიავადა. ისე მაქვს დასერილი, ასე მგონია, ვერასოდეს ველარ მოვრჩები, ეს სახე გამუდმებით მიდგას თვალწინ, ვერაფრით, ვერაფრით ვერ ვიშორებ თავიდან. ეს რალაც მღრღნელი,

აუტანელი, მტანჯველი დარდია. ამ ტანჯვისათვის უფრო მეტად მეჯავრები, ვიდრე იმისათვის, რაც გამიკეთე.

ედი (ნელ-ნელა დგება). მივდივარ.

მეი. კარგადაც იქცევი.

ედი. რატომ?

მეი. იმიტომ, რომ ასე აჯობებს.

ედი. მე კი მეგონა, ჩემი აქ დარჩენა უფრო გერჩია.

მეი. ჩემს წასაყვანად აქ ერთი პიროვნება უნდა მოვიდეს.

ედი (ხანმოკლე პაუზა. ფეხზე დგას). აქ?

მეი. აქ, აქ.

ედი (უახლოვდება მეის ავანსცენიდან). ვინმე გყავს?

მეი (მიდის სწრაფად მარცხნივ). იცი, რამდენი დრო გავიდა, რაც წახვედი? ედი, ჰა, გინდა გაგახსენო?

ედი. ვინ არის? (ნელ-ნელა მისკენ მიდის).

მეი. თითი არ დამაკარო, იცოდე!

ედი. რამდენი ხანია რაც მასთანა ხარ?

მეი. რა მნიშვნელობა აქვს. (ედი მეის უმზერს. მოკლე პაუზა. შემდეგ გავა და კარს გაიჯახუნებს). ედი! სად მიდიხარ, ედი!

პაუზა. ედის თვალს გააყოლებს. შემობრუნდება და ფანჯარასთან მივა. ფალუზს ასწევს. გარეთ იმზირება. საწოლის წინ შეჩერდება, დაიხრება და საწოლის ქვემოდან ჩემოდანს გამოათრევს. ჩემოდანს საწოლზე დებს, ხსნის. შევარდება აბაზანაში და კარს ღიად დატოვებს. იქიდან ტანისამოსი გამოაქვს და ჩემოდანში ყრის. შეტრიალდება, თითქოს ისევ სააბაზანოში აპირებს შესვლას. შეჩერდება. მარცხნიდან ედის ნაბიჯების ხმა ისმის. ჩემოდანს დახურავს და ისევ საწოლის ქვეშ დამალავს. საწოლზე ჩამოჯდება. წამოდგება და ისევ სააბაზანოში შერბის. იქიდან სავარცხელი გამოაქვს. კარს მიხურავს. უაზროდ იწყებს თმის ვარცხნას. მარცხნიდან ედი შემოდის. კარს ხმაურით მიხურავს. ხელში ათკალიბრიანი თოფი და ტეკილას ბოთლი უჭირავს. თოფს საწოლზე დადებს.

მეი (ადგება. წინ გამოვა. თმის ვარცხნას შეწყვეტს). აჰ, შესანიშნავია. ეს რაში გჭირდება?

ედი. უნდა გავწმინდო (გახსნის ბოთლს). ჭიქები არა გაქვს?

მეი. სააბაზანოშია.

ედი. სააბაზანოში? რატომ? (ბოთლით ხელში სააბაზანოსკენ მიდის).

მეი. ყველაფერს იქ ვინახავ. ასე სჯობია.

ედი. არ გინდა ერთი ყლუპი?

მეი. არა, აღარა ვსვამ.

ედი. ძალიან კარგი. უკვე დროა. (ედი სააბაზანოში შედის. მეი თოფს აკვირდება).

მეი. ის პიროვნება ვისაც ველოდები, ძალზე სიმპათიურია. ჰო, ჰო, ბუზიც კი არ მოუკლავს. (პაუზა) ედი?

ედი. სად ჩემს ტრაკშია ეს ჭიქები?

მეი. წამლების კარადაშია.

ედი. რა უნდა ჭიქებს წამლების კარადაში? (ისმის კარადის კარის მიჯახუნების ხმა).

მეი. იმიტომ რომ სუფთაა. იქ ვინახავ, სადაც ნაგავი არ არის.

ედი. ნაგავი?

მეი. რა, ვერ გაიგე? *(ედი ბრუნდება. ჭიქაში ტეკილას ისხამს, სცენას გაივლის და მაგიდის მარცხნივ დადგება)* ედი, ვერ გაიგე რა გითხარი?

ედი. რა მითხარი?

მეი. იმ პიროვნებაზე გეუბნები, ვინც უნდა მოვიდეს.

ედი. რომელ პიროვნებაზე?

მეი. აუ, რას მაწამებს...

ედი *(ტეკილას მაგიდაზე დადგამს. სკამზე დაჯდება და სასმელს დიდ-დიდი ყლუპებით მოსვამს. მოხუცს ყურადღებას არ აქცევს)*. ასე ამ ამბის დაწყება არც ისე სერიოზული გამოდის.

მეი. ვითომდა რატომ?

ედი. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ „პიროვნება" ჰქვია.

მეი. მაშ, რა უნდა დამერქმია?

ედი. თუნდაც კაცი. ჰო, კაცი რომ გეთქვა, ალბათ ცოტას მაინც იმოქმედებდა ჩემზე, მაგრამ შენ იმას ისეთი სახელი დაარქვი, გიჟი უნდა ვიყო, რომ მაგაზე ტვინი ავიტკიო.

ედი. შენ მასე გგონია?

ედი. რაზეა ლაპარაკი. ვილაც კოსტუმში გამოწყობილი იდიოტი იქნება.

მეი. ჰო, თუ შენსავით მთელი ცხოვრება კაცს ცხენზე ჯდომით უკანალი არა აქვს დაჟეჟილი, ის არარაობაა, აბა რა?

ედი. რა თქმა უნდა.

მეი. შენ? შენ თვითონ ვინღა ხარ, რას წარმოადგენ?

ედი *(ჭიქას ნელა-ნელა დადგამს. ქალს თვალს არ აცილებს. პაუზა. ელიმება. ის ნელა და მტკიცედ ლაპარაკობს)*. მე გეტყვი როგორც უნდა მოვიქცეთ. დაველოდოთ ამ პიროვნებას. დავსხდეთ აქ და დაველოდოთ. მერე შენ თვითონ შეაფასე.

მეი. გამაგებინე, შენს გარშემო სულყველაფერი ბრძოლის ველად რატომ უნდა გადაიქცეს? რაინდული ორთაბრძოლა გინდა გამართო, არა? იმან არცკი იცის, რომ შენ საერთოდ არსებობ.

ედი. მე მსურს, რომ შენ თვითონ წარმადგინო ამ პიროვნებასთან.

მეი. მაგ ჭკუაზე ვარ სწორედ. გადაირევა კაცი, აქ რომ ერთად გვნახოს. დიდი ხანი კი არაა, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.

ედი. ის გადაირევა?

მეი. დიახ, გადაირევა. ის საოცრად დადებითი პიროვნებაა.

ედი. მართლა? ჰმ... მე კი რა, ცუდი პიროვნება ვარ? მე ხომ ცარიელი გული ვარ.

მეი. შენ მისი აჩრდილიც კი არა ხარ. *(ედი ჩუმად ზის. ნელა მოსვამს სასმელს ჭიქიდან. ბოთლს მაგიდაზე ტოვებს. მიდის საწოლთან, ჯდება. დადგამს ჭიქას იატაკზე. აიღებს თოფს. დაიწყებს დაშლას. მეი იქვე დგას და უყურებს)*. შენ მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ ბრუნდები აქ ყოველთვის. დიდი ხანია ასე იქცევი. აღარ შემიძლია ამის ატანა, აღარ. შენს დანახვაზე ცუდად ვხდები. ნამდვილი ავადმყოფი ხარ. ეჭვიანობს კიდეც და თვითონ რა გამიკეთა, იმის დარდი სულაც არა აქვს.

ედი *(პაუზა. მეის ლაპარაკისას ედი კვლავ თოფს წმენდს)*. ჩვენ შევთანხმდით.

მეი. მეზიზღები.

ედი. ჩვენ შევთანხმდით.

მეი. ჩვენ ალარაფერი გვაკავშირებს.

ედი. მაშ, ასე რატომ ღელავ?

მეი. ვღელავ არა ისა...

ედი. რა? სარკეში მაინც ჩაიხედე, ნახე რას დაეშვანე.

მეი. რას მაგიჟებ, არ ვიცი... შენ რა, ჭკუიდან გინდა გადამიყვანო?

ედი. მეი, ჩვენ გადაჯაჭვულები ვართ ერთმანეთზე. ასე იყო და ასე იქნება.

მეი. რა? ეს შენ გინდა, რომ ასე იყოს, ჩემო კარგო.

ედი. შენ მშვენივრად იცი, რაც მოხდა.

მეი. ხომ ვთქვით, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდაო. ისევ თავიდან ხომ არ დავიწყებთ? შენ ხომ დამპირდი.

ედი. არა, ეს დაუმთავრებელია, დაპირებები ამ ამბებს ვერა შველის. რაც მოსახდენი იყო, მოხდა.

მეი. არაფერიც არ მომხდარა.

ედი. ნუ მოგაქვს რა თავი ანგელოზად.

მეი *(ძალიან თავშეკავებულად)*. ედი, გთხოვ, წადი! ახლავე!

ედი. აუ, რა უნიჭო ხარ... *(მიბაძავს)* გთხოვ, წადი, ახლავე.

მეი. მე მინდა, რომ წახვიდე.

ედი. ადრე არ გინდოდა

მეი. ახლა მინდა. იმიტომ კი არა, რომ ეს პიროვნება... საქმე ის არის...

ედი. რა?

მეი. ვითომ არ იცი, ცხოველო!

ედი. ა, ჰო... დარწმუნებული ხარ?

მეი. ისევ ყველაფერი განმეორდება. ცოტახანს დარჩები და მერე ისევ გაიქცევი.

ედი. გავიქცევი.

მეი. რა თქმა უნდა. შენ ეს კარგად გეხერხება. ჯერჯერობით მხოლოდ იმიტომ რჩები, რომ მე სხვა მყავს. როგორც კი ეს ამბავი ჩაივლის, თვალსაც კი ველარ მოგკრავ.

ედი. დიახ, მე აქ იმიტომ დავბრუნდი, რომ სხვა გყავს. ხომ იცი, რომ სულ ფეხზე მკიდია ვისთან დაწვები. ვერ გამცვლი სხვაზე, ტყუილია.

მეი. გაეთრიე!

ხანგრძლივი სიჩუმე. ედი, მეის სადღეგრძელოს ნიშნად, ჭიქას მაღლა ასწევს. გამოცლის და იატაკზე დადგამს. იღიმება.

ედი. კარგი. *(წამოდგება. თოფის ნაწილებს ხელში ატრიალებს. მეი ფრთხილად უახლოვდება).*

მეი. ედი. *(ედი თავს ასწევს და მეის შეხედავს. მეი გაჩერდება).*

ედი. შენ მე მიღალატე. *(გადის თოფიანად გარეთ. მეი კართან მიირბენს).*

მეი. ედი!!!

მეი მარცხენა კარს მივარდება, მიეყრდნობა. მერე კედელს ხელგაშლილი დაუყვება ნელა ავანსცენისაკენ. თითქოს კედელს ეხვევაო. ტირის. ვიდრე მეი ავანსცენისაკენ მოდის, მოხუცი თხრობას იწყებს. ის მეის ბავშვივით ელაპარაკება. მეი განადგურებულია მომხდარი ამბით. მოხუცის მთელი მონოლოგის დროს კედელს მიუყვება ატირებული. ბოლოს მარ-

ცხენა შიგა კუთხეს მიაღწევს და მუხლებზე დავარდება. მეის ტირილისას მოხუცის თავზე პროჟექტორი აინთება. ამასობაში სცენაზე განათება კლებულობს.

მოხუცი. იცი, არის ისეთი რამ, რაც არ გავიწყდება. არ გავიწყდება, ვიდრე ცოცხლობ. თუმცა არც იცი კაცმა, რატომ გახსოვს ასე ნათლად. იუტას შტატში მივდიოდით, სამნი ვიყავით, მე, შენ და დედაშენი. ძველი პლეიმაუსით. რაღაც ხომალდის მსგავსი იყო. მთელი ღამე გზაში გავატარეთ. შენ დაიღალე და წინა სკამზე ჩაგეძინა. ძილში ატირდი, ალბათ კოშმარული სიზმარი თუ ნახე. დედაშენს გამოეღვიძა, სკამი უკან გადაშალა, რომ როგორმე დაეწყნარებინე, მაგრამ ისე ტიროდი, დედამიწის ზურგზე ვერაფერი დაგაწყნარებდა. შიგ შუაგულ უდაბნოში გავჩერდით. ბნელოდა. ხელში აგიტაცე და გვერდით გაგიყვანე. ვიფიქრე, სიბნელეში დამშვიდდება-მეთქი. მაგრამ შენ მაინც ხმამაღლა ტიროდი. უცებ რაღაც მოძრავს მოვკარი თვალი. ის ჩვენზე, ორივეზე, ბევრად დიდი იყო. პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა... *(მეი ოთხფეხზე მარჯვენა კუთხიდან საწოლისაკენ მიდის. საწოლთან ჩერდება. იღებს ბალიშს და გულში იხუტებს. ისევ მუხლებზეა დაჩოქილი. ირწევა. ბალიში ისევ ჩახუტებული აქვს. მოხუცი თხრობას განაგრძობს)*... შემდეგ იმ ცხოველს მისივე მსგავსი ცხოველები შეემატნენ. ისე ბნელოდა, თვალთან რომ თითი მიგეტანა, ვერ დაინახავდი. ეს ცხოველები ყველა მხრიდან ჩვენსკენ წამოვიდნენ, წრეში მოგვიმწყვდიეს. გაუნძრევლად ვიდექი, გავქვავდი. მანქანას გავხედე. გავიფიქრე, დედაშენს რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. მანქანა საერთოდ ვერ შევამჩნიე. მაშინ დედაშენს გავძახე. ისიც სიბნელიდან გამომეპასუხა, შენი სახელი დაიძახა. მაშინ ამ ცხოველებმა ბღავილი დაიწყეს. ყოველი მხრიდან „მუუ" ისმოდა. *(მოხუცი ბღავილს ბაძავს)*. აღმოჩნდა, რომ ნახირის შუაგულში ვიდექით. არასოდეს მინახავს ბავშვის ასეთი უეცარი დამშვიდება. ისე ვიმგზავრეთ, შენი ხმა აღარ გაგვიგონია.

მეიმ რწევა შეწყვიტა. მარცხნიდან ედის ხმა შემოესმა. სცენა ნათდება, მოხუცი კი ბნელში რჩება. მეი ფეხზე დგება. თავისი მწუხარება ავიწყდება. ერთი წამით მერყეობს, შემდეგ სკამისაკენ გაიქცევა და დაჯდება. მოსვამს ბოთლიდან ერთ ყლუპს. სკამიდან გადაიხრება და ბოთლს უყურებს, თითქოს ედის გასვლის შემდეგ მეტი არაფერი უკეთებია. ედი სწრაფად შემოდის. ხელში ორი ლასო უჭირავს. კარს მოიჯახუნებს. მეი ისევ ბოთლს უყურებს. ედი საწოლთან მივა, ერთ-ერთ ლასოს მარყუჟს გაუკეთებს და მის სიმტკიცეს შეამოწმებს. ბგერების გამოცემით დაადასტურებს მარყუჟის სიმაგრეს. მეის გადახედავს. ხელში ისევ ლასო უჭირავს. მეი ბოთლს თვალს არ აცილებს.

ედი. შენ გადაწყვიტე, რომ ძალიან კარგად მოიქცე, ხომ?

ედი ლასოს თავზე დაიტრიალებს. შემდეგ მოისვრის და საწოლის თავის ერთ-ერთ ბუნიკს ჩამოაცვამს. ლასოს მოჭიმავს, მარყუჟს დააპატარავებს. შემდეგ ლასოს ბუნიკიდან მოხსნის და იგივე მოძრაობებს უშეცდომოდ იმეორებს. მეი კიდევ ერთ ყლუპს მოსვამს, ბოთლს იატაკზე დადგამს, ედის არ უყურებს.

მეი. რას აკეთებ?

ედი. ვვარჯიშობ, ისეთი დროა, სულ ფორმაში უნდა იყო. დღეს ლაწირაკებიც კი ექვს წამში იჭერენ ხბოებს. გესმის რას გეუბნები? მხოლოდ ექვსი წამი სჭირდებათ. ექვსი წამი და არცერთი წამით მეტი. ცხენებს

ჩიტებივით დააფრენენ. გეფიცები, ეს ყველაფერი ლამის მეცნიერებად აქციეს (საწოლის გარშემო დადის და საწოლის ბუნიკებს ლასოს სტყორცნის).

მეი (ჩამქრალი ხმით. ისევ ბოთლს უყურებს). მეგონა, წახვედი, აკი თქვი, მივდივარო.

ედი (თან ლასოს ისვრის). ჰო, ვაპირებდი, მაგრამ გარეთ-რომ გავედი, გადავიფიქრე. დარწმუნებული ვარ, რომ აქ მომსვლელი არავინაა. ეგ ვილაც კაცია თუ პიროვნება შენი მოგონილია.

მეი. ჩემი მოგონილია? რატომ ვითომ?

ედი. მოკლედ, ერთით ერთია, ბარი ბარში ვართ.

მეი (ნელა მოტრიალდება ედისაკენ. ერთ ყლუპს მოსვამს, ედის უყურებს. ბოთლს დადგამს). ჩვენ ვერასდროს ვიქნებით ბარი ბარში.

ედის ეცინება, მიდის მაგიდასთან. კარგა დიდ ყლუპს მოსვამს ბოთლიდან. სასმელს პირში იგუბებს და ხმაურით ივლებს. შემდეგ უკან ხტება და მარჯვენა კედელს ეჯახება.

მეი. საკმარისია, ნუ გაგიჟდები რა ახლა ძველებურად.

ედი. კაცი გადასარევად ვიქცევი. რა ხანია ლაგამი მაქვს ამოდებული. არავითარი სასმელი, არავითარი ქალი... არაფერი, სულ არაფერი. ლამის უინტერესო ვინმე გავხდი. განა არა მაქვს უფლება, ერთხელ ჩემს ნებაზე მოვიქცე?

ედი ისევ ლასოს სროლას დაიწყებს. მეი სკამზე ზის და უმზერს.

მეი. ასე რატომ იქცევი?

ედი. ხომ გითხარი, ვვარჯიშობ-მეთქი.

მეი. მაგას არ გეუბნები.

ედი. აბა რაზეა ლაპარაკი, „ძვირფასო"?

მეი. ამ ნომრებს შთაბეჭდილების მოსახდენად ასრულებ? თითქოს დღეს შევხვდით პირველად ერთმანეთს, არა? დღეს გავიცანით ერთმანეთი. მაგ სისულელეებს ჯერ კიდევ სკოლაში მიკეთებდი.

ედის ხელი გაუშეშდება.

ედი. ჰმ... საუბარია ჩემ მიერ სიყვარულის გამოხატვის ამ უპრეტენზიო ფორმაზე, ხომ? იცი, რისი თქმა მინდა? მოკლედ, თუკი სურვილიც კი აღარ მექნება შენზე შთაბეჭდილების მოხდენისა, რა გამოდის, ალბათ ის, რომ ყველაფერი დამთავრებულია, ხომ ასეა?

მეი. ნამდვილად დამთავრებულია.

ედი. შენ კი რა, არ ცდილობ ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენას?

მეი. რა? შენ ისე მშვენივრად მიცნობ, როგორც საკუთარ ჯიბეს. მე შენ ახალს ვერაფერს შემოგთავაზებ.

ედი. როგორ, შენ ხომ ვილაც „კაცი" გყავს, რომელიც საცაა გამოჩნდება კიდეც. სხვათა შორის, ეს ჩემზე, მართალი რომ ვთქვა, არც ისეთ პატარა ეფექტს ახდენს. მე შენ უკვე ნაფტალინში ჩაგდებულად გთვლიდი.

მეი. რა ჯენტლმენი ხარ!

ედი. ახალგაზრდაა?

მეი. რა შენი საქმეა.

ედი. იწექით უკვე ერთად? (მეი მას მრისხანედ გადახედავს) ჰო თუ არა? მაინტერესებს... (პაუზა) ნულარ მეტყვი, ყველაფერი გასაგებია.

მეი. შენ ისევ პატარა ბავშვი ხარ, ეჭვიანი და ფეთიანი.

ედი იცინის, იფურთხება, ბავშვურ გამომეტყველებას იღებს, ლასოს ატრიალებს.

ედი. დარწმუნებული ვარ, ეგ შენი კაცი ნაღდად მოვა. მინდა ვნახო ერთი, როგორ შემოაბიჯებს ოთახში.

მეი. და რას იზამ რომ?

ედი *(ვარჯიშს თავს ანებებს და მეის ულიმის).* ტრაკით კაკალს ვამტვრევინებ. *(მოულოდნელად ლასოს იმ სკამს ჩამოაცვამს, რომელიც მეისთან ახლოს დგას. სკამს საწოლისკენ წაათრევს. პაუზა. ერთმანეთს დაჟინებით უყურებენ. მეი საწოლთან მივა, ჩანთას აიღებს და მხარზე გადაიკიდებს. კარისკენ წავა).*

მეი. მე აქ სპექტაკლის საყურებლად ვერ დავრჩები. *(გადის და კარს ღიად ტოვებს, ედიც გარეთ გავა).*

ედი. სად მიდიხარ?

მეი *(ხმა გარედან).* ხელი გამიშვი!

ედი *(ხმა გარედან).* მოიცა რა ერთი წამით, ერთი წამით-მეთქი. კარგი, დამშვიდდი... *(ედის მხარზე გადაკიდებული მეი უკან შემოჰყავს. მეი ყვირის, ფეხებს იქნევს, ედი კარს წიხლით მიხურავს. მეის სკამზე დასვამს. მეი წამოდგება და ედის მოცილდება. მიდის მარჯვნივ, თან კაბას ისწორებს).* ყური დამიგდე... შევიცვლები, გეფიცები, სიტყვას გაძლევ, შენი მონა ვიქნები, კარგი? თუ გინდა უთხარი, რომ შენი ძმა ვარ, თუმცა, არა, ძმა კი არა...

მეი. არავითარი სურვილი არა მაქვს.

ედი. კარგი, შენი ბიძაქვილი, ასე აჯობებს. უბრალოდ, მაინტერესებს, გავიცნობ და ჩემს გზაზე წავალ, გეფიცები.

მეი. რატომ უნდა გაიცნო, ის მარტო ჩემი მეგობარია.

ედი. მაინტერესებს, მართლაც შეიცვალე თუ ისევ ისა ხარ. ხომ იცი, ნათქვამია, მითხარ, ვინაა შენი მეგობარი, და გეტყვი, ვინცა ხარო.

მეი. იცი რა? მოდი წავალ, დავურეკავ და საბოლოოდ დავემშვიდობები, კარგი?

ედი. ძალიან კარგი. ამასობაში მეც შენს ხარახურას ჩემოდანში ჩავყრი.

მეი. შენთან ერთად ვერ წამოვალ, ედი *(უეცრად სცენას მანქანის ფარების სინათლე გადაკვეთს. შუქი ფანჯრიდან შემოიჭრება, სივრცეს გაანათებს და მარცხნისაკენ მისუსტდება. სინათლე ორ თეთრ გამჭოლ სხივს უნდა წარმოადგენდეს).* ა, კარგი *(გარბის ფანჯრისაკენ და გარეთ იხედება. ედი იცინის და სასმელს სვამს).*

ედი. რატომ გარეთ არ გაფრინდები, მიდი გავარდი და მკლავებში ჩაუვარდი. აკოცე მთვარის შუქზე.

ედი იცინის. საწოლთან მიდის. ქამარში გარჭობილ ორ დეზს დააძრობს და ჩექმებზე დაიმაგრებს. დეზები აუცილებლად ძველი და გალეული უნდა იყოს. მხოლოდ კომიქსებში დახატულ დეზებს არ უნდა ჰგავდეს. მეი სააბაზანოში შედის, კარს ღიას ტოვებს.

მეი *(სააბაზანოდან).* რას აკეთებ?

ედი. დეზებს ვიმაგრებ. მინდა ელეგანტურად გამოვიყურებოდე ამ „პიროვნებასთან". მსურს დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოვახდინო მასზე. ბოლოს და ბოლოს მე ხომ შენი ბიძაშვილი ვარ.

მეი *(გამოდის სააბაზანოდან).* შენ რომ მას თითი დააკარო, ედი...

ედი. არ ვაპირებ... მე თანამედროვე პიროვნება ვარ. თანაც მგრძნობიარე... შესანიშნავად ალზრდილი.

მეი. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი უბრალო შეხვედრაა...

ედი. ა, გასაგებია. მე კი ის ნამდვილ დუელად უნდა გადავაქცი...

ედი ხმამაღლა იცინის. თან იატაკზე დაგორავს, სიცილს–ვერ ერევა. იატაკს მუშტებს ურტყამს. მეი კარისკენ წავა, შემდეგ შეჩერდება და ედის მოუტრიალდება.

მეი. ედი, მეცი რა ერთხელ პატივი ცხოვრებაში, ამ ერთხელ მაინც...

ედი *(სიცილით)*. ყველაფერს აგისრულებ, ძვირფასო, ყველა ნატვრას. *(მისი სიცილი ისტერიული ხდება).*

მეი *(ედის მოუტრიალდება)*. ნაბიჭვარო!

მეი კართან მივა, კარს გაღებს. გარეთ ბნელა, მხოლოდ ზღურბლია განათებული. კარებში დგას და გარეთ იცქირება. პაუზა. ედი წყნარდება, მეის აკვირდება.

ედი *(კვლავ იატაკზეა)*. რას აკეთებ? *(პაუზა. მეი ისევ გარეთ იყურება).* მეი!

მეი. ის არ არის...

ედი. ა, არა?

მეი. არა, ის არ არის!

ედი. მაშ, ვინ არის?

მეი. სხვა არის, ვილაც...

ედი *(ნელა წამოდგება და საწოლზე ჩამოჯდება)*. ის ალბათ არც მოვა. არა, პიროვნება აქ არ მოვა. შენ გინდა მაეჭვიანო... რატომ? თითქოს არ ვიცოდე, რომ მარტოდმარტო ცხოვრობ აქ.

მეი. გრძელი, უზარმაზარი მერსედეს-ბენცია, მდიდრული.

ედი. ჰმ... ეს ხომ მოტელია? თუკი ვინმემ ღამე უნდა გაათიოს, მანქანა აქ უნდა დატოვოს.

მეი. ვინც აქ ღამეს ათევს, ის გრძელი, უზარმაზარი, მდიდრული მერსედეს-ბენცით არ დადის.

ედი. შენ არა, მაგრამ სხვები შეიძლება დადიოდნენ.

მეი. ეს მოტელი მერსედეს-ბენცებს არ შეეფერება.

ედი. ჰო, კარგი. მიხურე ეგ ტრაკული კარი და აქეთ გამოდი.

მეი. ამ მანქანაში ვილაცა ზის და მე მაკვირდება.

ედი *(წამოხტება)*. რაო, რას შვრებიან?

მეი. მრავლობითში არა, მხოლობითში... მდედრობითი სქესია.

ედი *(გაწვება საწოლის უკან იატაკზე)*. კარგი, ახლა რაღას აკეთებს?

მეი. ზის და ისევ მე მიყურებს.

ედი. კარს მოშორდი, მეი.

მეი. *(ნელ-ნელა მოტრიალდება ედისაკენ)*. შემთხვევით ისეთ ვინმეს ხომ არ იცნობ, ვისაც დიდი, შავი მერსედესი ჰყავს?

ედი. მოშორდი მაგ კარს.

მოულოდნელად მანქანის ფარები აინთება და შუქი გაღებული კარიდან სცენაზე შემოაღწევს. ედი კარის მისაკეტად გარბის. მეის ხელსა ჰკრავს და კარს მოაცილებს. ისმის რევოლვერის გასროლის ხმა. გასროლას შუშის

მსხვრევისა და მანქანის საყვირის ხმა მოჰყვება. მანქანა ერთსა და იმავე ხმაზე ასიგნალებს.

მეი *(ყვირის)*. ვინ არის? ვინ ჩემი ფეხებია გარეთ?!

ედი. აბა, მე რა ვიცი?

ედი შუქს ჩააქრობს. შუქი მხოლოდ სააბაზანოშილა[illegible]

მეი. ედი!

ედი. ძირს! დაწექი!

ცდილობს იატაკზე მიაწვინოს, საწოლთან. მეი იბრძვის სიბნელეში. მანქანა ისევ ასიგნალებს. დამაბრმავებელი, კაშკაშა სინათლე ისევ ანთება და ქრება. ფანჯრიდან შემოსული მანქანის შუქი სცენას ანათებს.

მეი. ვინ არის, ვინ? შენ ჩამოიყვანე ხომ, შე ბოზის გაგდებულო *(სურს დაარტყას ედის. ის კი მის იატაკზე დაწვენას ცდილობს)!*

ედი. მე რატომ უნდა ჩამომეყვანა. ვიცი, ვინ არის ან საიდან გამოტყვრა? ნუ დგები, გესმის?

მეი. შენ გამოგეკიდა, არა? ხომ ასეა? შენ წამოგცდა, რომ აქ მოდიოდი და ეგეც უკან გამოგყვა, ხომ?

ედი. არავისთვის არ მითქვამს აქ რომ მოვდიოდი. თვითონაც არ ვიცოდი, სად მოვდიოდი, სანამ აქ არ აღმოვჩნდი.

მეი. სულ შხამად ამოგადენ ამ ყველაფერს, შხამად *(ედი ბოლოს და ბოლოს მოახერხებს და მეის იატაკზე დააწვენს, თვითონ კი ზემოდან მოექცევა, რომ ქალმა ადგომა ვერ მოახერხოს. მეი ემორჩილება. მოულოდნელად სიგნალი წყდება. ფარები ქრება. გრძელი პაუზა)!* ნეტავ რას აკეთებს?

ედი. აბა, მე რა ვიცი.

მეი. თავს ნუ იკატუნებ. არ იცნობ, არა? ეგ სწორედ იმ შენი ქალბატონის მანქანაა. სწორედ მასეთად მყავდა წარმოდგენილი... *(ცდილობს ედის დაუძვრეს)*...

ედი *(შეგოჭავს)*. ნუ ფართხალებ!

მეი. არ შემიძლია, როცა ასე ვარ გართხმული და შენც ზემოდან მთელი ძალით მაწვები. რა გინდა, უნდა მოაკვლევინო ჩემი თავი მაგ შენს ფულიან ძუკნას? გამიშვი, ედი!

ისმის საბურავების ხრჭიალი ასფალტზე. ფარების შუქი ოთახს გადაკვეთს. მანქანა მიდის.

ედი. ნუ მოძრაობ, იწექი!

მეი. ვწევარ *(პაუზა. კვლავ სუნთქვაშეკრულები წვანან სიბნელეში)*. ედი, ეგ გიჟი ხომ არ არის?

ედი. ჰო, მე მგონი, ცოტა გიჟია.

მეი. მაგასთან დაეთრევი, არა? *(პაუზა)*.

ედი ფრთხილად წამოდგება. მოხრილი მივა ფანჯარასთან და ჟალუზებიდან მალულად გაიხედავს.

ედი. რა ჩათლახობაა... ჩემი მანქანის პარპრიზი ჩაუმტვრევია ამ ბოზს.

მეი *(ისევ იატაკზე წევს)*. ედი!

ედი *(კვლავ გარეთ იყურება)*. რა?

მეი. წავიდა?

ედი. არ ვიცი. მანქანის შუქს ველარ ვხედავ *(პაუზა)*. არა მგონია.

მეი *(წამოდგება. მიდის სინათლის ასანთებად)*. სანამ ნიფხავს ჩახდი-

დი, ჯერ ის უნდა გეფიქრა, რაც ამას მოჰყვებოდა (აანთებს ოთახში სინათლეს. ედი იმ წამსვე მასთან გაჩნდება).

ედი. ჩააქრე სინათლე! არ გაბედო ანთება (სინათლეს აქრობს. სცენა სიბნელეში იძირება. მეი ედის ხელსა ჰკრავს და შუქს ისევ აანთებს. სცენა კვლავ ნათდება)!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეი. ეს ჩემი სახლია!

ედი. მომისმინე! ეგ ისევ დაბრუნდება. ვიცი, დაბრუნდება, ვგრძნობ. ამ წუთას უნდა წავიდეთ სადმე. ეგ შუქი გამორთე, გესმის?

მეი. შენ არა თქვი, არ ვიცნობო?

ედი. წამოკრიფე შენი ნივთები... უნდა წავიდეთ აქედან.

მეი. არსადაც არ წამოვალ, შენს ჩასვრილ საქმეს შენვე მიხედე!

ედი. მე შენს წასაყვანად ჩამოვედი, არ გჯერა? მინდა წაგიყვანო, გესმის? შეუშვი მაგ ტვინში, რომ მიყვარხარ, დამიჯერე, ეგ ქალი ჩემთვის არაფერია, გესმის? როგორ აგიხსნა, ქათმის სკინტლია, მეტი არაფერი. ეს შენ გამოა, ახლა რომ აქა ვარ.

მეი. მე არ მინდა წამოსვლა!

პაუზა. ედი მეის უყურებს.

მოხუცის თავზე პროჟექტორი აინთება. სცენა კვლავ განათებულია. მოხუცის მონოლოგისას ედი და მეი უძრავად დგანან და ერთმანეთს უყურებენ. გაქვავებულები კი არა, ისე დგანან, თითქოს ჰაერში იყვნენ ჩამოკიდებულნი.

მოხუცი. უცნაურია, მაგრამ მე არცერთი არ მგავხართ. თქვენ ორში ჩემი თავი ვერაფრით ამოვიცანი. ორივენი თქვენს დედებს დაემსგავსეთ. აი, გაკვირდებით და ჩემი წვლილი არაფერში ჩანს. ჩემი აზრით, პირიქით, ყველაფერი გაკლიათ, რაც მე გამაჩნდა. თქვენ შეიძლება სულ სხვასაც გასჩენოდით. ვინ იცის, ასეცაა. ვერც ერთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ, რაიმეთი განსხვავებულს. იმდენი დრო გავიდა, ვინ იცის, ბევრი რამ გადამავიწყდა კიდეც. ბედმა გამილიმა და რალაც წერტილამდე მივედი. ეს იყო ყველაზე საუკეთესო ნაბიჯი, რომელიც მე გადავდგი.

მოხუცის პროჟექტორი ქრება. მხოლოდ სცენის შუქი ანთია. ედი ლასოს სტაცებს ხელს და მის დახვევას დაიწყებს. მეი ედის აკვირდება.

ედი. აღარ მივდივარ. სულ ფეხებზე მკიდია, რას იფიქრებ. არც იმის დარდი მაქვს, როგორ გრძნობ თავს. არსადაც არ წავალ, აქ უნდა დავრჩე. დიახ, სულ ცალ ფეხზე მკიდია, აქაურობა თუ ნეხვითა და სკინტლით ივსება. რიგრიგობით გამოვგვით. დედაც არ ვატირე! აი დარდი, თუკი გეზიზღები, თუკი არ გინდა ჩემი დანახვა, ან მოსმენა... ჩემი სუნის ატანა... დიახ, მე აქედან ფეხს აღარასოდეს გავადგამ. შენ ჩემი კლანჭებიდან თავს ვერ დაიძვრენ, ვერა. სად გამექცევი, ყველგან მოგაგნებ, ყველგან გიპოვი, სადაც არ უნდა იყო. მშვენივრად ვიცი როგორც მუშაობს შენი ტვინი. მე ყოველთვის მართალი ვიყავი შენთან, დიახ, ყოველთვის, ყოველთვის.

მეი. მოკეტე რა, ედი!

ედი. რატომ უნდა მოვკეტო?

მეი (პაუზა. მშვიდდებიან). კარგი, დამიგდე ყური. ვერ გამიგია შენი. მართლა ვერაფერი ვერ გამიგია. დღეს თურმე ერთბაშად ძალიან გჭირდები. დღეს თურმე უჩემოდ სიცოცხლე არ შეგიძლია. დღეს ჩემთვის ყველაფერს გაიღებ. ვითომ რატომ უნდა დავიჯერო ეს ყოველივე?

ედი. იმიტომ რომ ეს სიმართლეა.

მეი. ჰო, შენი გაგებით ეს მუდამ სიმართლე იყო. ჩემთვის კი ეს ახალი ამბავია. მთელი თხუთმეტი წელი შენს დაკრულზე ვცეკვავდი. მთელი თხუთმეტი წელი შენი სათამაშო ვიყავი. მე შენში ეჭვი არც არასდროს შემპარვია. მე ხომ შენთვის ჰიპოკრატეს ფიცი არ მომიცია. მე შენ ყოველთვის ან მიყვარდი ან მძულდი. ახლა კი, უბრალოდ, აღარ მიყვარხარ. გაიგე? ხომ გესმის ჩემი. არ მიყვარხარ. არ მჭირდები. ~~არ მიყვარხარ~~! აღარ მინდიხარ, რით ვერ შევიდა ეს მაგ შენს უტვინო თავში? თუ ამ ყველაფრის შემდეგ შენ ისევ აქ დარჩენა გაქვს გადაწყვეტილი, მაშინ დებილი ყოფილხარ და მეტი არაფერი.

მეი სცენას გადაჭრის და პარტერის წინ მაგიდასთან დაჯდება. მოსვამს ბოთლიდან ერთ ყლუპ ტეკილას და ბოთლს ისევ იატაკზე დადგამს ჯახუნით. ფარების შუქი კვლავ გადაჭრის ოთახს და მარცხნივ გაქრება. ედი სასწრაფოდ აქრობს შუქს. სცენა ბნელდება, მხოლოდ მანქანის ფარები ანათებენ.

ედი *(მეის მხრებზე მოკიდებს ხელს).* სააბაზანოში შედი!

მეი *(მის ხელებს მოიცილებს).* არ შევალ, არა! რატომ უნდა დავიმალო საკუთარ სახლში. გარეთ მინდა გასვლა, გარეთ. გავალ და თავს გავუჭეჭყავ, ტვინს დავანთხევინებ *(იგი კარისკენ წავა. ედი გზას გადაუკეტავს. მეი კივის. გააფთრებით ებრძვიან ერთმანეთს. მეი კვლავ კივის)!* შემოდი-მეთქი სახლში! შემოიტანე ეგ შენი ჩათლახური პისტოლეტი! გესმის? ეგ შენი ტრიპერიანი ხორცი და ტყავიც გამოაყოლე, დაგბდღვნი, შეგჭამ, ცოცხლად გადაგსანსლავ, შენი...

უეცრად კარი ფართოდ გაიღება და ოთახში მარტინი შემოვარდება. ესაა ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული სოლიდური ალნაგობის მამაკაცი. მას შოტლანდიური ქსოვილის მწვანე პერანგი, ფართო, ბრეტელებიანი სამუშაო შარვალი და მძიმე ჩექმები აცვია. მეი და ედი ერთმანეთს გაეცლებიან. მარტინი ედის დაეძგერება, წელზე ხელს შემოჰხვევს და სააბაზანოს კარს მიანარცხებს. მეი გაიქცევა და სინათლეს აანთებს. მარტინი ედის თავზე წამოადგება და ზევიდან დაჰყურებს. დააპირებს მუშტი ჩასცხოს, მაგრამ მეი შეაჩერებს.

მეი. მარტინ, არ მოკლა!

პაუზა. მარტინი მოტრიალდება და მეის უყურებს. გაშტერებული ედი ისევ იატაკზე წევს. მეი მარტინთან მივა, ხელს მოჰკიდებს და ედის მოაშორებს.

მეი. არაფერი არ მომხდარა, მარტინ... ეს მხოლოდ... არაფერი-მეთქი... ჩვენ მხოლოდ ვკამათობდით, დამიჯერე! არ ინერვიულო, კარგი?

მარტინი ედის მოსცილდება. ედი ისევ იატაკზეა, პაუზა.

მარტინი. ეე, მოვდივარ და უცბად ყვირილი არ მესმის? თან ყველგან შუქი ჩამქრალია. გავიფიქრე, ნამდვილად ვილაც...

მეი. არა, არა, არავინ... ეს... ეს ჩემი ბიძაშვილია, ედი.

მარტინი *(ედის უყურებს).* მართლა? აუ, ბოდიში რა...

ედი *(მარტინს თვალს ჩაუკრავს).* არ დაუჯერო, ტყუის.

მარტინი. რა?

მეი. *(მაგიდას უახლოვდება).* ყველაფერი რიგზეა, მარტინ. რას დალევ? დალევ რამეს?

მარტინი. ჰო, რა თქმა უნდა.

ედი. *(ჯიუტად არ დგება ფეხზე).* ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

მეი. გავალ, ჭიქებს მოვიტან.

მეი ედის გადააბიჯებს და სააბაზანოში შედის. მარტინი ისევ ედის უყურებს. ედიც მას უმზერს. პაუზა.

ედი. ჭიქებს სააბაზანოში ინახავს, ტუტუცი არ არის?

მეის ორი ჭიქა გამოაქვს. მიდის მაგიდასთან და ჭიქებს ავსებს.

მეი. მარტინ, მე კი მეგონა აღარ მოხვიდოდი.

მარტინი. ჰო, ბოდიში უნდა მოგიხადო. სკოლის ფეხბურთის მოედანი მქონდა მოსარწყავი, მაგრამ მთლად გადამავიწყდა.

ედი. როგორ თუ გადაგავიწყდა?

მარტინი. ჰო, სულ გადამავიწყდა. უკვე ნახევარი გზა მქონდა გამოვლილი, როცა მომაგონდა. იძულებული გავხდი ისევ უკან მივბრუნებულიყავ.

ედი. ეე, მე მეგონა, მეი გადაგავიწყდა.

მარტინი. არაა.

ედი. რამდენია მაინც ეს ნახევარი გზა?

მარტინი. რა ბრძანეთ?

ედი. მაინტერესებს, რა მანძილი გაიარე იქამდე, საიდანაც უკან დაბრუნდი?

მარტინი. აა... აბა რა ვიცი... ორი კილომეტრი მაინც ალბათ.

ედი. მარტო ორი კილომეტრი? შენ იცი, მე რამდენი კილომეტრი გამოვიარე, აქამდე რომ მომეღწია?

მეი. ჩვენ ცოტა დავლიეთ, მარტინ!

ედი. ისევ იტყუება, მაგას წვეთიც არ დაულევია.

მეი *(მარტინს ჭიქას აწვდის)*. აი.

ედი. ეგ ტეკილა ჩემია, გესმის, მარტინ?

მარტინი. ჰოო?

ედი. დალევისას ამას არა აქვს მნიშვნელობა. მინდოდა გცოდნოდა, საიდანაა ჩამოტანილი.

მარტინი. გმადლობთ.

ედი. მე რატომ მიხდი მადლობას. მადლობა მექსიკელებს უნდა გადაუხადო, იმათი ნახელავია.

მარტინი. ჰოო?

ედი. დიახ, მთელ მექსიკას უნდა უთხრა მართლაც მადლობა. ჰო, ჰო, აქ, სამხრეთში ყოველთვის მაგათი მადლობლები უნდა ვიყოთ. არ დაფიქრებულხარ ამაზე? ალბათ არა, ხომ? აი ახლაც, ამ წუთას ჩვენ მექსიკელთა მიწაზე ვართ. ოღონდ ესაა, ჩვენ მექსიკელები არა ვართ. მართლა, შენ სადაური ხარ, მარტინ?

მარტინი. მე? *(მხრებს აიჩეჩს)* არ ვიცი. აყვანილი ვარ.

ედი. ოო, ალბათ ქვეყნის პრობლემები გქონდა ამის გამო, არა?

მარტინი. არა, ნამდვილად არა!

ედი. არა? როგორ, ყველამ იცის უპატრონოები თავს ქურდობით რომ ირჩენენ, სუპერმარკეტებში დაძვრებიან და ასე შემდეგ. სხვათა შორის ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობაც სწორედ თქვენა გბრალდებათ.

მარტინი. მართლა? არ ვიცოდი.

ედი. აი ხომ გითხარ, ამიტომ გაზეთები უნდა იკითხო, ჩემო კარგო, გაზეთები *(პაუზა)*.

მარტინი. ბოდიში უნდა მოგიხადო, ასე მაგრად რომ დაგახეთქე. მეგონა, მეის რაღაც საშიშროება ემუქრებოდა.

ედი. დიახაც, ემუქრება.

მარტინი (*მეის შეხედავს*). ჰოო?

ედი. დიდი საფრთხე ემუქრება.

მარტინი. რამე ხდება, მეი?

მეი (*ჭიქით ხელში საწოლისაკენ წავა და ზედ ჩამოჯდება*). არაფერი.

მარტინი. აკი სინათლე გქონდათ ჩამქრალი.

მეი. გასვლას ვაპირებდით.

მარტინი. ჰოო...

მეი. ჰო, მართლა... თუმცა ახლა უკვე ალბათ დაბრუნებულებიც ვიქნებოდით.

მარტინი ფეხზე დგას, ედისა და მეის შუა. ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს. პაუზა. იცინის.

ედი. არა, არა, არა, ასე არ უნდა იყოს. შენ მარტინი გქვია, ხომ მართალია?

მარტინი. დიახ.

ედი. უკან ალარ დაუბრუნდებოდით, მარტინ.

მარტინი. რა?

ედი. თუ არ შეწუხდები, ეგ ბოთლი მომაწოდე, მაპატიე.

მარტინი. კი ბატონო (*მაგიდისკენ წავა*).

ედი. გმადლობთ (*მარტინი ედის ბოთლს მიაწვდის. ედი სვამს*). სიმართლე თუ გინდა, ჩვენ შენ გამო ვჩხუბობდით. აი ესაა სიმართლე.

მარტინი. ჩემ გამო?

ედი. დიახ, კამათით დავიწყეთ და ბოლოს ჩხუბზე გადავედით. ისე გავახურეთ, იძულებული გავხდით სინათლეც კი ჩაგვექრო.

მარტინი. რაზე კამათობდით?

ედი. რაზე? იმაზე, რომ ნამდვილად კაცი ხარ თუ არა. კაცი თუ მხოლოდ პიროვნება? მიხვდი? (*პაუზა. მარტინი მეის უმზერს, რომელიც თავაზიანად იღიმება. შემდეგ ისევ ედისკენ მიბრუნდება*) ამან დაიჩემა, რომ შენ პიროვნება ხარ, ერთი პიროვნებაო, ზუსტად ასე მოგიხსენია... იცოდი?

მარტინი (*ისევ მეის შეხედავს*). არა.

მეი. მე მსგავსი არაფერი მითქვამს, მარტინ, ნუ მიაქცევ ყურადღებას.

მარტინი. კარგი, რა მნიშვნელობა აქვს...

ედი. მაგრამ იცი რა, მე ამას ვუთხარი, დიდი ტუტუცია-მეთქი. ეს მანამდე, სანამ შენ გნახავდი. ახლა კი, როცა ასე ახლოს გაგიცანი, დავრწმუნდი, რომ მართალი ვყოფილვარ. გაიგე, რას გეუბნები?

მეი (*ფეხზე წამოდგება*). მარტინ, მოდი რა, კინოში წავიდეთ!

მარტინი. ჰო, მეც მაგაზე ვფიქრობდი, სწორედ რომ კინოში წასვლის დროა.

მეი. მაშ, წავიდეთ (*ედის გადააბიჯებს და სწრაფად შევა სააბაზანოში. კარს გაიჯახუნებს. პაუზა. მარტინი სააბაზანოს კარს შეხედავს. ედი ისევ იატაკზე წევს. ჩაიცინებს*).

მარტინი. ნერვები აქვს მოშლილი?

ედი. გამოიცანი.

მარტინი. არ ვაპირებდი ამის გამწარებას, არც მიფიქრია (პაუზა).

ედი. რის ნახვას აპირებთ, მარტინ?

მარტინი. ჯერ არ გადამიწყვეტია.

ედი. როგორ, ჯერაც არ გადაგიწყვეტია? ჯერ ეგ უნდა მოგეფიქრებინა და მერე აქ მოსულიყავ.

ბიბლიოთეკა

მარტინი. რა ვიცი, მაგას რის ნახვა გაუხარდება?

ედი. ეს რა შუაშია, შენ ეპატიჟები, არა?

მარტინი. დიახ.

ედი. ჰოდა, შენ სადაც გინდა, იქ უნდა წაიყვანო, ფილმი კაცმა უნდა ამოირჩიოს, წესია ასეთი.

მარტინი. რომ არ მინდა, ისეთ ფილმზე დავპატიჟო, რომელიც არ მოეწონება?

ედი. შენ რა იცი მერე, მაგას რა მოეწონება?

მარტინი. აი ამიტომაც არ ვიცი, სად წავიყვანო. მე რომელსაც ამოვირჩევ, მაგას შეიძლება ნანახიც კი ჰქონდეს.

ედი. არა, მართალი არა ხარ, მარტინ. იმიტომ ხომ არ მიგყავს კინოში, რომ ის ფილმი აჩვენო, რომელიც ჯერ არ უნახავს...

მარტინი. აბა?

ედი. კინო მიზეზია. იქ იმიტომ მიგყავს, რომ შენთან ერთად იყოს. გვერდით გინდა გყავდეს. ამიტომ შენი ნება არაა სად წაიყვან?

მარტინი. მართლაც...

ედი. თუმცა ცოტა ხანში აღარც დაგჭირდება მაგისი სადმე წაყვანა, უბრალოდ, აქ მოგიწევთ დარჩენა.

მარტინი. მერე აქ რა უნდა ვაკეთოთ?

ედი. ეე, დასხდებით და მოუყვებით ერთმანეთს ათას რამეს. სხვადასხვა ამბებს.

მარტინი. ამბებს?

ედი. დიახ.

მარტინი. მე რომ არაფერი ამბავი არ ვიცი.

ედი. შენც ადექი და გამოიგონე.

მარტინი. ტყუილები?

ედი. არა, რატომ? ტყუილი მხოლოდ მაშინ არის ტყუილი, როცა ის შენ სიმართლე გგონია. მაგრამ თუკი იცი, რომ ტყუილია, მაშინ რატომაა ტყუილი?

მარტინი (პაუზის შემდეგ). გინდა ხელი მოგცე, რომ წამოდგე?

ედი. არა, ასე მირჩევნია. ასე ბევრად ნაკლებადა ვარ დაძაბული. არ დაკვირვებიხარ, როგორ იძაბება ადამიანი, ფეხზე თუ დგას?

მარტინი. კი, როგორ არა, მუშაობისას წარამარა ჩავიმუხლებ ხოლმე.

ედი. სად მუშაობ, მარტინ?

მარტინი. ბალებს ვუვლი ყველანაირს.

ედი. ოჰო, ბალები, ველ-მინდვრები...

მარტინი. ჰო

ედი. ბალახს დაჩოქილი ჭრი?

მარტინი. ჰო, თუკი ნაპირებია გამოსახშირი. იცი, როდის უნდა მოიჭრას ბალახი კუთხეებში?

ედი. არა.

მარტინი. ან სარწყავი მილის გასწვრივ როგორ უნდა დაგლიჯო ბალახი, იცი?

ედი. ჰო, მესმის.

მარტინი. იცი, როგორ ისვენებს კაცი მუხლებზე დგომისას?

ედი. კი, კი... თუ გინდა ახლაც მუხლებზე დადექი, ჩემთვის სულ ერთია.

ბიბლიოთეკა

მარტინი *(უხერხულად იღიმება და სააბაზანოსაკენ იყურება).* არა, არა უჭირს, ვიდგები ასე ფეხზე, გმადლობთ.

ედი. როგორც შენ გინდა. თუმცა სულ უფრო დაიძაბები *(პაუზა).*

მარტინი. შენ მეის ბიძაშვილი ხარ, არა? ხომ მართალია?

ედი. აი ხედავ? ეს უკვე მაგალითად... ამის კითხვა ჩემთვის უკვე დაძაბულობის ნიშანია, ხომ ხვდები?..

მარტინი. რა ბრძანე?

ედი. შენ მეკითხები, მეის ბიძაშვილი ვარ თუ არა, ხომ? იმიტომ მეკითხები, რომ დაძაბული ხარ, თორემ შენ თვითონაც იცი, მაგის ბიძაშვილი რომ არა ვარ.

მარტინი. ვითომ რატომ უნდა ვიცოდე?

ედი. მაშ, შენ გგონია, რომ მისი ბიძაშვილი ვარ?

მარტინი. თვითონ ასე თქვა და...

ედი *(ჩაიცინებს).* მეი გატყუებს.

მარტინი *(პაუზა).* მაშ, ვინა ხარ?

ედი *(იცინის).* ახლა კი ნამდვილად დაძაბული ხარ.

მარტინი. ალბათ... ალბათ აჯობებდა წავსულიყავი. ახლავე.

მარტინი კარიდან გასვლას შეეცდება. ედი წამოხტება, მარტინს ხელსა ჰკრავს და კარს მიაჯახებს. მარტინი ფანჯრისკენ გავარდება, გახსნის და ცდილობს გადაძვრეს. ედი დაეწევა, შარვალში სტაცებს ხელს და კედელს მიანარცხებს. შემდეგ ძალით მიათრევს კედლის გასწვრივ, კუთხემდე.

ედი. არ გინდა, რა, ნუ წახვალ, მარტინ, თორემ ამ ბნელ ღამეში მთლად ეულად იგრძნობ თავს, იცოდე. მეც ბევრი მიხეტიალია გარეთ მარტოსულივით... ეს ნამდვილი კოშმარია, საშინელი *(მხრებზე ხელებს შემოაჭდობს და მაგიდისაკენ უბიძგებს)*... შემზარავი... დამთრგუნველი... მოდი აქ დაჯექი და რამე დავლიოთ. რას იტყვი?

მარტინი *(მიჰყვება ედის).* ცუდად ხომ არ გახდა?

ედი. არა, ძალიან კარგად არის, თავს ყოველთვის მშვენივრად გრძნობს. ერთი ეგაა, რომ ყველაფერში ზანტია... უნდა გაგაწამოს.

მარტინი. ჩვენ ხომ კინოში მივდიოდით.

ედი. ახლავე გამოვა. ნუ ღელავ. ძალიან უყვარს კინოში სიარული.

მაგიდას მიუსხდებიან. ედის სკამი გარედან შემოაქვს, რომელზედაც მარტინს დასვამს, შემდეგ კი თვითონ ისე დაჯდება, ნაწილობრივ მოხუცის წინ რომ მოხვდეს. მოხუცზე მინათებული პროჟექტორი ნელ-ნელა ნათდება. მაგრამ მარტინი ვერაფერს ამჩნევს. სცენის განათება არ იცვლება. მარტინი ჭიქას მაგიდაზე დგამს. ედი ჭიქას უვსებს. მოხუცი ედის პლასტმასის ჭიქას გაუწვდის. ედი მოხუცს ერთი წამით თვალებში შეხედავს და ჭიქას აუვსებს. თვითონ ბოთლიდან სვამს.

მარტინი. მაშ, რა დაემართა?

ედი. ალბათ შოკშია.

მოხუცი ჩაიცინებს და დალევს.

მარტინი. შოკში? როგორ, საერთოდ ასეა?

ედი. როგორ გითხრა, ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. რა ვინდა გითხრა, იცი? ძალიან დიდი გზა გვაქვს ერთად გამოვლილი, ჯერ კიდევ სკოლის ხანიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინი. არ ვიცოდი.

ედი. ათასობით კილომეტრი.

მარტინი. გასაგებია, ბიძაშვილები არა ხართ.

ედი. არა, რა თქმა უნდა, არა.

მარტინი. ის შენი ცოლია?

ედი. არა, ის ჩემი დაა *(ედი და მოხუცი ერთმანეთს გადახედავენ, შემდეგ ედი ისევ მარტინს მიუტრიალდება)*. ის ჩემი დედინაცვლის შვილია *(პაუზა. ედი და მოხუცი მოსვამენ)*.

მარტინი. შენი დაა?

ედი. ჰო.

მარტინი. გამოდის, რომ ჯერ კიდევ სკოლამდე იცნობდით ერთმანეთს, არა?

ედი. არა, მე არც ვიცოდი, და თუ მყავდა, როცა გავიგე, უკვე ძალიან გვიან იყო.

მარტინი. რას ამბობ!

ედი. ჰო, ასე იყო. როცა ეს ამბავი გაიხსნა, უკვე რაღაც-რაღაცები... მოკლედ უკვე ყველაფერი მომხდარი იყო.

მოხუცი თავს გაიქნევს და დალევს. გრძელი პაუზა. მარტინი ედის თვალს არ აცილებს.

ედი *(ჩაიცინებს)*. რა იყო, მარტინ?

მარტინი. უკვე ყველაფერი მომხდარი იყო?

ედი. ჰო.

მარტინი. ალბათ... უკანონოდ ხომ?

ედი. შენ წარმოიდგინე, ასეა.

მოხუცი *(ედის)*. ვინ არის ეს ტიპი?

მარტინი. ნამდვილად შენი დაა? სერიოზულად?

ედი. ნახევარი, მხოლოდ ნახევარი.

მარტინი. რომელი ნახევარი?

ედი. უკეთესი ნახევარი. ცხენებში ამ ხაზით შთამომავლობას ვითვლით.

მოხუცი. კი, ცხენებში ამას დედის ხაზი ჰქვია, არა? დედის ხაზი... უცნაურია , რამ გამახსენა.

მარტინი. და ის რაღაც, როცა სკოლაში დადიოდით, უკვე მაშინ ჩაიდინეთ?

ედი. რა თქმა უნდა. ყველამ ჩავიდინეთ რაღაც-რაღაცები, როცა სკოლაში დავდიოდით. შენ რა, არა?

მარტინი. არა, მე ეს არასოდეს ჩამიდენია.

ედი. არადა, შენთვის ნამდვილად აჯობებდა ჩაგედინა, მარტინ.

მარტინი. ეე... ჩემს დასთან?

ედი. არა, მაგას არ გირჩევდი.

მარტინი. კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა მაინც... მინდოდა მეთქვა...

ედი. ჰო, იცი (*პაუზა. მოხუცს შეხედავს*)... ჩვენ ერთი მამა გვყავდა, რომელმაც ორჯერ გამოსცადა სიყვარული ცხოვრებაში. ჯერ დედაჩემი უყვარდა, მერე დედამისი. ჰო, ასე იყო.

მოხუცი. ეს ერთი და იგივე სიყვარული იყო. შუაზე გაყოფილი ერთი სიყვარული. აი სულ ეს იყო.

მარტინი. ეს როგორ მოხდა, რომ სკოლამდე ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდით?

ედი. ის ორმაგ ტვირთს ეწეოდა. აი რატომ. ორი ცხოვრება ერთმანეთს გადააჯაჭვა. ხან ჩვენთან ცხოვრობდა, ჩემთან და დედაჩემთან. ხანაც აიბარგებოდა და მათთან მიდიოდა.

მოხუცი. შენ ცოტა მკაცრი ხარ ჩემდამი, შვილო. ეს ყველას შეიძლება დაემართოს.

მარტინი. მერე შენ ვერაფერს ხვდებოდი?

ედი. ვერა. ვერც დედაჩემი.

მოხუცი. იმან იცოდა.

ედი (*მარტინს*). არა, დედაჩემმა არაფერი იცოდაე.

მარტინი. ვფიქრობ, უნდა მიმხვდარიყო.

ედი. იქნებ იცოდა კიდეც, მაგრამ ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს. ან იქნებ ამ ამბის გახმაურებისა ეშინოდა? ანდა, უბრალოდ, ძალიან უყვარდა ქმარი, არ ვიცი. მამაჩემი თვეობით გადაიკარგებოდა ხოლმე, ის კი მაინც არაფერს ეკითხებოდა, ყოველთვის უხაროდა მისი დაბრუნება. როგორც კი მის სტუდებეკერს მინდორში თვალს მოვკრავდით, ორივენი გარეთ გავცვივდებოდით ხოლმე მის შესახვედრად.

მოხუცი (*ედის*). ის სტუდებეკერი არ იყო. ჩემი მანქანა ფლეიმაუსი იყო. არასდროს მყოლია სტუდებეკერი.

ედი. ეს ამბავი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ის ხან გამოჩნდებოდა, ხან კი გაქრებოდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც ამ ყველაფერს წერტილი დაესვა. ის სახლში დაჯდა და ალარსად მიდიოდა. იჯდა თავისთვის სავარძელში და სიცარიელეს გაჰყურებდა. შემდეგ კი გაუთავებელი სეირნობები წამოიწყო. სულ სადღაც დაეხეტებოდა, განურჩევლად, დღეცა და ღამეც. მოიგდებდა თავის ძველ პალტოს მხრებზე და ღამის წყვდიადში მინდორში გაუჩინარდებოდა. მე კი ჩუმ-ჩუმად ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვუთვალთვალებდი.

მარტინი. სად მიდიოდა ხოლმე?

ედი. დაეხეტებოდა და მორჩა.

მოხუცი. რაღაც უნდა გადამეწყვიტა.

ედი მარტინს წამოდგომაში ეხმარება, ხელს გადახვევს და ვიდრე თხრობას დაიწყებს, სცენას შემოატარებს. მარტინი წინააღმდეგობას უწევს, ედის კი იგი ხელისკვრით შიჰყავს.

ედი. ერთ ღამესაც ვთხოვე, მეც წამოგყვები-მეთქი, და მან მართლაც თან წამიყვანა. მინდვრები ერთად გადავსერეთ. ბნელოდა. მიწა ახალი გადახნული იყო და ბელტებს შორის გზას ძლივს მივიკვლევდით. ფეხსაცმელებში მიწა მეყრებოდა. მინდოდა შევჩერებულიყავ და მიწა უკან გადმომეყარა, მაგრამ მამაჩემი შეუსვენებლად მიიწევდა წინ. და მეც იმის შიშით, რომ იმ წყვდიადში კვალი არ დამეკარგა, ვცდილობდი არ ჩამოვრჩენოდი. ხმას არც ერთი არ ვილებდით. მუნჯებივით ჩუმად მივდიოდით. იმ კუნაპეტში დროდადრო ბაჭიებზე მონადირე თეთრი ბუები გამოჩნდე-

ბოდნენ ხოლმე. ფრთებით თითქმის თავზე გვეხებოდნენ და ისევ წყვდიადში უჩინარდებოდნენ. ამ სიჩუმეში გავიარეთ კილომეტრები და ქალაქს მივაღწიეთ. შორს დიდი სარეკლამო სტენდი გამოჩნდა მოძრავი, ფერადი ლაქებით. სახეები შორიდანვე შევამჩნიე, მალე ერთ-ერთის გარჩევაც კი შეეძელი. ეს სპენსერ ტრეისი იყო. პირს კი აღებდა, მაგრამ ხმა არ მესმოდა. წითელ კაბიან ვიღაც ქალს ელაპარაკებოდა. ჩვენ სასმელების მაღაზიის წინ გავჩერდით. მამაჩემი ერთი ბოთლის საყიდლად შიგნით შევიდა. მე კი გარეთ მანქანების სადგომთან ვუცდიდი, სადაც ვიღაც მექსიკელ მუშებს ტალახიანი სატვირთო მანქანა გაეჩერებინათ, წინ ლუდის ყუთი დაედგათ და იქვე სვამდნენ. ბევრს ხარხარებდნენ. არ ვიცი რატომ, მაგრამ მახსოვს, რომ შემშურდა მათი. შემდეგ ვიტრინის მილმა მოხუცს მოვკარი თვალი. სასმელის ფულს იხდიდა. მახსოვს, რაღაც ყრუ ტკივილი ვიგრძენი, არ ვიცი რატომ. მამა ბოთლით ხელში გამოვიდა მაღაზიიდან. ბოთლი ყავისფერ ქაღალდის პარკში ედო. მექსიკელებმა, როგორც კი თვალი მოჰკრეს, მაშინვე შეწყვიტეს სიცილი. ასე ჩუმად, უხმოდ გვიმზერდნენ, სანამ იქაურობას არ გავეცალეთ *(ამ ამბის თხრობისას სცენის განათება მომწვანო-მოლურჯო ხდება, როგორც სავსე მთვარის დროს)*. ქალაქი გავიარეთ, უკან დარჩა ტკბილეულის მაღაზია, გოლფის მოედანი, ავტოსადგური... მამაჩემმა ბოთლი გახსნა და ჯერ მე შემომთავაზა. გამოვართვი, ერთი ყლუპი მოვსვი და მივაწოდე. ასე რიგრიგობით ვსვამდით, სანამ სულ არ გამოვცალეთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამოგვიღია. ბოლოს კი ერთ თეთრ სახლს მივადექით, აივანზე წითელი ხალიჩა იყო გადმოფენილი. სახლი ქალაქის მეორე მხარეს იყო. ის წითელი ხალიჩა არასოდეს დამავიწყდება, რადგან ღამის შუქს ირეკლავდა, შიგნიდან კი აივნის შუქი ეფინებოდა. უდაბნოს მხრიდან ცხელი ქარი უბერავდა, ხოლო ჰაერში მოთიბული ბალახის სურნელი ტრიალებდა. მამაჩემმა ზარი დარეკა. მახსოვს, რა დაძაბული ვიყავი, არ მეგონა, თუ ვინმეს უნდა ვწვეოდი. ვფიქრობდი, გავისეირნებდით და უკან დავბრუნდებოდით. ამასობაში კარი გაიღო და ზღურბლზე ლამაზი ქალი გამოჩნდა, რომელსაც გრძელი წითელი თმა ჰქონდა. ის მამაჩემს მკლავებში ჩაუვარდა. იმან კი ბლავილი მორთო, აზლუქუნდა ჩემ თვალწინ. ქალი ზედ ეკვრება, კოცნის, ის კი დგას და ბავშვივით ტირის. უეცრად მათ უკან კარებში გოგონას მოვკარი თვალი. *(სიჩუმეში ნელა იხსნება სააბაზანოს კარი და წითელ კაბაში გამოწყდობილი მეი გამოჩნდება. სააბაზანოდან ყვითელი შუქი შემოდის. მეი ედის მიაჩერდება. ედი და მარტინი კი ვერ ამჩნევენ)*, დამდგარა და მიყურებს. მეც თვალი გამიშტერდა. ვდგავართ და ერთმანეთს თვალს ვერ ვაცილებთ. თითქოს ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ საიდან, ვერაფრით ვიხსენებ. ერთ რამეს კი ორივენი იმ წამს მივხვდით, რომ ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი.

გაბრაზებულმა მეიმ კარი მიაჯახუნა.

სცენა ჩვეულებრივ ნათდება.

მეი *(ედის)*. ნამდვილი დამთხვეული ხარ, აუტანელი! გვესტუმრა მარტინი, კაცი, რომელიც არასდროს გინახავს, შენ კი დამდგარხარ და ოჯახის ამბებს უყვები. ნამდვილი დარტყმული ხარ. არ დაუჯეროთ არაფერი, მარტინ. უკვე რამდენი წელია ამ გიჟურ ამბავსა ჰყვება. თავისი გამოგონილია, ყველაფერი, ყველაფერი... გიჟია, დარტყმული. ვერ გამიგია, საიდან მოსდის ასეთი სისულელეები თავში. მთლად გააფრინა.

ედი (*მარტინს*). ერიდება ამ ამბის გამხელა, რცხვენია, ხომ გესმის? არც გაემტყუნება.

მარტინი. მეგონა, არ გესმოდა ჩვენი საუბარი, მეი. მე...

მეი. ყველაფერიც გავიგე. ძალიან ყურადღებით ვუსმენდი. ეს ამბავი ერთი ათასჯერ მაინცა აქვს მოყოლილი, სულ სხვადასხვანაირად ხმოლოდ.

ედი. არ მიყვარს გამეორება... არაფერში.

მეი. შენ სწორედ ერთსა და იმავეს იმეორებ. სულ ერთსა და იმავეს. ყოველთვის ერთ თემას ატრიალებ.

მარტინი (*დგება*). ალბათ ჯობს წავიდე.

ედი. არა, შენ უნდა დაჯდე (*დუმილი. მარტინი ნელა ჯდება. ედი მას მშვიდად მიმართავს*). შენ რა, რაც მე გიამბე, მართლა ტყუილი გგონია? მარტინ, გჯერა, რომ მე ეს ყველაფერი მოვიგონე?

მარტინი. არა. როცა მაგას მიყვებოდი, ყველაფერი სიმართლე მეგონა.

ედი. ახლა კი აღარ არის არა სიმართლე? იმიტომ, რომ ეს ამტკიცებს, ტყუილიაო, ხომ?

მარტინი. ეე...

ედი. რადგან მაგან თქვა, ტყუილიაო, შენც იმ წამს დაეთანხმე, არა? ხომ ასეა? წელან გჯეროდა, ახლა კი ერთ წამში გადაგიტრიალდა ტვინი, ხომ?

მარტინი. არ ვიცი.

მეი. წავიდეთ რა კინოში, მარტინ.

მარტინი დგება.

ედი. იჯექი (*მარტინი ჯდება. გრძელი პაუზა*).

მეი. ედი (*პაუზა*)...

ედი. რა გინდა?

მეი. ჩვენ გვინდა, რომ კინოში წავიდეთ (*პაუზა. ედი მეის შეხედავს*), მე მინდა მარტინთან ერთად კინოში წავიდე. ამ წუთას.

ედი. აქ არავინ დადის კინოში. ვერც ერთი ფილმი, რომელიც დღეს ამ ქალაქში გადის, ახლოსაც კი ვერ მოვა იმ ამბავთან, რასაც ახლა გიამბობთ. ყველაფერი უნდა მოვყვე, ბოლომდე.

მეი. ედი...

ედი. მარტინ, არ გინდა გაიგო, როგორ დამთავრდა ეს ამბავი?

პაუზა. მარტინი ჯერ მეის შეხედავს, მერე ედის.

მარტინი. რა თქმა უნდა.

მეი. მარტინ, წავიდეთ რა, გთხოვ!

მარტინი. მე (*გრძელი პაუზა. მარტინი და ედი ერთმანეთს უყურებენ*)...

ედი. შენ... რა?

მარტინი. მინდა გავიგო, როგორ დამთავრდა, თუკი მოყვები...

მოხუცი (*თავისთვის*). ეგ მეც მინდა ვიცოდე.

ედი სკამის ზურგს გადაეყრდნობა. ჩაიცინებს.

მეი (*ედის*). ნეტავ რაში გჭირდება. გგონია, მაგით რაიმე შეიცვლება?

ედი. არა.

მეი. ჰოდა, რად გინდა?

ედი. ისე...

მეი. მაშ, რატომ აიძულებ ყველას მარტო შენ გისმინონ?! მარტინს ცალ ფეხზე ჰკიდია ეგ შენი სისულელეები... მე — მით უმეტეს.

ედი. ვიცი, არ გინდა ამის მოსმენა.

მეი. არა, ასე ადვილად ვერ გამოძვრები. მაგ ამბავს სულ უკულმა ჰყვები, როგორც შენ გაძლევს ხელს, ისე. უკვე ეშმაკიც ვერ მიხვდება მაგის თავსა და ბოლოს. ძალიან კარგი, ძალიან კარგი. არავინაც არ მჭირდებით, არავინ. არც ერთი არა მჭირდებით, იმიტომ, რომ ვიცი, რითაც დამთავრდება ეს ამბავი. გადასარევად ვიცი, რითაც დამთავრდება *(მიმართავს ედის, რომელიც ისევ ზის)*, ვიცი, როგორც იყო, დაწვრილებით ვიცი ყველაფერი, რა სცენის დადგმასაც აპირებ.

მოხუცი *(ედისკენ გადაიხრება, ჩუმად)*. რა იცის?

ედი *(მოხუცს)* ტყუის.

თხრობის დროს სინათლე კლებულობს. მეი ნელ-ნელა სცენის შუაგულისაკენ მიდის და მოხუცს უახლოვდება.

მეი. თუ გინდა, მე დავამთავრებ მაგ შენი ამბის მოყოლას, ჰა? თუ გინდა მე მოვყვები *(პაუზა. მარტინი ისევ დაჯდება)*. იცი, დედაჩემი, ლამაზი წითელთმიანი ქალი, წითელხალიჩიან თეთრ სახლში რომ ცხოვრობდა, გიჟდებოდა მოხუცზე, ისე უყვარდა. იცი თუ არა, ედი? დიახ, შენ ეს მშვენივრად იცი. ეს მის თვალებშიაც კარგად იკითხებოდა. ეს რაღაც სიშმაგეს უფრო ჰგავდა. უიმისოდ ერთ წამსაც კი ვერ ძლებდა. ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და დაეძებდა. კვალზე დაჰყვებოდა, კვალზე, რომელსაც მოხუცი შემთხვევით ტოვებდა ან ღია ბარათზე, ან ასანთის კოლოფზე წაწერილი მოტელის სახელის მიხედვით. *(მარტინს)* მას არც ტელეფონის ნომერი და არც მისამართი არ დაუტოვებია დედაჩემისთვის. იმიტომ, რომ დედაჩემი მისი საიდუმლოება იყო, ხომ გესმის? დედაჩემი წლების განმავლობაში ასე დასდევდა უკან. ის კი ცდილობდა ახლოსაც არ გაეკარებინა. ეს მისი გაორებული ცხოვრება, მისი ორი ქალი თუ ორი შვილი რაც უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მით უფრო მეტად ღელავდა და სასოწარკვეთა იპყრობდა. იმაზე ფიქრიც კი აძრწუნებდა, რომ მისი ორი ცხოვრება ერთმანეთს გადაებმებოდა და გადაყლაპავდა. რომ ეს მისი საიდუმლოება ყელზე დაადგებოდა და დაახრჩობდა. დედაჩემმა ბოლოს მაინც მიაგნო მის კვალს. მახსოვს ის დღე, ქალაქში რომ ჩავედით. დედა თითქოს ნემსებზე იჯდა: „ესაა", „ის ადგილია" — განუწყვეტლივ იმეორებდა ამ სიტყვებს. აკანკალებდა, ვიდრე ქუჩა-ქუჩა მისი სახლის ძებნაში დავეხეტებოდით, ხელს ხელზე ისე მაგრად მიჭერდა, მეშინოდა, თითები არ მოემტვრია ჩემთვის. აიკვიატა, შეიძლება ქუჩაშიც კი გადავეყაროო. გრძნობდა, რომ მის ტერიტორიაზე შეიჭრა, აკრძალულ ზონაში, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. მთელი დღე ასე დავწანწალებდით, ყველა ფანჯარაში ჯაშუშებივით ვიხედებოდით, ყველა ოჯახს ვაკვირდებოდით და ბოლოს მაინც მივადექით მის სახლს. *(პაუზა)* ვახშმობის დრო იყო. მთელი ოჯახი მაგიდას შემოსხდომოდა და შემწვარ ქათამს მიირთმევდა. ფანჯრიდან მართლაც კარგად მოჩანდა რას ჭამდნენ. ხმებიც კი გამოდიოდა, თუმცა სიტყვებს ვერ ვარჩევდით. ედი და დედამისი ლაპარაკობდნენ, მოხუცი კი პირსაც არ აღებდა. ასე არ იყო, ედი? იჯდა დადუმებული, ჭამდა და თეფშს ჩასჩერებოდა.

მოხუცი. გესმის, რაებს ამბობს? ნამდვილად გაგიჟდა. შენ უნდა ჩაერიო, უთხარი .რამე!

მეი. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ცოტა ხანში იგი ისევ გაქრა. დედაჩემმა მარტო ორი კვირა გაატარა მასთან ერთად და ისევ გაქრა. მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს. აღარასოდეს. დედაჩემი მწუხარებისგან გაგიჟდა. ვერ გავიგე, არ მესმოდა რა სჭირდა. ისე იქცეოდა, თითქოს ახლობელი გარდაცვლოდა. გაოგნებული და გათანგული გამუდმებით იატაკს ჩაჰყურებდა. მე კი თავს საოცრად ბედნიერად ვგრძნობდი, მე შეყვარებული ვიყევი, გესმის? ედისთან ყოფნის შემდეგ სახლში ვბრუნდებოდი, სიხარულისაგან ცაში დავფრინავდი. შინ კი გაქვავებული დედაჩემი იდგა და ზღვის ნიჟარას უაზროდ მისჩერებოდა. თვალები ცრემლებისა და ტკივილისაგან დასიებოდა... არ ვიცოდი, რა მეთქვა. თუმცა მისი ამბავი გულთან არ მიმქონდა. მაშინ მხოლოდ ჩემი სიყვარული მაღელვებდა.

მოხუცი *(ედის)*. ახლა უკვე ზედმეტები მოსდის.

მეი. ისიც მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა, ასე არ იყო, ედი? უერთმანეთოდ სუნთქვაც არ შეგვეძლო, ფიქრიც კი არ შეგვეძლო უერთმანეთოდ. ღამეები ნამდვილი წამება იყო ჩვენთვის, ვერ ვიძინებდით, რადგანაც ერთად არ ვიყავით. ორივენი ავად გავხდით. დედაჩემმა ექიმთან წამიყვანა. ედიც ექიმთან წაიყვანეს. თუმცა ექიმმა ვერაფერი დაადგინა, იფიქრა, გაციებულიაო. ვერც ედის დედას ვერ გაეგო ვერაფერი. მაგრამ დედაჩემმა — დედაჩემმა — მაინც მშვენივრად იგრძნო, რაშიც იყო საქმე. შინაგანად იგრძნო. ეს სიმპტომები მისთვის ნაცნობი იყო. მეხვეწებოდა, მევედრებოდა, ედის არ დავლაპარაკებოდი. მე კი არ ვემორჩილებოდი. შემდეგ ედის შეეხვეწა, ჩემთვის თავი დაენებებინა, მაგრამ არც იმან ათხოვა ყური, ამის გაგონებაც არ სურდა. რა ექნა, ადგა და ედის დედასთან მივიდა, მასაც შეევედრა. ედის დედამ კი *(პაუზა. ედის შეხედავს)*... ედის დედამ კი შუბლში ტყვია დაიხალა. ხომ მართალია, ედი? მან ტვინი დაანთხია.

მოხუცი *(წამოდგება, ედისა და მეის მიუახლოვდება)*. მაცალეთ ერთი წამით, თუ ღმერთი გწამთ, სულ ერთი წამით. ეს ყველაფერი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. *(მიუბრუნდება ედის, რომელიც ისევ ზის)* რატომ აბედინებ ამდენს, რატომ? ეს ვერსია ყველაზე იდიოტურია, რაც კი სიცოცხლეში გამიგია. თითიდან არის გამოწოვილი... არა კაცს არ უთქვამს ჩემთვის ასეთი რამ *(მიმართავს ედის, რომელიც ისევ ზის)*... წამოდექი, თუ ღმერთი გწამს, წამოდექი! მინდა ამ ამბის მამაკაცური ვერსია მოვისმინო. ახლა ის უნდა თქვა, რაც ნამდვილად ვარ. ილაპარაკე ჩემ მაგიერ. შენს მეტი ამას ვერავინ იტყვის. წამოდექი! *(ედი ნელა დგება. უყურებს მოხუცს)*. მიდი, ილაპარაკე, თქვი ის, რაც იყო და როგორც მოხდა. შენ მე სიტყვა მომეცი, არ დაგავიწყდეს.

ედი *(მშვიდად მოხუცს)*. ის შენი თოფი იყო. იმ თოფით იხვებზე სანადიროდ დავდიოდით. ბრაუნინგი. დედაჩემს თოფი არასდროს გაუსვრია. მაშინ ეს პირველად მოხდა.

მოხუცი. ჩემთვის არ უთქვამს არაფერი. არავინ შემატყობინა.

ედი. ვინმემ იცოდა, სად იყავი?

მოხუცი. მომძებნიდით. მიპოვიდით. ეს არც ისე ძნელი უნდა ყოფილიყო.

ედი. რომ არავინ იცოდა სად იყავი?

მოხუცი. კარგი, არ იცოდით... მართალია... მაგრამ მე თქვენთან სულ კავშირი მქონდა. მე ის არასდროს გამიწყვეტია. ასე მგონია, რომ არც არსად წავსულვარ როდისმე. *(მიუბრუნდება მეის)* მაგრამ დედაშენი — დე-

დაშენი — არ მემორჩილებოდა, ხომ ასეა? (*მოხუცი მეის უახლოვდება და პირდაპირ ელაპარაკება. მეი კი ედის უყურებს, რომელიც მისკენ ნელ-ნელა ბრუნდება. მოხუცის მონოლოგისას მათი მზერა ერთმანეთს შეხვდება. ასე გრძელდება ბოლომდე*). სულ თავისი უნდოდა გაეტანა. ბოლოს თავისი გაეტანა და ყველაფერზე წავიდოდა. ასეთი ბუნება ჰქონდა. მე თავიდანვე გამოვუცხადე, ჩემთან ვერაფერს გახდები-მეთქი. დამიგდო ყური? არაფრის გაგონება არ უნდოდა. ხელს ხომ ვერა ვკრავდი, ხომ იცი, როგორც ვუყვარდი. როგორ მიმეტოვებინა. ჩვენ ხომ ერთნი ვიყავით. (*ედი და მეი უძრავად დგანან და ერთმანეთს უყურებენ. მოხუცი ახლა ედის მიმართავს*). რას აპირებ? თქვი! შენ ჩვენს მხარეს უნდა იყო. უთხარი ეს, შეაგნებინე! (*ედი და მეი ერთმანეთს უახლოვდებიან*) მოშორდი!(ეს რა ეშმაკი შეგიჩნდა! ნუ უახლოვდები-მეთქი, ნუ! არა გაქვთ ამის უფლება. შენ ჩემს მხარეს უნდა იყო! მე შენს მეტი ალარავინ არა მყავს უკვე! შენ მაინც ნუ მიღალატებ. შენ უნდა მე დამემსგავსო, გესმის? შენ ჩემი შვილი ხარ! კაცი, მამაკაცი!

ედი და მეი სცენის შუაგულში ერთმანეთს გადაეხვევიან. ერთმანეთს ნაზად კოცნიან. ფანჯრიდან მანქანის ფარების შუქი შემოიჭრება და სცენას გადაკვეთს. ისმის შეჯახების, მინების მსხვრევის, აფეთქების ხმა. ცეცხლის ენები მოწითალო-მოლურჯოდ ანათებენ ფანჯრის მინებს. ცხენები გაშმაგებული ჭიხვინებენ. ისმის მათი ფლოქვების თქარათქური, რომელიც ნელ-ნელა წყდება. შემდეგ სიჩუმე ისადგურებს. ხანძრის ალის შუქი პიესის დასასრულამდე გრძელდება. ედი და მეი ისევ გადახვეულები დგანან. გრძელი პაუზა. არავინ არ იძვრის. მერე მარტინი დგება და ფანჯარასთან მიდის. პაუზა. მარტინი ფანჯრიდან ცეცხლს გაჰყურებს.

მარტინი. შენია ეს ცხენების გადასაყვანი უზარმაზარი სატვირთო მანქანა?

ედი. (*ისევ მეის ეხვევა*). ჰო.

მარტინი. ცეცხლშია გახვეული.

ედი. ჰო.

მარტინი. ცხენებმა აიწყვიტეს.

ედი. (*მეის ერთი ნაბიჯით მოსცილდება*). ჰო, ასეც ვიცოდი.

მეი. ედი...

ედი (*მეის*). გავალ, ერთხელ მაინც შევხედავ. მინდა უკანასკნელად შევავლო თვალი.

მეი. რაში გენალვლება?

ედი. არ ვიცი. რა ვუყო, ასე ხომ ვერ მივატოვებ? შევხედავ და მოვალ. (*მიდის კარისკენ*) ერთ წამში დავბრუნდები.

მეი. ედი...

ედი. სულ ერთი წამით... მივალ, თვალს შევავლებ და იმ წამს დავბრუნდები, კარგი?

ედი გადის. მეი კარს უყურებს. არ იცის, რა ქნას. მარტინი ფანჯარას მოსცილდება და მეის უახლოვდება. პაუზა. მეი საწოლთან მივა, დაიხრება, ჩემოდანს აიღებს, დადებს საწოლზე და გახსნის. შედის სააბაზანოში. ტანისამოსი გამოაქვს და ჩემოდანში აწყობს. მარტინი მეის უყურებს, ნელა უახლოვდება.

მარტინი. მეი (*მეის ისევ ტანისამოსი გამოაქვს სააბაზანოდან. ტანსაცმელს კეცავს*). დახმარება არ გინდა? მანქანითა ვარ. თუ გინდა გაგა-

ცილებ (პაუზა. მეი ტანისამოსს ჩემოდანში აწყობს). შენ მას უნდა გაჰყვე (მეი შეჩერდება. კაბას გაისწორებს. მარტინს შეხედავს. პაუზა).

მეი. ის წავიდა.

მარტინი. ხომ თქვა, ერთ წუთში დავბრუნდებით?

მეი (პაუზა). ის წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეი იღებს ჩემოდანს და გარეთ გადის. კარს გაღებულს დატოვებს. მარტინი დგას და კარს გაჰყურებს. მოხუცი ჯერ თავის სარწეველა სავარძელს შეხედავს, მერე სიცარიელეს მიაჩერდება. პაუზა. მოხუცი თავის ადგილს უბრუნდება.

მოხუცი (უთითებს სიცარიელეზე). იმ ფოტოს ხომ ხედავ ზევით? ხედავ? იცი, ვინ არის? ის ჩემი ოცნების ქალია. ეს ის არის. ის ჩემია. მხოლოდ ჩემი. სამუდამოდ, სამარადისოდ.

სავარძელში ჯდება. სიცარიელეში ისევ თავის წარმოსახულ ფოტოს უყურებს. ნელა-ნელა ირწევა. როგორც კი მოხუცი სავარძელში ჩაჯდება, გაისმის მერლი ჰაგარდის სიმღერა: „მე ის ვარ, ვისაც უყვარხარ". განათება სუსტდება. მარტინი ფანჯარასთან მიდის. გარეთ იხედება. მაყურებლისაკენ ზურგშექცეული. ხანძრის შუქი ისევ ელავს ფანჯარაში. ამასობაში სცენის განათება სუსტდება. მოხუცი ნელ-ნელა ირწევა სავარძელში. სცენა ბნელდება. ხანძრის შუქი ისევ იელვებს და ჩაქრება. სიმღერა ნელ-ნელა წყდება და სიჩუმე ისადგურებს.

ფარდა

მიგელ დე უნამუნო

სიყვარული და პედაგოგიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერალი ამ ნაწარმოებს უძღვნის მკითხველს

ესპანურიდან

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

პროლოგი

მავანი იტყვის, ეს თხზულება მწერლის სავალალო, თანაც ფრიად სავალალო შეცდომაა და ექნება კიდეც ცმისი საბაბი.

უთუოდ ახირებამ თუ სულსწრაფობამ, ყოველთვის და ყველაფერში ამ მზაკვარმა მრჩევლებმა, დააწერინა ეს რომანი, — თუკი ამას რომანი ჰქვია, — ჩვენ თავად ვერ ვიკისრებთ ამ ჟანრის განსაზღვრას. კაცი ვერ გაუგებს, მაინც რისი თქმა სურს ავტორს, და წიგნის მთავარი წუნიც ეს გახლავთ. ეტყობა, მწერალს ბევრი მავნე წიგნი წაუკითხავს და სწორედ ამიტომაც აჰკვიატებია სრულიად უგუნური სურვილი, ახირებულ კაცად წარმოაჩინოს თავი, წეროს ათასგვარი უცნაურობანი და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, სულ შხამი და ბალღამი ანთხიოს. მართლაც, წიგნში პირველი სტრიქონიდან მოყოლებული ბოლომდე, ერთთავად ვილაცას თუ რალაცას ედავება და გამუდმებით ბუზღუნებს.

ეს ჩვენი რომანი უხამსი მახვილსიტყვაობის, უგერგილო ქილიკისა და სულელური აზრების ნამდვილი დომხალია და თუ ალაგ მაინც გაიელვებს ორიოდ დახვეწილი გამონათქვამი, იმასაც უმალ კონსეპტისტური ტალღა გადალეკავს ხოლმე. ჩანს, ავტორი, ასე თუ ისე, მაინც ერიდება თავისი პირით ილაპარაკოს ამდენი აბდაუბდა და ეშმაკურ ხერხს მიმართავს — ყველაფერს, რასაც სინამდვილეში თვითონ ფიქრობს, ვითომ ხუმრობით, სულ იმ თავის მასხარა და ყეყეჩ პერსონაჟებს ათქმევინებს. თუმცა ეს ხერხი ბევრისთვის უცხო კი არ არის, მაგრამ მისაბაძად და სანიმუშოდ სულ ერთია, მაინც ვერ მივიჩნევთ.

მავანს ეგებ მოეჩვენოს, რომ ეს რომანი იმდენად სისულელის წინააღმდეგ არ არის მიმართული, — რაც ხშირად იჩენს ხოლმე თავს მეცნიერებას მიტმასნილ და პედაგოგიური გზნებით შეპყრობილ ადამიანთა შორის, — რამდენადაც თვით მეცნიერებისა და კერძოდ, პედაგოგიური მეცნიერების წინააღმდეგ; ამავე დროს იმასაც ვალიარებთ, რომ ავტორს, შესაძლოა, სულაც არ ჰქონია ასეთი განზრახვა, — მაგრამ არც თავი შეუწუხებია, ამაში დავერწმუნებინეთ, — რადგან ყველას მშვენივრად მოეხსენება, თავადვე გახლავთ მეცნიერიცა და პედაგოგიც.

ასე გეგონებათ, გაუსაძლისი ქავილი ასტყდომიაო, ერთთავად ცმუკავს და სულ იმაზე უჭირავს თვალი, როგორმე ააფორიაქოს მკითხველი, იმის მაგივრად რომ შეიყოლიოს და გაართოს, პირიქით, აბუზღადაც კი იგდებს და დასცინის ყველას, ვისაც მისი ხუმრობა არ ესმის. მართლაც რომ ვერაფერს გაუგებ. თითქოს დარბაისელი, თავდაჭერილი კაცია, გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობაც უკავია, არასდროს უთქვამს და არც ჩაუდენია რაიმე ისეთი, რაც დადგენილ ნორმებს არღვევს, მაშ, რატომ უნდა იყოს ასე მტრულად განწყობილი სერიოზული ადამიანებისადმი, რატომ უნდა სძულდეს ის ხალხი, ვინც პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, ან მკაცრად იცავს ყოფაქცევის დადგენილ წესებს! თავადვე უთქვამს და არაერთხელაც, ყველა ეგრეთ წოდებული სერიოზული კაცი, თავისი შინაგანი ბუნებით პირწავარდნილი რეგვენიაო და სწორედ ამაში ცდება თუ ცდება.

რატომღაც დაუჩემებია, ადამიანთა მანკიერების სათავე მათივე უკეთურობა კი არა, უბრალოდ, სიბრიყვეაო და ამის პატიება მართლა არ შეიძლება. ანდა ის როგორ დავიჯეროთ, რომ კაცი, რომელიც ასე ბევრითად კითხულობს სახარებას, — ყოველ შემთხვევაში, ასეა ცნობილი, — ერთხელ მაინც არ ჩაუფიქრებია მათეს სახარების V თავის 22-ე მუხლს![1]

კიდევ ვიმეორებთ, ამ წიგნის ყველაზე თვალშისაცემი ნაკლი ის გახლავთ, რომ ვერც იმას ვხვდებით, ბოლოს და ბოლოს, რისი თქმა სურს მწერალს და ვერც ის დაგვიჯერებია, ვითომ მარტო ერთი სურვილი ამოძრავებდეს — ერთნი გააცინოს, მეორენი კი საგონებელში ჩააგდოს.

ახლა ერთიცა ვთქვათ, ვინ მოუწონებს, რომ მათეს, ამ ბრძენკაცის რიდიც კი არა აქვს და კიდეც გვეცინება, თავი ისე რომ უჭირავს, ვითომც ალთქმა სულ არაფერ შუაში იყოს. მერედა, ასე ადვილი გამოსაცნობია და მით უფრო ადვილი ასახსნელი, რით ვერ აამა ამ ღირსეულმა ადამიანმა მწერალს? ანდა ის ვიკითხოთ, ამდენი წიგნის შემთხზველმა, ამდენის მცოდნემ, ბერძნული ლიტერატურის პროფესორმა, ერთხელ როგორ არ მოინდომა ამ ლიტერატურაზეც, ანუ სახარებაზე, რაიმე დაეწერა? ძალაუნებურად ეჭვი შეგეპარება, ეგებ მართლა კარგად არც იცის და ეშინია, საქვეყნოდ არ გამჟღავნდეს, რომ სწორედ იქ მოიკოჭლებს, სადაც დიდ მცოდნედაა აღიარებული? რაც არ ვიცით, რა ვვეთქმის!

ახირებაო კი ვამბობთ, მაგრამ ამაზე უარესი რა გითხრათ, როცა ესპანურ ლიტერატურასაც კი ასეთი ავი თვალით უყურებს? კაცი იფიქრებს, ან ძალიან ცუდად უსწავლია, ან არადა, წინასწარ შექმნილი წარმოდგენით სწავლობსო, — თუკი საერთოდ სწავლობს, — თორემ როგორ უნდა ეთქვა, ესპანური ლიტერატურა უხამსობისა და მოუქნელი სტილის განსახიერებაა და ერთიანად სულელური საღი აზრის სულისკვეთებითაა გამსჭვალულიო. კარგი და კეთილი, ესპანური ლიტერატურა ხომ სძულს და სძულს, მაგრამ არც ფრანგული რომ ეფონება გულზე! ხოლო თუ ერთისა და მეორის სული სადმე ერთმანეთს შეერწყა, მაშინ იტყვის ხოლმე, სწორედ ასეთ დროს იბადებიან მორატინის[2] მსგავსი ტიპებიო. აი, მორატინზე თუ ჩამოვარდა სიტყვა, მაშინ უნდა ნახოთ, როგორ აიწყვეტს და კარგავს ხოლმე ზომიერების გრძნობას: „მორატინი ხომ უქმსიტყვაობისა და უხამსობის ნამდვილი მორევია, — არაერთხელ უთქვამს, — მისი წიგნები უგემოვნობის მწვერვალია, არც გრძნობა გააჩნია, არც წარმოსახვის უნარი და არც, საერთოდ, ჭკუა; დიდი ულიმლამო ვინმეა, ერთი ცოცხალი მეტა-

ფორა რა არის, არასდროს მოუძებნია, საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს; ასე ხომ ყველა ფიქრობს და აზროვნებს ამქვეყნად; ერთი სიტყვით, სიბრიყვისა და სიყეყეჩის იშვიათი ნიმუშია. ეს ყველაფერი კი მოჭარბებული საღი აზრისგან მოსდის". არ გვეგულება მწერალი, რომლის მიმართ ამხელა სიძულვილს ამყლავნებდეს, თუ არ ჩავთვლით ქსენოფონტეს. ანდა კაცმა რომ თქვას, ქსენოფონტემ[3] რალა დაუშავა?

დიახ, სწორედ რომ საკითხავია, ასეთი მაინც რა დაუშავა ქსენოფონტემ? ხოლო თუ კიდევ უფრო შორს წავალთ, ისიცა ვთქვათ, რას ერჩის მორატინის და ესპანურ ლიტერატურას, მით უფრო, ესპანურ სულს? მწერალს, უწინარეს ყოვლისა, მკითხველისადმი პატივისცემა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოეთხოვება, მაგრამ ამ ჩვენი რომანის ავტორი ზოგჯერ ისე გაუტევს ხოლმე, სულ ავიწყდება ერთიცა და მეორეც, ის კი არადა, საკუთარ ღირსებასაც კი არ დაგიდევთ და ეს უკვე აღარ ეპატიება. მაგრამ ახლა მკითხველი საზოგადოებისაც ვთქვათ, მას ხომ თავისი უცილობელი უფლებები აქვს და ყველაზე მეტად და ყველაზე უწინ მოითხოვს ნათლად გააგებინონ, როდის ლაპარაკობენ ხუმრობით და როდის სერიოზულად, თუმცა ისიც ართობს, როცა განზრახ სერიოზულად ხუმრობენ ან კიდევ განზრახ ხუმრობენ სერიოზულ საკითხებზე. წიგნში ისეთი ეპიზოდებიც მოიძებნება, რაც მკითხველს დააეჭვებს — აი, ახლა კი აშკარად ცდილობს მწერალი, რომ აღვშფოთდე და შევყვირო: „ეს უკვე მეტისმეტია... ამ კაცს ჩვენი გაცუცურაკება გადაუწყვეტია და ეგაა!" თუ მართლა ასეთი რამ აქვს ჩაფიქრებული, ამის მიტევება უკვე აღარ შეიძლება.

ყველაფერი ეს ერთად და კიდევ სხვა მრავალი, — რასაც მისი სულიერი მოუსვენრობაც ემატება, — ამაზე კი გავჩუმდებით, რათა ჩვენი მსჯელობანი მეტისმეტად აღარ გავაზვიადოთ, — საკმარისია იმისთვის, რომ სენიორ უნამუნოს შეექმნა ისეთი თხზულება, რომელიც — კვლავ ვიმეორებთ, — წარმოადგენს მის სავალალო და თანაც ფრიად სავალალო შეცდომას.

უწინარეს ყოვლისა, გამოვთქვამთ ჩვენს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ წიგნში სახეები მეტისმეტად უფერულია, უფრო სწორად, ისინი გახლავთ ნამდვილი თოჯინები, რომელთაც ავტორი თავისი ხელით დაატარებს სცენაზე და თვითონვე ლაპარაკობს მათ მაგივრად. დონ ავიტო თითქოს გვაიძულებს კიდეც ჩვენც განვიცადოთ მისი იმედგაცრუება, მაგრამ იმ დროს, როცა უკვე ლამის დავიჯერებთ საკუთარი შვილი იმ თავის ახირებულ პედაგოგიურ რეჟიმში მოაქციაო, მაშინ ირკვევა, რომ თავადვე გახლავთ თურმე ერთი უნიათო და უგუნური კაცი, რომელსაც წიგნებიდან ამოკრეფილი აზრებით გამოუტენია თავისი შვილისთვის თავი, — თუმცა ყმაწვილი მაინც დაუსხლტება მამას ხელიდან, — ბრმად მინდობია დონ ფულხენსიოს და სულ ვერ მიმხვდარა მის მზაკვრობას. მარინაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მწერალს საერთოდ ქალის სახე არ გამოსდის და არც არასდროს გამოსვლია.

დიდი სიამოვნებით გავაანალიზებდით დონ ფულხენსიოს სახესაც, რომელიც გახლავთ რომანის, ასე ვთქვათ, ნამდვილი გასაღები, მაგრამ ავტორი თვითონვე ხსნის მის სახესაც — და სხვა ისეთ რამეებსაც, რაც ჯო-

ბდა, არ გამოეაშკარავებინა, — როცა ეს მასხარა ფილოსოფოსი უკანასკნელი შეხვედრის დროს ჰეროსტრატეზე ესაუბრება აპოლოდოროს.

სტილზე ხომ საერთოდ არც ღირს ლაპარაკი. მარტო იმას დავძენთ, რომ მეტად ულიმლამოა და თან დაუდევრობის კვალიც ამჩნევია, ხოლო რაც შეეხება მწერლისთვის ჩვეულ აწმყო დროში თხრობას, ეს უბრალოდ, გამოსახვის საკმაოდ ეხეში საშუალება გახლავთ, რასაც საბედნიეროდ, დიდი გასავალი არცა აქვს. აქვე გვინდა შევნიშნოთ ერთიც, როცა ჩვენი მწერალი ამდენს ქადაგებს კასტილიური ენის რეფორმებსა თუ ძირეული გარდაქმნების თაობაზე ჟურნალ-გაზეთებში, გასაკვირია, თავად როგორღა წერს ესოდენ მდაბიური და ულიმლამო ენით, თუმცა კარგი სტილი მისთვის უცხოა, მაგრამ თუ სიმართლე გინდათ, ენის გრძნობა სულაც არ გააჩნია, უნებურად დაგაეჭვებს კაცს მისი ესთეტიკურ შეხედულებათა სიმტკიცე და სილრმე. როგორც ეტყობა, ენა მისთვის წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულების იარაღს და რომანის ერთი პერსონაჟისა არ იყოს, მწერალსაც გაცილებით უფრო უადვილდება ალგებრული ფორმულებით გამოხატვა. მაგრამ ცხადია, იგი საკმაოდ ზრუნავს იმაზეც, რომ თითოეულ სიტყვას მკვეთრი და კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭოს, თავი აარიდოს სინონიმებს, სათქმელი კი თქვას ნათლად და გასაგებად, ოლონდ როგორ ყღერს, ეს უკვე ნაკლებად ადარდებს. მაგრამ ამასთან არ გვმართებს თვალი დავხუჭოთ და არ ვაღიაროთ ისიც, რომ წიგნში ალაგ თუ ვხვდებით ბნელ ადგილებს, ეს უფრო კონსეპტისტური ღვლარჭნილი სტილის ბრალია — მწერალს ის საძრახისი მიზანი უფრო ამოძრავებს, რომ სულ საზოგადოდ მიუღებელ რამეებზე ილაპარაკოს, — და არა მისი ენობრივი გამოსახვის ანდა სიტყვისა თუ ფრაზის შერჩევადახვეწის უუნარობა.

●

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ამ ნაკლის მიუხედავად, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ეს ნაწარმოები უთუოდ იმსახურებს ყურადღებას და რომ მასში მოიძევება ისეთი ელემენტები და პასაჟები, რისთვისაც საზოგადოებას ვურჩევთ მის წაკითხვას, დიახ, ვურჩევთ, მაგრამ არა იმისთვის, რაც ავტორს უნდოდა ჩაედო ამ წიგნში, არამედ იმისთვის და უფრო იმისთვის, რაც არ შეეძლო არ ჩაედო საკუთარი ნება-სურვილისდა მიუხედავად. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ რომანის ღირსებაც სწორედ ის გახლავთ, რაც ავტორს მაინცდამაინც საყურადღებოდ არ მიაჩნია და პირიქით, საწყენიც კია, როცა წიგნში ისეთი რამეებია ჩართული, თავად მწერალსაც რომ არ ეამება...

ჩვენის აზრით, ბუფონადის, უხამსი ხუმრობისა და არცთუ კარგი გემოვნების მიღმა კაცმა შეიძლება დაინახოს ამ თხზულების ავტორის ღრმა მოწიწება მეცნიერებისა და პედაგოგიკის წინაშე, — თუნდაც მისდა სამწუხაროდ. ვინ იცის, ეგებ სწორედ იმიტომაც უჯანყდება ინტელექტუალიზმს, რომ მართლაც ძალზე ცოტა მოიძებნება ისეთი ესპანელი, მასავით რომ სცოდავდეს ინტელექტუალიზმში. ის კი არადა, ზოგჯერ ისიც გვგონია, ამ ცოდვის გამოსყიდვის ცდაა უთუოდ, საკუთარ თავსაც რომ არ ზოგავს ხოლმე და ასე აქილიკებს.

—თუმცა ეს იმდენად საჩოთირო საკითხია, ალბათ სჯობს გავჩუმდეთ.

სანამ ამ ჩვენს პროლოგს დავასრულებდეთ, თავს ვალდებულად ვრაცხთ კიდევ ერთი განმარტებაც დავურთოთ და ამით ავტორის სურვილიც აღვასრულოთ. როცა მან ამ ნაწარმოების გამოცემა დააპირა, და ყურადაც არ იღო მათი რჩევა, ვინც სცადა გადაეთქმევინებინა, მაშინვე წიგნის ზომა-ფორმაზე დაიწყო ზრუნვა, რადგან ამას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. და აი, რატომ: გასულ ზაფხულს, თავის მშობლიურ ქალაქ ბილბაოში რომ გახლდათ, თურმე წიგნის მაღაზიაში შეუვლია და თავისი საკუთარი წიგნების „მშვიდობა ომის დროს" და „სამი ესსეს" რამდენიმე ეგზემპლარი მოუთხოვია. მაღაზიის პატრონს უთქვამს, ამიერიდან წიგნებს რომ გამოსცემთ, უწინ მათს ზომა-ფორმაზე იფიქრეთ, რათა ყველა ერთი სისქისა და სიმაღლისა იყოსო და თან ერთი ამბავიც გაუხსენებია, თავის მუშტართან რომ შეემთხვა.

თურმე ის მუშტარი დროდადრო შეივლიდა ხოლმე მასთან. შეუკვეთავდა გალდოსის, პერედას, ვალერას, პალასიო ვალდესისა თუ სხვა დიდი და სახელოვანი მწერლების თხზულებებს და მუდამ კმაყოფილი მიდიოდა. ერთხელაც, პიკონის[1] წიგნები რომ მოუთხოვია და სულ სხვადასხვა ზომისა და ფორმისა მიუღია, დამანჭულა — აბა, როგორ ავკინძო „ხასინტო ოქტავიო პიკონის სრული კრებული", როცა ერთი ფორმისა და ზომისა არ არისო.

მაღაზიის პატრონს, რასაკვირველია, დანანებია ასეთი მუშტრის დაკარგვა და მორიდებით უთხოვია, თუ გნებავთ, დატოვეთო, სამაგიეროდ, კი ორი-სამი ისეთი წიგნი შეუთავაზებია, რომლებიც ან უფრო მეტად დაინტერესებდა, ან სრადა, ერთნაირი ზომა-ფორმისა იყო. ეს შემთხვევა რომ უამბნია გამყიდველს სენიორ უნამუნოსთვის, თან რჩევაც მიუცია, თუ გინდათ, თქვენი წიგნები გაასალოთ, უწინ ყდასა და ზომა-ფორმაზე იზრუნეთო.

მართალი რომ ვთქვათ, ასეცაა, ყველას კარგად მოეხსენება, ერთნი წიგნებს წასაკითხად ყიდულობენ, — ასეთები ცოტაა, — მეორენი კი, — ბიბლიოთეკის შესადგენად, — ასეთები ჭარბობენ, ბიბლიოთეკისთვის კი მართლაც არ არის ხელსაყრელი, როცა ერთი რომელიმე ავტორის წიგნებს თანაბრად და ლამაზად ვერ ჩაამწკრივებ და სულ მაღალ-დაბალი ან შეწეულ-გამოწეული გამოდის.

მაგრამ ვინაიდან სენიორ უნამუნო ჯერჯეროობით წიგნებს მკითხველისთვის წერს და არა ბიბლიოთეკებისთვის, ამდენად, ამ საკითხთან დაკავშირებით მისი წუხილი დიდად ყურადსაღებიც არ არის. ასე და ამგვარად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება იმ დრომდე გადავდოთ, სანამ იგი „სრული კრებულის" გამოცემას შეუდგებოდეს, ჩვენ კი იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არცთუ შორეული მომავლის საქმეა, მერე ალბათ ბიბლიოთეკებისთვისაც დაიწყებს გამოცემას. ამჯერად კი ჩვენთვის, მკითხველისთვის, გამოსაცემ წიგნებს დასჯერდება.

ავტორი ამ დასკვნებს დაეთანხმა, რადგან ეტყობა, ახლა მისთვის სულერთია, რა ფორმის, ზომისა თუ მასალისა იქნება ეს წიგნი, საფიქრებელია, რომ ამ გადაწყვეტილებებზეც და, სხვათა შორის, მის სტილზეც, გავლენა მოახდინა, საერთოდ, გარეგნული ფორმის ერთგვარმა უგულებელყოფამ, რასაც ჩვენ, რალა თქმა უნდა, დიდად ვერ მოვუწონებთ.

ასე და ამგვარად, დავასრულებთ ამ ჩვენს სვლა-ბაასს და მკითხველს შევთავაზებთ თხზულებას, რომლის წაკითხვა გარკვეულ სიამოვნებასაც მიანიჭებს და, დარწმუნებული ვართ, თავისებურ სარგებლობასაც მოუტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

ჩვენ შეგვიძლია შემოგთავაზოთ მეტ-ნაკლებად სარწმუნო ჰიპოთეზები იმის თაობაზე, თუ როგორ, როდის, რისთვის და რატომ დაიბადა ავიტო კარასკალი, თუმცა კი ეს მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზები იქნება. იგი გახლავთ კაცი, რომელიც არსებობს მარტოოდენ მომავლისთვის, ხსენებითაც არ ახსენებს თავის წარსულს და რაკი აგრერიგად უფრთხის ამ თემაზე საუბარს, ჩვენც მოწიწებით მოვეკიდებით მის საიდუმლოს. ეტყობა, აქვს კიდეც მიზეზი, რომ ასე ცდილობს, დავიწყებას მისცეს ყოველივე.

ამ თხზულებაში წარმოგიდგენთ ყოველგვარი პროგრესულის დიდი ენთუზიასტისა და სოციოლოგიაზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა კაცის სახეს. იგი ცხოვრობს პანსიონში და ყოველთვის, როცა სუფრასთან ზის, მიირთმევს ან ელოდება პირველ, მეორე და მესამე კერძებს, თავისი მეცნიერული თეორიებით დიდად უწყობს ხელს თანამოსუფრეებს საჭმლის მონელებაში.

კარასკალის საარსებო წყარო გახლავთ რენტა, მაგრამ ამავე დროს თავისთვის, ჩუმად, სხვათა ყურადღება რომ არ მიიპყროს, ჰერკულესის ჯაფას ეწევა, ოღონდ კი გონებას დაუმორჩილოს და მეცნიერულ-კალაპოტში მოაქციოს საკუთარი რეფლექსები თუ ინსტინქტები. დადის მექანიკის კანონების თანახმად, საჭმელს ინელებს ქიმიური ფორმულების გათვალისწინებით, ტანსაცმელს იკერავს მხაზველობითი გეომეტრიის წესების დაცვით, ხშირად იცის ხოლმე თქმა: „ცხოვრების მასწავლებელი მხოლოდ მეცნიერებაა", მაგრამ მაშინვე გაუელვებს, „ეგებ ცხოვრებაა მეცნიერების მასწავლებელი!"

მისი ყველაზე დიდი გატაცება გახლავთ სოციოლოგიური პედაგოგიკა:

— სწორედ ამ ნიშნით უნდა წარიმართოს ჩვენი საუკუნე, — ეუბნება იგი თავის თანამესუფრესა და თაყვანისმცემელს სინფორიანოს და თან თხილს ამტვრევს, — ხალხს არ ესმის, რომ მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მივალწიოთ...

— ზოგს ისიც კი სჯერა, რომ ქიმიური სინთეზის მეშვეობით შეიძლება კოლბაში ადამიანი გამოიყვანონ, — მორიდებით ჩაურთავს სიტყვას საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი სინფორიანო.

— არ შეგედავებით, რამეთუ ადამიანი, რომელიც ღმერთმა შექმნა სახედ თვისად და ხატად თვისად, ყოვლისშემძლეა. ის კი არადა, დარწმუნებული ვარ, სოციოლოგიური პედაგოგიკის შემწეობით, არც გენიოსის შექმნა გაჭირდებოდა, ხოლო მერე, როცა უკვე ყველა გენიოსი იქნებოდა... — და თხილს ჩააკნატუნებს.

— წარმოგიდგენიათ?! ეს რა თეორიებია, დონ ავიტო! — აღტაცებით შესძახებს ბუნებისმეტყველების მომავალი მეცნიერი.

— ჩემო მეგობარო სინფორიანო, იცით, როგორ ქმნიან ფუტკრები დედას?

— არა, ეს ჯერ არ გვისწავლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ, ეგებ არც... მეთოდიკის თანახმად...

— ოჰ, მითხარით, მითხარით, დონ ავიტო, მითხარით! რა თეორიაა! რა თეორია!

— მაშასადამე, აიღებენ ნებისმიერ კვერცხს, ოღონდ ჩანასახი მდედრობითი სქესისა უნდა იყოს, დიახ, ნებისმიერს, რომელიც არაფრით გამოირჩევა სხვებისგან და მთელ ყურადღებას მასზე გადაიტანენ; დიახ, სინფორიანო, ერთ ჩვეულებრივ მდედრობითი ჩანასახის კვერცხს აქცევენ საგანგებო ზრუნვის საგნად, შეუქმნიან საგანგებო პირობებს და საგანგებოდ უვლიან, უმზადებენ სამეფო თუ სადედოფლო საკვებს და თან გონივრულ, ფუტკრების პედაგოგიკაზე, ანუ პროფესიული ენით რომ ვთქვათ, მელისაგოგიაზე[1] დაყრდნობით ზრდიან ჭუპრს. აი, ასე და ამგვარად გამოჰყავთ დედა...

— ააჰ, რა თეორიაა! რა თეორია!

— არა, ჩემო მეგობარო სინფორიანო, არა, ეს თეორია კი არა, ფაქტია... აქედან გამომდინარე, ჩვენც, ადამიანებსაც, ასევე შეგვიძლია აღვზარდოთ ჩვენი შვილები... ჩვენც ასევე შეგვიძლია შევარჩიოთ ბავშვი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ბიჭი და არა გოგო...

— თუ შეიძლება, დონ ავიტო... — და როცა თეორეტიკოსი გაჩუმდება, სინფორიანო ეკითხება: — რატომ მაინცდამაინც ბიჭი?

— რატომ მაინცდამაინც მდედრობითი სქესის ჩანასახიდან გამოჰყავთ დედა ფუტკარი? ადამიანთან დაკავშირებითაც ასეა, გენიოსი შეიძლება გამოვიყვანოთ მხოლოდ მამრობითი სქესისგან!

— აჰ, რა თეორიაა!

— ერთი სიტყვით, ავირჩევთ ნებისმიერ ბიჭს ემბრიონულ მდგომარეობაში, იმთავითვე მოვიმარჯვებთ სოციოლოგიურ პედაგოგიკას და გამოვიყვანთ გენიოსს. რაც არ უნდა იყოს ნათქვამი ანდაზებში, გენიოსს მაინც ქმნიან... დიახ, ქმნიან... და... რაო, ეგებ ასე არ არის? ამას მე დაგიმტკიცებთ...

და სანამ გაოცებისგან პირდაღებული სინფორიანო გაშტერებული შეჰყურებს, კარასკალი თხილს აკნატუნებს და განაგრძობს:

— როგორ დაგიმტკიცებთ? როგორ და... ფაქტებით!..

— ოოჰ, ფაქტებით?! — ამოიხვნეშებს სინფორიანო.

— სწორედ ფაქტებით!.. — გაიმეორებს კარასკალი და ორივენი თვალს გააყოლებენ დიასახლისს, რომელსაც ამ დროს ტკბილეული მიაქვს მრჩევლისთვის, რადგან იგი ცალკე, თავის ოთახში სადილობს.

— მოგწონთ თხილი? — ეკითხება დონია ტომასა.

— აბა, რა გითხრათ, ნახევარზე მეტი ჭიანია! — მიუგებს კარასკალი.

— დაუჯერებელია, დონ ავიტო, სულ ახალი იყო და თან ძალიან იაფად...

— რას იზამ, სენიორა ტომასა, ასეა და!.. — ფიცხლად პასუხობს კარასკალი...

როგორც კი დონია ტომასა თვალს მიეფარება და კელავ თავისი სამზარეულოს ბურუსს შეერევა, ავიტო განაგრძობს:

— დიახ, ფაქტებით, ჩემო მეგობარო სინფორიანო, ფაქტებით!

— ოჰ, ფაქტებით!

— კარგა ხანია ერთი ძალიან დიდი გეგმა მიტრიალებს თავში და ახლა ეს თეორია მინდა უკვე საქმედ ვაქციო. აი, სწორედ აქ მინდა გამოვიყენო ჩემი სოციოლოგიური პედაგოგიკა.

— მასწავლებლობას ხომ არ აპირებთ?

— არა, უფრო მეტს...

— უფრო მეტს?..

— დიახ, უფრო მეტს, მამა უნდა გავხდე!

„ნეტავი კაცი თვითონ ხდება მამა, თუ სხვამ უნდა გახადოს?“ — ფიქრობს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, ხმამაღლა კი ამბობს:

— ოჰ, რა თეორიაა, დონ ავიტო, რა თეორია!

და ორივენი ერთდროულად წამოდგებიან, ერთი მიეშურება თავისი გეგმის განსახორციელებლად, მეორე კი — ხვალინდელი დავალების შესასრულებლად. სინფორიანო მეტისმეტად ბეჯითი ყმაწვილი გახლავთ და არასდროს ავიწყდება, თუ რამ დღეს ვერ მოასწრო და არც სახვალიო დავალებას გადასდებს.

კარასკალი მართლაც ფიქრობს მოძებნოს ქალი, რომელიც ერთნაირად შეეფერება მასაც და მის მიზანსაც, იქორწინოს მასზე, მერე გააჩინონ ვაჟი, რომელზედაც გამოსცდის თავისი სოციოლოგიური პედაგოგიკის სისტემას და აღზრდის გენიოსს. და აი, პედაგოგიკის ესოდენ დიდი სიყვარული გადააწყვეტინებს იქორწინოს დედუქციური მეთოდის თანახმად.

სანამ ამბავს გავაგრძელებდეთ, ჯერ ის გვინდა განვმარტოთ, რომ ქორწინება შეიძლება იყოს ინდუქციური და დედუქციური. ცხოვრებაში ხშირად ხდება რომ მამაკაცი, რაკი იგი ამ ჩვენს სამყაროში ტრიალებს, გადაეყრება ქალს, რომლის მშვენიერი სხეული, იერი, მიხრა-მოხრა ერთბაშად აუთრთოლებს ზურგის ტვინის უჯრედებს, ხოლო თვალები და ტუჩები ძალუმად აუძგერებს გულს. ერთი სიტყვით, შეუყვარდება იგი, თავს კარგავს და როცა სიყვარულის ტალღა ასე გადაევლება, ზედაპირზე ამოტივტივების ერთადერთ გზად ისღა ესახება, რომ ეს მშვენიერი სხეული დაისაკუთროს, მის სულს დაეუფლოს, თუკი სულიც გააჩნია. აი, ამას ჰქვია ინდუქციური ქორწინება. მეორე შემთხვევა კი ასეთი გახლავთ — მამაკაცს გარკვეულ ასაკში რაღაც აუხსნელი სიცარიელის გრძნობა ეუფლება, თითქოს რაღაც აკლია, გრძნობს, რომ მარტო ველარ გაძლებს და იწყებს ცოცხალი ჭურჭლის ძებნას, რომელიც უნდა იმით აავსოს, რაც საკუთარ უკმარისობის გრძნობას განაცდევინებს. მართლაც, დაუყოვნებლივ მოძებნის ქალს და იქორწინებს მასზე, ერთი სიტყვით, იქორწინებს, ასე ვთქვათ, დედუქციური მეთოდის თანახმად. ყოველივე ეს ასეც შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — ქორწინების იდეას მამაკაცი მიჰყავს საცოლესთან, მაშასადამე, გენიოსის მომავალი მამის ქორწინება უნდა მოხდეს დედუქციური მეთოდით!

და თუ თანამედროვე ადამიანს ღრმად სწამს სოციოლოგიური მეთოდისა, შეუძლებელია ამავე დროს არ სწამდეს ასევე მემკვიდრეობითობის კანონისაც, ამდენად, ავიტოსაც დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევს იმა-

ზე ფიქრი, თუ რანაირი ტემპერამენტი, იდიოსინკრაზია, ან ხასიათი გამოაჩნდება მის თანამეცხედრეს. კაცმა რომ თქვას, ის ფაქტი, თითქოს მომავალი გენიოსის ჩანასახი სხვა ჩანასახისგან არ უნდა გამოირჩეოდეს, ურიგოდ არ სჭვივის, როგორც ჩვენი პედაგოგიკის პოსტულატი და ამოსავალი წერტილი, მაგრამ მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემსწავლელთათვის, თუმცა... შეიძლება კი ინსტინქტის უგულებელყოფა? ასეა თუ ისე, საცოლე მაინც უნდა შეარჩიო...

და ავიტოც მიუჯდება მაგიდას, ფეხებს ხელოვნური ბეწვის პლედით შეიფუთნის და საათობით ფიქრობს, თუ როგორი ანთროპოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური ანდა სოციოლოგიური იერ-სახე უნდა ჰქონდეს მომავალი გენიოსის მომავალ დედას და ფურცელს ფურცელზე ავსებს შენიშვნებით. და იგი წარმოიდგენს, რომ ყველა ეს ჩამოთვლილი ნიშან-თვისება მშვენივრადაა შერწყმული ლეონსია კარბახოსას პიროვნებაში, რომელიც გახლავთ ჯანმრთელი, ქერა დოლიხოცეფალი, ფერხორციანი, თეძოგანიერი ქალიშვილი, აქვს მაღალი, აფუებული მკერდი, მშვიდი გამომეტყველება, კარგი მადა, უზადო საჭმლისმომნელებელი ორგანოები, ამასთან მრავალმხრივ განსწავლულიცაა, თავისუფლად მოაზროვნეა, არ აწუხებს არავითარი მისტიკური ბურუსი, ლაპარაკობს დაბალ კონტრალტოზე და ყველაფერ ამის გარდა, კარგა გვარიანი მზითევის პატრონიც გახლავთ. ერთხელაც ავიტო თვალებში ჩახედავს, აბა რას ამოვიკითხავო, მაგრამ ლეონსია მომავალი გენიოსის დედის კვალობაზე პასუხობს მხოლოდ ტუჩებით და ისიც მაშინ, როცა რამეს ეკითხებიან.

ავიტო მიზნად დაისახავს როგორმე მოინადიროს ლეონსიას გული და ამისთვის აუცილებლად მიაჩნია შეადგინოს ფრთხილი, გააზრებული საბუთი, ჩვეულებრივად წერილობით წინადადებას რომ უწოდებენ. ბუნებრივია, ამ უსტარში ვერ ნახავთ სიყვარულის გრძნობით ნაკარნახევ მგზნებარე სიტყვებს, სამაგიეროდ, ჭარბად შეხვდებით ქორწინების მეცნიერული თეორიის საფუძვლიან არგუმენტებს, ამასთან, ქორწინება განხილულია სოციოლოგიური თვალსაზრისით. ამ საბუთის შედგენას თითქმის ექვს დღეს მოანდომებს და დღე-ღამეში ლამის თორმეტ საათს მუშაობს. ამადაც ულირს, რამეთუ წლები რომ გაივლის და პედაგოგიკის წყალობით შექმნილი გენიოსის შესწავლას შეუდგებიან, ეჭვგარეშეა, ასევე საგანგებო შესწავლის საგანი გახდება კარტა მაგნა ვითარცა თავისებური პრელუდია. უდავოა, ავიტოს ეს წერილი არა მხოლოდ ქერა დოლიხოცეფალის, თეძოგანიერ ლეონსიასთვის იყო განკუთვნილი, იგი მიმართავდა მომავალ თაობებსაც. საბოლოოდ ამ უსტარმა მიიღო სასიყვარულო ტრაქტატის სახე, რომელშიც ნახავდით აუცილებელ ლელვის ფოთოლსაც, ფიზიოლოგიურ მომენტებსაც, სიყვარულის სექსუალურ ფსიქოლოგიასაც, რაც ადვილად მისაწვდომი იქნებოდა როგორც ლეონსია კარბახოსასთვის, ისე მომავალი თაობებისთვისაც და საერთოდ, მასში ამოიკითხავდით ადამიანთა მოდგმის სულისა თუ სხვა მეტაფიზიკურ ამბებსაც, აქვე ნახავდით მალთუსის თეორიებს, სოციოლოგიურ ტენდენციებს მონოგამიასთან მიმართებაში და ბოლოს, შთამომავლობის პრობლემებსაც. ეს ყოველივე მშვენივრად იყო ჩაქარგული ერთ მთლიან ქსოვილში და ამასთან გასაქანს აძლევდა თავისუფალ წარმოსახვას, ხოლო ამის მიღმა სჭვიოდა მომხიბლავი ოცნება და შორეული წარმატებების ფონზე იხატებოდა გასხივოსნებული სახე გენიოსისა. იგი წამდაუწუმ კითხულობს წე-

რილს და ყოველი წაკითხვისას ახალ-ახალი შესწორებები შეაქვს. მერე მომავალი თაობების თვალითაც გადახედავს და როცა უკვე დარწმუნდება, რომ საბოლოოდ დახვეწა, ასლს გადაიღებს და ხელსაყრელ შემთხვევასღა ელოდება, რომ ორიგინალი გადასცეს მას, ვისთვისაცაა განკუთვნილი. არც ის ავიწყდება, რომ ქალს წინასწარი შემზადება სჭირდება, რათა ელდასა და მოულოდნელ განცდებს აარიდოს და [illegible] უკეთეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიოს.

ასე და ამგვარად, ავიტო გაემართება ლეონსიას სახლისკენ, სადაც უნდა დაედოს სათავე ამქვეყნად გენიოსის მოვლინების დიდებულ საქმეს.

●

— ვითომ არ იცნობდე ჩემს ძმას, ლეონსია, სულაც ნუ დაუგდებ ყურს, წარმოიდგინე, რომ წვიმის შხაპუნი გესმის.

— მე კი სწორედ წვიმის შხაპუნი არ მსიამოვნებს. ხომ ხედავ, უკვე სურდოც დამემართა...

— დონ ავიტო კარასკალი! — მოახსენებს ამ დროს მოსამსახურე.

— ხომ იცნობ? — ეკითხება ლეონსია მარინას.

— მხოლოდ შორიდან.

— მაშინ ახლა გაგაცნობ.

შემოდის დონ ავიტო და მიესალმება ლეონსიას, ის კი მყისვე გამოაცხადებს:

— ავიტო კარასკალი, ჩემი კეთილი მეგობარი... მარინა დელ ვალიე, დაზე უფრო ახლობელი...

— დელ ვალიე? — თავისთვის ჩაიბუტბუტებს ავიტო, ნაზად მოუთათუნებს ხელს სასიყვარულო ტრაქტატს ჯიბეში და გაიფიქრებს: „ნეტავ რა ხდება? რა მემართება? რა ხდება ჩემს თავს? რა ხანია ამ ქალიშვილს ვიცნობ და ასე მგონია, თითქოს დღეს პირველად ვხედავდე. რას ნიშნავს ეს?“

— მშვენიერი დღეა! — ალტაცებით შესძახებს ლეონსია.

— გაზაფხული მოდის, ლეონსია! — შეაგებებს სიტყვას მარინა.

— მართალს ბრძანებთ! აკი გუშინ ბუნიობა იყო... თუმცა მცენარეთა წვენი... — და ავიტოს სიტყვა პირზე შეაშრება, მარინას რომ შეხედავს. ქალიშვილს ბაგე ოდნავ გაპობია, ანთებული თვალებით შესცქერის მას და მთელი არსებით სმენად ქცეულა.

„რალაც უჩვეულო რამ ხდება დღეს! — ფიქრობს მომავალი გენიოსის მომავალი მამა, — ნეტავი რა მემართება, რომ აზრი ველარ მომიკრეფია! ასე მაინც რამ გამომაშტერა?“ — ამ დროს კი მარინა ღელავს, მკერდი აუდ-ჩაუდის, ერთი სული აქვს, სანამ მცენარეთა წვენის ამბავს გაიგებდეს. გიშრის თმა მზის სხივებზე ულაპლაპებს.

— მცენარეთა წვენი, — განაგრძობს კარასკალი, — კარგა ხანია გაუჯდა კვირტებს...

— გიყვართ ყვავილები?

— სხვანაირად ბოტანიკას ვერ შეისწავლი!

მარინა თავის სხივიან თვალებს ჯერ ავიტოს შეანათებს, მერე ლეონსიას, მერე ისევ ავიტოს, თითქოს უნდა თქვას, „რა მახვილგონიერიაო!“ —

ხოლო კარასკალი ყურს მიაპყრობს შინაგან ხმას, რომელიც დაეინებით უჩურჩულებს: „მიამიტი სული, პროტოპლაზმური და უბიწო გამოუცდელი გული!“ ამასობაში კი მის გამოცდილ გულს ბაგაბუგი გააქვს.

— ჩანს, ბევრი რამ იცით, სენიორ კარასკალ!

— რატომ გგონიათ, სენიორა დონია მარინა?

— იმიტომ, რომ ჩემი ძმა, როცა კი რაიმეს ვერ გაიგებს, ამბობს ხოლმე: „ეს ხომ კარასკალის სფეროაო“!

— თქვენი ძმა?

— დიახ, ფრუქტუოსო დელ ვალიე.

— „საბრალო გოგონა!—გაიფიქრებს დონ ავიტო, — ასეთი მშვენიერი არსება და“... — ხმამაღლა კი ამბობს:

— ოჰ, არა, დონ ფრუქტუოსო ალბათ, უბრალოდ, კარგი თვალით მიყურებს და კარგი სამსახურიც გამიწია... რაც შეეხება ჩემს ცოდნას... — და კვლავ გაუწყდება აზრი.

„რა იცი, შენ, ავიტო კარასკალო, ან რად ღირს შენი ცოდნა ამ ნათელი, უცოდველი თვალების წინაშე, რომლებიც მეუბნებიან იმას, რაც არავინ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს?“

ლეონსია თითქოს რაღაცას ხვდება, რაღაცას ატყობს. არა, ეს ის ავიტო არ არის, ადრე რომ ვიცნობდი, — თავდაჯერებული, ენამჭევრი, თამამად რომ სჩვევია თავისი აზრის გამოთქმა. ენის წვერზე ადგას კითხვა: „მაინც რა დაგემართათ დღეს, დონ ავიტო?“ — მაგრამ დროზე მიხვდება, თავად ავიტოსაც ერთი სული აქვს, ჩქარა გაასწროს აქედან და ამიტომ თვითონვე შეეშველება, ოღონდ როგორმე მშვიდობიანად ჩამთავრდეს ეს ვიზიტი.

„ახლა რაღა ვუყო ამ საქორწინო ტრაქტატს? — ფიქრობს ავიტო, — აქ რომ მოვდიოდი, მეგონა, ნიადაგს შევამზადებდი და... ჯობია, წყნარად ავწონ-დავწონო ვითარება!“

დონ ავიტო წამოდგება და ქალიშვილებიც წამოიშლებიან, უეცრად ისეთი გრძნობა დაეუფლება, თითქოს გაფოთლილ სურნელოვან ხეს ნიავმა ჩამოუქროლა და გრილი სიო მის სულში შეიჭრაო. ქალიშვილს ხელს გაუწვდის... ნეტავი რა მემართება? რა ჰქვია ამას? რა ჰქვია ამას?“

„ასე მაინც რამ გადამრია? — ეკითხება თავისთავს ავიტო გზადაგზა, — კარგად კი შევამზადე გენიოსის მომავალი დედა! რა შთაბეჭდილება შეექმნებოდა ჩემზე?“ — ეს ფიქრი სახლშიც მიჰყვება და არ ასვენებს: „ასეთი მაინც რა დამემართა? რა ჰქვია ამას? ჰო, რა ჰქვია? სწორედ რომ საკითხავია, რა ჰქვია ასეთ მდგომარეობას? ახლა კი დავიძინოთ, ძილში ყოველგვარი განცდები მიყუჩდება... ვგონებ, აქ უკვე ქვეცნობიერი ჩაერთო თამაშში... დაე, მასაც მივუჩინოთ თავისი ადგილი... ახლა კი დავიძინოთ!“ — სასიყვარულო ტრაქტატს ბალიშის ქვეშ ამოიდებს და წვება. უკვე დარწმუნებით იცის, რომ მარინა უყვარს, ამას სიზმარიც დაუდასტურებს. და იგი დედუქციის ღრუბლებიდან პირდაპირ ინდუქციის ღრმა უფსკრულში ჩაეშვება.

●

და აი, თავის ცხოვრებაში პირველად, ავიტო ბრძოლას უცხადებს საკუთარ სინდისს. თითქოს მისი სულის რომელიღაც დაფარული და ბნელი ფენები მიწისძვრამ შეარყიაო; პლუტონური საწყისი მის სულში დან-

გრევას უქადის ნეპტუნისეული მეცნიერების საუკუნოვან შრომას, — როგორც თავად კარასკალი, ეს ტრაგიკული ბრძოლების პერსონაჟი ჭვრეტს გეოლოგიურ მეტაფორაში განსახიერებულ შექმნილ ვითარებას. — „აქ უკვე ქვეცნობიერი ჩაერთო თამაშში!" — მალიმალ იმეორებს იგი.

ერთის მხრით ლეონსია — დედუქციური საცოლე, ექერა, ლოგიკოცენტრალი, ფერხორციანი, თეძოგანიერი, მკერდაფუებული, — მეორეს მხრივ აუმღვრეველი მზერა აქვს, ჩინებული მადა, თან, მეცნიერული თვალსაზრისით, წყალთანაა შერწყმული; მეორეს მხრით, მარინა — ინდუქციური საცოლე, კონტრასტის აუხსნელი კანონის თანახმად, ბრახოცეფალური ბრიუნეტი, ხორცშესხმული ოცნება, გაფურჩქნული ვარდის ბუჩქის ხელშესახები სურნელება, ინსტინქტის ცეცხლისგან ნაშობი ბრწყინვალე სალამანდრა, ვითარცა ვულკანის ყელიდან ამოვარვარებული ყლორტი.

წყალი და ცეცხლი ბოლოს და ბოლოს, ჩვეულისამებრ დაზავდებიან; პირველი ნაწილობრივ გარდაიქმნება ღრუბლად, მეორე კი თანდათან მოთოკავს სიშმაგეს. მეცნიერება და ინსტინქტი იწყებენ ვაჭრობას, როცა ავიტო, ვითომ შემთხვევით გადაეყრება მარინას და ესაუბრება. კარასკალის სასიყვარულო ინსტინქტი თითქმის მზადაა დაუთმოს მეცნიერულ თეორიას, მაგრამ ღამის სიჩუმესა და სიბნელეში ესმის მისი მბრძანებლური ჩურჩული:

„რაც არ უნდა იყოს, გენიოსი იმდენადვეა ბუნების შვილი, რამდენადაც ხელოვნების ქმნილება, — ამბობს ავიტო თავის გულში, — განა ის ბუნების ხელოვნება არ არის, ანდა ხელოვნება ბუნებაში, რაც თითქმის ერთი და იგივეა? განა ის არ არის ბედნიერი შერწყმა გონისა და ინსტინქტისა, ანდა გონითი ინსტინქტისა ინსტინქტურ გონთან? მაშ მივცეთ მას თავისი წილი, — ფიქრობს იგი მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, თხრობითი კილოს აწმყო დროში ანდა თუ გნებავთ, ბრძანებით კილოში, — მივცეთ თავისი წილი ბუნებისმიერისა, არაცნობიერისა. არ არსებობს ფორმა მატერიის გარეშე. მე ვიქნები ხელოვნება, გონი, შემეცნება, ფორმა, ხოლო ის, მარინა, განასახიერებს ბუნებას, ინსტინქტს, არაცნობიერს, მატერიას. მერედა, როგორ ბუნებას! როგორ ინსტინქტს! ან როგორ მატერიას!... განსაკუთრებით, მატერიას!.. — გულისძგერის ენით ეჩურჩულება პლუტონის სამეფოს წყალქვეშა დინებები. — მატერიაც ამას ჰქვია! მერე კი ისე დავამუშავებ, როგორც ნოყიერ ნიადაგს დაამუშავებენ ხოლმე, მორწყავენ, ააფუებენ, მისცემენ ფორმას, ერთი სიტყვით, მე მას გამოვძერწავ... გაჩუმდი, გაჩუმდი!" — ჩასძახებს იგი შინაგან ხმას, რომელიც კვლავ თავისას გაიძახის: „ყური დამიგდე, ავიტო, შენ ეცემი, ავიტო... ეცემი... ეს ხომ ეშმაკის სატყუარაა.. გენიოსები მართლა ასე ხომ არ იქმნებიან... შენ ეცემი..." — გაჩუმდი! — და ბოლოს დაასკვნის: „მარინა წარმოადგენს თიხას, მასალას, რომლისგანაც უნდა გამოიძერწოს გენიოსი! ხოლო ფორმას მივცემ მე! მერე რა მოხდა! განა ფიზიკური სილამაზე ცოტას ნიშნავს? ჭეშმარიტი გენიოსი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, სწორედ რომ ლამაზი ქალის შვილი უნდა იყოს და თუ ამას უარყოფს ისტორია, მაშინ ან გენიოსი არ ყოფილა ნამდვილი, ან დედა ვერ დაუნახავთ როგორც ჯერ არს.

„ამ სასიყვარულო ტრაქტატს რაღა ვუყო? გაუგებს კი რამეს პლუტონის სამეფოს ეს ბრახოცეფალური ბრიუნეტი? ოღონდაც! რასაც ვერ გაიგებს, ინსტინქტი უკარნახებს". — და ავიტოს ახსენდება, როგორ მიშტე-

რებოდა ერთხელ კატა ზღვის ღორს, რომელსაც ტიფის აცრა გაუკეთეს, ახსენდება, რა გულისამაჩუყებელი უშუალობით სხდებიან ცის ფრინველები ტელეგრაფის მავთულებზე და არა მინდვრის ყვავილებზე. მაგასადამე, გადაწყდა: ლეონსიასთვის გამზადებული უსტარი სრულიად უცვლელი სახით უნდა გაუგზავნოს მარინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მარინა წაიკითხავს წერილს, გული აუფანცქალდება და თავის ძმასავით წამოიძახებს: „აი, ნამდვილი კარასკალიც!" — მერე დასძენს: „ოჰ, ეს კარასკალი, ღმერთო ჩემო, რა კაცია ეს კარასკალი! მან მე ამომირჩია!" — მერე თავისდაუნებურად მიდის სარკესთან, ჩაიხედავს და საკუთარ თვალებში დაინახავს სწორედ იმას, რაც არავინ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს. „ოჰ, ესეც შენი კარასკალი! ვერაფერს იტყვი, საკუთარ თავს კი საკმაოდ მაღლა აყენებს... არა, ურიგო შესახედავი არ არის, მაგრამ მე... მერე რა იდეები აქვს... თუნდაც ისა ვთქვათ, რომ ხელს მთხოვს და თანაც როგორ!..."

მერე კი მინდვრის ყვავილების მაგივრად ტელეგრაფის მავთულებზე ჩამომსხდარი ფრინველებივით თავისთვის მსჯელობს მარინა: „ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი... — ღაწვები შეეფაკლება, — ადამიანთა მოდგმის სული... მალთუსის კანონი... მატრიარქატი!.. საზოგადოების დამოკიდებულება მონოგამიისადმი... ქორწინება და შობადობა... მომავალი გენიოსი... სოციოლოგიური პედაგოგიკა... უარს როგორ ვეტყვი! ანდა როგორ უნდა შევბედო უარი მე, საბრალო მარინა დელ ვალიემ ისეთ პიროვნებას, როგორიც გახლავთ დონ ავიტო კარასკალი. ესეც არ იყოს, მაინც ხომ უნდა გავყვე ვილაცას ცოლად... მაგრამ დონ ავიტო... დონ ავიტო კარასკალი! უარს როგორ შევბედავ! ამას ვერ ვიზამ! დედაჩემი რომ ყოფილიყო ცოცხალი, რამეს მირჩევდა, დამარიგებდა... ეს ფრუქტუოსო კი... მარტო ერთი ფრუქტუოსოს მეტი არც არავინ გამაჩნია!.." ძმის გახსენებაზე გააჟრჟოლებს და ერთბაშად სინამდვილისკენ მოაბრუნებს, რამეთუ ფრუქტუოსო დელ ვალიე, ეს მარცვლეულით მოვაჭრე და ლოპესისტების[5] კომიტეტის პრეზიდენტი, ხომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, საღი აზრით გამოტენილი ტომარაა და მეტი არაფერი.

როდესაც კარასკალი მარინას საპასუხო ბარათს მიიღებს და გაიგებს, რომ იგი თანახმაა ყველა იმ პირობაზე, რასაც იგი სთავაზობს, თავისთვის მარტო ერთსღა შენიშნავს: „ეტყობა, რომელილაც რომანიდან გადმოიწერა!" — და ამით სულაც არ დარჩება უკმაყოფილო. განა თვით ინსტინქტი, ბუნება, მატერია ასევე არ არის გადმოღებული? წერილში რასაც გინდა იტყვი, მაგრამ თვალები!.. ოჰ, ეს თვალები! თვალები ყველაფერს ირეკლავს, მაგრამ მიბაძვით კი არაფერს ბაძავს! ისინი აბსოლუტურად ორიგინალურები არიან და თანაც კლასიკურად ორიგინალური, პლაგიატით ნასაზრდოები...

ისინი შეთანხმდებიან, რომ შეხვდნენ ერთმანეთს და ავიტო ემზადება წარსდგეს მის წინაშე, როგორც მამაკაცი, როგორც მბრძანებელი, რადგან იგი განასახიერებს მეცნიერებას, რომელმაც უნდა დაიმორჩილოს მატერია.

— თქვენ მე დიდი პატივი დამდეთ, დონ ავიტო...

— თქვენ?! დონ?! უბრალოდ, შენობით მელაპარაკე, მარინა!

— მიჩვეული არა ვარ...

— ჩვევებს თავად ადამიანები ქმნიან. ჩვევა იწყება რომელიმე ფენომენის ადაპტაციიდან, მერე კი, თუ ფენომენი მეორდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღვთის გულისათვის!..

— რა მოხდა?

— ფენომენს ნუ ახსენებთ!..

— რატომ?

— გთხოვთ, ფენომენზე ნურაფერს იტყვით, რადგან მე მყავდა ფენომენი ძმა და ახლაც თვალწინ მიდგას მისი საშინლად გადმოკარკლული თვალები და თავი!... ღმერთო ჩემო, როგორი თავი ჰქონდა!.. ფენომენს ჩემთან ნუ ახსენებთ!..

— ოჰ, ეს უმეცრება, მაინც რას ნიშნავს ეს უმეცრება! ფენომენი არის...

— არა, არა, არავითარი ფენომენი... ნუ გაიმეორებთ.

— კეთილი, მაგრამ როგორი თვალები გაქვს, მარინა, როგორი თვალები! — და თავის შინაგან ხმას შეუტევს: „გაჩუმდი!" — ის კი მაინც უჩიჩინებს: „შენ ეცემი, ავიტო... ეცემი... მეცნიერება უკან-უკან იხევს..."

— თუ შეიძლება რაღაც მინდა გითხრათ და არ გაიცინოთ...

— თუ სერიოზული რამ გინდა თქვა, არ გამეცინება, მარინა, ჩვენ ხომ ახლა ყველაზე უფრო სერიოზულ საკითხზე ვსაუბრობთ.

— მართალია, — ანგარიშმიუცემლად, მანქანასავით, დაუფიქრებლად ეთანხმება მარინა.

— მართალია, რა თქმა უნდა, ალბათ ახლა მარტო ჩვენი კი არა, შესაძლოა მომავალი თაობების ბედიც წყდება.

მატერია ისეთ სერიოზულ სახეს მიიღებს, რომ მისი თვალების შემხედვარე ფორმა შეცბება.

— დიახ, მომავალი თაობების ბედი... იცი, მარინა, როგორ ქმნიან ფუტკრები თავიანთ დედას? — და იგი უფრო ახლოს მიიწევს ქალისკენ.

— ამისთანა რამეებისა არაფერი გამეგება... თუ თქვენ მეტყვით...

— მარინა, კვლავ გიმეორებ, „შენობით" მელაპარაკე-მეთქი, „შენობით"; მოეშვი ამ „თქვენს", მასში პიროვნულობა არ ჩანს, ჩვენ კი პიროვნულზე ვლაპარაკობთ, უაღრესად პიროვნულზე...

— მაინც... მაინც... არ ვიცი... — და ღაწვები შეეფაკლება, — თუ მეტყვი...

— თუმცა არა, რა შენი საქმეა ფუტკრები, ჩემო სიყვარულო! — უცბად გაჩერდება და კვლავ შინაგან ხმას შეუტევს: „გაჩუმდი!"

„ჩემო სიყვარულო?! ვინ თქვა ეს? რას ნიშნავს. „ჩემო სიყვარულო"? ადამიანთა მოდგმის სული... ოჰ ეს არაცნობიერი"...

— ადამიანთა მოდგმის სული... — განაგრძობს ავიტო.

— რა იდეებია, კარასკალ, რა იდეებია!

— კარასკალ?! არ მომწონს, როცა ცოლი ქმარს გვარით მიმართავს!..

ამ სიტყვებზე მარინა კვლავ წამოენთება, „ცოლი" და „ქმარი"!.. ერთიანად გავარვარებული ავიტო კი უფრო ახლოს მიიწევს მისკენ და წელზე ხელს შემოხვევს, მატერია იწვის, ფორმა გიზგიზებს.

— იდეები? ჩემი იდეა შენა ხარ, მარინა!

— თუ ღმერთი გწამთ, ავიტო, თუ ღმერთი გწამთ! — და ქალი ხელიდან უსხლტება.

— თუ ღმერთი გწამსო? ღმერთი!.. კეთილი... ჰო... გააჩნია, ვის როგორ ესმის... ეგებ მეც მარწმუნებინო... — და კვლავ თავის შინაგან ხმას შეუბუზღუნებს: „გაჩუმდი!" ის კი მაინც უჩიჩინებს: „მეცნიერება ჟკანუკან იხევს... შენ ეცემი, ავიტო..." იგი მოეხვევა მატერიას და მკერდზე მიიხუტებს.

— გამიშვით, თუ ღმერთი გწამთ... გამიშვით... გამიშვით... ჩემი ძმა...

— ვინ? ფრუქტუოსო?

— სჯობს, ჩქარა დავამთავროთ, ავიტო!

— შენ გინდოდა გეთქვა, ჩქარა დავიწყოთო, არა, მარინა?

— როგორც გენებოს!

— დიახ, სწორედ რომ ჩქარა უნდა დავიწყოთ... ახლა კი მოდი ჩემთან და ჩვენს კავშირს ბეჭედი დავუსვათ.

— ეს რაღას ნიშნავს?

— მოდი, მოდი და მერე ნახავ!

იგი კვლავ ეხვევა და ხანგრძლივი კოცნით აჩუმებს, ასე, მაგრად ჩაიკრავს საბრალოს მკერდში, რომლის გულსაც ბაგაბუგი გააქვს და ეუბნება:

— შენ... შენ... მარინა... შენ!..

— ოჰ, თუ ღმერთი გწამს, ავიტო... ოჰ, თუ ღმერთი გწამს... — და თვალებს ხუჭავს.

ავიტოც ერთი წამით დახუჭავს თვალებს და ისმის მხოლოდ მათი გულების ბაგაბუგი. შინაგანი ხმა კი ისევ ისე უმეორებს კარასკალს: „ადამიანის გული წარმოადგენს შემწოვ და დამწნეხ ტუმბოს. იგი რეგულარულად იკუმშება და დღე-ღამეში ასრულებს დაახლოებით 20000 კილოგრამომეტრის სამუშაოს, რაც უდრის 20000 კილოგრამის აწევას ერთი მეტრის სიმაღლეზე"... და ხმამაღლა კი გონმიხდილივით წარმოთქვამს:

— დამჭირხნი ტუმბო...

— ოჰ, თუ ღმერთი გწამს, ავიტო... არა... არა!..

— შენ... შენ... დაწყნარდი... მაინც არ გაგიშვებ...

საბრალო მატერია ტუჩებით ეხება „ფორმის" ცხვირს, ხოლო „ფორმა" ტუჩებით ეძებს „მატერიის" ტუჩებს და ბოლოს შეერთდებიან. იმავე წუთს მეცნიერება და შემეცნება მთელი სიმკაცრითა და სისასტიკით აღსდგებიან და მომავალი გენიოსის დარცხვენილი მშობლებიც ურთიერთს მოსწყდებიან, ამ დროს კი სოციოლოგიური პედაგოგიკა თავისი წმინდა იდეების სამფლობელოდან უღიმის.

●

ფრუქტუოსო მოუსმენს თავის დას, ერთი წუთით დაფიქრებული შეჰყურებს, გაიღიმებს და რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის ოთახში.

— კარგი, მაგრამ დონ ავიტო კარასკალს...

— ვილაცას ხომ მაინც უნდა გავყვე...

— ცხადია! მაგრამ... კარასკალს?.

— საწინააღმდეგო გაქვს რაიმე?..

— საწინააღმდეგო? მე? არაფერ

კარასკალი! — ფიქრობს იგი, — დონ ავიტოს მომავალი ცოლისძმა! — იიფ! ურიგო ქმარი არ იქნება... შეძლებულიც არის... მფლანგველი არა ჩანს... როცა ოჯახს მოეკიდება, ყველაფერი მოგვარდება... ახლა თუ იმასაც ვიტყვით, რას წარმოადგენს თავად მარინა!.. — და ასეთი აზრები უტრიალებს თავში ფრუქტუოსოს, რომელიც გახლავთ საღი აზრით გამოტენილი ერთი გვარიანი ეგოისტი ვინმე, ხოლო ეგოიზმს, მოგეხსენებათ, სხვა არაფერია, თუ არა მორალში გამოხატული საღი აზრი.

— საწინააღმდეგოო? ღმერთმა დამიფაროს! ვისაც გინდა იმას გაჰყევი, ოღონდ კი პატიოსანი კაცი იყოს და შენს მზითევში ხელი არ აფათუროს და ვინც გინდა, ის იყოს, თუნდაც დონ ავიტო...

„რა უხეშია“! — ამბობს თავის გულში მარინა და ჯერ თავადაც ვერ მიმხვდარა, რომ გათხოვება მისთვის ამ მარცვლეულით მოვაჭრისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა!

კარასკალს კი მეორე ბრძოლის გადატანა ელოდება. ალბათ იძულებული გახდება, საზოგადოებას ანგარიში გაუწიოს და ეკლესიაში დაიწეროს ჯვარი. ხოლო ამის პასუხს ეძებს სოციოლოგიაში, ბოლოს ისე გამოდის, რომ უნდა თუ არ უნდა, საზოგადოების აზრს მაინც უნდა დაემორჩილოს.

აი, ასე და ამგვარად შეიკრა ურღვევი კავშირი მატერიასა და ფორმას შორის.

II

„შენ დაეცი, ავიტო, შენ დაეცი! — უჩიჩინებს შინაგანი ხმა; — შენ დაეცი, ეგ შენი მეცნიერება მაჭანკალივით გამოიყენე და... შენ დაეცი!“ და რაკი ამ დროს გვერდით თავისი ერთგული სინფორიანო არ ეგულება, ამაოდ იმეორებს: „გაჩუმდი! გაჩუმდი!“ ნეტარების პირველი დღეები რომ გაივლის და ინსტინქტის ცეცხლი წყლიდან ანაორთქლ ბურუსს გაჰფანტავს, ავიტოც ნელ-ნელა უბრუნდება სინამდვილეს. მართლაც რომ დაეცა, თანაც პირდაპირ ინდუქციის მორევში ჩავარდა; ეს უნდა აღიაროს, ოღონდ მომავალი გენიოსის სასარგებლოდ კი მაინც გამოიყენოს. ახლა კი, როცა მარინას უკვე თავის საკუთრებად დაიგულებს, ფიქრებში ლეონსია ამოტივტივდება და აეკვიატება. შავგვრემანი ბრახოცეფალის თმის სურნელებას რომ შეისუნთქავს, უკვე ქერა დოლიხოცეფალზე ოცნებობს. რა იქნება, რომ ორივე ერთ არსებად გადაიქცეოდეს!.. მაინც რატომ ხდება ხოლმე, რომ უკვე განცდილი ნეტარება მუდამ განუცდელის ჟინს აღვიძებს?

„მატერია ინერტულია, სულელია; ეგებ ქალის სილამაზე მარტოოდენ ადამიანური სისულელის გამოვლენაა და უზადო ჯანმრთელობასა და სულის უშფოთველობაზე მიგვანიშნებს? მარინას ჩემი არ ესმის, ვერც ერთ სფეროში ვერ მივაღწევთ ურთიერთგაგებას, მას არ შეუძლია ჰაერში ცურვა, მე არ შემიძლია წყალში ფრენა. აღვზარდო? შეუძლებელია! ქალს ვერ აღზრდი, მით უფრო, საკუთარ ცოლს“. აი, ასე და ამგვარად ფიქრობს ავიტო.

ახლა მარინასიც ვთქვათ: სულ ორიოდე დღეში, საკუთარი ძმისგან თავის დაღწევასაც რომ ძლივს მოასწრებს, უმალ ქმრის რაღაც გაურკვეველ, ფანტასტურ სამყაროში აღმოჩნდება და ცხადში თუ სიზმარში, უც-

ნაურ ბურანში გახვეული, ერთიანად მონუსხული დაჰყვება ქმრის ნებას, რომელიც ჭამს, სვამს და რაღაც გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამს.

— რასა იქმს შენი ქმარი? — ეკითხება ერთ დღეს ლეონსია.

— ჩემი ქმარი? აჰ, ავიტოზე მეკითხები?.. კარგადაა!..

ეს რა სახლია, ღმერთო ჩემო, რა სახლია! ღამღამობით ფანჯარა ღია უნდა დატოვო, რომ ბინდი და სუფთა ჰაერი შემოვიდეს, წვანს ქმარი არ უნდა მოხადო, ყოველი ხმარების წინ ჭურჭელი სულემის ხსნარში უნდა ამოავლო, სულემით სავსე ჯამიც ყოველთვის დგას მაგიდაზე, მერე კიდევ ეს უცნაური გრადუირებული ჭურჭელი რაღაა, ზედ იარლიყები რომ აქვს მიკრული — H_2O სამარილეზე CIN, რაღაც ეშმაკურად მოწყობილი საპირფარეშო და... ეს რა სამყაროა, ღმერთო ჩემო, რა სამყაროა!..

●

ერთ დღესაც მარინა რაღაც წამიერად გამოფხიზლდება იმ თავისი ქრონიკული ძილისგან და სანამ ისევ სიზმრები წაიღებდეს, ავიტოს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს, იგი მაგრად ჩაიკრავს ცოლს მკერდში და მთელი ღამე აღარც მიეკარება მის თვალს რული. აი, სწორედ ამ წუთიდან იწყება კიდეც პედაგოგის მოქმედებაც.

— მოდი, მარინა, ცოტა ლობიო კიდევ შეჭამე!

— რომ არ მიყვარს!..

— არა უჭირს, რა მოხდა მერე... ახლა შენი კვება გონებას უფრო უნდა დაუმორჩილო, ვიდრე ინსტინქტს, გონებას უფრო უნდა დაუჯერო, ვიდრე პირს... მოდი, ცოტა ლობიო კიდევ შეჭამე, ხომ იცი, ფოსფორითაა მდიდარი და... ფოსფორი, ფოსფორი, ახლა მ ა ს ყველაზე მეტად ფოსფორი სჭირდება...

— მაგრამ იცოდე, მერე კატლეტს ველარ შევჭამ...

— კატლეტს? რა უჭირს! ხორცი! ხორცი ატავისტურ ველურ ინსტინქტებს აღვიძებს!.. ფოსფორი! ფოსფორი!..

და მარინასაც მეტი რა გზა აქვს, მარტო ლობიოთი უნდა დაკმაყოფილდეს.

— ახლა კი განვაგრძოთ ნიუტონის ბიოგრაფიის კითხვა... მერედა, რა ბუმბერაზი პიროვნებაა! შენც ხომ ასე ფიქრობ? შენც ხომ დიდ პიროვნებად მიგაჩნია ნიუტონი, მარინა?

— ჰო...

— აბა, კარგად დაფიქრდი, რა დიდი კაცი იყო... ერთიც ვნახოთ და ჩვენი ბიჭიც ნამდვილი ნიუტონი გამოვიდა... — თავისთვის კი დასძენს — „მგონია, ასე უფრო კარგად შთავაგონებ... ასე, ასე!"

— იქნება გოგო გვეყოლოს!.. — ამბობს მარინა, მარტო იმიტომ, რომ რაიმე თქვას, მაგრამ ავიტო მოიღუშება, რადგან მას ვერ წარმოუდგენია ქალი გენიოსი.

— დღეს მუზეუმში მივდივართ, შენ იქ დაათვალიერებ შედევრებს და ეცდები ღრმად ჩასწვდე მათ, მე კი იქვე აგიხსნი ხელოვნების სოციალურ, უფრო სწორად, სოციოლოგიურ როლს.

— კარგი, მაგრამ!..

— რაო, არ გესმის? არაფერია, არაფერი... მე ხომ არ ვცდილობ რაიმე

გასწავლო, უბრალოდ, მინდა შთაგონებით... შთაგონება ისეთი ფენომენია...

— ღვთის გულისათვის, ავიტო, ღვთის გულისათვის! ფენომენი არ გინდა!.. არა... არა...

— მართალი ხარ, რა სისულელეა, მართალი ხარ. ეს უმეცრება... ამ საღამოს ოპერაში წავიდეთ, რომ ჰარმონიით განიმსჭვალო...

— მერე, ძალიან გვიან რომ მთავრდება?.. სულ არ მინდა...

— ცოტა უნდა მოინდომო, ხომ იცი, შენ უკვე შენს თავს აღარ ეკუთვნი, მარინა, აღარც მე, არც ერთი ჩვენგანი აღარ ვეკუთვნით ჩვენს თავს.

ცოლიც დაჰყვება, ყოველდღე მიირთმევს ლობიოს, ისმენს დიდი პიროვნებების ბიოგრაფიებს, რომელსაც დონ ავიტო შეურჩევს, ათვალიერებს სურათებს, უსმენს მუსიკას...

— მე კი მერჩივნა „ქრისტიანული კალენდრიდან" იმ წმინდანების ცხოვრების ამბები წაგვეკითხა, ახლა რომ აღნიშნავენ, — ერთხელაც გაუბედავს ძილბურანში ჩაფლული მარინა.

ავიტო უყურებს მას და ფიქრობს — „ოჰ, ეს ატავიზმი!" — მერე კი მოსდგება „ქრისტიანული კალენდრის" ყველა წმინდანს და სათითაოდ გათათხავს, ესაო და, უფრო ანტისოციალური, ან უფრო სწორად, ანტისოციოლოგიური არავინ მეგულებაო. მაგრამ ცოლის გამომეტყველებას რომ დაინახავს, თავისთვის იტყვის — „პირდაპირ გულში კი მოხვდა, გასჭრა და ეგ არის!"

●

მარინა თავს ცუდად გრძნობს და ავიტოც აწრიალდება. ვაითუ ნაადრევი მშობიარობა ეწყებაო, მერე კი თვითონვე გაუკვირდება, ეს როგორ არ გავითვალისწინე ასეთ შემთხვევაში ჰუტინელის ინკუბატორი რომ დასჭირდებოდაო. გულის სიღრმეში კიდეც ნატრობს, ნეტავი ასე იყოს, მაშინ კი საკუთარი შვილის მაგალითზე დავამტკიცებდი მეცნიერების საოცრებებსო. და რაკი ცოლის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდება, გადაწყვეტს ექიმი მოიწვიოს, ოღონდ რა თქმა უნდა, ექიმი — სოციოლოგი.

— რას გვეტყვით? — მოუთმენლად ეკითხება ავიტო ექიმს, როცა იგი ავადმყოფს გასინჯავს, თავად კი ისევ ინკუბატორზე ფიქრობს.

— მოუნელებლობის ბრალია, მეტი არაფერი... ძლიერი მოუნელებლობაა... ასეთს მაინც რა საჭმელს მიირთმევთ ხოლმე, სენიორა!

— ლობიოს!

— ეს ხომ!...

— მით უმეტეს, რომ მეზიზღება, პირდაპირ გულზიდვა მეწყება...

— მერე რატომ ჭამთ?

— ჩემი ბრალია, მე ვაძალებ... ფოსფორის გამო...

— აა! — წამოიძახებს ექიმი და მხარზე ხელს დაადებს ავიტოს, — მეტისმეტი არ მოუვიდეს გენიოსს ფოსფორი, ჩემო მეგობარო კარასკალ, მარტო ფოსფორი რას უზამს, გონებას როგორ გაუნათებს! ორგანიზმში ისედაც საკმარისზე მეტი გვაქვს.

— მაშ რა ვქნათ?

— რადა, ხილი უნდა აჭამოთ, თანაც გაუფცქვნელი. არ გახსოვთ, ბავშვობაში რომ ვმღეროდით ხოლმე: „შავი ქლიავი ქვასაც არბილებსო"?

— ზუსტად ასეა!

— თუ ოპერაში არ გინდა წასვლა, მაშინ სხვა რამეს მოვიფიქრებ... — ეუბნება ერთ დღეს ავიტო ცოლს.

და იგი მოატანინებს გრამოფონს, მოათავსებს ზედ ერთ-მეტად მელოდიური სონატის ფირფიტას და ეუბნება:

— ახლა მინდა მუსიკას მოუსმინო. რიტმული რხევები გადადის ჰაერში, მერე გადაეცემა ირგვლივ ყველაფერს, ნივთებიც კი შეთანხმებულად და რიტმულად დაიწყებენ რხევას და რალა თქმა უნდა, ემბრიონის ნაზი უჯრედებიც უფრო ჰარმონიულად განვითარდება... ახლოს მოიწიე, აქ დაჯექი...

— მაგრამ...

— ახლა კი უსმინე!

ფირფიტა იწყებს ტრიალს. საბრალო მთვლემარე „მატერია" ნათელი, უცოდველი თვალებით შეჰყურებს თავისი სიზმრების მბრძანებელს, სონატა მასში აღვიძებს მიყუჩებულ ნაზ დედობრივ გრძნობებს და დედობრივი სიბრალულითვე აღავსებს მის გულს, მწვავე სიბრალულით მომავალი გენიოსის მამისადმი.

— უფრო ახლოს მოიწიე, მუცლით გრამოფონისკენ შემოტრიალდი, რომ რიტმული რხევები უფრო უკეთ იგრძნოს ნაზმა ემბრიონმა.

საბრალო მატერია კი თავად გრძნობს, როგორ მოაწყდება და გადაევლება ლიმფის მწარე ტალღა დედის გულს და ეჩვენება, რომ ირგვლივ ყველა ნივთი — კომოდი, სკამები, კონსოლები, სარკე, ყველაზე მეტად მაინც სარკე, მაგიდა, ყველაფერი მას დასცინის; სახეზე სისხლი მოაწვება, ღაწვებს შეუფაკლავს და ისიც იცინის. მერე შერცხვება, ჩუმად, უსიტყვოდ ჩამოსცვივდება ცრემლები და ამის გამო, ამ ცრემლების გამო კიდევ უფრო შერცხვება.

— ოჰ, ვხედავ, რა ძლიერ გავლენას ახდენს შენზე მუსიკა... ეს უკვე მეტი მოგივა... ეს უკვე მეტისმეტია... არ მინდა, ასეთი სანტიმენტალური იყო, რადგან სანტიმენტალური ადამიანი ვერასოდეს იქნება კარგი სოციოლოგი. ახლა კი წავიდეთ, გავისეირნოთ, რაკი ასეთი კარგი დღეა. რაც შეიძლება მეტი სინათლე გვჭირდება, სინათლე! სინათლე, მეტი სინათლე!

სეირნობის დროს კი კვლავ უმეორებს:

— ბავშვის აღზრდა უკვე მუცლიდანვე იწყება... არა, პირდაპირ ჩანასახიდან და შეიძლება კიდევ უფრო ადრეც. საკუთარი თავის აღზრდას ხომ თითქმის დასაბამიდან ვიწყებთ, თავდაპირველი ჰომოგენური მდგომარეობიდანვე.

ქალი დუმს, კაცი თავისას განაგრძობს:

— მარინა, შენ ძალზე ჰომოგენური არსება ხარ.

ქალს ეს სიტყვა შეურაცხმყოფელი ჰგონია. შეურაცხმყოფელი? მაგრამ განა ამ კაცს შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს? აბა ამაზე რა უნდა თქვა! არის კი რაიმე სათქმელი?

ავიტო კი ფიქრობს: „ალბათ მაინც საჭიროა ზოგი რამ წავუკითხო ემბრიოლოგიის შესახებ. ხომ უნდა გააცნობიეროს, რა ხდება მასში?.. თუმცა არა, თუმცა არა, ეგებ ჯობია, სულაც არ გააცნობიეროს... მაგრამ მაინც..." და მეორე დღესვე აჩვენებს ემბრიონულ პრეპარატს განვითარების

გარკვეულ სტადიაში. მარინა თითქოს გამოფხიზლდება თავისი ქრონიკული ძილისგან და შესძახებს:

— მოაშორე აქედან, მოაშორე, თუ ღმერთი გწამს, მოაშორე აქედან!..

— ეეჰ, მამაკაცებს რომ შეგვეძლოს ბავშვის გაჩენა!.. — ამოიოხრებს ავიტო, გულში კი იტყვის: ჩვენ უფრო მეცნიერულად და აზრიანად ვიმოქმედებდით...

— თქვენ, მამაკაცებს რომ შეგძლებოდათ ბავშვის გაჩენა, მაშინ ხომ მამაკაცები კი არა, ქალები იქნებოდით...

ამ სიტყვების გაგონებაზე, გახარებული ავიტო თავისთვის ამბობს: „გენიოსია, გენიოსი! ნამდვილი გენიოსი!" — და მერე თავის შინაგან ხმას „გაჩუმდი!" კი აღარ ეუბნება, პირიქით, „აი, ხომ ხედავ!" ნიშნს მოუგებს.

●

დღეები გარბიან. საბრალო „მატერია" გრძნობს, როგორ იღვრება მასში სული, მისი სული, ტკბილი მატერიალური სული და ერთიანად ავსებს მას, მაგრამ ავსებს არა მწარე სითხით, არამედ ტკბილი ცვარ-ნამით, მწარე სითხის აორთქლების მერე რომ ცვივა ხოლმე. სულის სილრმეში ღღერს კაცობრიობის მარადიული ჰიმნი. როცა მარტო რჩება, ხელით ეხება საკუთარ მკერდს და გრძნობს, როგორ ევსება; მისი ცხოვრების სიზმრებიდან იბადება სიცოცხლე! საბრალო ავიტო, ნეტავი ახლა მაინც თუ გამოფხიზლდება! ვაითუ პირიქით, დაიძინოს!

ეს დღეც დადგება; კარასკალი წინასწარვე მოამზადებს ყველაფერს და ახლა მეცნიერების ჯავშნით აღჭურვილი, მხოლოდ ბედის განაჩენსღა ელოდება. „მატერია" ხანგამოშვებით კვნესის, ადგება, გაივლ-გამოივლის და ისევ დაჯდება.

— არ შემიძლია, დონ ანტონიო, არ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია... ვკვდები, ვაიმე, ვკვდები... მეტი აღარ შემიძლია!..

— ნუ გეშინიათ, მარინა, ეს ხომ სულ უმნიშვნელო ტკივილია, ცოტა თქვენც მიეხმარეთ, უფრო ძლიერმა ტკივილმა უნდა წამოგიაროთ! ერთი კარგა ძლიერი ტკივილი რომ წამოგივლით, ყველაფერი დამთავრდება კიდეც.

— მე რაღაც სხვანაირად მტკივა, დონ ანტონიო, სულ სხვანაირად... ეს სულ სხვაა... მე რაღაც სხვა, უფრო სერიოზული მჭირს... ვკვდები... ვაიმე, მშვიდობით, ავიტო!.. ვკვდები...

— ყველა ასეთ დღეშია ხოლმე, დონიკა მარინა, ყველა... ეს არაფერია!

— როგორ თუ არაფერი! ვაიმე, ვკვდები... ვკვდები... ნეტავ მართლა მოვკვდებოდე... მშვიდობით!..

— აბა, აბა! ახლა ცოტა შეისვენე...

— ეს ტკივილები სულ ცივილიზაციის შედეგია, — ჩაურთავს დონ ავიტო, — და ისევ ცივილიზაციამ უნდა იზრუნოს ამაზე. აკი ვთქვი, ქლოროფორმი დაგვჭირდება მეთქი.

— გაჩუმდი... არა... არა... ქლოროფორმი არ მინდა... ვაიმე! ჯობია მოვკვდე!.. ვაიმე, ნეტავი მოვკვდებოდე... დონ ანტონიო... ქლოროფორმი ებრაელების მოგონილია... ვაიმე, ნეტავი მოვკვდებოდე!..

— კარგი იქნებოდა, ეს აქტი მეცნიერულად დაეჩქარებინათ, მერე კი ინკუბატორი...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, გაჩუმდი!

მარინა მალულად გადაყლაპავს პატარა, დაკეცილ ქაღალდს, რომელზედაც ლათინურად ორ ტაეპიანი ლექსად დაწერილი ლოცვა ეწერა, მერე კიდევ მეორე ასეთივე ქაღალდსაც მიაყოლებს, რომელზედაც ასევე ჩვენი მარადიული მფარველის, უკვდავი ღვთისმშობლის ხატება იყო გამოსახული. აი, ეს არის მისი ქლოროფორმი. ბოლოს, როგორც იქნა მოაწევს წუთი, როცა მომავალი გენიოსი თვით წამოვა და ამ ქვეყანას მოევლინება; როგორც კი სცენაზე გამოდის, მაშინვე ტირილს იწყებს. ამის მეტი არაფერი შეუძლია და რაკი მაინც სცენაზე გამოდის, რაღაც ხომ უნდა მოიმოქმედოს და ისიც ამ გამკივანი ხმით ფილტვებს ავარჯიშებს. ავიტო საათს დახედავს — თვრამეტი საათი და ორმოცდათვრამეტი წუთია!

— როგორი თავი აქვს!.. — ამბობს დედა მისუსტებული ხმით.

— მერე თავისთავად გაუსწორდება, — ამშვიდებს ექიმი.

— მაგრამ მაინც ხომ უშნო თავი აქვს! საბრალო! — იღიმება დედა.

— აბა! — ამბობს ავიტო, — ნამდვილად დიდი ჯაფაა ბავშვის დაბადება, მაგრამ მარტო შენ ხომ არ გაისარჯე, განა ის უქმად იყო?

— დღის სინათლე ხომ მე ვაჩვენე, ვაჟბატონო!

— შენ ის გაგიჩნდა, ქალო!

— ახლაც იტყვი, ნეტავ მოვკვდებოდეო? — ეკითხება ექიმი.

— საბრალო! — ამბობს დედა.

მამა ჩვილს აიყვანს და სასწორზე დააწვენს, მერე საგანგებოდ მომზადებულ აბაზანაში ჩააწვენს, რომ წყალმზომზე აღინიშნოს მისი მოცულობა, შემდეგ წონისა და მოცულობის მიხედვით გამოიანგარიშებს მის სიმკვრივეს, დიახ, გენიოსის თავდაპირველ სიმკვრივეს. მერე გაუზომავს სიმაღლეს, სახის, თავის ქალის კუთხეებს და საერთოდ ყოველგვარ კუთხეებს, სამკუთხედებს და წარმოსახვით წრეებსაც კი. ამ მონაცემებით იწყება აღნუსხვა საგანგებო რვეულში.

სახლი ყოველმხრივ მომზადებულია მისი ღირსეული დახვედრისათვის, — მაღალი კედლები, როგორც ახლაა მიღებული, განათება, განიავება, ანტისეპტიკურობა. ყოველ კუთხეში დაინახავთ ბარომეტრებს, თერმომეტრებს, პლუვიომეტრებს, აერომეტრებს, დინამომეტრებს, რუკებს, ტელესკოპს, მიკროსკოპს, სპექტრომეტრს, ერთი სიტყვით, საითაც კი გაიხედავს ბავშვი, ყოველ მხარეს მეცნიერებაა; სახლი ნამდვილი რაციონალური მიკრო-კოსმოსია. აქ არის წარმოდგენილი საკურთხეველიცა და საკულტო ნიშნებიც — ერთ მხარესაა აგური, რომელზედაც ამოტვიფრულია სიტყვა „მეცნიერება", ცოტა ზემოთ, ღერძზე დამაგრებულია ბორბალი, ოთახის ეს ნაწილი განეკუთვნება, ასე ვთქვათ, სიმბოლიკას, ანუ როგორც თავად დონ ავიტო, იტყოდა, რელიგიას.

III

გაჩნდა ბავშვი, ანუ აღსაზრდელი ობიექტი და გაჩნდა პრობლემაც — სახელის პრობლემა. აკი ერთხელ შერქმეულ სახელს კაცი მთელი ცხოვრება ატარებს და ხშირად მის ბედსა თუ უბედობაზეც ასე თუ ისე გავლენას

ახდენს. განა არ გსმენიათ „ამას ჩემს სახელს უნდა ვუმადლოდეო", რომ უთქვამთ? ესეც არ იყოს, ალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რას გვეძახიან სხვები და რას ვირქმევთ ჩვენ თვითონ...

სახელი სასურველია, იყოს ბერძნული, რადგან ბერძნული სამეცნიერო ენაცაა, კეთილხმოვანიც და შინაარსიანიც. კარასკალერ ერთხელ კიდევ გადაიკითხავს დონ ფულხენსიოს, ამ თვითმყოფი ფილოსოფოსის წერილს, ფილოსოფოსისა, რომელიც მის შეკითხვაზე ასეთ პასუხს უგზავნის:

„ხშირად ხდება, რომ კაცი თავის სახელს სასჯელივით ან თანდაყოლილი კუზივით ატარებს. ჩემი აზრით, ჯობია დავიცადოთ, როგორ წარმოაჩენს იგი თავს და სახელიც ამისდა მიხედვით შევურჩიოთ. სანამ ხასიათი არ ჩამოუყალიბდება და გამოეკვეთება, სულ რომ უსახელოდ არ იაროს, შეიძლება დროებითი ან ეპიზოდური სახელი ერქვას. ფსევდონიმები და მეტსახელები ზოგჯერ უფრო შეეფერება მის პატრონს, ვიდრე კანონიერი, რადგან ამქვეყნად ცოტა რამაა, რასაც კანონიერების მიხედვით კი არ აფასებენ, არამედ პირიქით". ამის შემდეგ დონ ფულხენსიო სთავაზობს რამდენიმე სახელს და აი ისინიც: ფისიდორო — ბუნების მადლი; ნისეფორო — გამარჯვებული; ფილალეტოს — სიმართლის მოყვარული, ანისეტო — დაუმარცხებელი; ალეტოფორო — ჭეშმარიტების მატარებელი; თეოდორო — ღვთით ბოძებული; თეოფორო — ღვთის გულით მატარებელი, — მაგრამ ღვთის ცნება თვითმყოფი ფილოსოფოსის მიერ სხვანაირადაა გაგებული; აპოლოდორო — აპოლონის ნაბოძები, მზის, სინათლის, ჭეშმარიტებისა და სიცოცხლის მამამთავარი... ავიტო ჭოჭმანობს, თითქოს აპოლოდორო უფრო მოსწონს და მოსწონს სიმბოლური მნიშვნელობის გამო, მაგრამ უწინ, ალბათ იმიტომ, რომ მისი სახელიც „ა"-ზე იწყება და ამას ერთი უპირატესობაც აქვს — მამა-შვილს შეუძლია ერთი ჩემოდნით ისარგებლოს და სუფრასა და ხელსახოცებზეც ინიციალები „ა. კ." უცვლელად დატოვონ, თუმცა ამ სახელს ერთი უხერხულობა მაინც გააჩნია — აპოლოდორო ხომ წარმართული ღმერთია და რაც არ უნდა თქვა, რელიგიურ ცრურწმენაზე მიგვანიშნებს. ხოლო მეორეს მხრივ, აპოლონი ახლა სიმბოლოდაც კი შეიძლება აღვიქვათ, მზის, სინათლის, სიცოცხლის სიმბოლოდ. ავიტომ თითქმის მიიღო კიდეც გადაწყვეტილება, რომ შინაგანმა ხმამაც თავი შეახსენა: „შენ დაეცი და კვლავაც დაეცემი, ასჯერ კიდევ დაეცემი და შენს დაცემას ბოლო არ ექნება, მაშასადამე, შენ პირი შეჰკარი სიყვარულთან, ინსტინქტთან, ხორციელთან; დიახ, პირი შეჰკარი წარმართულ ცრურწმენასთან, შენი შვილი ხომ მთელი სიცოცხლე დაღივით ატარებს ამ სახელს, თანაც, ალბათ აპოლოს დაუძახებთ. არ გერჩივნა, თეოდორო დაგერქმია? ჯერ ერთი, საკმაოდ გავრცელებული სახელია, მერე შედარებით უბრალოა, ხოლო შინაარსი იგივე აქვს, აბა აპოლონიდან ღმერთამდე რალა რჩება?" და ავიტო იმ თავის თავხედ ეშმას იმავე წუთში რომ ჩაუძვრა სულში რა წუთიდანაც მის გულში ჩაისახა სიყვარული, ასე პასუხობს: „არა, აპოლონი სულაც არ ნიშნავს ღმერთს, არც თეოდოროსა და აპოლოდოროს აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა, ამის გარდა, დღეს აპოლონი უკვე აღარავის სწამს და კარგა ხანია პოეტურ ფიქციად, წმინდა სიმბოლოდ გადაიქცა, მაშინ, როცა ღმერთი ჯერ კიდევ სწამს ზოგიერთს, ასე რომ, თუ ჩემს შვილს აპოლოდოროს დავარქმევ, აზრადაც არავის მოუვა, თითქოს მე აპოლონის ნამდვილი, რეალური არსებობა მწამს, მაგრამ

თუკი მოვნათლავ... — ამას რას ვამბობ? — ან თუ თეოდოროს დავარქმევ, აი, მაშინ კი ყველა იფიქრებს, რომ მე ღმერთი მწამს. ღმერთზე შეიძლებოდა ლაპარაკი, ე. ი. ღმერთზე შეგვეძლო გვესაუბრა ჩვენ, გონიერ ადამიანებს მხოლოდ მაშინ, როცა მისი რწმენა აღარავის ექნებოდა და მარტო ერთ წმინდა სიმბოლოდ დარჩებოდა... აი, ასეთი შემთხვევა კი ნამდვილად შეგვეძლო გვესარგებლა!..“ მაგრამ შინაგანი ხმა თავისას გაიძახის; „შენ დაეცი, კიდევ დაეცემი, ასჯერ მაინც დაეცემი და შენს დაცემას ბოლო არ ექნება...“ შენს შვილს შეგიძლია ალგებრული ნიშნებიც კი უწოდო: A, B, C ან X. ანდა, რა მნიშვნელობა აქვს აპოლოდოროს დაარქმევ თუ თეოდოროს, ბოლოს და ბოლოს ისეთი სახელი მოიგონე, სულ რომ არ ექნება შინაარსი, თუნდაც, რაიმე პირობითი ნიშანი, ვთქვათ ალგებრული, მაგალითად, აკაპო ან ბებიტო ან კიდევ ფუტოკე, რაც თავისთავად არც არაფერს ნიშნავს, მერე კი თვითონ შენმა შვილმა შეავსოს შინაარსით. ამიტომ აიღე ქაღალდი, დაწერე სხვადასხვა მარცვლები ცალ-ცალკე, საოთაოდ ჩააგდე ქუდში, მერე ასევე სათითაოდ ამოიღე, შეაერთე და რაც გამოვა, ის დაარქვი“. ავიტო ჩასძახებს: „გაჩუმდი! გაჩუმდი!“ და ბოლოს ისევ აპოლოდორზე შეაჩერებს არჩევანს, აბა იმ დრომდე როგორ მოიცდის, როცა მისი შვილი თავის სახელს შინაარსსაც მისცემს და საქმითაც განამტკიცებს.

●

მარინა კი უფრო და უფრო ღრმა ძილში ეფლობა და ლამის მარადიულ ჭეშმარიტებათა სფეროებსაც კი მისწვდეს. იგი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს სიცოცხლის წყაროდ, როცა ბავშვს ძუძუს აწოვებს. ზოგჯერ პატარა ძუძუს პირს მოაშორებს და დედას შესციცინებს, ან გაეთამაშება, ხოლო როცა ძილში იცინის, დედა თავისთვის იტყვის ხოლმე: ახლა ანგელოზები ეზმანებაო. თავად მას კი ეს ერთი პატარა ანგელოზი ესიზმრება და ხანდახან ისე ჩაიკრავს ხოლმე გულში, გეგონებათ, ერთი სული აქვს კვლავ თავის წიაღში დაიბრუნოს, რადგან იქ, ამ სამყაროსგან მოშორებით უფრო მშვიდად იძინებსო.

ავიტო წამდაუწუმ ეკითხება: „როგორ გრძნობ თავს? რძე ხომ საკმარისი გაქვს? სისუსტეს ხომ არ უჩივი?“ — თუმცა ცოლის პასუხი მაინც არ აკმაყოფილებს და რძეს ანალიზისთვის აგზავნის, ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს მისი მიკროსკოპული თუ ქიმიური ანალიზის პასუხი.

— ყური დამიგდე, თუ გაირკვევა, რომ ძუძუსწოვება ან შენ გვნებს ან ბავშვს, ასეთ შემთხვევაში, არსებობს მშვენიერი საშუალება — საწოვარა!

— საწოვარა?

— დიახ, საწოვარა, თანამედროვე, ახალი საწოვარა და კიდევ სტერილური რძეც — ხელოვნური ლაქტაცია, ეს ხომ მთელი სისტემაა და ბუნებრივ ლაქტაციას კიდეც ჯობია, დამიჯერე...

— ჯობია? ბუნებრივიც რომ გქონდეს, მაინც?

— მოეშვი ამ ბუნებრივს, ბუნებრივი შეიძლება ისეთი ყუათიანი არც იყოს, ანდა, როგორც დონ ფულხენსიო იტყოდა, მარგებელი...

— მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ბუნებრივი...

— აბა, რას ამბობ, რა ბუნებრივზე მელაპარაკები, როცა შენ თვითონა ხარ თავით-ფეხამდე ბუნებრივის განსახიერება. დამიჯერე, საწოვარაზე უკეთესი არაფერია-მეთქი...

— მაგრამ ჯერ ხომ მაქვს რძე?

— კარგი, არ გედავები, მაგრამ... ყური დამიგდე. შენ რაგორ ფიქრობ, თვითონ პედაგოგიკა განა ფსიქიკური საწოვარა, ასე ვთქვათ, სულის ხელოვნური ლაქტაცია არ არის? ამაზე უკეთესი სახელი ვერ მოიგონეს და ასე იმიტომ უწოდეს, ეტყობა...

„შენ დაეცი, კვლავაც დაეცემი, — ისევ შეახსენებს შინაგანი ხმა, — შენ მას მიანდობ ბავშვის აღზრდას და მაშასადამე, შენს შვილში მისი, დედის, სისხლი მეტი იქნება და აჰა, ეგეც შენი სიყვარულის ნაყოფი!"

— ამ საბნებისა არ იყოს... ეს ხომ სულ... რამდენჯერ უნდა გითხრა, ასე ნუ ფუთნი-მეთქი. თქვენ, ქალები რუტინის ნამდვილი ქურუმები ხართ.

— მაშ რა ვქნა?

— დახედა ამ სურათებს და შენც ასე ჩააცვი ხოლმე.

— მე ასე არ შემიძლია, ადექი და შენ თვითონ ჩააცვი...

— შენ თვითონ... შენ თვითონ... პედაგოგიკა გვასწავლის, რომ პირველადი საზრუნავი დედის მოვალეობაა...

— ოღონდ არა ძუძუსწოვება, არა?

— აი, ქალური ლოგიკა! ძუძუსწოვებისა რა მოგახსენო და საწოვარა კი ნამდვილად დედამ უნდა მისცეს...

— რაც არ ვიცი, იმას ვერ ვიზამ. მე ისე ვაჭმევ, როგორც შემიძლია და ვიცი...

●

დღეს ავიტომ საიდანლაც გაიგო, რომ თურმე მის უჩუმრად, ლეონსიას რჩევით, დედას ბავშვი ეკლესიაში წაუყვანია და მოუნათლავთ. ასე შეილახა მისი, როგორც ოჯახის უფროსის ავტორიტეტი, რაც გახლავთ ყველა გონივრული პედაგოგიკის საყრდენი და საფუძველი. შეილახა და მერე ვის მიერ? მისივე დედუქციური რჩეულის მიერ! ამას კი ასე არ დატოვებს, უთუოდ პროტესტს განაცხადებს.

— რამდენჯერ გითხრა, მარინა, არ მსურს ჩემი ბავშვი ასეთ რამეებში გარიო-მეთქი?

— ყველა ასე აკეთებდა და აკეთებს...—თუკი სადღაც შიგნით დამოუკიდებლობის რაღაც ნაღმები კიდევ ჰქონდა, ერთბაშად ამოხეთქა. — შენ მარტო ახალ-ახალ წეს-კანონებს თხზავ და სხვა მეტი არაფერი გინდა.

— ეს ვილამ გითხრა: — და რაკი მარინა გაჩუმდება, ის ხმას უწევს, — მაინც ვინ გითხრა-მეთქი? გიმეორებ, რომელმა რეგვენმა დაგარიგა? აბა, მიპასუხე. იქნებ დაგავიწყდა, რომ მე ვარ შენი ქმარი!

საბრალო „მატერია" მაგრად ჩაიკრავს გულში მომავალ გენიოსს და გრძნობს, როგორ მოაწყდება მწარე ბოლმა ჯერ მის აფუებულ მკერდს, მერე ყელს, ცრემლებით დაბინდული თვალებით შეხედავს ქმარს და ღაწვებზე ცხელი კურცხალი ჩამოუგორდება.

— რა გაეწყობა, სულელად ხარ გაჩენილი და აქამდე ვერაფერი შეისმინე...

ამ სიტყვებზე მარინა დაჭრილი ნადირივით დაიგმინებს და კბილებში გამოსცრის — „რა უხეში ყოფილხარ!“

— უხეში?! მე ვარ უხეში? — ავიტო მკლავში ჩაავლებს ხელს და შეანჯღრევს, — უხეშიო? რომ არა...

ქალს ქვითინი წასკდება: „უწმინდესო ქალწულო!..“

— გაჩუმდი, ნუ მკრეხელობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპოლოდორო დედას მისჩერებია. მამა ბოლთასა სცემს და თავისთვის ამბობს: „ცუდად მოვიქეცი, არარაციონალურად, არამეცნიერულად, ჩემში გაიღვიძა მხეცმა, იმ მხეცმა, მოთვინიერებული რომ მეგონა მაშინ, როცა შემიყვარდა... ამ უბედურმა რა დამიშავა... მონათლა? მერე რა მოხდა? ქალებს მეტი რა საქმე აქვთ? რაღაც ხომ უნდა მოეგონა თავის გასართობად, საბრალო!.. — მერე მიუბრუნდება ცოლს და ძალზე დამტკბარი ხმით ეუბნება:

— კარგი, მარინა, გავცხარდი, ვაღიარებ, მაგრამ... — და საკოცნელად მიუახლოვდება, მაგრამ ამ დროს შინაგანი ხმაც არ დააყოვნებს: „შენ დაეცი, კვლავაც დაეცემი და კიდევ ასჯერ მაინც დაეცემი...“

მარინა აკოცნინებს, მაგრამ ბავშვს მაგრად ჩაიკრავს მკერდში და ისევ თავისი ცხოვრების სიზმრებში ჩაეფლობა.

— ჰო, კარგი, გავცხარდი, მაგრამ... ჩემს სურვილსაც ხომ უნდა გაუწიო ანგარიში?.. ხომ მონათლე!... მერედა რატომ?.. პირველცოდვისგან რომ განწმენდილიყო? მერე, შენ მაინც გჯერა, რომ ამ უცოდველ არსებასაც ცოდვა მიუძღვის?

და ამ დროს მის გულგვამში ჩაბუდებული ეშმა ამოსძახებს: „დიახ, შეიძლება. თვითონ ბავშვს კი არ მიუძღვის ცოდვა, მაგრამ პირველცოდვა ხომ მასზეც გადმოდის, რადგან სიყვარულის ნაყოფია, დიახ, ინსტინქტისეული კავშირისა და ინდუქციური ქორწინების ნაყოფი გახლავთ, ხოლო სიყვარული და პედაგოგიკა სრულიად შეუთავსებელია, ფსიქიკურ საწოვარას რაღაცის დამატება კიდევ სჭირდება...

— ნუ კოცნი, ასე მაინც ნუ კოცნი, მარინა, ნუ კოცნი-მეთქი, ასეთი კონტაქტებია სწორედ მიკრობებს რომ თესავს...

და კვლავ ხმა შიგნიდან: „შენ თავადაც ხომ კოცნიდი მას? კოცნიდი და კიდეც გადმოგდო თავისი მიკრობები, დიახ, თავისი საკუთარი მიკრობები, ის მიკრობები, დონ ფულხენსიო ინდივიდუუმის ბაცილას რომ უწოდებს, რადგან ყოველ ჩვენგანს საკუთარი, განსაკუთრებული მიკრობები, სპეციფიკური მიკრობები გვაქვს. შენ კი მასთან კონტაქტის დროს... შენ დაეცი... და კვლავაც დაეცემი!..“

მეორე დღეს მარინა სრულიად შემთხვევით დაადგება ქმარს თავზე იმ დროს, როცა იგი ბავშვს ნემსს ჩხვლეტს. დედის გული მყისვე გამოფხიზლდება და შეჰკივლებს:

— ავიტო, ხომ არ გაგიჟდი, რას აკეთებ?

მამა იღიმება, მერე ერთხელ კიდევ უჩხვლეტს შვილს ნემსს და პასუხობს:

— შენ ვერ გაიგებ...

— მაგრამ, ავიტო... — მორიდებით შეეპასუხება იგი.

— ამით ვსწავლობ მისი რეფლექსების რეაქციას!

— ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო! — და იგი კვლავ ეფლობა თავის სიზმრებში.

ამის გარდა სხვა სასწაულიც ელოდება მარინას. ერთ დღესაც იგი ხედავს, რომ აპოლოდორო ორივე ხელით ჩაბლაუჭებია ფრთხე, რომელიც მამას ჰაერში უჭირავს. თავზარდაცემული დედა ხელებს გაიწვდის და კივილს ძლივს შეიკავებს, ავიტო კი ეშმაკურად იღიმება და ეუბნება.

— აი, ამ ძალას, ჩაბლაუჭების ამ თვისებას მერე დაკარგავს. ეს ჩვენი პაპის პაპისგან, ანთროპოპიტეკოსგან და ჩვენი ბიძაშვილიშვილი შიმპანზესგან გამოჰყვა...

— ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო! — და მარინა კვლავ ძილს მიეცემა.

ერთხელაც ავიტო ბავშვს თვალების წინ ცხვირსახოცს უფრიალებს და აკვირდება, როგორ აყოლებს ბავშვი მზერას ამ მოძრაობას. ბოლოს კი იმდენად გათამამდება, რომ ანთებულ სანთელსაც კი მიუტანს და ცდილობს, როგორმე ხელი შეახებინოს. ბავშვიც წაეპოტინება და როცა დაეწვება, ტირილს მორთავს. დედა მაშინვე ხელში აიყვანს და ძუძუთი ძლივს დააშოშმინებს. ავიტო კი ისევ თავისას გაიძახის:

— აცადე, იტიროს, ეს პირველი გაკვეთილი იქნება და არასოდეს დაავიწყდება, თუმცა კერძოდ, ეს შემთხვევა შეიძლება, აღარც გაახსენდეს, — და რაკი ფიქრობს, დედა ამ აზრის სილრმეს მაინც ვერ ჩასწვდებაო, განაგრძობს, — აი, ასე მიხვდება, რომ თითი მისია და თუ ტირის, ამით ეს უნდა თქვას: „ჩემი თითი ვაი, ჩემი თითიო“, ხოლო სიტყვიდან „ჩემი“ სიტყვამდე „მე“ ერთი ნაბიჯი რჩება, ერთადერთი ნაბიჯი. მაშასადამე, კუთვნილების ცნებიდან პიროვნულობის ცნებამდე მიჰყავს ტკივილს, ხოლო „მე“... „მე“-ს კონცეფცია...

მაგრამ მარინას რომ შეხედავს და მის გაოგნებულ მზერას შეხვდება, ავიტო ჩუმდება და იმ თავის „მე“-ს კონცეფციას თავისთვისვე შემოინახავს.

●

კარასკალი ფხიზლად ადევნებს თვალყურს პატარა ველურის ევოლუციას, ინდივიდუუმისა და სახეობათა ევოლუციის ანუ როგორც იტყვიან, ონტოგენეზსა და ფილოგენეზს შორის პარალელიზმს სწავლობს. „დედამისი მისგან ნამდვილ ფეტიშისტს აღზრდის, — ამბობს იგი, — არა უშავს! ინდივიდუუმმაც ისევე როგორც სახეობამ ფეტიშიზმის სტადიაც უნდა გაიაროს. აი, მერე კი ჩემი ჯერიც დადგება. ხოლო მანამდე, სანამ, ასე ვთქვათ, ფსიქიკურად უხერხემლოა, ანუ მარტო სულია ხერხემლისა და ტვინის გარეშე, დაე, იყოს დედასთან, მაგრამ როგორც კი გამოაჩნდება გონებრივი რეფლექსების ნიშნები და ხერხემლიანთა კლასში გადავა, როგორც კი ფსიქიკური ამფიოქსუს სახედ ჩამოყალიბდება, მაშინ უკვე ჩემს ხელში გადმოინაცვლებს.

მარინა კი ამ დროს ისევ ძილბურანში ჩაფლული თავისთვის ოხრავს: „ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო!“ და თან ბავშვს ნანას უმღერის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძინე, პაწაწინავ, დაიძინე,
    დაიძინე მალე,
ცხოვრებამ ხომ მიიძინა
    დედიკოსთან ერთად,
დაიძინე, თვალის ჩინო,
დაიძინე, საყვარელო,
დაიძინე, თუ გინდა რომ,
    კვლავაც გიმღერო.
დაიძინე, ჩემო ტკბილო სიზმარო,
დაიძინე, ჩემო საუნჯეო,
დაიძინე, რომ ძილშიაც
    შენ გეთაყვანო.
დაიძინე, რომ დედამაც,
    საბრალომ დაიძინოს,
თორემ მამა გაბრაზდება,
    მამა გაგვიწყრება,
დაიძინე, პაწაწინავ,
    თორემ მოვა ბუა,
და წაიყვანს იმ პატარებს,
    ვისაც ცოტა სძინავს.

ამასობაში კი აპოლოდორო მამის ხელმძღვანელობით ეუფლება თავისი მუშტების — ჩაქუჩების, მკლავების — ბერკეტების, თითების — მარწუხების, ფრჩხილების — კაუჭების, ახალამოჭრილი კბილების — მკვნეტარების, — გამოყენების ტექნიკას. ხოლო თვითონ, სხვის დაუხმარებლად თავს დააქნევს, თუ შეთავაზებული საჭმელი მოსწონს, ხოლო თუ არ მოსწონს, ანუ ძალით აჭმევენ, მაშინ — გააქნევს; ასე გამოხატავს თავის მუნჯურ „ჰო"-ს და „არა"-ს და ნელ-ნელა საკუთარი ნების პირველ ნიშნებსაც ავლენს.

რასაკვირველია, მამას მარტო ეს არ აკმაყოფილებს და ყოველ ცისმარე დღეს ბევჯითად უზელავს ყურისძირებს, რაც მისი აზრით, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და უკეთესად ამარაგებს ტვინის მარცხენა სფეროს შუბლის მესამე ხვეულს, სადაც სწორედ სამეტყველო ცენტრია, მერე გარკვეული აღგზნება გადაეცემა თავის ქალის კოლოფის მეშვეობით და ბავშვი გაცილებით ადრე ამოიდგამს ენას.

IV

სწორედ იმ დროს, როცა აპოლოდოროს სული ზეაურიკულარული მასაჟის წყალობით უახლოვდება ფსიქიკურ ამფიოქსუს, ჩვენს ქალაქში საცხოვრებლად ჩამობრძანდება კარასკალის შთამაგონებელი, სწორუპოვარი ფილოსოფოსი დონ ფულხენსიო.

დონ ფულხენსიო ენტრამბოსმარესი გახლავთ კაცი, რომელმაც შეიძინა წლები და დაკარგა ილუზიები, კაცი, რომელსაც მზერა ერთთავად მიუპყრია სივრცისთვის, მაგრამ ეს აიხსნება მისი სიბეცით და არა სხვა მიზეზით. თვალშისაცემია მისი შენელებული მოძრაობები, ლაპარაკის დროს

განსაკუთრებით იმ სიტყვებს უსვამს მახვილს, რაც მის თაყვანისმცემლებს ყველაზე მეტად ხიბლავს და ამიტომ მისი საუბრები, ერთ გაბმულ კურსივად აღიქმება. ცდილობს არავის გააცნოს თავისი ცოლი, რადგან სირცხვილად მიიჩნევს, რომ საერთოდ დაქორწინებულია და თანაც დაქორწინებულია ქალზე. ყოველთვის დაკერებული ტანისამოსი აცვია, საკერებლებიც ყოველთვის ერთნაირია, რაზეც მზად აქვს ასეთი ასხა განმარტება: „ეს გახლავთ მხოლოდ ჩემი ტანსაცმელი, ეს საკერებლებიც თეძოებსა და მუხლებზე მხოლოდ ჩემია და ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ჩემს ინდივიდუალურობას, ესე იგი, ეს არის ჩემი თეძოები და ჩემი მუხლები, ეს მე გახლავართ და არა სხვა".

მის სამუშაო კაბინეტში, როიალის გვერდით გამოჭიმულა ცილინდრში, ჰალსტუხსა და ფრაკში გამოწყობილი ადამიანის ჩონჩხი, რომელსაც თითზე, ანდა უკეთ თითის ძვალზე ბეჭედიც კი აქვს წამოცმული და ხელში ქოლგა უჭირავს, და ბოლოს, მის თავს ზემოთ ასეთი წარწერაა გამოკრული: ჰომო ინსიპიენს, იქვე, მის გვერდით დგას გორილას შიშველი ჩონჩხი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: სიმია საპიენს; ამ ორი წარწერის ზემოთ მესამე წარწერაცაა: დიდი სხვაობა. რომელ მხარესაც გაიხედავთ, ყველგან რაღაცაა გაკრული, პლაკატები თუ აფორიზმები. ასე მაგალითად: „სიმართლე ფუფუნებაა, ის ძალზე ძვირად ფასობს"; „ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ, უნდა გამოეგონებინათ"; „ფიქრი ცხოვრებაზე, იგივეა, რაც ფიქრის განცდა"; „ადამიანის მიზანი მეცნიერებაა".

დონ ფულხენსიო აფორიზმების ოსტატია და ამას კიდეც დაუმტკიცებს მოკვდავთა საზოგადოებას თავისი ეგზოტერიკული თხზულებით „აფორიზმების წიგნი ანუ სიბრძნის აბები", ხოლო მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ეზოტერიკულ ნაშრომს, რომელსაც აპირებს ლათინურ ან ვოლაპუკის ენაზე დაწეროს, უფრო ბედნიერი მომავალი თაობებისთვის შემოინახავს. მუშაობს კი ამ წიგნზე მართლაც თავაუღებლად, თუმცა კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. არავის აჩვენოს, ჩადოს ირიდიუმისა თუ მოლიბდენის ზარდახშაში, ჰერმეტულად ჩაკეტოს და ანდერძი დატოვოს, რომ მიწაში ჩაატანონ, მერე კი ბედი თვითონ გამოუტანს განაჩენს. რამდენი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მის ძვლებთან ერთად სკივრიც აღმოაჩინონ იმ თაობის წამომადგენლებმა, ვინც ამ განძის ღირსი იქნება.

მარტო რომ რჩება, მაშინ კი გამოუტყდება ხოლმე თავს: „ვისთვის ვირჯები, ნუთუ იმ ხალხისთვის, ვისთვისაც ეს ჩემი ულრმესი და უგენიალურესი გაპოკვლევა დიდს არაფერს ნიშნავს? იმ ხალხისთვის, ვინც ძლივს თუ აღირსებს ვინმეს აღიარებას, ხოლო უკვე აღიარებულს ადვილად მისცემს დავიწყებას? ეს ხომ იმას ჰგავს, სილაში იარო, მთელი ძალით დაეჯახო სიცარიელეს და სული მოიტეხო! არსებობს ასობით მწერალი, თითოეული მათგანი თავისი თხზულების ასობით ეგზემპლარს აქვეყნებს, მერე ერთმანეთს ისევე დაუნანებლად ურიგებენ როგორც სალამსა და შურს. ვინც არ წერს, ერც კითხულობს. ვინც წერს, არც ის კითხულობს, თუ რაიმე ისეთი არ აჩუქეს, რაც უბრალოდ აუცილებელია წაიკითხოს და რაკი არც ერთი მათგანი ამ აურაცხელი განათლებული მკითხველის მხრიდან დიდ მხარდაჭერას არ ხედავს, აღარც თავისი თავის რწმენა აქვს და აღარც სხვისი, რამეთუ საკუთარი თავისა რომ ირწმუნო, უწინ სხვამ

უნდა ირწმუნოს შენი; მაშასადამე, როგორც საკუთარ, ისე მკითხველს შორის წარმატებაში რწმენის უქონლობა, სწორედ რწმენის უქონლობა, ჩვენი მწერლების ეს უპირველესი თვისება — გახლავთ მიზეზი, რომ ერთმანეთი სძულთ, ან უფრო სწორად, ჰგონიათ, რომ სძულთ".

ყველა ამ მოსაზრებას კარგად რომ გაისიგრძეგანებს, მერე კვლავ უბრუნდება თავის თხზულებას „არს მაგნა კომბინატორია" (კომბინატორიკის დიდი ხელოვნება), რაც საუკუნეებს უნდა გასწვდეს და ყველა განაცვიფროს. სინამდვილეში ეს ნაწარმოები თავად დონ ფულხენსიოს თანახმად, ფილოსოფიური ნაშრომი კი არ იქნებოდა, არამედ ერთგვარი უმაღლეს დონეზე აყვანილი კომბინატორია. ეს გენიალური თხზულება, რომელიც მართლაც რომ ჰერკულესის ძალ-ღონეს მოითხოვს, ავტორისავე თქმით, ოთხ ძირითად დედააზრზეა აგებული, რომელთაგან ორი — იდეალური რიგისაა და ორიც — რეალური. რეალურ იდეათა რიგს განეკუთვნება: სიკვდილი და სიცოცხლე, ხოლო იდეალურს — უფლება და მოვალეობა, ამასთან, ესენი არისტოტელესა და კანტის კატეგორიის ტიპის მეტაფიზიკური აბსტრაქტული ცნებები კი არ გახლავთ, არამედ სავსენი არიან პოტენციური შინაარსით. აქედან გამომდინარე იგი ყველაფერს ამას ერთმანეთთან ათანხმებს ყველა ხერხითა და საშუალებით, ჯერ ბინარული, მერე ტერნარული, კვატერნარული და ა. შ. თანდათანობით უახლოვდება სამყაროს ახსნის, ამ ყველაზე რთულ ამოცანას, ანუ ნელნელა გამოხსნის უსასრულობის მარადიული დრამის გორგალსაც. ბინარულ შეთანხმებათა ჩარჩოებში, ანუ უფრო მარტივად, კომბინატორიებში, როგორც თვითონ უწოდებს, იგი სწავლობს უფლებას სიცოცხლეზე, სიკვდილზე, თვითონ უფლებასა და მოვალეობაზე; მოვალეობას სიცოცხლისა, სიკვდილისა, თვითონ უფლებისა და მოვალეობისა; უფლების სიკვდილი, მოვალეობისა, თვით სიკვდილისა და სიცოცხლისა; და უფლების სიცოცხლესა, მოვალეობასა, სიკვდილსა და თვით ცხოვრებაზე. მერედა განსჯის რა წყაროა ეს უფლება უფლებისა, მოვალეობა მოვალებისა, სიკვდილი სიკვდილისა და ცხოვრება ცხოვრებისა! ან რა უხვი პარადოქსებია — ცხოვრება სიკვდილისა და სიკვდილი ცხოვრებისა! იბსენი უფრო ნათლად წარმოაჩენს დონ ფულხენსიოს, როცა თავის დრამაში „ბრძოლა ტახტისთვის" ეპისკოპოსს ათქმევინებს: „მაინც რა უფლებით აქვს ჰაკონს უფლება და არა თქვენ?" მერე, დაასრულებს თუ არა ბინარულ შეთანხმებებს, დონ ფულხენსიო დაუყოვნებლივ შეუდგება ტერნარულს ანუ კონტერნაციონებს, როგორც თვითონვე უწოდებს. ესენია სიცოცხლე სიკვდილის უფლებისა, უფლება სიკვდილის სიცოცხლისა, მოვალეობა უფლების მოვალეობისა და — ოჰ, პარადოქსების საკვირველება! — უფლება უფლების უფლებაზე უფლებისა, ანდა სიკვდილი სიკვდილის სიკვდილისა. იბსენის გარდა ამ თეორიაზე იერინგსაც უფიქრია, რადგან ერთგან ამბობს — არავის აქვს უფლება უარყოს სხვათა უფლებაო და საერთოდ, სხვებსაც, ვინც ლაპარაკობს სასჯელის უფლებაზე ანუ სიკვდილზე. კონტერნაციები სულ 63 გამოდის, მაგრამ მას მოჰყვება 256 კონკვატერნაციონი და კიდევ 1024 კონკვინაცია, რის შემდეგ... აჰ, რა მომავალი ელოდება კაცობრიობას! ამას ხომ დასასრული არ უჩანს, მარადიულად გაგრძელდება, რამეთუ დროის უწყვეტ სრბოლაშიც კი ვერ ამოიწურება შეთანხმებათა უსასრულო რიგი.

ეჭვი არ არის, რომ კოორდინაციის მეთოდი ყველა ფილოსოფიის სათავეა, რადგან იგი ბიძგს აძლევს აზრს. ნათქვამია, სიყვარული სახეობათა შიმშილიაო, მაგრამ თუ მას გადმოვატრიალებთ, მივიღებთ — შიმშილი ინდივიდუუმის სიყვარულია. ჯერ კიდევ პასკალმა, ამ მართლაცდა უებრო ფილოსოფოსმაც ასევე გადმოატრიალა ანდაზა „ჩვევა მეორე ბუნებააო" და გამოვიდა, „რომ ბუნებაა პირველი ჩვევა". ხომ გსმენიათ სინდისის თავისუფლების შესახებ? ადექით და შეატრიალეთ და მიიღებთ — თავისუფლების სინდისი. გვთავაზობენ წრის კვადრატურას? მაშინ უნდა დაფიქრდე კვადრატის დამრგვალებაზე.

ღამღამობით, როგორც კი დონ ფულხენსიო ბალიშზე თავს დადებს, მის გვერდით კი დონჯა ედელმირა წყნარად ფშვინავს, სიბნელეში უმალვე წამოეშლება ფიქრები, მაგრამ იმდენად ღრმა და მძიმეა ეს ფიქრები, რომ მაშინვე ძილქუში დააწვება ხოლმე. იგი თავის ფილოსოფიას ზეკაცობრიულის რიტმიკის ფილოსოფიას უწოდებს და უწოდებს მთელი პასუხისმგებლობითაც.

საღი აზრი მასში იწვევს წმინდა სიძულვილს — ფილოსოფიურ სიძულვილს, ამის თაობაზე კი ასე ლაპარაკობს: „საღი აზრიო? მაგისი ადგილი სამზარეულოშია!", მაგრამ, როცა რალაც სულელური არაკები მის ყურსაც მისწვდება ხოლმე, ვითომ თავში ჭრიჭინები უჭრიჭინებენო, საამისოდ მზადა აქვს თავისივე შეთხზული და თავისივე თავის შესაქცევი ასეთი ლექსი:

საყვარელო ჭრიჭინებო, თქვენმა სიმღერამ
ერთიანად დამასხა რეტი,
იმღერეთ, როგორც მოგესურვებათ და როგორც გინდათ.
ესა ყოფილა თქვენი ხვედრი.
დიდ ჭკვიანებად რომ მოაქვთ თავი,
საღი აზრით გამოტენილ იმათ გოგრაში
ხოჭოები და ჭრიჭინები ფუთფუთებენ.
აზრს კი, ნამდვილ აზრს უკვე ობი მოჰკიდებია
და მარტო ექო თუ ხმიანობს, ისიც ხანდახან.

აი, ასეთი გახლავთ დონ ფულხენსიო, რომელსაც დონ ავიტო აირჩევს მომავალი გენიოსის აღზრდაში თავის შემწედ და ხელმძღვანელად.

როდესაც დონ ფულხენსიოს მოახსენებენ კარასკალს თქვენი ნახვა სურსო, ფილოსოფოსი ფლოსტებით გამობრძანდება, დონ ავიტოს მხარზე ხელს დაადებს და შესძახებს:

— მშვიდობა და მეცნიერება თქვენდა, მეგობარო ავიტო! რა გამახარეთ, რომ მობრძანდით.

— რაოდენ დიდბუნებოვნებას იჩენთ ყოველთვის, დონ ფულხენსიო. ცოტა დავიღალე, მაინც რა შორსაა თქვენი სახლი... საკმაოდ ბევრ დროს ვკარგავთ ხოლმე სივრცის დაფარვაში...

— თითქმის იმდენსავე, რამდენსაც დროის გაყვანაში... როგორ მიდის თქვენი როლის საქმე?

დონ ავიტო ცოტა დაიბნევა ესოდენ ღრმა პიროვნების წინაშე და კარის თავზე გაკრულ წარწერას რომ შეხედავს: „ადამიანის მიზანი მეცნიერებაა!" — თავის მოძღვარს მიუბრუნდება და შეჰბედავს:

— მეცნიერების მიზანი რაღაა?

— სამყაროს კატალოგის შედგენა!

— რისთვის?

— იმისთვის, რომ სრულიად მოწესრიგებული, რაციონალურად შედგენილი ინვენტარიზაციითურთ უფალსვე დავუბრუნოთ...

— უფალს... უფალს... — თავისთვის ბუტბუტებს კარასკალი.

— უფალს, დიახ, უფალს! — იმეორებს დონ ფულხენსიო იდუმალი ღიმილით.

— მაშ, ახლა თქვენ ღმერთი გწამთ? — ეკითხება შეცბუნებული კარასკალი.

— ჯერ მას სწამს ჩემი... — მარჯვენა ხელს ეპისკოპოსივით აღმართავს და დასძენს: — ცოტა მოითმინეთ, ავიტო.

ტუჩებს მომუწავს და თვალებს დახრის — აშკარა ნიშნები, რომ აფორიზმი იბადება, მერე აიღებს ქალალდის მეოთხედ ნაწილს და რაღაცას წერს, შეიძლება „მამაო ჩვენოს“ რომელიმე ნაწყვეტს, ანდა სულაც უაზროდ ჩხაპნის. ამასობაში კი შინაგანი ხმა ასე ეჩიჩინება კარასკალს: „შენ დაეცი... კვლავ დაეცემი, და დაეცემი ასჯერ კიდევ... ეს ხომ ერთი ჩვეულებრივი თაღლითია, ეს კაცი თავის გულში იცინის, შენ დაგცინის...“ და ესოდენ გაუგონარი თავხედობით აღშფოთებული ავიტო ასე მიმართავს თავის შინაურ ეშმას: „გაჩუმდი, თავხედო! გაჩუმდი! შენ რა გესმის, ყეყეჩო!“

— განაგრძეთ, ავიტო, გთხოვთ!

— განვაგრძო? მაგრამ მე ხომ ჯერ არც დამიწყია!..

— არავითარი დაწყება არ არსებობს, ყველაფერი მხოლოდ გაგრძელებაა...

კარასკალს იმდენად დააბნევს ამ კაცის ესოდენი სილრმე, რომ ადგება და თავიდან ბოლომდე წვრილად უამბობს თავისი ქორწინების ამბავსაც და შვილის აღზრდის თავისეულ გეგმებსაც გააცნობს. დონ ფულხენსიო ჩუმად უსმენს, მხოლოდ ორჯერ შეაწყვეტინებს იმ თავისი ეპისკოპოსის ხელის აღმართვით, ისიც იმიტომ, რომ აფორიზმი ჩაიწეროს ან სხვა რაღაც, ანდა სულაც არაფერი. კარასკალი დაასრულებს თხრობას და მოწყურებული თვალებით მიაშტერდება მასწავლებელს, ამავე დროს არ ავიწყდება, რომ ზურგს უკან დგას სიმია საპიენს, ხოლო წინ ფილოსოფოსის დიდებული თავის ზემოთ ხედავს წარწერას: „რომ არ ყოფილიყო ადამიანი, უნდა გამოეგონებინათ“. დონ ფულხენსიო ერთი წუთი თავდახრილი ზის, მერე თვალებს მაღლა აღაპყრობს და ამბობს:

— მეტად მნიშვნელოვანი როლი კი შეგირჩევიათ თქვენი ვაჟიშვილისთვის კაცობრიობის ამ ტრაგიკომედიაში; ახლა საკითხავი ის არის, დაამტკიცებს თუ არა სცენის უზენაესი რეჟისორი!?

კარასკალი პასუხად თვალებს დაახამხამებს.

— ეს ხომ ტრაგიკომედიაა, ჩემო მეგობარო ავიტო, ყოველი ჩვენგანი ხომ ჩვენ ჩვენ როლს ვთამაშობთ, თან კიდეც გვგონია, რომ ჩვენ თვითონ ვთამაშობთ, სინამდვილეში კი თოკები გვაქვს გამობმული და სხვა გვამოძრავებს, ხოლო ჩვენ არაცნობიერის წყვდიადში, ჩვენს ბნელ წინარეარსებობაში გაზეპირებულ სიტყვებს წარმოვთქვამთ, თანაც სუფლორი გვკარნახობს; ამას ყველაფერს კი სცენის დიდი მემანქანე უძღვება...

— წინარეარსებობაში? — შეჰბედავს კარასკალი.

— დიახ, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ; როგორც ჩვენი სიკვდილია, მინუს დაბადება, ასევე ჩვენი დაბადებაა მინუს სიკვდილი... გადანაცვლების თანახმად და ამ თეატრში ყველაზე საოცარი გახლავთ გმირი...

— გმირი?

— გმირი, დიახ, რომელიც მთელი სერიოზულობით ასრულებს თავის როლს, ერთიანად ნებდება მას და აღარც ქანდარაზე ფიქრობს, ველარც მაყურებელს ხედავს, გეგონებათ, სინამდვილეში ხდებოდეს ეს ყველაფერი და თვითონაც ის იყოს, ვისაც თამაშობს, დუელის სცენაში მართლა კლავს თავის მეტოქეს, მართლა კლავს, ისე, თითქოს სინამდვილეში... ხოლო სასიყვარულო სცენაში, ქანდარას მთლად... წარმოიდგინეთ!.. არა, მეტს ველარ ვიტყვი...

გაჩუმდება, რომ აფორიზმი ჩაიწეროს და მერე განაგრძობს:

— აქ წარმოდგენილია ქოროც, სტატისტებიც, მთავარი და მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლებიც და... მე, ფულხენსიო ენტრამბოსმარესმა, ვიცი, რომ ვასრულებ ფილოსოფოსის როლს,—რომელიც ავტორმა დამაკისრა,—თუმცა სხვა კომიკოსთა თვალში ერთი ახირებული ექსტრავაგანტური ფილოსოფოსის როლს, და მეც ვცდილობ კარგად შევასრულო. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ჰგონიათ, რომ ამ კომედიას სხვა სცენაზეც გავიმეორებთ, ანდა, თითქოს ჩვენ მოხეტიალე ვარსკვლავთშორისი კომედიანტები ვიყოთ და ამავე პიესას გავიმეორებდეთ სხვა პლანეტებზეც; მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ და ჩემი აზრიც ასეთია, რომ აქედან პირდაპირ შინ მივდივართ დასაძინებლად. მაგრამ ესეც გაითვალისწინეთ, ავიტო, ზოგჯერ ხდება, როცა უცბად გამოჩნდება ვილაც ისეთი, რომელიც კომედიაში თავისას ჩაურთავს... ასე ვთქვათ, ნათავისარს...

იგი ერთი წუთით დადუმდება, ხოლო კარასკალი ამ დროს ცდილობს მისი ნათქვამი გაიაზროს, მერე ფილოსოფოსი ანთებულ მზერას გადაიტანს იმ თავის ცილინდრიან მასხარა ჰომო ინსიპიენს-ზე და განაგრძობს:

— ნათავისარი, ოჰ, ეს ნათავისარი! ამ ნათავისარის წყალობით გადავრჩებით, ვინც გადავრჩებით! ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ერთი მომენტია, ერთადერთი მომენტი თავისუფლებისა, ჭეშმარიტი თავისუფლებისა, მხოლოდ ერთხელ არის ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალი და ამ მომენტზე, ამ მომენტზე, ოჰ,—რომელიც თუ ხელიდან გავუშვით, როგორც ყველა სხვა მომენტი, უკან აღარ დაგვიბრუნდება, — და აი, ამ ჩვენს მეტადრამატულ მომენტზეა, ამ იდუმალ საათზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ბედ-ილბალი. მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, ავიტო, იცით რას ნიშნავს ნათავისარი?

— არა, — პასუხობს კარასკალი და ფიქრობს თავის ქორწინებაზე, იმ იდუმალ საათზე, როცა ლეონსიას ესტუმრა და მარინას შეხვდა, აგონდება ის მეტადრამატული მომენტი, როცა, აწ უკვე მისი ცოლის კრიალა თვალებმა უთხრეს ის, რაც არავინ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, სწორედ იმ მომენტზე, თავისუფლების მომენტზე... თავისუფლების? თავისუფლებისა თუ სიყვარულის? ნეტავი გვაძლევს თუ გვართმევს სიყვარული თავისუფლებას? თავისუფლება გვაძლევს თუ გვართმევს სიყვარულს? შინაგანი ხმა კი კვლავ ამოსძახებს: „შენ დაეცი და კვლავაც დაეცემი“...

— ერთი სიტყვით, ნათავისარი, ჩემო მეგობარო კარასკალ, არის ის, რასაც მსახიობები თავისით ჩაურთავენ ხოლმე გაზეპირებულ ტექსტში ანუ ავტორის ტექსტში ჩაამატებენ სიტყვებს, რაც დრამის ავტორს თვითონ არ დაუწერია. ნათავისარი! ამიტომ, უნდა ჩაუსაფრდე შენს საათს, შეამზადო თავი, ფხიზლად იყო და როგორც კი დადგება ეს საათი, მაშინ ჩაურთო ნათავისარი — დიდი იქნება თუ მცირე — შენს [illegible] მერე კი ისევ ისე განაგრძო შენი თამაში. ნათავისარის წყალობით გადავრჩებით, ნათავისარი!.. ეჰ, რომელსაც კვლავ ის დიდი სუფლიორი ჩაგვჩურჩულებს.

დონ ფულხენსიო ისევ დადუმდება, რომ აფორიზმი ჩაიწეროს: „ნათავისარიც როლის ნაწილია" და განაგრძობს:

— სწორედ ამ ნათავისარისთვის უნდა შეამზადო შვილიც და ეს არის თქვენი პედაგოგიური ამოცანაც. ლომბროზიო...

ამ სახელის გაგონებაზე ავიტო მიიხედ-მოიხედავს, მაგრამ მისი მზერა შეეფეთება სიმია საპიენსის ჩონჩხის ცარიელ თვალებს, მოტრიალდება და უსმენს.

— ლომბროზიომ,[9] საღი აზრის ამ ფილოსოფოსმა, რაც არ უნდა თქვას გენიოსის შესახებ, გენიოსი მაინც ის გახლავთ, ვისი ნათავისარიც უნდა მიიღოს, იძულებულია მიიღოს უზენაესმა დრამატურგმა. მე ის მინდა ვთქვა, რომ საჭიროა ვაიძულოთ უზენაესი ავტორი, რომ როლში ჩართოს ჩვენი ნათავისარი, რამეთუ იგი ისევ როლიდანვე წარმოიქმნება. ანუ ეგზოტერიკული ენით რომ ვთქვათ, გენიოსი არის ის, ვინც თვით უზენაეს ავტორს უსწორებს ხელნაწერს და რაკი ეს ავტორი არის ჩვენში, ჩვენს გამო და ჩვენთვის, კომიკოსებისთვის, ცხოვრობს და კვდება ჩვენშივე, მაშასადამე, გენიოსი არის თვით ავტორი კომედიანტში განსხეულებული და თვითონვე, მისი პირით შეაქვს კიდევც შესწორებები კომედიაშიც...

კარასკალი ჩაფიქრდება; დონ ფულხენსიოს სიტყვები სულს უფორიაქებს, ნიალვარივით მიაწყდება მის გონებას და შემეცნებაში ჩაგუბდება.

— მაშასადამე... — ახალგამოღვიძებულივით ამბობს იგი.

— უნდა მოემზადო და ჩაუსაფრდე მეტადრამატულ მომენტს! — დაასკვნის დონ ფულხენსიო.

ავიტოსთვის ეს უკვე მეტისმეტია; მისი ფილოსოფიის საზღვრებს სცილდება. ეს იმდენად ამაღლებული ფილოსოფიაა, რომ მხოლოდ პარაბოლაში შეიძლება მისი გამოხატვა.

— მე მას მოვიყვან თქვენთან, დონ ფულხენსიო...

— არა, არა, არავითარ შემთხვევაში, — ფიცხლად შესძახებს ფილოსოფოსი, რომელსაც თვითონ არ ჰყავს შვილები, — არა, არც მე უნდა ვნახო იგი და არც მან უნდა მნახოს მე, სანამ არ დადგება ის საათი; ისე უნდა მოხდეს, რომ ვიღაცის ხელი, თუნდაც ადამიანისა, ჩუმად, შეუმჩნევლად მართავდეს მას; ჩვენ, ორივე მოვილაპარაკებთ, ერთმანეთში შევთანხმდებით და როცა მე ჩავთვლი, რომ იგი უკვე მომწიფდა, მაშინ მომიყვანეთ, რათა ჩემი ზეშთაგონება თავადვე იხილოს და შემზადებული შეხვდეს თავისუფლების მომენტს...

— და თუ ეს უფრო ადრე მოხდა...

— არა, მე კარგად ვიცი, როდის დგება ეს მომენტი...

ერთხანს კიდევ ბჭობენ, ადგენენ ბავშვის აღზრდის შესახებ გეგმებს, რომლის პრინციპი ის არის, რომ აღსაზრდელმა უნდა ნახოს ყველაფერი, გამოსცადოს ყველაფერი, ზოგი რამ კიდეც მოიბეზროს, ყოველგვარ ვითარებაში გამოსცადოს თავი. „თვითონვე მოძებნოს თავისი ნათავიხარი!" — იმეორებს ფილოსოფოსი. მაგრამ ამავე დროს ყველაფერი უნდა აიხსნას და განიმარტოს ფილოსოფიურად და მეცნიერულად დასაბუთდეს. ბუნება, ბუნება,—უწინარეს ყოვლისა, ხომ გესმით,—არის დიდი წიგნი, გადაშლილი წიგნი, რომლის მარგინალებზე კაცმა უნდა მიაწეროს თავისი შენიშვნები, ზოგჯერ წითელი ფანქრითაც კი აღნიშნოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილები. „წითელი ფანქარი, რაც შეიძლება მეტი წითელი ფანქარი და რაკი თითქმის ყველაფერი მნიშვნელოვანია, ჯობია მთელი წიგნი სულ წითელი ფანქრით დახაზო", — ამბობს დონ ფულხენსიო, რომელიც თვითონ ყველაფერს კურსივით წერს და აქვეყნებს.

ბოლოს შეთანხმდებიან, რომ დონ ავიტო ზედმიწევნით აღნუსხავდა ყველაფერს, რასაც იტყოდა ან გააკეთებდა მომავალი გენიოსი და რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ მერე კარგად შეესწავლათ, გამოეტანათ დასკვნა და ამის მიხედვით ემოქმედათ მომავალში.

კარასკალი დაემშვიდობება და როცა გადის, დერეფანში შეეჩეხება დონჟა ედელმირას. იგი გახლავთ მაღალი, წარმოსადეგი, მშვიდი, უკვე ასაკოვანი, ფერხორციანი, სასიამოვნო სახის, ბანოვანი, თავზე პარიკდახურული; ისინი დიდის მოწიწებით ესალმებიან ერთმანეთს და კარასკალი გადის.

— ეს იყო დონ ავიტო კარასკალი, ფულხენსიო?

— ჰო, მერე!

— არა, არაფერი, კარგი კაცი ჩანს.

ფილოსოფოსი ნიკაპზე მოუთათუნებს ხელს თავის წარმოსადეგ ცოლს და ეუბნება:

— იცი, რას გეტყვი, მირა, ნუ ხარ ასე ენამწარე.

— ენამწარე შენა ხარ, ფულხენსიო.

— ორივენი ენამწარეები ვართ, მირა.

— შენ როგორც გენებოს, მაგრამ მე ვიცი, რომ ორივენი ძალიან კარგები ვართ...

— ეგებ მართალიც ხარ. — დაეთანხმება ჩაფიქრებული ფილოსოფოსი და მერე დასძენს: დალახვროს ეშმაკმა, შენ კი ისევ ისეთი მშვენიერი მყავხარ, მიუხედავად შენი...

— ჩუმად, ჩუმად, ფულხენსიო, კედლებსაც ყურები ასხიათ და ხედავენ...

●

„შენ დაეცი, დაეცი და ასჯერ კიდევ დაეცემი, — ეჩიჩინება შინაგანი ხმა სახლისკენ მიმავალ კარასკალს, — ეს კაცი, ავიტო, ეს კაცი, ეს კაცი..." და როცა სახლში მივა და დაინახავს აგურზე დამაგრებულ ბორბალს, მეცნიერების ამ სიმბოლოს, მშვიდდება.

V

როგორც ყოველ დასაწყისს აქვს დასასრული, ასევე ყოველ დასასრულს აქვს თავისი დასაწყისი და სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ამჟამად აპოლოდოროც. იგი ნელ-ნელა ანებებს თავს ძუძუს, რაც მარინას კიდეც უხარია და კიდეც სწყინს. ბავშვის კვებას მეთვალყურეობას უწევს მამა, განსაზღვრული აქვს საათიცა და წუთიც, ჭამის წინ ჯერ ულუფას აწონის, მერე ბავშვს და ეს ხდება დღეში სამჯერ, ამავე დროს ავიტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჰიგიენასა და ფიზიკურ წვრთნას. უწინ ჯანმრთელი მხეცი უნდა გაიზარდოსო, ამიტომ ყველაზე მეტად ლობიოს აძალებს, ფოსფორი, ფოსფორი, ბევრი ფოსფორი!

ბავშვი უკვე ფეხს იდგამს. მამას ერთი სული აქვს, მალე გაიაროს ბიჭმა და საგანგებოდ მოუმზადებს ერთ ვრცელ ოთახს, დაუგებს რბილ ფარდაგს, ჩამოამწკრივებს აქეთ-იქით სკამებსა და სხვა ისეთ ნივთებს, რასაც შეიძლება ბავშვი დაეყრდნოს, თან ჯოხსაც მოუმარჯვებს, წონასწორობის დასაცავად. საკმარისია პატარა ოდნავ შეტორტმანდეს და მარინას უკვე ხელები აქვს გაწვდილი მისაშველებლად, მაგრამ მამა აჩერებს:

— მშვიდდ, მშვიდად, დაე, წაიქცეს, ბოლოს და ბოლოს იატაკზე დაეცემა.

— ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო! — შესძახებს დედა და მაშინვე თავის სიზმარეულ სამყაროს მიაშურებს.

როგორც კი მარინა დროს იხელთებს და არავინ უყურებს, მყისვე ხელში აიტაცებს შვილს და ეუბნება: „აბა, თქვი, დე-და, საყვარელო, დედა, თქვი დე-და!“

ყურისზედა მასაჟებიც თავის შედეგს გამოიღებს და აპოლოდორო მალე ლაპარაკსაც დაიწყებს; არც მამა დააყოვნებს და მყისვე ჩაიწერს პირველივე სიტყვას, ინდივიდის ამ პირველ გამოვლენას, ეს სიტყვაა „გოგო! გოგო!“ მასში უმაღლესი საიდუმლოებაა. „გოგო!“ ხომ შეიძლება ეს სულაც კაბალისტური ფორმულა იყოს, რომელშიც ახლად მოვლენილი გენიოსის პიროვნების კოდია დაშიფრული. თუკი გრაფოლოგიასა და სხვა ამისთანა ძნელად ასახსნელ ფსიქოფიზიოლოგიურ თანაფარდობათა შემსწავლელ მეცნიერებებს გააჩნიათ რაღაც მტკიცებები, როგორც ცნობილია, რატომ არ შეიძლება ჩვენც ასევე ვეძებოთ კავშირები ადამიანის პიროვნებებსა და მის მიერ წარმოთქმულ პირველ სიტყვას შორის? „გოგო!“ და ავიტოსაც რა მოათმენინებს, მაშინვე დონ ფულხენსიოსთან გარბის მოსათათბირებლად. მჟღერი გუტურალური თანხმოვანი „გ“, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი „ო“ და მეორდება... „გოგო! გოგო! გოგო!“ ნეტავი რა კავშირი შეიძლება იყოს ამ იდუმალ სიტყვას „გოგო“ და მომავალ მეტადრამატულ მომენტს შორის?!

დონ ფულხენსიო ამასთან დაკავშირებით გაიხსენებს ექსპერიმენტს, რომელიც ჰეროდოტეს მოწმობით, ჩაუტარებია ეგვიპტის ფარაონს **ფსამეტიქს** იმის დასადგენად, თუ რომელი ენაა უადრესი; ამ მიზნით, თურმე ორი ახალშობილი ბავშვი აღსაზრდელად მიუბარებია მწყემსისთვის, რომელსაც ისინი სრულიად განმარტოებით უნდა ჰყოლოდა და მათთვის ადამიანის ლაპარაკი არ გაეგონებინა. და აი, ორი წელი რომ გავიდა, ერთ დღესაც მწყემსს ესმის, როგორ იმეორებენ პატარები სიტყვას „ბეკო“,

რაც ფრიგიულ ენაზე ნიშნავს „პურს“. ასე და ამგვარად დაასკვნა ფარაონმა, რომ ფრიგიული ეგვიპტურზე ძველი ენა იყო. დონ ფულხენსიოც ასე მოიძიებს და აღმოაჩენს, რომ სიტყვა „გოგო“ არის ბასკური ანუ ეუსკერა და ნიშნავს „სურვილს, ნდომას, განწყობას, განზრახვას, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით — „ნებას“.

— მაშასადამე ბავშვს რაღაც სურს და ამას ბასკურად ამბობს.

აპოლოდორო სხვა სიტყვებსაც სწავლობს — მამა, დედა, აბა, მა, ტიტი, ჩიჩა... ხოლო ერთხელაც განცვიფრებული დონ ავიტო თვალს ადევნებს, როგორ თამაშობს ბიჭი თავისთვის და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო წარმოთქვამს სრულიად იდუმალ სიტყვებს: „პუჩულილი, პაჩულილა, ტატაპუპა, პაჩულილი, ტიტამინი...“

— ვერაფერი გამიგია, არ მესმის, — ამბობს თავისთვის ფილოსოფოსის სახლისკენ მიმავალი მამა. ეგება ეს რაღაც ფატალური მინიშნებებია! აი, ამას ჰქვია დაცემა... დაცემა... დედის სისხლმა იძალა... მერე კიდევ ეს კაციც... მაგრამ უმალ მოეგება გონს და კბილებში გამოსცრის: „გაჩუმდი! გაჩუმდი!“.

ამასობაში ბავშვი თავისთვის ერთობა, თამაშობს, თხზავს სიტყვებს. ამბობს, რაც კი ენაზე მოადგება და ასე განამტკიცებს თავის დასაბამიერ თვითმყოფობას, რაზეც მოგვიანებით, ხალხთან ურთიერთობისას, უარის თქმა მოუწევს; მანამდე კი თავის ღვთიურ ბავშვურ შემოქმედებას გასაქანს აძლევს ვითარცა ერთი ვინმე გამოჩენილი პოეტი და ეთამაშება ამ სამყაროს, როგორც გაუხარდება, ასე თხზავს სიტყვებს, სრულიად უაზროდ „პუჩულილი, პუჩულილა, ტიტამანი...“ განა უაზროდ? მაგრამ ენაც ხომ ასე იქმნებოდა? აკი ჯერ იყო სიტყვა და აზრი მერე შეიძინა.

დონ ავიტო გაფაციცებით ადევნებს თვალს პატარა გენიოსს, რომელიც თავისთვის თამაშობს, ჩხირკედელაობს, თითქოს საკუთარ სულიერ ძალებს ცდისო ან ულრან ტყეში დარბის და გზას ეძებსო. მერე აკვირდება, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ბავშვზე რწყილი, ჯერ შეუიარაღებელი თვალით რომ დაათვალიერებინებს, მერე მიკროსკოპით. მაგიდაზე გადაფარებულია მუშამბა, რომელზედაც გამოსახულია ყველა გამოგონება და გამომგონებლის პორტრეტები, მონგოლფიეს ბავშვი რატომღაც მამას ეძახის, ეტყობა, დონ ავიტოს ამსგავსებს.

იმ დროს, როცა მამა ფილოსოფოსთან განმარტოვდება, დედა თავის შვილს დაიმარტოხელებს, მაშინვე გულში ჩაიკრავს და თავდავიწყებით კოცნის თავის ძილ-ბურანის ზმანებას.

— დედა, მითხარი საყვარელო-თქო!

— საყვარელო! ჩემო საყვარელო! ჩემო საუნჯევ! ჩემო უფლისწულო! ჩემო მზეო! საყვარელო, საყვარელო... ლუის, ლუისიტო, ლუისიტო, ჩემო ლუის!

როცა მარინამ შვილი მოანათვლინა, პაპის, ანუ თავისი მამის სახელი დაარქვა, ასე მოისურვა, რადგან ამ უცნაურ აპოლოდოროს ვერ ეგუებოდა, ლუისი კი დედა-შვილის საიდუმლოა და მარტო მათ იციან.

— ლუის, ჩემო ლუის, ჩემო ლუის, ლუისიტო, ჩემო ლუის, — და ლამის კოცნით დაახრჩოს; ჩაიკრავს ხოლმე გულში, ლოყას ლოყაზე მიადებს, მერე განზე გასწევს, უყურებს, უყურებს, მერე ისევ ჩაიხუტებს. კიდევ შესძახებს ლუის! ჩემო ლუისიტო! და გაგიჟებით კოცნის.

— მითხარი, დედა, გიყვარვარ?

— ძალიან, ძალიან, ძალიან, ლუისიტო, ჩემო ლუის, ძალიან, ძალიან, ძალიან, ჩემო მზეო, ჩემო ცაო, ჩემო ლუის, ლუისიტო!.. ლუის!..

— ძალიან გიყვარვარ, დედა?

— ძალიან... ძალიან... ძალიან... ლუის, ჩემო თვალის სინათლევ!.. ლუის!..

ბიბლიოთეკა

— მაინც როგორ ძალიან?

— ყველაზე ძალიან მთელ ქვეყანაზე!..

— მამაზე ძალიან?

მარინას სახე მოელრუბლება, ეს რომ ავიტომ გაიგოსო, სინდისი შეაწუხებს, მაინც მალულად სცოდავს და უხილავი განგების წინაშე ძრწოლა აიტანს, მაშინვე წამოდგება, შვილს ხელს გაუშვებს და კვლავ თავის სიზმრებში ჩაეფლობა.

ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება, იხელთებს თუ არა დროს, მარინა მაშინვე შვილს გულში ჩაიკრავს და ეუბნება: „ჩემო, ჩემო, ჩემო ლუის, ჩემო ლუისიტო, ლუის; ჩემო ლუის, ჩემო, ჩემო მზეო, ჩემო ცაო, უფლისწულო, ჩემო ლუის, ჩემო ლუის, ჩემო, ჩემო!“ — ბავშვი კი ისე მშვიდად შეჰყურებს დედას, როგორც შეჰყურებს ხოლმე ცას სეირნობის დროს. ამ მალულ-ფარული შეხვედრებისას დედა ელაპარაკება მას ღმერთზე, ღვთისმშობელზე, ქრისტეზე, ანგელოზებზე, წმინდანებზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, ასწავლის ლოცვებს და ბოლოს გააფრთხილებს: „მამასთან არაფერი წამოგცდეს, ლუისიტო, გესმის, საყვარელო?“ ხოლო თუ ქმრის ფეხის ხმას გაიგონებს, მაშინვე დასძენს: „აპოლოდორო!“

მაგრამ ერთხელაც აპოლოდორო მამის თვალწინ გადაიწერს პირჯვარს და მარინას გული გადაუქანდება, მაგრამ, — ოჰ, ეს სიზმრისეული ლოგიკა! — მოხდება სრულიად მოულოდნელი რამ.

— მე ესეც გავითვალისწინე, მარინა, არც მიკვირს და არც გისაყვედურებ, დონ ფულხენსიოსაც კი ველაპარაკე ამის თაობაზე. ემბრიონმა მაინც უნდა გაიაროს ეს სტადია, რაც მისმა ბიოლოგიურმა სახეობამ გაიარა. ონტოგენეტიკური პროცესი იმეორებს ფილოგენეტიკურს. თავდაპირველად ეს არის ინფუზორია, მერე თევზის მსგავსი, ხოლო ამის შემდეგ — დაბალი საფეხურის ძუძუმწოვარა. კაცობრიობამ გაიარა ფეტიშიზმის სტადია, მაშ დაე, ადამიანმაც გაიაროს იგივე გზა. ამის შემდეგ კი მე თვითონ გამოვიყვან ამ სტადიიდან და ვეცდები მისი ახლანდელი ფეტიშები პოტენციურ იდეებად გარდავქმნა. რამდენიც გინდა ელაპარაკე და ეჩიჩინე ბუაზე, სულ მალე შენ თვითონ დაინახავ, რაც გამოვა მაგ შენი ბუასგან.

მარინას კი ისევ წაართმევს თავს ძილი, რომელსაც თავისი ლოგიკა გააჩნია.

ავიტოს დედის გავლენისა ისე არ ეშინია, როგორც ძიძების ზღაპრებისა ალქაჯებზე და მათი ცრურწმენებისა... მაინც რატომ უნდა მიაჩნდეს უფრო საშიშად ეს ზღაპრები თუ თქმულებები, ვიდრე დედის ტრადიციული ლეგენდები, რითიც ასე ჭყიპავს ბავშვს? „ფრთხილად, ავიტო, — ეუბნება შინაგანი ხმა, — რაკი შენ ბუაზე საუბრები უფრო გაშინებს, ვიდრე ღმერთზე, რაკი ანგელოზების რწმენა ნაკლებად საშიში გეჩვენება, ვიდრე ჯადოქრებისა, მაშინ ხომ შენ თვითონვე ავლებ მათ შორის მიჯნას და მშვე-

ნიერ ნიადაგს უმზადებ ერთს მეორის ხარჯზე. ფრთხილად, ავიტო, კარგად დაფიქრდი!" — და სულში ბავშვობის მოგონებები წამოიშლება, ბავშვობისა, რომელზედაც ასე რიგად ერიდება ლაპარაკს. „გაჩუმდი! გაჩუმდი! გაჩუმდი, თავხედო!" — შეუბუზღუნებს ავიტო თავის ეშმას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლოდორო კი ამოიდგამს ენას თუ არა, მაშინვე შეუდგება თავის წარმოსახვათა ხორცშესხმასაც: იგონებს ათასგვარ ოინებს ღვთით ბოძებული ნიჭის წყალობით და მთლად აბუჩად იგდებს ლოგიკას. მასში ილვიძებს იუმორის წმინდათაწმინდა გრძნობა და თავადვე ტკბება ნებისმიერი სისულელით, ნებისმიერი აბდაუბდით; სიცილიც გულიანი ისწავლა და მთელი თავისი ბავშვური გულით კისკისებს, გადააგდებს თავს უკან და ხითხითებს თავისივე შეთხზულ ლათაიებზე, ასე გლეჯს და წყვეტს ცნებათა ლოგიკურ კავშირს, იდეებს, ტრადიციულ ასოციაციათა რკინის ჯაჭვს, ერთი სიტყვით, თავის ნებაზე დათარეშობს შეუსაბამობათა სფეროებში.

ერთხელაც ძალზე გააკვირვებს მამას, როცა ზეპირად ეტყვის ძიძისა თუ ბავშვებისგან ნასწავლ ერთ კარგა გრძელ შაირს.

ტერეზა,
საწოლიდან პირდაპირ მაგიდასთან.
კანფეტები?
თუკი მომცემ!
თამბაქო?
არ მიყვარს მწეველი:
მეც ავდგები
და მონაზონი გავხდები,
ვემსახურები ბერებს;
ფრანსისკო,
ქრისტეს გაფიცებ, მიშველე,
დალაქო,
გამომიშვი სისხლი, მოვკვდები
ღვიძლი მტკივა,
ზემოთ.
დგას მწვანე ზეთისხილი
ქვემოთ
მწვანე ფორთოხალი,
შუაში კი ბავშვი,
საცაა დაიძინებს.

მეორეჯერ კიდევ უფრო მეტად გააკვირვებს:

ჩუნდალა კეკლუცი,
ჩუნდალა ტანტალა,
ბლომად წიწმატს ჭამდა,
ბლომად წყალსაც სვამდა,
ამიტომაც ახლა
მუცელი დაუმრგვალდა.

როცა საკმაოდ შეშფოთებული კარასკალი ამ ამბავს დონ ფულხენსიოს აცნობებს, მაესტრო შეიჭმუხნება, ფიქრებით დამძიმებულ თავს გვერდზე გადახრის, — ესეც არ იყოს, არც ის ესიამოვნება, რომ კარასკალი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნობა და აქეთ-იქით მისწი-მოსწევს მის ძველთაძველ ნივთებს, — ფილოსოფოსი კვლავ თავთავის ადგილზე დაწყობს მათ, რადგან ყოველ ნივთს — სამელნეს, ფანქრებს, [illegible] საათს, ასანთის კოლოფს თუ კალმებს, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, — და მერელა ეუბნება: — იგი სცენიდან ჩამოსვლას ცდილობს, ჩვენი ტრაგიკომედიის კანონის, დამაჯერებლობის ჩვენი კანონის დარღვევა მოუნდომებია და ეგ არის.

— მერედა, რა ვიღონო?

— რა ვიღონო? რადა, მიუშვი თავის ნებაზე, მიუშვი. ისე იფრინოს, როგორც მოისურვებს, ბოლოს ხომ მაინც მიწაზე უნდა დაეშვას ისე, რომ ის მარცვლები აკენკოს, რომელსაც ცაში ვერ იპოვის. მარტოოდენ ლოგიკაა ჩვენი სულიერი საზრდო.

და როცა იგი წამიერად დადუმდება, რათა ჩაიწეროს აფორიზმი, მაინცდამაინც საუბრის დროს რომ მოსდის ხოლმე თავში, — აკი იგი იმ ფილოსოფოსთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც სმამალლა ფიქრობს, — ამ დროს დონ ავიტო თავისთვის იმეორებს: „თავის ნებაზე მიუშვიო! არც ასე შეიძლება! დიდი უცნაური რამაა ეს პედაგოგიკა! ნეტავი რას მირჩევს მაინც ეს კაცი?!"

— თავის ნებაზე?

— დიახ, თავის ნებაზე! ოდესღაც ხომ თქვენც იყავით ბავშვი, კარასკალ?

ავიტო ცოტა არ იყოს, შეჭოჭმანდება და მერე ამბობს:

— ყოველ შემთხვევაში მე ეს არ მახსოვს... რა თქმა უნდა, ვიცი, რომ შეუძლებელია ბავშვი არ ვყოფილიყავი, მაგრამ ეს უფრო დედუქციის წყალობით ვიცი და კიდევ იმათი ნაამბობიდან, ვისაც ჩემი ბავშვობა ახსოვს და მათი კიდეც მჯერა, მაგრამ, მართალი გითხრათ, თავად მე არ მახსოვს, ისევე არ მახსოვს, როგორც საკუთარი დაბადება...

— საქმეც ეგ არის, ავიტო, საქმეც სწორედ ეგ არის! თქვენ არ გახსოვთ, რომ იყავით ბავშვი, ესე იგი, თქვენში არ ზის ბავშვი და პედაგოგობას კი აპირებთ! ერთი ეს მითხარით, როგორი პედაგოგი იქნება კაცი, რომელსაც საკუთარი ბავშვობა არ ახსოვს? პედაგოგი! ჩვენ ხომ მარტო ჩვენი ბავშვობით მივდივართ ბავშვებთან. ეგებ სწორიცაა:

ზემოთ
მწვანე ზეთისხილი,
ქვემოთ
მწვანე ფორთოხალი.

ასეა, ასე, შეიძლება ამაში სულაც არ დევს რაიმე აზრი, გეთანხმებით, მაგრამ... არც რომ „ნათავისარშია" რაიმე აზრი, არ არის, რადგან როლის ტექსტში არ წერია. მაინც რა გინდათ, რომ იმღეროს? ორჯერ ორი ოთხი, ორჯერ სამი — ექვსი, ორჯერ ოთხი — რვა?!. ეს, არა? ამისი დროც

დადგება, დიახ, დადგება ლოგიკის საშინელი საათიც. მანამდე კი მიუშვით ბავშვი თავის ნებაზე...

„თავის ნებაზე მიუშვიო, — იმეორებს გულში შინ მიმავალი ავიტო, — თავის ნებაზე მიუშვიო... — მიუშვი... კარგი, კიდეც მივუშვი, მაგრამ მანამდე კი რაღაც-რაღაცებზე მაინც მინდა ველაპარაკო, თუნდაც ვერაფერი გაიგოს... რატომ დღემდე ვერავინ შეთხზა რაიმე ლოგიკური და შინაარსიანი სიმღერა, რომელსაც ასევე ადვილად აითვისებდნენ ბავშვები? მაინც რატომ უყვართ ბავშვებს ასეთი სისულელეები?

შინ რომ მივა, შვილი კვლავ რაღაც უაზრო არაკს მოუყვება და ავიტო ეკითხება:

— აბა, ერთი მითხარი, აპოლოდორო, შენ გჯერა ეს?

ბავშვი მხრებს იჩეჩავს. ეს რა კითხვაა, სჯერა თუ არა სჯერა? რა იცის ბავშვმა დასაჯერებელია თუ არა ის, რასაც ამბობს?

— ჰო, მითხარი, გჯერა შენ ეს თუ არა? გჯერა, რომ ეს მართალია?

მართალი? ბავშვი კვლავ მხრებს აიჩეჩავს. მერე რა მოხდა, თუ მომავალი გენიოსი ჯერ ვერ ხედავს რეალობასა და გამონაგონს შორის აღმართულ კედელს? აკი დონ ფულხენსიოც მარწმუნებს, თვითონ იგონებს რაღაც-რაღაცებს და თვითონვე სჯერაო? შესაძლოა „ნათავისარის" სათავეც სწორედ აქაა!

და აი, ერთხელაც, როცა ძიძა ბავშვს რაღაც ცელქობისთვის დატუქსავს, იგი შესძახებს:

— ალბათ შენ თვითონ დაგესიზმრა!

●

„მატერია" კვლავ ფეხმძიმედაა, „ფორმა" დაბნეულია, რამეთუ ვითარების ასეთი გართულება არ გაუთვალისწინებია, და წყევლის ინსტინქტს, რადგან ვერ მიმხვდარა, რას უქადის ახალი არსება გენიოსს, სიკეთეს მოუტანს მის ჩამოყალიბებას თუ ვნებას, ანდა ხომ შეიძლება ისიც გენიოსი გამოვიდეს?

— შეხედე, შეხედე, მამა, — წამოიძახებს ერთ დღეს აპოლოდორინი, — როგორ დამრგვალდა დედა!

საბრალო მარინა წამოწითლდება, მამა კი ამბობს:

— ყური დამიგდე, აპოლოდორო, აქედან, აი, ამ სიმრგვალიდან გაჩნდება შენი ძმა, ან და.

— აქედან? — შესძახებს ბავშვი, — რა სასაცილოა!

— ავიტო! — თავისი ძილბურანიდან შეეეედრება მატერია.

— დიახ, აქედან. სისულელეა, ვითომ ბავშვები პარიზიდან ჩამოჰყავთო და სხვა ამისთანა ზღაპრებს რომ თხზავენ. სიმართლე, მუდამ სიმართლე, ცოტა დიდი რომ იყო, ჩემო ბიჭიკო, მაშინ იმასაც აგიხსნიდი, როგორ ვითარდება განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ჩანასახი.

მატერია ისე დაირცხვენს, რომ ცრემლები ჩამოსცვივდება.

მერე, როცა კმაყოფილი კარასკალი ამ შემთხვევის შესახებ დონ ფულხენსიოს უამბობს, კიდევ ერთხელ დარჩება სახტად.

— აშკარაა, ბავშვს დაკვირვების უნარი არ აკლია, — ეუბნება მაესტრო, — მაგრამ ის ვერ გამიგია, რატომ უთხარით პირდაპირ ასეთი რამ, არა ჯობდა რაიმე ტყუილი მოგეგონებინათ?

— ტყუილი? — შესძახებს განცვიფრებული კარასკალი.

— დიახ, ტყუილი... ჯერჯერობით მაინც...

— ჯერჯერობით, მაგრამ მაინც ტყუილი?!

— ისევ იმავე აზრზე დგახართ, კარასკალ? როგორ გგონიათ, არსებობს კი სიმართლეზე უფრო დიდი ტყუილი? განა სიმართლე არ გვატყუებს ხოლმე? განა ცხოვრებისეული სიმართლე არ გაგვიცრუებს ხოლმე ჩვენს ყველაზე უფრო წმინდა ოცნებებს?

„მაგრამ ეს კაცი... მაგრამ ეს კაცი..." — იმეორებს გზად მთლად გაოგნებული კარასკალი. რეალური სამყაროს ეს არასრულყოფილება ქვის კედლად აღიმართება მისი ჩანაფიქრის აღსრულების გზაზე: უბრალოდ, სურვილიც კი აღარ აქვს... „მაგრამ ეს კაცი..." მერე მისი ნათქვამი გაახსენდება: „ ისევ იმავე აზრზე დგახართ, კარასკალ?" — და ბოლოს მაინც დაეთანხმება: „დიახ, იგი მართალია!"

„ვაითუ დედას დაემსგავსოს? შესძლებს კი პედაგოგიკა მერე მის გარდაქმნას? სისულელე ჩავიდინე, რომ დავუთმე... — და ველარა და ველარ ამოღერღავს იმ სიტყვას, — აღიარე, ავიტო, „სიყვარულს?" — და რაკი ბოლოს მაინც გაბედავს და იტყვის, იმ თავის შეჩენილ ეშმას შეუბუზღუნებს, გაჩუმდიო, რადგან ის თავისას გაიძახის: „აი, ხომ ხედავ! შენ დაეცი, ეცემი და კიდევ ასჯერ მაინც დაეცემი!" კარასკალი თავის ფიქრებს მიჰყვება: სიყვარული, პირველცოდვის ეს დამლა დაჰყვა სწორედ ჩემს შვილსაც! ოჰ, რა ღრმა სიმბოლო დევს ამ პირველცოდვის კონცეფციაში! ასე გენიოსს ვერ აღვზრდი, მე მეტისმეტად ვირწმუნე პედაგოგიკის ძალა და ვერ შევაფასე მემკვიდრეობითობის როლი! ჰოდა, ახლა ეს მემკვიდრეობითობაა, სამაგიეროს რომ მიხდის... პედაგოგიკა არის ადაპტაცია, სიყვარული კი მემკვიდრეობითობა და მათ, ადაპტაციასა და მემკვიდრეობითობას, ანუ პროგრესსა და ტრადიციას გამუდმებული ბრძოლა ექნებათ ერთმანეთთან.., მაგრამ ნუთუ არ არსებობს პროგრესის ტრადიცია და ტრადიციის პროგრესი, როგორც იტყოდა დონ ფულხენსიო? ანდა სიყვარულის პედაგოგიკა, სასიყვარულო პედაგოგიკა ან პედაგოგიკის სიყვარული, პედაგოგიური სიყვარული, ანდა კიდევ პედაგოგიური პედაგოგიკა და სასიყვარულო სიყვარული? რას არ გაიგებ ამ კაცისაგან! მერედა, რა კაცია! მე ალბათ უნდა ვეცადო, როგორმე ჩავახშო ჩემს შვილში ის ინერტულობა, დედისაგან რომ გამოჰყვა მემკვიდრეობით; ცხადია, ავიტო, შენი ცოლის მთელი ეს განუკურნებელი უფერულობაა, რომ... ხელოვნებას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ ბუნებაც უნდა შეეშველოს... ეტყობა, მაინც ინსტინქტმა იმარჯვა და შვილი სიყვარულს შევწირე, იმის მაგივრად, რომ სიყვარული შემეწირა შვილისთვის... კაცობრიობა მუდმივად იქნება ამ სავალალო მდგომარეობაში, სანამ ჩვენ სიყვარულით ვიქორწინებთ, რადგან სიყვარული და გონება ურთიერთგამომრიცხავია... შეუძლებელია იყო მამაც და მასწავლებელიც ერთდროულად, კაცი საკუთარი შვილების მასწავლებელი ვერ იქნება, ისევე, როგორც ვერ იქნება თავისი ძოწაფეების მამა; მასწავლებლები უცოლოები უნდა იყვნენ, ანდა უფრო სწორად, უსქესონი, ხოლო მამები — ვინც ამისთვის ყველაზე უფრო გამოდგება, დიახ, დიახ, სწორედაც რომ საჭიროა საგანგებო მამაკაცები, რომელთა მოვალეობა იქნებოდა ბავშვების მომრავლება, ხოლო აღზრდით, სხვები აღზრდიდნენ, ისინი, ვინც უნდა მოიპოვოს ეს პედაგოგიური ნედ-

ლეული, აღსაზრდელი მასა. აუცილებელია ასევე შემოვიღოთ ფუნქციათა სპეციალიზაციაც... სიყვარული... სიყვარული!.. ახლა ისიცა თქვი, ავიტო, გიყვარდა კი მარინა? როდისმე მაინც გიყვარდა? ან რას ნიშნავს ეს სიყვარული?"

აი, ამ წერტილამდე რომ მივიდა ფიქრებში, ავიტომ შეამჩნია ბიჭი, რომელიც თავისივე ამოთხრილ ორმოში შარდავდა.

„ეს რაღას ნიშნავს? ამას რატომ სჩადის? ლეონსია რომ შემერთო ცოლად, ნეტავი როგორი იქნებოდა აპოლოდორინი, ჩემი აპოლოდორო? ანდა მედინილია, — რომელიც ახლა ლეონსიას ცოლად შერთვას აპირებს, — რომ დაქორწინებულიყო მარინაზე, როგორი იქნებოდა აპოლოდორინი, მისი ლუისი? და..." და ამ დროს გაახსენდება დონ ფულხენსიოს პარადოქსი: როგორ წარიმართებოდა ქვეყნიერების ისტორია, რომ კოლუმბს კი არ აღმოეჩინა ამერიკა, არამედ ვინმე მეზღვაურს, ხოლო ევროპა — ვილაც აცტეკს, გუარანის ანდა კეჩუას?

„ როგორი დადგება ჩემი აპოლოდორო? — ფიქრობს იგი, როცა თავისი სახლის კიბეებზე ადის, სწორედ ამ დროს ბიჭიც გამორბის შესაგებებლად და თან ყვირის:

— მამა, მე მინდა გამოვიდე გენერალი!

ეს შეძახილი მის ფიქრებში ტყვიასავით შეიჭრება.

— არა, არა, შვილო, როგორ შეიძლება შენ ეს გინდოდეს... ეს ხომ შეცდომაა, ჩემო ბიჭიკო... ვინ გასწავლა ასეთი რამ? ვინ გითხრა, გენერლობა გინდაო? ჰოო, იმიტომ ხომ არა, ამას წინათ ქუჩაში ჯარისკაცები რომ დაინახე... არა? არა, აპოლოდორო, არა, ჩემს შვილს არ შეიძლება ეს უნდოდეს... შენ თვითონ ვერ ერკვევი შენს გრძნობებში... საზოგადოება სამხედრო ტიპის წყობიდან ინდუსტრიულზე გადადის, როგორც გვასწავლის სპენსერი.[10] აბა კარგად დაიმახსოვრე ეს სახელი ჩემო შვილიკო, სპენსერი, გაიგონე? ს პ ე ნ ს ე რ ი, არა აქვს მნიშვნელობა იცი თუ არ იცი, ვინაა იგი, მთავარია, ეს სახელი დაიმახსოვრო, სპენსერი, აბა გაიმეორე, სპენსერი...

— სპენსერი...

— აი, ასე, ასე! არ შეიძლება შენ გინდოდეს...

— ჰო, მამა, მინდა გენერალი გამოვიდე!

— მერე ომში რომ ტყვია მოგხვდეს, ჩემო შვილიკო? — დაყვავებით ეუბნება მარინა თავისი სიზმარეული შორეთიდან.

კარასკალი ჯერ ცოლს შეხედავს, მერე შვილს, თავს ჩაქინდრავს და თავის გულმოდგინეობა ამბობს: „თავის ნებაზე მიუშვიო! თავის ნებაზე მიუშვიო! მოდი და მიუშვი!.. მაგრამ ეს კაცი... ეს კაცი... უფრო მეტად უნდა მოვინდომო და ენერგიულადაც ვიმოქმედო..."

VI

ფილოსოფოსი დაჟინებით მოითხოვდა, აპოლოდოროს სოციალური აღზრდა მიაღებინეთო, ბავშვების გარემოცვაში ჩამოყალიბდეს, მათთან იყოს და ითამაშოსო და კარასკალიც, თუმცა გულში ეწინააღმდეგება, ბოლოს მაინც დათანხმდება. სულერთია, საშინელებაა, საშინელებაა, საშინელებაა ეს სკოლა. ან კი რას ასწავლიან იქ!

— მამა, მზე თურმე თვითონ ეუბნება პლანეტებს, რომელი საით უნდა წავიდეს.

„ჰო, ეს სკოლა, ეს სკოლა! აი, სად ასწავლიან ანთროპომორფიზმს! მზე ეუბნებაო! მერე მე როგორღა ამოვძირკვო ეს? ამოვძირკვო? აქვს კი ფესვები, რომ ამოვძირკვო? ამოძირკვა! ენაც კი, ეს ჩვენი სამეცნიერო ენა მეტაფორებითაა სავსე! ალგებრის მეტი ვერაფერი გვეშველის! ისევ მე უნდა ჩავერიო, ჩემი ჩარევა აუცილებელია, კარგი, სკოლაში იაროს, მაგრამ გეზი კი მე უნდა მივცე".

— მამა, ყველას უნდა, რომ ყაჩაღი იყოს, მე კი სულ გუშაგად მაყენებენ იმიტომ, რომ პატარა ვარ...

— ასე ჯობია, შვილო, ასე ჯობია, ყაჩაღობას ისევ გუშაგობა გერჩივნოს.

— არა, არა ჯობია, ყაჩაღები უფრო კარგად ერთობიან!

„აჰა, ესეც შენი სოციალური აღზრდა! ნეტავი რას ხედავს ასეთს მასში დონ ფულხენსიო? ეს ხომ საშინელებაა! ნამდვილი საშინელება!"

ერთ დღეს, მიდის ავიტო მოედანზე და ხედავს, როგორ ტუქსავს დედა შვილს, რომელსაც, ეტყობა, ბიჭებთან ჩხუბი მოსვლია და ახლა ტირის, „ნაწლავებიც რომ გადმოგაყრევინონ, შენი ტირილი არ გავიგონო! — ეუბნება დედა ბიჭს, — მაგ ტირილს, გერჩივნა ერთი ქვა აგელო და იმისთვის თავი გაგეტეხა!" „ოჰ, ეს ბავშვები, ეს საბრალო ბავშვები, ისე ზრდიან, პედაგოგიკა სულ არ ახსოვთ!.. მერე რაში გამოდგებიან ასეთები, მარტო ერთი დაპირისპირების მეთოდისთვის, პედაგოგიკის უპირატესობა რომ დაამტკიცონ იმათ მაგალითზე, ვინც მისი მეთოდით აღიზარდა და ამით ფასი აუწიონ!" შინ რომ მივა, ბავშვს დაარიგებს:

— იცოდე, აპოლოდორო, არასოდეს იჩხუბო, თუ ვინმემ დაგარტყა, ჯობია გაიქცე!

— ახლა კი ისინი მერევიან, მაგრამ დიდი რომ გავიზრდები...

და აი, ერთხელაც ავიტო ხედავს, როგორ უშენენ ერთმანეთს მუშტებს მისი შვილი და ვილაც ბიჭი.

— აპოლოდორო, აბა ახლავე მოდი აქ, მოდი-მეთქი!

— მაშ, რატომ მაბრაზებს? აპოლო, პოლო, სულელო, მოსულელო, მოსულელოო, რომ მეძახის! სულ ჩემი სახელის ბრალია... — და ტირილს მორთავს.

„ოჰ, არა, ეს არ არის მეცნიერული, ახლა უკვე ჩემი ჩარევაა საჭირო... დადგა დრო, ჩემი პრინციპები მოვიშველიო!".

და ავიტო მიიღებს გადაწყვეტილებას, შვილს ასწავლოს ლაპარაკი და წერა-კითხვა ისე, როგორც ჯერ არს. მაგრამ სწორი ლაპარაკი რომ შეძლო, მარტო წესები არ კმარა, ენის კანონების საფუძვლიანი ცოდნაც საჭიროა! და ავიტოც ჩაუჯდება ენათმეცნიერებას, ჩაუჯდება და პირველივე ცდაზე წაიბორძიკებს. „რა აბსურდული რამაა ეს ენაც! მაგალითისთვის რომ ავიღოთ ესპანური სიტყვა „ahogarse", რაც დახრჩობას ნიშნავს, წარმოსდგება სიტყვიდან „adfocare", რომლის ფუძე „focus" ცეცხლია; მაშასადამე, მისი პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „წვა", მაგრამ გამოდის, რომ ოდესღაც შეიძლებოდა ცეცხლში დახრჩობა. ხოლო წყალში დაწვა... ახლა მეორე მაგალითი ვნახოთ — სიტყვა „probable" ანუ „ალბათ", უკავშირდება სიტყვას „probarse" — „დამტკიცებას",

მაშინ რაღა საალბათო უნდა იყოს ის, რისი დამტკიცებაც შეიძლება?! სამწუხაროა ასეთ ენებზე რომ ვლაპარაკობთ და არა ალგებრულზე". და ავიტოც ხელს ჩაიქნევს თავის განზრახვაზე. ეტყობა, ენის კანონების მიხედვით სწორი ლაპარაკის სწავლა მართლა შეუძლებელიაო.

სამაგიეროდ, ასწავლის წერას, ოღონდ ორთოგრაფიის ფონეტიკური სისტემის მიხედვით, რასაც ერთადერთ რაციონალურ სისტემად მიიჩნევს, მომავალიც მას ეკუთვნისო. თავდაპირველად ცოტას კი ჭოჭმანობს, რომელი ასო შეარჩიოს ყრუ გუტურალური მსკდომი თანხმოვნის გამოსახატავად „ქ" თუ „კ" ანდა როგორ დაწეროს თავისი გვარი Quarrasqal თუ Karraskal; და ბოლოს არჩევს „კ"-ს, რადგან სიტყვებმა „კილომეტრი" და „კილოგრამი" თავთავისი ტრადიციული და მეცნიერული სახე შეინარჩუნოს; ესეც არ იყოს, კანტი, კეპლერი და კიდევ სხვა, იწყება ასოთი „კ", ხოლო „ქ"-ზე დაწყებული არც ერთი გამოჩენილი პიროვნების გვარი არ ახსენდება ქესნეს[11] და ქეტელეს[12] გარდა. ასე და ამგვარად, ბავშვი იწყებს თავისი აზრების გრაფიკულად, ამ ერთადერთი. ჭეშმარიტად მეცნიერული ფორმით გამოსახვას, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, სანამ ალგებრულ ენაზე გადავიდოდეთ.

„თუმცა... იქნებ მაინც ეცადა, ყველა ხერხი და ღონე ეხმარა და ბავშვი იქამდე მიეყვანა, რომ თვითონ გამოეგონა იეროგლიფები და მერე შეგონებითა და ხელშეწყობით, თანდათან დაეხვეწა, ბოლოს კი საკუთარი დამწერლობის შექმნის აზრიც გასჩენოდა. კიდევ უფრო მეცნიერული იქნებოდა, სიტყვები მრუდის მეშვეობით რომ ჩაეწერა, როგორც ფონოგრაფი გამოსახავს ხოლმე ლილვაკზე, მაგრამ ამისთვის კარგა დიდი ხნის ლოდინი მოუწევდა, სანამ ბიჭი გარკვეულ ასაკს მიაღწევდა და თვითონვე გაიაზრებდა ყველაფერს!"

ამის გარდა, მამა შვილს კიდევ ხატვასაც ასწავლის, რომ ფორმის გრძნობა განუვითაროს, თანაც ეს პერსპექტივის შეგრძნების ერთადერთი გზაა. სწავლების მეთოდიც საკმაოდ მახვილგონივრულია, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს, ავიტო შვილს ახატვინებს ქაღალდისგან გაკეთებულ ჩიტებს სხვადასხვა მდგომარეობასა და პროექციაში, რადგან ჩიტები მოცულობითი ნატურებიცაა და გეომეტრიული ფიგურების თვალსაჩინოებისთვისაც მშვენივრად შერჩეული.

მამა-შვილი ყოველდღე დადის სასეირნოდ, რადგან მამას შეგონების საუკეთესო საშუალებად სწორედ სეირნობა მიაჩნია. გზად დონ ავიტო შეჩერდება, აიღებს ქვას და ბავშვს ეუბნება:

— შეხედე, აპოლოდორო, — და ქვას ხელიდან გაუშვებს, — რატომ ვარდება მიწაზე?

და რაკი ბავშვი უსიტყვოდ შესცქერის, გაუმეორებს:

— ჰო, რატომ ვარდება ძირს და არ მიფრინავს ცაში, როცა ხელს ვუშვებთ?

— იმიტომ, რომ ბუშტი არ არის...

— რა თქმა უნდა, არ არის... მაშინ რატომ ვარდება?

— იმიტომ, რომ მძიმეა!

— აი, ხედავ? უკვე სწორ გზას დავადექით; ესე იგი, მძიმეა... მერე რატომ არის მძიმე?

ბიჭი მხრებს აიჩეჩავს, ამ დროს კი სულის სიღრმიდან თავისი ეშმა

ამოსძახებს, — წარმოიდგინეთ, მასაც ჰყავს თავისი ეშმა, — „ეგ შენი მამა სულელია!“

— მამა, შემცივდა!

— სიცივე არ არსებობს, შვილო!

„სულელია, მართლა სულელია!“

ზოგჯერ შვილი ისეთ კითხვას დაუსვამს, მამა პასუხს ვერ ბოლოებს: „მამა, რატომ არა აქვთ ქალებს წვერი?“ კარასკალი დააპირებს უპასუხოს, „იმიტომ, რომ ქალი კაცისგან განასხვავონო“, მაგრამ გაჩუმდება.

— მომისმინე, შვილო, სამკუთხედის, რომლის ორი კუთხე ტოლი არ არის, — ყველაზე დიდი ფერდი, ყველაზე დიდი კუთხის პირდაპირ მდებარეობს...

— ჰო, მამა, ვხედავ...

— მარტო დანახვა არ კმარა, საჭიროა ამის დამტკიცებაც.

— მაგრამ თუკი ისედაც ვხედავ?..

— ამას არა აქვს მნიშვნელობა, მარტო დანახვას რა აზრი აქვს, თუ არ დაამტკიცებ?

აი ასე და ამგვარად აპოლოდორო კარასკალის თავში დატრიალდება კალეიდოსკოპი, რომლის თითოეულ ნახჭში რალაც ხრიკი იმალება, მის თვალწინ იშლება მთელი სამყარო, უამრავი წარწერებიანი სურათი, რომელიც უნდა ამოხსნას.

ერთხელაც აპოლოდორო მამას ეკითხება:

— მამა, რისთვისაა საჭირო ის აგური, ზედ „მეცნიერება“ რომ აწერია, ან აი, ის ბორბალი?

— მადლობა ღმერთს, შვილო, მადლობა ღმერთს! — და მაშინვე თავისი ეშმა წაუჩურჩულებს: „ღმერთს? ღმერთს, ავიტო? ღმერთსაო, ამბობ? შენ დაეცი, დაეცი და კიდევ დაეცემი!“ — ავიტო შეუბუზღუნებს: „გაჩუმდი, ყეყეჩო!“ და განაგრძობს — როგორც იქნა შეამჩნიე! რამდენი ხანია ამას ველოდებოდი! ყური დამიგდე, აპოლოდორო, წარმოსახვას თავისი უნდა მიაგო, დიახ, წარმოსახვას თავისი უნდა მიაგო, რადგან სწორედ წარმოსახვაა ყოველი რელიგიის სათავე. ეს არის ერთგვარი დამცველი სარქველი და კულტურის რელიგიის საკურთხეველიც!

— საკურთხეველი?

— კარგად მომისმინე, აპოლოდორო, იერინგის თანახმად გამომწვარი აგური მიანიშნებს ასირიული ცივილიზაციის დასაბამზე და საერთოდ, ცივილიზაციის დასაბამზე, ეს ნიშნავს კიდევ იმასაც, რომ ადამიანმა დაიმორჩილა ცეცხლი, რომლის წყალობითაც ადამიანი იქცა ადამიანად, აგურის მეშვეობით ადამიანმა დამწერლობაც გამოიგონა და ყველაზე ძველი წარწერებიც სწორედ გამომწვარ აგურზე შემორჩა. პირველი წიგნი სწორედ აგურისა იყო.

— აგურისა? ვაიმე, მერე როგორ დაჰქონდათ?

— ადრე სახლი იყო წიგნი, ახლა წიგნია ჩვენი სახლი. რაკი აგური იყო დამწერლობის დასაბამი, ამ აგურსაც ამიტომ აწერია „მეცნიერება“.

— ეს ბორბალიკო რალაა?

— ბორბალიკო? აა, ბორბალიო, გინდოდა გეთქვა, არა? ბორბალი, ჩემო ბიჭიკო, ბორბალი! ბორბალი არის რალაც უფრო ადამიანისეული რამ, რადგან ერთადერთი, რაც კი ადამიანმა გამოიგონა და რაც ბუნების-

გან არ დაუსესხებია, გახლავს ბორბალი. ცოცხალ ორგანიზმში შეიძლება იყოს ბერკეტებიც, ზამბარებიც, მაგრამ ბორბლის მსგავსს ვერაფერს ნახავ. აბა, დაფიქრდი, გადაადგილების ყველაზე უფრო მეცნიერული საშუალება ხომ ველოსიპედია, აი რატომ ვუწოდებთ კულტურის საკურთხეველს. დავაკმაყოფილე თუ არა შენი ცნობისმოყვარეობა?

სეირნობის დროს მამა-შვილს თან მიაქვს ხოლმე კომპასი ორიენტაციისთვის, ზოგჯერ სექსტანი — მზის სიმაღლის განსასაზღვრავად, მერე კიდევ თერმომეტრიც, ბარომეტრიც, ჰიგრომეტრი და გამადიდებელი შუშაც კი.

დროულიცაა, რადგან ბიჭმა უკვე უნდა დაიწყოს თავისი ექსპერიმენტების შედეგების საგანგებო რვეულში აღნუსხვა — ტემპერატურა, წნევის მაქსიმუმი და მინიმუმი, შეადგინოს სტატისტიკური ცხრილები და საერთოდ ყველაფერი, რის აღნუსხვასაც საჭიროდ მიიჩნევს.

●

მამა და შვილი დღეს ბუნებისმეტყველების მუზეუმში მიდიან, რათა ბავშვი უკეთ გაეცნოს ევოლუციის პროცესებს, ამასთან, რაც კი რამ თვალსაჩინოებისთვის საჭირო აქვთ სახლში, უკვე აღარ კმარა. ისინი შედიან ვრცელ დარბაზში, სადაც წამლებისა და პირში გამოსავლები სითხის მძაფრი სუნი ტრიალებს, მინის ვიტრინებიდან ბამბით გამოტენილი ფიტულები იმზირებიან. აქ ნახავთ უზარმაზარ მახინჯ ფრინველებსაც, ყოველგვარი სახისა თუ ჯურის მწერებსა და ცხოველებსაც სასაცილო ან საშიშ პოზებში რომ გაშეშებულან სადგარზე, ზოგიც სპირტიან ჭურჭლებში მოუთავსებიათ. აპოლოდორო მაგრად ჩაებღაუჭება მამას მკლავში.

— ნამდვილები არიან, მამა? სისხლისა და ხორცისაგან?..

მამა დაამშვიდებს.

— როგორ დაიჭირეს?

— შეხედე, შვილო, შეხედე, აი, ამას შეხედე, ეს არის ჭიანჭველაჭამია, ხედავ, როგორი ენა აქვს? იმისთვის, რომ...

— ლეოპარდს მოერევა?

— ასეთი ენა იმისთვის აქვს, რომ ჭიანჭველები დაიჭიროს, ბრჭყალები კი...

— რომელი უფრო მაღლა ხტება?

— შვილო, შენ ჭიანჭველაჭამიას დააკვირდი, რატომ გეფანტება ყურადღება, აბა, დაუკვირდი, რა დიდებული ნიმუშია...

— დავუკვირდი, კარგად დავინახე, რა მახინჯია! ეს, ეს... ამას რაღა ჰქვია?

— ეს კენგურუა, აბა, წაიკითხე ქვეშ წარწერა...

— მა... მა... კრო... კრო.. მაკრო,,, მაკროპუს... მაკ.. მა... მაიორ...

— მაკროპუს მაიორ.

— მერე, რას ნიშნავს?

— ეს არის მისი ნამდვილი სახელი, მეცნიერული სახელი, აქ ყველას ასეთი სახელები აქვს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, შინ რომ მივლენ, მამა შეფიქრიანებულია, წუხს, ბავშვი უყურადღებოაო. უყურადღებოა!.. იქნება უკვე დრაა ჟიულ ვერნის რომანები წავაკითხო, ცნობისწადილი რომ გაუღვიძოს და მეცნი-

ერებას ცოტა გემო გაუგოსო, ოღონდ ეგ არის, თვითონ რომანი აფიქრებს, რომ შეიძლებოდეს მხატვრული გამონაგონის ამოღება და მარტო მეცნიერების დატოვებაო... მაგრამ როცა ამ აზრს დონ ფულხენსიოს გაუზიარებს, კიდევ ერთხელ დარჩება გაკვირვებული, რადგან ფილოსოფოსი პასუხობს:

— მეც დიდის სიამოვნებით დაგეთანხმებოდით, დროულიც არის და კიდეც გირჩევდით, მარტო რომანები რომ იყოს მეცნიერების გარეშე...

„ეს კაცი... ეს კაცი... — ეჩიჩინება თავისი ეშმა, — თვალი ფხიზლად ბეჭიროს ამ კაცთან, ავიტო!“ დონ ფულხენსიო კვლავ იმ აზრს უბრუნდება, ბავშვი სკოლაში უნდა ატაროთ, ოღონდ იქ არაფერი ისწავლოსო.

— მაგრამ ჩვენი ცდა...

— ჩვენს ცდას ურიგო შედეგი არ გამოუღია, რაც არ უნდა თქვათ.

— მაგრამ იქ რომ სისულელეების მეტს არაფერს სწავლობს...

— აი, სწორედ ამ სისულელეებიდან წარმოიქმნება სინათლე.

— მაგრამ ჩემი შვილი ისედაც დიდ მიდრეკილებას იჩენს მითოლოგიისადმი, სკოლაში კი ამას არათუ ებრძვიან, პირიქით, ულვივებენ კიდეც!

— მითოლოგიისადმი იჩენს მიდრეკილებასო?

— დიახ, მითოლოგიისადმი. ერთ დღეს მეუბნება, უკვე ვიცი, მზეს ვინც ანთებსო, მზის ოსტატიო; როცა ვკითხე, იქ როგორ ადის-მეთქი, მიპასუხა, მიფრინავსო...

— აპოლონივით...

— მაგრამ თუ სკოლაში...

— არაფერია, არაფერი, მაინც სკოლა, ისევ სკოლა! მერე უკვე ჩვენც ჩავერევით...

— მერე... მერე... მერე...

და აპოლოდოროც კვლავ დაიწყებს სკოლაში სიარულს, მაგრამ პირველივე დღეს, როგორც კი შინ მივა, მამას ეუბნება:

— მამა, ახლა კი ვიცი, ვინ არის ჩვენს სკოლაში ყველაზე ჭკვიანი...

— აბა, ვინ?

— ხოაკინი, მთელ სკოლაში ყველაზე ჭკვიანია და ყველაზე მეტი მან იცის...

— მერე შენ გგონია, შვილო, ვინც ყველაზე მეტი იცის, ყველაზე ჭკვიანიც ისაა?

— აბა, რა, ისაა!

— განა არ შეიძლება ნაკლები იცოდე, მაგრამ ყველაზე ჭკვიანი იყო?

— მერე რანაირად მივხვდებით?

და საბრალო მამა ასეთ დროს ისე იბნევა ხოლმე, რომ იმედიც აღარა აქვს შვილთან რამეს თუ გააწყობს და თავისთვისლა ამბობს: „წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ეს ჩემი შვილია! რა უცნაური ბავშვია! თითქოს არაფრისადმი არ იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას, არც არაფერი აღელვებს, მერე კი ასეთ რამეს გეტყვის, „ძილის დროს ხელები მიშლისო!“

— აპოლოდორო, მოდი, მამიდას წერილი მისწერე.

— რომ არ ვიცი, რა მივწერო, მამა!

— რაც შენ გინდა, შვილო.

— რომ არც ის ვიცი, რა მინდა!

„არ იცის, რა უნდა, ოოჰ, არც ისე ადვილი რამ ყოფილა ეს პედაგოგიკა, ზოგს რომ ჰგონია..."

●

— აი, აქ არის დოქტორ ერეროს პოლიკლინიკა, შვილო, მოდი შევიდეთ და დავათვალიეროთ, იცი, რამდენ რამეს ნახავ?!

— კარგი.

და შედიან.

— ოჰ, როგორი ბაჭიაა, რა ლამაზია! როგორი თვალები აქვს, გეგონება, გიშრის მძივებიაო; რატომ კანკალებს, სცივა?

— არა, პატარავ, კი არ სცივა, იმიტომ კანკალებს, რომ მალე მოკვდება.

— მოკვდება? საბრალო! საბრალო ბაჭია! მერე რატომ არ მოარჩენენ?

— ყური დამიგდე, შვილო, ამ სინიორმა ბაჭიას ნემსი გაუკეთა, აუცრა, რომ რალაც ავადმყოფობა შეისწავლოს და...

— საბრალო ბაჭია! საბრალო ბაჭია!

— სამაგიეროდ, მერე ადამიანებს უმკურნალებენ.

— საბრალო ბაჭია!... საბრალო ბაჭია!..

— მომისმინე, პატარავ, ასე სწავლობენ ავადმყოფობებს და შემდეგ კი მათს მკურნალობას.

— მერე, რატომ ბაჭიას არ უმკურნალებენ?

იმ ლამეს აპოლოდოროს ესიზმრება საბრალო ბაჭია, ავიტოს კი თავისი ბიჭი.

●

ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა დედა-შვილის გვერდით ავიტო არ არის ხოლმე და სწორედ მაშინ გათამაშდება იდუმალი და უსიტყვო სცენები. ასეთ დროს დაიმარტოხელებს თუ არა მარინა შვილს, მაშინვე გულში ჩაიკრავს, გაყუჩდება, თვალებს სივრცეს მიაპყრობს და კოცნის. ბიჭი გაოცებული შეჰყურებს, ეს სრულიად სხვა სამყაროა — კოცნისა და დუმილის სამყარო, მაგრამ ორივე გაუგებარია, ერთიცა და მეორეც.

— მოდი ჩემთან შვილო, ლუის, ლუისიტო, ჩემო ლუის, ჩემო ლუის, მოდი ჩემთან, ჩემო სიცოცხლევ, ლუის, ჩემო ლუის... ლუის, მოდი და ჩემთან ერთად თქვი, მამაო ჩვენო...

— დიახ, ისიც მამაა შენი, ის, რომელი არს ცათა შინა... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

— წმინდა იყავნ სახელი შენი... აახ, კარმა გაიჭრიალა! ლუის, ჩემო ლუის, ლუისიტო, ჩემო ლუის, ჩემო ლუის, იცოდე, ჩუმად, არაფერი თქვა, გაიგე? აი, მოდის... აპოლოდორო!

და ბავშვის გონებაში საზეიმო მწყობრით ჩაივლის: რატომ ვარდება ქვა ძირს, აპოლოდორო? რატომ არის დიდი კუთხის პირდაპირ დიდი ფერდი? აპოლოდორო, აპოლოდორო! სულელო... მოსულელო... მოსულელო! აპოლო, პოლო!... სულელო... იმ რამიროსაც გადავუხდი სამაგიეროს, მა-

ცადოს!.. ლუის, ლუის, ჩემო ლუის, ლუისიტო... წმინდა იყავნ სახელი შენი... არაფერი თქვა, გესმის? რატომ მეძახის დედა ლუისს? მაინც როგორი ენა აქვს იმ ჭიანჭველაჭამიას.. საბრალო ბაჭია! საბრალო ბაჭია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII

ავიტო მეორე ვაჟიშვილს ელოდებოდა, მარინამ კი ქალიშვილი დაბადა. მამას იგი არც აუწონია, არც გაუზომია და არც საგანგებო დავთარი მოუმზადებია მისთვის. რა საჭიროა! ქალიშვილი! კარასკალს ახსენდება, რომ არსებობს ეგრეთ წოდებული ფემინიზმი, მაგრამ რატომღაც ვერ მოიცალა მის რაობაში გარკვეულიყო. ქალიშვილი? სადღაც სულის სილრმეში არც ესიამოვნა, ასე ვთქვათ, ქალიშვილის დაბადება.

კარგა ხანია შეიმუშავა გარკვეული აზრი, თუ რას წარმოადგენს საერთოდ ქალი და რა ფასი აქვს მას. ქალი მისთვის არის ერთგვარი პოსტულატი და როგორც ასეთი, დასაბუთებასაც არ ექვემდებარება; ეს გახლავთ აშკარად გამოხატული ვეგეტატური არსება. გალანტურობა სიმართლის მტერიაო, ფიქრობს იგი, — მაგრამ ჩვენ ხომ ისევ ქალს უნდა ვუმადლოდეთ — მისსავე სასიკეთოდ, — რომ სიმართლეს ვლაპარაკობთ, სრულიად გაშიშვლებულ სიმართლეს და უფრო მეტიც, ეს არის სიმართლის ჩონჩხი, უხორცო, შიშველი! რამეთუ არ არსებობს ჭეშმარიტი სიმართლე, თუკი მის ძვლებს ვერ ვხედავთ.

— არ არსებობს ქალის საკითხი, — ეუბნებოდა წლების წინათ ავიტო თავის ერთგულ სინფორიანოს, თავის თანამოსუფრეს, დონია ტომასას სახლში: — არ არსებობს ქალის საკითხი, არის ერთადერთი აღზრდის საკითხი და ყველაფერი მასშია ნათქვამი.

— მაგრამ იქნებ პედაგოგიკაში არის რაღაც ქალის შესახებაც? — მორიდებით შენიშნავდა სინფორიანო.

— ჰე! თუ ამ მხრიდან შევხედავთ... ყველაზე უარესი ის არის, ჩემო მეგობარო სინფორიანო, რომ მამაკაცებმა მათ საკურთხეველი აუგეს, ძალზე უხერხულ პოზაში დააყენეს და იმდენს უკმევენ გუნდრუკს, თავიც კი მოაბეზრეს.

— ოჰ, რა კარგად თქვით, რა დიდებულად...

— და ბოლოს, ქალების მოვალეობაა გააჩინონ მამაკაცები და ამდენად, მათი, ქალების, აღზრდაც ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. მე ქალს ვუყურებ როგორც ნიადაგს, რომელიც დასათესად მომზადებას საჭიროებს — გაფხვიერებასა და აფუებას, მერე სასურველი ნაყოფი რომ მოგცეს.

— რა თეორიებია, ოჰ, რა თეორიებია, დონ ავიტო!

— დიახ, უნდა გააფხვიერო; რაც შეიძლება მეტი ჰაერი, მეტი მზე, მეტი წყალი... აი, რატომ მიმაჩნია, რომ ქალმა უწინ ფიზიკური აღზრდა უნდა მიიღოს...

და ახლა, ქორწინების შემდეგ კიდევ უფრო მტკიცედ ირწმუნა კარასკალმა თავისი თეორიები. ქალი წარმოადგენს მატერიას, ბუნებას, ამიტომაც მატერიალურად და ბუნებრივადაც უნდა აღიზარდოს!

— მარინა, ბავშვს ყველაზე მეტად სჭირდება ჰაერი, მზე, სეირნობა, ვარჯიში, რომ ჯანმრთელი გაიზარდოს... მე ჩემი მოსაზრებები მაქვს...

საბრალო მატერია შესცქერის ფორმას, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი მოსაზრებები და თავის პაწაწას გულში იკრავს, თავის საბრალო გოგონას, რომელიც ბოლოს მაინც ქალი უნდა გახდეს, საბრალო! ბავშვი მარტო მას მიანდეს, მარტო მას, მას მიანდეს მისივე სიზმრების ეს ლამაზი ყვავილი, მისივე სევდიანი ლიმილის განსახიერება. მერედა რა მშვენიერი გოგონაა, განსაკუთრებით, როცა სძინავს და ტუჩებს ისე აცმაცუნებს, თითქოს ძუძუს ეძებსო. ამ დროს დედას ერთი სული აქვს აკოცოს თავისი სიზმრების ამ მშვენიერ ყვავილს, მაგრამ ეშინია, არ გავაღვიძოო. ოღონდ კი იძინოს, იძინოს, იძინოს, რამდენიც უნდა და შეუძლია! მარინაც თავს იკავებს, რომ არ გაალვიძოს, არ კოცნის, მაგრამ სულის სიღრმეში ეს შეკავებული ხმები უცხო სიმღერად გარდაიქმნება! ოჰ, ჩემო გოგონა, ჩემო გოგონა, სიყვარულის ფიალა!

და პატარა გოგონა, როსა, — ავიტო სახელის არჩევასაც ცოლს მიანდობს, რადგან მისთვის სულერთია, რა ჰქვია ქალს, — იზრდება აპოლოდოროს გვერდით, დედის ალერსსა და მოფერებაში და თითქმის არც სცილდება მის კალთას. სიარულსა და ლაპარაკს კი თავის ძმაზე ადრე სწავლობს.

— დონ ფულხენსიო, ერთი რამ მაკვირვებს, გოგონა თითქოს ბიჭზე უფრო სწრაფად ვითარდება.

— ასეა, ჩემო მეგობარო კარასკალ, რამდენადაც დაბალ საფეხურზე დგას სახეობა, მით უფრო სწრაფადაც მწიფდება და რამდენადაც მაღლა დგას ბიოლოგიურ კიბეზე, ზრდაც მით უფრო შენელებულია...

— ეტყობა, ასეა! მეც ხშირად მიფიქრია, რომ გოგონები მამისგან მემკვიდრეობით იღებენ გონებას, დედისგან — ნებელობას, მაგრამ თუ შოპენჰაუერს დავუჯერებთ, ბიჭები დედისგან იღებენ გონებას, მამისგან — ნებელობას.

— ეს დანცინგელი შავი იუმორისტი ამას იმიტომ ამბობს, რომ მამამისმა თავი მოიკლა, ხოლო დედამისი რომანებს წერდა, მაშინ, როცა, თვითმკვლელობა იყო მამამისის რომანი, ხოლო რომანები — დედამისის თვითმკვლელობა.

●

როდესაც როსიტა ტირის — საკმაოდ ჭირვეული ბავშვი კი არის — მამა ამბობს:

— დაე, იტროს, თავი დაანებე, ტირილი ფილტვებს ავითარებს და აფუებს. როცა იღვიძებს, ნერვიული დაძაბულობა გამოჰყვება ხოლმე და ეს დაძაბულობა რომ მოიხსნას, ტირილსაც ამიტომ იწყებს; ხოლო რაკიღა უნდა რომ იტიროს, მიზეზსაც ადვილად პოულობს — ჯერ სათითეს მოგთხოვს და შენ მისცემ, მერე საათს და იმასაც მისცემ, მერე კიდევ სხვა რამეს და ბოლოს, მთვარეს რომ მოგთხოვს — თუმცა იცის, რომ ვერ მისცემ — მეტიც არ უნდა! ამიტომ, დაანებე თავი, იტიროს, ქალო, თავი დაანებე, ასე ხომ ფუვდება!

მარინა კი მაინც კოცნით უმშრალებს ბავშვს ცრემლებს, თუმცა კი ამ დროს ავიტო წარბებს შეიჭმუხნის ხოლმე, ეს კოცნა ხომ რაღაც გაუცნობიერებელი პროტესტია, თანაც პირდაპირ პედაგოგის თვალწინ რომ კოცნის! ესე იგი, ბავშვს თავის მიკრობებს გადასცემს! ხოლო ამ სურათს

თავისი კუთხიდან უყურებს აპოლოდორო, ხელოვნურად გამოყვანილი გენიოსის ნაღვლიანი თვალებით.

ეს გოგონა, ეს ცრემლები, ამდენი კოცნა... ოჰ, ეს ფემინიზმი!

დრო კი გარბის... გოგონა იღებს რაც კი ხელში მოხვდება, ჯაგრისი იქნება, თუ ბარომეტრი, ახვევს თავის წინსაფარში, გულზე იხუტებს, არწევს და ნანას უმღერის. და მამა რომ ხედავს, როგორ [illegible] ... ნავებს გოგონა ბარომეტრს, მაშინვე ბრძანებს, ეს ნივთი პირდაპირ ლოგინში ჩაუდონ მის პირმშოსაც, მის მემკვიდრეს. ოჰ, ეს ინსტინქტი, ჩვენი უმეცრების გამონაგონი!

●

კარასკალი იმ დროს გამოეცხადება დონ ფულხენსიოს, როცა იგი მორიგ აფორიზმზე ჩაფიქრებულა, თან გვერდით უკვე გაციებული შოკოლადით სავსე ფინჯანი მოუდგამს.

— ვერა და ვერ გადამიწყვეტია! — წამოიძახებს ფილოსოფოსი ფიცხლად და დაარღვევს დუმილს, რადგან დუმილით შეხვდა თავის ერთგულ დონ ავიტოს. — ლამის ენის წვერზე მადგას აფორიზმი, მაგრამ ალარ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რომელი ჯობია — ქალებად იბადებიან, ხოლო მამაკაცებად ყალიბდებიან, თუ პირიქით, კაცებად იბადებიან და ქალებად ყალიბდებიან? რომ ქალებს აქვთ თანდაყოლილი მემკვიდრეობითობა, კაცებს ადაპტაცია ანუ შეძენილი ან პირიქით? რომელია პირველადი, ანდა იქნებ ერთიცა და მეორეც საერთო საწყისიდან წარმოიშვნენ დიფერენციაციის საფუძველზე, არც ქალის საწყისიდან და არც კაცის საწყისიდან?..

— სწორედ ამაზე... — დაიწყებს, მათი, ორივეს პრობლემების ამ საოცარი თანხვედრის გამო გაკვირვებული კარასკალი.

— რამეთუ, — განაგრძობს ფილოსოფოსი და შოკოლადს მოწრუპავს, — ქალი გახლავთ ყოველგვარი პროგრესის დამაბრკოლებელი...

— ეს ინერტულობაა, კონსერვატორული ძალა... — დაეთანხმება დონ ავიტო.

— დიახ, ქალი არის ტრადიცია, მამაკაცი — პროგრესი...

— თან რომ ძლივსძლივობით აზროვნებს.

— თავი კი მოაქვს, თითქოს ყველაფერი ესმოდეს...

— რაკი ჩვენ არ ვშობთ, იმიტომ აზვიადებენ მშობიარობის ტკივილებსაც.

— რაკი ჩვენ ვაზროვნებთ, ისინიც ვითომ აზროვნებენ...

— ქალი იმიტომ გაჩნდა ქალად, რომ მამაკაცად ვერ ჩამოყალიბდა...

— იგი გახლავთ ანტიზეკაცი!

ამ დროს შემოესმებათ დონიკა ედელმირას ფეხის ხმა და ფილოსოფოსი სასწრაფოდ გადაჰკრავს შოკოლადის ღურდოს; ორივე დადუმდება.

— ფულხენსიო, მინდა შეგახსენო, რომ — ამბობს დონიკა ედელმირა, მერე მიესალმება ავიტოს და განაგრძობს, — დღეს ნოტარიუსთან უნდა წახვიდე...

— აჰ, მართალია, ჩემო მეხსიერებავ, სულ გამომივარდა თავიდან!

— ამას ჰქვია შენი მეხსიერება, კაცო? იცოდე, თუ არ წახვალ...

— არ წავალ და დავკარგავ ხუთი ათას პესეტს.

— მერე კი მე დამაბრალებ. ეგ არის შენი მეხსიერება?..

— ჩემი მეხსიერება შენა ხარ...

— და შენი ნებისყოფაც...

— აბა, კაცო, აბა, კაცო!.. ქალო-მეთქი, მინდოდა...

— ჰო, კიდევ კარგი ეს სენიორიც აქ ბრძანდება...

— წარმოგიდგენიათ, შეიძლებოდა ხუთი ათასი პესეტი დამეკარგა... ღმერთი გიშველის, ჩემო მეხსიერებავ!..

— ღმერთი? — ეკითხება დონ ავიტო, როცა დონია ედელმირა გადის.

— მეასეჯერ მაინც გეუბნებით, ძალიან ცუდად აიკვიატეთ-მეთქი ეს ღმერთი, ნამდვილად თეოფობიამ აგიტანათ, რაღაც ავადმყოფობად გადაგექცათ, მაგრამ ესეც არ იყოს, ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკოთ, თორემ ერთმანეთს ვერაფერს გავუგებთ, ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლება ღმერთი უბრალოდ სიტყვამ მოიტანოს!

— მაგრამ მაინც...

— აბა, როგორ გინდათ ელაპარაკოთ ქალებს?

— აა, ქალებს, პროგრესის ამ მუხრუჭებს? ისინი ხომ სულ არ აზროვნებენ...

— თავი კი ისე უჭირავთ, თითქოს ყველაფერი ესმოდეთ.

— ქალი იმიტომ დაიბადა ქალად, რომ თავის დროზე მამაკაცად ვერ ჩამოყალიბდა...

— ქალი არის ანტიზეკაცი...

და აი, ასე განაგრძობენ, სანამ დონ ფულხენსიოს არ გაახსენდება, სოკრატეს ამბავი პლატონის დიალოგებში რომაა მოთხრობილი.

— მეთანხმებით თუ არა, კარასკალ, რომ მამაკაცი არის გონი, ქალი კი ინსტინქტი?

— გეთანხმებით!

— გჯერათ, თუ არა, რომ ქალი განასახიერებს ტრადიციას, მამაკაცი — პროგრესს?

— მჯერა!

— მაშასადამე, ქალი არის მეხსიერება, მამაკაცი გონება!

— ასეა!

— ხომ ვამბობთ, რომ ქალი წარმოადგენს ბუნებას, მამაკაცი გონს, არა, ავიტო?

— ვამბობთ!

— მაშასადამე, ქალებად იბადებიან, მამაკაცებად ყალიბდებიან! — საზეიმოდ გამოაცხადებს გამარჯვებული დონ ფულხენსიო.

— მაშასადამე, ასეა!

— რაც შეეხება ქორწინებას, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, ჩემო მეგობარო კარასკალ, ქორწინება გახლავთ ბუნებისა და გონის შეუღლება, ბუნების გააზრება და აზრის გაბუნებრივება; ქმარი არის ტრადიციის პროგრესი და ცოლი პროგრესის ტრადიცია.

კარასკალი არ უპასუხებს, იგი შეჰყურებს სიმია საპიენსს და ეჩვენება, რომ იგი იცინის, მერე მზერას გადაიტანს პლაკატზე: „რომ არ ყოფილიყვნენ ადამიანები, უნდა გამოეგონებინათ“, ხოლო ამასობაში ფილოსოფოსი პირს ხელის ზურგით იმშრალებს.

როდესაც ავიტო შინ მივა, ხედავს, რომ მისი ანტიზეკაცი როსიტას კისერზე კოცნის, ბავშვი კი კისკისებს, ეტყობა, ელუტუნება; აპოლოდორო

კი ზის კუთხეში და გენიოსის ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებს ამ სურათს.

სწორედ ამ დროს შედის დონ ჟა ედელმირა თავისი ქმრის კაბინეტში.

— ერთი ეს მითხარი, ფულხენსიო, რა ეშმაკებს აკეთებთ თქვენ ორნი, საათობით რომ ჩაიკეტებით ხოლმე, რა სისულელეებზე ლაპარაკობენ ამდენ ხანს?

— სისულელეებზეო, ქალო?

— აბა, მაშ რას უნდა აკეთებდეს ორი კაცი ლაყბობის მეტს! მართლაც რომ არა აქვს ენას ძვალი!

— იცი, რას გეტყვი...

— ვიცი, ძალიან კარგადაც ვიცი ყველაფერი, ათასჯერ მაინც მითქვამს იმ ახირებულ...

— მერე, შენ ხომ გამონაკლისი ბრძანდები...

— არა, გამონაკლისი შენა ხარ, ფულხენსიო... მაინც რამდენი უნდა ლაყბოთ ჩვენზე, ქალებზე?

— ეს რეები მოგსვლია თავში?

— კარგი, ფულხე, მაშინ გამოტყდი, რაზე ჩურჩულებდით ამდენ ხანს?

— მეცნიერებაზე ვლაპარაკობდით.

— რა დიდებულია, თუ თქვენ, კაცები, ჭორაობას მეცნიერებას უწოდებთ...

— რა დაგემართა, ეს რა აზრები მოგდის თავში, მირა?! და მაინც რა მიმზიდველი ხარ ჯერ კიდევ!..

— კარგი, კმარა, გასაგებია... გინდა მომთაფლო და პასუხს თავი აარიდო, არა? კმარა, აბა ახლა წამოდი ჩემთან, ცოტა წამიკითხე და მერე ცოტაც მანქანაზე დაბეჭდე!..

— მაგრამ...

— არა, არა, ვითომ არც არაფერი მინახავს, არც გამიგონია, აბა, წამოდი, მოეშვი ამ სისულელეებს, წავიდეთ!

VIII

გავიდა ხანი. აპოლოდორო წამოიზარდა და დონ ფულხენსიომაც გადაწყვიტა, დადგა დრო, ყმაწვილს პირისპირ შევხვდე და ველაპარაკოო, აქამდე არ იცნობდა, მხოლოდ შორიდან მოეკრა თვალი.

ბოლოს მომავალ გენიოსთან შეხვედრის ეს ამაღელვებელი დღეც დადგება. მაესტრო მას თავის კაბინეტში ელოდება, სიმია საპიენსის წინ, ტყავის სავარძელში ჩაფლული, მაგიდაზე დახვავებული წიგნების მიღმა, იდუმალ ბინდბუნდში ძლივს მოჩანს. შემოდის აპოლოდორო, გული ძალუმად უცემს და სანამ ბინდს თვალს შეაჩვევს, ხედავს მხოლოდ დონ ფულხენსიოს ულვაშჩამოშვებულ, მოციქულის მსგავს სახეს, ფარდებიდან შემოსული მკრთალი სინათლე შარავანდედად რომ დასდგომია თავს და თვალები ისე აქვს მილულული, გეგონებათ, არც გიყურებსო. მაგრამ მაესტრო ახედ-დახედავს ამ აყლაყუდა, ფერმკრთალ ყმაწვილს, რომელსაც ხელები ისე ჰკიდია, კაცი იფიქრებს, მხრებში ხრახნები მოშვებიაო, ზედა ტუჩი ოდნავ კი აქვს აპრეხილი, მაგრამ პირი ვერ დაუმუწია.

— ჩემი ვაჟიშვილი! — საზეიმოდ გამოაცხადებს დონ ავიტო და ისე

გაიშვერს მისკენ ხელებს, ვაჭარი რომ შესთავაზებს მუშტარს თავის საქონელს.

— ჩვენი აპოლოდორო! — მშვიდად გამოეხმაურება დონ ფულხენსიო და რაკი ყმაწვილი ხმას არ იღებს, განაგრძობს, — კეთილი, კეთილი... კეთილი... რამხელა გაზრდილა!..

— მადლობას მოგახსენებთ, — წაიბურტყუნებს აპოლოდორო და არც კი შეტოკდება.

— კეთილი, ყმაწვილო, კეთილი, — მაესტრო წამოდგება და ოთახში გაივლ-გამოივლის, — დაბრძანდით!..

— მე რა ვქნა? — ეკითხება ავიტო.

— თქვენ... კარგი იქნება, თუ დაგვტოვებთ მარტო...

მამა მხურვალედ ჩამოართმევს მაესტროს ხელს, ითქოს უნდა უთხრას, აბა, გიტოვებთ მას, ცოტა დაუყვავეთო, — და ისე გადის, რომ შვილს შეხედვასაც ვერ გაუბედავს. აპოლოდორო ჯდება, ფეხებს მჭიდროდ მიაწყობს ერთმანეთს და ხელებს მუხლებზე დაიწყობს.

— კეთილი, ყმაწვილო, კეთილი, — და ფილოსოფოსი წუთით შეჩერდება აპოლოდოროს წინ, თავზე ხელს დაადებს, — ყმაწვილს სწორედ ამ ადგილიდან ტერფამდე ჟრუანტელი დაუვლის, — და ისე დააშტერდება, მომავალ გენიოსს გული ლამის ბუდიდან ამოუვარდეს. სივრცეს გაჰყურებს, — კეთილი, ყმაწვილო, კეთილი, მაშ, შენა ხარ აპოლოდორო, ჩვენი აპოლოდორინი?

ყმაწვილი კი ღელავს, სული ვერ მოუბრუნებია, მისი მზერა ერთიანად აფორიაქებს და ბავშვობაში ნანახი საბრალო ბაჭია ახსენდება.

— თქვი რაიმე, ყმაწვილო!

აპოლოდორო ექოსავით გაიმეორებს:

— რაიმე!

— დალახვროს ეშმაკმა, გონებამახვილობა არ გაკლია!

და მაესტრო გაიღიმებს. ყმაწვილიც ცოტა დამშვიდდება და სიმია საპიენსზე გადაიტანს მზერას.

— მაშასადამე, სხვა არაფერი მოგდის თავში, ყმაწვილო?

— მაინც რა გნებავთ, რომ მომივიდეს თავში, დონ ფულხენსიო?

— ოჰ, რაც გნებავს!

— მამაჩემი...

— მაშ კარგი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. უპირველეს ყოვლისა, თავიდან უნდა ამოიგდო...

მაესტრო ისევ გაჩუმდება, ეტყობა, იმის თქმას აპირებდა, თავიდან ამოიგდე, რომ შენგან გენიოსი დადგებაო, მაგრამ დროზე გაახსენდება, კაცი თავისი შესაძლებლობის მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა მიუღწეველს უმიზნებსო, მაგრამ გაჩუმდება. სწორედ ამ წუთში კარებში დონია ედელმირას ქერა პარიკის ჩარჩოში ჩასმული უშფოთველი, ვარდისფერი სახე გამოჩნდება; იგი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერებს სტუმარს და ქმარს ეტყვის:

— ფულხე, ქენი სიკეთე და ერთი წუთით გამობრძანდი, დიდხანს არ დაგაყოვნებ.

— მირა, იცოდე, ფულხეს ნუ მეძახი, — ეუბნება ფილოსოფოსი ცოლს, როცა კარს მიეფარებიან და აპოლოდორო ვერ გაიგონებს.

— ჰო, მესმის, მაგრამ არაფერი უშავს...

ისინი ჩურჩულს გააბამენ, აპოლოდორო კი ამ დროს გონების თვალით ჭვრეტს ამ ფერხორციან, აუღელვებელ, ლამის ბავშვურ სახეს ქალისას, რომლის ქერა პარიკი სულ არ ეხამება მის ზორზოხა ტანს; მერე მიიხედ-მოიხედავს, კარგად შეათვალიერებს სიმია საპიენსს, ეპიმოლოგიურ საპიენსს და გაიფიქრებს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

შემოდის დონ ფულხენსიო და პირდაპირ თავის სავარძლისკენ გაემართება, ჩაჯდება შიგ თუ არა, მაშინვე დავთარში თავის მორიგ სენტენციას ჩაიწერს: „ადამიანი არის აფორიზმი" — და მერე დაიწყებს:

— ძვირფასო აპოლოდორო, ალბათ შენ უკვე იცი, რა ამოცანის წინაშე დგახარ და მის განსახორციელებლადაც მზად ხარ... არს ლონგა, ვიტა გრევის ცხოვრება ხანმოკლეა, ხელოვნება დღეგრძელი, როგორც ბრძანა ბერძნულად ჰიპოკრატემ, ახლა კი ჩვენ ლათინურად ვიმეორებთ... მე მინდა შენ გესაუბრო, შვილო ჩემო, ეგზოტერულ ენაზე, ამ სადა და მარტივ ენაზე, რასაკვირველია, და არ მივმართავ იმ ხერხებსა და საშუალებებს, რაც გამოვიყენე ჩემს არს მაგნა კომბინატორიაში. შენ მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ იმისათვის, რომ გაერკვე ამაში და დატკბე იმ საოცრებებით, რაც უბრალო მოკვდავთა, საღი აზრის ამ მორჩილთა თვალთაგანაა დაფარული. უბრალო მოკვდავთა საღი აზრი, შვილო ჩემო, უბრალო მოკვდავთა საღი აზრი!.. საღი აზრი ხომ მათი უბედურებაა! ერიდე, ერიდე საღ აზრს, შავი ჭირივით ერიდე! საღი აზრი გახლავს ის განსჯა, რასაც შეცნობის საყოველთაოდ მისაწვდომი საშუალებებით აღწევენ და იმ შემთხვევას მოგაგონებს, როცა ერთ ქვეყანაში ერთადერთ მოკვდავს გააჩნია მიკროსკოპი და ტელესკოპი და თანამემამულეებს თავისი დაკვირვებების შედეგებს რომ გაუზიარებს, ისინი საღ აზრს მოკლებულ კაცად გამოაცხადებენ ხოლმე, რამეთუ თვითონ შეუიარაღებელი თვალით უყურებენ ყველაფერს და ამის მიხედვითაც მსჯელობენ, რაკი ეს გახლავთ მათი საღი აზრის იარაღი. ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა იყო, ისე არ მოხდეს, რომ მიკროსკოპით ათვალიერებდე ვარსკვლავებს, ხოლო ტელესკოპით — ინფუზორიებს. მაგრამ თუ ვინმემ გითხრა, საღი აზრი გონების ყველაზე დიდი მიღწევაა, გაერიდე მას, რამეთუ იგი უთუოდ რეგვენი იქნება! — აცხა! — დაუტატანებს კატას, მუხლებზე რომ ახოხდება და მერე განაგრძობს — ახლა რას სწავლობ?

— მათემატიკას.

— მათემატიკას? ეს ხომ ლამის დარიშხანსა ჰგავს, თუ ზომიერად გამოიყენებ, გარგებს, თუ ჭარბად, — მოგკლავს; მაგრამ თუ მათემატიკა საღ აზრთანაა შეზავებული, მაშინ ვიღებთ ხოლმე ფეთქებად თუ მგრგვინავ შენაერთს, ე. წ. სუპერ-ვულგარინს. მათემატიკა? ერთი... ორი... სამი... და ასე შემდეგ; სჯობია, ისტორია შეისწავლო, საგნებსა და მოვლენებს უფრო კარგად შეიცნობ და თანაც მათს მდინარეობაში. მათემატიკა და ისტორია ორი სხვადასხვა პოლუსია.

დონ ფულხენსიო ჩუმდება, რომ ახალი აფორიზმი ჩაიწეროს და მერე განაგრძობს:

— უკვე გითხარი, შვილო ჩემო, საღი აზრის ადამიანებთან დიდად ნუ აითქვიფები-მეთქი. რამეთუ, შემიძლია დავიფიცო, — კაცი, რომელიც არასდროს ლაპარაკობს და არც სჩადის სისულელეს, უიმედო რეგვენია.

საგანგებოდ რომ შეუშხაპუნო ინექციის სახით პირდაპირ ტვინში ოთხი პარადოქსი, სამი სისულელე და ერთიც უტოპია, მაშინ ეგებ გვეშველოს, რამე. მარტო ხორცის ჯანმრთელობა არას გვარგებს, თუ სულზე არ ვიზრუნეთ! ნუ დაუჯერებ, ასე ვთქვათ, ხანდაზმულთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, როგორც იციან ხოლმე თქმა, ანდა ვინმე ღვინისმოყვარეებრებს, ღღეში ასჯერ მაინც რომ კითხულობენ „მამაო ჩვენოს", ვითომ იმათზე უკეთესად ესმოდეთ ამ ცხოვრების ავ-კარგი, ვინც წლების მანძილზე ერთხელ ძლივს ილოცებს. მუდამ ის გზები გვიზიდავს, რომელზედაც მეტი წინაღობები გვხვდება. ნურც წიგნებში ამოკითხულ სხვათა გამოცდილებას ენდობი მეტისმეტად.. ფაქტები! ფაქტები! ფაქტები! აი, რას გიკიჟინებენ, მაგრამ ჩვენთვის რომ ვთქვათ, რაღა არ არის ფაქტი! ყოველივე ფაქტია, რაც კი რამ არსებობს. წინათ წიგნებს სიტყვებით ავსებდნენ, ახლა — ფაქტებზე მინიშნებებით, ხოლო ერთადერთი, რასაც წიგნში ვერ მიაგნებ, ეს გახლავთ იდეები. მე რომ, ჩემდა საუბედუროდ, იძულებული გავმხდარიყავი ჩემი დოქტრინები ფაქტებით გამემაგრებინა, მე თვითონ უნდა გამომეგონებინა, მეტი რა გზა მქონდა, რამეთუ ჩემის ღრმა რწმენით, ის, რისი წარმოსახვის უნარიც შესწევს ადამიანს, ან უკვე მოხდა, ან ხდება ან მომავალში მოხდება. ესეც არ იყოს, ფაქტები დიდს ვერაფერს შეგმატებს, მაშინაც კი, როცა წიგნებშია ჩაწყობილი პატარ-პატარა ადვილად გადასაყლაპი ობლატებივით, თუკი ინტელექტის წვენით არ არის დამბალი, რაც მას იდეების ნაჯერად გადააქცევს. ერიდე ფაქტოლოგიას, რამეთუ სწორედ ფაქტოლოგია წარმოადგენს უქმად მბრუნავ სალ აზრს, მიაქციე ყურადღება, უქმად-მეთქი, ვინაიდან მას სწორედ ის ნიადაგი არა აქვს, სადაც ნაყოფს მოიწევდი, დაე ჩვეულებრივს, მაგრამ მაინც სასარგებლოს. ნურც იმათ გაჰყვები, **ოდინის**[13] ქვაბებით რომ დაეხეტებიან, სკანდინავური ღმერთებივით, თავზე ყველის ამოსაყვანი ყალიბები რომ ჩამოუმხიათ, ფეხებში ებლანდებათ და ვერც სინათლესა ხედავენ და ვერც სხვას ვერაფერს. ასე დარბიან იმ თავიანთი რეცეპტებით, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რასაც იშოვიან, ერთმანეთში უნდა აურიონ, მაგრამ, რაც მთავარია, ამოდენა ყველისთვის საკმარის რძესაც კი ვერ შოულობენ და ბოლოს მაინც ხელით უწევთ ამოყვანა.

დონ ფულხენსიო კვლავ გაჩერდება და ჩაიწერს: „სქოლასტიკა არის მრავალსაუკუნოვან მიღწევათა გათვალისწინებით აგებული უზარმაზარი და მშვენიერი ტაძარი, მაგრამ გამოუწვავი აგურით ნაშენი", — მერე განაგრძობს:

— იყავი ახირებული, შვილო ჩემო, გირჩევნია ილაპარაკო ათასი საკვირველება, ვიდრე სისულელეებს მიედ-მოედო. როცა ყეყეჩები თავის მოყვასს ახირებულს ეძახიან, იცოდე, არაფერზე დაიხევენ უკან, ოღონდ კი თვითონაც ასეთები იყვნენ! ნუ გადაუხსნი სულსა და გულს მათ, პირიქით, გზა აუბნიე, მელასავით, თავისივე კუდით რომ წაშლის ხოლმე საკუთარ ნაკვალევს. ეცადე ალოგიკური გამოჩნდე მათს თვალში, რომ თავიანთ კლასიფიკაციაში არ მოგაქციონ და თქვან: აი, ეს გახლავთ აპოლოდორო კარასკალი, ერთადერთი და თავისთავადი, ოდენ მაშინ ჩაგთვლიან ინდივიდად, პიროვნებად, მართლა ერთადერთად და განუმეორებლად. დაე, შენს სიტყვასა და საქმეს ერთი პრინციპი აერთიანებდეს და ერთიცა და მეორეც მხოლოდ შენი იყოს, ყოველი ბგერა შენებურად მიიღე და გა-

რდაქმენი, შენი ძალა და შენი ტემბრი მიეცი და მხოლოდ ის იქნება შენი. მაშინ კი იტყვიან: „ეს აპოლოდორესებრ ჟღერს!“ როგორც ბაბობენ ხოლმე, ფლეიტასავით ჟღერსო, ანდა სალამურზე ან ფაგოტზე როცა ლაპარაკობენ. ხოლო შენ ეცადე ისე ჟღერდე, როგორც ორგანი ყველა რეგისტრში. რაღაც გინდოდა გეთქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არაფერი... განაგრძეთ!

— არსებობს სამი ტიპის ადამიანი, ერთნი ჯერ ფიქრობენ, მერე აკეთებენ; ასეთები ფრთხილები არიან. მეორენი არ ფიქრობენ, ისე აკეთებენ; ასეთები გაბედული ადამიანები არიან. მესამენი აკეთებენ და ფიქრობენ ერთდროულად, ანუ ფიქრობენ იმაზე, რასაც აკეთებენ და აკეთებენ იმას, რასაც ფიქრობენ. ასეთები ძლიერი ადამიანები ბრძანდებიან. იყავი შენც ერთი ძლიერთაგანი! ხოლო მეცნიერება, შვილო ჩემო, აბა, რა გითხრა მეცნიერებაზე? ერთი ეს აფორიზმი წაიკითხე, — და წარწერაზე მიუთითებს, რომელიც გვამცნობს: „ადამიანის მიზანი მეცნიერებაა!“ სამყარო შეიქმნა, — კარგად დაუკვირდი, — შეიქმნა-მეთქი და არა შექმნეს, — იმისთვის, რომ ადამიანმა ახსნას და როცა ახსნის...

ფილოსოფოსის მოელვარე თვალები ნაპერწკლებს ყრიან, ხმა კი წინასწარმეტყველის ქადაგებად გაისმის:

— მეცნიერება! საბოლოოდ, მთელი მეცნიერება, ადამიანის წყალობით რაციონალურ კატალოგამდე დაიყვანება, ერთ ვრცელ ლექსიკონამდე, რომელშიც ყველა სახელი განისაზღვრება და იდეოლოგიური თანამიმდევრობით დალაგდება, თუმცა შეიძლება ბოლოს ერთმანეთსაც დაემთხვას და როცა ყველა საგანს ერთიანად დაიყვანენ იდეებამდე, საგნები გაქრება და დარჩება მხოლოდ იდეები, მერე კი, როცა ამ უკანასკნელსაც სახელებამდე დაიყვანენ, დარჩება მხოლოდ და მხოლოდ სახელები და სწორედ ისინი გაჟღერდებიან მარადისობის უსაზღვრო დუმილში; ასეთი იქნება დასასრული რეალური სამყაროსი, რომელსაც შთანთქავს ზერეალური აა(სიურრეალური). სადღეისოდ კმარა. შეგიძლია წახვიდე!

აპოლოდორო წამიერად შეავლებს თვალს მაესტროს და რატომღაც დონია ედელმირა გაახსენდება. ნეტავ რას ნიშნავს ყოველივე ეს? ქუჩაში რომ გავა, იქვე, ჭიშკართან ორ მოხუც ქალს დაინახავს და მათ საუბარს მოჰკრავს ყურს; ერთი, რომელსაც კალათი უჭირავს ხელში, ეუბნება მეორეს: „რაღა აზრი აქვს, სენიორა რუპერტა, რამდენი ხნის სიცოცხლეა დაგვრჩენია!“ და ყმაწვილს გაახსენდება დედის სიტყვები: „ეს რა სამყაროა, წმინდაო ქალწულო, ეს რა სამყაროა!“ გაახსენდება ისიც, როგორ ეხვევა და ეალერსება დედა მის პატარა დას, თვალწინ დაუდგება ფერმკრთალი, სისხლნაკლული გოგონას სახე, რომელსაც ყოველდღე უყურებს და როცა მათემატიკის გაკვეთილზე მიდის, ისე გააყოლებს ხოლმე თვალს, თითქოს ძილბურანშიაო. მერე ბავშვობაში ნანახი ერთი სურათიც აგონდება, როგორ იჭერდნენ ხოლმე ბიჭები ლამურას, ფრთებით მიაკრავდნენ კედელზე, თამბაქოს უხრჩოლებდნენ და ეს იყო მათი გართობა.

— როგორაა საქმე? — ეკითხება ცოტა არ იყოს, აღელვებული მამა შინმოსულს.

შვილი დუმს და მამა გულში ამბობს: „ეს ბიჭი ნამდვილი სფინქსია! ნეტავი თუ ოდესმე ამოვიცნობ!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულ ცოტა ხნის წინ აპოლოდორო გაიცნობს მენაგუტის, გაჩეჩილ მენაგუტის, სილამაზის ქალწულის კულტის ნამდვილ მსახურს, ანდა რო-გორც მისი სავიზიტო ბარათი გვაუწყებს:

ილდებრანდო ფ. მენაგუტი
პოეტი.

ცხადია, პოეტი — მკრეხელი.

— სიყვარული, სიყვარულია ყველაფერი! ხელოვნების ყველა შედევრი სიყვარულითაა შექმნილი და შთაგონებული; არ არსებობს სიყვარულზე უფრო დიდი შთაგონება, ესტრო მენაგუტი ამ სიტყვას კრაზანას ნაკბენად აღიქვამს. სიყვარული ერთიანად ფშვნის სულს, — მან იცის, რომ ლათინურ სიტყვას ტრიბულარე შეესატყვისება ესპანური ტრილარ და დაფშვნასა და დაცეხვას ნიშნავს. სიყვარული დიდი „ჰიპნოტიკოს" საწყისია, — ამასთან ამ სიტყვაში ასო „ჰ"-ს ფშვინიერად წარმოთქვამს. „ილიადა", „ღვთაებრივი კომედია", „კიხოტეცა" და თვით „რობინზონ კრუზოც" კი სიყვარულითაა შთაგონებული, ცხადად თუ შეფარვით. რა-საკვირველია, ხელოვნების ნაწარმოებები უნდა იქმნებოდეს, მაგრამ გე-ნიოსი მხოლოდ პოეზიაში გამოვლინდება. ლექსები წერე, აპოლოდორო!

IX

საღამოობით აპოლოდოროს ერთი სული აქვს, სანამ თავის საწოლში განმარტოვდებოდეს! მაშინ გამოანათებს ხოლმე მისი ცისკრის ვარსკვ-ლავი და იწყება სულის ზეობა. ისე მოიკუნტება გრილ ზეწარზე, დედის მუცელში რომ იყო დაბადებამდე და ელოდება ძილს, ღვთაებრივ ძილს, მისი ცხოვრების მოწყალე მფარველს და მხოლოდ ამ დროს გრძნობს იმ სიმყარეს, სიცოცხლის ხალისს რომ ულვიძებს. ძილის წინ კითხულობს ხოლმე რომელიმე წიგნს, მენაგუტიმ რომ დაუტოვა და მამის ჩუმად სა-წოლში, ბალიშის ქვეშ მალავს. ამ წუთებში ზოგჯერ ისეთ ადგილებს წა-აწყდება, გული აუჩქროლდება, სული შეუგუბდება და კითხვის გაგრძე-ლება ისე უჭირს, რომ თევზივით მარტო პირს აღებს. ეგებ ძილიც ეს არის? უკვე ველარ გაუგია, როდის სძინავს და როდის ღვიძავს, მას შემ-დეგ, რაც მამამ რაღაც სამეცნიერო ტრაქტატი მისცა წასაკითხად სიზმ-რებზე, მის მიზეზებსა და ხასიათზე.

ასე ელოდება ხოლმე ძილს აპოლოდორო და ეს ლოდინის წუთებია მხოლოდ მისი სანიადაგდღეო ცხოვრებაში ყველაზე დიდი ნეტარება. ძი-ლი სიცოცხლის წყაროა, რადგან ცხოვრობ და ცხოვრებაზე კი არ ფიქრობ; ასეა, სანამ ჯანმრთელი ხარ, ვერ გრძნობ, რომ გაქვს გული, კუჭი თუ ღვიძლი, იქამდე, სანამ არ აგტკივა, ასევე ვერ გრძნობ, რომ ძილშიც ცხო-ვრობ, ძილში არავინ არაფერს გასწავლის. თუმცა არც მთლად ასეა, ძილს ხომ სიზმრებიც მოჰყვება, სიზმრებს კი თავისი პედაგოგიკა აქვს, რა უნ-და ქნა? სად გაგონილა უსიზმრებო ძილი, თანაც უსასრულო? მაინც რა საოცარი სიზმარია ეს ცხოვრება!

ყოველ ღამე დაწვება თუ არა, იმაზე ფიქრობს, დავუდარაჯდები იმ წუთს, როცა ძილი მოვა, დავუკვირდები სიფხიზლიდან ძილში გადასვლის

ამ იდუმალ წუთსო, მაგრამ ვერასოდეს ასწრებს, მუდამ ისე ფრთხილად ეპარება ძილი, ჩუმად, ანაზდად დაეცემა თავს, ვერც კი ასწრებს პირდაპირ სახეში შეხედოს ან შეხვდეს. ნეტავი სიკვდილიც ასე მოდის? — ფიქრობს იგი და ცდილობს წარმოიდგინოს, როგორ მოდის სიკვდილი, თუმცა მამამისი არწმუნებს, ეს სრულიად აშკარაა, უბრალოდ ადამიანის შენყვეტაა, არც მეტი არც ნაკლები და არავითარი იდუმალება ამაში არ არსებობსო; დონ ავიტოს აზრით, სიკვდილი სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. ყველაფერი სისულელეა, რასაც ამბობენ, სიკვდილი ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ფენომენიაო.

ეს ორომტრიალი იდეებისა, პატარ-პატარა იდეებისა, პაწაწინა იდეებისა, ფსევდოიდეებისა, თითქმის იდეებისა, ვაი-იდეებისა, თუ იდეოიდეებისა რაღაც უფორმო და უფერო სიზმრებს თუ გაურკვეველ სურვილებსა და ლტოლვებს ბადებს მასში. ეს სამყარო ერთი უზარმაზარი კალეიდოსკოპია, მაგრამ ეს კალეიდოსკოპი ზოგჯერ ისეთ სურნელებას აფრქვევს. ჭაბუკს რომ სისხლს უჩქროლებს, მით უფრო გაზაფხულზე. „მამა, რატომ აქვთ ყვავილებს ასეთი სურნელება?“ — ეკითხება ერთხელ, მამა კი პასუხობს: „იმიტომ, რომ მწერები მიიზიდონ, შვილო!“ „მერე რისთვის უნდათ, რომ მწერები მიიზიდონ?“ „იმისთვის, რომ მისი მტვერი მწერმა ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაიტანოს და ბუტკო გაანაყოფიეროს“. „განაყოფიერება რაღას ნიშნავს?“ მაგრამ ამაზე რა უპასუხა მამამ, ალარ ახსოვს. მენაგუტიმ რომ წიგნები მისცა, აი, მათში კი ყველაფერი მშვენივრადაა ახსნილი და მშვენიერ განცდასაც იწვევს. წარმოგიდგენიათ, მამამისი კი ამისთანა წიგნების კითხვას უკრძალავდა!.. პოეზია, ტკბილი პოეზია, სიყვარულის ცეცხლი, ოხვრაც და სინაზეც, თუმცა ზოგჯერ სიშმაგეცა და სისასტიკეც.

მაინც როგორი კალეიდოსკოპია ეს სამყარო! თან ყველაფერს რომ თავისი იარლიყი აკრავს უკანა მხარეს, იმ მხარეს, რომელიც არ ჩანს. ამის გარდა, ყველაფერს თავისი ახსნაც გააჩნია. დიდი საოცარი რამაა ეს სამყარო.

რა არ ხდება ქალაქში თუ ქალაქგარეთ! ეტლები, მანქანები, ცხენები, ძაღლები და ყველას თავისი ჩონჩხი აქვს შიგნით, მაგრამ ხორცით დაფარული; მამაკაცები, ქალები... ქალები! ზოგი მაღალი, ჯანმრთელი, ხორცსავსე, ფუმფულა, ცხელი სისხლიც აქვთ, გულიცა და სხვა შიგნეულიც, ზოგს მაღალი მკერდი სიარულის დროს უთახთახებს და კიდევ ვინ მოთვლის რა და როგორ თუ რამდენი; ზოგი ისე შემოგხედავს, რომ... მაინც რა მძაფრი სუნი აქვს ამ სამყაროს!..

დღეს დონ ფულხენსიოსთან სასაუბროდ რომ მიდიოდა, კარი ლია დაუხვდა და პირდაპირ შევიდა დერეფანში. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, იმ წმინდა ადგილის შესასვლელს მიადგა. კარგად კი ნამდვილად არ მოიქცა, მაგრამ... დონ ფულხენსიო!.. ნუთუ ისაა? დიახ, სწორედ დონ ფულხენსიოს დონჟა ედელმირასთვის ერთი ხელი ჩასუქებულ წელზე შემოუხვევია, მეორეს კი ღაბაბზე უთათუნებს. ამ გვარიანად გადამწიფებულ მატრონას საკმაოდ ახალგაზრდული იერი კი შეუნარჩუნებია, პარიკიც რომ სულ ერთიანად უბზინავს...

— შენ, მხოლოდ შენ ირწმუნე ჩემი გენიოსობა, მირა! — და უფრო ახლოს მიიზიდავს.

— ჰო, მეტისმეტად კეთილი გენიოსი კი ბრძანდები, უწყინარი და ალერსიანი...

— რა ოქროსფერი თმა გაქვს?

და პარიკზე ხელს გადაუსვამს.

— რატომ დამცინი? — ეუბნება ქალი და შუბლი შეეკვეცება.

— დაგცინი? ხელოვნური რომაა? მერე რა მოხდა? ჩვენ ხელოვნურები არა ვართ და შეცვლა არაფრის გვჭირდება? — და იგი ცოლს აკოცებს.

— ოცდაათი წელია, ფულხე, ოცდაათი წელი!..

— ოცდაათი წელია, მირა! — მოეხვევა და ეკითხება — გახსოვს?

აპოლოდორო მეტს ველარაფერს გაიგონებს, რადგან დონიკა ედელმირა რატომღაც შეკრთება და შესძახებს — ვინ არის? აპოლოდოროს სხვა გზა არა აქვს და შედის. აი, ამიტომ ვერ მოახდინა მაესტრომ იმ დღეს მასზე შთაბეჭდილება. იმ ღამეს აპოლოდოროს დონიკა ედელმირა ესიზმრება.

●

მამამ შვილს დავალება მისცა, — სამყაროს შენეული კონცეფცია ჩამოაყალიბე წერილობითო, მაგრამ ყმაწვილი რამდენს ფიქრობს, მაინც არაფერი გამოსდის. ჯერ ერთი, საკითხავია, აქვს კი რაიმე აზრი ამ სამყაროზე: გაეგება კი რაიმე მისი? სულ ახლახან არ იგრძნო მისი სუნი?

და იგი მდინარისკენ მიმავალ გზას დაადგება, ხეივანს მიჰყვება; მშვენიერი დარი დგას, — მაგრამ ამ თავისი კონცეფციის გამო მეტისმეტად შეფიქრიანებულია. გაზაფხულის ნათელი და თბილი დღეა, ალვისხეების აფეთქებული კვირტის ბუსუსები მზის სხივებზე მწვანედ ხასხასებს, მდინარე ლაპლაპებს, კამკამა ლურჯი ცის ოკეანეზე, დასავლეთით, აქა-იქ თეთრი ქაფის ზოლივით მოსჩანს მსუბუქი ღრუბლები. ჰაერში საოცარი აურნელება ტრიალებს, ყმაწვილი კორდზე დაეშვება, ირგვლივ ბაბუაწვერას ბუსუსები დაფრინავენ. მდინარის მეორე ნაპირზე გაშლილი ქალაქი თავისი კოშკებით, სამრეკლოებით, ამ უზარმაზარი ქვის ნარგავებით წყნარსა და გლუვ წყალში ირეკლება; კამკამა ლაჟვარდის ფონზე მდინარეც ამ სილურჯის გაგრძელებად მოგეჩვენებათ და ქალაქის ანარეკლი მარმარილოზე ამოკვეთილ და მოჭიქულ ფრიზებად აღიქმება. ეს ყველაფერი გადაშლილ წიგნს აგონებს და ახსენდება ბავშვობისას ბუზს თავს რომ წააწყვეტდნენ, გადაკეცილ ქაღალდის ფურცელში ჩადებდნენ და გასრესდნენ, რათა ისეთივე სიმეტრიული გამოსახულება მიეღოთ, როგორიც კალეიდოსკოპში ჩანს. ახლა კი გადაჰყურებს წყალში არეკლილ ალვისხეებს და მენაგუტის ლექსი ახსენდება:

კამკამა წყალში ირეკლება
მდინარისპირა ალვისხეთა
მოცახცახე ხშირი გვირგვინი,
მაგრამ იმავ წამს სხვა ნაკადი
გადაევლება.

აპოლოდოროს სული ამ ხილვებში იძირება და ვერც ამჩნევს, რომ სუნთქავს, ამ კრიალა ლაჟვარდს კი ნამდვილად არა აქვს წარწერა უკანა

მხარეს, რომელიც არ ჩანს, რადგან არც გააჩნია. რა სიზმარია, რა ტკბილი სიზმარი. ამ სიზმარს თვალხილული ხედავს და სულიც მზადაა გაზაფხულის შესაგებებლად.

ერთბაშად გული შეუქანდება, თავს მიაბრუნებს და უცნობის თვალებში მოკიაფე ცეცხლი დასწვავს, ხედავს მხოლოდ [illegible] ხის ყლორტივით მხრებზე დაშვებულ ორ ოქროსფერ ნაწნავს და [illegible] ქალიშვილს. საბრალო გული აბორგდება, ნეტავ რას უნდა მოასწავებდეს ეს? შინ მისული მეტის მონდომებით დაიწყებს ფიქრს სამყაროს თავისეულ კონცეფციაზე, მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლებს და ისევ ლექსი გაიტაცებს.

— ლექსი? ლექსებს წერ, შვილო?! — შესძახებს განცვიფრებული მამა და რაკი შვილი ხმას არ იღებს, განაგრძობს, — რა თქმა უნდა, ყველაფერი შეგიძლია სცადო! სცადე!

— განა პოეტები კი არ არიან გენიოსები?

— პოეტები იყვნენ, შვილო, როგორ არ იყვნენ, მაგრამ იყვნენ იმ დროს, როცა ხალხი ყურს უგდებდა მათ, თუკი მათთვის რამე ითქმებოდა ლექსში. თანამედროვე პოეტი კი უწინ სოციოლოგი უნდა იყოს, პოეზია დღეს გარდამავალი ხელოვნებაა და თანაც წარმავალი... როგორ მიდის სამყაროს შენი კონცეფციის საქმე?

— ნელ-ნელა, მამა.

მაგრამ სად გაექცევი სინამდვილეს: დონ ავიტო მაინც მიაგნებს წიგნებს, გრავიურებს, ნახატებს, ჩანაწერებს და მის გაკვირვებას საზღვარი არა აქვს. ხოლო მარინა, დედა, საბრალო მძინარე მატერია, როგორც კი ცოტა მაინც გამოფხიზლდება, ამბობს:

— ჩვენი ბიჭი შეყვარებულია!

— შეყვარებული? ჩემი შვილი და შეყვარებული?! რა სისულელეა! წარმოუდგენელია... — და რაკი საბრალო დედა ჩუმად, სევდიანად იღიმება, მამა ეკითხება: — რაიმე გაიგე?

— მე? არაფერი...

— მაშ, რატომ ამბობ?

— ეტყობა და აშკარადაც ეტყობა, აბა სხვა რა უნდა იყოს.

— ნამდვილად დაგესიზმრა! რა სისულელეა! ამ ასაკში როგორ შეიძლება... ეს-ეს არის სიმწიფეში შედგა ფეხი.

თავისი ეშმა კი ჩვეულებისამებრ წაუჩურჩულებს: „შენ დაეცი და თუ შენ დაეცი, ისიც დაეცემა, ყველანი დაეცემით და ამას ბოლო არ ექნება“... — ფიქრით თავს იმტვრევს და ბოლოს მაინც დაიჯერებს, რომ ეს ეჭვი არცთუ უსაფუძვლო იქნებაო და გადაწყვეტს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, გენიოსი უნდა გადავარჩინოო. მარინაზე კი მაინც ბრაზობს, რადგან ეს საიდუმლო პირველმა მან ამოიცნო, მას დაასწრო, თანაც ბიჭი მან გააჩინა და კიდეც დაიმგვანა, თორემ ასე მალე არ შეუყვარდებოდა, აკი თვითონ მარინამაც ასე შეაყვარა თავი. სიყვარული! მუდამ ეს სიყვარულია, დიად ჩანაფიქრებს რომ ეღობება ხოლმე წინ, რამდენი დრო დააკარგვინა უქმად ამ წყეულმა სიყვარულმა კაცობრიობას! ამჯერადაც გარდაუვალი რამ მოხდა: დედისეულმა მემკვიდრეობამ მაინც თავისი გაიტანა! განა თავად მარინას კი არ შეუყვარდა ავიტო თავის დროზე? მართალი თუ გინდა, ახლაც უყვარს!

დონ ავიტოს ერთი სული აქვს, სანამ ამ ამბავს დონ ფულხენსიოს გააგებინებს.

— იგი ძეყვარებულია!

მაგრამ გენიოსის მამა სულ სხვა რამეს რომ ელოდა: ფილოსოფოსისგან, სრულიად გულგრილი პასუხი კი მიიღო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბუნებრივია!

— კარგი, ბუნებრივი კი არის, მაგრამ...

— მაგრამ რა?..

— ის, რომ გონივრული არ არის!

— ბუნება გონზე მაღლა დგას!

— მაგრამ გონი არ უნდა აღემატებოდეს განა ბუნებას?

— გონი ბუნებიდან მოდის...

— და მაინც ბუნებამ უნდა მოთოკოს გონი!

— ეს განგების ნებაა, — მშრალად მოუჭრის სიტყვას დონ ფულხენსიო, რომელიც ცოტა არ იყოს, კიდეც ბრაზდება, რომ დონ ავიტო ეკამათება.

— მაშინ განგებას რაღა უპირისპირდება?

— თვითონ განგება!

— შეყვარებულია! შეყვარებულია! შეყვარებულია! უნდა დავემშვიდობო გენიოსს და ეგ არის...

— მერედა, გენიოსს განა არ შეიძლება შეუყვარდეს?

— არა, არ შეიძლება!

— საერთოდ, ამოიგდეთ თავიდან ეგ აზრი, რომ მისგან აუცილებლად გენიოსი უნდა დადგეს. მოდით, იმას დავჯერდეთ, რომ ტალანტი განვუვითაროთ...

— წარმოგიდგენიათ? შეყვარებულია! ამაზე რაღას ამბობს პედაგოგიკა?!

— ახლა ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ჩემო მეგობარო კარასკალ, რომ გამოვარკვიოთ როგორ შეუყვარდა ბიჭს, აბსტრაქტულად თუ კონკრეტულად!

— არ მესმის! — და დონ ავიტო გაფაციცებით შეჰყურებს ფილოსოფოსს ახალი საკვირველების მოლოდინში.

— მე იმის თქმა მინდა, ერთი რომელიმე ქალიშვილი შეუყვარდა, ხორცშესხმული ქალი, თუ ქალი აბსტრაქტულად, ინდივიდუალური, კონკრეტული ქალი, თუ საერთოდ, ქალი აბსტრაქტულად-მეთქი.

კარასკალი მაინც გაოგნებული შეჰყურებს.

— როცა ვამბობ, აბსტრაქტულად-მეთქი, ის მინდა ვთქვა, რომ სიყვარული ნომინალური კი არ არის, არამედ რეალურია, იგი კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ კი არ მიდის, არამედ პირიქით, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ, უფრო პლატონისეულია, ვიდრე არისტოტელესეული, იწყება საერთოდ ქალისადმი სიყვარულით და ამასთან ყოველი ინდივიდი თავისებურად, სახეობრივად აღიქვამს, როგორც ჩანს, დაკონკრეტება მოგვიანებით ხდება... როგორც ჩანს-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სინამდვილეში დაკონკრეტდება მარტოოდენ ისტორიული, გმირული გრძნობები და ლეგენდებად გარდაიქმნება ხოლმე, რადგან მათში აბსტრაქტული აბსოლუტურად გადადის კონკრეტულში. ჯულიეტა, ბეატრიჩე, დიდონა, ისაბელ

დე სეგურა, შარლოტა, მანონ ლესკო, აბსტრაქტული იდეის კონკრეტული განსახიერებანი ბრძანდებიან...

„ეს რა აბდაუბდაა, — ეჩიჩინება კარასკალს ის თავისი შეჩვეული ეშმა, — და ქუჩაში რომ გადის, კიდევ განაგრძობს: — შეყვარებულია! შეყვარებულია და ვაითუ, კონკრეტულად!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

და აჰა, ბოლოს და ბოლოს აპოლოდოროს სიყვარულიც კონკრეტდება. ეს ხდება მისი ხატვის მასწავლებლის სახლში, სადაც სხვა ყმაწვილებთან ერთად იგი ხატვაში იწაფება.

გულისხმიერი დონ ეპიფანიო, ვისზეც ამბობდნენ, დიდი მხატვარია, ოღონდ ხელმოცარულიო, იმთავითვე კეთილი თვალით შეხედავს ყმაწვილს და ნახატს რომ უსწორებს ხოლმე, ეუბნება:

— უნდა იცხოვრო, აპოლო, უწინ უნდა იცხოვრო, სხვა ყველაფერი სისულელეა!

დონ ავიტოს დიდად არ ეფონება გულზე დონ ეპიფანიოს უცნაური იდეები, ანდა როგორც თვითონ უწოდებს, ანტიიდეები, მაგრამ ფიქრობს, იდეები ხატვას ხელს ვერ შეუშლისო და დაუთმობს. და, აჰა, კიდევ ერთი დათმობა!

ერთხელ, როცა აპოლოდორო სტუდიაში შედის თუ სტუდიიდან გამოდის, — მაესტროს საცხოვრებელ ბინას კი გვერდს ვერ აუვლის, — ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში თვალს შეასწრებს ახალგაზრდა ქალს, რომელიც კი არ მიდის, თითქმის მიცურავს; მეორეჯერ, ოდნავ გამოღებულ კარებში შეიჭვრიტება და ოთახის სიღრმეში, დახურულ აივანზე იგივე ლანდს შეამჩნევს, ფარდებში გამომკრთალ სინათლეზე თავდახრილი რომ ზის და ხელსაქმეს ჩაკირკიტებს, ისეთი გრძნობა დაეუფლება, თითქოს გულუბრყვილო კაცის ხელით დახატულ სურათზე გამოსახულ ხორციელ არსებას კი არ უყურებს, არამედ ოჯახური სიმყუდროვის ნამდვილ განსახიერებას, ოჯახური კერიის ნაზ იას. მქრქალი სინათლე ქალის სახეს ლბილად ეკვლება და ისე იკვეთება, როგორც ტყვიისფერ მინაზე ლამაზი ნახატი. ბაგე ოდნავ გაპობია, თითქოს ამ სიჩუმეში თავისთვის ლოცულობსო, მკერდი თანაბრად, ნელა აუდ-ჩაუდის. აპოლოდოროს ეს ხილვა ერთიანად მოაჯადოვებს.

მაგრამ აი, კლარიტა წამოდგება და კარს გააღებს, სახეზე ღიმილი დასთამაშებს, თვალები უციმციმებს, მერედა, რა თვალები! რა თვალები, რა მეტყველი, რა შთამაგონებელი, დამრიგებლური, პედაგოგიური! სიცოცხლისკენ რომ მოგაბრუნებენ, გულწრფელობისა და სიყვარულის დაუსრულებელი გაკვეთილი! აპოლოდორო ძლივს მოაბრუნებს ენას და ისეთი მორიდებით მიესალმება, რომ ქალიშვილიც დაიბნევა და წამოწითლდება.

— შემობრძანდით, აპოლოდორო, შემობრძანდით!

„შემობრძანდითო! ოჰ, შემობრძანდითო! რა საამო მუსიკად ჩაესმის ეს სიტყვები! რა ნიჭიერია, რა ევოლუციური, რა სელექციური, ან რა ცნობიერება აქვს, რა იმმანენტურია, ტრანსცენდენტური, სრულქმნილი და ციკლური! შემობრძანდითო, ოჰ, შემობრძანდითო! ამ სიტყვებით ყველაფერი თქვა! წმინდა მეცნიერება! მეცნიერება? უფრო მეტიც, მეცნიერება

და კიდევ უფრო მეტი! კიდევ მეტიც! და აპოლოდორო შედის, მაგრამ წაიფორხილებს და ქალიშვილის კულული, ვაზის ეს ნაზი ლერწი მის ლოყას შეეხება, შეეხება და დასწვავს. გვიან, მარტო რომ რჩება, ლოყაზე თითს ისვამს და მერე კოცნის, კოცნის კი არა, ლამის ლოკავს.

მაგრამ საიდან მოდის ეს სითამამე, ესოდენი გაბედულება, ან ესოდენ არაპედაგოგიური და არაგონიერი? სისხლის შემადგენლობაც კი ეცვლება, ასე ჰგონია, მისი სული ტყავს იცვლის და ახალი, სულ სხვა ადამიანი იბადება, იბადება მამაკაცი! ახლა კიდევ ამ გულმაც აუშვა და მიაჭენებს, სისხლი თავს მიაწყდება, ალბათ ამას ჰქვია სიყვარულის შეტევა. დიახ, არსებობს უთუოდ სიყვარულის შეტევებიც, ჩხვლეტებიც, გამწვავებაც, მთელ არსებას რომ მოერევა და საყვარელი ადამიანის სახე მაცოცხლებელ წყაროდ გესახება. დიახ, უნდა იცხოვრო, უნდა იცხოვრო, სხვა ყველაფერი სისულელეაო, ამას ეუბნება მისი მაცოცხლებლის მამაც და აპოლოდორო უკვე აღარ გარბის თავის სევდის ბაღში. სამყარო იხსნება მის წინ.

— საჭიროა უფრო ჩაუღრმავდე მემკვიდრეობითობის კანონის მნიშვნელობას, — ეუბნება დონ ავიტო.

— დიახ, მამა, აკი ვსწავლობ.

— უფრო ღრმად...

— ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო, რა სამყარო! — ოხრავს მატერია.

აპოლოდორო კი გაფაციცებით ელოდება კიდევ როდის გაუღიმებს ბედი და ნახავს კლარიტას. ამას წინათ უეცრად კი გაქრა, მაგრამ მისმა ღიმილმა სიყვარულით აავსო მთელი ოჯახური კერა. ნეტავი ოჯახური კერაა მისი ღიმილის განსახიერება, თუ მისი ღიმილია ოჯახური კერის განსახიერება? ქალიშვილი ყველაფერს მშვენივრად ხვდება, რაღა თქმა უნდა, რადგან დაინახავს თუ არა აპოლოდოროს, მისი გამოხედვა რაღაცნაირად უფრო ღრმა ეჩვენება და ბაგეც თითქოს ოდნავ ეპობა ხოლმე.

დონ ეპიფანიო რაღასა იქმს? ეტყობა, იმანაც კარგად იცის, თორემ რატომ წარმოთქვამდა იმ თავის უწყინარ სენტენციებს სულ სხვა კილოზე? სენტენციებს და თანაც რა სენტენციებს! დიდი ნიჭიერი კაცია, ასეთი ქალიშვილის გაჩენასაც ხომ ნიჭი უნდა! გენიოსობა სწორედ რომ გაუცნობიერებელი ნიჭიაო, ამბობენ. როგორ შევადარებ დონ ფულხენსიოს, მთელ მის აფორიზმებს, არს მაგნას და ზეკაცობრიულ რიტმულ ფილოსოფიას მარტო ერთი კლარიტა გადასწონის! ეს თეორიებიც!.. — როგორი მოწიწებით იტყვის ხოლმე მამამისი, დონ ეპიფანიო.

როგორც იქნა! რა გამალებით უცემს გული! ისე უცემს, სუნთქვასაც კი იკავებს, კლარიტამ არ გაიგონოსო. კლარიტაც ღელავს, ელოდება, ამ საზეიმო დუმილს უთუოდ რაღაც მოჰყვებაო.

— კლარიტა... კლარიტა... მოიღეთ მოწყალება და... წაიკითხეთ... ეს...— წერილს მიაჩეჩებს და სტუდიაში შედის.

— რა დაგემართათ, ყმაწვილო? — ეკითხება დონ ეპიფანიო, მაგრამ ნუთუ ეშმაკურად? — გეტყობათ, გირბენიათ, გული ამოვარდნაზე გაქვთ... რა მოგარბენინებდათ, წყნარი ნაბიჯით უფრო მალე არ მოხვიდოდით?.. აბა, დაამთავრეთ ეს ფეხი, ოღონდ ჩრდილები ძალიან არ ჩაამუქოთ.

მეორე დღეს კი ყმაწვილს ეჩვენება, თითქოს მთელი სახლი, კარჩხაც კი

დერეფანში, კედლებზე ჩამწკრივებული გრავიურები და საერთოდ ყველაფერი ერთიანად ქრება მის გარშემო და მთელი მისი სხეული, მისი სული თუ არსი ერთ მოუთმენელ კითხვად იქცევა:

— რას მიპასუხებთ?

— რასდა, ჰოს!

ოჰ, რა გენიოსად გრძნობს ახლა თავს!

— მადლობელი ვარ, კლარიტა, მადლობელი!

— მადლობელი? პირიქით, მადლობელი მე ვარ თქვენი!

— თქვენიო?

— აბა...

— შენი-თქო! — და იგი გამარჯვებული კაცივით მტკიცედ შეაბიჯებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაბიჯებს ცხოვრებაში. სიყვარულის შეტევები ქრება და ერთ დაუსრულებელ, ქრონიკულ ტკივილად გადაექცევა.

ახლა კლარიტას ჰყავს საქმრო, როგორც მისი ამხანაგების უმეტესობას, ისიც გაიგებს, რას ნიშნავს ეს და რაზე და როგორ ილაპარაკონ დანიშნულებმა. მას ჰყავს საქმრო, ესე იგი, უკვე ქალია.

ამური, რაკი თვითონაც ბიჭია, აპოლოდოროსაც ერთ ბიჭურ ეშმაკობას ასწავლის — თუ კლარიტას ძმას, ემილიოს დაუმეგობრდება, ოჯახსაც უფრო დაუახლოვდება. დონ ეპიფანიოც, ვითომ ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ სადილობის დროს ვაჟიშვილს ეუბნება:

— იმეგობრე აპოლოსთან, იმეგობრე აპოლოსთან!

— რაღაც უცნაური ვინმე კია, — ამბობს ემილიო.

— ჰმ! ყველა ადამიანი ისეთია, როგორსაც ზრდიან და ყველას თავისი ახირება გააჩნია.

— ერთი მოგესმინა, რაებს ელაპარაკებოდა მამამისი ამას წინათ!

— ფილოსოფიაზე, არა? მეტს აღარაფერს შეჭამ, კლარიტა?

— არა, მეტი არ მინდა.

— შენ იცი, მაგრამ უჭმელობა მაჭინც...

— მეც მეუბნებოდა ამას წინათ, საიდან მოვდივართ და საით მიყდივართო. აბა, მე რა გამეგება ამეებისა...

— ჰმ! საიდანღაც ხომ მოვდივართ... შენც შეეშვი...

— ან რას არ კითხულობს!

— ეეჰ, მისი ნებაა, როგორც უნდა ისე გამოიყენებს თავის დროს, რასაც უფალი იმისთვის გვაძლევს, რომ მოვიპოვოთ პური ჩვენი...

და აპოლოდოროც ემილიოსთან მეგობრობის საბაბით ნელ-ნელა დაუახლოვდება მათ ოჯახს და კარგა დიდხანსაც რჩება ხოლმე მათთან; დონ ეპიფანიო კი ეტყობა, ფიქრობს: „რა გაეწყობა!“ დონ ავიტო თავს ეკითხება: „მაინც სად დადის ეს ბიჭი?“ მარინა კი არაფერსაც არ ამბობს.

და ეს ღამეები, ეს ზამთრის ღამეები! ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი ირგვლივ ყველაფერს წითლად აფერადებს, მაშასაც, საბერველსაც. კლარიტა აბრიალებული ცეცხლის პირას ზის, კაბის კალთები აუკეცია, რომ არ დაეწვას და პაწაწა ფეხები მოუჩანს. ცეცხლის შუქზე სახე სათბურის გარგარივით ულვივის, ტკბილი, მწიფე, ნაზკანიანი გარგარივით. თვალები კი, თვალები, ეს თვალები სულ ასე უზრუნველად უნდა იმზირებოდნენ. ოჰ, რა მხეცია! რა მშვენიერი, შინაური მხეცია ეს გოგონა! ნამდვილი ზანტი კატა, კრუტუნა, ალერსიანი, წყნარი... მაგრამ როცა ლაპარაკობს, რა მომ-

ხიბლავ სისულელეებს ამბობს ხოლმე! განსაკუთრებით მაშინ, როცა დერეფანში რამდენიმე წუთით შეხვდებიან ერთმანეთს და ორიოდე სიტყვის თქმას ძლივს ასწრებენ!

— დღეს დაგინახე, აპოლოდორო!

„დღეს დამინახა! მან დამინახა მე დღეს! მაინც რა [illegible] ეფლის ანგელოზი! დღეს დამინახა, დამინახა, დამინახა ამ თავისი [illegible] თვალებით, დღეს ამ თვალებში რომ ჩავიხედე, ჩემი თავი დავინახე, ამ სუფთა და უბიწო თვალებში სულ პაწაწინა კი ვჩანდი, მოკუნტული და თანაც თავდაყირა!“ შინ რომ მიდის, თავისთვის ამბობს: „მაინც ვერ გამოვიჩინე საკმაო სინაზე, ვერც ის ვუთხარი, რისი თქმაც მინდოდა... დავბრუნდები და... დავბრუნდები და.. დავბრუნდები და ვეტყვი... ხვალ!.. ხვალ!“.. და ეს ხვალ დგება ყოველდღე და მთელი მისი გამოუთქმელი სინაზე მხოლოდ ამ ბავშვურ ტიკტიკში და დუმილში ლღვება.

ემილიო თავის მხრივ მფარველის როლს დაიჩემებს და ისე ექცევა დას, თითქოს უნდა უთხრას: „ფრთხილად, ეგ შენი საიდუმლო მეც ვიცი!“ მაგრამ თან იმასაც ფიქრობს, აქედან რა სიკეთე გამოვაო, თან არასერიოზულად ეჩვენება, რომ არაოფიციალურად ხდება რაღაც, იქნება მშობლებს ვუთხრაო, თორემ კიბეებზე და დერეფანში ჩურჩული რაღაც არ ეპიტნავება, მაინც რა სულელები არიან ეს შეყვარებულები, მართლაც რომ ლაწირაკები!

„ნეტავი რას მოასწავებს ეს? რა ხდება ჩემი ბიჭის თავს? — ფიქრობს დონ ავიტო; — ველარა ვცნობ... ავად ხომ არ არის? იქნება ფსიქიკა მოეშალა ანდა სენესტეზია დაერღვა? ეგებ გარდატეხის ასაკის გამოა ანდა სულაც სოლიტერები ჰყავს? ვაითუ მონომანია დაემართა! არც ის იქნება გასაკვირი, რომ გენიალობის ინკუბაციის პერიოდი დადგა ან სულაც მეტადრამატული მომენტი, თავისუფლების წუთი და საცაა ნათავისარსაც გააცხადებს! ხომ შეიძლება სულაც სიყვარულის დაკონკრეტების დრომაც მოაწია!“ თავისი ეშმა კი ისევ ისე ეჩურჩულება: „შენ დაეცი, დაეცი და რაკი შენ დაეცი, ისიც დაეცემა, კიდევ დაეცემა და ყველანი დაეცემით!“

აპოლოდორო მხოლოდ ღამე, თავის ლოგინში გრძნობს როგორ ევსება სხეული, თითქოს ფუვდება და აღარაფერში ეტევა, მაგრამ ამავე დროს მისი სულიერი ჰორიზონტები თანდათან შორს და შორს მიიწევს, რაღაც უსაზღვრობის სივრცეში ინთქმება, მასში ილვიძებს ადამიანური სიმღერა, მისი ცნობიერების სიღრმეში მისივე წინაპრები, უკვე გარდაცვლილი პაპები და პაპისპაპები ტკბილ იავნანას უმღერიან თავიანთ მომავალ, ჯერ არდაბადებულ შვილიშვილებს. სიყვარულში იხსნება მარადისობა, სამყარო მის თვალში იძენს აზრს, გული პოულობს თავის გზას და უთავბოლოდ აღარ დაეხეტება მინდორ-ველად. ცხოვრების ხმაური ერთ მწყობრ მელოდიად გარდაიქმნება; ფიქრობს და უკვე ესმის კიდეც, რომ თუ სინთეტიკურ მსჯელობას მიჰყვება და კანტის აპრიორული ფორმებით იხელმძღვანელებს, მაშინ ერთადერთ სინთეტიკურ მსჯელობად, შინაგან ძალად, გარეგანი ქაოსის მომწესრიგებლად სიყვარული გვესახება... იგი ეხება საგანთა სუბსტანციურობას და სულიერ აღქმასაც აადვილებს, სამყარო უკვე იძენს მოცულობითობას, სიმყარეს და ივსება რეალური შინაარსით. ეს არის ერთადერთი, რასაც არ სჭირდება მტკიცება და, რაც თავისთავად უკვე ცხადია, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, არც კი ექვემდებარება მტკიცებას. ეს [illegible] ‘[illegible]’ არ [illegible] თეატრი, რაც უნდა ის თქვას დონ ფულ-

ხენსიომ. სცენაზე შემოიჭრება უსასრულობის ქარაშოტი უსაზღვრო და იდუმალი რეალურობისა და გარს შემოევლება ამ თეატრს.

და რა სინათლე, რა სინათლე აკიაფდება მის გულში, რა სინათლე ეფინება მის კერას! კერას? „საბრალო მამა! — უჩურჩულებს თავისი საკუთარი ეშმა და მის კერას სულ სხვა მხრიდან დაანახვებს „საბრალო დედა!“ რატომ, რატომ ხდება ეს? დღეს, როცა მისი საბრალო, ძვირფასი დედა მოეხვია, მკლავები შემოაჭდო და აკოცა, რატომ უთხრა ცრემლნარევი ხმით: „ლუის, ჩემო ლუის, ჩემო ლუის, ლუის!“ ეს რაღაც უჩვეულო კოცნა იყო, ისეთი არალოგიკური, აუხსნელი, უმიზეზო კოცნა, რომ დედასავით, მასაც ცრემლები მოერია.

— ოჰ, მამაშენი! — წამოიძახა შეშინებულმა მატერიამ, როგორც კი ნაბიჯების ხმა შემოესმა.

და იმავე წუთს შემოდის კიდეც დონ ავიტო და ამცნობს:

— ამბობენ, რომელიღაც ქარხნის ინჟინერს აღმოუჩენია კუთხის სამ ნაწილად დაყოფის...

იმ ღამეს აპოლოდორო იგრძნობს და ძალზე გაუკვირდება, რომ ბავშვობაში დედამ რომ ლოცვები ასწავლა, ახლა თითქოს თავს დასტრიალებს და თავისი ნაზი ფრთებით მის ბაგესაც ელამუნება, და მაშინ „საბრალო მამა!“ წაიჩურჩულებს გონებაში, ხოლო ტუჩებით წარმოთქვამს „მამაო ჩვენოს“.

იგი დედაზეც ფიქრობს. და როცა ფიქრობს, მის სულში იღვიძებს სიბრალული. ღამის მდუმარებაში ესმის დაბალი, დაბალი, ძალიან დაბალი, ძლივს გასაგონი ხმა, და ესმის თავისი საკუთარი ეშმა რომ ეჩურჩულება: „ვერ შეამჩნიე, როგორ ჰგავს კლარიტა დედაშენს?“

XI

მოდის სიყვარული და თან მოჰყვება დიდი სევდა! აპოლოდორო ისე აღიქვამს ამ ცხოვრებას, თითქოს ერთიანად ითქვიფებოდეს არარაობაში და მარტო იმასღა ნატრობს, რა იქნებოდა, კლარიტას მკლავებში სამუდამოდ დამაძინაო.

მდინარისკენ გაუყვება გზას, სანაპიროზე გავისეირნებო, ფიქრობს. თეთრ ალვისხეებს ცოცხალი ფანტელებივით სცვივა ბუსუსიანი თესლი, უეცრად ხედავს სანაპიროზე ხალხი ირევა, რაღაცას მისჩერებიან. წყალს დამხრჩვალი კაცის გვამი მოაქვს, საცოდავს მსუბუქად მოაქანებს ტალღები და ასე გეგონებათ, სძინავსო; ზევიდან კი ალვის ხის მოფარფატე თესლი აცვივა.

„ცოცხალი ადამიანი იძირება, მკვდარი ტივტივებს, — ფიქრობს აპოლოდორო, მამის სისხლი უმალ არქიმედეს კანონს გაახსენებს და თავისთვის მსჯელობს — ახლა იგი წყალზე უფრო მსუბუქია... მისი კუთრი წონა ნულზე დაბალია, ცოცხალი კი წყალზე უფრო მძიმე იყო და მისი კუთრი წონაც ნულს ზემოთ იქნებოდა... მაშასადამე, სიცოცხლე მძიმეა, სიკვდილი — მსუბუქი... იძინე!.. იძინე!“..

და წაიყვანს ბავშვებს,
ვისაც ცოტა სძინავს...

საბრალო დედა!.. „რამდენჯერ უნდა გითხრა, მარინა, ამოსთანა სისულელეებს ნუ უმღერი-მეთქი, რატომ ატყუებ ამ შენი ბუათი!“ — ეს სიტყვები მამას ეკუთვნის. მუსიკა, მუსიკა — დედას და ეს მუსიკა ასე ჟღერს: ცხოვრება... სიზმარი... სიკვდილი... სიკვდილი... სიზმარი..., ცხოვრება... ცხოვრება... სიზმარი... სიკვდილი... სიკვდილი... სიზმარი... ცხოვრება.

„ხომ შეიძლება ეს მოფარფატე თესლები, მიცვალებულს რომ აცვივა, ზედვე გაღივდეს და მერე ასე გადამწვანებულმა მოტივტივე კუნძულივით იცუროს და იცუროს ოკეანეში? უნივერსალური ციკლურობა!.. ყოველი ცოცხალი არსება კვერცხიდან ჩნდება... არარასაგან არაფერი არ ჩნდება. ცხოვრების ციკლი... მატერიისა და ენერგიის გარდაქმნა... ენერგიის შენახვის კანონი...

იძინე, პაწაწავ, იძინე,
თორემ ბუა მოვა...

შეუცნობელი... მიუღწეველი...“

— არცთუ ესთეტური სანახაობაა.

აპოლო მოტრიალდება და პირდაპირ ფედერიკოს კი შეეფეთება. ძლივს მალავს წყენას, რადგან ამ ფედერიკოს გვერდით ყოველთვის მოუსვენრობა იპყრობს, სულ შფოთავს, თუმცა ის ერთთავად იღიმება, მაგრამ ეს ხომ ნამდვილი ნიღბის ღიმილია.

— აქ საიდან გაჩნდით, ფედერიკო, თქვენდა ქალაქგარეთ?!

— ჰმ! სტუმრად ვიყავი და მერე აქეთაც გამოვიარე... ისე კი, საერთოდ, ხანდახან ესეც საჭიროა, აქაურობას რომ გადახედავ, მერე უფრო კარგად გაიგებ ქალაქის ფასს, მის განუმეორებელ ხიბლს, გონიერი კაცის ამ ერთადერთ საყუდარს, რამეთუ სოფელი მხოლოდ ადამიანად წოდებული ცხოველების სამყოფელია.

აპოლოდორო ცდილობს როგორმე თვალი მოარიდოს წითელ ჟიკჟიკა ჰალსტუხს, ლამის საყელოდან რომ ამოუფრიალდეს.

— ეტყობა, მელანქოლიით იყო შეპყრობილი... — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკებს აპოლოდორო, — ანდა მონომანია... შეიძლება სულაც დევნის მანიაც...

— არა, — შეეპასუხება ფედერიკო, — უფრო იმ კაცსა ჰგავს, ვისაც სიკვდილისა ეშინია.

— როგორ?

— როგორ და, უბრალოდ, ეტყობა, სიკვდილს დანებდა, ეჭვიც არ მეპარება სიკვდილი სძულდა. განა ასე არ ნებდება ხოლმე ზოგიერთი მამაკაციც ქალს?

— პარადოქსებია!

— შეიძლება! მაგრამ თავს მარტო ის იკლავს, ვისაც სიკვდილი სძულს, ხოლო მელანქოლიით შეპყრობილები, რომელთაც უყვართ სიკვდილი, კარგა ხანს ცოცხლობენ, რომ მისი მოლოდინით დატკბნენ. ასე რომ, რაც უფრო მეტ ხანს იცოცხლებენ, ესე იგი, რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება მათი ლოდინი, მით უფრო მეტ ტკბობას განიცდიან, მელანქოლიით

შეპყრობილი ადამიანი ყველაზე მეტად და ყველაზე უწინ სენსუალურია... დასწყევლოს ეშმაკმა, ეს რა ბოროტებაა!

— რა არის ბოროტება? — და აპოლოდოროც მიტრიალდება.

ახალგაზრდა კაცს ხელკავით მოჰყავს ქალიშვილი, რომელიც მსუბუქად დანდობია მის მკლავს და თვალებში შესციცინებს.

— რა მშვენიერი იყო ეს ქალიშვილი! — შესძახებს ფედერიკო�eta

— ახლაც მშვენიერია!

— არა, ახლა უკვე არა, ადრინდელი ქალწულებრივი ყვავილის კვირტის უბინოება აღარ შერჩენია... ამ ბარბაროსს გაუნაყოფიერებია... ერთი მის წელს შეხედეთ! აი, რატომ ვთქვი, რა დანაშაულია-მეთქი, ამ დანაშაულისთვის კი მის ქმარს სასჯელი ეკუთვნის...

— თუკი მისი ქმარია!..

— დანაშაულიც სწორედ ესაა, გეუბნებით... არ გვერჩივნა ვესტალები აღგვედგინა და რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეკმიათ საკმელი საკურთხეველზე... ბარბაროსი!..

— ეგებ კარგი პიროვნებაა!..

— ყოველი მამაკაცი, რომელიც ლამაზ ქალს დაეუფლება და დაეპატრონება, მხეცია. ლამაზი ქალი უნდა იყოს არ შემეხოთ! ანდა, როგორც მდაბიორები იტყვიან, „მიყურე და ხელს ნუ მახლებო!"; სილამაზე მარტო თვალს უნდა აამებდეს.

— მგონი, ადრე ასე არ ფიქრობდით.

— სამიოდე დღის წინ რომ ვთქვი, იმაზე მეუბნებით, არა? მართალია! წარმოიდგინეთ, იდეებიც იმდენ ხანს ძლებენ, რამდენსაც ჰალსტუხები, ან ცვდებიან, ან მოდიდან გადადიან.

აპოლოდოროს კი ვერა და ვერ მოუწყვეტია თვალი მისი ჟიკჟიკა ჰალსტუხისთვის.

— ამას წინათ ბოლოს და ბოლოს გავიცანი მამათქვენი, დონ ავიტო. საინტერესო პიროვნებაა. ასეთი მამა ნამდვილად ბედნიერებაა.

აპოლოდოროს ყელში ბურთი აწვება, ერთი სურვილი აქვს — მოაგლიჯოს ეს ჰალსტუხი და პირდაპირ მდინარეში გადაუძახოს.

— მისი პედაგოგიური კონცეფციები ნამდვილად არაფრით ჩამოუვარდება მის ოპონენტთა კონცეფციებს... პედაგოგიკა ხომ ჯერ არ შეუტანიათ ნამდვილი ექსპერიმენტული კვლევის სფეროში, მაგრამ ვხედავ, ბატონი მამათქვენი მაინც აპირებს ცდას...

და რაკი აპოლოდორო არც პასუხობს, ფედერიკო მოულოდნელად ეუბნება:

— მაშასადამე, ჩვენ გვიყვარს კლარიტა?

— გვიყვარს? — ეკითხება აპოლოდორო, რადგან შეამჩნევს, რომ ფედერიკო ამ სიტყვას განსაკუთრებით გამოყოფს.

— დიახ, გვიყვარს!

— მერე, რას ნიშნავს ეგ გვიყვარს?..

— რას და, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აწმყო დროის თხრობით კილოს, ან როგორც ამბობენ ხოლმე „მე"-ს მრავლობით რიცხვს, მაგრამ ერთი კია, რატომ „მე" მრავლობით რიცხვში და არა „შენ", როცა თქვენა მყავხართ მხედველობაში! ასე რომ, ამ სიტყვაში უნდა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ „შენ", არამედ „მეც"...

— მაინც ორივე „მეები" გამოვდივართ...

— ამავე დროს კი „შენებიც“...

— რასაკვირველია.

— მაშასადამე, თუკი ერთის მხრით თქვენ ხართ მე და ამავე დროს ვარ მეც, მაშინ მეორეს მხრით, თქვენა ხართ „შენ“, მე კი მეორე „შენ“; ერთი სიტყვით, „მე“ და „შენ“ ერთი და იმავე დროს ვართ — „მეც“ და „შენც“. კარგად უთქვამს ფილოსოფოსს, ყველაფერი ერთი და იგივეაო. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ ორივეს გვიყვარს კლარიტა.

— გვიყვარს?

— დიახ, თქვენც გიყვართ და მეც!

— თქვენც?

— დიახ, მეც.

— თქვენ?!

— დიახ, მეც და ყველაფერი ცხადზე ცხადია, ჩემო მეგობარო კარასკალ, თქვენც გიყვართ იგი და მეც მიყვარს, ესე იგი, მასზე ორი კაცია შეყვარებული და ამ ორში ერთი უნდა ამოირჩიოს მან!..

— მაგრამ...

— ასეა, ჩემო მეგობარო, ასე, მე სულაც არ ვაპირებ თქვენთან კამათს იმის თაობაზე, თუ რომელმა ჩვენგანმა მოინადირა პირველად მისი გული, ანდა რომელია პრეტენდენტის უფლების მაძიებელი, მეც, ისევე როგორც თქვენ, მაქვს იმედი, რომ გავიმარჯვებ. მარტივი კონკურენციის საკითხია!

— საქმე ისაა...

— დიახ, საქმე ისაა, რომ თქვენ არაფერზე შეთანხმებულხართ და თუმცა კი რაღაც ურთიერთობები მაინც გაქვთ, ვერ გამიგია, რატომ არ უნდა ვცადო და არ ჩაგიშალოთ ეგ ურთიერთობები...

— ნუთუ თქვენ ასეთი აზრი გაქვთ მასზე?

— მართალი გითხრათ, თქვენ მე კარგი სამსახურიც კი გამიწიეთ, როცა ნიადაგი შემიმზადეთ, რადგან კლარიტას თქვენ გაუღვიძეთ სურვილი, გაეჩინა საქმრო, ასე რომ, შემიძლია, ასე ვთქვათ, ჩემს წინამორბედადაც კი ჩაგთვალოთ...

— კარგი, მაგრამ თქვენ ხომ არ მოგწონთ, ქალი რომ სილამაზეს კარგავს, როცა აქამდე მივა ხოლმე საქმე მაინც?.. — უცბად ეკითხება აპოლოდორო, თითქოს ამ აზრმა იმ წუთში გაუელვაო.

— ეეჰ! ლამაზი ქალიშვილის პატივისცემასა თუ სხვა ასეთ ვალდებულებებს სხვებს ვაკისრებთ და არა საკუთარ თავს...

„რატომ არ გავაწნავ სილას? — ფიქრობს აპოლოდორო, — უნდა გავაწნა... მაგრამ რისთვის? რისთვის? მამაჩემს რომ ჰკითხო, არ არსებობს არც „რისთვის“ და არც „რატომ“, არსებობს მხოლოდ „როგორ“... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მაშინ „როგორ“ გავაწნა?

— მაშ ასე, მეგობარო აპოლოდორო, შევთანხმდეთ, რომ ჩვენ ორს გვიყვარს ერთი და იმ ერთმა უნდა ამოირჩიოს ჩვენ ორში ერთი...

„ნეტავი ამ კაცს ვინა ვგონივარ?“

— კეთილი, დაე, თვითონ გადაწყვიტოს...

— რასაკვირველია, ეს ყველაფერი უნდა მოხდეს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, უნდა მივცეთ არჩევის სრული თავისუფლება. სხვათა შორის, თუკი ის მიგატოვებთ თქვენ, ესე იგი, მე ამომირჩევს, ცხადია, არც გული უნდა დაგწყდეთ და არც განიცადოთ, რადგან საცოლე, რომე-

ლიც ასე ადვილად მიატოვებს საქმროს, როცა სხვას შეხვდება... რა დაგემართათ, ასე რამ ჩაგაფიქრათ, ჩემო მეგობარო კარასკალ?

— ჰო, მართლა, რას ამბობდით?

— იცით, რას გეტყვით, ამდენი რამ გასწავლათ მამათქვენმა და დაავიწყდა აღზრდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აღზრდა?

— დიახ, აღზრდა! არ იცით, რას ნიშნავს, კარგი აღზრდა?

— მეცნიერებათა გენეტიკურ კლასიფიკაციაში არ შედის და...

— კარგი ხუმარა ყოფილხართ!

— ხუმარაო? ეგ რაღას ნიშნავს?

— ამის მერეც განაცხადებთ კლარიტაზე პრეტენზიებს?

„ნეტავი რატომ არ გავარტყამ?.. რისთვის არ გავარტყამ?.. როგორ არ გავარტყამ?..“ — და ამასობაში ქალაქშიც შედიან.

— ერთი სიტყვით, შევთანხმდეთ, ორივე უნდა წარვსდგეთ მისი სამსჯავროს წინაშე და მან თავად გადაწყვიტოს ჩვენი ბედი, ასე ხომ? ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს როგორც კეთილ მეგობრებს შეეფერებათ...

●

ეს რა უსუსურობაა! რამოდენა უსუსურობა! ერთი სურვილიღა დარჩა, ნეტავი სულ ერთიანად გავქრებოდე ამ ჩემი მეცნიერებიანად და ყველაფრიანად თუკი რამ თავში დამიგროვებია! „მერე, როცა მოვკვდები, და ჩემი ტვინი მიწას შეერევა, ეს ჩემი მეცნიერება ვილას დარჩება? რა ფორმით იარსებებს? თუ არაფერი იკარგება და ყველაფერი გარდაისახება... ძალთა ეკვივალენტურობა... ენეერგიის დაგროვების კანონი... ოოჰ, კლარიტა, ჩემო კლარიტა! ეს რა ცხოვრებაა, უწმინდესო ქალწულო, ეს რა სამყაროა! რისთვისაა ან რა საჭიროა ეს ყველაფერი? ოჰ, ეს ფედერიკო, ეს ფედერიკო. ეგებ ჩემი აბუჩად აგდება უნდოდა? ვაითუ თავისი სიტყვა მაინც გაიტანოს და კლარიტას გულის მონადირება სცადოს? მაგრამ მე ის არ მიმატოვებს, ვერ მიმატოვებს, არ უნდა მიმატოვოს, არ ისურვებს ჩემს მიტოვებას... მაგრამ ვუყვარვარ კი? ნეტავი, რა გზითა და საშუალებით შეიძლება გაიგოს კაცმა, უყვარს თუ არა იგი ქალს? ნამდვილად უყვარს თუ არა ქალს? ნეტავი ვუყვარვარ კლარიტას? ეს ფედერიკოც... ოჰ, ეს ფედერიკო...“

— ლუის, ჩემო ლუის...

— რაო, დედა!

— ვნახე, გავიცანი, ლუის, გავიცანი... მომეწონა...

— მოგეწონა?

— ჰო, ლუის, მომეწონა... მამაშენი მოდის, აპოლოდორო!

და აპოლოდოროც გადის. სამუშაო აქვს, დიდ მოთხრობას თუ პატარა რომანს წერს, სანტიმენტალურს თუ პოეტურს და თავაუღებლად მუშაობს, მაინც მამის სურვილის წინააღმდეგ მიდის, ახლა სწორედ შემოქმედებით წვას განიცდის, ლიტერატურაში სცდის ბედს, ლიტერატორი უნდა გახდეს, ნამდვილი ლიტერატორი, მოაზროვნე კი არა, ანდა ფილოსოფოსი, ან სოციოლოგი, არამედ პოეტი, ოლონდ პოეტი პროზაში; და ახლა როცა სწორედ სიყვარულის სევდაზე წერს, უნდა მეტისმეტად დახვეწოს და მთლად გააპრიალოს ფორმა, მოსასმენად საამო და ტკბილი რომ იყოს,

ფსიქოლოგიურ დასკვნებსაც დახვეწა სჭირდება, ამისთვის გრძნობების გაანალიზებასაც ცდილობს, და როცა მიჯნურთან პაემანზე მიისწრაფის, ყოველთვის გარკვეული მიზანი ამოძრავებს. მხატვრული ჩანაფიქრი უპირველესად; ახლა საკუთარ სიყვარულსაც კი ლიტერატურის სამსახურში ჩააყენებს და საკუთარ თავშივე შექმნის თეატრს, საკუთარ თავსაც დაუკვირდება და შეისწავლის, თან საკუთარ სიყვარულსაც გააანალიზებს.

„იმიტომ, რომ... მოდი ვნახოთ! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა კლარიტასთან ყოფნა მოსაწყენი არ არის? რა სისულელეზე მელაპარაკება ხოლმე! ნეტავ თავში თუ უყრია რამე იმ საბრალოს! სისულელისა და უხამსობის მეტს ხომ ვერაფერს გაიგებს კაცი მისგან! მე ისე, უბრალოდ მიყვარს, ინერციით, ჩვევის გამო; მე ვარ სიყვარულის მსხვერპლი. ყველაფერი ეს მშვენივრად კი ვიცი, მაგრამ მის გვერდით მავიწყდება, აღარაფერი მახსოვს, ველარც ვაზროვნებ. ახლა მის სილამაზეზეც ვთქვათ, ვითომ ლამაზია? მაგისთანა რამდენიც გინდა, იმდენი დადის... თუმცა, არა, მაინც ლამაზია! ან ეგებ უბრალოდ თვალი შეეჩვია?..“

XII

ნეტავი ასე უგუნებოდ რატომაა დღეს კლარიტა? რა ხდება მის თავს ისეთი, რომ ასეა დაბნეული? რასაც აპოლოდორო ეკითხება, იმაზე კი არ პასუხობს, არამედ იმაზე, რაც მას უნდოდა, რომ ეკითხა, თუმცა კი ეს სუფთა ქალური თვისებაა, მაგრამ აქამდე რატომ არ შეუმჩნევია? იგი ფედერიკოს ხსენებას ერიდება, არ უნდა მიახვედროს, რაღაც ეჭვები რომ გაუჩნდა. თავად დონ ეპიფანიოც თითქოს პირს არიდებს და ადრინდებულად მეგობრულად აღარ ელაპარაკება. ალბათ საჭიროა უფრო მიეფეროს.

— შენ ხარ ნამდვილი პედაგოგიკა, ჩემი ცოცხალი პედაგოგიკა, ჩემი პედაგოგიკა! — და მიუახლოვდება.

— ასეთ საზიზღარ სახელებს ნუ მეძახი...

— მართალი ხარ, კლარა, ჩემო კლარა, კლარიტა!

დუმილი. „მაგრამ ფედერიკო...“ — ფიქრობს აპოლოდორო და ამ დროს პირდაპირ ისარივით წამოვა კითხვა:

— წირვაზე დადიხარ, აპოლოდორო?

— როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, კლარიტა... — და ამას რომ ამბობს, მაშინვე შავი ლრუბელივით დააწვება მის სინდისს მამამისისა და დონ ფულხენსიოს ხატება.

— როგორც მე გეტყვი კი არა... როგორც მე გეტყვი კი არა... დადიხარ?

— არა, არ დავდივარ, მაგრამ ვივლი, — და ისევ ფიქრობს: „ოღონდ კი ეს ფედერიკო ჩამომეცლებოდეს გზიდან და...“

— ლოცულობ ხოლმე თუ არა დილასა და საღამოს, ძილის წინ?

— ვილოცებ...

— თუმცა დედაშენი...

— დედაჩემი ჩვენს სახლში არაფერს ნიშნავს...

— დონ მარტინთან უნდა წახვიდე აღსარებაზე... მე არ მინდა იუდეველი...

— მაგრამ მე ხომ...

— მაგრამ ის, რომ მე იუდეველი არ მინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, კლარიტა, მაგრამ მომისმინე...
— წახვალ თუ არა დონ მარტინთან?
— რისთვის, რომ მომაქციოს?
— წახვალ თუ არა დონ მარტინთან?
— კარგი, მაგრამ, რისთვის?
— წახვალ-მეთქი თუ არა დონ მარტინთან?

„რა ირრაციონალურები არიან ეს ქალები!" — ფიქრობს აპოლოდორო, ხმამაღლა კი ამბობს:

— წავალ და მოვინახულებ დონ მარტინს.
— ესე იგი, წახვალ დონ მარტინთან!
— ჰო, ჩემო გოგონავ, წავალ.
— კარგი, ახლა კი მიყვარხარ.
— ახლა კი გიყვარვარ? მე გიყვარვარ? შენ თქვი, მიყვარხარო? მე გიყვარვარ? თვალებს ნუ მარიდებ, მოდი, კლარიტა, მითხარი, გიყვარვარ?
— ხომ იცი...
— არა, არ ვიცი, გიყვარვარ?
— გეყოფა, ამისთანა რამეებს არ ეკითხებიან.
— როგორ არ ეკითხებიან, ეკითხებიან! ხომ დაგპირდი, იმ დონ მარტინთანაც წავალ-მეთქი, ახლა მითხარი, გიყვარვარ?
— ჰო, კარგი, ჰო!

„ჰო, კარგი... ეს „ჰო, კარგი"... და ეს ფედერიკოც... ეს ფედერიკოც..."

დაშორდება თუ არა კლარიტა აპოლოდოროს, მაშინვე იწყებს ფიქრს, თანაც სრულიად გულწრფელად, რომ ფედერიკოს უპასუხოს და თან ასე მსჯელობს: „ეს ყმაწვილი უფრო მომწონს და თანაც პირდაპირ და გარკვევით მისვამს კითხვას; მას უნდა, რომ აპოლოდორო მივატოვო და თვითონ გახდეს ჩემი საქმრო. აპოლოდორო, საბრალო, რა კეთილია და რა უიღბლო! მერე როგორ ვუყვარვარ! მე კი მიყვარს? მაინც რა არის ასეთი ეს სიყვარული? ნეტავი რა არის ასეთი, რასაც სიყვარულს ეძახიან? არა, ეს ნამდვილად კარგი საქციელი არ იქნება, როგორ მივატოვო, როცა უკვე მივიღე მისი წინადადება? თუმცა რა მოხდა ასეთი, განა კაცები არ ტოვებენ ქალებს თუ უკეთესს გადაეყრებიან? ჩვენ რიღათი ვართ მათზე ნაკლები? ვთქვათ და, ეს მეორე უფრო მომწონს! მამაჩემმაც თითქოს გული აიყარა აპოლოდოროზე, რატომღაც ახირებულ კაცად მიაჩნია, მაგრამ.. რა კეთილია და რა უიღბლო! თან როგორ ვუყვარვარ! ფედერიკო უფრო ელეგანტურია, უფრო ფხიანი და თან უცნაურობებიც არაფერი ეტყობა, უფრო... ბოლოს და ბოლოს, მომშორდნენ თავიდან, თვითონვე მორიგდნენ ერთმანეთში. ფედერიკოს ჰოსაც ვეტყვი და არასაც, ვითომ სიტყვა მაქვს მიცემული და ახლა პირის გატეხვა არ მინდა, სირცხვილია-მეთქი. არც ძალიან დავაიმედებ და არც უარით გავისტუმრებ. რაც უნდათ, ისა ქნან, გინდა იჩხუბონ კიდეც და მერე ვნახოთ, ვინც გაიმარჯვებს... რალა თქმა უნდა, ფედერიკო აჯობებს... უფრო კაცური მგონია"... — და მართლაც, ფედერიკოს ისეთ პასუხს მისცემს, რომ იმედი არ გადაეწუროს.

ამ დროს კი საბრალო აპოლოდოროს სულ სხვა აზრი უტრიალებს თავში, ოღონდ კი მისი გული მოინადიროს და თავაუღებლად მუშაობს იმ თავის პატარა რომანზე, სახელი უნდა მოიხვეჭოს მისთვის და მის გამო. საათობით ზის და ფიქრობს, მერე ადგება სასოწარკვეთილი და იტყვის:

„ჩემგან არასოდეს არაფერი გამოვა“. და როდესაც თავისი ოთახიდან გამოდის, ხედავს მდუმარე ლანდივით მოფარფატე დედას, ესმის მისი ოხვრა და ხედავს გაქვავებულ გულგრილობას მის თვალებში.

ამ სალამოს კი ნამდვილად წავალ და იმ სცენას გავითამაშებ, ახლა რომ მჭირდება წიგნისთვის, იმ სცენას, სადაც მისი აღწერა არ გამომდის... კარგად გავიგე, რომ საცოლე სხვა ყველაფერთან ერთად, ლიტერატურული ექსპერიმენტის დიდებულ მოდელადაც შეიძლება გამოიყენო. მენაგუტი გონიერი კაცია, ყველაზე დიდი პოეტური ქმნილებანი დიდი სიყვარულითაა შთაგონებული, მდაბიური სიყვარული კი მარტო ბავშვების გაჩენით მთავრდება. გმირული სიყვარულითაა ნაკარნახევი ყველაზე დიდი პოემები, სურათები და სიმფონიები. ვნახოთ, რა მოხდება ამ სალამოს.

და ეს სალამოც დადგება, აპოლოდორო უკვე დერეფანშივე გრძნობს უჩვეულო გამბედაობას, თავისი პატარა რომანი წინ მიაქანებს, ფედერიკოს ლანდი კი ზურგიდან უბიძგებს. გული გამალებით უცემს, თავში სისხლი აწვება, პირდაპირ სტაცებს ხელს კლარიტას, გულში ჩაიკრავს და არც ის უწევს წინააღმდეგობას, ამიტომ გაიფიქრებს: — „გავიმარჯვე, მაშასადამე, კაცი ვარ!“

— გიყვარვარ?

— შენ თვითონ ხომ იცი, ახლა გამიშვი... გამიშვი...

ის კი გულში იკრავს და ათრთოლებული ეკითხება:

— „შენ თვითონ იცი“ პასუხი არაა, გიყვარვარ?

ქალიშვილს წამოსცდება „ჰო“.

— ჰო და მეტი არაფერი?

— მეტი რა გინდა გითხრა? ახლა გამიშვი, გამიშვი...

აპოლოდორო თვალებში ჩახედავს, მაგრამ ქალიშვილი მაშინვე დახუჭავს, შეეშინდება, არ გამცენო. ყმაწვილი კოცნის, კლარიტა კანკალებს, მაგრამ მერე როცა თვალებს უკოცნის, იმ დროს შესძახებს:

— ვაიმე, მამაჩემი!

და მაშინვე გაშორდებიან ერთმანეთს.

„საბრალო, საბრალო! როგორ ვუყვარვარ! მართლა დაიჯერა, რომ მამაჩემი მოდიოდა!“

აპოლოდორო კი თავისთვის ფიქრობს: „ექსპერიმენტმა შედეგი არ გამოიღო, არა, არ გამოიღო შედეგი, როგორც მინდოდა, ისე მაინც არ გამომივიდა, ალბათ გამეორება მომიწევს“.

როდესაც დონ ეპიფანიო მართლა გამოჩნდება, ქალიშვილს ცალკე გაიხმობს, ისიც მაშინვე გაჰყვება გულისკანკალით და მამა ეუბნება:

— მომისმინე, შვილო, თქვენ-თქვენი საქმე თვითონ კი იცით, მაგრამ ყველაფერს აქვს თავი და ბოლო. გიმეორებ, შენი საქმისა თვითონ იცი, მაგრამ თამაშის დრო ამ ასაკში აღარა გაქვს, თუ სხვა რამ გიდევს გულში, არ გინდა, კარგად დაფიქრდი. არც ერთი არ არის ურიგო ყმაწვილი, მაგრამ ალბათ ერთი მათგანი მაინც უკეთესია... ეს ცოტა უცნაური მეჩვენება... თუმცა შენ თვითონ ხედავ, კლარა, შენ თვითონ ხედავ, ამიტომ შენი გადასაწყვეტია და დროზე გადაწყვიტე, თორემ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ერთბაშად გადაწყვიტე და პატიოსნად გადაწყვიტე, იცოდე.

— მაგრამ...

— მაგრამ ის, რომ ეს შენი საქმეა-მეთქი და შენვე უნდა გადაწყვი-

ტო. ნურავის ნურაფერს ათქმევინებ! — ასე დაამთავრებს თავის სათქმელს და გადის.

ქალიშვილს ცრემლი წასკდება, ძალიან კი შერცხვება, ნუთუ ბარბალა ასეთი ქარაფშუტა ჰგონიათ? ამ დროს შემოდის დედა და აცრემლებულ კლარიტას ასე ანუგეშებს:

— აბა დაწყნარდი, სულელო, რა გატირებს, ეს ყველაფერი ტრაბახია და არა ღირს. შენც ადექი და ერთბაშად გადაწყვიტე. როგორ გგონია, სხვას არა ჰქონია ასეთივე ძნელი წუთები? მამაშენის გულისთვის უარით გავისტუმრე სამთო ინსტიტუტის სტუდენტი, მაგრამ არც იმას და არც მე არაფერი დაგვმარცხნია. დონ ავიტოს შვილიც...

— მაგრამ, დედა...

— ჰო, ჰო, გასაგებია, და ბუნებრივიცაა, მაგრამ შენც უნდა იფიქრო რალაც-რალაცებზე...

— საქმე ისაა...

— მერე რა! შენ ხომ არც გიყვარს, თან ცოტაც დაიბენი, სიყვარული, სიყვარული... ჩვენ ყველას გვიყვარს ერთმანეთი და ბუნებრივიცაა, მოყვასი უნდა გიყვარდეს, ბოლოს და ბოლოს მოყვასია, მაგრამ სიყვარული, ის, რასაც სიყვარულს ეძახიან, რომ იცოდე, მაშინ მოდის, როცა კარგა ხნის გათხოვილი ხარ და უკვე ალარც ელოდები.

კლარიტა სახეზე ხელებს აიფარებს და ატირდება, რცხვენია და ტირის, ან სულაც არ იცის, რა ატირებს. მერე თავს ასწევს და ამბობს: „კარგი!" და გადაწყვეტს, იმავე საღამოს დაუნიშნოს ფედერიკოს პირველი პაემანი.

სწორედ იმავე საღამოს ესტუმრება დონ ავიტოც ეპიფანიოს. მისალმების შემდეგ კარასკალი გადაუხდის აპოლოდოროს გაკვეთილების ბოლო თვის საფასურს.

— მინდა გაცნობოთ, დონ ეპიფანიო, რომ ჩემი ვაჟიშვილი ველარ ივლის თქვენს გაკვეთილებზე.

— კეთილი.

— თქვენი გაკვეთილებით უკმაყოფილო არ გახლავარ.

— მადლობას მოგახსენებთ.

— არა, უკმაყოფილო სულ არა ვარ, მეგობარო დონ ეპიფანიო, არც თქვენი სწავლების მეთოდით ვარ უკმაყოფილო, მაგრამ მე ჩემი გეგმები მაქვს ჩემს ვაჟიშვილთან დაკავშირებით.

— ბუნებრივია.

— ალბათ გამიგებთ, რომ მე ჩემი გეგმები მაქვს და...

— ცხადია.

— ეგებ თქვენ თავად...

— არა, მე არაფერი ამის მსგავსი არა მაქვს, რისთვის?

— ვთქვათ, თქვენს ქალიშვილთან დაკავშირებით...

— მან თავისი საქმე თვითონ იცის.

— მაგრამ, ალბათ მაინც...

— ეს მათი საქმეა.

— მაგრამ ჩემი გეგმები...

— გეგმები? რა გეგმები შეიძლება... საერთოდ, ყველა გზა ბოლოს მაინც რომისკენ მიდის.

„ეს კაცი გონებაჩლუნგია", — გაიფიქრებს დონ ავიტო და წამოდგება.

— მაშ კარგი, მეც მეცოდინება, რა უნდა...

— კეთილი და პატიოსანი, სენიორ კარასკალ, კეთილი და პატიოსანი...

— ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ!

— მდაბლად გიკრავთ თავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა უკვე ქუჩაში გადის, დონ ავიტო თავისთვის ამბობს: „ხასიათი არ გამაჩნია, თეორიები, მარტო ერთი თეორიები... ჩემი ხელიდან არაფერი გამოდის... მარინა... მარინა... ეს მარინა რომ... ოჰ, ეს მემკვიდრეობითობა!" და თავისდა უნებურად თითქოს უფსკრულისკენ ვილაც თუ რალაც უბიძგებსო, რალა თქმა უნდა, დონ ფულხენსიოს სახლში ამოყოფს თავს.

— მოეშვით, ჩემო მეგობარო კარასაკალ, დაანებეთ თავი, დაე თვითონვე იწვნიოს და საკუთარ ტყავზე გამოსცადოს ის, რაც გახლავთ სიყვარული და როგორც თესლი არ იძლევა ნაყოფს, სანამ არ მოკვდება, ისე სიყვარული არ გამოიღებს მეცნიერულ ნაყოფს, სანამ არ მოკვდება, მაშ აცალეთ, მოკვდეს. აუცილებელია მაინცდამაინც ხელი მოგეცაროს, რომ ეს სამყარო შეიცნო! მას სწორედ რომ ცხოვრების სიკვდილი სჭირდება, აქვს კიდეც უფლება ცხოვრების სიკვდილისა... მადას ხომ არ უჩივის?

— თანდათან აკლდება...

— კარგი ნიშანია.

და როცა ფილოსოფოსის სახლიდან გამოდის, დონ ავიტო თავისთვის ამბობს:

„მაგრამ, ეს კაცი... ეს კაცი... ეს კაცი რალაცას მატყუებს... მან უკვე მომატყუა... მეცნიერება! მეცნიერება!" მერე ჩაიკეტება თავის კაბინეტში და ფიზიოლოგიის ტრაქტატის კითხვას შეუდგება.

აპოლოდოროს პატარა რომანი ერთ-ერთ ჟურნალში ქვეყნდება და საზოგადოება ძალზე გულგრილად ილებს, თუ არ ჩავთვლით მამამისს, რომელიც ვერაფერს ხედავს, რაც მის გარშემო ხდება და ცოტა არ იყოს, შეშინებულიც კი ჩანს. „შევცდი, — ამბობს იგი, — შევცდი, აქედან არაფერი გამოვა. ნებისყოფა არ მეყო და პედაგოგიკაც სათანადოდ ვერ გამოვიყენე, ან თვითონ პედაგოგიკამ ვერ აღზარდა ჩემში ნებისყოფა, ეს მარინაც ხომ... ეს მარინაც..." მერე მაინც მოეგება გონს, ხელახლა გადაიკითხავს თავისი შვილის ნაშრომს და რალაც-რალაცებს აღმოაჩენს. „დიახ, უთუოდ არის მასში ზოგიერთი რამ... ჯერ კიდევ შეიძლება ამ ბიჭისგან გენიოსი თუ არა, რაიმე ამის მსგავსი მაინც გამოვიყვანო, ანდა რატომ გენიოსი არა? გენიოსობა მოთმინებაა და მისი გამოვლინებაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, ანდა ლიტერატურული გენიოსების დრო სულ ნავიდა? დავიცადოთ".

კლარიტამ მაინც დაიწყო რომანის კითხვა, — თუმცა უკვე გადაწყვეტილიც ჰქონდა აპოლოდორო მიეტოვებინა და ფედერიკოც უკვე აირჩია, მაინც მშობლებსაცა და ახალ საქმროსაც სთხოვა, მოსაფიქრებლად ცოტა დრო კიდევ მომეცით, — მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მივიდა, რადგან საშინელი მოწყენილობა მოერია, ერთ რამეს კი მიხვდა, ავტორს ლიტერატურულ მოდელად რომ გამოეყენებინა იგი და ესღა თქვა: „ოჰ, აპოლოდორო, ეს აპოლოდორო!.. საბრალო!"

აპოლოდორო კი მძიმედ განიცდის ამ მარცხს, აბსოლუტურ მარცხს, არც არავის გაუკრიტიკებია და არც არავის არაფერი უთქვამს, მარტო

ერთი მენაგუტი გამოჩნდა, ვინც შეაქო და ისიც მოვალეობის მოხდის გამო, თანაც სწორედ ის მხარე ალნიშნა, რაც მისგანვე ჰქონდა ავტორს დასესხებული. ამ პატარა რომანის გამოქვეყნების მერე ეჩვენება, რომ ამხანაგებიცა და ნაცნობებიც ირონიით უყურებენ, ეტყობა, გულში ყველა დასცინის. ხოლო კლარიტა, რომელიც დღითიდღე სულ უფრო ცივი და მიუკარებელი ხდება, თავს იკავებს და წიგნზე კრინტსაც არ ძრავს, თუმცა კი წაიკითხა.

ნამდვილად კი უყვარს კლარიტა? ანდა უყვარდა? ახლა, რაც ლიტერატურულ მასალად გამოიყენა, ეჩვენება, რომ სიყვარული სრულიად გაქრა.

მაგრამ ყველაზე ღრმა ჭრილობას ისევ დონ ფულხენსიო მიაყენებს, რომელსაც აპოლოდორო კარგა ხნის მერე ესტუმრება.

— კარგია, აპოლოდორო, კარგი, სამაგიეროც დამსახურებისამებრ მოგეზღო. მარცხი, სრული მარცხი! არაფრისგან არაფერი. აკი გინდოდა ხელოვანი გამოსულიყავი, ღირსეულადაც მოგეზღო. ხომ არ გგონია, ვერა ვხვდები, რომ ყველაზე მთავარი — ფაქტურა, სტილი მენაგუტისგან იყო ნასესხები? ნახევარი ხომ შენს საცოლეს დაუთმე, რომელსაც კვლავ მენაგუტის თვალებით ხედავ. საკუთარ საცოლესაც კი ვერ ხედავ საკუთარი თვალებით! ახია შენზე! აბა ახლა რას მიბრძანებ სტილისა და ფორმის თაობაზე?

— ხელოვნება ხომ უწინარეს ყოვლისა ფორმაა!

— ფორმა? შენ ამბობ ფორმაო? უნდა გცოდნოდა... უნდა გცოდნოდა... რა უსუსურობაა! მთავარია, როგორც ახლა ამბობენ, იფიქრო მალლა და იგრძნო ღრმად, შენ კი, მაპატიე და...

— ეს სულაც არ უშლის...

— კმარა, ნულარ გავაგრძელებთ, დიახაც რომ უშლის. შენ იმის თქმა გინდოდა, აზრის სიმაღლე ან გრძნობის სიღრმე თავის სიმაღლესა და სიღრმეს კარგავს თუ ლამაზადაა ნათქვამი, ასე არა?

— მე მგონია, სულაც ხაზს უსვამს...

— ცუდად გგონია, აპოლოდორო, ცუდად გგონია. სწორედ რომ კარგავს, კარგავს სიმაღლესაც და სიღრმესაც, როცა ლამაზად არის ნათქვამი, რასაც ლამაზად ნათქვამს ეძახიან, ეს საღი აზრის მიმდევართა იმ უბრალო მოკვდავთა საზომია, რომელთაც არც ამაღლებისა და არც ჩაღრმავებისა არაფერი გაეგებათ და მით უფრო, არც სურვილი აქვთ, ფიქრითა და განცდით თავი აიტკიონ, რამეთუ ყველაფერს მზამზარეულს არიან მიჩვეული. აკი გინდოდა კლასიკოსობა... ღმერთმა შეგარგოს!.. კლასიკური ხომ ყველაფერი საზიზღრობაა. ყოველგვარი დახვეწილობა და სინატიფე საძაგლობაა. შექსპირი და რასინი რომ შევაერთოთ, აბსურდი გამოვა. ხელოვნება არის ყველაზე მდაბალი, ყველაზე დაბალი და საზიზღარი რამ, აპოლოდორო, საზიზღარი რამ! ხოლო კარგი გემოვნება კიდევ უფრო ამაზრზენია. ხელოვნება ხელოვნებისთვის? სიბინძურეა! სამოძღვრებო ხელოვნება? ასევე სიბინძურეა. უმჯობესია კარგად შეანჯღრიო ოთხიოდე შენივ მსგავსთა თავები და მთელი მათი შიგნეულობა, თანაც ყველაზე უფრო უხეშად და ულაზათოდ, ვიდრე ოთხი მილიონი ჭკუასუსტის ალტაცება და აპლოდისმენტი მოიპოვო. აჰა, გახდი ხელოვანი, გახდი! მშვენიერ საზღაურსაც მიიღებ!

როცა აპოლოდორო მაესტროს სახლიდან წამოვა, გზაში ამბობს:

„მართლაც საწყენია! მარცხი, სრული მარცხი! არავინ არაფრად მაგდებს, ყველა დამცინის, მაგრამ არ მაჩვენებენ. კლარიტას არ ვუყვარვარ, ეს ფედერიკო ხომ... ეს ფედერიკო... მერე კიდევ ეს მენაგუტი, იმ თავისი ხელოვნებით... ხელოვნება! განა ეს კაცი ჭკვიანი არ არის? მართლაც რომ ამაზრზენია!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIII

კლარიტა ოცნებობს, ჩემი გულისთვის დუელი გაიმართებაო, მაგრამ საქმე დუელამდე არ მივა. პირველივე შეხვედრაზე, იხელთებს თუ არა დროს ფედერიკო, ქალიშვილს მაგრად შემოხვევს ხელებს და ისეთი გაშმაგებით დააცხრება მის ბაგეს, კლარიტამ ლამის გონი დაკარგოს და გული ბუდიდან ამოუვარდეს, თუმცა ამას კი გაიფიქრებს: „მამაკაციც ამას ჰქვია! საბრალო აპოლოდორო!“ ფედერიკოს არ სჩვევია ხორციელ სურვილებზე უარის თქმა, მაგრამ ხალხში სულწასულობას ვერავინ შეამჩნევს, ისე მოხერხებულად ინიღბება ირონიით.

— ამიერიდან შენ ჩემი ხარ, მარტო მე მეკუთვნი, გასაგებია?

— დიახ!

— აი, კიდევ რა, შენ მას მისწერ წერილს და მისწერ იმას, რასაც მე გეტყვი!

— მაგრამ...

— შენ წყნარად იყავი, მე თვითონ გიკარნახებ...

— მაშინ მივწერ...

— კეთილი.

და ერთ წვიმიან საღამოს აპოლოდორო მიიღებს ამ საბედისწერო ბარათს, მაშინვე ჯიბეში ჩაიკუჭავს და ქუჩაში გავარდება, ჰაერზე, მიდის უგზოუკვლოდ, რეტდასხმული, თავისი რომანის გამო მარცხის მწარე განცდა ჯერ არ განელებია და ასე ჰგონია, ყველა მას უყურებს და დასცინის. სწორედ ამ დროს შეეჩეხება იმ გაჩეჩილ მენაგუტის, უწმინდურსა და სილამაზის ქალღმერთის ქურუმს.

— რა დაგემართა, ყმაწვილო? ხალხს ველარა სცნობ, მეგობარო აპოლოდორო?

— ოჰ, მაპატიე!

— პატიებას არ გთხოვ, რა დაგემართა-მეთქი, ასეთი რა შეგემთხვა?

— ოჰ, არაფერი... არაფერი, სისულელეა...

— არაფერი? სულ არაფერი? მე რას გამომაპარებ... ხომ იცი როგორ ვარ ფსიქოლოგიაში გათვითცნობიერებული; მით უმეტეს, ეს თვალები, ეს სახე...

— კარგი, გეტყვი. ფედერიკომ საცოლე წამართვა!..

— ფედერიკო ვარგასმა?

— სწორედ მან!

— მერე ამაზე ამბობ, არაფერიო? სულ არაფერიო? სისულელეო? მერე შენც ასე უსიტყვოდ დაუთმე? იმ სულით გლახაკმა საცოლე წაგართვა და ასე უბრალოდ დათმე?

— აბა, რა უნდა მექნა?

— რა? პირდაპირ სახეზე გაწერია, როგორ გაგჭყიპა მამაშენმა იმ თა-

ვისი მეცნიერებით, იმ გულისამრევი სალაფავით, რელიგიასთან შეზავებული ჩვენი დაცემის მიზეზი რომ გახდა. სწორედ ახლახან ვკითხულობდი, რუსო რომ წერს: სწავლულები და მდიდრები ერთმანეთის გახრწნის მეტს არაფერს ემსახურებიანო. ოჰ, თავისუფლება! წმინდა თავისუფლება! ქალწული თავისუფლება! მაგრამ იმათთვის, ვინც მას იმსახურებს, ასეთები კი ცოტანი ვართ. ოჰ, სილამაზე! წმინდა სილამაზე! დაბლოცვილი სილამაზე შენ მონა ხარ, აპოლოდორო!

— მაინც რა ვქნა, რა ვიღონო?

— რა? უნდა მოკლა!

— მოვკლა? გესმის რას მეუბნები?

— დიახ, ან ის უნდა მოკლა, ან თავი მოიკლა! სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შეებათ ერთმანეთს ელენას წინაშე!

— მას კლარა ჰქვია, კლარა ილდებრანდო.

— ვიცი, ვიცნობ. სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შეებათ ელენას წინაშე-მეთქი რომ ვამბობ, მე ქალს ვგულისხმობ, საერთოდ, ქალს. ჯერ კიდევ ელენამდე ქალის ბარძაყები ომის მიზეზი გამხდარა, მაგრამ ვინც ამ ომში დაეცა, სახელი მაინც ვერ მოიხვეჭა. ლათინურად იმიტომ გეუბნები, რომ წარმართული სისადავის მშვენიერებას მიუჩვეველი შენი სმენა არ შევაწუხო. გასწირე სიცოცხლე ელენასთვის, ოღონდ თუ ამას ვერ შესძლებ, მონა ყოფილხარ! — ესა თქვა და ფაფარი შეარხია, — მაშინ ამ ცხოვრებას თხოვნა გაუგზავნე, გადავდგები-თქო, „ბოროტ ძალას, რომელიც იდუმალ მართავს სამყაროს ყოველი ცოცხალი არსების დასაღუპად". როგორც ბრძანებს ლეოპარდი, — ანდა სულაც უზენაეს არსებას, სწორედ ასე მოიხსენიებენ ხოლმე მ ა ს ისინი, ვინც ესოდენ ახლო ურთიერთობაზე დებენ თავს მ ა ს თ ა ნ?

— მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ...

— არაფერსაც არ გავითვალისწინებ. ახლავე წადი და დუელში გამოიწვიე, თუ არადა, კაციც არ ყოფილხარ! გამოიწვიე, გამოიწვიე-მეთქი, გეუბნები! სიტყვა არ გამაგონო, სანამ ცხოვრების წიგნიდან არ ამოშლი მას, ან არ ამოგშლის ის... გამოიწვიე! — ამ სიტყვებით მიტრიალდება და მიდის.

დგას ასე გაოგნებული აპოლოდორო და ყურში ჩაესმის მხოლოდ ერთი სიტყვა — „გამოიწვიე!" და ახსენდება ბავშვობაში პეპესა და ნარსისოს ჩხუბს რომ შეესწრო, რა დაავიწყებს, ბიჭებმა, ორივეს ამხანაგებმა, წრე რომ შეკრეს, შუაში მოჩხუბრები მოაქციეს... ისინიც იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მიშტერებოდნენ ერთმანეთს და თითქოს უსიტყვოდ ეუბნებოდნენ: აბა, თუ ბიჭი ხარ გაბედე და ხელი დამაკარეო. აქეთ-იქიდან კი ბიჭები უკიჟინებდნენ ერთხმად: „მიდი, დაარტყი! მხდალო! აბა, თუ გაბედავ! აბა, თუ გაბედავ! მიდი! გამოიწვიე! ყურში ჩაავლე ხელი! მიდი! გამოიწვიე! გამოიწვიე!.. გამოიწვიე!.. აჰა, ეგეც შენი თეორიები და პედაგოგიკა! ან უნდა მოკლა, ან თავი მოიკლა!.. თავი მოიკლა!.." — და პირდაპირ ფედერიკოს კი შეეფეთება.

— ოჰო, ეს თქვენა ბრძანდებით?

— დიახ, უნდა მოვილაპარაკოთ!

— როცა გნებავთ, სადაც გნებავთ და როგორც გნებავთ! თუნდაც ახლავე და აქვე! ეგებ ჯერ ცოტა გაგვევლო?

— საქმე ის არის, რომ... — წამოიწყებს ფედერიკოს ასეთი თავხედობით ცოტა არ იყოს ნირწამხდარი აპოლოდორო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კლარიტაზე გინდათ მელაპარაკოთ?

— როგორმე უნდა მოვაგვაროთ...

— აკი მან თვითონვე მოაგვარა ყველაფერი და მორჩა!

— საქმე ის არის, რომ ჩვენ ორში ერთი ზედმეტია!

— ამ შემთხვევაში, თქვენ!

— მაშინ... მაშინ უნდა ერთმანეთს შევებრძოლოთ... — ეს რომ თქვა, თვითონვე გაუკვირდა; „ნუთუ ეს მე ვთქვი? ეს მე ვიყავი?"

— ერთი მოიხედე, შე უბედურო, რატომ იგდებ თავს სასაცილო მდგომარეობაში? ვინ ჩაგიდო ეს აზრი თავში? ეტყობა, იმ ჭკუანაკლულმა მენაგუტიმ, არა?

— რატომ გგონიათ, რომ აუცილებლად ვინმემ უნდა ჩამიდოს თავში რამე?!

— ჩუუ! აურზაური არ გვინდა, რა გაყვირებთ?

აპოლოდორო კიდევ უფრო აუწევს ხმას.

— თქვენ მე თოჯინა ხომ არა გგონივართ?! ჩემთან ეს...

— გეუბნებით, ჩუმად-მეთქი, თორემ ცხვირსახოცს ჩაგჩრით პირში და ისე გაგაჩუმებთ.

— მაშასადამე, თქვენ მე ყეყეჩი გგონივართ?

— კმარა! გეყოფა ბავშვობა და სისულელეები, მამაშენმა იმ თავისი პედაგოგიკით მთლად ბოლო მოგიღო. სიმართლე თუ გინდა, ამდენი ზუთხვისაგან ჭკუადაფანტულს და იმ ბრიყვული რომანის დამწერს რა პრეტენზიები შეიძლება გქონდეს ისეთ ქალიშვილზე, როგორიც კლარიტაა? გირჩევნია ცოტა ცხოვრებასაც ჩაუკვირდე. ცაცხვის ნაყენი სვა და შენ თვითონ იფიქრო. ახლა კი გამეცალე, შენთვის არა მცალია!

იგი რომელიღაც სადარბაზოში შედის და აპოლოდოროს შუა ქუჩაში მიატოვებს. ყმაწვილს ცრემლი დაუბინდავს თვალებს და ველარაფერს ხედავს ირგვლივ, სიცოცხლის ხალისი ნელ-ნელა ეცლება და საბრალობლად ჩივის: „რაღა დამრჩენია, დავეთხოვები ამ ცხოვრებას და მორჩა... დავეთხოვები... თავს მოვიკლავ... ოჰ, მამაჩემო! ოჰ, მამაჩემო!"

ყველა მის წინააღმდეგაა, ყველა დასცინის, თავი მოეჭრა, ხალხი ჩუმ-ჩუმად უყურებს და გულში ამბობს: „აგერ, დონ ავიტოს ვაჟიშვილი, გენიოსად რომ უნდოდა აღეზარდათ... საცოდავი!" ამ დაწყევლილ ქვეყანაზე ყველაფერი სიყალბესა და უსამართლობაზეა აგებული, მთელი გულ-გვამი ერთიანად ემღვრევა, სიმჟავე ემატება, ეს იწვევს იპოქონდრიას, მერე გადადის სისხლში, სისხლი აწყდება ტვინს და მთელი ორგანიზმი ეწამლება. ერთხელაც ისე გაუთამამდება ამხანაგი, რომ ასეთ კითხვასაც კი დაუსვამს: რასა იქმს შენი ყოფილი საცოლეო! ყოფილი საცოლე!.. მაშასადამე, კლარიტას უკვე მის ყოფილ საცოლედ მოიხსენიებენ!

და იგი გადაწყვეტს წავიდეს დონ ფულხენსიოსთან, იმ მაცდურ გველთან, ღვარძლიან და ავი ზრახვებით სავსე ადამიანთან და მთელი ჯავრი მასზე იყაროს. თან დონია ედელმირასაც ნახავს, მაინც რა მშვენიერია, ჯერ კიდევ ფერხორციანი, ღაჟღაჟა და ფუმფულა, ან რა პარიკი ადევს!

●

და აჰა, უკვე დონ ფულხენსიოს სახლშია. რა საოცარია, რომ დღეს ასეთი დინჯია ფილოსოფოსი!

— გამარჯობა, აპოლოდორო! რამ შეგაწუხა? სად დაიკარგე? რალაც შეშფოთებული მეჩვენები, რა დაგემართა?

— მეტი რა უნდა დამმართნოდა. დონ ფულხენსიო? იმაზე მეტი რა უნდა დამმართნოდა, რაც თქვენ და მამაჩემმა დამმართეთ, ისეთ უბედურებაში ჩამაგდეთ, სიკვდილი მომანატრეთ! — და ბავშვივით ატირდება.

— კარგი, ჩემო შვილო, კარგი, აპოლოდორო! აბა, დაწყნარდი, დამშვიდდი... უთუოდ რაიმე სისულელე იქნება. აბა დაწყნარდი, შენ ეს არ შეგშვენის!..

— არ შეგშვენის... არ შეგშვენის... სწორედ რომ შემშვენის და თქვენი წყალობით მეტიც შემშვენის!..

— აბა, ახლა კარგად მითხარი, რა დაგემართა? ასე განიცდი განა შენი მოთხრობის მარცხს? მართალია, ცოტა მკაცრად კი გელაპარაკე, ვაღიარებ, მაგრამ ხომ უნდა გაიგო, რომ...

— არა, ამის გამო არა...

— აჰა, ვხვდები, საცოლემ რომ მიგატოვა? — და მცირე სიჩუმის შემდეგ დასძენს, — ეეჰ, მერე ამად გიღირს?

— ამად გიღირს? ამად გიღირს? თქვენ არც არაფრად გიღირთ!.. არც ის, ყველა რომ დამცინის? ყველა?..

— გეჩვენება!

— მთელ ქვეყანაზე ყველა ავი თვალით მიყურებს...

— აბა, ახლა დამშვიდდი და გული გადამიშალე, ხომ მენდობი! შენც შვებას იგრძნობ, აპოლოდორო, ნამდვილად გულზე მოგეშვება...

დონ ფულხენსიო ადგება, კაბინეტის კარს გასაღებით ჩაკეტავს და უსმენს ყმაწვილის აღსარებას, ხანდახან ცრემლი, ქვითინი და უსასოო წამოძახილი რომ ახშობს... და როცა აპოლოდორო ლაპარაკს დაასრულებს, ფილოსოფოსი წამოდგება და თავჩაქინდრული ოთახში გაივლ-გამოივლის, მერე სკამს აიღებს, ყმაწვილს გვერდით მიუჯდება და საღამოჟამს ჩამოწოლილ ბინდბუნდში ძალიან ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით ეკითხება:

— აპოლოდორო, შენ იცი, რას ნიშნავს ჰეროსტრატიზმი?

— არა, და არც მჭირდება!

— გჭირდება, შენც გჭირდება და ჩვენც, ყველას... ჰეროსტრატიზმი გახლავს ჩვენი საუკუნის სენი, მეც რომ მჭირს... და ჩვენ გვინდოდა, შენც შეგყროდა...

— ასეთი მაინც რა არის?

— აკი არა მჭირდებაო? იცი, ვინ იყო ჰეროსტრატე? იგი გახლდათ კაცი, რომელმაც დაწვა ეფესოს ტაძარი საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად. აი, ასევე ვწვავთ ხოლმე ჩვენც ჩვენს ბედნიერებას, რათა ჩვენი სახელი, ეს ფუჭი ბგერები შთამომავლობას გადაეცეს. შთამომავლობას! დიახ, აპოლოდორო, — და იგი ხელს მოხვევს ყმაწვილს, — როცა სულის უკვდავების რწმენა დავკარგეთ, სიკვდილის შიშმა დაგვრია ხელი, ყველას გვეშინია და ყველა ვიტანჯებით. იმის წარმოდგენა, რომ სიკვდილის შემდგომ გველის არარა, მარადიული სიცარიელე, გულსა და გონე-

ბას გვიწამლავს; კარგად გვესმის აჩრდილთა სამგლოვიარო პროცესიის ბორიალის უსასოობა, არარადან არარაში რომ მიდი-მოდიან, გვესმის, რომ ყველაფერი ეს ჩაივლის ვითარცა სიზმარი, აპოლოდორო, ვითარცა სიზმარი, ვითარცა ლანდი სიზმრისა და, რომ ერთ ღამესაც დავიძინებთ და ველარ გავიღვიძებთ, ველარასოდეს, ველარასოდეს, ველარასოდეს! და არ არის ნუგეში, რომ იქ მაინც... თუკი ვინმეს უთქვამს, ეს სულაც არ მაფიქრებსო, ან ცრუობს, ან არადა, უგუნურია, სულგაქვავებული, უბედური; ასეთი კაცი არ ცხოვრობს, რამეთუ ცხოვრება სწორედ უკვდავების წყურვილია, აპოლოდორო. და ერთხელაც იქნება, დაიქცევა ეს ქვეყანა, მოისპობა მისი ისტორიაც და წაიშლება ჰეროსტრატეს სახელიც, აღარავის ეცოდინება, ვინ იყვნენ ჰომეროსი, ან ნაპოლეონი და ქრისტეც კი... რამდენიც გინდა, იმდენი იცხოვრე, დღეები, წლები, საუკუნეები და ათასწლეულებიც, სულერთია, სხვა ნურაფერს ელოდები! და რაკი დავკარგეთ რწმენა სულის უკვდავებისა, ერთი ოცნებაღა დაგვრჩა — დავტოვოთ სახელი, რომ ჩვენზე ილაპარაკონ და მოყვასთა მეხსიერებაში მაინც განვაგრძოთ ცხოვრება. საწყალობელი ცხოვრება!

აპოლოდოროს თვალზე ცრემლი შეაშრება და ათრთოლებული უსმენს ფილოსოფოსს.

— ვინ ვარ მე? კაცი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრობს, უბრძანებს საკუთარ თავს, რომ უნდა იცხოვროს, კაცი, რომელსაც აქვს სურვილი, რომ იცოცხლოს, აპოლოდორო! სიცოცხლე! სიცოცხლე! მე მაქვს სიცოცხლის სურვილი და არა მორჩილება! მე არც სიკვდილს ვნებდები, რამეთუ მინდა სიცოცხლე, არა, არა, სიკვდილს არ ვნებდები... მაგრამ, ვაი, რომ მაინც მოვკვდები!...

ეს ბოლო სიტყვა ცრემლმა გაბზარა.

— აი, ასე ვახშობ, აპოლოდორო, ამ ჩემს ტკივილებს, ვცდილობ როგორმე მივიპყრო ყურადღება და იმიტომაა ერთ ახირებულ კაცად რომ მომაქვს თავი. დიახ, ასე ვათენებ და ვაღამებ უკვდავებაზე ფიქრში, მიუწვდომელ მარადიულობაზე და ვრჩები ასე უშვილძიროდ... ასე უშვილოდ უნდა გადავეგო... უშვილოდ, აპოლოდორო, უშვილოდ!..

მის სიტყვებს ქვითინი ჩაახშობს, ყმაწვილი და მოხუცი ერთმანეთს გადაეხვევიან და ტირიან.

— ოჰ, რამდენი მიოცნებია! რამდენი მიფიქრია! რამდენი მიფიქრია სიცოცხლის სიკვდილზე და სიკვდილის სიცოცხლეზე! გვაქვს კი სიცოცხლის უფლება? გვაქვს კი სიკვდილის მოვალეობა? იყავით ღმერთები! გახდით ღმერთები! იყავით უკვდავნი! სიკვდილი!.. შეხედე!

და იგი აჩვენებს აპოლოდოროს ფურცელს, რომელზედაც ჩამოწერილია მეცნიერთა, ფილოსოფოსთა, მოაზროვნეთა სახელები და მათ გასწვრივ — ციფრები: კანტი — 88; ნიუტონი — 85; ჰეგელი — 61; ჰიუმი — 65; რუსო — 66; შოპენჰაუერი — 72; სპინოზა — 45; დეკარტე — 54; ლაიბნიცი — 70; და კიდევ სხვა მრავალი სახელი და შესაბამისი ციფრი.

— იცი, რა არის ეს? ეს არის წლები, რამდენიც იცოცხლა თითოეულმა მათგანმა, შვილო, წლები, რაც იცხოვრეს ამ დიდმა მოაზროვნეებმა, აი სწორედ ამის მიხედვით მინდა მეც გამოვიყვანო საშუალო არითმეტიკული და საკუთარი სიცოცხლის ვადაც გავიანგარიშო. ხედავ ამ ფურცლებს მეორე ყუთში? ეს არის ჩემი ნაშრომების სქემები; და მე ვეუბნები ხოლმე თავს: „სანამ ყველა ამ თხზულებას არ მივიყვან ბოლომდე, არ უნდა მოვ-

კვდე!“ მაგრამ რწმენა რომ არა მაქვს! არა, არა მაქვს საკუთარი უკვდავების რწმენა! თან იმასაც ვფიქრობ, რატომ არ შეიძლება მე ვიყო სწორედ ის პირველი ადამიანი, რომელიც არ მოკვდება? განა ასეთი მეტაფიზიკური აუცილებლობაა სიკვდილი? და აი, მეც ავდექი და ერთი გასართობი გამოვიგონე: კაცი, რომელსაც აქვს მტკიცე რწმენა, აბსოლუტური რწმენა, რომ არ მოკვდება, ოღონდ ისეთი რწმენა, იოტისოდენა ეჭვიც რომ არ ეპარება, ის არც მოკვდება. მაგრამ თუ ერთი წუთითაც კი მოგერია ეჭვი, მორჩა და გათავდა. აგონიაში რომაა კაცი, მაშინაც კი არ უნდა გაჰკრას ეჭვის ჩრდილმა, ვაითუ მოვკვდეო! აი, ასე ვერთობი, ვიგონებ ათასგვარ ხუმრობებს და ვეთამაშები ამ საშინელ მოჩვენებებს... შენ ხომ იცი, ბუნებაში რომ არაფერი იკარგება...

— ენერგიის შენახვის კანონი... ენერგიის გარდაქმნა... — ჩაიბუტბუტებს აპოლოდორო.

— დიახ, არაფერი იკარგება, არც მატერია, არც ენერგია, არც მოძრაობა და არც ფორმა... რამდენ ანაბეჭდს ინახავს ჩვენი ტვინი, თუმცა ზოგჯერ გვგონია, რომ ვივიწყებთ და არც კი გვახსოვს, როდის მივიღეთ, ისინი კი მაინც რჩებიან, ვითარცა წუთიერ ჩრდილთა კვალი კედელზე, ოღონდ ეგაა საკმაოდ ძლიერი რეაქტივი არ გაგვაჩნია, რომ გავამჟღავნოთ. ყველაფერი, რასაც კი ვიღებთ გრძნობითი ორგანოების გზით, ჩვენში ილექება, ილექება არაცნობიერის უძირო ზღვაში, იქვეა მთელი სამყაროც და მთელი წარსულიც, ჩვენი მამები და ჩვენი პაპები, პაპისპაპები და ასე დაუსრულებლად.

— როგორ?

—როგორ და, ცოტა მაცადე ვიოცნებო... განა ჩვენ ჩვენი მშობლებისგან მემკვიდრეობით არ ვიღებთ სახის ნაკვთებს, სხვადასხვა ორგანოს, ფერს, და საერთოდ, მათ ჯიშს არ ვაგრძელებთ? ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი მემკვიდრეობით გადმოგვეცემა. ეგებ ჩვენსავე მამას ჩვენშივე ვატარებთ, ოღონდ მისი ცალკეული ნაკვთი, მისი განსაკუთრებული ნიშანთვისება არაცნობიერის უძირო უფსკრულშია დალექილი... და ასე, როცა ჩვენი შვილიშვილების შვილიშვილებს შორის გამოჩნდება სულით მაღალი ადამიანი, ანუ მთლიანად შემეცნება, ანუ მთელი მისი არსება ერთიანად შემეცნებაა, და კიდეც აღიქვამს სრულად ცხოვრების ყოველ უჯრედს და მის სულს, აი, მაშინ აღსდგებიან თუ აღსდგებიან მისი მშობლები, მისი მშობლების მშობლები და ჩვენ ყველანი აღვდგებით ჩვენს შთამომავლებში...

— რა მშვენიერია! — შესძახებს აპოლოდორო.

— მშვენიერია, როგორ არა, მაგრამ მშვენიერი განა ჭეშმარიტიცაა? იმათ რა ეშველებათ, ვისაც შვილები არა ჰყავს, აპოლოდორო? მეც ხომ სწორედ ეს მტანჯავს დღენიადაგ! ჩვენ, უშვილოებს, ისღა დაგვრჩენია, ჩვენს შემოქმედებაში გამოვხატოთ საკუთარი თავი და ჩვენი შვილებიც ისინი არიან; ყოველ ნაწარმოებში მთლიანად ვდებთ ჩვენს სულს და ვინც მას მიიღებს, მიგვიღებს ჩვენც განუყოფლად. და ვინ იცის, როცა მოვკვდები და მიწას შევერთვები, ეგებ ერთი ჩემი უჯრედი ამებადაც კი გადაიქცეს, გამრავლდეს და გაამრავლოს ჩემი შემეცნებაც, რამეთუ ჩემი შემეცნება მთლიანად ჩემია და ყოველ ჩემს უჯრედშია, აპოლოდორო. აი, რა არის ადამიანის საიდუმლოებაც... თუმცა... უმთავრესი მაინც შვილებია...

შვილები... გააჩინე შვილები, აპოლოდორო. მშვენიერი მხოლოდ ეს იქნება, არა?

— ოჰ, რა ოცნებებია, დონ ფულხენსიო!

— დიახ, ოცნებებია... ახლა ვაისმანს ვკითხულობ და მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენ მართლა ღვთაებრივი იდეების განსახიერებანი ვართ, რამეთუ მე მჭირდება ღმერთი, აპოლოდორო, ღმერთი მჭირდება, ღმერთი მჭირდება, რომ უკვდავება მომანიჭოს... და სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე!..

— სიკვდილი... ძილი... ძილი!.. ეგებ ზმანებაც!

— საიდან იბადება ხელოვნება? უკვდავების წყურვილიდან, რამაც აღმართა პირამიდები და მათ ფერხთით მთვლემარე სფინქსი. ისიც უთქვამთ, თამაშიდან. იშვაო! თამაში! განა თამაში იმის მცდელობა არ არის, რომ ლოგიკას დააღწიო თავი? განა ლოგიკას არ მივყავართ სიკვდილის აზრამდე? მე მატერიალისტს მიწოდებენ. დიახ, მატერიალისტი გახლავართ, რამეთუ მსურს მატერიალური უკვდავება, მსურს ყოფნა ჩემივე ფორმითა და არსით... მინდა რომ ვიცხოვრო მე, მე, მე, მე, მე:.. მაგრამ გააჩინე შვილები, აპოლოდორო, იყოლიე შვილები!

ეს სიმწრით წარმოთქმული სიტყვები დაფიცებასავით ჩაესმის აპოლოდოროს და შმაგ სურვილს აღუძრავს გააჩინოს შვილები, ჰყავდეს შვილები, ეს კი კვლავ კლარიტას გაახსენებს, და მის გახსენებაზე ამოიოხრებს. გამომშვიდობებისას დონ ფულხენსიო ტირილით გადაეხვევა ყმაწვილს. აპოლოდორო ქუჩაში მიაბიჯებს და თან ფიქრობს: „მე ერთი უდღეური გენიოსი ვარ, ხოლო ის, ვინც თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, კიდეც უნდა გადადგეს. დიახ, გადავდგები, დავეთხოვები ამ ცხოვრებას... თავს მოვიკლავ! საბრალო დონ ფულხენსიო!.. თავს მოვიკლავ... თუ არადა, მენაგუტის თვალით ვერ დავენახვები! მანამდე კი როგორმე უნდა მოვიპოვო უკვდავება, თუკი მართლა არსებობს... ვინ იცის! ვინ იცის! ვინ გაიგებს! დედაჩემს სხვა უკვდავება სწამს, იცდის და ითმენს... ითმენს მამაჩემსაც... სხვა რამ სწამს... აი, ეს გამვლელიც რაღაც უცნაურად მიყურებს; ან ჩემი მოთხრობა წაუკითხავს, ან კლარიტას ამბავი აქვს გაგებული, შეიძლება მეც კი მიცნობს, ანდა მამაჩემს და გულში დამცინის, დამცინის ისევე, როგორც ყველა. ოჰ, გადავდგები, დავეთხოვები ამ ცხოვრებას!“.

XIV

გუშინ კლარიტა დაინახა, მოშორებით მიდიოდა და სიყვარული, უკვე მიფერფლილი რომ ეგონა, კვლავ აბრიალდა, ცხადად იგრძნო, რომ ისევ უყვარდა, უყვარდა მთელი არსებით, ახლა, როცა იგი სხვას უყვარდა და მასაც ის სხვა უყვარდა, და გულში ამბობს: „რაკი სიცოცხლეში ვერ გავხდი გენიოსი, სიკვდილში მაინც გავხდები, მე დავწერ წიგნს და ვიტყვი, როცა სიყვარულში იმედი გაგიცრუვდება, მაშინ სიკვდილი გარდუვალიამეთქი, და მერე თავსაც მოვიკლავ... თავს მოვიკლავ, რომ არ დავნებდე სიკვდილს...

სიყვარული და სიკვდილი ძმები არიან, ერთდროულად, ბედით შეკრულნი.

მაგრამ მანამდე შვილები გააჩინე, აპოლოდორო, შვილები გააჩინე; მათში ეძებე შენი უკვდავება... ეგებ მართლა!..“

მაგრამ სწორედ ამ დროს მონოლოგს შეაწყვეტინებს და მის თვალსა და გულს ერთიანად შესძრავს შემზარავი სურათი. იქვე, კუთხეში ჯდია ერთი საცოდავი ბნედიანი კაცი და შესაბრალისად, მაგრამ თან სასაცილოდ იკრუნჩხება, ტუჩებს ბრიცავს, თვალებს ატრიალებს, ერთ ხელს ისე ამოძრავებს, თითქოს გიტარას უკრავსო, გარს ხუთიოდე ბიჭი შემოხვეია და სეირს უყურებენ.

— მიდი, ფრასკიტო, ერთი მალაგენია დაუკარი!

და ფრასკიტოც ვითომ უკრავს, თვალებს ატრიალებს, ტუჩებს ბრიცავს, ბიჭებიც აჯავრებენ და მასავით იქნევენ ხელებს, იმანჭებიან. აპოლოდოროს რისხვა მოერევა და დაუყვირებს:

— აბა, ახლავე მოუსვით აქედან, თქვე ლაწირაკებო, თორემ მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ამ უბედურის მასხრად აგდება!

აპოლოდორო მონეტას ჩაუგდებს საცოდავს, ის კი უარესად დაიგრიხება და დაიმანჭება მადლობის ნიშნად, ბიჭები შორიდან უყვირიან:

— ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეთ გაგვიხდა ესეც ბატონი! აბეზარი!

„აბეზარი!" ეს სიტყვა ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელად ითვლება ბიჭებში, ყოველ შემთხვევაში, მის ბავშვობაში ასე იყო. პატარა ბიჭებსაც კი არ მოსდით იგი თვალში! ნეტავი მოთხრობის შესახებ თუ იციან რაიმე, ანდა კლარიტას ამბავი ხომ არ გაუგიათ! ეგებ ისიც კი იციან, ვისი შვილია და ყურიც მოუკრავთ გენიოსად რომ ზრდიდნენ!

და იგი ისევ თავის გზას განაგრძობს, მაგრამ ბნედიანის სახე თვალიდან არ სცილდება. თავისდა უნებურად ახსენდება დოქტრინა — თუ ამაღლებულიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია, მაშინ, შეიძლება ითქვას, სასაცილოდან ამაღლებულამდეც ამდენივეა. ჭეშმარიტად დიდი სწორედ სასაცილოში ძევს, გროტესკული კი შეიცავს ჭეშმარიტად ტრაგიკულს. ამაღლებულიდან სასაცილომდე ერთ ნაბიჯზე მეტი არ არის და ეს ნაბიჯი კი მიდის სიღრმეში, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ამაღლებულს და გადააქცევს სულემად. ღმერთები რომ არსებობდნენ და მათ ადამიანებთან უწევდეთ ცხოვრება, მათზე უფრო გროტესკულ არსებებს ვერსად ნახავდით. და აპოლოდორი თავის მხრივ დასძენს: „რა სასაცილო იქნებოდა ამაღლებულს რომ მიაღწიოს! გადავდგები! დავეთხოვები ამ ცხოვრებას და ჩემი სასაცილო ყოფაც ამაღლდება... დავეთხოვები... „მაგრამ მანამდე ბავშვები გააჩინე, აპოლოდორო!"

სახლში რომ მივა, თავის ოთახში შეიკეტება, წიგნს გადაშლის და ფურცლებიდან მაშინვე თავს წამოყოფს მისი საკუთარი ეშმაც: „მამაშენი ყეყეჩია; შენ რომ ასეთი ყეყეჩის შვილი არ ყოფილიყავი... იქნება ისე ყეყეჩი არ არის, როგორც შურიანი. ასეთი იმიტომ გაგზარდა, რომ ეჭვები მოეძალა, ვაითუ მაჯობოსო. არა, არა, ნამდვილად უკულმართია..." კარზე დააკაკუნებენ და როცა შეეხმიანება, შემოდის დონ ავიტო.

— მინდა დაგელაპარაკო, აპოლოდორო.

— ილაპარაკე მერე!..

— ერთი ხანია თვალს გადევნებ და რაღაც უცნაურობას გატყობ, დღითი დღე ნაკლებად და ნაკლებად პასუხობ ჩემს მოთხოვნილებებს!

— შენც ნუ გაგიჩნდებოდა ასეთი მოთხოვნილებები!

— არც გამიჩნდებოდა, რომ არა მეცნიერება!

— მეცნიერება?

— მეცნიერება, დიახ, ყველაფერს მას უნდა ვუმადლოდეთ შენცა და ჩვენც, ყველა!

— რაში მჭირდება ეგ შენი მეცნიერება, თუკი ბედნიერებას არ მომიტანს?

— მე შენ მაინცდამაინც ბედნიერებისთვის არ გამიჩენიხარ და გამიზრდიხარ!..

— აჰა!

— არც შენთვის გამიჩენიხარ.

— მაშ ვისთვის?

— კაცობრიობისთვის.

— კაცობრიობისთვის! ეს სენიორა ვილა ბრძანდება?

— მე ისიც არ ვიცი, გვაქვს თუ არა პირადი ბედნიერების უფლება.

— უფლება! იმის უფლება ხომ გაქვს, მოყვასის ბედნიერება დაანგრიო და ისიც საკუთარი შვილისა?

— მერე ვინ გიბრძანა, შეიყვარეო?

— ვინ? სიყვარულმა, თუ გნებავს, ფსიქიკურმა დეტერმინიზმმა, ეს ხომ შენ თვითონ მასწავლე!

ეს არგუმენტი მამას პირდაპირ გულში ხვდება და შესძახებს:

— სიყვარული! მუდამ ეს სიყვარულია დიდი წამოწყებების გზაზე რომ გვეღობება. სიყვარული ანტიპედაგოგიურია, ანტისოციოლოგიური, ანტიმეცნიერული, ანტი — ყველაფერი. სანამ ადამიანი კვირტისა და გაყოფის გზით არ დაიწყებს გამრავლებას, სიკეთეს არ უნდა ველოდეთ, რაკილა ასე აუცილებელია მისი გამრავლება ცივილიზაციისა და მეცნიერებისთვის.

— ეს რაღა შუაშია, მამა?

— როგორ გითხრა, ვხედავ, რომ ჯერ კიდევ არა ვართ მზად ცივი გონებით მოვისმინოთ, — და დონ ავიტო გადის.

●

და ახლა უკვე იწყება საშინელება, ნამდვილი საშინელება. რა სისულელე არ მოსდის თავში ხელმოცარულ გენიოსს, ერთხელ მოეჩვენება, თითქოს იმას ამბობს და აკეთებს, რაც სულაც არ უნდა თქვას და გააკეთოს, ხალხს კი ამიტომ გიჟი ჰგონია, მეორეჯერ აეკვიატება ფიქრი, რომ ეს სამყარო მთლად ცარიელია, ყველანი ლანდებად ქცეულან, რომელთაც არ გააჩნიათ არც სუბსტანცია, არც მატერია, არც რაიმე ხელშესახები და საერთოდ, აღქმის უნარი. ერთადერთი სურვილი აიტანს, საკუთარ თავს გარედან ისე შეხედოს, როგორც სხვები უყურებენ, ხოლო ამისთვის უნდა გამოვიდეს საკუთარი თავიდან, ანუ დატოვოს საკუთარი „მე", აღარ იყოს თვითონ, უბრალოდ შეწყვიტოს არსებობა, გადადგეს! დროის მოსაკლავად იწყებს ლოგოგრაფებისა თუ შარადების ამოხსნას და პასიანსის გაშლასაც კი, მაგრამ მეფეების, ვალეტებისა და კიკოების მაგივრად სულ კლარიტა გამოდის, მის გვერდით კი ფედერიკო, მერე მოდიან დონ ფულხენსიო, დონ ეპიფანიო, მენაგუტი, მამამისი. მერედა, როგორა ჰგავს ეს ჯვრის ვალეტი დონ ფულხენსიოს!

ზოგჯერ გადაიკარგება ხოლმე სადმე, დაეხეტება მინდვრად, ხან ყვავილების დამტვერვით ერთობა — მტვრიანას ბუტკოზე დაფერთხავს — ხან ბაბუაწვერას უბერავს, რომ თესლი აქეთ-იქით მიმოიფანტოს.

ერთ დღესაც სასაფლაოს ესტუმრება, დადის საფლავის ქვებს შორის და ფიქრობს, თავში კი ერთი ფიქრი უტრიალებს — „თუ არც კლარიტას ვუყვარვარ, არც მოთხრობების წერა შემიძლია, რიღასთვის უნდა ვიცხოვრო?“ სიკვდილი და სიცოცხლეც კი ერთხმად უკიჟინებენ: „გააჩინე შვილები!“ „განა რა განსხვავებაა სიკვდილსა და სიყვარულს შორის? ამისთვის ხომ სიკვდილი გამრავლების საშუალებაა“... იქვე, მბზინავ ანდერძის ქვაზე კითხულობს „მარიკიტა! მარიკიტა! მარიკიტა!“ და იგი სასაფლაოს ტოვებს, მიდის და თავისთვის ამბობს: „გადავდგები! დავეთხოვები ამ ცხოვრებას! უიღბლოთა ადგილი მხოლოდ აქ არის! მაგრამ მანამდე შვილები გააჩინე, აპოლოდორო!“

შინ მისულს მოსამსახურე შოკოლადს მიართმევს.

— ერთი ეს მითხარი, პეტრა, ოდესმე გიფიქრია სიკვდილზე?

— მე? აზრადაც არ მომსვლია!.. — და გულიანად იცინის.

მერედა რა სიცილი აქვს! ან რა კბილები — თეთრი, სალი, ჩაწიკწიკებული, ამისთანა კბილების პატრონმა სულ უნდა იცინოს, ჭამოს, კბიჩოს! რა ჯანმრთელია! ან რა ფერი აქვს! როგორ სუნთქავს. თითქოს კიდეც ხედავ და კიდეც გესმის!

— არც ბავშვების გაჩენაზე გიფიქრია?

— აბა, აბა, ხუმრობას თავი დაანებეთ, სენიორიტო! — და გადის. დალახვროს ეშმაკმა, რა გოგოა! ბრწყინვალე ნიმუშია.

●

დონ ავიტო კი ამასობაში ლომბროზოს თეზისზე ფიქრობს — გენიოსობასა და სიგიჟეს შორის სიახლოვის თაობაზე და რაკი საკუთარი შვილის მარცხში დარწმუნდება, რჩევის საკითხავად დონ ანტონიოსთან მიდის; მოილაპარაკებენ და გადაწყვეტენ, რომ აპოლოდოროს საექიმო შემოწმება ჭირდება.

— ყური დამიგდე, აპოლოდორო, შენ კარგად არა ხარ, აშკარად რაღაც გაწუხებს, რაღაც სენმა შეგიპყრო და შენ თვითონ ვერა ხვდები, ამიტომ ურიგო არ იქნება, ექიმმა გაგსინჯოს.

— დიახ, მესმის შენი და კიდეც ვხვდები, რასაც ფიქრობ, მაგრამ შენ რომ გგონია, ის არ მჭირს; თვითონ ვიცი, რა ჰქვია ჩემს ავადმყოფობას!

— მეც ვიცი! სიყვარული!

— არა, პედაგოგიკა!

ექიმიც მოვა, გასინჯავს და დამშვიდობებისას ეტყვის: „ერთი სიტყვით, ჩემო ბატონო, მე ვერაფერი აღმოვუჩინე!“ აპოლოდორო კი გულში ფიქრობს: „ვერ გაიგო, და ვერც ვერავინ გაიგებს, მაგრამ რაღაც რომ მჭირს, ცხადია. ეგებ რაიმე საინტერესო და იშვიათი პათოლოგიური შემთხვევაა... მართლა, აკი დალტონის სახელიც მისივე ავადმყოფობამ უკვდავყო! ჰეროსტრატიზმი! წმინდა წყლის ჰეროსტრატიზმი! უკვდავების წყურვილი! ჯერ შვილები გააჩინე, აპოლოდორო! მაგრამ საამისოდ კი ვვარგივარ? მე ხომ ცუდად ვარ, ძალიან ცუდად, დიდი დღე არ მიწერია, უკვე ცხოვრებაც აღარ მომცემს იმის დროს, რომ ჩემით გადავდგე, თვითონვე დამითხოვს... ძალიან ცუდად ვარ“. და პეტრას დაუძახებს.

— რა გნებავთ, სენიორიტო?

— არაფერი, პეტრა, უბრალოდ, წასვლის წინ მინდოდა შენთვის შე-

შეხედა, ისეთი ჯანმრთელი ხარ, ისეთი მაცოცხლებელი ძალა მოდის შენგან, ისეთი გადამდები სიხალისე, ასე მგონია, ხელახლა ვიბადები-მეთქი.

— გეყოფათ, ნუ დამცინით...

— მოიცადე, მოიცადე, მარტო შეგეხები, იქნება შენი სიმრთელე მეც გადმომდო — და სახეზე ოდნავ მოუთათუნებს ხელს.

— ახლა დამშვიდდით და მითხარით, რა გნებავთ?

— არაფერი, თუ გინდა, წადი.

„ეჰ, სჯობს გამერიდოს", — და აპოლოდორო სასეირნოდ მიდის. „აგერ მენაგუტიც! იქნება მეორე მხარეს გადავიდე, თორემ რა პირით შევხვდე? ნეტავი თუ დამინახა! თუ დამინახა, მიხვდება, თვალს რომ ვარიდებ!" გზიდან გადაუხვევს, ხეივანს გაუყვება და პირდაპირ კლარიტას კი შეეფეთება, მაინც რა ლამაზია! გვერდით ფედერიკო მიჰყვება. სისხლი აუდუღდება, მაგრამ მაინც აედევნება ნება-ნება მიმავალ წყვილს, ლამის ნაბიჯიც კი შეუწყოს! კლარიტა მიგოგმანებს, კაბა ტანზე ეტმასნება და თეძოები ლამაზად ენაკვთება, ნიავი ელამუნება მის კულულებს, გაზაფხულის ნორჩ რტოებს, ზამთრის ძილისგან ახალგამოღვიძებული ალვისხის ხასხასა ბუსუსებს... ოჰ, რა მშვენიერია! რა მშვენიერია! „როგორ ვიფიქრე, ალარ მიყვარს-მეთქი! ახლაღა მივხვდი, რა სახმილში ვიწვები". ნიავი პირდაპირ სახეში უბერავს და მისი სურნელება მოაქვს, მისი სუნთქვა, მისი სითბოც კი, და აპოლოდორო პირს აღებს, რომ ღრმად შეისუნთქოს — „თუ რაღაც მცირეს მაინც ჩავყლაპავ მისას, ამ მცირეში მთლიანად იქნება ის..." და იზრდება სიყვარულის სნება, იზრდება სიმსივნესავით და ერთიანად ეუფლება მის სულს, მაგრამ მასთან ერთად იზრდება სურვილიც პირდაპირ მიეჭრას ამ წყვილს, იქვე მოახრჩოს კაცი, ძალა იხმაროს ქალზე, ჩაუსახოს ბავშვი და მაშინვე თვითონაც გამოეთხოვოს სიცოცხლეს. დიახ, დაეთხოვოს! „არა, კარგად არა ვარ; არა ვარ კარგად; ასე გაგრძელება ალარ შეიძლება! შინისკენ! შინ! ძალიან ცუდად ვარ!" კიბეებზე ასვლისას უკვე ციებ-ცხელება ერევა, და როცა პეტრა კარს გაუღებს, უეცრად დაეძგერება და აკოცებს; აკოცებს და ციებ-ცხელებაც მაშინვე განელდება.

— ხომ არ გაგიჟებულხართ, სენიორიტო?

იმ ღამეს თავის საწოლში აპოლოდორო ბალიშს ჯერ კოცნის, მერე გაშმაგებით ჩააფრინდება კბილებით.

●

მამა კვლავ დააპირებს შვილთან გასაუბრებას, მაგრამ ორიოდე სიტყვის თქმას ვერ მოასწრებს, რომ შვილი შეჰყვირებს:

— კარგი, მაგრამ მეცნიერება მასწავლის, როგორ შევაყვარო თავი?

— სიყვარულს გასწავლის!

— ეს სულ არ მჭირდება!

— სიყვარული! საბედისწერო მემკვიდრეობითობა! ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ერთგვარი საზრდოა და მეტი არაფერი! თვით ეს მარცხიც კი უნდა გამოიყენო! თავადაც ხომ გამოვცადე საკუთარ თავზე...

— შენ? — და ისე მიაშტერდება, ლამის თვალებით შეჭამოს, — შენ? შენ? — და გიჟივით ხარხარს მოჰყვება.

— მე, დიახ, მე, როგორ გგონია, ბიჭო, მარტო შენ შეგიძლია სიყვარული? დიახ, მეც, მეც მიყვარდა დედაშენი, მეც მიყვარდა და ამიტომაც გამოხვედი შენც ასეთი. სიყვარულის ნაყოფი რომ ხარ..

— სიყვარულის? მე და სიყვარულის ნაყოფი? ცდები!

— დიახ, შენ! მაგრამ ეს ჩემთვისაც კარგი გაკვეთილი იყო და კაცობრიობასაც კარგი სამსახური გაუწია, რადგან ახლა აშკარად გამოჩნდა, რომ მარტო პედაგოგიკის მეშვეობით გენიოსს ვერ შექმნი, სანამ სიყვარული ერთიანად არ აღმოიფხვრება!..

— ვთქვათ, რატომ არ შეიძლება, სიყვარულმა შექმნას პედაგოგიკა, მამა?

დონ ავიტო ერთი წუთით დაბნეული შეჰყურებს, მერე ამბობს:

— შენ წარმოიდგინე, ეს აზრადაც არ მომსვლია და თუმცა კი აბსურდულად მეჩვენება, მაინც შეიძლება რალაც გზაზე დაგაყენოს; ლობაჩევსკიც ხომ თავისი გეომეტრიის შექმნამდე იმ აბსურდულმა ვარაუდმა მიიყვანა, რომ წერტილიდან, რომელიც არ მდებარეობს წრფეზე, შეიძლება დავუშვათ ერთზე მეტი მართობი წრფეზე! მოდი და განავითარე ეგ აზრი და ვინ იცის, ეგებ შენც შექმნა მეტაპესტალოციისებრი პედაგოგიკა მეოთხე დიდაქტიკურ განზომილებაში. აი, სად გექნება ნამდვილი გასაქანი, შენი გენიალობა გამოავლინო.

— მამა, გულთან ასეთი თამაში არ გამოგადგება!

და ისინი ისე დაშორდებიან ერთმანეთს, რომ კვლავ ვერაფერზე შეთანხმდებიან.

●

დონ ავიტოს მეცნიერულ საფუძველს მოკლებული დაღვრემილობა უკიდურეს ზღვარს აღწევს. ახლალა ახსენდება დონ ფულხენსიოს, მისი დამლუპველის, ამ მისტიფიკატორის უცნაურზე უცნაური, ლამის გამაოგნებელი აზრები, მაინც როგორ ჰყავდა ამდენ ხანს მონუსხული იმ თავისი უკეთური აზრებით! ვთქვათ, თუნდაც გენიალობის დამამუხრუჭებელი საღი აზრისგან განკურნება ვითომ ჰისტოლოგიური მასაჟის მეშვეობით შეიძლებაო, — რომელიც თურმე გარკვეული სიხშირის დენით ხორციელდება და რომელიც ნერვიულ უჯრედებს ერთმანეთთან კავშირს შეაცვლევინებს, რაკი თავისი ფსევდოპოდიკური დაბოლოებებიდან გადაიხრება; ეს კი გახლავთ თავისებური ფსიქიკური მიკროქირურგია, რამეთუ ეს უკანასკნელი არხევს თავის ტვინის 612112000 უჯრედს, ეს კი გვაძლევს საშუალებას კეფისქვეშას სარგებლიანობაზეც ვიმსჯელოთ. ახლა მეორე თეზისზეც ვთქვათ, თითქოს გონებრივი მონოტონურობა განიკურნება ჟელატინის ინექციის მეშვეობით და ბოლოს ამბობს: არ მერჩივნა გენიოსის შექმნამდე ჯერ გენიოსის დედის შექმნაზე მეზრუნა? როსაზე სულ ავიღე ხელი, საბრალო, რალაც არ მომწონს, ძალიან არ მომწონს, სულ უკან და უკან მიდის, საამისოდ მისი მომზადების იმედიც არა მაქვს! არაფერში ხელი არ მემართება, არაფერში! მინდოდა აპოლოდორო სწორ გზაზე დამეყენებინა და აჰა, რა გინდა ქნა, შეუყვარდა!.. მინდოდა როსა ფიზიკურად მაინც გამეკაჟებინა, ის კი უფრო და უფრო დასუსტდა. ყველაფერი მარინას ბრალია, თავისი ხვევნა-კოცნით სულ მთლად დაღუპა!

XV

საბრალო აპოლოდორო ღამღამობით ბალიშს რომ კოცნიდა და კბენდა, ნელ-ნელა მშვიდდება და ეტყობა, ალარც ისე მწარედ განიცდის კლარიტას ღალატს, ის კი არადა, გულის სილრმეში კიდეც უხარია, ამ ცხოვრებასთან გამოთხოვების საბაბი რომ მიეცა და აკი ეს იყო მისი იდუმალი ოცნებაც. აბა რილასთვის უნდა იცოცხლოს, თუ არც მწერლად ივარგა და არც საქმროდ? ეგებ ბედმა თვითონვე გამოუტანა ეს განაჩენი, — გარდუვალი დეტერმინიზმი! — და კლარიტამაც ამიტომ მიატოვა! საბაბიც ამიტომ იყო საჭირო! და მას ერთგვარ ნეტარებასაც კი ჰგვრის კლარიტას მუხთლობა, ახსენდება თავისი სიყვარული, რომელიც ახლა პოეტურიც კი ეჩვენება, რამეთუ წარსულს ჩაბარდა. „ყველა სხვა მოკვდავთა მსგავსად მეც ამ ცხოვრების ზიზღი დამყვა დაბადებითვე და ამ თანდაყოლილ ზიზღს მერე შეეძენილმა მადამაც ვერაფერი უშველა, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე. ნეტავი რას იტყვიან, ამ ცხოვრებას რომ გამოვეთხოვო? რას იფიქრებს მამაჩემი? რამდენ თავსატეხსა და საფიქრებელს გავუჩენ! საბრალო! როგორ მოვიკლა თავი, ტყვია დავიხალო, კოშკიდან გადმოვვარდე თუ საწამლავი დავლიო? ეგებ ჩამოხრჩობა ჯობდეს! დედაჩემს რა ეშველება? დედა! და როსასაც! საბრალო როსა! მერედა, როგორი სუსტია! ჩემი სიკვდილით უფრო ხომ არ დავუჩქარებ ისედაც კარსმომდგარ აღსასრულს? იქნება ჯობდა ცოტა მომეცადა, ჯერ ის წასულიყო ამ ქვეყნიდან?“ ათასგვარი ბუნდოვანი მოგონებები წამოეშლება და თავისდა უნებურად წარმოთქვამს „მამაო ჩვენოს“ და ბოლოს დაამთავრებს: „და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა!“ — მაგრამ მაშინვე სადღაც სულის სილრმეში გაიხმიანებს დონ ფულხენსიოს ნათქვამი: „შვილები გააჩინე, აპოლოდორო, შვილები გააჩინე!“

სენიორიტო, ხომ არ ინებებთ, რომ...

— ეეჰ!

— წვნიანი უკვე მაგიდაზეა და...

— მაინც რა ჯანსაღი ხარ, პეტრა, რა ჯანსაღი! რა იქნებოდა შენი სიხალისე შეც გადმომდებოდა! მოდი აქ!

მაგრამ მოახლე გადის.

●

დონ ავიტო ახლა თავის გოგონაზე, როსაზე გადაიტანს მთელ ყურადღებას, მის აფუებაზე ფიქრობს, ბავშვი კი ქლოროზითაა დაავადებული და შესაბრალისად ჭკნება, ქრება სიცოცხლე თვალდათვალ და ველარაფერი მოაბრუნებს. მაგრამ მამა მეცნიერული საშუალებებით იწყებს ბრძოლას ურჩ ბუნებასთან, რამეთუ მეცნიერება... ოჰ, ეს მეცნიერება!..

ყველაფერი ამაოა, მეცნიერებაც ველარაფერს შველის, ბავშვის მდგომარეობა დღითიდღე უარესდება და უკვე საწოლიდანაც ველარ დგება. მამა კი მაინც გამწარებით იბრძვის, თუმცა ადრინდელ სიმშვიდესა და სიმტკიცეს კიდევ ინარჩუნებს, გვერდიდან არ სცილდება დონ ანტონიოს, მაგრამ აი, დადგება დღე, როცა ორივე დარწმუნდება, რომ მეცნიერება ამ შემთხვევაში უძლურია და რომ სიკვდილი უკვე ბავშვის სასთუმალთან დაყურსულა.

სიკვდილი? მაინც რა არის ეს სიკვდილი? ფიზიოლოგიური ფენომენი, სიცოცხლის შეწყვეტა. მერე, ცხოვრება რაღაა? რაღაა და, ფუნქციათა ერთობლიობა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს სიკვდილს, ნივთიერებათა ცვლა ორგანულ ცილებსა და გარემოს შორის, ორგანიზმის დეოქსიზაცია.

მომაკვდავი უკვე აზიარეს და ახლა მის საწოლთან [illegible], დონ ავიტო და აპოლოდორო. თავის სიზმრებში ისევ ისე ჩაფლული [illegible] ლოცულობს და ჩუმად ტირის, აპოლოდორო სიცოცხლესთან გამოთხოვებასა და უკვდავებაზე ფიქრობს, დონ ავიტო კი ამ უსასოობის წუთებში თავის ლექციას კითხულობს:

— ახლა უკვე შეწყდება სასიცოცხლო პროცესები; ციანოგენური ანდა როგორც ზოგიერთები უწოდებენ, ბიოგენური ნივთიერება დაშლის შედეგად კარგავს თავის აქტიურ ვალენტობას და მკვდარ ცილად გარდაიქმნება. რა შინაგანი ბიოქიმიური პროცესები აღინიშნება ამ შემთხვევაში?

როსა კი ამ დროს ლამის უკვე ჩონჩხადქცეულ ხელებს ასავსავებს, თითქოს რალაცას ეპოტინებაო, უჩინო თვალებს აქეთ-იქით აფეთებს, პირს აღებს და ხრიალს იწყებს.

— მართალი გითხრათ, კარგად არ მახსოვს ხრიალის ფიზიოლოგიური ახსნა!

მომაკვდავი გაყუჩდება. მამა მაჯას გაუსინჯავს, პირთან სარკეს მიუტანს, თუ დაიორთქლებაო.

— მეცნიერებას ჯერ კიდევ არა აქვს ეფექტური საშუალებები ზუსტად განსაზღვროს ადამიანის სიკვდილის ზუსტი დრო...

მარინა წამოდგება, მიცვალებულს კულულს მოაჭრის, აკოცებს, დაიჩოქებს და სახეზე ხელებს აიფარებს. აპოლოდოროც მიუახლოვდება დას საკოცნელად, მაგრამ მამა აჩერებს:

— არ გინდა, თავის შეკავება უნდა ისწავლო!

შვილი კი გულში ამბობს: „რა ლამაზია ახლა! სულ არ ეტყობა, რომ ასე იტანჯებოდა!“ — მერე ისიც კუთხეში დადგება და სახეზე ხელებს აიფარებს. მამა კი ისევ თავისას განაგრძობს:

— თუმცა ინდივიდი, როგორც ასეთი, უკვე მოკვდა, მისი სუბსტანცია ჯერ კიდევ ცოცხალია, ამ დროს გალვანური დენი რომ გავუტაროთ, კიდეც ამოძრავდება: ცილები ჯერ არ შედედებულა, უჯრედების მაქსიმალური კონცენტრაცია არ მომხდარა და გახევება არ დაწყებულა. კონცენტრაცია უკვე სიკვდილია, გაფართოება — სიცოცხლე; დაიმახსოვრე ეს, აპოლოდორო, და ერიდე კონცენტრირებას, ეცადე გაფართოვდე! რაო, ტირი?

— ჰო, მამა, ვტირი, შენზე ვტირი!

— ჩემზე? არ მესმის... და როცა გვამი უკვე გახევდება, ფრჩხილები და თმა ჩვეულებრივად განაგრძობს ზრდას, ასევე ცოცხლობენ თეთრი სხეულები და ლეიკოციტები, ეს ამებისმაგვარი უჯრედები. ვერ დააზუსტებ დროს, როდის წყდება სიცოცხლე და როდის იწყება კვდომა. სიკვდილი სიცოცხლისგან ვითარდება, ამას ფიზიოლოგები ნეკრობიოზს უწოდებენ, დონ ფულხენსიო კი — სიცოცხლის სიკვდილს...

„გააჩინე შვილები!“ — ჩაესმის აპოლოდოროს ამ სახელის გაგონებაზე.

— სიკვდილსაც თავისი სიცოცხლე აქვს, ასე ვთქვათ, თავისი ჰისტოლოგიური და მეტამორფიტული პროცესები... — და მარინას გვნესას რომ გაიგონებს, დასძენს: — ბუნებრივია! რამდენი რამ რჩება გასაკეთებელი კიდევ მეცნიერებას, ჩვენი ინსტინქტები რომ დაიმორჩილოს! — და თავის ოთახს მიაშურებს.

მარინა თავს ასწევს, თითქოს მძიმე ძილისგან გამოფხიზლდაო, შეშინებული თვალებით შეხედავს შვილს და შეჰკივლებს: „ლუის, ლუის, ლუის!" და აპოლოდორო დედას მკლავებს შემოხვევს, დედაც ჩაეხვევა, ასე გადახვეულები დგანან დედა-შვილი და ჩუმად ტირიან.

— როსა, როსა, ჩემო როსა, ჩემო სიცოცხლევ... ჩემო ლუის... ლუის, ლუის, ლუის, ჩემო ლუის, როსა, ჩემო როსა... ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო, ეს რა სამყაროა!.. ლუის... ლუის... ლუის... ლუის... ლუის...

— მამა...

— ჩუმად, აპოლოდორო... ლუის... ლუის... ჩემო ლუის... ლუის... ჩუმად... როსა... ჩემო როსა... როსა... როსა!..

— მაგრამ, დედა...

— სიკვდილი მინდა, ლუის... შენ არ გინდა სიკვდილი?

აპოლოდორო დახედავს მიცვალებულს და ამ სიტყვებზე ცახცახი აიტანს.

— დაწყნარდი, დედა!..

— ჩუმად, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, არ გააღვიძო... ხედავ, ჩაეძინა!..

ორივე ჩუმდება და ასე გეგონებათ, ყურს მიაპყრობენ საიდანღაც, შორიდან, უხილავი სივრციდან მომავალ ხმას და ამ სიჩუმეში სიტყვებიც კი ისმის თითქოს:

დაიძინე, პაწაწავ,
თორემ მოვა ბუა,
და წაიყვანს იმას,
ვისაც ცოტა სძინავს.

და ეს იდუმალი სიმღერა ასევე შორს მიყუჩდება:

დაიძინე, პატარავ,
დაიძინე მალე,
დაიძინე თორემ
დაიძინებს სიცოცხლეც
დედაშენთან ერთად!
დაიძინე პატარავ,
თორემ მოვა ბუა.

— დედა!

— ჩუუ! ჩუმად, თორემ ის მოვა, აპოლოდორო!

— არა, არ მოვა!

— არ მოვა?

— არა!

— დახედე, რა ლამაზია, ლუის, ჩემო ლუის, დახედე! როსა, ჩემო როსა, როსა, ჩემი ცხოვრების ყვავილო!

„ოჰ, კლარიტა!“ — ჩურჩულებს აპოლოდორო. დედა-შვილი მიცვალებულს თვალებს დაუხუჭავენ და გადიან.

●

და ახლა, ამ სიკვდილის შემსწრე აპოლოდოროს სულში ... უფრო ხმამაღლა გაჰკივის ინსტინქტი: „მოიპოვე უკვდავება!“ და ეს-გიჟურ-სურვილი იმ დღიდან უფრო აეკვიატა და გაუმძაფრდა, რაც კლარიტას შეხვდა ქუჩაში და ახლა უკვე თავს ვეღარც ერევა. და აი, რამდენიმე დღეს არ გაუვლია და ღამის სიბნელეში ისმის: „ჩუმად, ჩუმად... კლარიტა! კლარიტა! კლარიტა!“.. პეტრა რომ დაეყოლიებინა, რასაკვირველია, რაღაცრაღაცებს დაჰპირდა.

ორიოდე დღე რომ გავა და აპოლოდორო თავის საქციელს ჩაუფიქრდება, საშინელი სირცხვილის გრძნობა შეიპყრობს, საკუთარი თავი შეზიზღდება და ამბობს: დავტოვებ, ახლა კი დავტოვებ ამ ცხოვრებას! საბრალო პეტრა!

კლარიტას ქორწინების დღეც კარზეა მომდგარი, ნიშნობის შესახებ უკვე გამოაცხადეს.

●

რაიმე ანდერძის მსგავსი ხომ არ დამეწერა? არა, დაე ეს იყოს საზეიმო, სერიოზული აქტი, ყოველგვარი მაღალფარდოვნებისა და წინასწარი შეთანხმებების გარეშე და ამდენად ორიგინალურიც. სიკვდილის მერე ხომ მაინც აღარ დამცინებენ!

ზის თავისთვის და ფიქრობს აპოლოდორო: „დავისვენებ! დავისვენებ! სამარადისოდ რომ განვისვენებ! ერთი ბედუკულმართი კაცი ვარ, სამარცხვინო საქმეც ჩავიდინე, დამცინებენ, აბა რას იზამენ! არაფერში არ ვივარგე. ყველაფერს ისე მიწყობდნენ, რომ შემთხვევითობებისგან დაცული ვყოფილიყავი; საკუთარი თავის ამარად რომ ვრჩებოდი, სულერთია, მაინც სისტემის თანახმად ვიქცეოდი. ახლა მაინც ხომ გავიგებ, სად მივდივარ... რაც მალე იქნება, მით უკეთესი! თუნდაც მარტო ცნობისმოყვარეობისა თუ ცოდნისმოყვარეობის გულისთვის ღირს ამის ჩადენა... ბოლოს და ბოლოს ხომ დავაღწევ თავს ამ საშინელ პრობლემებს! მაგრამ ვაითუ იქაც არაფერი იყოს!“

კარზე დააკაკუნებენ.

— შემოდით!

— ღვთის გულისათვის, სენიორიტო, არ დაგავიწყდეთ...

— ნუ სწუხარ, პეტრა, ყველაფერი მოგვარდება, ახლა წადი, მარტო დამტოვე!

„რა უბადრუკი ვარ! რა სამარცხვინო საქმე ჩავიდინე! მშვიდობით, დედაჩემო, ჩემო ზმანებავ! გტოვებ ამ აჩრდილთა სამყაროში, მე კი ხილულ საგანთა სამყაროში წავალ; გტოვებ მოჩვენებებს შორის, მე კი ერთადერთ, მარადიულ სამყაროში დავისვენებ... მშვიდობით, კლარა, ჩემო სინათლევ და ჩემო სიბნელევ, ჩემო ტკბილო იმედგაცრუებავ! შენ მე მიხსენი პედაგოგიკისგან და კაცად მაქციე, დიახ, გენიოსობის კანდიდატი ადამიანად მაქციე... შენ მაინც გააჩინე შვილები, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი ადამიანები, შენი ცხოვრების თანამგზავრთან ერთად ამრავლეთ ბავშვები, ამრავლეთ სიყვარულით და არა პედაგოგიკის დახმარებით!

ეეჰ, გენიოსი! გენიოსები იბადებიან, მათ არ ქმნიან, და, ქმნიან ხვევნა-კოცნაში, აღერსში და სიყვარულის ყველაზე უფრო წმინდა წუთებში, წმინდა სიყვარულის წუთებში, დარწმუნებული ვარ, ქმნიან იმპულსურ, გაუცნობიერებელ წუთებში, გენიოსის ჩასახვის დროს მშობლები გონებას კარგავენ, მხოლოდ ისინი ჩასახავენ გენიოსს, ვისაც ისე უყვართ ერთმანეთი, როგორც სიზმარში, იმ დროს ვერაფერზე ვერ ფიქრობენ და ვერც კი ხვდებიან, რომ ჩასახავენ გენიოსს. რა სამწუხაროა, რომ ხვალ დილით უნდა გამოვეთხოვო ამ ცხოვრებას და დრო აღარ მრჩება ეს ბრწყინვალე თეორია განვავითარო! გენიოსის ჩასახვის წუთებში მშობლები გონებას კარგავენ. ის, ვინც იცის, რომ ბავშვი უნდა ჩასახოს, ის ჩასახავს ბავშვს, მაგრამ გენიოსს კი ვერა. ნეტავი რაზე ფიქრობდა მამაჩემი ჩემი ჩასახვის წუთებში? ალბათ კარიოკინეზზე, ანდა რაიმე ამის მსგავსზე. არა, პედაგოგიკაზე, ჰო, რა თქმა უნდა, პედაგოგიკაზე! სწორედ ასე იქნებოდა, გული მეუბნება! და აკი გამოვედი კიდეც... რა საცოდავი ვარ, რა სამარცხვინო საქმე ჩავიდინე!"

●

და ეს საათიც დადგება, იგი ჩაიკეტება თავის ოთახში, მაგიდაზე დგამს ტაბურეტს, იმარჯვებს თოკს და ჭერში, კაუჭზე ჩამოაბამს; ჯერ ჩამოეკიდება, მოსინჯავს, თუ გამიძლებსო, მერე გააკეთებს ყულფს, ჩამოიცვამს კისერზე და ტაბურეტზე შედგება. ერთი წუთით დაფიქრდება, ნეტავი სასაცილო ხომ არ ვიქნები ჭერში ლორივით ჩამოკიდებულიო, მაგრამ ბოლოს მაინც ამბობს: „ეს ამაღლებულია!" და ტაბურეტს ფეხს ჰკრავს. მგონი ვიხრჩობი, ოჰ, ვიხრჩობი! ფეხებით ტაბურეტს ეძებს, ხელებით თოკს ებღაუჭება, მაგრამ იმავე წუთში კარგავს გონებას და კარგავს სამუდამოდ.

დონ ავიტო რომ დაინახავს შვილი სადილზე აგვიანებსო, მის საძებნელად გავა, სახლს მოათვალიერებს და მის ოთახშიც შეიხედავს, შეიხედავს და ჭერზე ჩამოკიდებულს რომ დაინახავს, ერთი წამით ჩაფიქრდება, მერე მაგიდაზე შეხტება, თოკს გადაჭრის, იქვე მაგიდაზე დააწვენს, პირს გაუღებს, ენას ამოუწევს და რიტმულად იწყებს ენის ამოწევას, იქნება ჯერ დაგვიანებული არ იყოსო; ცოტა ხანში, თავისი გოგონას სიკვდილის მერე კიდევ უფრო ღრმა ძილში ჩავარდნილი დედაც შემოდის, ამ სურათის შემხედვარე მოწყვეტით დაეშვება სკამზე და გაოგნებული და თავზარდაცემული თავისთვის ბუტბუტებს: „ჩემო შვილო! ჩემო შვილო! ჩემო შვილო! ლუის! ჩემო შვილო!" ლოცვასავით წარმოთქმული ეს სიტყვები რიტმულადვე მიჰყვება ენის ამოწევის რიტმულ მოძრაობას და დონ ავიტოს ფიცივით ჩაესმის; უცხო გრძნობა დაეუფლება, თითქოს სულში რაღაც უცნაური ძვრები ხდება, თითქოს გულგვამი ერთიანად ენგრევა, ფეხქვეშ მიწა ეცლება, სივრცეში მიფრინავს, შეხედავს შვილის გაციებულ სხეულს, მერე ცოლს და ზარდაცემული შეჰყვირებს: „ჩემო შვილო!" მის ყვირილზე მატერია წამოდგება, მიუახლოვდება „ფორმას", თავზე აცახცახებულ ხელებს შემოაჭდობს, გახურებულ შუბლზე აკოცებს და გულის სიღრმიდან ამოხდება კივილი „ჩემო შვილო!"

— დედა! — საიდანღაც, არაცნობიერის სიღრმიდან ამოიკვნესებს უბედური პედაგოგი და უგრძნობლად დაეცემა ცოლის მკლავებზე.

სიყვარულმა გაიმარჯვა!

ეპილოგი

ამ რომანის წერას რომ შევუდექი, იმთავითვე ჩავიფიქრე, გამოქვეყნების პასუხისმგებლობასაც მე თვითონ ვიკისრებ-მეთქი, მით უმეტეს, რომ ადრე ერთი ჩემი თხზულებაც ასე გამოვეცი და საკმაოდ კარგადაც გავართვი თავი, მაგრამ ამჯერად სხვადასხვა გარემოებათა და გარკვეული მოსაზრებების გამო, სხვა გზა არ მქონდა და ეს წიგნი ერთ გამომცემელს მივანდე, ცხადია, ანაზღაურების პირობით. ეს გამომცემელი, როგორც ვიცი, აპირებს მთელ რიგ თხზულებათა სერიებად გამოქვეყნებას, ოღონდ, ეტყობა, მისთვის მთავარია გარეგნული ერთგვაროვნობის ზედმიწევნით დაცვა, ეს კი თავის მხრით, მოითხოვს, რომ დედანი ზუსტად თავსდებოდეს დადგენილ მოცულობაში, რამეთუ ყველაფერი, საერთოდ, და ლიტერატურული ნაწარმოები, კერძოდ, თურმე უნდა აიწონოს, გაიზომოს და დაითვალოს. რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ეს რომანი გამომცემლის მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებდა იმდენად პატარა იყო, და ჩემივე ნება-სურვილით დავურთე პროლოგი, მაგრამ ვერც ამან უშველა, დადგენილ მოცულობას მაინც ვერ მიუახლოვდა. ექვსიოდე დღის წინათ ხელნაწერი ჩემს ახლო მეგობარს სანტიაგო ვალენტი კამპს გავუგზავნე და აჰა, დღეს, 6 თებერვალს ვიღებ 1902 წლის 4 თებერვლით დათარიღებულ, ბარსელონის შტემპელიან წერილს, რომლის კონვერტზე ვკითხულობ: „ბარსელონის ათენეუმი. პირადად". და აი, რას მწერს ჩემი მეგობარი:

„დედანი უკვე სენიორ ენრიჩს გადავეცი და ამით ჩემი მოვალეობაც თითქმის მოვიხადე. თითქმის-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სენიორ ენრიჩთან და საამწყობო კასის უფროსთან ერთად დედნის ზედმიწევნითი შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ წიგნის მოცულობა და მეოთხედი მონაკვეთების რაოდენობა, შიდა რესურსების — თავების გაფორმება და სხვა, — გათვალისწინებით, 200 გვერდს არ აღემატება. იმედი მაქვს, თავადვე მონახავთ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან; მე კი ჩემის მხრით, ორ გზას შემოგთავაზებდით..."

და შემდეგ ჩემი მეგობარი მაცნობს იმ ორ გზას, რომელიც, მისი აზრით, მოაგვარებდა ამ სადავიდარაბო საკითხს. პირველი ისაა, რომ გაგრძელდეს პროლოგი, დაემატოს რომანს კიდევ ორი თავი, თუმცა კი არც თვითონაა დარწმუნებული, წიგნი ამით რაიმეს თუ მოიგებს და მეც ვეთანხმები, რადგანაც მაშინ ხელოვნების ეს ნაწარმოები ბუნებრიობასა და სიხალასეს დაკარგავსო. დიახ, „ხელოვნების ნაწარმოებიო", — ასე უწოდებს იგი ჩემს რომანს... მეც რომ დავფიქრდი, გადავწყვიტე, ეპილოგს დავურთავ-მეთქი, რადგან მაშინ უკვე შემოწმებული წიგნი სამ ნაწილად დაიყოფოდა და ასეთ სახეს მიიღებდა — პროლოგი, ლოგო და ეპილოგი, ოღონდ გულს მაკლია, რომ ერთის მხრით ხელშეკრულების პირობით ვარ შეზღუდული, ანუ მინდა თუ არ მინდა, 300 გვერდი უნდა შევავსო, ხოლო მეორეს მხრით, უდროობით, ანუ ვერ ვასწრებ კარგად შევისწავლო სამნაწილიანი სტრუქტურის რაობა და მოვნახო რაიმე მოდული, ე. ი. ოქროს კვეთის მსგავსი რამ, ესოდენ მნიშვნელოვანი როლი რომ ითამაშა არქიტექტურის ესთეტიკაში, ეს იმას ნიშნავს, რომ პროლოგი შეესატყვისებოდეს ეპილოგს და ამავე დროს ლოგო-ს, ხოლო ეპილოგი საშუალო პროპორციული იყოს პროლოგსა და ლოგო-ს შორის. ეს ეშმაკური ხერხი პირდაპირ ზედგამოჭრილი იქნებოდა ჩემს დონ ფულხენსიოზე, ყოველ შემთხ-

ვევაში, ეპილოგი წიგნის მოცულობის სადაო საკითხს მაინც მოაგვარებდა და თანაც „ხელოვნების ნაწარმოების“ ბუნებრიობასა და სიხალასესაც ბევრს ვერაფერს დააკლებდა.

უკვე ვხედავ, როგორ მოიღუშება და მოიქუფრება ზოგიერთი მეტნაკლებად ესთეტი მკითხველი ასეთი მდაბალი მერკანტილური მსჯელობისას „ხელოვნების ნაწარმოების“ ხსენებაზე, მე კი ამახობანი დროს ვიხელთებ და რამდენიმე შენიშვნასაც მოვასწრებ ხელოვნებისა და კომერციის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე, თანაც ეპილოგს რამდენიმე გვერდსაც მივუმატებ.

ნამდვილად მომბეზრდა ხელოვნების სიწმინდის გარშემო ეს გაუთავებელი სჯა-ბაასი; ვითომ ლიტერატურა ვერასოდეს მოიპოვებს იმ ადგილს, რაც ეკუთვნის, სანამ პროფესიად და შემოსავლის წყაროდ ითვლებაო, ხოლო ასეთი ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურული მოღვაწეობა ყოველგვარი შრომისაგან განსხვავებულ შრომად მოგვაჩვენონ, ხოლო პოეტის მოღვაწეობა — ხუროს, მიწის მუშის, ქვისმთლელისა თუ თერძის გარჯილობისაგან სრულიად გამორჩეულად, მე კი ასეთი საუბრები ძალზე სერიოზულ ხიფათად, ლამის დამლუპველ შეცდომად მიმაჩნია და მასში ქედმაღლობისა და უნაყოფო „სპილოსძვლისკოშკიზმის“ მეტს ვერაფერს ვხედავ. ამას ის გვერჩივნოს, მუშები და ხელოსნები თავიანთ თავს ხელოვანებს რომ უწოდებენ და არც ელოდებიან, სანამ ამ ტიტულს სხვები მიითვისებდნენ.

ამ თემაზე მსჯელობა კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, თუკი შუა საუკუნეებსაც გავიხსენებდით, როცა გოტიკური ტაძრების დიდებულ ნაგებობეს აშენებდნენ და ხელოვანიცა და ხელოსანიც ერთი და იგივე პირი იყო, როცა სჯეროდათ, ხელოვნება შრომამ შექმნაო, მაგრამ ეს საკითხები ზედმიწევნითაა დამუშავებული საგანგებო თხზულებებში, მე კი მარტო ის პრინციპები მინდოდა განმეხილა, რაც დონ ფულხენსიოსგან მომისმენია, და აი, რას ქადაგებდა იგი — თუ ხელოვნება შექმნა შრომამ, მაშინ შრომა კვლავ ხელოვნებად გარდაიქმნებაო, და თუ ფერწერას, მუსიკასა და ლიტერატურას თავდაპირველად გამოყენებითი დანიშნულება ჰქონდა, მომავალში ხელოსნობა, მიწის დამუშავება, კერვა, ვეტერინარია და სხვა, ნატიფ ხელოვნებად მოგვევლინებაო.

ალბათ მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ დონ ფულხენსიო ერთ დროს ჰეგელიანელობის დიდი ტრფიალი გახლდათ, მისი ტერმინები ისე ხიბლავდა, რომ შრომას თეზისს უწოდებდა, შრომისა და ხელოვნების შეპირისპირებას — ანტითეზისს, ხოლო თვით ხელოვნებას — სინთეზს. რამდენადაც შრომა თავდაპირველად განიხილებოდა როგორც ერთი მთლიანი, მის შიგნით მოხდა შრომისა და ხელოვნების დიფერენციაცია, ამიტომ ბოლოს მათი შერწყმა მაინც გარდაუვალია ისევ ხელოვნების შემწეობითო.

არსებითად ამქვეყნად ყველაფერი პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა წარმოშვა, ის კი არადა, მგონი, იმის მტკიცებაც შეგვიძლია, ჩვენი ტვინიც კი კუჭიდან წარმოიშვაო. ცნობისწადილმა და ცოდნისწადილმა კი არ მისცა დასაბამი და ბიძგი მეცნიერების განვითარებას, არამედ საარსებო წყაროს გამონახვის აუცილებლობამ. მერე კი ისე მოხდა, რომ ადრე თუ სახმარი იყო ნივთი, შემდგომში სამშვენისად გადაიქცა, მაგრამ იმის მინიშნება და იმედი შეგვინარჩუნა, რომ კვლავ ძველ დანიშნულებას დაიბრუნებდა. ალბათ ამიტომ უთქვამს ერთ ბრიტანელ მოაზროვნეს — კი არ

მახსოვს, რომელს, — რომ სილამაზე დაგროვილი სარგებლიანობაა, მე კი დავუმატებდი, სილამაზე სარგებლის შეხსენებაა და მისი განჭვრეტა-მეთქი.

ნატიფად წოდებული ხელოვნება პრაქტიკულად სასარგებლო მოღვაწეობამ წარმოქმნა, რაც იმის საშუალებას გვაძლევს ვამტკიცებთ, რომ პირველ ლექსებს დამწერლობის გამოგონებამდე თხზავდნენ [illegible] სწორედ იმისთვის, რომ უფრო ადვილად დაემახსოვრებინათ სასარგებლო აზრები თუ აფორიზმები, ამის მაგალითად თუნდაც ჩვენი ანდაზები გამოდგება. ამათგან უძველესი, ასე ვთქვათ, ნამარხი ქმნილებები ამგვარად ყლერს: „თუ გინდა ჯანის სიმრთელე შეინარჩუნო, ზამთრის სამოსს ზაფხულამდე ნუ მოიშორებო“, ანდა „სანამ მაისი ივნისისკენ პირს არ იზამს, თბილი ხიფთანი თან იქონიეო“. და სხვა მრავალი.

მოგვიანებით გაიმიჯნა შრომა და ნატიფად წოდებული, ანდა თუ გნებავთ, უსარგებლო ხელოვნება. ახლა კი იმასაც მოვესწარით, რომ მხატვრები, რომელთაც მხოლოდ ანტონომაზიის გამო უწოდებენ მხატვრებს, ანუ ისინი, რომელთა მოვალეობაა შექმნან მხატვრული ფასეულობანი, განსაკუთრებულ კასტას მიაკუთვნებენ თავიანთ თავს, გასაკვირი თავხედობით მოითხოვენ, რომ დაუშვებელია, ჩვენი მოღვაწეობა ისე დარეგულირდეს როგორც სხვათა შრომა, და ჩვენი ნახელავი შეფასდეს და ანაზღაურდეს ტარიფის მიხედვით, ანუ ისეთივე მტკიცე ფასები დაედოს, როგორც, ვთქვათ, მაგიდას, ჟილეტს ანდა ძეხვსო. ეს ყველაფერი აშკარად აღძრავს ეჭვს, რომ მათი უპირველესი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ფული მოხვეტონ, მაგრამ ამ დროს, ვულს შემოგეყრება ასეთი მხატვრის ქმნილებას ვიტრინაში რომ გამოფენენ, მართლაც ნათითხნ-ნაჯღაბს, და ფასი კი კარგი ადევს — 500 პესეტი. უნებურად მღვდლის ამბავი გაგახსენდებათ, რომელიც შემოწირულებებით ცხოვრობს, ჩვენ გვიქადაგებს ჯვარცმა ფასდაუდებელიაო და მერე კი ასეთ განცხადებას გადაეყრები — „ბატონი მღვდლები, რომლებიც ინებებენ წირვის ჩატარებას სან ბენიტოს ეკლესიაში, საათში მიიღებენ სამ, ოთხ, ხუთ და ექვს პესეტს დღის მონაკვეთის მიხედვით“.

სულ არ ვაქცევ ყურადღებას ხელოვნების ქურუმებს, — არც არიან ღირსნი, — რომლებიც ამტკიცებენ, ვითომ პოეტი, მუსიკოსი და მხატვარი თავისი ხელოვნების ხარჯზე კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ მისთვისო, მე მაინც დარწმუნებული გახლავარ, რომ ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ და როგორმე მოვიახლოვოთ ის დღე, როცა ყოველი ჩვენგანი იცხოვრებს შრომისთვის და არა შრომით, როცა ყველა შეიგნებს, რომ მაგიდის აწყობა, ტანსაცმლის შეკერვა, კედლის ამოყვანა თუ ქუჩის დაგვა-დასუფთავება ყველაზე უფრო ბუნებრივი ხელოვნებაა და ამაში გასამრჯელოს არც უნდა ელოდეს, და რომ ხუროც, თერძიც, ქვისმთლელიცა და მეეზოვეც საზოგადოებამ უნდა არჩინოს. ჯერ კიდევ რასკინმა წამოიწყო ინგლისში ხელოვნების წარმოებაში დანერგვის კეთილშობილური კამპანია, მაგრამ ჩვენ დანერგვა კი არა, მათი შერწყმა უფრო გვჭირდება. სამრეწველო ხელოვნების შესახებ მრავალი წიგნია დაწერილი, თუმცა ზოგიერთს ეს ტერმინი არ მოსწონს და „მხატვრულ რეწვას“ გვთავაზობს. კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ტერმინს, თუნდაც „სამრეწველო ხელოვნება“ ვთქვათ, თუნდაც „მხატვრული რეწვა“, ოღონდ კი საქმე მათ შერწყმამდე მივიდოდეს.

მაგრამ რა შერწყმაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ლიტერატორები, მხატვრები, მუსიკოსები და მოცეკვავეები ხელსაც კი გვიშლიან იმ თავიანთი ქედმაღლური პრეტენზიებით, ესაო და სხვათა შრომა ჩვენთან რა სახსენებელიაო, სწორედ რომ ჩვენ გვეკუთვნის განსაკუთრებული ადგილიო. მაგრამ როდის მიხვდებიან და გაიზიარებენ ერთმეორის — ხვედრს კაპიტალის უღელქვეშ რომ აღმოჩნდებიან, როდის იგრძნობენ თავს ძმებად საერთო ეკონომიკური მონობის ჭაპანში გვერდიგვერდ რომ აღმოჩნდებიან. როდესაც პოეტი მიხვდება, რომ არ შეუძლია არ წეროს სონეტები, ანდა მისი თანამოძმე, რომ არ შეუძლია, არ დაწნას კალათები, ხარაზი — რომ არ დააკეროს ფეხსაცმელი; ეგებ მაშინ მაინც გაერთიანდნენ საყოველთაო განთავისუფლების სახელით და ყოველი ხელობა აღამაღლონ ხელოვნების დონემდე, დიახ, ყოველი ხელობა, განურჩევლად: აბა, რა სიკეთეს უნდა ელოდე ისეთი ხელოვნებისგან, რომელიც ვითომ ხელგაშლილი ეგებება შრომას, მაგრამ შორიდან, ზეციური სამყაროდან კი ეპატიჟება, „ამოდი აქაო!" კეთილ ინებოს და თვითონ ჩამობრძანდეს, თვითონ ჩაეშვას იმ ჯოჯოხეთის ცეცხლში, სადაც შრომა იწვის და იკრუნჩხება ნელ ცეცხლზე, დაე მასთან ერთად დაიწვას და დაიკრუნჩხოს. თუ შერწყმაა, სწორედ იქ უნდა შეერწყან ერთმანეთს, იმ საერთო გაჭირვებაში და მერე, რაკი მაინც ასერიგად მიილტვის ზეციური სფეროებისა და თავისუფლებისკენ, დაე, ამაღლდეს კიდეც ცად, ოღონდ თან შრომაც წაიყოლოს, თუ არადა, არ დადგება დღე, როცა თავისუფალი შრომა გადაიქცევა ცხოვრებისეული ენერგიის ბუნებრივ გამოვლინებად, ისეთ მოღვაწეობად, ძალდატანება რომ არ სჭირდება, შემოქმედებად, რომელიც სილამაზეს ემსახურება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გახდეს ცხოვრება ხელოვნების ქმნილება, ხელოვნება კი — ცხოვრებისა, როგორც იტყოდა დონ ფულხენსიო, ამგვარ ფორმულირებათა დიდი მოყვარული.

აი, ასეთი დოქტრინა დავამუშავე ჩემი დონ ფულხენსიოს შეგონებით, ამ ანგარიშიან-საქმოსნური მოტივების გასამართლებლად, რამაც მიბიძგა და წამაქეზა ხელოვნების ნაწარმოებზე საფასურიც კი ჩამომეკიდა.

●

ამ ეპილოგის აუცილებლობა რომ გავამართლე და კიდეც დავასაბუთე, ახლა ერთიც მინდა გითხრათ, სანამ ამ რომანს დავასრულებდი, მისი გეგმა და შინაარსი ერთ ჩემს მეგობარს გავაცანი, მაგრამ ძალზე გულნაკლული დარჩა, წიგნს საბრალო აპოლოდოროს თვითმკვლელობის სცენით რომ ვამთავრებდი, ესოდენ უსასოო, პესიმისტური დასასრული არ მოეწონა და მირჩია, რაიმე სხვა გამოსავალი მოძებნეო. „ეგებ სხვა ისეთი რამ მოიფიქროთ, — მითხრა მან, — რომ ცხოვრებამ გაიმარჯვოს, საბრალო ყმაწვილი აჯანყდეს, თავი დაიხსნას იმ პედაგოგიკისაგან, დაოჯახდეს და ბედნიერებას ეწიოს. თუკი ამას შესძლებთ, პირობას გაძლევთ, მე თვითონ ვთარგმნი ინგლისურად, მათ ხომ ასეთი რამეები ძალიან უყვართ, — და დარწმუნებული ვარ, წიგნს ინგლისში დიდი წარმატება ექნება". ჩემი მეგობრის მსჯელობას რომ ჩავუფიქრდი და, რაც მთავარია, ცდუნებას ავყევი, ურიგო მართლაც არ იქნება ეს ჩემი რომანი ინგლისელმა საზოგადოებამაც გაიცნოს-მეთქი, ცოტა კი შევფოფმანდი, ეგებ მერთლა დასასრული შევცვალო, ოღონდ საერთო პრინციპული გადაწყვეტა იგივე დავტოვო-მეთქი. მაგრამ ძალზე გამიჭირდა, სილრმისეული არაცნობიერის ლო-

გიკა კვლავ და კვლავ მაბრუნებდა პირვანდელი იდეისკენ. მაშინ ვიფიქრე, იქნება ვცადო და რომანის სიუჟეტური ხაზი შუაზე გავყო, ასევე ორად გავყო ფურცელი და თხრობა ორ სვეტად გავანაწილო-მეთქი. ამით მკითხველს საშუალებას მივცემდი, რომელიც მოუნდებოდა და მოეწონებოდა, ის დასასრული აერჩია. მართალია, ეს აზრი, როგორც ვიცი, ორიგინალური არ არის, მაგრამ საკმაოდ მარჯვეა.

ბიბლიოთეკა

რომანის ასე შუაზე გაყოფა არც ისე აშკარა უაზრობაა, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, რადგან სინამდვილეში ხომ ყოველ ამბავს თავისი და ერთი დასასრული აქვს და რაც ერთხელ მოხდა, სხვანაირად აღარ მოხდება. ხელოვნება სულაც არ არის ვალდებული, მორჩილება გამოუცხადოს დეტერმინიზმს, უფრო მეტიც, ჩემის აზრით, ხელოვნების მიზანი სწორედ ისაა, თავი აარიდოს დეტერმინიზმს, თუნდაც პირობითად და არ სცნოს ყოველივე არსებულის ფატალური გარდუვალობა... ერთი სიტყვით, არა მარტო ლოგიკამ, არამედ უფრო სხვა სერიოზულმა უხერხულობამ არ დამანება მეძებნა სხვა გამოსავალი.

რაც შეეხება დასასრულს, სხვა ვერაფერს მოვიფიქრებდი, რადგან მე ხომ თვითონ არ მიმინიჭებია სიცოცხლე არც დონ ავიტოსთვის, არც მარინასთვის და არც აპოლოდოროსთვის, მათ თავად მოიპოვეს ჩემში ეს სიცოცხლე არსებობის არარაობაში ხეტიალის შემდეგ...

შეიძლება მკითხველს იმის გაგებაც უნდოდეს, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა აპოლოდოროს ტრაგიკულმა აღსასრულმა დონ ფულხენსიოზე, ფედერიკოზე, კლარიტაზე ან მენაგუტიზე, ან რა ბედი ეწიათ მატერიასა და ფორმას მას შემდეგ, რაც შვილები დაკარგეს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, მე რომ დონ ავიტოსა და მარინას ფორმასა და მატერიას ვუწოდებ, ამთავითვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ეს ტერმინები უკვე ჩემამდე გამოიყენეს და ამას ასე საგანგებოდ იმიტომ ვაცხადებ, რომ ვინმემ პლაგიატი არ დამწამოს. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ახლა ვკითხულობ მოლიერს და რომანის დამთავრებისა და ბარსელონაში გადაგზავნიდან სამი-ოთხი დღის შემდეგ პიესაში „მეცნიერი ქალები", IV მოქმედების პირველ სცენაში წავაწყდი ოთხტაეპიან ლექსს, რომელსაც ფილამინტა წარმოთქვამს:

> მე კი ვაჩვენებ, ორთაგან რომელს
> გონების ძალით მორჩილებს იგი,
> ვინ წარმართავს უფრორე სწორად,
> დედა თუ მამა, სული, თუ ხორცი
> ფორმა თუ მატერია.

როგორც ვხედავთ, ფილამინტა მექორწინე წყვილს, ანუ ქმარსა და ცოლს სწორედ მატერიასა და ფორმას უწოდებს, ოღონდ ჩემს საპირისპიროდ, თუ მე დონ ავიტოს, ანუ ქმარს ვთვლი ფორმად და ცოლს მატერიად, ფილამინტა თავის თავს უწოდებს ფორმას, ხოლო კრიზალს, თავის ქმარს — მატერიას; ეს სხვაობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მოლიერის კომედიაში სწავლული გახლავთ ქალი, ჩემს ნოველაში კი — კაცი. მაშასადამე, მატერია და ფორმა მექორწინეთა მამაკაცურობასა და ქალურობას კი არ განსაზღვრავს, არამედ ცოლის ან ქმრის განსწავლულობაზე მიგვანიშნებს.

ახლა კი ჩემო მომთმენო მკითხველო, დავანებოთ თავი ამ მეტაფიზი-

კურ ქარაგმებს და მთელი ამ მეტაფიზიკიდან დავტოვოთ ერთი პუნქტი, რომელსაც ძალიან მარჯვედ იყენებდა ხოლმე არტილერიის ერთი სერჟანტი, რომელიც ისე გახდა ჰეგელიანელი, თავადაც არ იცოდა, ისევე როგორც ჟურდენი, — არ დაგავიწყდეთ, ახლა მოლიერს რომ ვკითხულობ, — სულ ვერ ხვდებოდა, მთელი ცხოვრება პროზაულად რომ ლაპარაკობდა! და აი, რას ეუბნებოდა ეს სერჟანტი თავის ჯარისკაცებს:

— იცით, როგორ აკეთებენ ზარბაზანს? არა? ერთი სიტყვით, ზარბაზნის დასამზადებლად იღებენ ცილინდრულ ლრუს, დაფარავენ რკინით და აჰა, ეგეც თქვენი ზარბაზანი!

თუკი ზარბაზნის ცარიელ ლრუს სულს უწოდებენ, მაშინ მეც შემიძლია ასე ვთქვა: ვიღებ სულს, შევმოსავ ხორცით და მივიღებ ზარბაზანს-მეთქი.

მეც სწორედ ასეთი მეტაფიზიკური პროცედურა ჩავატარე — მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, როცა ჩემი რომანის პერსონაჟებს ვქმნიდი, მეც ასე ვიღებდი ხოლმე ცარიელ ადგილს, შევავსებდი სიტყვებითა და მოქმედებებით და აჰა, ესეც თქვენი დონ ავიტო, დონ ფულხენსიო, აპოლოდორო და სხვანი და სხვანი.

მაგრამ თუ ვინმე მეტყვის, ამას სულაც არ ჰქვია მხატვრულობა, რაც უნდა მეტაფიზიკური ლირსებები ჰქონდესო, მე ვუპასუხებდი, ჯერ შენი თავი შეისწავლე როგორც ჯერ არს, კარგად დაინახე, რაც შენი სიტყვისა და საქმის მიღმა იმალება და მერე მიხვდები, რომ ჩვენი ხორცის ჯავშანი ასეა თუ ისე, სწორედ ცილინდრულ ლრუს ფარავს-მეთქი.

კვლავ მივუბრუნდები ადრე ნათქვამს და მოგახსენებთ, რომ ჩემი მეგობრის, ვალენტი კამპის წერილმა მეც ლრმად ჩამაფიქრა და გადავწყვიტე, გამეგო, მაინც რა იფიქრეს ან რა მოიმოქმედეს დონ ფულხენსიომ, დონ ეპიფანიომ, მენაგუტიმ, ფედერიკომ ან კლარიტამ, როცა აპოლოდორის სიკვდილის ამბავი შეიტყვეს.

დავიწყებ მენაგუტისაგან; როცა სილამაზის ქალღმერთის ამ ჩვენმა ქურუმმა თავისი მეგობრის სიკვდილის შესახებ გაიგო, სინდიყით მოწამლულივით აცახცახდა და ლრმა საგონებელში ჩავარდა, ერთ დღესაც, აპოლოდოროზე ფიქრებით დამძიმებული შინისკენ რომ მიდიოდა, — და სწორედ ეკლესიის წინ უნდა ჩაევლო, — დაინახა ლია იყო, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მხედავსო, უცბად შევარდა, სიჩქარეში ფეხიც კი წამოჰკრა ზღურბლს. კუთხეში დაიჩოქა, თავისი მეგობრის სულის მოსახსენებლად „მამაო ჩვენო“ წაიკითხა და უფალს შეევედრა, რწმენა მიწყალობეო. დიახ, იმ უფალს შეევედრა, რომელიც არ სწამდა. ახლა საბრალო გამოფიტვის უკანასკნელ სტადიაშია, ლამის უკვე ჩონჩხადქცეული, ხველებას ფილტვების ნარჩენებს აყოლებს და მაინც ჯიუტად ცდილობს მოკლას ღმერთი, ის ღმერთი, რომელსაც ჩუმად შესთხოვდა რწმენას. და სანამ სიკვდილი სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდება, გამალებული წერს წიგნს „ღმერთის სიკვდილი“.

ჩვენთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ კლარიტამ, როცა მისი ყოფილი საქმროს სიკვდილის ამბავი მოუტანა ქმარმა, შესძახა: „საბრალო აპოლოდორო! ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ... — და მერე გაიფიქრა: — კიდევ კარგი, უარი ვუთხარი, თორემ ცოლად რომ გავყოლოდი და მერე ჩაედინა ეს...“

ფედერიკომ კი გაიფიქრა: „სწორად მოიქცა, აბა, რისი მაქნისი ის

იყო..." მერე ცოლს აკოცა და მაშინვე სცადა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, განსვენებულის ხატება კიდევ არაერთხელ გამოეცხადება და ის შეხვედრაც არაერთხელ გაახსენდება მდინარის პირას, დამხრჩვალი ქაცის გვამი რომ მოჰქონდა წყალს.

დონ ეპიფანიომ რალაც კი ჩაიბუტბუტა თავისთვის: „ეს აპოლო, ეს აპოლო, ვინ იფიქრებდა!.." — მაგრამ იმ ღამეს, ძილის წინ, ისევ მისი ცოლი ჩვეულებრივზე დიდხანს ჩურჩულებდნენ, ეტყობა, სინდისი მაინც ქენჯნიდათ, რამეთუ მათაც, ისევე როგორც ჩემი ნამდვილი ამბის პერსონაჟებს, — რაც არ უნდა ილაპარაკონ — სინდისის გრძნობა ნამდვილად გააჩნიათ.

რაც შეეხება ჩვენს დაუშრეტელ დონ ფულხენსიოს, არავის ძალუძს აღწეროს აზრების ის მორევი, მის გონებაში რომ დატრიალდა, როცა თავისი მოწაფის დალუპვის ამბავი შეიტყო. ჩვენ მარტო ერთი გავიგეთ, იგი ღრმად ჩაუფიქრებია საკითხს, არის თუ არა სიკვდილი მეტადრამატული მომენტი და ახლა, როცა იხსენებს აპოლოდოროსთან უკანასკნელ შეხვედრას და ჰეროსტრატეზე საუბარს, დონ ფულხენსიოს რალაც უსიამო ჟრუანტელი ჩაურბენს ხოლმე ზურგში, რადგან დროდადრო მაინც გაუელვებს აზრი, ამ საბედისწერო გადაწყვეტილებისკენ ჩემდა უნებურად მე ხომ არ ვუბიძგეო. მისი მწუხარება გულწრფელია, ნამდვილია და ეს ტკივილი იდეებად კრისტალდება, იგი უკვე ფიქრობს შეისწავლოს თვითმკვლელობის რაობა სიცოცხლის სიკვდილის, სიცოცხლის სიკვდილის უფლებისა და სიკვდილის მოვალეობის თვალსაზრისით.

და მაინც, ჩვენი აპოლოდოროს ძალადობრივი სიკვდილი თუ ვინმემ განიცადა, ყველაზე მეტად და ღრმად ისევ პეტრამ განიცადა, მოსამსახურე გოგონამ, პეტრილიამ. აი, დიდებული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გონებრივი შეზღუდულობა და ხასიათი შეერწყას ჭეშმარიტად ღრმა და სათუთ გრძნობებს. ამ საბრალო გოგონას, — დონ ფულხენსიოს თეორიების მსხვერპლს, რასაც დაემატა აპოლოდოროს მოახლოებული სიკვდილით კიდევ უფრო გამძაფრებული ინსტინქტი, მან ხომ კარგად იცოდა, რომ თავი უნდა მოეკლა, — დიახ, ამ საბრალო გოგონას თავისდა საუბედუროდ პოსტ ფაქტუმ შეუყვარდა თავისი სენიორიტო, მამა ბავშვისა, რომელსაც ახლა მუცლით ატარებს. პეტრა სრულიად მარტო გრძნობს თავს, თუმცა ამავე დროს ქვრივად და დედადაც წარმოიდგენს, უიმედობისა და სასოწარკვეთილების წუთებში უკიდურეს ზომებზეც კი ფიქრობს.

დარდი გულს ულრღნის უბედურ ავიტოსა და მის ცოლს, მაგრამ ამ საერთო ტკივილმა მათ ერთმანეთი აპოვნინა, ახლა კარასკალი წაიღო ძილმა, მარინა კი გამოფხიზლდა, ის კი არადა, საბრალო მატერია იმასაც კი ელირსა, რომ ფორმა ახლა მის გვერდით მოიყრიდა ხოლმე მუხლს და ორივე ერთად აღავლენდნენ ლოცვას უფლის მიმართ. და უკვე მას ნელ-ნელა ახსენდება ბავშვობაც, პირწმინდად დავიწყებული რომ ეგონა. ესოდენ ღრმად დამწუხრებულებს მაინც არ გამოჰპარვიათ მოსამსახურის მეტისმეტად მგლოვიარე იერი და ძალზე დარდიანი გუნებ-განწყობა. ამ ალმოჩენამ კი ზოგიერთი წვრილმანიც გაახსენათ, მერე თანდათან სხვა მოგონებებიც გაცოცხლდა და ყველაფერმა ერთად ამოაცნობინათ ის სამწუხარო და მწარე სინამდვილე, რაც საბრალო პეტრილიას მანამდე აუწსნელი მწუხარების მიღმა იმალებოდა.

და აი, ერთ დღესაც დონ ავიტო თავისთან იხმობს მოსამსახურეს, ეკი-

თხება და ისმენს ალსარებას დარცხვენილი გოგონასაგან, საბრალო ცრემლებად ილვრება, ხოლო ასევე საბრალო კაცი დაუყვავებს და დაამშვიდებს, რადგან უკვე პაპადაც წარმოიდგენს თავს.

— ნუ იდარდებ, პეტრილია, ნუ სწუხარ, ამიერიდან შენ იქნები ჩვენი ქალიშვილი და ჩვენთან ერთად იცხოვრებ, ხოლო შენს შვილს ჩვენს შვილიშვილად ვალიარებთ. არაფერს მოვაკლებთ, ვიზრუნებთ მასზეც და შენზეც. მე თვითონ აღვზრდი მას... მე აღვზრდი... მაგრამ ის უკვე აღარ განმეორდება, რაც აპოლოდოროს დაემართა... არა, არა, ის აღარ განმეორდება, ფფიცავ... მე აღვზრდი მას, დიახ, მე აღვზრდი და აღვზრდი პედაგოგიკის ყველა წესის მკაცრი გათვალისწინებით, უკვე ველარ ჩაერევა დონ ფულხენსიო თუ დონ ტენებრესიო, ველარავინ დალუპავს, მაგრამ არც სხვა ბავშვებს გავაკარებ, მე თვითონ აღვზრდი, მარტო მე... გამოცდილებაც უკვე შევიძინე, წარსულის წყალობით... მე აღვზრდი მას და აღვზრდი გენიოსად, პეტრილია, გარწმუნებ, შენი შვილი გენიოსი იქნება! დიახ, მე მისგან გენიოსს გამოვიყვან და აღარ დავანებებ, ასე სულელურად შეუყვარდეს! ის იქნება გენიოსი.

ამ სიტყვებმა ისე დაამშვიდა პეტრილია, რომ იფიქრა, ყველაფერი ისე მოეწყო, უკეთესს ვერც ვინატრებდიო.

როდესაც მარინამ ეს ამბავი გაიგო და ქმრის ესოდენ სულგრძელი გადაწყვეტილებაც ძალიან მოეწონა, ჯერ ქმარს მოეხვია ასეთი კეთილშობილების გამოჩენისთვის, მერე კი თვალცრემლიანმა გულში ჩაიკრა გოგონა, რომელიც აქამდე მისი მოსამსახურე იყო, იყოო იმიტომ ვამბობთ, რომ უკვე გადაწყვიტეს სხვა მოსამსახურე მოეწვიათ, ხოლო პეტრილია მათთან ქალიშვილის პირობაზე, საბრალო აპოლოდოროს ქვრივად დარჩენილიყო.

— ერთი სიტყვით, მარინა, ძალზე კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით, ასე უნდა იქცეოდეს ყველა პატიოსანი ადამიანი, ანდა, როგორც ამბობენ, გონიერი ადამიანი და მით უმეტეს ახლა, როცა დავკარგეთ ჩვენი...

— გაჩუმდი, ავიტო, ნულარაფერს იტყვი...

— კეთილი, მაგრამ მე... მე ის მინდოდა მეთქვა, რაკი აღარა გვყავს ჩვენი... მე... ჩემთვის აუცილებელია მყავდეს ვინმე, რომ ჩემი პედაგოგიური მეთოდი გამოვცადო, მაგრამ უკვე ყველა წესის დაცვით-მეთქი...

— ღვთის გულისათვის, ავიტო, ღვთის გულისათვის, გაჩუმდი, გაჩუმდი! — შესძახებს საბრალო მარინა და გრძნობს, როგორ უმძიმდება ქუთუთოები და ისევ აწვება ძილქუში.

— ეს ხომ...

— ღვთის გულისათვის, ავიტო, ღვთის გულისათვის! ნუთუ ისევ...

— არა, ის აღარ განმეორდება... რაც მოხდა, იმიტომ მოხდა, რომ ხელი შემიშალეს და ჩემი სისტემა სათანადოდ ვერ გამოვიყენე... ახლა კი ნახავ, ნახავ...

— ეს რა სამყაროა, უწმინდესო ქალწულო, ეს რა სამყაროა!.. — და მარინა უკვე გრძნობს, როგორ უმძიმდება ქუთუთოები და უხშობს სულიერ ხედვას. ხოლო პეტრილია, ფრიად კმაყოფილი თავისი ახალი როლით, ქალიშვილისა და ქვრივის ახალი როლით, ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს და ვერაფერი გაუგია, ვერ ხვდება რაზე ლაპარაკობენ, თუმცა გუმანით გრძნობს, იმის მომავალს ეხება, მკერდქვეშ რომ ეზრდება.

და ახლა საბრალო კარასკალი ძალიან ფრთხილობს, ცოლის ჩუმად ეძახის ხოლმე პეტრილიას და ეუბნება:

— პეტრილია, ლობიო გიყვარს?

— აბა რა! რატომ მეკითხებით?

— ისე, უბრალოდ, ყოველ შემთხვევაში, რაც შეგეძლება, მეტი ჭამე ხოლმე, გესმის? რაც შეიძლება მეტი, ოღონდ მოუნელებლად ერდაგემართოს, მაგრამ იცოდე, ამაზე მარინასთან სიტყვა არ წამოგცდეს, გაიგე? ამის შესახებ არაფერი უთხრა!

და როცა პეტრილია წასვლას დააპირებს, კვლავ მოაბრუნებს და უმეორებს: იცოდე, მასთან არაფერი წამოგცდეს, არაფერი... დაიმახსოვრე! ახლა ლობიოზე უფრო არაფერი გარგებს!

თავისი როლით ძალზე კმაყოფილი პეტრილია ილიმება და თავისთვის ამბობს: საბრალო კაცი! კარგად არ არის! მეც რა მენაღვლება, ცოტას მაინც გავართობ!

— — — — — — — —

და აი ასე და ამგვარად, ნელ-ნელა ვავსებ ჩემი ეპილოგის ფურცლებს, ვწყვეტ თხრობას და ამბავს ასე დაუსრულებელს ვტოვებ, ეგებ მერე დავუმატო მეორე ნაწილიც, თუკი პირველს წარმატება ექნება.

●

აქ ვწყვეტ ჩემს ეპილოგს და იმ დრომდე ვიცდი, სანამ არ მივიღებ პასუხს ჩემს წერილზე, რომელიც დღეს გავგზავნე ბარსელონაში იმის გასაგებად, რამდენ მეოთხედს შეადგენს ჩემი ხელნაწერი — პროლოგი და ლოგო; რაკი გამომცემელი მოითხოვს, რომ გვერდების რაოდენობა იყოს არა ნაკლებ 272, ხოლო მე გავაგზავნე დაახლოებით 219, ე. ი. 53 ნაკვეთი კიდევ აკლია, თავადვე უნდა მოვძებნო გამოსავალი და როგორმე შევავსო x რაოდენობის მეოთხედები; დავუშვათ, ხელნაწერის მოცულობა აღვნიშნეთ n, რაც უნდა ჩაიბაროს გამომცემელმა, მაშინ მივიღებთ ასეთ პროპორციას 219:53:281 n:x, საიდანაც $X=\frac{281\times 53}{219}=67$ მეოთხედს, მაგრამ ალარ გავაგრძელებ, არ მინდა მკითხველის მოთმინება ბოროტად გამოვიყენო.

სხვათაშორის, დღეს სასეირნოდ რომ გავედით მე და ჩემი მეგობარი, ექიმი და პუბლიცისტი, ვისაც ეს ეპილოგი წავუკითხე და მისი შექმნის ამბავიც კარგად მოეხსენება, იდეათა ბუნებრივ ასოციაციათა წყალობით, მაშინვე გაიხსენა ლოპე დე ვეგას ერთი ძალიან ცნობილი სონეტი, რომელიც იწყება ამ სიტყვებით:

ვიოლანტამ ბრძანა სონეტი შემეთხზა,
მე კი ცხოვრებაში ეს არც კი მიცდია...

ამ ეპილოგს რომ დავასრულებ, ჩემი წერილის პასუხის შესაბამისად, მეც ავდგები და დასკვნისათვის ამავე სონეტის შემდეგ ტერცეტს მოვიშველიებ.

ჩვენ გავიხსენეთ ასევე ერთი მეტად მახვილგონივრული ამბავი, — ანდა რატომაც არა, — რომელსაც ჩვენი ლიტერატურის ერთადერთი და უბადლო იუმორისტი გვიყვება თავისი უკვდავი ქმნილების მეორე ნაწილში „პროლოგი მკითხველისადმი". ეს გახლავთ ერთი შეშლილის ამბავი, რომელსაც მეტად უცნაური ზნე სჭირდა — დაიჭერდა ქუჩაში ან სადმე სხვაგან ძაღლს, ერთ თათზე ფეხს დაადგამდა, მეორეს აუწევდა ხელით, სხეულის უკანა ნაწილში დიდის გულმოდგინებით ჩაუდგამდა მილს და იქამდე უბერავდა სულს, სანამ ძაღლი ბურთივით არ დამრგვალდებოდა, მერე ორჯერ შემოჰკრავდა მუცელზე ხელს და გაუშვებდა, ამის შემდეგ მიუტრიალდებოდა გარსშემოხვეულ სეირის მაყურებლებს (რომლებიც ამ დროს ბლომად შეიყრებოდნენ ხოლმე) და ეტყოდა: „თქვენო მოწყალებავ, ხომ არ გგონიათ, იოლი საქმეა ძაღლის გაბერვა?"

ჩემო მომთმენო და კეთილშობილო მკითხველო, იქნებ შენც ფიქრობ, რომ ნაკლები გარჯა სჭირდება ეპილოგის შეთხზვას, თუნდაც სერვანტესის შემწეობით? ამას მაშინ გეტყვით, როცა ბოლომდე მივიყვან, მერე კი ჩვენი დიდი იუმორისტის კვალად იმასაც გეტყვით, — „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტე ლამანჩელი" პირველი ნაწილი, პროლოგი, — რომ თუ მე კარგა დიდი ჯაფა გავწიე ჩემს რომანზე, უწინ ეს პროლოგსა და ეპილოგს ეხება, რითიც იწყება და მთავრდება წიგნი, დიდი სურვილი კი მქონდა ასე სუფთა, მოურთველ-მოუკაზმავი, პროლოგისა თუ ეპილოგის გარეშე მომერთმია ეს წიგნი შენთვის, ისიც კი გადავიფიქრე, რომ შენიშვნები დამერთო, როგორც ვალტერ სკოტის რომანებს აქვთ ხოლმე, სოლიტარიომ გალეტერიო ესკოტოდ რომ მონათლა და ჩვენც, ესპანელებს გვირჩევს ასე ვუწოდოთ.

მე კი ვიცი, რომ ამგვარი წილადობილები და გაჭიანურებები ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ძალზე მოსაწყენი და არასერიოზული მოეჩვენება, მაგრამ იმის იმედი უფრო მაქვს, ასეთი მკითხველები დიდხანს მაინც რომ არ შეაჩერებენ თავიანთ მკაცრ მზერას ამ სტრიქონებზე და ისევე იოლად შემელევიან მე, როგორც მე მათ, ოღონდ ის კი არ ვიცი, რომელი დარჩება მოგებული, მე თუ ისინი.

მაგრამ აქ მე უკვე ველარას გავაწყობ. ჩემი ბუნება ბუნებრივად განმაწყობს ხოლმე იმგვარი მასლაათისთვის, როდესაც დიდად არ ვზრუნავ აზრთა თანმიმდევრობასა თუ წყობა-კავშირზე, იმგვარი თავისუფალი მუსაიფისთვის, პინდარეს ოდებში რომ ნახავთ, ანდა ჰორაციუსთან, სადაც აზრი საერთო და კერძო პლანის გარეშე ისეა ერთმანეთს მიბმული, როგორც ბალი თავის ყუნწზე, ისეა გადაჯაჭვული ერთმანეთზე ლოგიკური ასოციაციის კანონის ძალით, როგორც ფსიქოლოგიურ ნაშრომებშია ხოლმე. ალბათ ჩემს ცხოვრებაში ვერ დავწერდი წმინდა მეცნიერულ დიდაქტიკურ შრომას, სადაც ყველაფერი ბოლოს მაინც უნდა დამეყვანა დეფინიციებამდე, პარაგრაფებამდე, თეორემებამდე, ლემებამდე, სქოლიოებამდე, დასკვნებამდე, პოსტულატებამდე და ე. წ. ფაქტებამდე, რაც სინამდვილეში იგივე ციტატები უნდა ყოფილიყო, ისე რომ, საბოლოოდ მივილებდით კლასიფიკაციათა სქემას, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ:

ცხადია, ამ სამეცნიერო სქემას მე ვერ შევავსებ და მაშასადამე, დავრჩები კიდეც ერთ საწყალ მწერლად, რომელსაც სიტყვაკაზმულთა რესპუბლიკაში დაუპატიჟებელ სტუმრად მიიჩნევენ, როგორც მეცნიერებაში პრეტენზიების მქონეს, ხოლო მეცნიერთა წრეში ასევე დაუპატიჟებელ სტუ-

მრად ითვლება, როგორც ლიტერატურაში პრეტენზიების მქონე. აი, რა ემართება ხოლმე ორი კურდღლის მადევარს.

ჩვენი ლიტერატორების უმეცრების განსჯას რომ მივყოლოდი, მაინც ვერაფერს გავხდებოდი, რადგან მათი განსწავლულობა იქამდე მიდის, რომ ყველაზე სახელოვან პოეტად რომაა ცნობილი, სწორედ იმაც სრ გაგება არაფერი, არც იცის, როგორ გამოთვალოს ტეტრაედრის მოცულობა, ან როგორ ხდება წლის დროთა მონაცვლეობა, სინათლის გარდატეხის კანონის ხომ სულ არაფერი სმენია, არც ისაა ჩემთვის დიდი შელავათი, რომ ჩვენი მეცნიერები სულ ვერ ერკვევიან ნატიფ ხელოვნებაში, იმდენად, რომ ერთი რომელიმე გამოჩენილი მათემატიკოსი თუ ქიმიკოსი ერთმანეთისგან ვერ არჩევს სონეტსა და სეგიდილიას, ანდა რემბრანდტსა და რაფაელს, უფრო მეტსაც გეტყვით, რაკი ბოლომდე უნდა შევსვა ეს შხამით სავსე ფიალა: ღირს კი ვამტკიცო, რომ მეცნიერება უნდა იგრძნო, ხელოვნება კი — გააცნობიერო, რომ უნდა შეიქმნას მეცნიერება ხელოვნებისა და ხელოვნება მეცნიერებისა, ვერც ის მიშველის, თუ დღის სინათლეზე გამოვიტან გოეთეს საკმაოდ მოძველებულ მაგალითს, ამ დიდებული პოეტის, „ფაუსტის", „ჰერმანისა და დოროთეას" და „რომაული ელეგიების" ავტორისას, რომელმაც შექმნა სინათლის მეცნიერული თეორია, ალმოაჩინა ყბისშორისი ძვალი, და მაინც ვერც ერთი ეს მაგალითი ვერას მიშველის და ვერ გამამართლებს.

თოთხმეტი სტრიქონი შეადგენს სონეტსო
ხუმრობა ხუმრობაში სამი კი დავწერე
და ვფიქრობ რითმაც არ დამკლებია...

შეუძლებელია რითმები შემომაკლდეს, უკიდურეს შემთხვევაში ასონანსს მოვიშველიებ, თუ არადა, თეთრ ლექსს მაინც, მაგრამ თუკი არსებობს თეთრი ლექსი, ანდა თავისუფალი ლექსი, როგორც ზოგიერთები უწოდებენ თეთრი ლექსი, რატომ არ შეიძლება იყოს თავისუფალი, ანდა თეთრი პროზაც? აბა, რისი გულისთვის უნდა დავიდგათ კისერზე ამ საძულველი ლოგიკის უღელი, დროსა და სივრცესთან ერთად ტირანთა ტრიუმვირატს რომ ქმნის და ასე რიგად აწამებს ჩვენს სულს? მარადისობასა და უსასრულობაში ჩვენ ვხედავთ დროისა და სივრცისაგან თავის დაღწევის ილუზიას, ამ შეუდრეკელი დესპოტებისას აპრიორი-ის ამ ავბედით სინთეზურ ფორმებს. მაგრამ როგორ გადავურჩეთ ლოგიკას. განა შეიძლება თავისუფლება ლოგიკისაგან თავის დაღწევის მეტს ნიშნავდეს რასმე, ლოგიკისაგან, რომელიც ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად გვიმონებს?

ვალიარებ, მე თვითონვე, სხვა შემთხვევებსა და სხვა ნაწარმოებებში, ვამტკიცებდი და ვავითარებდი აზრს იმის თაობაზე, რომ თავისუფლება აუცილებლობის გაცნობიერებაა და კანონზომიერების გაგება, რომ ადამიანი მუდმივად უნდა ელოდებოდეს მოვლენებს და სურდეს მისი მოსვლა, და მხოლოდ მაშინ მოხდება ის, რაც მას სურს, — მაგრამ ყოველივე ეს მაინც მცდელობაა თავის მოტყუებისა, ულაზათო გალიაში სივრცის უსასრულობის ჩაკეტვისა, რომელშიც მისჯილი მაქვს გავლიო ჩემი დღენი, მას მერე, რაც კარგა გვარიანად დავიბეჟე და დავლურჯდი მისი კეტების წყალობით.

გასაგებია, რომ თავისუფალ ლექსს ის ეჭიდება, ვინც რითმასთან მწყრალად გახლავთ, ვისაც არ შესწევს უნარი შემოქმედებითი რითმა ცნებათა ასოციაციის წყაროდ გადააქციოს, ზუსტად ასევე მივუბრუნდებით ხოლმე თავისუფალ პროზას, ანდა უთავბოლო ლაქლაქს, როგორც უკანასკნელ საშუალებას, რაკი არ გაგვაჩნია ჭეშმარიტი თავისუფლება, კანონზომიერებათა ცოდნა.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება სამიოდე დღის წინ მოლიერის კომედიის — „ქალების სკოლის კრიტიკის", ამ ერთმოქმედებიან კომედიას ვკითხულობდი, რომელიც დაიდგა 1663 წელს, — პერსონაჟის დორანტის ნათქვამი: ყველა წესს შორის მთავარზე მთავარი წესი ისაა, პიესა მოეწონოთ და თუ ამას მიაღწევთ, მაშასადამე, კარგადაც ყოფილა დაწერილი; იგივე დორანტი ამტკიცებს, ხელოვნების წესები სულაც არ არის რაღაც უმაღლესი საიდუმლო, ეს მხოლოდ და მხოლოდ „ზოგიერთი შენიშვნაა იმაზე, რაც კი რამ თვალსაჩინოა და საღი აზრის საფუძველზეა შექმნილი, ე. ი. იმაზე, რამაც შეიძლება ადვილად გამოაცალოს ლექსს მიმზიდველობა. მაგრამ იგივე საღი აზრი, რომელმაც ოდესღაც წარმოშვა ეს შენიშვნები, იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენც ასეთივე დაკვირვებები მოვახდინოთ დღესაც და არც კი დაგვჭირდეს ჰორაციუსისა თუ არისტოტელეს დახმარება". ამ საღმა აზრმა განსაკუთრებით კი ფრანგულმა საღმა აზრმა მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება და გამახსენა ყველაფერი, რაც კი რამ მსმენოდა საღი აზრის თაობაზე ჩემი კეთილი მეგობრის დონ ფულხენსიოსგან. მაგრამ ახლა განვაგრძობ ფურცლების შევსებას და ისევ მოლიერის იმ ნაწყვეტს მივუბრუნდები, სადაც ნათქვამია, რომ ყველა წესს შორის მთავარზე მთავარი წესი არის ის, რომ შენი ქმნილება მოეწონოთო.

და აი, რას ნიშნავს ეს მთავარზე მთავარი წესი ჩემთან და ჩემს ეპილოგთან დაკავშირებით: გართობას, ტკბობას, და შეძლებისდაგვარად შთაგონებას, მკითხველის დარიგებას, ამავე დროს შეგონებას, რომ გამოვიყენოთ ეს უკვე აპრობირებული სიტყვიერი ქერქი, ანდა უფრო სწორად, შიგთავსი, ლათინურ გარეკანში უფრო მადისმომგვრელი რომ გვეჩვენება, — რათა წყნარად და მშვიდად მივუახლოვდეთ მესამასე გვერდს და დადგენილ მოცულობასაც მივაღწევთ.

რაკი მიზნად დავისახე რაიმე შთავაგონო მკითხველს, ყველაზე უწინ მინდა გადავცე მას რაღაც იდუმალი ნაპერწკალი, გავაღვივო ის მეამბოხური ცეცხლი ლოგიკის წინააღმდეგ, ჩემს სულში რომ გიზგიზებს — უფრო სწორად, გავაღვივო ის ნაღვერდალი, ყოველი ადამიანის სულში ნაცრის ქვეშ რომ იფერფლება. მაშ, სხვა რაღაა სასაცილოს გრძნობა, თუ არა თავის დაღწევა ლოგიკისგან, რამეთუ სწორედ ალოგიკური იწვევს ხოლმე სიცილს! ეს სიცილი ხომ მატერიალური გამოხატვაა კმაყოფილებისა, რასაც მაშინ ვგრძნობთ, როცა თუნდაც მცირე ხნით დავაღწევთ ხოლმე თავს ლოგიკის სასტიკ ტირანიას, ამ ავბედით ფატუმს, იმ ძალას, რომელიც სულ არ დაჰყვება გულის ნებას და სმენადახშულია მისი ხმის მიმართ. რისი გულისთვის მოიკლა თავი უბედურმა აპოლოდორომ, თუ არა იმისთვის, რომ თავი დაეხსნა ლოგიკისაგან? ის ხომ სულერთია, მაინც მოულებდა ბოლოს ერთ მშვენიერ დღეს? „ერგო", — ეს საბედისწერო „ერგო" — სხვა არაფერია, თუ არა სიმბოლო სულის მონობისა. სწორედ ჩემმა მცდელობამ, როგორმე მომეხსნა „ერგო"-ს ულე-

ლი, მიბიძგა დამეწერა ეს რომანი, მაგრამ ლოგიკა, დარწმუნებული ვარ, არ მაპატიებს და შურს იძიებს ამისთვის, ის მაინც თავისას გაიტანს.

დონ ფულხენსიო მართალია — მხოლოდ ლოგიკაა ჩვენი საზრდო, საზრდოს გარეშე ვერ იცოცხლებ, ხოლო თუ არ იცოცხლებ, მაშინ არც თავისუფლებისკენ ილტვი. „ერგო"... აი, ხომ ხედავთ, ის მაინც გამომეცხადა ყოველგვარი ჩემი სორიტების შემდეგაც კი, იგი აქ გახლავთ, ეს შურისმაძიებელი „ერგო". ეს ავბედითი „ერგო". აბა მეტი ვინ მაიძულებს ლერწმის ღეროთი გავბერო ეს ერგოტიკული ეპილოგი, — მე მართლა ლერწამს ვხმარობ კალმად, ასე რომ, შემიძლია ვამტკიცო, კალამო კურენტე მაქვს-მეთქი. განა ჩემს ეპილოგს კი არ გააჩნია თავისი ლოგიკა, ის ლოგიკა, — მოდი, ვიყოთ გულახდილები, — რომელიც მე მასაზრდოებს?

რამდენადაც სასაცილო გახლავთ სწორედ ლოგიკის დარღვევა, ხოლო ლოგიკა არის ჩვენი მრისხანე ღვთაება, ჩვენი დაუნდობელი ტირანი, — მაშინ ეგებ სიცილი თავისუფლების ფრთების გაშლაა და სულის განთავისუფლება? მონა იცინის მაშინ, როცა მეორე მონა წამიერი ამბოხისათვის თავის გაძვალტყავებული ზურგს უშვერს თავის სასტიკ ტირანს, მონა იცინის და კვლავ უბრუნდება თავის ჯაჭვს, რათა ბოლომდე შეხვრიპოს სალაფავი, რითიც ლოგიკა უმასპინძლდება. ჩვენ ყველა ვუბრუნდებით ხოლმე ჩვენ-ჩვენს ჯაჭვებს, რამეთუ მხოლოდ ლოგიკა გვასაზრდოებს და მაინც განა არ იგრძნობა რაღაც დიდი, ამაღლებული, ზეადამიანური ბეჩავი მონის ამ ამბოხში? განა სასაცილოში და გროტესკულში არ არის ჩაბუდებული ბეჩავი მონის სიდიადე? საბრალო გულო! შენ იცინი, რათა არ იტირო! შენ დასცინი, ჩემო საბრალო გულო, რათა თანაგრძნობა არ გაამჟღავნო, რამეთუ თანაგრძნობა განგრევს და გსპობს!

აბა, მოვუსმინოთ თუნდაც დიდ კომედიოგრაფს არისტოფანეს, რომელიც სულაც არ გაურბოდა ბალაგანს. აი, რას ამბობს ტრაგიკოსი ესქილე მის კომედიაში „ბაყაყები"; საცოდავია ის, ვისაც არ ძალუძს ერთხელ მაინც აუჯანყდეს ლოგიკის ტირანიას! ამისთანებს იგი დაუნდობლად, შეუბრალებლად ექცევა, უფრო მძიმე სამუშაოსაც აძლევს და ცუდადაც ქვებავს, მაგრამ საკმარისია მუშტი მოუღეროთ და შეეულრინოთ, დანარჩენ მონებს კი გავაცინებთ, როცა მათრახით ზურგს აგვიჭრელებენ, მაგრამ თვითონ ტირანი სხვა თვალით შემოგვხედავს, თავის მყუდრო სავანეშიც კი გვიხმობს, დაგვიყვავებს, მოგვეფერება და თუნდაც სულ მცირე ხნით მისი მონები კი არა, მისი მბრძანებლებიც კი გავხდებით. და იქ, მის ხვევნა-ფერებაში ჩვენც სინანულის ცრემლებს დავღვრით, ცრემლებს, თვალებს რომ განგვიწმენდს და მზერას. გაგვინათებს, გულიც შვებას იგრძნობს, გულიც, ეს სიმწრით სავსე ჭურჭელი. დიახ, მბრძანებლის ხვევნა-ალერსი აგვატირებს. ნეტარ არიან, ვინც იცინის, რამეთუ მერმე შეუძლია იტიროს. ხოლო ვინც არ იცინის, ის ვერც იტირებს, მისი ცრემლები შიგნით ჩაიღვრება და გულს მოუწამლავს. განა მართალი არ არის, რომ ამბობენ, სერიოზული ადამიანები, რომლებიც სხვის დასანახად, მარტო სახის კუნთებით იცინიან, თავიანთსავე გაბღენძილობასა და შურში ჭკნებიანო, დიდის გაჭირვებით მიათრევენ მოარული სალი აზრის, სამარცხვინო ლოგიკის მდაბალი და მხდალი მოახლის უღელსო.

და აქ კვლავ მესმის მაესე პედროს ხმა: „უბრალოდ, ბიჭო, ასე მალლა ნუ დაფრინავ, მალალფარდოვნება საზიზღრობაა!“ („მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტე ლამანჩელი“, ნაწილი II, თავი XXVI) და ამ მაესე პედროს ხმა, ამ თაღლითისა, კატორღელისა, უმადური ხინეს დე პასამონტეს, ნამდვილი საღი აზრის ხმაა, იგივე ხინესილიო და კარრასპილიას ხმაა და ყველაფერი იმით მთავრდება, რომ იგი ვირს ჰპარავს ისეთ კაცსაც კი, როგორიც გახლავთ სანჩო პანსა.

მართალია მაესე პედრო, რომელსაც ჩემდაუნებურად და ჩემი სურვილისდა მიუხედავად კარგ სამსახურს ვუწევ; აბა, მაშ რას მივედ-მოვედები, რატომ იმას არ ვაკეთებ, რასაც დონ კიხოტე მიბრძანებს, ამაზე უკეთესს მე რას მოვიფიქრებ, — უნდა განვაგრძო ჩემი სიმღერა მწყობრად და თანაბრად და მოვეშვა კონტრაპუნქტებს, თორემ იქ გაწყდება, სადაც წვრილია, ნათქვამია. ეგებ დონ კიხოტეც სწორედ იმას მოითხოვს ჩემგან, არც მე გავიბღინძო მეტისმეტად და ჩემი ეპილოგის ძაფი პირდაპირ გავაბა ყოველგვარი ხლართებისა და ხვლანჯების გარეშე, რამეთუ „სიმართლის დღის სინათლეზე გამოტანა თუ გვინდა, ამისათვის მრავალი მტკიცებანი და ხელახლა მტკიცებანიც არსებობს“. ახლა მეც ავდგები და ასე მოვიქცევი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დონ კიხოტეს არ მოეპრიანება და უცბად არ გამოხტება აპოლოდოროს დასახმარებლად, თუ ერთ ქვასა და კოხს არ დაგვატეხს თავს და ერთიანად არ ააწიოკებს ამ ჩვენს მარიონეტულ პედაგოგიკას, ვის მიწაზე დასცემს, ვის თავს წააცლის, თუ არ დაჩეხავს ჩემს დონ ფულხენსიოს, არ აკუწავს მენაგუტის და მერე ერთს ისე არ მოიქნევს თავის ხმალს, რომ მაესე პედრო, — რომელიც ჩუმჩუმად მბრძანებლობს ჩემს ბალაგანში, ჩემდა საწყენად და საზიანოდ, თუ არ ჩაცუცქდება, არ მოიკუნტება ან სადმე არ შეძვრება, დონ კიხოტეს ხმალი ისე წაასხიპავს თავს, ვითომც მარცაპინისა ყოფილიყოს, — სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ღირსიცაა. მაშინ კი ამაოდ დაუწყებს ხვეწნას დონ კიხოტეს: „გაჩერდი, შენს წინ მხოლოდ მუყაოს თოჯინებია“, თუკი როგორმე გააგებინებს, რომ იგი ჩემს ქონებას სპობს და ანადგურებს, მაგრამ დონ კიხოტე მაინც თავისას განაგრძობს, იქნევს იმ თავის ხმალს მარცხნივ თუ მარჯვნივ, პირით თუ სიბრტყით, რამეთუ დონ კიხოტე, თუკი საერთოდ არსებობენ სერიოზული ადამიანები, სწორედ ერთი იმათგანია, ხუმრობასაც კი სერიოზულად იღებს და ამიტომ სერიოზულ რამეებს ხუმრობად არ გადააქცევს. მას ხომ ვერც კი წარმოუდგენია, რომ კაცმა შეიძლება გულიანად იცინოს, თუმცა კი მან თვითონ მთელი ქვეყანა აცინა. ასეთია კაცის უბედო ბედი, ან უნდა იცინო, ან აცინო და არავის ჰლირსებია კიდეც იცინოს და კიდეც აცინოს ერთდროულად; იცინოს იმაზე, რაც სასაცილოა და აცინოს სხვები იმაზე, რაზეც ცოდვაც კია, არ გაიცინოს. ეს თეზისი მოვისმინე ჩემი დონ ფულხენსიოსგან მაშინ, როცა ვიჯექი სიმია საპიენსის წინ.

სხვათაშორის, განა თავად დონ კიხოტე არ გახლავთ სიცილის განსახიერება? ის არ იყო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ შეება ფხიზელ ლოგიკას, რომელიც პირდაპირ მოითხოვს, რეალური წისქვილები მხოლოდ წისქვილები იყოსო და არა ის, რაც ჩვენს ფანტაზიას მოეპრიანებაო? და ლოგიკაც მანამდე არ დაუბრუნდა დონ კიხოტეს, სანამ სიკვდილი არ დადგა მის სასთუმალთან ხელალმართული. მონა ალონსო კიხანა, მეტსახელად კეთილი, აჯანყდა და ლოგიკამ იგი თავის მყუდრო სავანეში მიიხმო,

გაუმხილა თავისი საიდუმლოებანი და მიეალერსა, რამეთუ, განა ჩვენ არ გვინახავს ლოგიკა და თანაც გაშიშვლებული, მორჩილი და დამთმობი და არა მორთულ-მოკაზმული, მედიდური და მიუწვდომელი ჩვენი უკვდავი მახვილგონიერი იდალგოს ყველა თავგადასავალში? არცთუ დიდი ხნის წინათ, მე რატომღაც ასეთი მოწოდება წამოვისროლე: „სიკვდილს — დონ კიხოტეს!" და ამ მოწოდებას რაღაც-რაღაც გამოძახილებიც მოჰყვა, მაგრამ მერე კი განვმარტე, რომ მინდოდა მეთქვა „გაუმარჯოს ალონსო კეთილს!" — უფრო სწორად, გავყვიროდი: „სიკვდილი მეამბოხეს!" მაგრამ ვგულისხმობდი „გაუმარჯოს მონას!" მაგრამ ახლა ვნანობ და ვაცხადებ, მანამდე მე დონ კიხოტესიც არ მესმოდა, როგორც ჯერ არს და არც ის გამითვალისწინებია, როცა დონ კიხოტე მოკვდებოდა, ზარები დარეკავდნენ ალონსო კეთილისათვის!"

●

გუშინ სწორედ ამ ადგილზე შევჩერდი და კიდეც შევავსე ეპილოგის ორმოცდაერთი მეოთხედი. დღეს კი, 7 თებერვალს, მივიღე წერილი, სადაც სხვათა და სხვათა გარდა, ისიც შევიტყვე, რომ ერთი ამდენი კიდევ მაკლდა, ე. ი. ჯერ მხოლოდ ეპილოგის შუამდე მივსულვარ.

გუშინ, ყოველი შემთხვევისათვის დავამთავრე თხრობა იმის თაობაზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა აპოლოდოროს სიკვდილმა ჩვენს ამოუცნობ დონ ფულბენსიოზე და ამით მე-18 ნაკვეთიც დავასრულე. მერე მე-19 ნაკვეთში უკვე პეტრილიაზე დავიწყე ლაპარაკი, რათა შესაძლებლობა მქონოდა ამ ნაკვეთებს შორის იმდენი ჩამემატებინა, რამდენიც საჭირო გახდებოდა. ამით ვისარგებლებ და ახლა წავალ დონ ფულხენსიოსთან, რათა უფრო წვრილად გავიგო მისი აზრები და გრძნობები მოწაფის სიკვდილის შესახებ და წინასწარ დატოვებულ ცარიელ ადგილსაც შევავსებ.

ახლახან დავბრუნდი დონ ფულხენსიოსგან, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს თავის განცდებზე, აპოლოდოროს თვითმკვლელობა საერთოდ არ უხსენებია. როცა მე ვცადე რაღაც მეთქვა, მაშინვე მოიღრუბლა, გუნება გაუფუჭდა და ესლა მითხრა: „მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ!" მერე, როცა ავუხსენი ლოგიკური მიზეზები, რამაც მაიძულა ამ მეტად მტკივნეულ საკითხს შევხებოდი, მან შენიშნა, რომ ეს საქმე მშვენივრად შეიძლებოდა მოგვარებულიყო, თუკი ეპილოგის შემდეგ ჩავსვამდი რაიმე მცირე ნაშრომს, სულერთია, მისი იქნებოდა, თუ ჩემი, — ამ ხერხით ბევრ მწერალს უსარგებლია, — და მაშინვე უჯრიდან ამოიღო ხელნაწერის მომცრო დასტა, გადმომცა მე და თან მითხრა:

— გამომართვით, ეს გახლავს ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ნაშრომი, მცირე დიალოგი, რომელსაც ვუწოდე „კალმარი" და დავწერე სულ ცოტა ხნის მერე, რაც უარი ვთქვი დუელში გამოწვევაზე. თუ არც ეს იქნება საკმარისი, მაშინ რაიმე თქვენიც დაუმატეთ; სხვათაშორის, ურიგო არ იქნებოდა, ის წერილი „ლიბერალიზმი — ცოდვა" დაგებეჭდათ, მე რომ ამას წინათ წამიკითხეთ!

— მე მინდოდა, — ვუპასუხე მე, — რომ წიგნი ერთ ტონალობაში

ულერდეს; ძეხვში ხომ ურევენ ხოლმე ძროხის ხორცსა და ღორისას, მაგრამ სარდინები და ქლიავი კი არ უხდება!

— ტონალობა... ტონალობა... რატომ უტრიალებთ სულ ამ ტონებსა და ფერებს, რომელშიც დღეს სათანადოდ ვერავინ ერკვევა. ერთი ეს მითხარით, სენიორ უნამუნო, განა ჩვენი სამყარო კი ყლურსავით ტონალობაში? არ გედავებით, ხელოვნების ნაწარმოებს, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს თავისი ტონალობა, მაგრამ წიგნს, — კარგად გამიგეთ, — წიგნს და არა მის შინაარსს! წიგნი ხომ ტიპოგრაფიული ხელოვნების ნაწარმია და არა ლიტერატურული, ამდენად, მას ქაღალდის, შრიფტის, აწყობისა და ბეჭდვის ერთიანობის მეტი არაფერი სჭირდება. სხვათაშორის, თქვენი გამომცემლის მოთხოვნები ძალზე გონივრული მეჩვენება, მე თქვენ გეტყვით, რაც ყველაზე მეტად მომწონს ჩვენი ლიტერატურის უკვდავი ქმნილების გამოცემასთან დაკავშირებით: თურმე როცა სამეფო აკადემიის საბჭოს წევრებმა წიგნი გადაათვალიერეს, — როგორც გვაუწყებს ხუან გალიო დე ანდრადა, მეფე ფილიპეს კარის მწერალი, — სახელწოდებით „მახვილგონიერი იდალგო ლამანჩელის თავგადასავალი", შეთხზული მიგელ სერვანტეს საავედრას მიერ, ასე დაადეს ფასი — ნაბეჭდი გვერდი სამნახევარი მარავედი, ხოლო რამდენადაც წიგნი შეიცავს 83 ფურცელს, სულ გამოვიდა... — დონ ფულხენსიომ დახედა სატიტულო ფურცელს, რადგან წიგნი მთელი ამ ხნის მანძილზე ხელში ეჭირა, — 290 ნახევარი მარავედი ყდის გარეშე და მერელა დართეს გაყიდვის ნება, ყდის გარეშე, ამასთან, ფასი წიგნის თავშივე უნდა დაეწერათ, სხვანაირად, წიგნის გაყიდვა იკრძალებოდა. სულ ვაპირებ რაიმე დავწერო „დონ კიხოტეს" ფასის თაობაზე, მაგრამ ახლა ერთი შემთხვევაც მინდა გიამბოთ, დიდი ხნის წინათ მადრიდში რომ მოხდა ერთ პოეტსა და წიგნის გამყიდველს შორის. პოეტმა თურმე მიუტანა წიგნებით მოვაჭრეს თავისი თხზულების ერთი ტომი და სთხოვა, რამდენიმე ეგზემპლარი გამიყიდეო, თან გასამრჯელოც ალუთქვა. გამყიდველმა გამოართვა წიგნი, შეატრიალ-შემოატრიალა, ხელში აწონ-დაწონა, არც კი გადაუშლია, გაიანგარიშა თავისთვის მისი სიგრძე-სიგანე და სისქე და მერელა ჰკითხა, რას აფასებთო. „სამ-სამ პესეტსო" — უპასუხა პოეტმა, წიგნებით მოვაჭრემ კი მიუგო: „ჩემის აზრით, ძვირია!" — მაშინ პოეტმა შესძახა: „მაგრამ მე მინდა იცოდეთ, რომ ეს სუფთა ოქროა!" „თუ ასეა, და ეს მართლა სუფთა ოქროა, მაშინ ჩემთან არაფერი გესაქმებათ!" — მიუგო წიგნებით მოვაჭრემ და უკანვე დაუბრუნა თურმე პოეტს თავისი წიგნი. დამიჯერეთ, თუნდაც სუფთა ოქროსი იყოს, ფასის დადება უნდა იცოდეთ, ხომ ნახეთ, როგორ დაადეს ფასი სამეფო აკადემიის წევრებმა მართლა სუფთა ოქროს „დონ კიხოტეს"!

ჩვენ კიდევ სხვა ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ და დამშვიდობებისას დონ ფულხენსიომ გადმომცა ორი თავისი ხელნაწერი: ზემოხსენებული დიალოგი „კალმარი", „შენიშვნები ტრაქტატისთვის კოკოტოლოგიის შესახებ" და უფლება მომცა ჩემი შეხედულებისამებრ მოვქცეულიყავი.

ახლა კი ვამთავრებ ჩემს ეპილოგს, როგორც დაგპირდით, ლოპე დე ვეგას სონეტის ამ სტრიქონებით:

> დათვალეთ სტრიქონები! ხომ არ დაგკლებიათ რამე?
> სულ თოთხმეტია? მადლობა ღმერთს, უკვე მზადაა!"

შენიშვნები

1. V თავი, 22-ე მუხლი: „ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს, ძმასა თვისსა ცუდად, თანა-მდებ არს საშჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა რაკ, რომელ არს საძაგელ, თანა-მდებ არს კრებულისაგან; ანა და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ, თანა-მდებ არს იგი გეჰენიასა ცეცხლისასა.

2. მორატინი ლეანდრო ფერნანდეს დე (1760—1828), ესპანელი მწერალი, კლასიცისტური კომედიების ავტორი.

3. ქსენოფონტე (დაახლ. 430—355 ძვ. წ.), ძველი ბერძენი მწერალი და ისტორიკოსი.

4. პიკონი ხასინტო ოქტავიო (1852—1924), ესპანელი მწერალი, საკმაოდ ნაყოფიერი, თუმცა საშუალო დონის.

5. მელისაგოგია — მისივე შეთხზული სიტყვა, ლათინური სიტყვიდან თაფლი.

6. ლოპესისტების კომიტეტი — ხოსე ლოპეს დომინგესი (1829—1911) ესპანელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სამხედრო მინისტრი, შემდეგ პრემიერ-მინისტრი.

7. ვოლაპუკი — ხელოვნური ენა, რომელიც გამოიგონა ბლეიერმა 1880 წ. და სცადეს გამოეყენებინათ საერთაშორისო ენად.

8. იერინგი რუდოლფ ფონ (1818—1892) გერმანელი სამართლის ისტორიკოსი.

9. ლომბროზიო ჩეზარე (1836—1909), იტალიელი ანთროპოლოგი და ფსიქიატრი, თავის ნაშრომში „გენიოსი და სიგიჟე" გენიალობას უკავშირებს ფსიქიკური ნორმიდან გადახვევას.

10. სპენსერი ჰერბერტ (1820—1903), ინგლისელი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

11. კენე (ქენე) ფრანსუა (1694—1764), ფრანგი ეკონომისტი.

12. კეტელე (ქეტელე) ადოლფ (1796—1874), ბელგიელი მათემატიკოსი და ასტრონომი.

13. ოდინი — სკანდინავური ღვთაება.

14. კლარა—ნათელი, სინათლე, ოსკურა—ბნელი, სიბნელე.

15. რასკინი ჯონ (1819—1900), ინგლისელი ხელოვნების თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, ესეისტი.

16. იტალიურ სიტყვათა თამაში, „კალამი" — კალამი, ლერწამი, სტილი, კალამი კურენტე — მსუბუქი სტილი.

ანა ახმატოვა

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა თამარ დაუშვილმა

●

გულში ნაადრევად მზის სხივი მინელდა —
ბალახი ყვითლდება,
ჰაერში თოვლის ადრეული ფიფქები ირევა
ნება-ნება.

ხეობაში წყალი აღარ იგოფრება, —
ყინულქვეშ გოდებს,
აქ არასოდეს არაფერი არ მოხდება,
ო, არასოდეს!

ირიბად მიმოდის ტირიფი ცაში —
ქარი კი მეუფებს,
იქნება სჯობდა — არ გავხდი მაშინ
მე თქვენი მეუღლე...

მზის ხსოვნა თანდათან ღრუბლებმა შემოსა —
დგას ყინვა აფთარი,
ამ ღამეს, ო, ალბათ მოასწრებს შემოსვლას
ზამთარი...

●

კარლიაში შემოჭრილ
რა მოვთხოვო ზენა ქარს,
მაგიდაზე დარჩენილ
მათრახსა და ხელთათმანს?

ლამფის მიმქრალ ნათებას
მე ჩურჩულით ალვიქვამ,
ნეტავ რისთვის წახვედი?
— არ გითქვამს.

დილა ეკლისხელება
ერეკება პირქარს,
ლამაზია ცხოვრება,
გულო, მშვიდად იყავ!

დაღლა გადაიფიქრე,
ნუ მომაგებ ვაებას,
სადღაც ამოვიკითხე
სულების უკვდავება!

●

ამდენი ქარის და ყინვის მერე
ვინ იტყვის უარს — ცეცხლს
მიეფიცხოს,
ვერ ვუპატრონე გრძნობათა ტევრებს
და ის ქურდულად მომპარა ვინცხამ.

ახალწლის ბუმი ჯერ კიდევ ისმის,
ჯერაც სველია ვარდის ღერები,
მაგრამ ჩემს გულში აღარ ბრიალებს
ფუტკრის ღიღინი და სიმღერები.

იცნო მპარავი — არ არის ძნელი —
თვალები ტანჭრელ ავაზას უგავს,
ვაჰ, თუ გამოხრას ნადავლი ძველი
და მოკლე დროში მოგიგდოს უკან...

●

მე ერთადერთი ღიმილი მახლავს,
ბაგის კიდეებს რომ შერჩენია,
გადანახული შენთვის ინახად —
ის ღვთაებრივი განაჩენია.

შენ თუ სხვა გიყვარს — ეს სულ
ერთია,
ხარ ბოროტი თუ ციური ხვითო,
გვირგვინოსანი საქმრო, მესია,
მე ის განგებამ მომაგო ჯილდოდ...

●

უკანასკნელად ჩვენ შევხვდით ღამით,
სადაც ვხვდებოდით—სანაპიროსთან,
ნევა ავსილი ყელამდე შლამით
და წყალდიდობის ხალხს ეშინოდა.

ის საუბრობდა ზაფხულზე, მასზე,
რომ ქალის საქმე არ არის წერა,
მეფის სასახლე იდგა მაღალზე
და პეტრეს ციხე ვით ბედისწერა...

რომ თვით ჰაერი წმინდა ოდითგან
სასწაულია ღვთით ბოძებული...
და იმავ წუთში მომეძღვნა მისგან
კოცნა—ალერსით ცეცხლმოდებული.

●

აქ ტყვეობაში მე ვიძირები,
ღმერთს სიკვდილს შევთხოვ, ვფიცავ,
წრფელი ოცნებით ვეამბორები
ტვერის გამომშრალ მიწას.

მესმის წეროს ხმა ამომშრალ ჭასთან,
ცაში ღრუბლების ქროლვა ქარებად,
ყანებში ნელი ჭრიალი ქართა,
პურის სურნელიც და მწუხარებაც...

ღრუბლის ქულებში შორეთის ცქერა,
სადაც სიოც კი არ ჰქრის სრულებით,
და ჭორიკანა ქალების სმენა
მზისგან ყავისფრად გარუჯულების...

●

გთხოვ, ამ წერილის ყოველი სტროფი
გადაიკითხო, — მოთმენა კმარა,
მომბეზრდა ვიყო უცხო, უცნობი,
ფიცაც გამვლელი და ვიგინდარა.

ნუ, ნუ მიცქერი გამწყრალ
თვალებით,
მეტრფე ვარ შენი, — მონა ბგონივარ,
არც მწყემსი ვარ და არც დედოფალი,
არც აღკვეცილი — მონაზონი ვარ...

ძველი ფეხსაცმლით, კაბით და შალით
გამოვირჩევი მაინც ქალებში,
გიჟური მცნება მაქვს დაუმცხრალი
და შიში მიდგას ფართო თვალებში.

გთხოვ, ნუ უწოდებ ამ გრძნობას ყასიდს
და გევედრები, წერილს ნუ დახევ,
მიაგდე სადმე ბოლო უჯრაში,
ან ძველ არქივში გადაუყარე...

ალექსანდრ ბლოკს

სტუმრად ვეწვიე პოეტს
ზუსტად შუადღით, კვირას,
ოთახი მზესთან გტოვებს,
ფანჯრებს იქით კი ჰყინავს;

ზეცას ლაჟვარდი ჰბურავს,
ღრუბელს მარჯნისფრად ღებავს,
ვერ დავივიწყებ მდუმარ
ცისფერ თვალების მზერას!

თითქო ვიპოვე ხვითო —
ნაინანატრი, ღმერთო,
მაგრამ ალბათ ის მიჯობს
შიგ სულ არ ჩავიხედო...

გრძნობა სიახლის განცდის,
შედეგი სტუმრად წვევის,
სითბო ნაცრისფერ სახლის
მაღალ ჭიშკართან ნევის.

●

ჩვენ სიტყვის გრძნობა გვჭირდება ისე,
ვით მხატვარს მზერა — ფერთან ფერება,
როგორც მსახიობს ხმა და მიმოხვრა,
როგორც ქალთა სქესს — ბედნიერება...

მაგრამ არ შეცდე შემოინახო
მხოლოდღა შენთვის ციური ნიჭი,
უხვად გაეცი ის საბიდახო,
რადგანაც ღმერთმა ყოველი იცის.

იარე მარტომ ბრმათა საშველად
და ბრბოის ხარხარს ყურს ნუ ათხოვებ,
მძიმე წუთებში ნუ შეგაშინებს
მარტოსულობა და სიმარტოვე!

●

მარტოობაში დავიღუპები,
ვითვლი დღეების ჩეროს,
ო, მეგობრებო, თავისუფლების
თეთრო გედებო ჩემო!

ვერ დაგიბრუნებთ თქვენ
სიმღერებით,
ველარც ცრემლებით, ვერა,
მწუხრის ჟამს ჩუმად
მოგეფერებით —
მე ხომ ლოცვების მჯერა!
ჩემს წინ დაეცით მკერდით...

ხელს მიკოცნიდა სულ სხვა —
შავი ყვავივით ერთი...

ეკატერინეს ბაღში,
როცა ყინული დნება,
მე გაგიხსენებთ მაშინ,
როგორც ყოველთვის ხდება!
თქვენი ფრთების ხმა მესმის,
ვინც შეხსნა მზის ფანჯარა,
ვინც განგმირული ფილტვებით
სუნთქავთ
თქვენს თავს ვინ გადამყარა?!
მკვდრულ სიჩუმეში ზეცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე მათთან არ ვარ — მშობელი მიწა
ვინც გასაგლეჯად ანდო მტრის ხელებს,
ცილისწამებაც არაფრად მიჩანს,
მათ არასოდეს მე არ ვუმღერებ.

მაგრამ მე მუდამ ვწყალობ განდევნილთ,
როგორაც ტყვეებს, ან ავადმყოფებს,
მათ გზებს მოფენილს ეკალ-ბარდებით;
მე სხვისი პურის სუნიც მაშფოთებს!

ახალგაზრდობა ვითარცა ფარჩა,
ცეცხლში დროშებად დაგვიფენია,
მაგრამ მომხვდურის არც ერთი დარტყმა
ჩვენ არასოდეს აგვიცდენია!

ჩვენ ისტორიას საბურველს ავხდით,
გაგვაამაყებს წუთი დიადი,
დღეს არ არსებობს უცრემლო ხალხი
ჩვენზე სადა და ჩვენზე ზვიადი!

●

ვიცი — სიცოცხლე გიჯობს, —
მტერთან პირისპირ იბრძვი.
ვაითუ მოგკლეს, ბიჭო,
ტყვიით, ცეცხლით, ან ხიშტით!

თბილ ქურქს გიკერავ — რისთვის?
მეგობრის ადათს ვიცავ,
უყვარს, კი უყვარს სისხლი
რუსულ მიწას!

●

მე შევიცხადე ძმები, შვილები,
და მათ ცრემლების ძეგლი ავუგე,
მე სამწუხაროდ ეს სიკვდილები
ადრე ლექსებში ვივარაუდე,
როგორც ყვავები (რას ვესესხები!)
გრძნობენ სისხლს და ლეშს
მიმწუხარისას,
ასე ველური ჩემი ლექსები
ჩემს დიდ სიყვარულს შენ
გიგზავნიდა.

შენგან მე მხოლოდ ალერსი მინდა,
გული მღელვარე ადის და ჩადის,
მომეცი ხელი, მისმინე მშვიდად:
— შეგრისხავ, წადი!
ვერ შეიფერე გრძნობა ფარული;
არ ამცნო მუზავ, ჩემი მიზანი.
დაე ცოცხლობდე უსიყვარულოდ,
რაკი ეს გრძნობა ვერ შეიცანი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა დავი ფანჯიკიძემ

ჩემი ცხოვრება. პოეზია და სინამდვილე

წიგნი მეოთხე

უნდა მოგახსენოთ, რომ ბუნების საგანთა კვლევისა და შესწავლის ჟინს პატარაობიდანვე ვგრძნობდი. ზოგჯერ ბავშვებს სისასტიკედ უთვლიან, დიდიხნის მანძილზე ნალოლიავებ საგნებსა და სათამაშოებს ბოლოს რომ უმოწყალოდ ამტვრევენ, ხევენ და ანაკუწებენ ხოლმე, თუმცა შეიძლება ასეთი ფორმით მჟღავნდებოდეს ცნობისმოყვარეობა, ანუ იმის გაგების სურვილი, როგორაა გაკეთებული ესა თუ ის საგანი, როგორია იგი შიგნიდან. მაგონდება, ბავშვობაში ყვავილებს ვწეწავდი, რომ მენახა, ჯამში როგორ თავსდებოდა ფურცლები ან ჩიტებს ვპუტავდი, რომ მენახა, ფრთებში ბუმბული როგორ იყო ჩამაგრებული. განა შეიძლება ასეთი საქციელისთვის ბავშვი გაკიცხო, როცა თვით ბუნების მკვლევარნი ცოდნას უფრო დაყოფითა და დაცალკევებით და არა შეერთებითა და შერწყმით ეძენენ, ანუ გაცოცხლებას მოკვლას ამჯობინებენ?

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი კვლევის ჟინის მსხვერპლი გახდა წითელი მაუდის შალითაში კოხტად გამოკრული, სათადარიგო ნაწილებით აღჭურვილი მაგნიტი. იმ იდუმალმა მიზიდულობის ძალამ, ანუ იდუმალმა უნარმა, რომელსაც იგი მხოლოდ თანდართული რკინის წკირების მიმართ კი არ იჩენდა, არამედ დღითიდღე ძლიერდებოდა და გაცილებით უფრო მძიმე წონის საგნებსაც ერეოდა, ისე დამახვია თავბრუ, რომ კარგახნის მანძილზე მაგნიტს ველარ ვცილდებოდი. ბოლოს იქამდე მივედი, რომ ვიფიქრე, მის საიდუმლოს უფრო კარგად ჩავწვდებოდი, შალითას თუ შემოვაცლიდი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ამით ჭკუა და გამოცდილება არ მომმატებია — გაშიშვლებულმა არმატურამ იმაზე მეტი ვერაფერი შემძინა, რაც აქამდეც ვიცოდი. მაშინ მაგნიტს არმატურაც ჩამოვაცილე და ხელთ გაშიშვლებული ქვაღა შემრჩა, რომლითაც ლითონის ბურბუშელასა და საკერავ ნემსებზე დაუღალავად ვატარებდი ცდებს, მაგრამ იმ ცდებს ჩემი ყმაწვილური გონებისათვის ბევრი აღარაფერი შეუმატებია. მერე როგორ არ ვეცადე, მაგრამ აპარატი ველარ ავაწყვე, მისი დეტალები მიმოიფანტა და ამ ღირსშესანიშნავ ფენომენსაც მასთან ერთად გამოვეთხოვე.

ამაზე მეტად არც ელექტრომანქანის აგებაში გამმართლებია. ოჯახის ერთი მეგობარი, რომლის სიყმაწვილე იმ ხანას დაემთხვა, როცა ყველას ჭკუა-გონება ელექტრობით იყო მოცული, ხშირად გვიამბობდა, ბიჭობაში როგორ მოუნდომებია ელექტრომანქანა ჰქონოდა, ძველი საქსოვი დაზგისა და წამლის შუშების დახმარებით რაღაც ამდაგვარი შეუკონწიწებია კიდეც და საკმაოდ კარგი შედეგისთვისაც მიუღწევია. ეს კაცი ისე ხშირად

და ხალისიანად გვიყვებოდა ამ ამბავს და თან ელექტრობის თავისებურებებსაც ისე კარგად გვიხსნიდა, რომ ჩვენც ხელმისაწვდომი გვეჩვენა ეს საქმე, მაგრამ როგორ არ ვიწვალეთ, რა დრო აღარ დავახარჯეთ ძველი საქსოვი დაზგითა და წამლის შუშებით ჩხირკედელაობას, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, მიუხედავად ამისა რწმენა არ შეგვრყევია და ფრთად გავიხარეთ, როცა ბაზრობაზე, სხვა საოცრებებსა, ჯადოქრობებსა და ფოკუსებს შორის ელექტრომანქანის ხელოვნებაც ვიხილეთ, რომელიც მაგნიტურისა არ იყოს, იმ დროისათვის უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ.

[...]

ოღონდ კი ბავშვებს ცხოვრებისა და სწავლა-განათლების სფეროში არაფერი დაგვკლებოდა და თითქოს საგანგებოდ იმ დროს გამოჩნდა ერთი ინგლისურის მასწავლებელი, რომელიც იქადნებოდა, ენებში ასე თუ ისე გავარჯიშებულ ნებისმიერ ადამიანს ოთხ კვირაში ინგლისურს შევასწავლი, ანუ ისეთ დონემდე მივიყვან, თუ იბეჯითებს, თვითონვე შესძლოს სწავლის გაგრძელებაო. მასწავლებელი გასამრჯელოსაც ზომიერს ითხოვდა და ჯგუფში მოწაფეების რაოდენობაც მისთვის სულერთი გახლდათ. მამაჩემი იმწამსვე დათანხმდა და თავიდან მარჯვე ოსტატის ლექციას ჩვენთან ერთად ისიც ესწრებოდა ხოლმე. გაკვეთილები კეთილსინდისიერად ტარდებოდა, ჩვენც კარგად ვემზადებოდით, ოთხ კვირაში მართლაც ბევრი რამ ავითვისეთ და მოწაფეებიც და მასწავლებელიც კმაყოფილი დავშორდით ერთმანეთს. ამასობაში ბევრი მუშტარიც გამოუჩნდა, ქალაქში კიდევ კარგახანს დარჩა და ისიც დროდადრო მოდიოდა ჩვენთან, დაგვხედავდა, ხელს წაგვაშველებდა და ასე გამოხატავდა მადლიერებას, რადგან ჩვენ ასე თუ ისე პირველებმა გამოვუცხადეთ ნდობა და გარდა ამისა ეამაყებოდა, სხვებისთვის ჩვენი ნიმუშად წაყენება რომ შეეძლო.

ამასობაში მამაჩემს ახალი საზრუნავი გამოუჩნდა: არ უნდოდა ინგლისური სხვა ენების გაკვეთილების წრიდან ამოვარდნილიყო. მე კი უნდა გამოვტყდე, სულ უფრო და უფრო მეზარებოდა ხან ერთი გრამატიკიდან და სავარჯიშოების კრებულიდან, ხან ერთი, ხან მეორე ავტორისგან მესესხებინა ჩემი ნაშრომებისთვის თემები, რადგან გაკვეთილის ჩათავებისთანავე მათ მიმართ ყოველგვარი ინტერესი მეკარგებოდა. ამიტომ აზრად მომივიდა ერთხელ და სამუდამოდ მომელო ამ ტანჯვა-წამებისთვის ბოლო და შევთხზე რომანი ექვს თუ შვიდ და-ძმაზე, რომლებიც ერთმანეთისგან შორი-შორს, მთელ მსოფლიოში იყვნენ მიმოფანტულნი და ერთმანეთს თავიანთ ამბებს და ფიქრებს უზიარებდნენ ხოლმე. მაგალითად, უფროსი ძმა დახვეწილი გერმანულით მოგვითხრობს თავის მოგზაურობის ნაირ-ნაირ დეტალებსა და ამბებს; დაიკო, ქალური სტილით, მრავალწერტილებითა და მოკლე-მოკლე წინადადებებით, დაახლოებით. ისე, როგორც შემდგომში „ზიგვარტი" დაიწერა, პასუხობს ხან მას და ხან სხვა და-ძმას, რაც შინაურ საქმეებსა და საკუთარ გრძნობებზე აქვს მოსაყოლი; ერთი ძმა თეოლოგიას სწავლობს, სანიმუშო ლათინურით წერს და თავის ნაწერს ზოგჯერ ბერძნულ პოსტკრიპტუმებსაც ურთავს; ჰამბურგში, სავაჭრო დაწესებულებაში მომსახურე მომდევნო ძმას, ცხადია, ინგლისური კორესპონდენციები ხვდა წილად, ხოლო მარსელში მოღვაწე უმცროს ძმას ფრანგულად უწევდა წერა. იტალიურისთვის მუსიკოსი ავირჩიე, რომელიც მსოფლიოში თავის პირველ ტურნეს ატარებდა, ხოლო ნაბოლარა ძმა ერ-

თი შეუბუმბლავი მეტიჩარა ბარტყი გახლდათ და რაკი მისთვის უცხო ენა აღარ დამრჩა, ის გერმანულის ებრაულ დიალექტზე ავალაპარაკე; ჰოდა, თუკი ნაბოლარა თავის საშინელი ჩიქორთულით დანარჩენებს აძრწუნებდა, სამაგიეროდ მშობლები ამ მშვენიერი ჩანაფიქრის გამო სიცილით იხოცებოდნენ.

ზემოხსენებულ უჩვეულო ფორმას შინაარსიც შესაფერი შევურჩიე; საამისოდ კი იმ ქვეყნების გეოგრაფია შევისწავლე, სადაც ჩემი გამოგონილი გმირები იმყოფებოდნენ და მშრალი ინფორმაცია ისეთი ნაირნაირი ადამიანური ყოფითი დეტალებით შევავსე, პერსონაჟების ხასიათსა და საქმიანობას ასე თუ ისე რომ შეეფერებოდა. ამის წყალობით ჩემმა სამუშაო რვეულებმა გვარიანად მოიმატა სისქეში, ასე რომ მამაც კმაყოფილი იყო და მეც უფრო ნათლად გავიცნობიერე, სწავლა-განათლებაში სად მოვიკოჭლებდი.

ჩვეულებრივ, ამდაგვარი საქმე ერთხელ თუ დაიძრა, მერე იმას აღარც თავი ექნება და აღარც ბოლო და ასე მომივიდა მეც: დავაპირე თუ არა ზედმიწევნით ჩახუჭუჭებული გერმანულ-ებრაული დიალექტის შესწავლა, რათა ამ ენაზე ისევე კარგად მეწერა, როგორც კითხვა შემეძლო, უეცრად აღმოვაჩინე, რომ ამ თუნდაც შერყვნილი და დაკნინებული თანამედროვე ენის დასაუფლებლად ჰაერივით მჭირდებოდა ძველი ებრაულის ცოდნა, რადგან იგი ძირებით მაინც მასთან იყო დაკავშირებული. ბევრი აღარ მიფიქრია, მამას გამოვუტყდი, ებრაულის სწავლა მინდა-მეთქი და მას შემდეგ აღარც მოვასვენე, რადგან ამჯერად ჩვეულებრივზე გაცილებით მაღალი მიზანი მამოძრავებდა. სადაც ფეხს დავადგამდი, მესმოდა როგორც ძველი აღთქმის, ასევე ახლის გასაგებად დედნის ენის ცოდნა აუცილებელიაო. ამ უკანასკნელს თავისუფლად ვკითხულობდი, რადგან კვირადღე უქმად რომ არ გაგვეტარებინა, გვავალდებულებდნენ ეგრეთწოდებული სახარებები და ეპისტოლეები, როგორც ეკლესიაში იკითხებოდა, ისე გვეკითხა, გვეთარგმნა და შეძლებისდაგვარად აგვეხსნა კიდეც. ზუსტად ასევე მინდოდა ძველ აღთქმას ჩავჯდომოდი, რომელიც თავის იდუმალებით ოდითგანვე საოცრად მიზიდავდა.

მამაჩემს სანახევროდ არაფრის კეთება არ უყვარდა და ამიტომ გადაწყვიტა ჩვენი გიმნაზიის რექტორი, დოქტორი ალბრეხტი კერძო გაკვეთილების ჩატარებაზე დაეყოლიებინა. გაკვეთილები მანამდე უნდა გაგრძელებულიყო, სანამ ამ იოლი ენის საფუძვლებს შეიძლება ინგლისურივით სწრაფად ვერა, მაგრამ ორჯერ მეტ დროში მაინც ავითვისებდი.

რექტორი ალბრეხტი ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურ არსებათაგანი გახლდათ, დაბალი, სქელი არა, მაგრამ ფართო და უფორმო ტანისა, ერთი კუზი აკლდა, თორემ თავის მოსასხამითა და პარიკით ზედგამოჭრილი ეზოპე იქნებოდა. ამ სამოცდაათს გადაცილებული მოხუცის სახეს გამუდმებით დასთამაშებდა სარკასტული ღიმილი, ჩაწითლებული, მაგრამ მაინც მოელვარე, ჭკვიანი თვალები კი ყოველთვის ფართოდ ჰქონდა გახელილი. იგი გიმნაზიის შორიახლოს, ეგრეთწოდებული ფეხშიშველა ძმების ძველ მონასტერში ცხოვრობდა. მასთან, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ჩემს მშობლებთან ერთად რამდენჯერმე ვიყავი ნამყოფი და მონასტრის გრძელი, ბნელი ტალანების, მისაღებ ოთახებად ქცეული ეგვტერებისა და უამრავი კიბისა და მისახვევ-მოსახვევის შემხედვარეს ტანში შიშის საამური ჟრუანტელი მივლიდა. დოქტორი ყოველ შეხვედრაზე, მართალია,

უხერხულ მდგომარეობაში არ მაყენებდა, მაგრამ გამოცდას მაინც მიწყობდა, ოღონდ მერე ყოველთვის მაქებდა და მაგულიანებდა ხოლმე.

[. . .]

სანამ გაკვეთილებზე დავიწყებდი სიარულს, იგი უცნაური ადამიანი მეგონა, სინამდვილეში კი ერთი უწყინარი და დამყოლი კაცი ყოფილა. მონასტერში ყოველდღე, სალამოს ექვს საათზე მივდიოდი და როგორც კი ჩემს უკან ზანზალაკიანი კარი მიიხურებოდა, გამახსენდებოდა, გრძელი, პირქუში ტალანი რომ მქონდა გასავლელი და გული საამური შიშისგან ამიფანცქალდებოდა. ჩვენ ბიბლიოთეკაში, მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან ვმეცადინეობდით და ჩემი მასწავლებელი კითხვისგან გაცრეცილ ლუკიანეს ტომს გვერდიდან ამ დროსაც არ იცილებდა.

[. . .]

კითხვა, თხრობა, გრამატიკა, სიტყვების ჩაწერა და წარმოთქმა იშვიათად თუ გასტანდა ნახევარ საათს, რადგან მე მყისვე საქმის არსზე გადავდიოდი და თუმცა ჯერ მხოლოდ მოსეს პირველი წიგნი გვქონდა დაწყებული, ისეთ ამბებს ვეძიებოდი, მომდევნო წიგნებში რომ მეგულებოდა. თავიდან კეთილი მოხუცი ცდილობდა შევეჩერებინე, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, თვითონაც გაუგო გემო ასეთ გადახვევებს და ამყვა. ამ დროს თავის ჩვეულებისამებრ, ხველებ-ხველებით იცინოდა, მაგრამ როგორც არ უნდა ცდილიყო, საჭირო არაფერი დასცდენოდა, მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. რაკი მე ეჭვების გამოთქმა უფრო მსიამოვნებდა, ვიდრე მათი გაქარწყლება, აზარტი და სითამამე თანდათან მემატებოდა და ისიც თავის საქციელით თითქოს კიდევ უფრო მაგულიანებდა, ისე კი, სიმართლე თუ გნებავთ, ვერც ვერაფერი გამოვტყუე იმის მეტი, რომ სიცილისაგან მუცელი აუთახთახდებოდა და წამოიძახებდა: ახ, შე გადარეულო ყმაწვილო! ახ, შე გადარეულო ბიჭუნაო.

ამასობაში ბიბლიის სიგრძე-სიგანეზე შესწავლის ჩემი ბავშვური ჟინი მასაც სერიოზული ეჩვენა და ხელის წაშველების სურვილიც გაეღვიძა. კარგახნის შემდეგ თავისივე ბიბლიოთეკიდან შემირჩია ბიბლიის ინგლისური გამოცემა, სადაც ძნელი და ორჭოფული ადგილები გასაგებად და ჭკვიანურად გახლდათ გადმოცემული. გერმანელ ღვთისმეტყველთა გარჯის წყალობით თარგმანს დედანთან შედარებით ბევრი უპირატესობა გააჩნდა. მოყვანილი იყო მრავალი შეხედულება და ბოლოსდაბოლოს იმასაც შეცდილიყვნენ ბიბლიის ღირსებები და რელიგიის საფუძვლები ასე თუ ისე ადამიანის ჭკუა-გონებისთვის მიესადაგებინათ. როგორც კი შევეცდებოდი გაკვეთილის ბოლოს ჩემი შეკითხვები და ეჭვები გამომეთქვა, იგი იმდენჯერვე წიგნის თაროსკენ მიმითითებდა. მეც მითითებულ ტომს ჩამოვიღებდი, ის კითხვაში ხელს არ მიშლიდა, თავის ლუკიანეს ფურცლავდა და თუ წიგნის გარშემო რაიმე შენიშვნას გამოვთქვამდი, ჩემს გამჭრიახობას მხოლოდ თავის ჩვეულ, ხველებანარევ სიცილს შემოაგებებდა ხოლმე. ზაფხულის გრძელ დღეებში, სანამ ასოების გარჩევა შემეძლო, კითხვას არ მიშლიდა და ზოგჯერ მარტოც მტოვებდა, მაგრამ კარგახანი დასჭირდა საიმისოდ, სანამ რომელიმე წიგნს შინ გამატანდა.

ადამიანი საითაც უნდა მიაწყდეს, რა საქმესაც უნდა მოჰკიდოს ხელი,

ბოლოს მაინც იმ გზას დაუბრუნდება, რაც მისთვის ბუნებას აქვს დასახული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეც ასე მომივიდა. ენის შესწავლაზე დახარჯული შრომა და წმინდა წერილის შინაარსის ათვისება ბოლოსდაბოლოს იმით დასრულდა, რომ ჩემი ფანტაზიის წყალობით კიდევ უფრო ცოცხალი წარმოდგენა შემექმნა იმ მშვენიერ და ხოტბაშესხმულ ქვეყანაზე. მის შემოგარენსა და მეზობელ ქვეყნებზე, ხალხებსა და ისტორიულ მოვლენებზე, დედამიწის იმ ერთ ნაგლეჯს ათასწლეულების მანძილზე რომ განადიდებდნენ.

[. . .]

ალბათ ვინმეს დაებადება კითხვა, რა მრჯის, ამ საყოველთაოდ ცნობილ, მრავალჯერ მონათხრობ და გამოკვლეულ ამბებს კვლავ ასე დაწვრილებით რომ ვყვები. მას ასეთ პასუხს გავცემდი: სხვაგვარად ვერაფრით ავხსნიდი, ჩემი გაფანტული ცხოვრებისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ განსწავლის გადამკიდემ მაინც როგორ მოვახერხე მთლიანად და დინჯად ერთი განსაზღვრული წერტილისაკენ მიმემართა ჩემი გონი და გრძნობები. სხვაგვარად ვერც მოვახერხებდი ამეწერა ჩემს ირგვლივ არსებული მშვიდი ატმოსფერო, მაშინ როცა გარეთ ასე დუღდა და ბობოქრობდა ცხოვრება. როცა წარმოსახვის დაუდეგარი ძალა, რასაც ის ზღაპარიც მოწმობს, აქეთ-იქით მანარცხებდა, როცა იგავებისა და ისტორიის, მითოლოგიისა და რელიგიის ნაზავს შეიძლებოდა საბოლოოდ აებნია ჩემთვის თავგზა, მაშინ მივაშურე აღმოსავლეთის ქვეყნებს, მოსეს პირველ წიგნებში ჩავყვინთე და მომთაბარე ტომების შუაგულში მოხვედრილმა ერთდროულად უდიდესი მარტოობაც ვპოვე და უდიდეს ხალხმრავლობაშიც გავერიე.

წიგნი მეხუთე

ყოველი ჯურის ჩიტს თავისი საკენკი აქვს და ადამიანიც ასეა, ყოველი კაცი თავისებურად, მაგრამ მაინც შეიძლება წალმა-უკულმა ატარო. ბუნება, აღზრდა, გარემო, ჩვეულება მარიდებდა უხეშ სინამდვილეს და თუმცა ხშირად მიწევდა ხალხის დაბალ ფენებთან, განსაკუთრებით კი ხელოსნებთან ურთიერთობა, იგი უფრო დიდ სიახლოვეში არასოდეს გადაზრდილა. თან საიმისო გაბედულებაც მყოფნიდა, უჩვეულოს რასმე იქნებ ხიფათსაც გადავყროდი და ზოგჯერ ამის სურვილიც გამჩენია, მაგრამ ყოველთვის მაკლდა ის აუცილებელი ბერკეტი, რომელსაც ხელს ჩავკიდებდი და ჩავეჭიდებოდი.

ამასობაში, სრულიად მოულოდნელად, ისეთ საქმეში გავეხვიე, რომელიც დიდ საფრთხეს თუ არ მიქადდა, კარგახნით მაინც ამაფორიაქა და ჩამაგდო გაჭირვებაში. ჩემი უწინდელი კეთილი ურთიერთობა ერთ ბიჭთან, რომელსაც პილადესი ერქვა, სიყმაწვილეშიც გაგრძელდა, თუმცა იშვიათად ვხვდებოდით, რადგან ჩვენი მშობლები დიდად ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ერთმანეთს სადმე თუ შევხვდებოდით, იმწამსვე იფეთქებდა ხოლმე ძველი მეგობრობის გრძნობა და აი ერთი ასეთი შეხვედრა სანქტ-გალენის კარიბჭის შორიახლოს, სასეირნო ხეივანში შედგა. სალამ-ქალამი ჯერ მოთავებულიც არ გვქონდა, რომ ჩემმა მეგობარმა მითხრა:

— შენი ლექსები ძველებურად დიდ თავსატეხს მიჩენს. ახლახან

რომ მომეცი, ისინი ჩემს რამდენიმე მეგობარს წავუკითხე და ვერცერთი ვერ დავაჯერე, რომ შენი დაწერილია.

ეგ არაფერი, ჩვენ ვწეროთ და ვასიამოვნოთ, სხვებს კი რაც უნდათ ის უფიქრიათ და ულაპარაკიათ-მეთქი, მივუგე მე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[. . .]

ამ ამბიდან დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ჩემმა მეგობარმა ლამის ძალით დამითანხმა იმ ურწმუნოთა თავყრილობაზე წავყოლოდი. მასპინძლობა ერთ გამიჯნურებულ ყმაწვილს უნდა გაეწია და ასე გადაეხადა მადლობა მისთვის, რომელსაც ჩემს მაგივრად ჩინებულად ეტვირთა მდივან-პოეტის როლი.

თანამეინახენი საკმაოდ გვიან შევიკრიბეთ. სუფრა ლამის მწირი გახლდათ, ღვინო — ასატანი. საუბარს რაც შეეხება, იგი თითქმის მთლიანად მასპინძლის მასხრად ასაგდებად იყო გამიზნული, რომელმაც რამდენჯერმე რომ წაიკითხა ჩემი შეთხზული სატრფიალო ბარათი, მართლა დაიჯერა, ჩემი დაწერილიაო.

ჩემი თანდაყოლილი გულკეთილობის გამო სიხარულს სულაც არ მგვრიდა ასეთი ბოროტი თამაში და ერთი და იმავე თემის ტრიალმაც სულ მალე ამირია გული. ნამდვილად ერთი უმსგავსი საღამოს გადაგორება მომიწევდა, ერთ მოულოდნელ ამბავს რომ არ გამოვეცოცხლებინე; თანამეინახეებს სუფრა სუფთად და კოხტად დაგვხვდა გაწყობილი, ღვინოც საკმარისი გახლდათ, ასე რომ, მარტონი ვიყავით და მომსახურება არც დაგვჭირდებოდა, ღვინო რომ არ შემოგვკლებოდა და ვიღაცას მოახლე არ ეხმო. და აი, მოახლის ნაცვლად ამ გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი, იშვიათი, წარმოუდგენელი სილამაზის ქალიშვილი შემოვიდა.

— რას ინებებთ? — გვკითხა მან გულითადი სალმის შემდეგ. — მოახლე ავადაა და წევს. რით შემიძლია გემსახუროთ?

— ღვინო შემოგვაკლდა, — მიუგო ვილაცამ. — რამდენიმე ბოთლს თუ მოგვიტანთ, კარგი იქნება.

— მოგვიტანე რა, გრეთჰენ, — უთხრა მეორემ, — აქვე, ორ ნაბიჯზეა.

— ბატონი ბრძანდებით, — თქვა მან, რამდენიმე ცარიელ ბოთლს ხელი დაავლო და გაიქცა.

ზურგიდან კიდევ უფრო ნატიფი ჩანდა მისი ფიგურა. ჩაჩი ისე კოხტად ეხურა პატარა თავზე, რომ მის ფონზე ყელი კიდევ უფრო კოხტად მოღერებული მოუჩანდა და კეფასა და მხრებს მოხდენილად ერწყმოდა. ამ გოგონას ყველა ნაკვთი გამორჩეული ჰქონდა და ამიტომ მშვიდად შეიძლებოდა მისთვის ისე გეცქირა, რომ მზერით მხოლოდ წყნარ, მწყაზარ თვალებსა და საამურ ტუჩ-პირს არ მისჯაჭვოდი. თანამეინახეებს ვუსაყვედურე, გოგონა ამ ლამეში მარტო სად გააგზავნეთ-მეთქი, მათ სიცილი დამაყარეს და მეც სულ მალე დავწყნარდი, რაკი იგი სულ მალე დაბრუნდა, მიკიტანი თურმე ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობდა.

— ახლა კი გვერდით მოგვიჯექი, — უთხრა ერთმა, ისიც სუფრასთან დაჯდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემს გვერდით არა. ერთი ჭიქით გვადღეგრძელა და მალე წავიდა, ოღონდ დაგვიბარა, დიდხანს ნულარ გაჩერდებით და ხმასაც დაუწიეთ, რადგან დედა დაწოლას აპირებსო. დედაში მედუქნის დედა იგულისხმებოდა.

იმ წუთიდან ამ გოგონას ხატება ყოველგან თან მდევდა: ეს გახლდათ პირველი წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც კი აქამდე ჩემზე ქალს მოეხდინა. არავითარი საბაბი არ მიძებნია და ვერც ვიპოვიდი, მისთვის შინ მიმეკითხა, ამიტომ მისი ეშხით ეკლესიას მივაშურე, მყისვე ავიღე გეში, სად იჯდა და მას შემდეგ გრძელი პროტესტანტული ლოცვისმსახურების მანძილზე მისი ცქერით ვტკბებოდი ხოლმე. ეკლესიიდან გამოსულს გამოლაპარაკებას ვერ ვუბედავდი, გაყოლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუკი დამინახავდა და სალამზე ძლივს შესამჩნევად დამიქნევდა თავს, იმითაც ვნეტარებდი, მაგრამ მასთან დაახლოების ბედნიერება თურმე უკვე კარს იყო მომდგარი. ის გამიჯნურებული ყმაწვილი, რომლის მდივან-პოეტადაც მე გამამწესეს, დაარწმუნეს, რომ მისი სახელით დაწერილი წერილი იმ ასულს მართლა მისვლოდა და ახლა მისგან პასუხი იყო მოსალოდნელი. ცხადია, ეს პასუხიც მე უნდა დამეწერა, ჰოდა, ოინბაზი კომპანია პილადეს პირით შემევედრა, ნიჭი და უნარი არ დამეშურებინა, რათა წერილი მართლა დახვეწილი და სრულყოფილი გამოსულიყო.

ჩემი მზეთუნახავის ნახვის იმედით გულმოცემული საქმეს დაუყოვნებლივ შევუდექი და აზრი ისე დავალაგე, როგორც მე მესიამოვნებოდა, გრეთჰენს წერილი ჩემთვის რომ მოეწერა. ისე მტკიცედ ვირწმუნე, რომ ჩემი ყოველი დაწერილი სიტყვა მის გარეგნობას, ბუნებასა და ხასიათს ზუსტად შეესაბამებოდა, ისე ძლიერ ვნატრობდი, ყველაფერი მართლა ასე ყოფილიყო, რომ იმის გაფიქრებაც კი, მისგან მართლა შეიძლებოდა მსგავსი წერილი მიმეღო, აღტაცების მორევში მძირავდა. ასე გავიხვიე თავი მისტიკაში, როცა ვფიქრობდი, სხვას ვამასხარავებ-მეთქი, და ამ ამბავმა არაერთი სიხარული, მაგრამ არაერთი ვარამიც მომიტანა. ჩემი დანაპირები რომ შემახსენეს, წერილი უკვე მზად მქონდა, შეხვედრაც დავთქვით და დათქმულ დროისთვის არ გადამიცილებია. სახლში მხოლოდ ერთი ყმაწვილი დამიხვდა; გრეთჰენი ფანჯარასთან იჯდა და ქსოვდა, დედა იქვე მიმოდიოდა. ყმაწვილმა მომთხოვა წამეკითხა წერილი. კითხვა დავიწყე და საკმაოდ მგრძნობიარედაც. თან ფურცლის ზემოდან თვალს მშვენიერი გოგონასაკენ ვაპარებდი, თითქოს ერთგვარი ფორიაქი შევატყვე, ლაწვებიც შეფაკლული მეჩვენა და მეც კიდევ უფრო უკეთ და ცოცხლად გამოვთქვი ის აზრი, რასაც მის ბაგეთაგან სიამოვნებით მოვისმენდი. მისი ბიძაშვილი კითხვას ხშირ-ხშირად მაწყვეტინებდა საქებარი შეძახილებით, ბოლოს კი ტექსტში რამდენიმე ცვლილების შეტანა მთხოვა. ეს ის ადგილები გახლდათ, რომლებიც გრეთჰენის მდგომარეობას უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე ქალაქში ცნობილი და დაფასებული, შეძლებული ოჯახის ასულს, ვისი სახელითაც წერილი იწერებოდა. ყმაწვილმა ჩამომიყალიბა მისთვის სასურველი შესწორებები, საწერი მოწყობილობა მომიტანა, მაგიდასთან დამსვა და თვითონ რაღაც საქმეზე გავიდა. მე ვარჩიე საჭირო შესწორებები ჯერ ლამის მთელი მაგიდისხელა ფიქალის დაფაზე გრიფელით დამეწერა, რომელიც მუდამ ფანჯრის რაფაზე იდო. ამ დაფაზე ხშირად ანგარიშობდნენ, რაღაცას ინიშნავდნენ, ან სულაც მიმსვლელ-მომსვლელი სახლის პატრონს ზედ ბარათს უტოვებდა ხოლმე.

ერთხანს იმ დაფაზე რაღაც-რაღაცებს ვწერდი და ვშლიდი, მერე კი მოთმინება გამომელია და წამოვიყვირე;

— არ გამომდის და რა ვქნა!

— მით უკეთესი! — სერიოზული ხმით გამომეხმაურა გოგონა და

დასძინა, — მე ვისურვებდი სულ არ გამოგსვლოდათ. არ გეკადრებათ ასეთ გარიგებაში გარევა.

იგი საქსოვ დაზგას მოსცილდა, მაგიდასთან მოვიდა და ჭკვიანურად, მაგრამ თავაზიანად დამტუქსა

— ეს ვითომ უწყინარი ხუმრობა ხუმრობა კი არის, მაგრამ უწყინარობისა რა მოგახსენოთ. მრავალჯერ შევსწრებივარ, ყმაწვილები ასეთი ოინების წყალობით დიდ უსიამოვნებებს რომ გადაჰყრიან.

— მაშ რა ვქნა? — მივუგე მე, — წერილი თითქმის მზადაა და ისინი შესწორებასღა ელოდებიან.

— დამიჯერეთ, — განაგრძო მან, — ნურაფერს ნუ გადააკეთებთ. დიახ, წერილი აიღეთ, ჯიბეში ჩაიდეთ, აქედან წადით და შეეცადეთ ეგ საქმე თქვენი მეგობრის შემწეობით მოაგვაროთ, ერთ სიტყვას მეც შეგაწევთ, ჩემნაირი ღარიბი გოგო, ცხადია, ნათესავებზე ვარ დამოკიდებული, ისინი, მართალია, ბოროტებას არ სჩადიან, მაგრამ ხშირად თავის გასართობად თუ ანგარების მიზნით ოინბაზობენ და აი, ამ ღარიბმა გოგომ გავბედე და პირველი ბარათი მათი ბრძანების მიუხედავად არ გადავწერე. მათ იგი შეცვლილი ხელწერით გადაწერეს და ახლაც იმასვე ლამობენ, რაც უნდათ, ის ქნან, თქვენ კი, ახალგაზრდა კაცს, კარგ ოჯახიშვილს, შეძლებულ, დამოუკიდებელ ადამიანს რატომ გინდათ ასეთ საჩოთირო საქმეში სხვების იარაღად იქცეთ, რომელიც კარგს არაფერს მოგიტანთ, უფრო მეტიც, უსიამოვნებასაც კი გადაგყრით?

ბედნიერი ვიყავი, მის ჭკვიანურ სიტყვებს რომ ვისმენდი, რადგან ჩვეულებრივ საუბარში თითო სიტყვას თუ ჩაურთავდა ხოლმე... გრძნობამ ისე წამლეკა, რომ თავს ველარ ვერეოდი და რამდენიმე სიტყვა ძლივს ამოვთქვი:

— მე არც ისე დამოუკიდებელი ვარ, თქვენ რომ გგონიათ, ანკი რაში მარგია ჩემი შეძლება, თუ ის უძვირფასესი რამ მაკლია, რაც გულით მწადია?

მან ჩემი პოეტური ეპისტოლეს შავი პირი აიღო და ნაზად და ნარნარად, ხმადაბლა წაიკითხა.

— აი ეს კი მართლაც მშვენიერია, — თქვა მან, როცა რომელიღაც ვითომ გულუბრყვილო გამოთქმას წააწყდა. — ოღონდ საწყენია, იგი უკეთეს, ჭეშმარიტ საქმეს რომ არ ემსახურება.

— ეგ ხომ მართლაც სასურველი იქნებოდა, — წამოვიძახე მე, — რა ბედნიერი იქნებოდა ის, ვინც თავისი სიყვარულის დასტურს მისთვის უსაზღვროდ საყვარელი გოგონასგან მიიღებდა.

— საამისოდ ცხადია, ბევრი რამაა საჭირო, მაგრამ იქნებ რაღაც მაინც გამოვიდეს, — მომიგო მან. მე კი, სიტყვა არ დავამთავრებინე, ისე შევაშველე: მაგალითად, ვინმემ, ვინც თქვენ გიცნობთ, გაფასებთ, პატივს გცემთ და გალმერთებთ, ასეთი წერილი რომ დაგიდოთ და დაჟინებით, სულითა და გულით მოგთხოვოთ პასუხი, რას იზამდით?

ამ სიტყვებზე კვლავ ახლოს მივუწიე ის ფურცელი, რომელიც ის იყო წინ დამიდო. გაელიმა, წუთით ჩაფიქრდა, კალამი აიღო და წერილს ხელი მოაწერა. აღტაცებისგან გონდაკარგული წამოვხტი და მოხვევა დავუპირე.

— არ მაკოცოთ! — შესძახა მან. — ეს ხომ უხამსი რამ არის, სიყვარულს კი, თუ ამის უნარი შეგწევთ, ვერავინ დაგიშლით.

ფურცელი ავიღე, ჯიბეში ჩავიდე და ვუთხარი:

— ამას ვერავინ მიიღებს, მორჩა, თქვენ მე გადამარჩინეთ!

— თუ ასეა, ბოლომდე მიიყვანეთ ეს გადარჩენა, — წამოიძახა მან, — იჩქარეთ, სანამ სხვები მოვიდოდნენ და შავ დღეში ჩაგაყენებდნენ.

მასთან განშორება ძალიან მიჭირდა, ვერ ველეოდი, მაგრამ ისე გულთბილად მთხოვა, ისე ალერსიანად ჩამჭიდა მარჯვენაში ცარიელი, რომ საცაა, ცრემლებს გადმოვღვრიდი. თან მეჩვენებოდა, რომ მასაც აუწყლიანდა თვალები. სახით ხელებზე დავეკონე და გამოვიქეცი. ჩემს სიცოცხლეში ასე აფოფინებული არ ვყოფილვარ.

საერთოდ, გაუხრწნელი ახალგაზრდა კაცის პირველ გატაცებას უფრო სულიერება წარმართავს ხოლმე. ეტყობა, ბუნებას სწადია ერთმა სქესმა საპირისპირო სქესში სიკეთე და მშვენიერება დაინახოს და მეც, ამ გოგონას ხილვისა და მისდამი ტრფობის წყალობით მშვენიერებისა და სრულყოფილების ახალ სამყაროში შევაბიჯე.

[. . .]

მეორე დილით ჯერ კიდევ ვიწექი, ჩემს ოთახში აღელვებული და შეშინებული დედა რომ შემოვიდა. დედას იმწამსვე სახეზე ეტყობოდა, რამე თუ აწუხებდა.

— ადექი და მოემზადე უსიამოვნო საუბრისათვის, — მითხრა დედამ. — შენ თურმე ცუდ საზოგადოებაში დაიარები და საშიშ და საეჭვო მაქინაციებშიც გარეულხარ. მამა განრისხებულია და მხოლოდ იმაზე დავიყოლიეთ, რომ საქმე გარეშე პირმა გამოიძიოს. შენს ოთახში დარჩი და მრჩეველ შნაიდერს დაელოდე. იგი შენთან მხოლოდ მამაშენის კი არა, ხელისუფლების დავალებითაც მოვა, რადგან საქმე უკვე აღძრულია და შეიძლება ძალიან ცუდადაც შემოტრიალდეს.

შევატყვე, რომ საქმეს იმაზე ცუდი პირი უჩანდა, ვიდრე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე მაინც უფრო ის მაწუხებდა, მის ნამდვილ მიზეზებს არ ჩასძიებოდნენ. ბოლოს, ჩვენი ძველი მესიანელი მეგობარი როგორც იქნა შემოვიდა და შევამჩნიე, რომ თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. მან მკლავში ჩამავლო ხელი და მითხრა:

— გულწრფელად ვწუხვარ, ასეთ საქმეზე რომ მოვედი, ვერც ვიფიქრებდი, ასე ღრმად თუ შესტოპავდით, ხომ ხედავთ, ცუდ წრეს და ცუდ მაგალითს შეუძლია წესიერი, გამოუცდელი ახალგაზრდა დანაშაულამდე მიიყვანოს.

— არავითარი დანაშაული მე არ ჩამიდენია და არც ის მგონია, ცუდ წრეში ვტრიალებდე, — მივუგე მე.

მან სიტყვა გამაწყვეტინა:

— ახლა თავისმართლების დრო არ არის. ეს გახლავთ გამოძიება და თქვენ მხოლოდ ის მოგეთხოვებათ, ყველაფერი გულწრფელად აღიაროთ.

[. . .]

კეთილმა კაცმა მრავალი კითხვა დამისვა, მაგრამ მე ყველა კითხვაზე უარყოფითი პასუხი გავეცი, რადგან მართლა არაფერი ვიცოდი იმ ამბებისა, რის შეტყობაც ჩემგან სურდათ. ბოლოს შევატყვე, რომ გაღიზიანდა და მითხრა:

— თქვენ ჩემს ნდობასა და კეთილგანწყობას არ აფასებთ, მე თქვენს

გადასარჩენად ვარ აქ მოსული. ხომ ვერ უარყოფთ, რომ იმ ხალხისათვის წერილებს ადგენდით და ამით ბოროტი ოინების ჩადენაში ეხმარებოდით? მე თქვენს გადასარჩენად ვარ მოსული, რადგან საქმე არც მეტი, არც ნაკლები, გადაკეთებულ ხელწერას, ყალბ ანდერძებს, ყალბ თამასუქებსა და ამდაგვარებს ეხება. მე მხოლოდ ოჯახის მეგობრის სახით არ მოვსულვარ, ხელისუფლების სახელითა და დავალებით ვარ მოსული, რომელიც ახედველობაში იღებს თქვენს ოჯახიშვილობასა და ახალგაზრდულ ასაკს და თქვენთვის და სხვა ყმაწვილებისთვის შელავათის გაწევა სურს, თქვენსავით რომ არიან იმ გარეწართა ბადეში გაბმულნი.

იმწამსვე მივხვდი, რომ მისგან დასახელებულ პირთა შორის სწორედ ისინი არ ერივნენ, ვისთანაც მე ვამხანაგობდი. ფაქტები არ ემთხვეოდა ერთმანეთს, მათ შორის მხოლოდ შეხების წერტილები აღინიშნებოდა და ამიტომ ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს დავიფარავდი. იმას ვერ უარვყოფდი, რომ ზოგჯერ ღამ-ღამობით შინ გვიან მოვდიოდი, ვერც იმას, სახლის გასაღები რომ გავიხერხე, ვერც იმას, დაბალი ფენისა და საეჭვო ფიზიონომიის პიროვნებებთან ერთად გასართობ დაწესებულებებში არაერთხელ რომ ვყოფილვარ შემჩნეული და საქმეში გოგოებიც რომ ერივნენ; ერთი სიტყვით, ყველაფერი ცნობილი გახლდათ სახელებისა და გვარების გარდა და ამით გულმოცემული ჯიუტად ვდუმდი.

— ნუ მაიძულებთ, თავი გაგანებოთ და წავიდე. საქმეს ვერ გადავდებთ, ჩემს მაგივრად მყისვე სხვა მოვა და ამდენ გასაქანს აღარ მოგცემთ. ისედაც ბინძურ საქმეს თქვენი სიკერპით უფრო მეტად ნულარ წაახდენთ.

აი, მაშინ კი ცოცხლად დამიდგა თვალწინ ის კეთილი ბიძაშვილები და განსაკუთრებით კი გრეთჰენი. წარმოვიდგინე, როგორ აპატიმრებენ სამივეს, დაჰკითხავენ, სჯიან, თავსლაფს ასხამენ და უცებ ელვასავით დამიარა ეჭვმა; მართალია, ძმები მე რიგიანად მექცეოდნენ, მაგრამ თამამად შეიძლებოდა ცუდ საქმეებში ყოფილიყვნენ გარეულნი, ორივე თუ არა, უფროსი მაინც, რომელიც არასოდეს მეხატებოდა გულზე — იგი შინ ყოველთვის გვიან მოდიოდა და რაღაცებს მიედ-მოედებოდა ხოლმე. ასე ვბჭობდი გულში, მაგრამ რაიმეს აღიარებას არ ვჩქარობდი.

— მე პირადად არაფერში მიმიძღვის ბრალი, — ვთქვი ბოლოს, — და ამ მხრივ შემიძლია მშვიდად ვიყო, მაგრამ გამორიცხული არაა, ვისთანაც მე ვამხანაგობდი, იმათგან ვინმეს რაიმე დაეშავებინოს და კანონსაწინააღმდეგო საქციელი ჩაედინოს. ეძებონ და იპოვონ, ამხილონ და დასაჯონ ისინი, მე ჯერჯერობით თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ და არც ის მინდა ისინი დავადანაშაულო, ვინც მეგობრულად და გულთბილად მექცეოდა.

მან სიტყვა არ დამამთავრებინა, ისე მიყვირა:

— დიახ, იპოვიან კიდეც. ის არამზადები სამ სახლში იკრიბებოდნენ! — შესძახა აღელვებულმა და ქუჩები და სახლებიც დაასახელა, მათ შორის საუბედუროდ ის სახლიც, სადაც ხშირად დავიარებოდი.

— პირველი ბუნაგი უკვე მოშლილია, — განაგრძო მან, — ამ წუთებში დანარჩენ ორს მიადგებიან, რამდენიმე საათში ყველაფერი გაირკვევა. გირჩევთ გულწრფელი აღიარებით თავი აარიდოთ სასამართლო გამოძიებას, დაპირისპირებასა და სხვა ისეთ საზიზღრობებს, რომ არც ვიცი, რა ჰქვიათ.

სახლი დასახელებულიცაა და აღმოჩენილიც. ამიერიდან დუმილი უაზრო მეჩვენებოდა. თანაც ჩვენი შეკრებები იმდენად უწყინარი იყო, რომ ვიმედოვნებდი ჩემი აღიარებით საკუთარ თავზე უფრო ისევ ჩემს თანამეინახეებს თუ შევეწეოდი.

— დაბრძანდით, — წამოვიძახე მე და ჩვენი ოჯახის მეგობარი კარის ზღურბლიდან მოვაბრუნე, — ყველაფერს მოგიყვებით, ამით მეც მომეშვება გულზე და თქვენც. მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ამ წუთიდან ეჭვი არ შეგეპაროთ ჩემს გულწრფელობაში.

დავიწყე მოყოლა, რა როგორ იყო, თავიდან მშვიდად და თავშეკავებულად ვლაპარაკობდი, მაგრამ რაც უფრო მეტ პიროვნებებს, საგნებსა და ამბებს ვიხსენებდი, რაც უფრო მეტი თითქოს უწყინარი სიხარული თუ გართობა გამომქონდა სამსჯავროს წინაშე, ტკივილი მით უფრო მიძლიერდებოდა, და ბოლოს იქამდე მივედი, რომ ცრემლები წამსკდა და წონასწორობიდან საბოლოოდ გამოვედი. ჩვენი ოჯახის მეგობარს ეგონა სწორედ ახლა აეხსნებოდა საიდუმლოს ფარდა (ჩემი წუხილი იმის სიმპტომად მიიჩნია, რომ რაღაც საშინელება უნდა მეღიარებინა), ოღონდ კი სიმართლე გაეგო და ყოველნაირად ცდილობდა დავეწყნარებინე. ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხა, მაგრამ იმდენად კი დამაწყნარა, რომ შევძელი ჩემი თავგადასავალი მომეყოლა. მართალია, იგი კმაყოფილი დარჩა ჩვენი უწყინარი შეხვედრების ამბის მოსმენით, მაგრამ ეჭვები მთლიანად მაინც არ გაჰფანტვია და ისეთი კითხვები დამისვა, რომ ისევ გავნერვიულდი. ბოლოსდაბოლოს ვუთხარი, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, კარგად ვიცი, რომ არაფრის არ უნდა მეშინოდეს, რადგან უდანაშაულო ვარ, კარგი ოჯახიშვილი და კარგი რეპუტაციითაც ვსარგებლობ-მეთქი; იქნებ ისინიც ჩემსავით უდანაშაულონი არიან, მაგრამ მათ არც არავინ მფარველობს და მათ უდანაშაულობას არც არავინ აღიარებს-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ განვუცხადე, თუ მათაც ჩემსავით შემწყნარებლურად არ მოექცეოდნენ, თუ ონავრობას არ აპატიებდნენ და შეცდომებსაც არ მიუტევებდნენ, მკაცრად დასჯიდნენ და რაიმეს დაუშავებდნენ, თავს აღარ ვიცოცხლებდი და ხელსაც ვერავინ შემიშლიდა. ოჯახის მეგობარი კვლავ შეეცადა დავეწყნარებინე, მაგრამ მის სიტყვას აღარ ვენდობოდი და, როცა ბოლოსდაბოლოს მარტო დამტოვა, საშინელ დღეში ჩავვარდი. საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი, ჩვენი ამბები რომ მოვუყევი და ყველაფერი სააშკარაოზე რომ გამოვიტანე. წინასწარ ვეჭვრეტდი, ჩვენს ბავშვურ საქციელს, ყმაწვილურ გატაცებებს და გულახდილობას სულ სხვაგვარად რომ გაიგებდნენ, ისიც მაწუხებდა, რომ ჩემი კეთილი პილადესიც შარში გავხვიე და შეიძლება გავაუბედურე კიდეც. ეს ყველაფერი ცოცხლად რომ წარმოვიდგინე, ტკივილი კიდევ უფრო გამიმწვავდა და ლახვარივით ჩამესო გულში, დარდისაგან აღარ ვიყავი, პირქვე დავემხე და იატაკი ცრემლებით მოვრწყე.

არ ვიცი, რამდენხანს ვეგდებოდი ასე, ბოლოს ოთახში ჩემი და რომ არ შემოსულიყო. ჩემს დანახვაზე შეშინდა და რაღა არ ილონა, რომ გონს მოვეყვანე. მან მიამბო, რომ თურმე ქვევით, მამასთან მაგისტრატის ერთი წევრი ჩვენი ოჯახის მეგობრის გამოსვლას ელოდებოდა, მერე ყველანი კარგახნით ჩაკეტილან, ოთახიდან ორივე ბატონი ერთად გამოსულა, თურმე ერთმანეთს კმაყოფილი სახით, სიცილ-სიცილით ესაუბრებოდნენ და ჩემს დას ასეთი სიტყვებიც კი გაუგონია, რა კარგია, ეს საქმე უმნიშვნელო რომ გამომდგარაო.

— დიახ, კარგია, ეს საქმე უმნიშვნელო რომ ყოფილა, ჩემთვის, ჩვენთვისაა უმნიშვნელო, რადგან მე არაფერი დამიშავებია და რომც დამეშავებინა, მშრალად გამომაძვრენდნენ, მაგრამ იმათ, იმათ რა ეშველება, იმათ ვინ მიეშველება! — ვუყვიროდი მე.

ჩემმა დამ საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით სცადა ჩემი დაწყნარება, წარჩინებული ხალხის ხსნას თუ მოინდომებენ, მაშინ-მათზე

მანანა იამანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარლ დე პეისონელის ესე

„სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მდელვარება“

ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში შარლ დე პეისონელის თხზულება „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მდელვარება“ ესეს საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მოგზაური თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვალით აღწერს საქართველოს სინამდვილეს. მისი ინტერესი ქვეყნის წარსულსაც სწვდება. ამ შემთხვევაში იგი უხვად იყენებს სხვა მეცნიერთა თუ მოგზაურთა გამოკვლევებს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოგროვებული მასალებისა და საკუთარი დაკვირვებების შეშვეობით მოგზაური ცდილობს საშუალება მისცეს მკითხველს წარმოიდგინოს 1747-1753 წლების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მეტნაკლებად სრული სურათი.

შარლ დე პეისონელი[1] ფრანგი იურისტი, არქეოლოგი, პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური დაიბადა მარსელში 1700 წლის 17 დეკემბერს. 23 წლის ასაკში მას უკვე ჰქონდა იურიდიული განათლება და ადვოკატად მუშაობდა მშობლიურ მარსელში, სადაც თავს იყრიდნენ მოგზაურები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ახალგაზრდა პეისონელის თვალწინ მრავალი მოგზაური ტოვებდა მარსელს დიდი განცდებითა და ინტერესით დატვირთული და იქვე ბრუნდებოდა შთაბეჭდილებით აღსავსე. მისი ცნობისმოყვარეობა მოგზაურობისადმი გატაცებით დასრულდა და იგი დიდი გულმოდგინებით შეუდგა მსოფლიოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფიის, ისტორიის, არქეოლოგიის შესწავლას, მეცნიერთა გამოკვლევების, მოგზაურთა დაკვირვებებისა და შთაბეჭდილებების გაცნობას. დე პეისონელისათვის მალე ცხადი გახდა, რომ მოგზაურობა აუცილებელი იყო მისი, როგორც შორეული ქვეყნების მკვლევარის, სულიერი და ინტელექტუალური სრულყოფისათვის. თუმცა, კარგად მოეხსენებოდა, რომ ამ გადაწყვეტილებას წინ მრავალი დაბრკოლება ელოდა, მათ შორის, აღმოსავლეთის ქვეყნების არამყარი და სახიფათო სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, შეფისა და ეკლესიის ნდობის დამსახურება, მოგზაურობის უფლების მოპოვება და სხვ.

საბედნიეროდ, შარლ დე პეისონელის განათლება და მოღვაწეობა ისტორიისა და არქეოლოგიის დარგში შეუმჩნეველი არ დარჩა საფრანგეთის მეფეს ლუი XV-ს, მისივე დაფინანსებით და სასულიერო პირთა თანხმობით, 1735 წელს, იგი მიავლინეს კონსტანტინოპოლს, სადაც ამ პერიოდში საფრანგეთის ელჩად ცნობილი დიპლომატი და მოგზაური მარკიზ დე ვილნევი მოღვაწეობდა. შარლ დე პეისონელი დაინიშნა მის მდივნად და წლების მანძილზე მასთან ერთად მოგზაურობდა და იკვლევდა სხვადასხვა ქალაქებს, მდინარეებს, სრუტეებს, მცირე აზიის ქვეყნების მხარეებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეცნობოდა მოსახლეობას, მათ ყოფას, რადგან აშინებდა ფანატიზმი, რომლითაც მოცული იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის გარ-

---

1. Memoires de l'Académie des Inscriptions t. XXIX, Bibliothèque Nationale, Paris.

კვეული ფენა. თავისი გონიერებისა და მოხერხების წყალობით მან არაერთხელ დაიღწია თავი რთულ სიტუაციას.

გარდა დიდი გატაცებისა, რამაც შარლ დე პეისონელი მოგზაურად აქცია, მას ჰქონდა მოვალეობა მეფისა და ქვეყნის წინაშე — მოეკვლია ის სიძველენი, ძვირფასი და იშვიათი ქვები, რითაც ასე მდიდარი იყო აზიის ქვეყნები.

პირველი მოგზაურობის შემდეგ, 1747 წელს შარლ დე პეისონელმა შეფეს, ლუი XV-ს მიართვა უცხო მხარეში მოპოვებული ძვირფასი ქვები, ანტიკვარული ნივთები, მარმარილო, კალცედონი და სხვა იშვიათი მინერალები მოგზაურის მიღწევებით კმაყოფილმა მეფემ ამჯერად იგი სმირანის საკონსულოში მიავლინა სამუშაოდ და მის მისიას პოლიტიკური დატვირთვაც დაუმატა. აღმოსავლეთში არსებული ურთულესი მდგომარეობის გაცნობასა და შესწავლას საფრანგეთი დიდ მეცნიერულ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო სპარსეთის — ამ უდიდესი და უმდიდრესი ქვეყნის მიმართ მას ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი და სიმპათია. ამდენად ფრანგი მოგზაურები სპარსეთში საკუთარი მიზნების გარდა სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვისაც იყვნენ წარგზავნილნი ისევე, როგორც ფრანგი დიდგვაროვანი, იურისტი, არქეოლოგი, შესანიშნავი მოგზაური, საფრანგეთის აკადემიის წევრი შარლ დე პეისონელი.

აღმოსავლეთის ქვეყნების ღრმა მეცნიერული ცოდნის და ზომიერი პოლიტიკური ორიენტაციის გამო, მან სპარსეთის სამეფო კარის დიდი აღიარება დაიმსახურა.

შარლ დე პეისონელი ათი წლის მანძილზე მოღვაწეობდა სმირანში, დაძაბულ, საშიშ ვითარებაში. ცხოვრების ამგვარ პირობებს მან დიდხანს ვერ გაუძლო და 1757 წლის 16 მაისს იქვე გარდაიცვალა. ადგილობრივმა მთავრობამ სახალხო გლოვა გამოაცხადა საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლის, სპარსეთის დიდი მეგობრისა და დამფასებლის გარდაცვალების გამო და განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს სმირანში.

შარლ დე პეისონელის თხზულებები[2]: წერილები კონსტანტინოპოლზე, დისერტაცია ბოსფორის მეფეზე, მოთხრობები აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობაზე, ესე სპარსეთისა და საქართველოს შესახებ იბეჭდებოდა საფრანგეთში სხვადასხვა კრებულებში და ცალკე წიგნადაც. მისი გამოუქვეყნებელი შრომების ნაწილი ხელნაწერის სახით ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში.

საუკუნეების მანძილზე მოგზაურის ყოველ წერილს უცხო ქვეყნებიდან ადგილობრივი ცენზურის შემდეგ შეეძლო გადაელახა ქვეყნის საზღვრები. მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებისა, რომელსაც ამ მხრივ თურქეთისა და სპარსეთის მთავრობა უქმნიდა შარლ დე პეისონელს, იგი გაცილებით მეტი ინფორმაციის გადმოგზავნას ახერხებდა, ვიდრე მისი თანამედროვე ფრანგი მოგზაურები.

წინა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ჩათვლით აღმოსავლეთის ქვეყნებში მოღვაწე არც ერთი ფრანგი მოგზაური ასე ვრცლად არ შეხებია საქართველოს, როგორც შარლ დე პეისონელი თავის ესეში, „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა“.[3] შარლ დე პეისონელის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, აღ-

---

2. Recueil d'Antiquités, t. II, p. 169, t. III, p. 217, Bibliothèque de l'Arsenal, Paris.

3. Payssonnel Ch. de, Essai sal les troubles actuels de Perse et de Géorgie, Bibliothèque N[illegible]nale, Paris.

მოსავლეთის ქვეყნების მოგზაურმა და მკვლევარმა მამის ხელნაწერი წარუდგინა საფრანგეთის აკადემიას, რომელმაც იგი ღირსშესანიშნავ ნაწარმოებად მიიჩნია და უზრუნველყო მისი გამოქვეყნება პარიზში 1754 წელს. სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა გამოხმაურების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო საზოგადოებაში. თვით ავტორი თავისი ესეს „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარების“ შესახებ აღნიშნავს, რომ ეს თხზულება აუცილებელი და დროულია მათთვის, ვინც დაინტერესებულია აღმოსავლეთის, წინათ დიადი სახელმწიფოს სპარსეთისა და მასში შემავალი ქვეყნის — საქართველოს ახლანდელი მდგომარეობით. შარლ დე პეისონელი ნაწარმოების წინასიტყვაობაში მკითხველს უზიარებს თავის განზრახვას, ნაწარმოების მიზანსა და მნიშვნელობას — „ამ თხზულებით მინდა გავუწიო კეთილი სამსახური მკითხველ საზოგადოებას — მივაწოდო ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში და ავარიდო იმ მცდარ მოსაზრებებს, რასაც ჟურნალ-გაზეთები სთავაზობენ მას, აგერ უკვე რამდენი ხანია. თხზულებაში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა შეშოწმებას არ საჭიროებს, რადგან მე ვეყრდნობი ამ სფეროში მოღვაწე ავტორიტეტულ პიროვნებებს, რომელთა მოსაზრებები არავითარ ეჭვს არ იწვევს. და თუ მკითხველი მაინც გამოთქვამს თავის უნდობლობას ისტორიის ამ მონაკვეთისადმი, შემიძლია ვუპასუხო, რომ ამ ნაწარმოების წერის დროს ვიმყოფებოდი იმ ქალაქში, რომელსაც ყველაზე მეტად აქვს შეხების წერტილი სპარსეთსა და საქართველოსთან, ამავე დროს, მე თვითონ მქონდა მჭიდრო ურთიერთობა ვაჭრებთან და თურქეთის დიდ სინიორებთან, რომლებიც სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი ამ ორი ქვეყნის შესახებ. აგრეთვე ვსარგებლობ იმ პირთა მემუარებით, რომლებსაც უწყვეტი მიმოწერა აქვთ რელიგიურ მისიონერებთან და ბოლოს, სხვა რომ არ იყოს რა, მოხმობილი მაქვს ისეთი ფაქტები, რომლებიც ჩემს თვალწინ ხდებოდა. აქ არსებული ვითარების რეალურად წარმოდგენისათვის არ მეგონა, რომ აუცილებელი გახდებოდა ასე ღრმად ჩახედვა საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ამ ბრძოლების ნამდვილ თეატრს წარმოადგენს.

მრავალ მკვლევარსა და მოგზაურს დაუწერია ქართველ მეფეებზე, მაგრამ მათი წარმომავლობა აქამდე მაინც უცნობი იყო. ჩემს ესეში თქვენ დეტალურად გაეცნობით შაჰ-ნავაზის, თეიმურაზის, ერეკლეს და სხვა მეფეთა და მთავართა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც, შემიძლია, ვთქვა, ამ პატარა თხზულების ყველაზე დიდი ღირსებაა“.

გთავაზობთ შარლ დე პეისონელის ესეს „სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარების“ პირველ ქართულ თარგმანს ფრანგული ენიდან. იგი, ზედმიწევნით მისდევს ორიგინალის ტექსტს და შეძლებისდაგვარად შენარჩუნებულია ავტორის აზრი და სტილი. არ გვიცდია შეგვესწორებინა მოგზაურის მიერ დაშვებული ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული უზუსტობანი და შეცდომები, პირთა საკუთარი სახელების და გეოგრაფიული ადგილების დასახელების და დახასიათების დროს. კვლავ უფრო მტკიცდება აზრი, რომ შარლ დე პეისონელის ამ თხზულებაში, ისევე, როგორც სხვა ფრანგ მოგზაურთა შთაბეჭდილებებში აღწერილ ისტორიულ მოვლენებს მთლიანად ვერ დაეყრდნობა ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის შესწავლით დაინტერესებული პირი.

თარგმნისას სრულიად დავემორჩილეთ ორიგინალს იმ მიზნითაც, რომ ქართული ტექსტის გაცნობისას მკითხველს ეგრძნო მოგზაურის, ავტორის ინტელექტუალური დონე, ინტერესი, განწყობა და მწერლური უნარი.

მთარგმნელი

ესე სპარსეთისა და საქართველოს ახლანდელი მღელვარეების შესახებ

საქართველოს გეოგრაფიული დაყოფა

დიდი ხნის წინათ საქართველოს სახელმწიფო შედგებოდა შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე ყველა ქვეყნისაგან: ჩრდილოეთით — კაფამდე, სამხრეთით — ტაურისამდე და დასავლეთით — არზრუმამდე. ქართველები მიიჩნევენ, რომ ისინი ბიბლიური დავითის შთამომავალნი არიან. ეს ვრცელი ქვეყანა მრავალგზის იყო დაპყრობილი თათრების, თურქების და სპარსელების მიერ, რომლებთანაც ქართველებს მუდამ უთანასწორო და სასტიკი ბრძოლები ჰქონდათ.

წინათ, ქართველების ერთ-ერთ მეფეს თავისი შვილებისათვის გაუნაწილებია ეს ძლიერი, ერთიანი სამეფო. ამ დაყოფამ ისე დაასუსტა ქვეყანა, რომ თურქთა და სპარსთა შემოსევებს ვეღარ უმკლავდებოდა. უფლისწულები დაეუფლნენ ქვეყნის საუკეთესო ნაწილს და გახდნენ თავიანთი კუთხის მმართველნი სრული უფლებამოსილებით, ყოველივე ამის გამო, დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი ინარჩუნებდა ძალაუფლებას, ზოგი სხვა სახელმწიფოს მოხარკე ხდებოდა, და ძლიერი მეზობლის უღელქვეშ აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამგვარად დაყოფილი და დანაწილებული საქართველო ხან ერთმანეთის, ხან კი გაერთიანებული, საერთო მტრის წინააღმდეგ იბრძოდა.

ამჟამად, საქართველოს ერთი ნაწილი უპყრიათ თურქებს, ხოლო მეორე ნაწილი — სპარსელებს. ქართველებს კი თავისივე მხარის მეფისნაცვლობა მიანდეს დიდმა ხელმწიფეებმა.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო დღეს გაყოფილია, თურქეთსა და სპარსეთს შორის და შემოსაზღვრულია ჩრდილოეთით — ჩერქეზეთითა და კავკასიით; აღმოსავლეთით — ლეკებით, დაღესტანითა და შირვანით; დასავლეთით — შავი ზღვით, სამხრეთით კი — სომხეთით.

თურქეთის საქართველოში შედის იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები. მისი ციხე-ქალაქი ახალციხეა, რომელიც დიდმა ხელმწიფემ ფაშას ჩააბარა და მის მორჩილებაში შეიყვანა ამ კუთხის მოსახლეობა. თურქეთის საქართველოს ჩრდილოეთით ესაზღვრება ალანები, კავკასია; აღმოსავლეთით — ქართლის სამეფო; სამხრეთით — თურქეთის სომხეთი და დასავლეთით — შავი ზღვა.

სპარსეთის საქართველო შეიცავს ქართლისა და კახეთის სამეფოებს. მას ესაზღვრება: ჩრდილოეთით ჩერქეზეთი და ყაბარდო; აღმოსავლეთით — დაღესტანი, ლეკებითა და ყომუხებით დასახლებული და შირვანი, რომელიც მოიცავს დერბენდისა და შემახეს გამგებლობას; სამხრეთით — თურქეთში შემავალი სომხეთი; ხოლო დასავლეთით — იმერეთის სამეფო.

ქართველები თითქმის ყველა ქრისტიანია, ისინი აღიარებენ რელიგიას, რომელშიაც არეულია ყველა სარწმუნოების წეს-ჩვეულება. მათმა უვიცობამ და ცრუმორწმუნეობამ იმდენად შეცვალა ქრისტიანული რელიგიის სახე, რომ ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება მისი ამოცნობა. საქართველოს ყველა კუთხეში მივლინებული საეკლესიო მისიონერები და მოციქულები ბევრითად იღვწიან, რათა ქრისტიანულ რელიგიას დაუბრუნონ თავისი სიწმინდე და ორიგინალურობა. ქართველები ხან ეზიარებიან და ხან განუდგებიან მაჰმადიანურ სარწმუნოებას, იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს დრო და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

ბევრი საინტერესო წიგნი არსებობს ამ ქვეყნის რელიგიაზე, რაც მათავისუფლებს უკვე კარგად ცნობილის განმეორებისაგან. მე მხოლოდ ისტორიის მიმოხილვით შემოვიფარგლები, თანაც ისე, რომ არ ჩავიკარგო წინა საუკუნეების წყვდიადში; აგრეთვე, მოვკრებ მასალებს მოგზაურებისაგან, ისტორიკოსებისაგან, რომლებიც ამ მხრივ ნდობას იმსახურებენ და დავუმატებ ჩემს მიერ მოპოვებულ ინფორმა-

ციებს ამ ხალხის, მისი მეფეების წარმომავლობის შესახებ.

მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებიდან საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად, ცალკეულს თავისი მეფე მართავდა, მთლიანად კი, დიდი სახელმწიფოების სპარსეთისა და თურქეთის მოხარკე იყო.

საერთოდ, საქართველო ხუთი ძირითადი მხარისაგან შედგება: თურქეთის საქართველოში შედის: იმერეთის სამეფო, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები; სპარსეთის საქართველოში — კახეთისა და ქართლის სამეფოები.

ქართველი მეფეები ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ ეს კავშირი ხშირად ირღვევა და იმართება ძმათშორისი დაუნდობელი ბრძოლები, შინაომები. სპარსელები და თურქები თითქმის ყოველთვის ერევიან მათ უთანხმოებაში, ეხმარებიან ერთ მეორეს დასამარცხებლად, ცდილობენ ერთის აღზევებას და მეორეს დაკნინებას, იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე მეტად აკმაყოფილებს მათ ინტერესებს.

თავდაპირველად, გიამბობთ იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს, შემდეგ კახეთისა და ქართლის შესახებ, თქვენ შეიტყობთ საინტერესო ამბებს, საქართველოს ამ მხარეებზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე.

სამეგრელოს სამთავრო

სამეგრელო თურქეთის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება აფხაზეთი და კავკასია, აღმოსავლეთით — იმერეთის სამეფო; სამხრეთით — გურიის სამთავრო და დასავლეთით — აბასები და შავი ზღვა. საქართველოს ეს მხარე წინათ ძალზე მჭიდროდ იყო დასახლებული, რასაც სამწუხაროდ, დღეს ვერ ვიტყვით. მეზობელ ქვეყნებთან ხანგრძლივი ომების შედეგად, იგი უკიდურესად დასუსტდა. სამეგრელოს მცხოვრებნი ქრისტიანები არიან. ისინი, ოდესღაც ემორჩილებოდნენ იმერეთის სამეფოს, მაგრამ მისი ერთ-ერთი მთავარი აჯანყებულა იმერეთის მეფის წინააღმდეგ, მოუპოვებია დამოუკიდებლობა და დადიანის ტიტული. სწორედ, დადიანის 15 თუ 16 შთამომავალი მართავდა საუკუნეების მანძილზე სამეგრელოს, რომელიც დღეს ძლიერი სახელმწიფოს, თურქეთის უღელქვეშაა.

ლევან დადიანი, რომელიც გასულ საუკუნეში მეფობდა, იყო შთამომავლობით წარჩინებული, შემკული იმ საუკეთესო თვისებებით, რომელიც აქვს ნამდვილ რაინდს, მაგრამ სიყვარულმა იგი ურჩხულად, თავისი ვნებების მონად გადააქცია. სიკეთე, სულგრძელობა, ქველმოქმედება, ბოროტებითა და ავკაცობით შეეცვალა. ლევან დადიანს ცოლად ჰყავდა აბასთა თავადის ქალიშვილი, საოცარი სილამაზის, ევროპული მოხდენილობისა და სინარნარის ჩერქეზი ქალი. აღვირახსნილმა გრძნობებმა თავადს დაავიწყა თავისი მოვალეობა მეუღლის მიმართ: კარგა ხნის სეირნობისა და დროსტარების შედეგად ლევანს უგონოდ შეუყვარდა, მისი ბიძისა და მეურვის, თავად გიორგი ლიპარდიანის ცოლი დარეჯან-შალიკე. ველურმა სიყვარულმა მას კიდევ უფრო მეტად დაავიწყა ადამიანის უპირველესი გრძნობა და მოვალეობა: მადლიერება, სიკეთე და ერთგულება ბიძისა და ცოლის მიმართ. საუბედუროდ, ლევან დადიანმა გამოსავალი ბოროტებაში დაინახა — თავის ცოლს ბრალი დასდო ღალატში, თითქოსდა მან, ქმარზე შურისძიების მიზნით, ინტიმური კავშირი დაამყარა ვეზირთან. ამ ყალბი ბრალდებით, ლევან დადიანმა ორივენი სიკვდილით დასაჯა და თვითონ კი, თავისი ბიძის ცოლზე, დარეჯანზე დაქორწინდა.

დარეჯან-შალიკემ ბოროტად გამოიყენა ახალი ქმრის, ლევან დადიანის ბრმა სიყვარული და მოაკვლევინა მისი ორი პატარა ვაჟიშვილი, რომელიც მას პირველი ცოლისგან ჰყავდა. ბოროტმა დედოფალმა 1657 წელს ქმრის, ლევანის გარდაცვა-

ლების შემდეგ, ტახტზე დასვა თავისი ვაჟი ვამეხი, რომელიც მას ლევანისაგან ქორწინებამდე, პირველი ქმრის სიცოცხლეშივე, გაუჩნდა.

ლევან დადიანს ჰყავდა ძმა, იოსები, რომლის ვაჟი მისი ორი ბიძაშვილის მკვლელობის შემდეგ უნდა ყოფილიყო სამეგრელოს კანონიერი მემკვიდრე, მაგრამ დარეჯან-შალიკეს ძალისხმევით ვამეხი აირჩიეს, რომელმაც დიდხანს ვერ გაიხარა თავისი ვერაგული მეფობით. შაჰ-ნავაზმა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს დაპყრობის შემდეგ, აღადგინა იოსების ვაჟის უფლებამოსილება. ამის შესახებ შევიტყობთ მომავალ თავში.

იმერეთის სამეფო

ისტორიის მიხედვით, ვეცდები წარმოგიდგინოთ საქართველოს სუთივე მხარე; ხან ერთზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ხან მეორეზე, სანამ არ შევაღწევ ჩემთვის მთავარ თემამდე — თეიმურაზისა და ერეკლეს წარმოშობის შესახებ.

იმერეთის სამეფოს ესაზღვრება შემდეგი ქვეყნები: ჩრდილოეთით — ჩერქეზეთი, აღმოსავლეთით — სპარსეთის საქართველო; სამხრეთით — სომხეთი და დასავლეთით — სამეგრელო და გურია. იმერეთს, უხსოვარი დროიდან ქართველი მეფეები მართავდნენ. მისი ხალხი, როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეების მცხოვრებნი, თავიანთ დიდ წინაპრად ბიბლიურ დავითს ასახელებენ. იმერეთი ამჟამადაც თურქეთის მონობაშია.

ალექსანდრეს, იმერეთის მეფეს, რომელიც გასულ საუკუნეში ცხოვრობდა და 1658 წელს გარდაიცვალა, ცოლად შეურთავს გურიის მთავრის ასული თამარი, რომელთანაც მალე განქორწინებულა, რათა კახეთის უკანასკნელი მეფის, თეიმურაზის დას დარეჯანს შეუღლებოდა. მოგვიანებით, მინდა გიამბოთ თეიმურაზ მეფის დის, დარეჯან დედოფლის შესახებ. ალექსანდრეს თამარისაგან დარჩა ერთი ვაჟი, სახელად ბაგრატი, რომელიც სიყვარულისა და მისი დედინაცვლის, დარეჯანის შურისძიების მსხვერპლი გახდა, ქალიშვილი კი, ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის იოსების ვაჟმა, რომელიც იყო, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვამეხის მიერ განდევნილი და უზურპირებული, ხოლო მოგვიანებით, შაჰ-ნავაზის მიერ გადარჩენილი და აღდგენილი.

ბაგრატი თავის წინაპართა ტახტზე ავიდა თხუთმეტი წლის ასაკში. დარეჯანი, მისი დედინაცვალი, ისე მოიხიბლა გერის სილამაზითა და მისი გვირგვინით, რომ შესთავაზა მასზე დაქორწინებულიყო. დედოფლის სიტურფე ადვილად შეაცდენდა კაცს, ამავე დროს, იგი იყო იმდენად ვნებამორეული, რომ სიამოვნებით გასწირავდა თავის ღირსება-მოვალეობას, იმდენად ძალაუფლებისმოყვარე, რომ სამეფო გვირგვინისათვის სისხლის აღრევასაც კი არ ითაკილებდა და იმდენად ბოროტი, რომ გაწბილებისას დედინაცვლურ რისხვას დაუნდობლად თავს დაატეხდა საბრალო ბაგრატს. ყოველივე ამის მიუხედავად დარეჯანის უნამუსო განზრახვა ბაგრატმა ზიზღით უარყო, რამაც ქალში აღძრა შურისძიების დაუოკებელი სურვილი. მან ოსტატურად შენიღბა ვერაგული განწყობა გერის მიმართ. დიდხანს არ დაუყოვნებია და თავისი ძმისშვილი (თეიმურაზის ძმისშვილის დათუნას ასული), ნესტან-დარეჯანი შერთო მას ცოლად. ამის შემდეგ დარეჯანმა შეარჩია ერთი მოხერხებული და გაიძვერა ადამიანი, რომელიც შურისძიებასა და გვირგვინის დაუფლებაში დაეხმარებოდა და გაჰყვა მას ცოლად. ეს გახლდათ სამეფო კარის ერთ-ერთი დიდგვაროვანი, ვახტანგი, რომელიც მოგვიანებით დარეჯანმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა, სამეფო გვირგვინი ქუთაისში დაადგა. ამის შემდეგ, ცბიერი ოინებით დარეჯანმა შეიპყრო ბაგრატი და თვალები დათხარა.

სამეფო კარის დიდებულებმა, რომელთა უმრავლესობა დარეჯანის გათხოვების

მომხრე იყო, ნახეს თუ არა, ვახტანგი, მათივე ტოლი და სწორი, დედოფლის ტახტისა და სარეცლის მოზიარე, შურით აღივსნენ და დახმარებისათვის სამეგრელოსა და გურიის მთავრები გამოიხმეს, თან დაპირდნენ, რომ მეფის გვირგვინს გადასცემდნენ იმას, ვინც შეძლებდა უზურპატორ ვახტანგისაგან მათ გათავისუფლებას.

პირველი, სამეგრელოს მთავარი, ვამეხი შემოიჭრა მთელი თავისი ძალებით, ვერაგულად ჩაიგდო ხელში ვახტანგი და სასტიკად გაუსწორდა— თვალები დათხარა, ქუთაისი გაძარცვა, გამოზიდა იმერეთის მეფეების მთელი სიმდიდრე, დაბრუნდა სამეგრელოში და თან წამოიყვანა კანონიერი მეფე, უზურპატორი ვახტანგი და მათი ცოლები. ამ დროს, სრულიად საქართველოს მეფისნაცვალი იყო შაჰ-ნავაზხანი, კახეთის მეფეთა შთამომავალი, კახეთის უკანასკნელი მეფის თეიმურაზის ნათესავი. მას ცოლად ჰყავდა ლევანისა და იოსებ დადიანების და, სწორედ მის ვაჟს წაართვა ვამეხმა სამეფო. დედოფალმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა თავისი ძმისშვილის ინტერესებს, წააქეზა შაჰ-ნავაზი ვამეხის წინააღმდეგ. მან არ ისურვა ამ საქმის წამოწყება თურქეთის მოხარკე ქვეყნის მიმართ, თე კი არ ექნებოდა სპარსეთის მეფის ნებართვა.

შაჰ-ნავაზი ეახლა სპარსეთის მეფეს და სთხოვა თავისი ვაჟის, არჩილისათვის სამეფო გვირგვინი. ამის სანაცვლოდ იგი პირდებოდა ძღვენს იმერეთიდან და რაც მთავარია, თურქეთის მოხარკე იმერეთის სამეფოს მის ძალაუფლებაში შეყვანას. სპარსეთის მეფემ ამ შემოთავაზებაზე თანხმობა განაცხადა. რახან თავი უფლებამოსილად დაიგულა, შაჰ-ნავაზი მაშინვე შეიჭრა სამეგრელოში, დამარცხებული ვამეხი სვანეთში გაიქცა, მაგრამ იპოვეს და საბოლოოდ გაანადგურეს. ამგვარად, შაჰ-ნავაზმა გაამეფა თავისი ვაჟიშვილი არჩილი იმერეთში, ხოლო სამეგრელოს მთავრად კანონიერი მემკვიდრე, იოსების ვაჟი აღადგინა.

შაჰ-ნავაზმა მთელ საქართველოს გამოუცხადა ამ ლაშქრობის გმირული გამარჯვება. მან თან წამოიყვანა დავით ბაგრატი, იმერეთის კანონიერი მეფე და უზურპატორი ვახტანგი, მათი მეუღლეები კი ქუთაისში დატოვა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ვერც [illegible] ვერც მეორე ვერ შეძლებდ[illegible] [illegible] წინააღმდეგ გამოსვლას.

თურქეთის მეფე განრისხდა იმ ფაქტით, რომ მისმა ყოფილმა მეფისნაცვალმა მისივე მოხარკე ქვეყნის გვირგვინი სპარსეთს გადასცა და სასწრაფოდ გააგზავნა ახალციხის ფაშა თავისი მრავალრიცხოვანი არმიით არჩილის დასასჯელად. იგი იძულებული გახდა მამამისთან გაქცეულიყო, ტახტზე კი თურქეთის კარიდან წამოყვანილი გურიის მთავრის ვაჟი დასვეს.

შაჰ-ნავაზმა იმერეთის დიდებულების დახმარებით და საკუთარი მოხერხებულობით შეიპყრო ახლადდანიშნული მეფე, თვალები დათხარა და მის ადგილას კანონიერი მეფე გაგზავნა. ამასობაში ვახტანგის ცოლმა დარეჯანმა, რომლის სილამაზეს წლებმა ვერაფერი დააკლო და მარცხმა ვერ ჩაკლა მასში ბოროტება და ძალაუფლებისადმი ლტოლვა, გადაწყვიტა, თავისი სილამაზე ვერაგული მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა. მან შეიყვარა ახალციხის ფაშა, რომელსაც ხშირად ხვდებოდა ქუთაისში. დედოფლის მშვენიერებით მოხიბლული გენერალი მზად იყო აღესრულებინა მისი ყველა სურვილი, ოღონდ ქალს სიყვარულზე უარი არ ეთქვა: ახალციხის ფაშა დაუბრუნებდა მის ქმარს სამეფო გვირგვინს, თუკი დედოფალი მოახერხებდა შაჰ-ნავაზის ტყვეობიდან ვახტანგის გათავისუფლებას. დარეჯანმა მოახერხა ვახტანგი გამოეტაცა საქართველოდან და ფაშამაც სიტყვა არ გატეხა.

ამგვარი წვითა და დაგვით ვახტანგისათვის, მოპოვებული თავისუფლება და გვირგვინი დედოფალმა უნებლიე წინდაუხედაობით დაკარგა და თავისი ქმარი, ვახტანგი ხელში ჩაუვდო ბაგრატს, რომელსაც მან აღრე თვალები დათხარა. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატი შაჰ-ნავაზის წყალობით ხელახლა გამეფდა. იგი სას-

ტკაცად გაუსწორდა ვახტანგს, წამებით
ირაქათგამოცლილს, სხვისი დახმარებით
ანჯღლით მრავალი ჭრილობა მიაყენა,
ბოლოს მოაკელეევინა და საკუთარი ხელე-
ით დაგლიჯა მისი გული. იმერეთის მე-
ფეების შესახებ თხრობისას მე შევეხე აგ-
რეთვე გურიის მთავრებსაც. ახლა მინდა
გიამბოთ, კახეთისა და ქართლის სამეფო-
ებზე, რომლის ისტორია ბევრად უფრო
მნიშვნელოვანია ჩემი თხზულებისათვის.

ქახეთის სამეფოს შესახებ, მეფე ალექსანდრედან უკანასკნელი მეფის თეიმურაზის სიკვდილამდე

. კახეთი არის საქართველოს ერთ-ერთი
ირითადი სამეფო. მისი საზღვრებია:
ჩრდილოეთით — ჩერქეზეთი, ყაბარდო;
აღმოსავლეთით — კავკასია, დაღესტანი;
ამხრეთით —ქართლის, ხოლო დასავლე-
თით — იმერეთის სამეფო.

ალექსანდრემდე მოღვაწე ქართველი
ეფეები ჩემთვის უცნობია, ამიტომ თხრო-
ბას დავიწყებ კახეთის უკანასკნელი მეფის
თეიმურაზის მამის ალექსანდრე მეფის
შესახებ, რომელიც გარდაიცვალა მეთექ-
ვსმეტე საუკუნის ბოლოს. მისი მეუღლე
იყო ქეთევანი, ყველაზე სათნო და მშვე-
ნიერი ქალი, ვინც კი საერთოდ ისტორიას
ახსოვს. მასზე დამტყდარ უბედურებაზე,
დასასრულს მოგახსენებთ. ალექსანდრე მე-
ფესა და ქეთევან დედოფალს ჰყავდათ ორი
ქალი და სამი ვაჟი. უფროსი ვაჟი დავი-
თი, ცნობილი იყო თეიმურაზის სახელით
და გაიზარდა აბას დიდთან ერთად, სპარ-
სეთის მეფის კარზე, სადაც მძევლად იყო
დატოვებული. ერთნაირი აღზრდით ჩა-
ოყალიბდა ორი ბუმბერაზი, ერთმანეთი-
საგან ძალზე განსხვავებული პიროვნება:
ერთ მათგანში გაერთიანდა სათნოება, სი-
ქველე, მეორეში — ვერ აღმოიფხვრა მა-
ნკიერება. აბასს ხელმწიფობის დიდი ნი-
ჭი ჰქონდა, თეიმურაზს — ნიჭიერებას-
თან ერთად სათნოება და გულისხმიერება.
თავისი კეთილდღეობითა და სიმდიდრით
გაბრუებულ აბასს მრისხანება და ულმო-
ბელობა მოერია, რომელიც მის კეთილ
ქმედებას მთლიანად ფარავდა. თეიმურა-
ზი ვერ გატეხა ცხოვრების სიავემ, მრა-
ვალმა მარცხმა, პირიქით, გაუღვივა სა-
უკეთესო ადამიანური თვისებები: პატი-
ოსნება, სიკეთე, ღვთისმოსაობა, სათნო-
ება. როცა მამამისი, ალექსანდრე მეფე
გარდაიცვალა, მისმა დედამ, ქეთევან დე-
დოფალმა იგი სპარსეთის კარს გამოსთ-
ხოვა. აბასმა ნება დართო თეიმურაზს წი-
ნაპართა ტახტს დაუფლებოდა იმ პირო-
ბით, თუ ის სპარსეთის ქვეშევრდომობას
არ განუდგებოდა.

გამეფდა თუ არა თეიმურაზი იმთავითვე
დაქორწინდა ქართლის მეფის სეიმონ
ხანის ასულ დარეჯანზე. მისი სპარსული
სახელი იყო ფერი, დარეჯანი ცნობილი
იყო აბასის მიერ, მის სადიდებლად შეთხ-
ზული სიმღერებით. დარეჯან-ფერი, რო-
გორც აღვნიშნე, ქართლის მეფის სიმონ
ხანის ასული და ლუარსაბის და იყო. თა-
ვისი ქორწინებით თეიმურაზმა მონარქის
დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან
შაჰ-აბასი დიდი ხანია უზომოდ იყო შე-
ვარებული დარეჯან-ფერიზე, მე მინდა
ცოტა რამ გიამბოთ ამის შესახებ:

დარეჯანის ძმამ, ლუარსაბმა თავისი
მინისტრის მეჰრუს ასული შეაცდინა, და-
პირდა, რომ ცოლად შეირთავდა, მაგრამ
პირობა გატეხა. აღშფოთებულმა მინის-
ტრმა გადაწყვიტა შური ეძია მის შეურა-
ცხმყოფელზე, და დახმარებისათვის სპარ-
სეთის მეფეს მიმართა. პირმოთნეობითა
და გაიძვერობით მან ხელმწიფის კეთილ-
განწყობა მოიპოვა და ცბიერი პოლიტიკის
მოშველიებით შურისძიების გეგმა შეიმუ-
შავა. მინისტრმა მეჰრუმ შაჰ-აბასს აღუძ-
რა და გაუღვივა მტრული გრძნობა თავი-
სი დამღუპველის, ლუარსაბის მიმართ.
თუმცა პიეტრო დე ლა ვალე გვარწმუ-
ნებს, რომ ამ ამბავს პოლიტიკური მიზნე-
ბი აქვს საფუძვლად და არა პირადი ინ-
ტერესები, რომ ეს იყო სიყვარულით შე-

ნიღბული ძალაუფლების მოპოვების სურვილი, რამაც უბიძგა შაჰ-აბასს თეიმურაზთან ბრძოლისაკენ.

საინტერესოა ასულის შეურაცხყოფით გაგულისებული მინისტრის მოქმედება. მან ისე ხატოვნად აღუწერა შაჰ-აბასს ლუარსაბის დის მშვენიერება, რომ ხელმწიფემ ცდუნებას ვერ გაუძლო და სთხოვა ძმას მისი ხელი. ლუარსაბმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა მას სამი ელჩი, რათა რაც შეიძლება ფრთხილად და თავაზიანად გადაეცათ შაჰისათვის მისი მტკიცე უარი. ამასობაში კი თავი დაიზღვია და სასწრაფოდ დააქორწინა თავისი და თეიმურაზზე. ეს ქორწინება გახდა სათავე იმ დიდი უბედურებისა, რაც მათ თავს დაატყდათ: აბასი სასტიკად განრისხდა, ჯერ ლუარსაბზე, რომელმაც უარი შეუთვალა ესოდენ საპატიო შეთავაზებაზე და მერე თანშეზრდილ თეიმურაზზე, რომელმაც მიუხედავად კატეგორიული აკრძალვისა მაინც გაბედა და შეირთო თავადის ასული. შაჰ-აბასი ურიცხვი ჯარით წამოვიდა ორივე მეფის სამაგალითოდ დასასჯელად. ერთის — მისი აბუჩად აგდებისათვის, მეორეს— დაუმორჩილებლობისათვის. მოსალოდნელი საფრთხით შეძრწუნებულმა ლუარსაბმა იცოცხა, რომ შაჰ-აბასის სასტიკი შეტევები ერეველ რიგში, ხალხის განადგურებისაკენ იყო მიმართული, მან გადაწყვიტა თავად ხლებოდა შაჰს და თხოვნა-მუდარით დაეცხრო მისი რისხვა. მაგრამ, რას მოელით ისეთი მეფისაგან, რომელსაც ურჩევნია დასჯა მიტევებას, რომელსაც არ სურს გაიგოს, რომ ბევრად უფრო კეთილშობილურია მიტევება, ვიდრე განკითხვა. აბასმა ქართველი მეფე მიიღო იმ თავაზიანი ღიმილით, რომლითაც ბოროტი ზრახვების დამალვა კარგად ეხერხებოდა. მართლაც დიდხანს არ დაუყოვნებია, მან ლუარსაბ მეფე ჯერ დააპატიმრა და მერე ჩუმად მოკლა, იმ მიზეზით, რომ მოსკოვიდან დიდი ელჩი მოითხოვდა მის გათავისუფლებას.

თეიმურაზი, მტკიცე ხასიათის და არაჩვეულებრივი სიმამაცის ადამიანი, ამ უმძიმეს ვითარებაში არ შედრკა და შეუდგა შეთანხმებისაკენ გზების ძიებას. მან გაგზავნა თავისი დედა, ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. მისმა მოშიბვლელობამ შაჰ-აბასის გულში სიყვარულის ცეცხლი დაანთო, რომელიც შემდეგ [illegible] ტანჯვა-წამებად გადაექცა დედოფალს. შაჰ-აბასმა ყოველგვარ ღონეს მიმართა, რათა ქეთევანი მის აღვირახსნილ გრძნობებს დამორჩილებოდა, მაგრამ ამაოდ: თხოვნამ, საჩუქრებმა, მუქარამ, ძალმომრეობამ, ტკივილმა ვერ გატეხა დედოფლის სიმტკიცე, იგი მედგრად იცავდა თავის ღირსებას, პატიოსნებას, სარწმუნოებას. ქეთევან დედოფალი მრავალი წელი იტანჯებოდა შირაზში იმამყული-ხანის საპყრობილეში. პიეტრო დე ლა ვალე აღნიშნავს, რომ მან ნახა მშვიდობისათვის მავედრებელი დედოფლის პორტრეტი, ფერაბადში სპარსეთის მეფის სასახლეში.

დედოფლის დაუმორჩილებლობით გაწბილებულმა აბასმა უბრძანა მას განდგომოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მიეღო მაჰმადიანობა, მაგრამ იგი თავისი რჯულისა და სიწმინდისადმი კვლავ ურყევი იყო და ვერავითარი ძალა ვერ მოსპობდა მასში ამ რწმენას. დედოფალმა გადაიტანა ყოველგვარი წამება, რაც კი ცეცხლსა და რკინას შეეძლო მიეყენებინა მისთვის და 1624 წელს ცეცხლის ალში გახვეულმა, სული ვანუტევა., ხოლო ორი პატარა ვაჟი, რომლებიც თეიმურაზმა დედასთან ერთად მძევლებად გაუგზავნა აბასს, ბარბაროსმა და ტირანმა ევნუხებად გადააქცია. თუმცა, პიეტრო დე ლა ვალე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რადგან არ არის კარგად გამოკვლეული.

თეიმურაზი მისვდა, რომ დედის მისიამ, მიუხედავად დაპირებისა, მარცხი განიცადა და თუ ძალას არ მოიკრებდა, მასაც ლუარსაბის ბედი ელოდა. თურქეთისა და სხვა ქვეყნების დახმარებით იგი დიდხანს უმკლავდებოდა შაჰ-აბასის შემოტევებს, შეძლებდა კიდეც სპარსელების განადგურებას, მეჰრუ, თავისი ყოფილი მინისტრი, ნიჭიერი მთავარსარდალი და მარჯვე პოლიტიკოსი ძველებურად რომ

მხარში ამოდგომოდა. ეს ის ადამიანი იყო, რომელმაც თავისი თავმოყვარეობის გამო უბიძგა აბასს ასეთი საზარელი ომისაკენ. მძაფრი შეტევების გამო თეიმურაზი იძულებული გახდა დაეთმო პოზიციები. იგი დახმარებისათვის წავიდა კონსტანტინოპოლში. თურქეთის ხელმწიფემ მას მრავალრიცხოვანი ჯარი და იარაღი გადასცა. თეიმურაზმა განდევნა სპარსელები და დაიბრუნა თავისი სახელმწიფო, სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლედ. შაჰ-აბასი ხელახლა შემოიჭრა თავისი ძლიერი ჯარით და ისევ ხელში ჩაიგდო ქვეყანა. ბრძოლები მხოლოდ 1628 წელს, შაჰ-აბასის გარდაცვალების გამო შეწყდა.

თეიმურაზი ისევ დაბრუნდა თბილისში, შეკრიბა მეომრები, მოკლა შაჰ-აბასის მიერ დანიშნული მეფისნაცვალი და მშვიდობიანად ხელმწიფობდა მანამ, სანამ შაჰ-სეფი შეკრებდა თავის უძლეველ არმიას ქართველთა წინააღმდეგ. მან ბრძოლისკენ მოუწოდა რუსტან-ხანსაც, ქართველთა მიერ მოკლული მეფისნაცვლის ვაჟს, რომელსაც მამისათვის შურისძიების გრძნობამ ძალა და მხნეობა გაუორმაგა. უთანასწორო ბრძოლას ვერ გაუძლო თეიმურაზის მცირერიცხოვანმა ლაშქარმა და დაუთმეს მტერს დედაქალაქი, თვითონ თეიმურაზი იმერეთში გაიქცა, სადაც მისი და, ალექსანდრე მეფის მეუღლე იყო დედოფალი.

შაჰ-ნავაზმა მის მიერ [illegible] იმერეთში ნახა თეიმურაზი და გაუგზავნა იგი შაჰ-სეფის, რომელმაც დაიტყვა თავისი წინამორბედის თეიმურაზ მეფისადმი მტრობა და დიდი სიკეთითა და მზრუნველობით მიიღო იგი. ყოველგვარი პატივი და ღირსება მიაგო, რაც მის ასაკს, გვარიშვილობას, კეთილსინდისიერებას, გმირობას, ბედუკულმართობას და თავდადებას შეეფერებოდა, მის გარდაცვალებამდე, 1659 წლამდე, თეიმურაზი იყო კახეთის უკანასკნელი მეფე. მას დარეჯანთან ჰყავდა სამი ვაჟი, აქედან მხოლოდ ერეკლე იყო მისი ტახტის მემკვიდრე, რომელიც ჯერ მოსკოვში გაიქცა და იქ ხანგრძლივად იცხოვრა, შემდეგ ჩამოვიდა და გახდა კახეთის მეფე. სანამ ამ ამბავს გავაგრძელებდე, მინდა დავიწყო ქართლის ისტორია და მივიყვანო იმ ეპოქამდე, როცა იგი კახეთს შეუერთდა და ამის შემდეგ ისევ დავუბრუნდები ამ მომენტს.

ქართლის სამეფო ლუარსაბიდან შაჰ-ნავაზის სიკვდილამდე. ეს ს-ხელმწიფო შედის კახეთის სამეფო ოჯახში

ქართლის სამეფო საქართველოს მერდიონალურ ნაწილს წარმოადგენს. ჩრდილოეთით, მას ესაზღვრება კახეთის სამეფო, სამხრეთით — განჯა და სომხეთი. აღმოსავლეთით — დაღესტანი და შირვანი, დასავლეთით — თურქეთის საქართველო, მას, როგორც კახეთს, თავისი საკუთარი მეფე ჰყავს.

ქართლის მეფემ ლუარსაბმა, რომელიც მოღვაწეობდა XV საუკუნის ბოლოს, თავისი სახელმწიფო ორ ვაჟიშვილს სიმონსა და დავითს გაუყო. შაჰ-თამაზმა, ისმაილის შთამომავალმა, ორივე მეფე დაიშორჩილა, ამათგან, დავითი გამაჰმადიანდა და თავი მთელი საქართველოს მეფისნაცვლად გამოაცხადა. მან განიზრახა გაეთავისუფლებინა თავისი ქვეყანა სპარსეთის უღლისაგან, მაგრამ ქუდაბენდე დროზე მიუხვდა საწადელს და გააგზავნა დავითის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ჯარი. ძლიერი შეტევით მტერმა აიძულა დავითი გაქცეულიყო თავისი ქვეყნიდან. ქუდაბენდემ შეიპყრო მისი ძმა სიმონი, აზიარა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, თუმცა მისგან დიდი წინააღმდეგობაც არ შეხვედრია, და დანიშნა ტფილისის სანად. იგი სიმონ-ხანად იყო ცნობილი და გარდაიცვალა აბას-დიდის მეფობის დროს. მას დარჩა მრავალი ვაჟი: ლუარსაბ-სიმონი, ალავერდი თუ დიედონე, დურმიშხანი და ერთი ქალიშვილი, ჩვენთვის ცნობილი, დარეჯან-ფერი. ალავერდი და დურმიშხანი გადავიდნენ თავის დასთან, თეიმურაზ მეფის მეუღლესთან და იქ ცხოვრო-

ბდნენ ერეკლესა და მისი ვაჟის იმამ-ყული-ხანის მეფობის განმავლობაში. ისინი მონაწილეობდნენ იმ ომებში, რომელიც ამ მეფეებს გადახდა თავს. ალავერდი იყო მღვდელი, მაგრამ სხვებზე ნაკლებად არ იბრძოდა, პირიქით, ხშირად გასაოცარ ვაჟკაცობას იჩენდა მტერთან ბრძოლაში.

როგორც ზემოთ გიამბეთ, ლუარსაბმა, სიმონ-ხანის უფროსმა ვაჟმა, თავისი და დარეჯან-ფერი შერთო თეიმურაზს, კახეთის უკანასკნელ მეფეს და უარი რომელიც მან შაჰ-აბასს შეუთვალა, საბედისწერო შეიქნა მისთვის. აბასის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზის ძმამ სიმონმა მიიღო ქართლის სამთავრო და გახდა საქართველოს მეფისნაცვალი, ეს ის სიმონი გახლავთ, რომელიც ხალხმა ჩაქოლა აბასის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზი რომ თბილისს დაუბრუნდა. სიმონს ჰყავდა ერთი ვაჟი, რუსტან-ხანი, რომელმაც შეძლო თავის მამაზე შურისძიება და თეიმურაზის დამარცხება. რუსტანი იყო ქართლის კანონიერი მემკვიდრე. მან ბრძოლით აიღო კახეთი, გახდა სრულიად საქართველოს ხელისუფალი და სიკვდილამდე 1640 წლამდე მშვიდად და ტკბილად ცხოვრობდა. სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან დადიანის, სამეგრელოს მთავრის ასული. გარდაცვალებამდე მან შვილად აიყვანა კახეთის სამეფო კარიდან შაჰ-ნავაზ ხანი. ამგვარად ქართლის სამეფო შეუერთდა კახეთის სამეფოს. შაჰ-ნავაზი გახდა ქართლ-კახეთის ბატონ-პატრონი, რადგან მისი ერთად-ერთი მემკვიდრე, თეიმურაზის ვაჟი ერეკლე, გადახვეწილი იყო მოსკოვში. შაჰ-ნავაზმა გააერთიანა ეს ორი სამეფო. მე უკვე მოგახსენეთ ამ დიდებული პიროვნების შესახებ. იგი განთქმული იყო თავისი გმირული ბრძოლის ხელოვნებით, პოლიტიკური [illegible] ალღოებით და მტკიცე, ვაჟკაცური ხასიათით. ბუნებით იგი ცუდი არ იყო, მაგრამ მასში უფრო ვერაგობა სჭარბობდა, ვიდრე სულგრძელობა და კეთილშობილება. მოხდენილობა და სულის სიდიადე ერთი ხომ არ არის; ძალაუფლებისადმი ლტოლვამ და პატივმოყვარეობამ მას რჯულზე ხელი ააღებინა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ამის შემდეგ ბევრად უფრო ღრმადმორწმუნე და ქველმოქმედი გახდა ეკლესიის მიმართ, ვიდრე მაშინ, როცა ქრისტიანი იყო. შაჰ-ნავაზის მეფობის ხანაში საეკლესიო მისიონერები უდიდეს მხარდაჭერასა და ზრუნვას გრძნობდნენ მისი მხრიდან,— დაუკანონა ის შენობები, რომელიც თეიმურაზმა თავის დროზე გამოჰყო მათთვის.

შაჰ-ნავაზი დაქორწინდა სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის დაზე, რომელიც აღრე გურიის მთავრის შემდეგ რუსტან ხანის მეუღლე იყო. შაჰ-ნავაზს ჰყავდა ოთხი ვაჟი: ლევანი, არჩილი, რომელიც მან იმერეთში გაამეფა, გურგი-ხანი, სოლომონი და ერთი ასული, სპარსეთის მეფის შაჰ-ჰუსეინის მეუღლე. ქართლი და კახეთი გაერთიანებულია რუსტან ხანიდან მოყოლებული შაჰ-ნავაზის მეფობის პერიოდშიც.

ქართველ მეფეთა შეერთიანება შაჰ-ნავაზის გარდაცვალებიდან ვახტანგის მეფობის ხანამდე

შაჰ-ნავაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლისა და კახეთის სამეფო, რომელიც მის სიცოცხლეში გაერთიანდა, ხელახლა გაიყო. არჩილი გამეფდა კახეთში, გურგი-ხანი კი ქართლში; უფროსმა ვაჟმა ლევანმა, რომელიც ფიზიკურად სუსტი იყო და ნიჭიერებითაც არ გამოირჩეოდა, უარი თქვა მეფობაზე. არჩილი ერთხანს მშვიდად მეფობდა, მაგრამ შეირთო დიდი თეიმურაზის ასული და ეს კავშირი გახდა მისი სრული განადგურების სათავე. მის მეუღლეს, იშვიათი გარეგნობისა და გონიერების ქალს, დიდი გავლენა ჰქონდა თავის მეუღლე არჩილზე: გამოაწვევინა თავისი ძმა ერეკლე საქართველოში, რომელიც მამის, თეიმურაზ მეფის სიკვ-

დილამდე მოსკოვში ცხოვრობდა, და მისი სახით არჩილს შესძინა გაიძვერა და სახიფათო მტერი. დაბრუნდა ერეკლე სამშობლოში და ცხოვრობდა თავისი ცოლისძმის მიერ გადაცემულ მამულში. მალე, მას, კანონიერ მემკვიდრეს, მობეზრდა დაქვემდებარებულის ხვედრი და გაემგზავრა ისპაჰანს. იგი ეახლა სპარსეთის ხელმწიფეს სამართლისა და თავისი უფლებების გასარკვევად. ერეკლე ცდილობდა რამენაირად მიეზიდა შაჰის ყურადღება: აღუწერა მას აღმოსავლურ სტილში თავისი დის, არჩილის ცოლის სილამაზე და მშვენიერება; თითქოს დედოფალს ისეთი სიფრიფანა, ნაზი და თეთრი კანი ჰქონდა, რომ, როცა ღვინოს სვამდა, მისი სიწითლე ყელს უფერადებდა. ერეკლემ დაარწმუნა მონარქი, რომ ეს მშვენიერი და არაჩვეულებრივი არსება მხოლოდ მისთვის ჰყავდა ჩაფიქრებული, მაგრამ არჩილმა მოულოდნელად და უნებართვოდ შეირთო ცოლად და ამგვარად ჩაუშალა მას ეს განზრახვა. ერეკლეს სიტყვებმა ისეთი მტრობა და სიძულვილი აღუძრა შაჰს არჩილისადმი, რომ დაუყოვნებლივ აღასრულა თავისი სამართალი: არჩილი გააძევა თავისი სამეფოდან და ერეკლეს დაუბრუნა შთამომავლობით კუთვნილი მემკვიდრეობა. შაჰმა ირწმუნა იმ შეურაცხყოფისა, რომელიც მას არჩილმა მიაყენა — უმშვენიერესი ასული ხელიდან გამოაცალა — და სიამოვნებით იძია მასზე შური. ერეკლემ აისრულა თავისი საწადელი — მოიპოვა კახეთის სამეფო ტახტი. არჩილი კი თავისი ცოლით და შვილებით, რუსებისაგან დახმარების გამოთხოვის იმედით, ოსეთში გაიქცა. მეფე ერეკლეს არჩილისადმი მტრობა მაინც არ დაცხრა, იგი მიღწეულით ვერ დაკმაყოფილდა და არჩილისა და მისი ოჯახის შესაპყრობად ოსეთში გააგზავნა ბეი თავისი რაზმით. საბედნიეროდ, ამ ამბავმა არჩილის ყურამდეც მიაღწია. ოსებისა და ჩერქეზების თანადგომით, იგი შეება მომხვდურთ და უკუაქცია. არჩილი თავისი ერთგული მეომრებით თავრიზამდე გაედევნა მტერს, მაგრამ ამით მაინც ვერაფერს გახდა, ერეკლე მყარად იყო მოკალათებული კახეთში, გურგი-ხანი კი ქართლში, იმედგაცრუებულმა არჩილმა თავის ოჯახთან ერთად მოსკოვს შეაფარა თავი.

ეარეკლეს

არჩილი შესანიშნავ[illegible] საუკეთესო თვისებებით შემკული, შეუპოვარი, არაჩვეულებრივი ძალღონეც მოსდევდა — ცალი ხელით, ხმლის ერთი დარტყმით, თავს კვეთდა კამეჩს. მას ჰქონდა მრავალმხრივად დახვეწილი ჭკუა-გონება, რაც იშვიათი იყო ყოველგვარ რესურსს მოკლებულ დამონებულ ქვეყანაში. არჩილს ძალიან უყვარდა ლიტერატურა და განუწყვეტლივ შრომობდა გათვითცნობიერებისათვის, საკუთარი განათლების ამაღლებისათვის. ეს კეთილი ადამიანი ზოგჯერ ისე განრისხდებოდა, გეგონებოდა, ვერაფერი შეაჩერებსო, მაგრამ მყისვე სხარტი და სამართლიანი გონება ჩაერთვებოდა გრძნობებში და ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. მის ბედნიერებას ჩრდილს ვერ აყენებდა ის, რომ ხელმწიფობა ვერ შეინარჩუნა, ის, რომ იღბალი სწორედ მაშინ შეაქცევდა ხოლმე ზურგს, როცა ძალიან უჭირდა, ისიც, რომ მისმა ბედუკულმართობამ კეთილი ზრახვების განხორციელებაში ხელი შეუშალა — აღმაშფოთებელმა ვითარებამ მას მამისაგან მოპოვებული იმერეთის გვირგვინი დააკარგვინა. ეს დანაკლისი მოგვიანებით თითქოს კახეთის სამეფომ აუნაზღაურა, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, ისიც ერეკლეს ვერაგობას შეეწირა.

კახეთისა და ქართლის შეერთებამდე ქართლის მეფე იყო არჩილის ძმა გურგი-ხანი, რომელმაც შაჰ-ჰუსეინის მეფობის დროს სახელი გაითქვა როგორც სამშობლოსათვის და სარწმუნოებისათვის თავდადებულმა მამულიშვილმა. იგი განუწყვეტლივ იბრძოდა ერეკლეს წინააღმდეგ, მაგრამ ვერასდროს დაამარცხა, ასევე იბრძოდა სპარსეთის მეფის წინააღმდეგ, რომელმაც საბოლოოდ თავის უღელქვეშ მოაქცია მისი სამეფო. დიდხანს ეცადა გურგი-ხანი თავი დაეღწია სპარსეთის მონობისაგან, ათასგვარ ხერხს მიმართავ, მაგრამ მაინც

იძულებული გახდა პირადად ხლებოდა მეფეს და თავისი მორჩილება მოეხსენებინა. ამასობაში ერეკლემ ისარგებლა მისი არყოფნით, შეიჭრა ჯარით ქართლში, სადაც გურგი-ხანის ნაცვლად დროებით მისი ძმა ლევანი ხელმწიფობდა და გააძევა იგი ქვეყნიდან. ლევანი თავისი ცოლ-შვილით იმერეთში გაიხვეწა. ერეკლე გულდამშვიდებით შეუდგა მეფობას მთელ საქართველოში, რადგან დიდმა ხელმწიფემ გურგი-ხანი თავისი ჯარით ყანდაარში გაიწვია საბრძოლველად.

შაჰ-ნავაზის ასული, გურგი-ხანისა და ლევანის და, სპარსეთის მეფეს შაჰ-ჰუსეინს გაჰყვა ცოლად იმ განზრახვით, რომ ქართლი ლევანისათვის დაებრუნებინა. იმდენად დიდი იყო მეუღლის გავლენა შაჰზე, რომ მას ეს განზრახვა შეუსრულდა. ლევანი გამეფდა ქართლში, თუმცა ცოტა ხნით. მალე ის გაიქცა ისპაჰანში, მუშაობდა დივან-ბეის თანამდებობაზე და იქვე გარდაიცვალა. მას დარჩა მრავალი ვაჟიშვილი: ხოზრევ-ხანი, ვახტანგ-ხანი, იასეხანი, სიმონი, თეიმურაზი (ამ უკანასკნელზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ძალიან ადრე გარდაიცვალა), დომენტი, რომელიც საქართველოს კათალიკოსი (თუ პატრიარქი) გახდა და ერთი ასული, რომელიც ცოლად შეირთო იმერეთის მეფემ გურგიმ.

ლევანი მეფობდა ულიმლამოდ, არც რაიმე აღსანიშნავი თვისება ჰქონდა და არც გონება უჭრიდა. მან თავდაპირველად უარი თქვა სამთავროზე, რომელიც როგორც უფროს ვაჟს, მას ეკუთვნოდა. შემდეგ დათანხმდა, მაგრამ ვერ შეძლო გამოევლინა ქვეყნის მართვისათვის აუცილებელი უნარი და საბოლოოდ შეირცხვინა თავი: მიატოვა სამშობლო, სარწმუნოება და ისეთ სამსახურში ჩაება, როგორიც არ ეკადრებოდა მის გვარიშვილობას, მის წინაპრებს.

ლევანის ძმა, გურგი-ხანი, კარგად შეეწყო სპარსეთის მეფეს,რომელმაც მას ქერმანის ხელისუფლება ჩააბარა. მალე გურგი-ხანი გააგზავნეს ყანდაარში აღვანთა აჯანყების ჩასახშობად, რომლებიც აუტანელი პირობების გამო აჯანყდნენ და ამით უდიდესი ზიანი მიაყენეს სპარსეთს. ცნობილმა მირვეისმა, რომელიც გურგი-ხანმა ისპაჰანს გაგზავნა, რათა ყანდაარიდან მოეშორებინა, გაავრცელა მეფის კარზე ბოროტი ხმები გურგი-ხანის შესახებ. იგი არწმუნებდა ხელმწიფეს, რამდენად საშიში იყო მისი ძალაუფლება და აღმაშფოთებელი მისი ძალმომრეობა. ამის შემდეგ 1709 წელს, ის ჩავიდა ყანდაარში, ააჯანყა აღვანები და მოკლა გურგი-ხანი, რომელმაც მირვეისის მიერ დაგებულ მახეს თავი ვერ დააღწია.

გურგი-ხანი გონიერი, პატივმოყვარე, დიდი სულისკვეთების და ღირსების ადამიანი იყო, თუმცა სიმამაცისა და ვაჟკაცობის შესაფერისი პოლიტიკური უნარი და განათლება არ ჰქონდა. იგი ყოველთვის ბოროტად იყენებდა თავის შესაძლებლობებს და მხოლოდ ძალმომრეობითა და სხვა მკაცრი საშუალებებით ცდილობდა საქმის მოგვარებას, თითქოს არც გაუგია ბრძნული გამონათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა“. წინდაუხედავობამ და დაუფიქრებლობამ ის საბედისწერო ხიფათს გადაჰკიდა, სადაც საკუთარი პოლიტიკა — ძალა და ღონე ველარ გამოადგა. მისმა შეცდომებმა ისეთ უბედურებაში ჩააგდო, რომ გმირობამაც კი ვერ უშველა. კარგად გამოჩნდა, რამდენად არასაიმედოა სიმამაცე, როცა გონივრულობა თან არ ახლავს, ხოლო მირვეის მოქმედებამ დაგვანახა, რამდენად შედეგიანია, როცა ეს ორი რამ შერწყმულია. გურგი-ხანმა შეირთო კაპლან-ოღლი, ტანძიის ბეის ასული, მისგან მხოლოდ ერთი ვაჟი შეეძინა, რომელიც ისპაჰანში ძალზე უცნაურად დაიღუპა. ამის შესახებ ორი სიტყვით მოგახსენებთ: ეს უფლისწული შემჯდარა ძალიან ფიცხ ცხენზე, მიუშვია სადავე და ისეთი სისწრაფით გაუჭენებია, რომ სუნთქვა შეკვრია და გაგუდულა.

გურგი-ხანს მემკვიდრე არავინ დარჩა და ლევანის უფროსი ვაჟი ხოზრევ-ხანი გახდა საქართველოს მეფისნაცვალი. დიდმა ხელმწიფემ ის გამეფებისთანავე გააგზავნა მირვეისის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლით ხოზრევ-ხანმა აღვანების გუ-

ლი მოიკლ, რომლებიც თავიანთი თავისუფლებით მისი მოვალენი გახდნენ. ხოზრევ-ხანმა აღვანები გადაარჩინა გამგებლის ტირანიისაგან და გადაწყვიტა მეფის მძიმე უღლისაგანაც დაეხსნა ისინი.

შაჰ-ჰუსეინი, უსაქმური და გარყვნილი ადამიანი, თავაშვებულობასა და დროსტარებას იყო გადაყოლილი. ცოლებისა და ევნუხების გავლენის ქვეშ მოქცეული, დიდხანს არიდებდა თავს აღვანთა ამბოხებაზე ფიქრს, რომელმაც სახიფათო სიმძაფრეს მიაღწია. როცა სპარსეთის მეფის კარს თვალი ეხილა, მაშინ თითქმის გვიან იყო. შეშფოთებულმა ხელმწიფემ ხოზრევან-ხანს ანდო მრავალრიცხოვანი არმიის სარდლობა აღვანების ასალაგმავად. მისი ბიძისა და თვალწინ დაღუპულ თანამებრძოლებზე შურისძიების გრძნობამ ხოზრევ-ხანს ძალა და გამბედაობა გაუორმაგა და ამ რთულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, დიდი უპირატესობით დაამარცხა ძლიერი, მამაცი, საომრად კარგად გაწვრთნილი მტერი. ამის შემდეგ ხოზრევ-ხანმა თავისი შესუსტებული ჯარით ალყა შემოარტყა ყანდაარს. მალე ცნობილი გახდა, რომ მირვეისი 16000 ცხენოსანით მოდიოდა ქალაქის დასახსნელად. მისი ჯარი იმდენად ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო ხოზრევ-ხანის ომგადახდილ ჯართან შედარებით, რომ მეომრები შეშინდნენ და მირვეისის შემოსვლამდე მიატოვეს იქაურობა. დარჩა მხოლოდ დაჭრილი და უძლური ქართველები იმ შესანიშნავი ლაშქრისაგან, რომელიც გურგი-ხანის მარჯვენით იყო შექმნილი. ამ მარჯვენის პატრონი ხოზრევ-ხანმა მრავალრიცხოვანი მტრის ხელში ჩააგდო. გურგი-ხანმა გმირულად გასწირა თავისი სახელოვანი სიცოცხლე, რომელსაც მხოლოდ სარწმუნოებისაგან განდგომა ჩრდილავდა. მან ისპაჰანის გამგებლისა და დივან-ბეის თანამდებობა იმის შემდეგ მიიღო, რაც მაჰმადიანურ სარწმუნოებას ეზიარა. მიუხედავად ქრისტიანობისაგან განდგომისა, ის თავის გულში საიდუმლოდ და სათუთად ინახავდა თავის სარწმუნოებას, მხოლოდ ფიზიკურ და არასულიერ მონაწილეობას იღებდა მაჰმადიანთა რელიგიურ ცერემონიალში. სპარსეთის მეფეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველი მეფეები არ იყვნენ გულწრფელნი მაჰმადიანური სარწმუნოების აღიარებაში, მათთვის ეს მხოლოდ საჭირო და ძალადებითი აქტი იყო. მიუხედავად ამისა, სანამ მეფისნაცვლობას უწყალობებდნენ, ისინი მაინც მოითხოვდნენ მათგან ამგვარ მსხვერპლს.

1711 წელს, ყანდაარში, ხოზრევ-ხანს თითქმის იგივე ბედი ხვდა წილად, რაც გურგი-ხანს. ამის შემდეგ ქართლის მეფობა და საქართველოს მეფისნაცვლობა ლევანის მეორე ვაჟის, ვახტანგის ხელში გადავიდა, რომელიც ოჯახში იმჟამად ყველაზე უფროსი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მან ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დიდი სიმტკიცე გამოავლინა, რასაც ვერ ვიტყვით მისი გვარის მეფეებზე. ვახტანგმა იმთავითვე მტკიცე უარი თქვა მაჰმადიანად მოქცევაზე და ხელისფულება თავის ძმას იასეს გადასცა, რომელიც თავისი სარწმუნოებისადმი ნაკლებად კეთილსინდისიერი აღმოჩნდა. მან მიიღო მაჰმადიანობა და გამოცხადდა საქართველოს მეფისნაცვლად.

იასეს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია თავისი მეფობის განმავლობაში. მან შეირთო ბეგუმი — ამჟამინდელი მეფის თეიმურაზის და, შეეძინათ ოთხი ვაჟი: აბდულაჰი, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ, ისააკი, თეიმურაზი და კიდევ ერთი ვაჟი, მისი სახელი ჩემთვის უცნობია. იასემ იმეფა ცოტა ხანს. მისმა ძმამ ქერმანის გადასახლებაში თავგაბეზრებულმა დათმო ქრისტიანობა და გათავისუფლდა ტანჯვა-წამებისაგან. ცოტა მოღონიერდა თუ არა, წავიდა ტფილისში თავისი ძმა იასესათვის ხელისუფლების წასართმევად. სანამ დეტალურად შევეხებოდეთ, რაც ამ ახალ მეფეს ეხება, აუცილებელია, დავიწყო კახეთის მემკვიდრეობის აღწერა, ვახტანგის მტრისა და დამანგრეველის მეჰმედ-ყული ხანის მეფობის ხანამდე.

კახეთის მემკვიდრეობის გაბრძოლება, ერეკლეს მიერ არჩილის გაძევებიდან მეჰმედ-ყული ხანის გამეფებამდე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არჩილის საქართველოდან განდევნის შემდეგ ერეკლე გამეფდა კახეთში და შეურიგებელი ბრძოლები გააჩაღა გურგი-ხანთან, რაც დიდ უბედურებად დაატყდა ქართველ ხალხს. შაჰ-ჰუსეინმა გურგი-ხანი გააგზავნა ყანდაარში, ერეკლემ დრო იხელთა, შევიდა ქართლში, გახდა მისი ბატონ-პატრონი და რამდენიმე ხნის განმავლობაში განაგებდა ორივე სამეფოს. როცა ქართლის მეფობა ლევანს ჩააბარეს, მისი დიდი მოწადინებითა და მოხერხებით, ერეკლეს მხოლოდ კახეთის სამთავროლა შერჩა ხელში. მან საკმაოდ კარგი სახელი მოიპოვა ბრძოლებში, თუმცა ერეკლე უფრო სამართლიანობით იყო ცნობილი, ვიდრე გმირობით. მას სასწორი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მახვილი, არ ეთაკილებოდა ქვეშვრდომთა შორის წარმოქმნილ უთანხმოებაში ჩარევა და მისი მოგვარება, უმნიშვნელო დეტალსაც კი არ დატოვებდა უყურადღებოდ, ერთნაირი სამართლიანობით ეპყრობოდა დამნაშავეს და უდანაშაულოს. ერეკლე გამოირჩეოდა ღვთისმორწმუნეობით, ეს რწმენა დამყარებული ჰქონდა რელიგიურ განათლებაზე, მის ბეჯით და მუყაით შესწავლაზე. იგი იყო გაჩენილი არა იმისათვის, რომ ტერიტორიულად გაეზარდა თავისი სამეფო, არამედ მარჯვედ და გონივრულად ემართა ის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერეკლე მეფობისათვის იყო დაბადებული. მას დარჩა სამი ვაჟი: იმამ-ყული-ხანი, კონსტანტინე, რომელიც ცნობილი იყო მეჰმედ-ყული-ხანის სახელით, თეიმურაზი, ახლანდელი მეფის, სახელგანთქმული ერეკლეს მამა, რომელიც ამჟამადაც ცოცხალია, და ერთი ქალიშვილი, ისა-ხანის მეუღლე [illegible] მესახებ ჩვენ უკვე გიამბეთ.

იმამ-ყული-ხანი, თეიმურაზისა და ერეკლეს უღირსი შთამომავალი, კახეთის სამეფოს მფლობელი გახდა. მან, ისევე როგორც მისმა ძმამ კონსტანტინემ, სამარცხვინო სისუსტე გამოიჩინა. მათ ქრისტიანული სარწმუნოება შესწირეს პირად ინტერესებს. იმამ-ყული-ხანის ხანგრძლივ მეფობაში არაფერია ღირსშესანიშნავი, არც მისი პიროვნება იმსახურებს, რომ თქვენი ყურადღება მის უარყოფით თვისებებზე შევაჩერო, მაგრამ გაკვრით მაინც მოგახსენებთ: იმამ-ყული-ხანი სასაცილო იყო თავისი სიბრიყვით, საზიზღარი — თავისი სიმხდალით და საზარელი — თავისი ბოროტებით. მუდამ მცდარ გადაწყვეტილებებს იღებდა. მსჯელობისას სიმკაცრეს, სისასტიკეს იჩენდა და ბრძოლაში გარიდებას ამჯობინებდა. არაერთხელ უნახავთ ბრძოლის ველიდან გაქცეული, ან მამის ზურგს ამოფარებული, განსაკუთრებით ლეკებთან ბრძოლაში, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, სარდალი გახლდათ. იმამ-ყული-ხანი გარდაიცვალა. მას დარჩა ერთი ასული, რომელიც გათხოვილი იყო ალი-ყული-ხანზე (შაჰ-ნადირის ძმისშვილზე და მის მემკვიდრეზე, ცნობილია ადილ შაჰის სახელით), და სამი ვაჟი, რომლებიც დღეს ერეკლეს სამეფო კარის მსახურნი არიან. კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე გახდა მისი ძმა კონსტანტინე, რომელიც მაჰმადიანად მოქცევის შემდეგ ცნობილი იყო მეჰმედ-ყული-ხანის სახელით.

მეჰმედ-ყული-ხანის ბრძოლა ვახტანგთან. ქართლის მეფეების განდევნა. მეჰმედ-ყული ხანის სიკვდილი

1719 წელს ვახტანგმა შემოიერთა ქართლის სამეფო, გახდა საქართველოს მეფისნაცვალი და მაშინვე განუდგა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო, და ისევ ქრისტიანად მოინათლა. მას მრავალი წლის მანძილზე ჰყავდა ტყვეობაში თავისი ძმა იასე-ხანი, რომელსაც სამეფო ტახტი წაართვა და როცა დარწმუნდა, რომ იგი მისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა,

გაათავისუფლა და თავის დივან-ბეიდ დანიშნა.

1721 წელს ვახტანგი სათავეში ჩაუდგა ლაშქრობას ლეკების წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს მშვიდობიანი ხელშეკრულება სპარსეთის მეფესთან და აჯანყდნენ. სპარსეთის სამეფო კარის დიდებულებმა შაჰ-ჰუსეინს მოახსენეს: ვახტანგი ისე არ წამოიწყებდა ლეკებთან ბრძოლას, რაიმე განზრახვა რომ არ ჰქონდეს თქვენი უმაღლესობის წინააღმდეგო. შაჰ-ჰუსეინმა დაიჯერა მათი ნათქვამი და უბრძანა ვახტანგს იარაღი დაეყარა, დაუყოვნებლივ ხლებოდა მას და განემარტა თავისი მოქმედება. შაჰის უხეშმა მოპყრობამ ვახტანგი შეურაცხყო და აღაშფოთა. მორჩილების ნაცვლად მან გეზი აიღო განჯის მხარისაკენ, ცეცხლში გაახვია სოფლები და დაიპყრო დედაქალაქი. მეჰმედ-ყული-ხანი არ მოელოდა ამ ამბავს, შეშინდა, რომ ვახტანგი მის შევიწროებასაც მოიწადინებდა და ერევნისაკენ გაიქცა.

კახეთის მეფეს, მეჰმედ-ყული-ხანს, ცოლად ჰყავდა ცნობილი მინისტრის ითიმადულ-დოულე-ალი-ხანის ასული. მეფესთან დაახლოებულ პირებს დიდი ბრალი მიუძღვით ამ მინისტრის დაღუპვაში. იმის შიშით, რომ მისი სიძე, მეჰმედ-ყული-ხანი, სიმამრზე შურისძიების მიზნით არ შეერთებოდა აჯანყებულ ვახტანგს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, შაჰის ფავორიტებმა წააქეზეს მბრძანებელი, როგორმე ჩამოეგდო შუღლი ამ ორ მეფეს შორის. მართლაც, ძალიან მალე მეჰმედ-ყული-ხანს შაჰმა უბოძა საქართველოს მეფისნაცვლობა. შაჰის ცბიერმა გადაწყვეტილებამ მისთვის სასურველი შედეგი გამოიღო. აღშფოთებული ვახტანგი განჯიდან, სადაც სამი თვის მანძილზე იყო დაბანაკებული, დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მზადება ახლადშექმნილი მტრის მოსაგერიებლად. მეჰმედ-ყული-ხანმა როგორც კი გაიგო ვახტანგის თბილისში დაბრუნების შესახებ, წავიდა ერევნიდან შემახესაკენ, აქედან კახეთში, თავის სამშობლოში, შეკრიბა ჯარი და იმავე წლის ზამთარს ალყა შემოარტყა ტფილისს. ციტადელი სავსე იყო სპარსეთის მეფის მომხრე ყიზილბაშებით, რომლებმაც მეჰმედისადმი ღალატის მიზნით უომოდ, ერთი გასროლის გარეშე, დათმეს პოზიცია, მეჰმედიც მოტყუვდა და კმაყოფილი დაეპატრონა ციტადელს. ვახტანგი თავისი ჯარით ქალაქში იყო გამაგრებული, მიუხედავად მტრის შემოსევით გამოწვეული აფორიაქებისა, ისე დაუშინა ბომბები ციხე-სიმაგრეს, რომ მეჰმედი იძულებული შეიქნა იქიდან გამოსულიყო. მან სასწრაფოდ ააგო ახალი ხიდი მდინარეზე, რადგან ძველი ვახტანგმა დაანგრია და ღამითვე გაიქცა ძალზე ბედნიერი, რომ თავის დაღწევა მაინც მოახერხა. მეჰმედ-ყული-ხანს ამ დამარცხებამ ბრძოლის ხალისი არ დაუკარგა. მან წაიყვანა თავისი ჯარი კახეთში და დახმარება სთხოვა ლეკებს, რომლებიც დიდი ხანია გულში ინახავდნენ ვახტანგის ბრძოლებისაგან მიყენებულ ტკივილს და სიამოვნებით გამოუგზავნეს შვიდი ათასი მეომარი, რომელთა დახმარებით მეჰმედმა ახლა უფრო წარმატებით დაიპყრო ტფილისი, ვიდრე პირველად.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო, ვახტანგი გაიხიზნა სოფელ ქცხინვალში. მან თავისი ძმა იასე-ხანი გაგზავნა არზრუმის ფაშასთან დახმარების სათხოვნელად. მთავარსარდალი დიდი სიამოვნებით დაეხმარა ვახტანგს, რადგან ამით მიეცა შემთხვევა საქართველოს ბატონ-პატრონი გამხდარიყო, თანაც მას ხელს აძლევდა ორ ქართველ მეფეს შორის არსებული შუღლი. ვახტანგი შეიჭრა ტფილისში და შეიპყრო მეჰმედ-ყული-ხანი, ღამით კახეთისაკენ გაპარვას რომ აპირებდა. ამ შეხლა-შემოხლაში თურქების ჩართვა მალე მწარედ ინანა. თურქებმა გააძევეს თავისივე სახელმწიფოდან მეჰმედ-ყული-ხანი, მაგრამ ვახტანგს არაფერი დაუბრუნეს. პირველ მტერს მეორე, უფრო ძლიერი და სასტიკი მტერი მოჰყვა, რეჯებ-ფაშა, რომელიც ადრე სერასკიერი იყო. მან შესთავაზა ვახტანგს — საქართველოს ფაშას თანამდებობა იმ შემთხვევაში, თუ მაჰმადიანობას მიიღებდა. ვახტანგმა უარი განაცხადა, მაგრამ სანაცვლოდ თავისი ვაჟი

ბაქარი წარუდგინა, რომელიც გამაჰმადიანდა და მოინათლა შაჰ-ნავაზის სახელით. მხოლოდ ამის შემდეგ დაინიშნა იგი საქართველოს ფაშას თანამდებობაზე. ამის გარდა შაჰ-ნავაზმა რეჯებ-ფაშას გარკვეული თანხა (60 ბურსი) გადაუხადა და სამეფო კარის დიპლომიც მოიპოვა.

შაჰ-ნავაზმა რამდენიმე ხანს გაუძლო მაჰმადიანურ სარწმუნოებას და სამოსელს. როცა დარწმუნდა, რომ მას მხოლოდ სახელად ერქვა ხელისუფალი და მთელი ძალაუფლება რეალურად სერასკიერის ხელში იყო, უარყო მაჰმადიანობა და რამდენიმე ასეული მეომრით დაბანაკდა ტყეში. შაჰ-ნავაზმა მოულოდნელი თავდასხმებით მოსვენება დაუკარგა დამპყრობლებს. სამწუხაროდ, მალე ისეთ წინააღმდეგობას წააწყდა, რომ იძულებული შეიქნა დაეთმო პოზიციები. იგი ჯერ მამამისთან წავიდა ოსეთში, შემდეგ კი მთელი ოჯახით მოსკოვს შეაფარა თავი.

ძალაუფლებისმოყვარეობამ და მერყევმა ხასიათმა ვახტანგი უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. მას ცოლად ჰყავდა ჩერქეზეთის მეფის ასული დარეჯანი, ვისთანაც შეეძინა ორი ვაჟი: ბაქარი, იგივე შაჰ-ნავაზი, გიორგი და ერთი ქალიშვილი, რომელიც შეირთო ამჟამინდელმა მეფემ თეიმურაზმა. მოახლემ, რომელიც შემდეგ მისი საყვარელი გახდა, ვახტანგს კიდევ ერთი ვაჟი შესძინა. ამ ოჯახით დასრულდა კახეთს შეერთებული ქართლის მეფეთა შტო.

მეჰმედ-ყული-ხანი, რომელიც გაძევებული იყო თავისი სახელმწიფოდან, ყოველ ღონეს ხმარობდა შური ეძია თურქებზე. 1724 წელს იგი თავისი ჯარით მიუახლოვდა ჰამადანს, გადალახა მტკვარი გორთან და შეუტია თურქებს. ამ დროს მათ წამოეშველა რეჯებ-ფაშა თავისი მეომრებით და უკუაქცია მეჰმედ-ყული-ხანი, რომელმაც ხელახლა გადალახა მდინარე და ამით ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა. თურქები ყოველნაირად ცდილობდნენ ამ მეფის დამორჩილებას და რახან ღონით ვერაფერს გახდნენ, ვერაგობას მიმართეს: ახალციხის ფაშას ვაჟმა, იუსუფ ფაშამ შესთავაზა საზავო ხელშეკრულება მეჰმედ-ყული-ხანს, რომლის შესახებ აუცილებელი იყო მოლაპარაკება. იუსუფ-ფაშამ სოფ. მარტყოფში მოიწვია ხალიმზე მეჰმედ-ყული-ხანი და სთხოვა არ წამოეყვანა დიდი ამალა იმ საბაბით, რომ მოლაპარაკება ძალზე საიდუმლო უნდა ყოფილიყო. დაუდევარი და გულუბრყვილო მეფე მახეში გაება. იგი გაემართა დანიშნულ ადგილას თავის თორმეტ ერთგულ მსახურთან ერთად. ფაშამ დიდი პატივით მიიღო სტუმარი და გააცნო სამშვიდობო გეგმა. შემდეგ დიდებული კერძებით ისიამოვნეს და დიდხანს შეგობრულად ისაუბრეს. საღამოხანს მეჰმედმა წასვლა დააპირა, მასპინძელმა გააცილა და ცხენის უზანგი დაუჭირა. ცხენზე ასვლისას, იუსუფ-ფაშამ ხანჯლით იმდენი ჭრილობა მიაყენა მეჰმედს, სანამ არ დარწმუნდა რომ მოკლა. შემდეგ თავი მოჭრა და გააგზავნა კონსტანტინოპოლში. თორმეტმა მეომარმა, რომელიც ამ ბედკრულ დღეს მეფეს ახლდა, არნახული გმირობა ჩაიდინა. მათ ელვისებური სისწრაფით თითქმის მთლიანად გაანადგურეს ფაშას 500 კაციანი დამცველი რაზმი და არავის დაანებეს პატრონის ცხედარი, კარვები და ეკიპაჟი. მეჰმედ-ხანი დაილუპა სიცოცხლის საუკეთესო ხანაში და თან წაიღო თავისი გვარის ერთ-ერთი ყველაზე გულადი მეფის ღირსეული სახელი. მას ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, რომელიც აუცილებელი იყო ძლიერი ხელისუფლისათვის: იყო ძალაუფლებისმოყვარე, შემტევი, მამაცი, მოხერხებული, გონიერი. ამ თვისებებით მეჰმედს შეეძლო უდიდესი გეგმების განხორციელება, მაგრამ იგი ეძლეოდა ახალგაზრდულ მგზნებარეობას, ადამიანებისადმი ნდობა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, მეტი გამოცდილება რომ შეეძინა, მისგან დიდებული მეფე დადგებოდა. დაუკვირვებლობა, მიმნდობლობა და გულუბრყვილობა მეჰმედ-ყული-ხანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მეჰმედ-ყული-ხანის სიკვდილიდან დღევანდელი თეიმურაზის საქართველოს მეფისნაცვლად დამტკიცებამდე

ერეკლეს ვაჟი, თეიმურაზ მესამე, კახეთში იმყოფებოდა, როცა მუხანათურად მოკლეს მისი ძმა მეჰმედ-ყული-ხანი. მან შეკრიბა მთელი თავისი ძალები, რათა წინ აღდგომოდა ქალაქის დასაპყრობად წამოსულ თურქებს. თეიმურაზი კახეთიდან ოთხი ლიეს დაშორებით ლაჯინ-ბოღაზში დაბანაკდა. ეს იყო ერთადერთი ადგილი, საიდანაც თურქებს შეეძლოთ შემოჭრა ამ სახელმწიფოში. თეიმურაზმა შეინარჩუნა თავისი სამეფო. მან ბევრჯერ ისახელა თავი გმირობითა და თავდადებით. 1734 წელს თამაზ-ყული-ხანმა ლეკები განდევნა და შემახამდე მიაღწია. იუსუფ-ფაშა ტფილისში გაემგზავრა, განჯე-ალი-ფაშასთან შესახვედრად, რათა ერთად შებმოდნენ თამაზ-ყული-ხანს, მაგრამ კახეთის შესასვლელთან თეიმურაზმა, ორი ათასი მეომრით, ცხარედ შეუტია იუსუფის ექვსი ათას კაციან ჯარს და გაანადგურა, ვინც გადარჩა ტფილისისაკენ იბრუნა პირი. ეს მოხდა აჯაკალის ველებში. ამ გამარჯვების შემდეგ თეიმურაზმა კახეთში თავისი მოადგილე ერისთავი დატოვა, თვითონ შეუერთდა თამაზ-ყული-ხანს და ერთად შემოარტყეს ალყა განჯას, სადაც ალი-ფაშა თერთმეტი თვის მანძილზე იყო დაბანაკებული თავისი ათი ათასი მეომრით. მას იმედი ჰქონდა, თუ გაუჭირდებოდა, აბდულაჰ-ფაშა-კუპურლი ყოველთვის მზად იქნებოდა მის დასახმარებლად. მაგრამ თამაზ-ყული-ხანმა დაასწრო აბდულაჰ-ფაშას, თავისი ჯარის ერთი ნაწილი დატოვა განჯაში ალყის შესანარჩუნებლად, ხოლო თეიმურაზი და ქანჯერ-ხანი თბილისის დასაპყრობად გაგზავნა.

თამაზ-ყული-ხანი ქარსის ველზე პატარა მდინარე არპასთან შეებრძოლა აბდულაჰ-ფაშას. ამ ბრძოლაში თურქი მთავარსარდალი დაიღუპა, თავგზააბნეული ჯარი კი მიმოიფანტა. თამაზს თავისი ბანაკის მახლობლად შაჰ-აბასის მიერ ჩამოსხმული ზარბაზანი ჰქონდა. მათ შენიშნეს თუ არა აბდულაჰ-ფაშას ბანაკი, პირველივე გასროლით გაანადგურეს. აბდულაჰ-ფაშას სიკვდილმა მის ჯარში არეულობა გამოიწვია და სწორედ ამ დროს მეტევაზე გადავიდა თამაზ-ყული-ხანი თავისი მცირერიცხოვანი ჯარით და სრული გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ მან შეუთვალა განჯის ფაშას: აბდულაჰ-ფაშას დახმარების იმედი ტყუილად ნუ გექნება, ის განადგურებულია, შენ კი აჯობებს ომის გარეშე დათმო ხელისუფლებაო. მიუხედავად გაფრთხილებისა, სასტიკი ბრძოლა მაინც შედგა. თამაზ-ყული-ხანმა დაამარცხა მტერი, ძალზე ლმობიერად მოექცა ტყვედ ჩავარდნილებს — დაიცვა ბრძოლისათვის არსებული ყველა ჰუმანური წესი და კანონი.

იუსუფ-ფაშა კიდევ რამდენჯერმე შემოიჭრა ტფილისში, ხოლო მისმა ხაზინადარმა მეჰმედ-ბუიმ ორჯერ შეუტია მოალყეებს და უკუაქცია კიდეც ისინი. აბდულაჰის დაღუპვამ აიძულა იუსუფ-ფაშა დაეთმო ადგილი ქანჯერ-ხანისათვის, რომელიც თეიმურაზმა 1735 წელს გამოაცხადა ტფილისის ხანად.

ამ დროს საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე აზერისხევს განაგებდა ერთი ბეი, სახელად შამშე, რომელიც უკვე კარგა ხანია აწყობდა აჯანყებებს სპარსელების წინააღმდეგ. ეს ის პიროვნებაა, რომლის ხელშეწყობით ვახტანგმა თავი დააღწია ტყვეობას. თამაზ-ყული-ხანმა უბრძანა ქანჯერ-ხანს და სუბხან-სერდარს წასულიყვნენ შამშეს წინააღმდეგ, შეეპყროთ იგი და მისთვის გადაეგზავნათ. ორივე სარდალი შვიდი ათასი მეომრით წავიდა ბრძანების შესასრულებლად, გზად აიღეს ციხე-სიმაგრე ვანა, სადაც შამშეს თავისი ჯარი ჰყავდა განლაგებული, აქედან გადაიარეს კეხის ციხე და აზერისხევში მოხდა მათი შეტაკება. დიდხანს უმკლავდებოდა შამშე მტერს ხან შეტევით, ხან ტყეში თავშეფარებით, მაგრამ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს და უთანასწორო ბრძოლას ველარ გაუძლო და ახალციხის ფაშას მიაშურა, ქანჯერ-ხანმა კი

აიღო აზერისხევი და ამაოდ გაედევნა შამშეს იმერეთამდე.

ახალციხის ფაშამ უზარმაზარი ხარკი დააკისრა იმერეთის მეფე ალექსანდრეს, რომლისთვისაც შეუძლებელი იყო მისი ამ რაოდენობით გადახდა. იგი იძულებული გახდა იქაურობას გარიდებოდა და ტფილისს გაემგზავრა. მან შესთავაზა თამაზ-ყული-ხანს, დაეხსნა მისი სამეფო თურქეთის ტირანიისაგან და მისი მოხარკე გახდებოდა. მაგრამ თამაზ-ყული-ხანს შამშეს ხელში ჩაგდება ყველაფერს ერჩია და ალექსანდრეს ეს შემოთავაზება თავის სასარგებლოდ გამოიყენა' დაუყოვნებლივ შეუთვალა ახალციხის ფაშას, რომ იმერეთის მეფე მის ხელშია და არ გაათავისუფლებდა მანამ, სანამ ის შამშეს არ გამოუზავნიდა. სულთან-ხანი ჩაერია ამ გარიგებაში. შამშე შეევედრა ფაშას' ნუ შემარცხვენ, მტერს ჩემს თავს ნუ ჩაუგდებ ხელში, მომეცი საშუალება ან გავიქცე, ან ბრძოლით თავი დავიცვაო. თურქმა არცერთი მისი თხოვნა ყურად არ იღო და შამშე სულთან-ხანს გადასცა, ხოლო ალექსანდრე თავის სამეფოში დააბრუნა. სულთან-ხანმა შამშე წაიყვანა ისპაჰანში, სადაც თამაზ-ყული-ხანმა მას თვალები დათხარა. ის დღესაც ცოცხალია და ტფილისში ცხოვრობს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქანჯერ-ხანი გარდაიცვალა, ქართველებმა უკიდურესად განიცადეს მისი სიკვდილი, ხოტბას ასხამდნენ მის პიროვნებას და ცრემლისღვრით გამოხატავდნენ თავიანთ უსაზღვრო ტკივილს. მეფის ვვამს აპკურეს სურნელებანი და გადაასვენეს თავის სამშობლო ხოსროში დასაკრძალავად. თბილისის მცხოვრებნი, დიდებულნი თუ მდაბიონი სრულიად გამოვიდნენ მისი ნეშტის გასაცილებლად, ამით უკანასკნელი პატივი მიაგეს საყვარელ მეფეს. ემირ-არსლან-ხანმა ბოლომდე გააცილა ქანჯერ-ხანი და აგრძნობინა ქართველებს თავისი წინამორბედის დაკარგვით გამოწვეული წუხილი. მას ისევე ეხერხებოდა ადამიანების ნდობის დაკარგვა, როგორც ქანჯერს მისი მოპოვება. ისინი ძალზე გულადი ვაჟკაცები იყვნენ, მაგრამ ემირ-არსლან-ხანის გმირობას ახლდა მოსიხლეობა, ხოლო ქანჯერ-ხანის სიშამაცეს — დიდსულოვნება, იგი მართლაც ძალზე მიმტევებელი და კეთილი იყო, [illegible] მემოსავლის დიდი ნაწილი გაჭირვებულთა და ქვრივ-ობლებს ხმარდებოდა, ემირ-არსლან-ხანი კი — ბოროტი და ძუნწი, ხალხის გაძარცვის მცირე შემთხვევასაც არ გაუშვებდა ხელიდან; ქანჯერ-ხანი მუსულმანი იყო, მაგრამ პატივს სცემდა ქრისტიანულ რელიგიასაც და ხშირად შესაწირს უგზავნიდა ტფილისის ქრისტიანულ ეკლესიებს; ემირ-არსლან-ხანი პირიქით, შეურიგებელი მტერი იყო ქრისტიანობისა და გააფთრებით სდევნიდა ხალხს. მალე თამაზ-ყული-ხანმა იგი ლაშქრობაში გაიხმო. ქრისტიანობისა და ხალხისადმი სიძულვილით აღსავსემ, როგორც იქნა დატოვა ტფილისი. მისი სახელი აქამდე შიშის ზარს იწვევს ქართველებში. ემირ-არსლან-ხანის გაწვევის შემდეგ 1740 წელს, ტფილისში თამაზ-ყული-ხანმა კახეთის მეფედ და საქართველოს მეფისნაცვლად თეიმურაზი გამოაცხადა.

აბდულაჰ-ხანმა, იასე-ხანის ვაჟმა, რომელზედაც უკვე გიამბეთ, გაიგო თუ არა თეიმურაზის გამეფების შესახებ, მის წინააღმდეგ გამოილაშქრა. მას კავშირი ჰქონდა ყიზილბაშებთან, რომლებიც დაპირდნენ დახმარებას ტფილისის დაპყრობაში. იგი შემოიჭრა დედაქალაქში და მცხოვრებთ გამოუცხადა თავისი განზრახვა — დაიბრუნოს საკუთარი წინაპრების სამეფო, რომელზედაც მისი აზრით, თეიმურაზს არავითარი უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ხალხმა მხარი დაუჭირა თეიმურაზ მეფეს, მისი საუკეთესო პიროვნული თვისებების, გმირული ღირსების და ქრისტიანული რელიგიისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამო. აღელვებულმა მოსახლეობამ განდევნა აბდულ-ხანი, რომელიც გამაგრდა თავის ციხე-სიმაგრეში ეაშლუბში, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ გაიქცა, ისე რომ ვერავინ შეიტყო მისი ასავალ-დასავალი. ამ ამბის შემდეგ თეიმურაზმა განიზრახა შური ეძია ყიზილბაშებზე,

რომლებიც დაბანაკებულნი იყვნენ ციტადელში. მან ხშირ-ხშირი იერიშებით დააუძლურა და დაქსაქსა ისინი, ხოლო მათი ცოლ-შვილი ახლო-მახლო სოფლებში ჩააასახლა.

თეიმურაზმა გამეფებისთანავე დიდი სამსახური გაუწია თამაზ-ყული-ხანს: ქართლის ხანმა, გულადმა და უშიშარმა ვაჟკაცმა, გივი ამილახორმა თავისი მოქმედებით თამაზ-ყული-ხანის უნდობლობა გამოიწვია. თეიმურაზმა მოახერხა მისი ხელში ჩაგდება და სურამის ციხეში დატყვევება. თამაზ-ყული-ხანმა თეიმურაზს უბრძანა, რომ ტყვე, ცოცხალი და საღ-სალამათი, მისთვის გადაეგზავნა. მეფე კეთილგანწყობით შეხვდა ტყვეს, ნდობის დასტურად ლაშქრობაშიც კი გაიყოლა და შეუქო მისი დიდი თავდადება. ასეთი იყო თამაზ-ყული-ხანის პოლიტიკა: ღარწმუნდებოდა თუ არა, რომ მეამბოხე მისთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, კეთილი მოპყრობით იყენებდა მის გმირობას და ვაჟკაცობას. მტრის გადმობირებისათვის მეფე მრისხანების და სისასტიკის ნაცვლად შემწყნარებლობასა და ლმობიერებას აძლევდა უპირატესობას.

რამდენიმე ხნის შემდეგ თამაზ-ყული-ხანმა თავის სასახლეში მოიხმო თეიმურაზი. საფრთხის თავიდან ასაცილებლად, შეშინებულმა თეიმურაზმა სასახლეში წასვლაზე უარი განაცხადა და შემდეგ გადაწყვიტა თავისი მეუღლე, ვახტანგის ასული, გაეგზავნა მეფესთან საქმის მოსაგვარებლად. დედოფალი გაემგზავრა სასახლეში, თამაზ-ყული-ხანი დიდი პატივისცემით შეხვდა მას. დედოფალმა ისეთი ჭკუაგონება, შნო და ლაზათი გამოამჟღავნა, რომ თამაზ-ყული-ხანისაგან აღიარების ნიშნად ყველაზე იშვიათი და ძვირფასი საჩუქრები მიიღო. დედოფალმა არა მარტო გაამყარა მეუღლის პოზიცია, უფრო მეტიც, მან მოიპოვა დიპლომი, რომლის მიხედვით დიდმა ხელმწიფემ თეიმურაზს თავრიზის, ერევნის, განჯეს და მთელი მედიეს მეფისნაცვლობა უბოძა.

წარმოიდგინეთ ქართველი მეფის კმაყოფილება, როცა შეიტყო ამ რთულ მოლაპარაკებაში თავისი მეუღლის ბრწყინვალე წარმატების შესახებ. იგი მყისვე გაემგზავრა თავრიზში, დანიშნა გამგებელი და დაბრუნდა ტფილისს, სადაც თამაზ-ყული-ხანის მითითებით ააგო თავისი სასახლე. თეიმურაზის სიხარული მალე მწუხარებით შეიცვალა. ამ ცნობილი ამბის შემდეგ მისი მეუღლე მალე გარდაიცვალა. უბედურებამ სულით ხორცამდე შეძრა თეიმურაზი, დედოფალი მეუღლისადმი თავდადებული და საუკეთესო თვისებების მანდილოსანი გახლდათ. თეიმურაზის მაღალი თანამდებობა ხომ მისი დამსახურება იყო. გარდა ამისა, მან თეიმურაზს აჩუქა ვაჟიშვილი ერეკლე, მეფე, რომლის ბედ-იღბლით დაინტერესებულია მთელი ევროპა. ეს გმირი დაიბადა, რომ ასახელოს თავისი ქვეყანა და მშობლები, რომლებმაც მას სიცოცხლე აჩუქეს.

თეიმურაზი ერთხანს მშვიდად ცხოვრობდა თბილისში, ხარობდა იმ ვრცელი ასპარეზით, რომელიც მას, მისი მეუღლის წყალობით, თამაზ-ყული-ხანმა მიანდო, მაგრამ ეს სიმშვიდე ამჯერადაც თამაზ-ყული-ხანმა დაარღვია. მან მოითხოვა დიდძალი ხარკი, რომლის გადახდა ქვეყნისათვის წარმოუდგენელი იყო. მდგომარეობა დამძიმდა. თეიმურაზმა გადაწყვიტა გაცლოდა იქაურობას და თავი შეაფარა გორის მახლობელ მთებს. მეუღლეც ცოცხალი აღარ ჰყავდა, მეორედ რომ წასულიყო ხელმწიფესთან საქმის მოსაგვარებლად. თეიმურაზმა ერთხელ კიდევ შეიგრძნო მისი დაკარგვით გამოწვეული უბედურება. ბევრი ფიქრის შემდეგ, მან გაგზავნა თამაზ-ყული-ხანთან ელჩები, რათა მისი დედაქალაქიდან გასვლა მას ცუდად არ გაეგო და აცნობა მიზეზი, რომ ხარკის რაოდენობა ქვეყნის შესაძლებლობებს აღემატებოდა. წარგზავნილებმა ისე მოაგვარეს საქმე, როგორც თეიმურაზი ინატრებდა: თამაზ-ყული-ხანს არ სურდა ჩიხში მოემწყვდია თეიმურაზი, დიდი გმირობის, ვაჟკაცობის, მოხერხებულობის და აღიარების მქონე მეფე და შეუთვალა, რომ მისი მოთხოვნა სულაც არ გულისხმობს ძალდატანებას და იძულებას, იგი

მზად არის გაათავისუფლოს მისი ქვეყანა ყოველგვარი გადასახადისაგან. ამ ახალი სასიხარულო ამბით კმაყოფილმა თეიმურაზმა უშფოთველად გააგრძელა ქვეყნის მართვა, თამაზ-ყული-ხანის სიკვდილამდე. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ესეს გაგრძელებაში თამაზ-ყული-ხანს მოვიხსენიებ შაჰ-ნადირის სახელით.

თეიმურაზს წლებმა ძალა წაართვა და არა ვაჟკაცობა და სიმამაცე. იგი იბრძოდა თავისი ვაჟის ერეკლეს წინამძღოლობით და სრულებით არ თაკილობდა მის ხელქვეითობას. იგი ამჟამად ტფილისშია წლებითა და დიდების გვირგვინით შემკული. თეიმურაზი ცნობილია ბრძენი ადამიანის, დიდებული მეფის, მოსიყვარულე მამის, გულადი მეომრის, მახვილგონიერი მთავარსარდლის სახელით. ამ ბოლო ხანს, ის დაკავებულია თავისი ვაჟის გმირული ცხოვრებით, ცდილობს სრულად გადასცეს მას თავისი გამოცდილება.

აღვანთა განლაგება აზერბაიჯანში, გახთიარეგის აჯანყება, ისმაილ-შაჰის გამეფება 1750 წ. აღვანები დამარცხებულია ერეკლეს მიერ. აღვახები ანადგურებენ ერევნისა და ნახიჩევანის მხარეს.

შაჰ-რუქი დაგრმავებულია

შაჰ-ნადირის გარდაცვალებიდან ყოველი წელი ღირსშესანიშნავი იყო ამა თუ იმ ფაქტით. ამ მხრივ, არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს 1750 წელი. სპარსეთმა დიდი ცვლილება განიცადა; იგი დაქუცმაცდა, გარე სამეფოთა ხანები შეუდგნენ თავიანთი ხელისუფლების გამყარებას პროვინციებში; საქართველოს მეფეები თეიმურაზი და ერეკლე დაეუფლნენ ერევნისა და ნახიჩევანის მხარეებს, მივიდნენ ტაურისამდე, მოიზიდეს აღვანი მეომრები და გააძლიერეს თავიანთი ჯარი.

აღვანები არ უნდა აგვერიოს ყანდაარლებში, რომლებიც იყვნენ შაჰ-ნადირის გვარდიელები (პრეტორიანელები, მცველები). მთავარსარდლის გარდაცვალების შემდეგ ისინი ვერ ბედავდნენ სამშობლოში დაბრუნებას, რადგან უნდა გადაელახათ ქვეყნები, სადაც მათ შეხვდებოდნენ როგორც მოსისხლე მტრებს. ამიტომ პატარა ჯგუფებად დაქსაქსულნი, ერევნისა და ნახიჩევანის მხარეებში დაძრწოდნენ და ეძებდნენ ფეხმოსაკიდებელ ადგილს. ისინი რელიგიურად სუნიზმის მიმდევრები არიან ყოველგვარი საეკლესიო წესების გარეშე. აღვანთა ნაწილი ქართველებმა აზერბაიჯანში შეიტყუეს, ისინი თეიმურაზ მეფეს შებრძოლების გარეშე ჩაბარდნენ. თეიმურაზმა მათ წინამძღოლად თავისი ქვეშევრდომი დაუნიშნა იმ იმედით, რომ ჯარი მისი მორჩილი და ბრძანების შემსრულებელი იქნებოდა.

აღვანები, როგორც აღვნიშნე, სუნიზმის მიმდევრები არიან. ყიზილბაშების, ანუ ალის სექტის სპარსელების მტრები. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიით ურთიერთსაწინააღმდეგონი არიან, საერთო ინტერესმა — ძარცვამ და ყაჩაღობამ, ისინი გააერთიანა, მათ შეუერთდნენ აგრეთვე აზერბაიჯანელი ყიზილბაშებიც, ერთი სიტყვით, დასაწყისში იყო ათი ათასი კაცი, გაერთიანების შემდეგ გახდა მრავალათასიანი. მათ იგრძნეს თავიანთი ძლიერება და აღარ მოეწონათ ის სუბორდინაცია, რომელიც თეიმურაზ მეფეს აღუთქვეს. აღვანებმა გააძევეს ქართველი მეფის ერთგული და მათივე არჩეული მთავარსარდალი და წინამძღოლად კასიმ-ხანი ამჯობინეს. მათ თავაშვებულობას საზღვარი არ ჰქონდა.

აღვანთა მოძრაობით შეშფოთებული თეიმურაზი და ერეკლე 1751 წლის დასაწყისში აღსდგნენ მათ ასალაგმავად. ქართველთა ჯარს სომხებიც შეუერთდნენ. სასტიკი შეტაკება მოხდა ქალაქ ადუართან. ქართველებმა დაამარცხეს მრავალრიცხოვანი ჯარი, ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად მიმოიფანტნენ. ერეკლემ ამ უმძიმეს ბრძოლაში დიდი გმირობა და თავდადება გამოიჩინა, ისეთი, როგორიც ისტორიას

შორეული წარსულიდანაც არ ახსოვს. აღვანთა ერთ-ერთ მეთაურს დაუკვეხნია, რომ ხელში ჩაიგდებდა ერეკლეს ან მკვდარს ან ცოცხალს. აღვანთა ჯარში მსახურობდა ერთი ქართველი, რომელიც გამოქცეულა და ერეკლესათვის შეუტყობინებია ეს ამბავი. ბრძოლის დროც დადგა. ერეკლემ თავისი ლაშქარი ველზე განალაგა. ამ დროს აღვანთა ჯარს გამოეყო მკვეხარა მეთაური და ხმამაღლა მოიკითხა სად იყო ერეკლე. — აქა ვარო — თქვა მეფემ, რომელიც უკვე შემართული იყო ამ შემთხვევისათვის და დაწინაურდა. აღვანი შუბით ხელში შურდულივით გამოექანა მისკენ, ერეკლე სხარტად ჩამოხტა ცხენიდან, მოხერხებულად აიცდინა მტრის ლახვარი და პისტოლეტის ერთი გასროლით ცხენიდან გადმოაგდო გულგანგმირული. მტერი. დიდი სიამოვნებით, დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო მთავარსარდლის გმირობისა და თავდადების, მის მეომართა აღფრთოვანების შესახებ, რომლებიც არაერთხელ ყოფილან თავიანთი მეფის გასაოცარი ვაჟკაცობის მოწმენი გადამწყვეტ ბრძოლებში. მან თავისი სიბრძნითა და სიმამაცით მრავალი გამარჯვება მოაპოვებინა თავის მეომრებს, თავის ხალხს.

ერეკლემ თავგზა აუბნია აღვანებს, ბრძოლით გასდია თავრიზამდე და გამარჯვებული დაბრუნდა თავის ქვეყანაში. პირველმა წარმატებებმა ვერ დააცხრო მისი ვაჟკაცური სულისკვეთება და მალე ლეკების, განჯისა და ურუმის ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან ისინი ეხმარებოდნენ აღვანებს მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერეკლემ აქაც სრული გამარჯვება მოიპოვა და დამარცხებულთ განუცხადა, რომ იგი მოქმედებდა როგორც დევლეთ-შერიქი, ანუ იმპერიის მოკავშირე. ამბობენ, რომ ამის სახალხოდ განცხადება მას გააბედვინა შაჰ-რუქთან დადებულმა ხელშეკრულებამ, რომელიც ითვალისწინებდა, მასთან სამეფოს გაყოფას, მაგრამ ამ ფაქტის სიმართლეში დარწმუნებული არა ვარ, აღვანთა მოძრაობა ამით არ დასრულებულა. ისინი შეეკრნენ ლეკებს და ნახიჩევანის მხარეში გაიფანტნენ, აქაური მცხოვრებნი მათი გაუგონარი ბოროტების მსხვერპლნი გახდნენ. აღგირახსნილი მტერი ითხოვდა ბეგარას — ოთხი ათას ტომანს ან ოთხმოციათას ეკიუს, ჩვენს ფულზე და ექვსიათას საქონელ გადასახადს. წინაომებისაგან ქანცგაწყვეტილ ხალხს უკვე აღარ შეეძლო მათ მიერ წაყენებული უდიდესი მოთხოვნების შესრულება და გადაიქცნენ გაუმაძღარი ბარბაროსების მსხვერპლად. მტარვალთა სიხარბის დასაკმაყოფილებლად მამები იძულებულნი გახდნენ გაეყიდათ შვილები, გამძვინვარებული მტერი ველური ჟინის დაკმაყოფილების შემდეგ ქალებს მკერდს, სხეულის ყველა ნაწილს წითლად გავარვარებული რკინით უსერავდნენ, რათა ტკივილებისაგან გაწამებულებს გამოეჩინათ გადამალული ქონება. როცა ვერაფერს გახდებოდნენ, ყელს გამოჭრიდნენ და წვავდნენ მთელ სოფელს, პურის ყანებს. შიმშილობამ ბოლო მოუღო იმას, რაც მტერს დარჩა გაუნადგურებელი. ვისაც ცოტა ძალ-ღონე შერჩა, მთებს შეაფარა თავი, მაგრამ ვერც ფოთოლს, ვერც ბალახს ვერ პოულობდნენ თავი რომ გამოეკვებათ და გზაშივე იღუპებოდნენ. ენით აუწერელია ამ ქვეყნის უბედურება, იგი დღევანდლამდე ბრძოლის ნამდვილი თეატრია.

აღვანებმა განაგრძეს საბრძოლო სვლა აგულისამდე. ერეკლემ ვერ დაასრულა ლაშქრობა ისეთი წარმატებით, როგორც დაიწყო. ქართველი მეომრები გმირულად შეებნენ მათ და არ თმობდნენ პოზიციას, მაგრამ ვერ შეძლეს მტრისათვის ქალაქში შემოსასვლელის გადაკეტვა. მტერმა იქაურობა ცეცხლსა და სისხლში დაფარა, ორი ათასი ქრისტიანი მოკლა, თხუთმეტი ათასი ტყვედ წაიყვანა. აღვანებმა ერევნისაკენ აიღეს გეზი, გზად არბევდნენ ყველა სოფელს, ამასობაში მათი მოკავშირე ლეკები შირვანის მხრიდან უტევდნენ ქართველებს. ერეკლე იძულებული იყო გარიდებოდა მძვინვარების ნიაღვარს და პირი იბრუნა ქალაქისაკენ.

ამ ომებით კომერცია არ შეფერხებულა,

შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლად მიმდინარეობდა. თუმცა გზები მოუწყობელი და მოუწესრიგებელი იყო, მაგრამ ქარავნები არზრუმამდე შედარებით იოლად აღწევდა, ხოლო თავრიზიდან ყაზვინამდე გზა ურუმიელ ქურთებს და სხვა უკეთურებს ჰქონდათ გადაკეტილი. ავრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ისპაჰანიდან ბასორამდე მოძრაობა აკრძალული იყო, მიუხედავად ამისა, დედაქალაქიდან ბაღდადამდე კომუნიკაცია მაინც არსებობდა: სპარსელები თავისუფლად ეშმოდნენ მათთვის აუცილებელი საქონლის მოშარაგებისათვის.

მეფის ასარჩევად შემუშავებული მოკავშირეთა ანუ ლიგის პროექტი. სიმონერაზს უდალატეს ამ პროექტის შესრულებაში. ლეკებმა დაამარცხეს ერეკლეს ჯარი. ერეკლემ გაანადგურა და განდევნა ლეკები. აღვანთა მიერ მშვიდობის დამყარება ერეკლესთან

1751 წლის ბოლოს ქართველებმა თბილისისაკენ ჯარის შესავსებად და გასაძლიერებლად გასწიეს. მეფეს უნდა აღედგინა ძველი ლაშქარი, რომელმაც ძალზედ მარჯვედ დაიწყო და საბედისწეროდ დაასრულა. აღვანთა თარეში დღითი დღე ძლიერდებოდა: აზადი, მათი მთავარსარდალი, თავისი ჯარით ურუმის ციხეში გამაგრდა. 1752 წლის იანვარში მან დაიპყრო თავრიზი. ამბობენ, რომ თითქოს მას აზერბაიჯანის მეფის ტიტულისათვისაც კი გამოუკრავს ხელი. ამ ავაზაკების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გამეფებული სისასტიკე, ასეთივე სიმძაფრით მალე თავრიზშიც გავრცელდა. ყოველი ახალი ქვეყნის დაპყრობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მეზობელ ქვეყანას. მუდამ მოთარეშე, მაწანწალა ბრბო თანდათან ეუფლებოდა ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან ქალაქებს, მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა, ისინი ყველაფერს იპყრობდნენ ან ანადგურებდნენ.

ყარაბაღის, განჯასა და შემახეს ხანები თეიმურაზის ლიგაში გაერთიანდნენ. მათ შეუერთდათ აღვანთა მიერ დარბეული მცხოვრებნიც, რომლებმაც გაგზავნეს თეიმურაზთან ოცი პრიმასისაგან (წოდებითა და უფლებით პირველი ეპისკოპოსი), შემდგარი დეპუტაცია, მათ აღუწერეს მეფეს თავრიზის ხალხის უბედურება და ითხოვდნენ მისგან დახმარებას. ლიგის პროექტის თანახმად, მოკავშირე ქვეყნების ერთიანი ჯარი უნდა შეჭრილიყო თავრიზში, გაენადგურებინათ იქ განლაგებული აღვანები და იქედან გზადაგზა, ბრძოლით მოსულიყვნენ დედაქალაქამდე. მათი გადაწყვეტილება — ბოლო მოეღოთ აღვანთა თარეშისათვის — ურყევი იყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ეფიქრათ სპარსეთის მეფის არჩევნებზე, რომელიც უეჭველად სეფის შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ლიგის წევრებმა ახალი მეფე წამოაყენეს, რომელიც მოსკოველებმა თავის დროზე ქართველებს ჩაუგდეს ხელში. მე არ ვიცი მისი ვინაობა და არც წარმოშობა, რომ გავბედო და რაიმე ვთქვა მის შესახებ. ბოლოს საღმი გონებამ გაიმარჯვა და გადაწყდა რომ ტაურისი მოაწყობდა შეკრებას, საღაც გადამოწმდებოდა ამ მეფისა და შაჰ-ისმაილის (სეფის შთამომავლის) უფლებები და უპირატესობანი. ამ უკანასკნელს ბახთიარებმა უკვე გვირგვინი დაადგეს, გაამეფეს. თუ არჩევნების გზით არაფერი გაირკვეოდა, მაშინ ძალა გადაწყვეტდა ამ ორს შორის რომელი უნდა გამეფებულიყო. არავინ ფიქრობდა შაჰ-რუქის თავმოყვარეობაზე, რომელიც სიბრძავის გამო უძლური იყო ემართა სახელმწიფო. ამ ლიგას უეჭველად ექნებოდა დათქმული წარმატება, თუ კი ხანები, რომელთაგანაც ეს კავშირი შედგებოდა, მხარში ამოუდგებოდნენ თეიმურაზ მეფეს ამ ბრძნულ წამოწყებაში.

ერეკლემ როგორც იქნა განდევნა ოდუარის სისასლისღვრისა და მრავალგზის შეტევების შედეგად ოთხი-ხუთი ათასი მეომრით შემცირებული აღვანთა ჯარი, მაგრამ გაჩნდა კიდევ ერთი საფრთხე, —

სხვადასხვა ჯურის მოთარეშეები, რომლებიც ძარცვითა და მტაცებლობით ირჩენდნენ თავს, მოულოდნელად ერთ მრავალრიცხოვან არმიად გადაიქცა. აღვანებმა შეწყვიტეს თავდასხმები და არჩევდნენ ადგილს მუდმივ საცხოვრებლად. ამ დროს იოლი იყო მათი განადგურება, მაგრამ ხანები, თავს შორს იჭერდნენ ლიგის გეგმის განხორციელებისაგან. მათ თეიმურაზს უღალატეს — აღვანების განადგურებისათვის ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. თეიმურაზს საიდუმლოდ აცნობეს ამ ღალატის შესახებ, მაგრამ მან თავისი განზრახვა აღვანების განადგურების შესახებ არ შეცვალა და გადაწყვიტა თავისი საომარი სვლა განჯით დაეწყო და შემდეგ წასულიყო ტაურისისაკენ. ერეკლემ თორმეტი ათასი მეომრის, — თბილისის, კახეთის, ოსეთის, კაზაკისა და ბორჩალოს მოსახლეობისაგან შემდგარი ლაშქრით, საბრძოლო მზადება დაიწყო. მან კაზაკები და ბორჩალოელები განჯასა და თბილისს შორის კარვებში დააბანაკა. ისინი ზაფხულობით მთებში, ზამთარში კი დაბლობზე ცხოვრობდნენ, გულადი მეომრები იყვნენ და არაფერი ისე კარგად არ ეხერხებოდათ, როგორც ბრძოლა.

ერეკლეს ლაშქარში ლეკების ერთი ნაწილი შედიოდა, რომელიც თანამემამულეების წინააღმდეგ ქართველების სამსახურში ჩადგნენ. ერეკლემ ისინი განჯის მახლობლად განალაგა. ამ დროს ლეკების მთავარსარდალმა, რომელიც აღვანებთან იყო დაკავშირებული, თეიმურაზს შეატყობინა, რომ მათი ჯარი თორმეტი ათასი მეომარით, მის წინააღმდეგ მოდიოდა. ეს მოულოდნელი ღალატი აშკარად განჯის ხანისაგან წარმოიშვა და თეიმურაზის, როგორც ლიგის სულისჩამდგმელის, გასასანადგურებლად იყო ჩაფიქრებული. ლეკები დაბანაკებული იყვნენ სპარსეთის მხრიდან დედაქალაქთან ახლოს, ხოლო ერეკლე საქართველოდან კარგა მანძილით იყო დაშორებული. რამდენიმე დღის განმავლობაში ორივე მხარე უხმაუროდ ელოდებოდა ბრძოლის დაწყებას. ბოლოს, მოთმინებადაკარგულმა კაზაკების, ბორჩალოელების, ქართველებისა და მათთან შეკრული ლეკების ერთმა ნაწილმა შექმნა ოთხიათას მეომრიანი კორპუსი და იერიში მიიტანეს მტერზე, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თავდადებული ბრძოლის მიუხედავად, ისინი სასტიკად დამარცხდნენ, გადარჩენილები ერეკლეს ბანაკს შეუერთდნენ. პირველმა დამარცხებამ მთელი ჯარი ააფორიაქა, მეომრები დაიბნენ, გაიქცა-გამოიქცნენ და ბოლოს ტფილისისაკენ გასწიეს. კაზაკები, ბორჩალოელები და მეგობარი ლეკები გაბრაზდნენ ქართველებზე, რომლებმაც ისინი ამ ბრძოლაში ჩაითრიეს და მტერიც რომ ვერ შეძლებდა ისეთი უბედურება დაატრიალეს ქართველთა ჯარში. ერეკლე, საერთოდ, ბრძოლის ველიდან გაქცევის წინააღმდეგი იყო და ბოლომდე თავგანწირვით იბრძოდა უთანასწორო ბრძოლაში. მან სამ-ოთხი ათასი მეომარი დაკარგა და დამარცხებული დაბრუნდა დედაქალაქში.

მტერ ლეკებს არავითარი დაბრკოლება აღარ ჰქონდათ, შეესივნენ განჯას და ბარბაროსობით თავიანთ მოკავშირე აღვანებსაც კი გადაუწყვეტეს. ამ ქალაქის ქრისტიანმა მცხოვრებლებმა უარესი ტანჯვა-წამება გადაიტანეს, ვიდრე წინა წელს ნახიჩევანის მოსახლეობამ. საზარელია ამ გაუბედურებული ხალხის ხვედრი. ბარბაროსთა ბოროტების მსხვერპლი გახდნენ აგრეთვე იქ მოღვაწე კათოლიკეები: ტურინელი კაპუცინი მამა ფიდელი, რომელიც თავისი საყდრის შესასვლელთან მოკლეს და მამა რუდოლფი, რომელმაც მთებს შეაფარა თავი და მის მერე არავის უნახავს. ამგვარი მძიმე ვითარების გამო ღვთისმსახურები ვეღარ ბედავდნენ იქ დაბრუნებას და ამით დასრულდა განჯაში რელიგიურ მისიონერთა საქმიანობა.

ახლა მინდა გიამბოთ ერეკლე მეფის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი, რომელიც კარგად წარმოგვიდგენს მის პიროვნებას. აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც ტფილისის კათოლიკეებმა ააშენეს ჩინებული ეკლესია, რომელმაც შური აღუძრა ქვეყნის ძირითადი რელიგიის სამღვდელოებას. კათოლიკოსმა ნახა, რომ ახლადაგებული

ეკლესია თავისი დიდებულებით, ბევრად სჯობდა სიონის ეკლესიის კათედრალს და დაჟინებით მოსთხოვა ერეკლე მეფეს, სანამ იგი საომრად წავიდოდა, აეძულებინა კათოლიკები გადაეცვალათ თავისი ეკლესია სიონის ეკლესიაში. ერეკლე მეფე მაშინ უფრო მტკივნეული საქმით იყო დაკავებული და მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ყასიდად დაპირდა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას დაბრუნებისთანავე. ერეკლე ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. მისი რწმენით, ეს დამარცხება იყო სასჯელი იმ შეცოდებისათვის, რომელიც მან ეკლესიის გაცვლის დაპირების გამო მიიღო. ომიდან დაბრუნებისთანავე, მეფემ დიდი საყვედური მოახსენა კათოლიკოსს, თვითონ კი, ფეხშიშველმა ყველა ეკლესია მოიარა და საჯაროდ მოინანია ის შეცოდება, რომელიც მან მაღალ ღმერთს შებედა. ამის შემდეგ ერეკლემ დაულოცა კათოლიკებს თავისი აგებული ეკლესია და გულუხვად დაასაჩუქრა ისინი.

ლეკებთან დამარცხებამ უკიდურესად შეასუსტა ქართველების ძლიერება, მათ ძალა აღარ შესწევდათ ახალი ბრძოლისათვის, დრო გადიოდა, ერეკლე მიხვდა, რომ დახმარება სჭირდებოდა და ეახლა ჩერქეზებს. მეფის ამ ვიზიტმა ჩერქეზები ცოტა არ იყოს დააბნია და ეჭვიც აღუძრა: — „ქართველები მახეს ხომ არ გვიგებენ ან გვსჯიან ცოტა ხნის წინ, რომ დავარბიეთ მათი ქვეყანა"-ო. ამ ეჭვებით საქციელდაკარგულები, ველარ მიხვდნენ რა დამოკიდებულება უნდა გამოემჟღავნებინათ ქართველების მიმართ, მაგრამ ერეკლე მეფე ხომ შესანიშნავად ფლობდა მოლაპარაკების ხელოვნებას. მან გამართა დიალოგი მისთვის ჩვეული გონებამახვილობითა და წინდახედულობით და ბოლოს, შესთავაზა მათ ხელსაყრელი წინადადება: ერეკლე ჩერქეზებისაგან ითხოვდა ოთხიათას მეომარს, რომლებითაც შეავსებდა წარუმატებელი ბრძოლისაგან მიღებულ დანაკლისს. თითოეულ მებრძოლს დაპირდა ხელფასს, ექვს თუმანს. მეფემ ჩერქეზებს მძევლად დაუტოვა თავისი ვაჟი, პირველი ცოლისაგან (ერეკლეს მეუღლე გარდაეცვალა და დიდი ხანი არ არის, რაც სამეგრელოს
 ასული შეირთო ცოლად).

ერეკლეს ჩერქეზეთში გამგზავრებით ისარგებლეს ლეკებმა და დაბრკოლების გარეშე, გზადაგზა აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს, ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ ქართველ ხალხს, ასე მიაღწიეს ახალციხემდე. იქ ფაშას მოსთხოვეს თავიანთი ტყვეების დიდი ხელმწიფის ტერიტორიაზე გადაყვანის უფლება, სადაც მათ კარგ ფასად გაყიდდნენ. ფაშამ მოძალადეებს გადასცა დიდი მბრძანებლის კატეგორიული აკრძალვა ტყვეების მის ტერიტორიაზე გადაყვანის თაობაზე. უარით გაცოფებულმა ლეკებმა ააოხრეს თურქეთის სოფლები და ქალაქები, რომელთა გავლით, უნდა დაბრუნებულიყვნენ დაღესტანში, თავიანთ სამშობლოში.

ამასობაში ჩერქეზების დახმარებით ერეკლე მეფემ შექმნა ახალი ჯარი და დაიძრა გორისაკენ, სადაც იგი ლეკების მთავარსარდალმა, პირველი გამარჯვებით გაყოყოჩებულმა აჯი-ჩელებიმ გამოიწვია საბრძოლველად. თეიმურაზმა მოისურვა ბრძოლაში გაპყოლოდა თავის ვაჟიშვილს. ამგვარად, 31 აგვისტოს ორივე მეფე ერთად გავიდა ტფილისიდან. ბორჩალოსთან ბრძოლა მოუხდათ ლეკის რაზმთან, რომელიც ქართველ ტყვეებს დაღესტნისაკენ მიერეკებოდა. ქართველმა მეომრებმა ტყვეები დაიხსნეს და ლეკების რაზმი გაანადგურეს, გაქცეულებს კი ბორჩალომდე გაედევნენ.

განჯის ამბების და დიდი გადასახადის დაკისრების გამო, კაზაკები და ბორჩალოელები დიდი ხანია გულში ინახავდნენ მტრობას ერეკლე მეფის მიმართ, ამიტომ ომის დაწყებისთანავე ისინი ლეკების მხარეზე გადავიდნენ.

მიუახლოვდა თუ არა ერეკლე მეფე თავისი შვიდ-რვა ათასი მეომრით, აქედან

ოთხი ათასი ჩერქეზით, ურიცხვ მტერს, პირქვე დაემხო და ღმერთს შეავედრა თავისი ლაშქარი. შემდეგ მხურვალე სიტყვებით მიმართა ჯარს, აუხსნა გამარჯვების აუცილებლობა, გაახსენა, მტრის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, საერთო ძალით მოპოვებული არაერთი გამარჯვება. ახალგაზრდა მეფის გმირული შემართებით აღტაცებულმა მეომრებმა სიტყვა არ დაამთავრებინეს და ერთხმად შესძახეს, რომ მზად არიან ბრძოლისათვის, მეფისა და სამშობლოსადმი თავგანწირვისათვის. ერეკლემ თავისი მცირერიცხოვანი ჯარი გაპყო სამ კორპუსად. ისინი სხვადასხვა მხრიდან, ერთდროულად შეესივნენ მტერს, რომელიც განზრახ გაიქცა. ერეკლე თავისი რაზმით თან გაპყვა და მოექცა მრავალრიცხოვანი მტრის რკალში. მოულოდნელობისაგან და მძაფრი შეტევისაგან ქართველებს თავგზა აერიათ, მეომრები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, გაქცევას ლამობდნენ. ერეკლე არ დაიბნა ომახიანად მოუხმო დაფანტულ მებრძოლებს და თავისი წინამძღოლობით ბრძოლის ველზე გაიყვანა. მეფის სიმამაცემ მეომრებს ძალა და გამბედაობა გაუორმაგა და ისეთი სიფიცხით შეუტიეს ლეკებს, რომ ისინი თავზარდაცემულნი მიმოიფატნენ. ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტაში ერეკლე პირისპირ შეეჩეხა აჯი-ჩელების და სასიკვდილოდ დაჭრა. ქართველებმა გაიმარჯვეს, ხელთ იგდეს ბრძოლის ველი. ლეკები გაიქცნენ და მიატოვეს მთელი ავლა-დიდება: შვიდი-რვა ათასი მოკლული და დაჭრილი მეომარი, ხუთასი კარავი, ათას ხუთასი ჯორი, არტილერია და სხვ. გამარჯვებული ქართველები ორ რაზმად გაიყო, პირველი რაზმი — ორი დღის განმავლობაში მისდევდა გაქცეულ ლეკებს და გზადაგზა ანადგურებდა მათ, მეორე — წავიდა კაზაკთა და ბორჩალოელთა დასასჯელად ადრინდელი აჯანყებისა და ახლანდელი ღალატისათვის.

ამ ბრძოლაში დაიღუპა ჩერქეზთა მთავარსარდალი, იგი ერთ-ერთი შეტევისას მოკლეს ლეკებმა. ჩერქეზებმა შურისძიებისათვის შეიპყრეს ლეკების მეთაური ლეკებმა ყველა ღონეს მიმართეს, რათა თავიანთი მეთაური დაეხსნათ ამ სახიფათო ტყვეობისაგან: ჩერქეზებს ცხმსხვერპლოდ ფეხმძიმე ქალიც კი შესთავაზეს, მაგრამ ისინი მტკიცედ ედგნენ თავიანთ გადწყვეტილებაზე და [illegible] შეუთვალეს. მათ მიიყვანეს ლეკების მეთაური თავიანთი მხედართმთავრის ცხედართან და მსხვერპლად შესწირეს იგი.

ერეკლე დავალებულად გრძნობდა თავს ჩერქეზების წინაშე — ეს დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება ხომ მათთან ერთად მოიპოვა, ამიტომ განსაკუთრებული გულუხვობა გამოიჩინა მათ მიმართ და ამით აჩვენა თავისი მადლიერება. მეფემ ომის ნადავლი მთლიანად ჩერქეზებს გადასცა და დაპირდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ოცი ათასი კაცით დაეხმარებოდა.

ერეკლე მეფის ამგვარი დიდსულოვნება მისი ბუნებითა და აგრეთვე გონივრული პოლიტიკით არის განპირობებული. ამ დიდებული აქტის შემდეგ ერეკლე მეფე თავის მამასთან თეიმურაზ მეფესთან ერთად დაბრუნდა ტფილისს. მიუახლოვდნენ თუ არა დედაქალაქს, ისინი ფეხშიშველა გაეშურნენ სიონის ეკლესიისაკენ, მათი ბრწყინვალე გამარჯვებისადმი მიძღვნილი წირვის მოსასმენად. უამრავი ხალხი მოაწყდა ეკლესიას, ყველას სურდა თავიანთი სახელოვანი მეფეების ხილვა. ქართველები აღტაცებული შეძახილებითა და ტაშისცემით ესალმებოდნენ მათ. ერეკლე რამდენიმე დღე დარჩა ტფილისში. მან გულუხვად უმასპინძლა და დიდი პატივით გააცილა მეფის გმირობითა და დიდსულოვნებით მოხიბლული ჩერქეზები თავიანთ ქვეყანაში. ამის შემდეგ იგი რამდენიმე თვით წავიდა კახეთში ოჯახის მოსანახულებლად და ნოემბრის თვეში ისევ ტფილისს დაბრუნდა.

სასტიკი დამარცხებით შეურაცხოფილმა ლეკმა მთავარსარდალმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყო ზრუნვა ჯარის შექმნაზე. მან შეკრიბა რვა ათასი მეომარი, დაბანაკდა მთების ძირში, რომელიც დაღესტანს კახეთის სამეფოსაგან ჰყოფს და გამოიხმო ერეკლე საბრძოლველად. ზამ-

თრის პირი იყო, ამიტომ ერეკლე მეფე აღარ გამოეხმაურა ლეკ მხედართმთავარს გამოწვევაზე და ომი გაზაფხულისათვის გადაიდო.

ლეკების დამარცხების, დეზერტირობის თუ სხვა მიზეზის გამო, აღვანთა ჯარი შემცირდა და შესუსტდა. მათ და მოკავშირე ყაჩაღებმა გადაწყვიტეს ერეკლესთან ზავის დადება. აღვანთა მეთაურმა აზადმა შეუთვალა ერეკლეს, რომ სურს მის განკარგულებაში შესვლა და თანახმაა შეასრულოს მისი ყოველგვარი მოთხოვნა. ერეკლემ მიიღო აღვანთა საშშვიდობო წინადადება, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა, რომ ამიერიდან ისინი აღარ გადმოლახავენ არაგვს, შეწყვეტენ ერევნის, სოფლების დარბევას და იცხოვრებენ ამ მდინარის იქით ურუმის მხარეში. ეს ზავი დიდმნიშვნელოვანი იყო ყოველ[illegible]ისთვისაც — მოიხსნა მიმოსვლა[illegible] [illegible]ულ[illegible]ული დაბრკოლებები. განჯის მხარეში მიიღეს რამდენიმე ქარავანი შირვანის აბრეშუმით. თუმცა თურქეთს, გილანის აბრეშუმს რომ მოუთმენლად ელოდა, იმედი გაუცრუვდა, რადგან უკვე რამდენიმე წელია რაც კომერსანტებმა სხვა კურსით, კასპიის ზღვის გავლით დაიწყეს მოძრაობა.

სპარსეთისა და საქართველოს მდგომარეობა ამქამად, 1753 წელს

1753 წლის გაზაფხულზე თბილისში მიმდინარეობდა ომისათვის მზადება. ერეკლე დაბრუნდა გორში, რათა გაემაგრებინა და ჩაეკეტა გზა, საიდანაც ლეკები შედიოდნენ საქართველოში. ქართველებთან ომში დამარცხებით გააფთრებულმა ლეკებმა კახეთის რამდენიმე სოფელი აოხრეს.

ერეკლეს განზრახული ჰქონდა მთლიანად გაენადგურებინა ლეკები, რომლებიც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მის მიერ შემუშავებულ გეგმებს, რადგან სხვა უფრო მნიშვნელოვან საქმეზე როგორ იფიქრებდა თუ კი ლეკებს თავს ვერ დააღწევდა. მარტის თვეში, მეფემ სათათბიროდ მოიწვია წარჩინებულნი, რომელთაც ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ერეკლე თორმეტი ათასი მეომრით წავიდოდა ლეკების წინააღმდეგ განჯაში, სოლო თეიმურაზი ექვსი ათასი ჯარისკაცით დედაქალაქს დაიცავდა მოულოდნელი შემოსევებისაგან. საქმეს თითქოს სასიკეთო პირი უჩანდა: კაზაკები და ბორჩალოელები ჩადგნენ ქართველი ერისა და მეფის სამსახურში, ერეკლესადმი ერთგულების დასტურად, მათ საკუთარი ნება-სურვილითვე მძევლად მიიყვანეს ორმოცი წარჩინებული ოჯახი თავისი ქვეყნიდან. აღვანთა მეთაურმა აზადმა გადასცა ერეკლეს თავისი სამეფო და სთხოვა ნება დაერთო **თავისივე ჯა**-

რით გაჰყოლოდა მას განჯაში საბრძოლველად.

ივნისის თვეში საქართველოს **კათოლიკოსი** ელჩის მისიით მიავლინეს რუსეთში. საეარაუდოა, რომ ამ მისიას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არ არის ცნობილი ამ მოლაპარაკების შედეგები.

სპარსეთის შინაური მდგომარეობა ამ პერიოდში, უწინდებურად ულიმღამო და უცვლელია. ისმაილ-შაჰი მშვიდად და უშფოთველად მეფობს თავის სატახტო ქალაქში. სპარსეთის ყველა ხანი მისთვის მიკუთვნებული მხარის ხელისუფალი და მბრძანებელია. ეს ვრცელი იმპერია შრავალი კუთხის თუ მხარის შენაერთია და ყოველი ნაწილი ემორჩილება მხოლოდ თავის მმართველს.

სეფის შტოს მეფე, რომელიც წინათ მოსკოველებმა ხელში ჩაუგდეს ქართველებს, ისევ და ისევ კახეთის ტყვეობაშია. სპარსეთის ტახტზე მის დასმას ერეკლე ამ სამეფოში შეღწევისათვის გამოიყენებდა, თუკი საკმარისი თანადგომა ექნებოდა თავის მოკავშირეებისაგან. ამგვარად, იგი განახორციელებდა იმ დიდ პროექტს, რომელიც 1752 წელს ლიგის ყრილობაზე მიიღეს, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ლიგა დაიშალა, მისი ზოგიერთი მოკავშირის თეიმურაზისადმი ღალატის გამო.

აი ამჟამინდელი სპარსეთისა და საქართველოს ჭეშმარიტი სურათი. მე მინდა დავასრულო ჩემი ესე ერეკლე მეფის პორტრეტით. ერეკლე არის უპირველესი და უძლეველი ამ ორ სამეფოში. ვინც მას იცნობს ყველა დამეთანხმება, რომ ეს ყველაზე სრულყოფილი და საუკეთესო პიროვნებაა, ვინც კი ოდესმე მეფობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი ოცდაშვიდი წლისაა და შემკულია საუკეთესო თვისებებით: მრავალმხრივი აზროვნების უნარი, სხარტი გონება, შერწყმული წინდახედულებასთან და ზრდასრულ გამოცდილებასთან, ძლიერი, ქედუხრელი, მამაცი, ვაჟკაცური, სამართლიანი, სამაგალითო ქრისტიანი, თავისი ასაკისათვის ნაადრევად დინჯი და დარბაისელი, — ყოველივე ეს მის პიროვნებას სიდიადის ნათელს სძენს. მისმა სათნოებამ, ქველმოქმედებამ, გულუხვობამ, იგი თავისი ხალხის, მეგობრებისა და მეომრების კერპად, მეზობელი ქვეყნების სიამაყედ და მტრების შიშისზარად აქცია.

ერეკლე საკმეოდ დიდი ტანის, ძალზე კარგი აღნაგობის, სახით საშუალო სილამაზის ადამიანია. იგი ბუნებრივია, ზნეკეთილი, მშვიდი, სადა, თავისი მანერებითა და სამოსელით, მაგრამ მთელ მის პიროვნებაში ჩანს უპირატესობა, დიდებული იერი, წარჩინებულობა. შეხედვისთანავე მიხვდები, რომ იგი ჭეშმარიტი მეფეა თავის სასახლეში და მთავარსარდალი თავის არმიაში.

ქართველ მეფეთა აზროვნება არასდროს ყოფილა ორაზროვანი: მათ არ ჰყოლიათ პოეტი მეხოტბე, არც ჰომპეზურობისათვის შერქმეული ზედმეტი სახელი ჰქონიათ. ყოველივე ეს ხომ სიყალბეს, პირფერობას ბადებს და ჭეშმარიტებას უარყოფს. ასევე არასდროს ჰქონიათ საცხოვრებელი თავიანთი ამალისათვის, კარისკაცებისათვის და მეომრებისათვის განკუთვნილი. ამ მეფეთა ავი და კარგი საქმენი მუდამ დაუფარავი და გამომზეურებული იყო და ყოველ მის მსახურს, ხელქვეითს თუ მეომარს შეეძლო თამამად და უშიშრად გამოეთქვა აზრი მისი ავკარგიანობის შესახებ.

მინდა გულწრფელად მოგახსენოთ, რომ ჩემს ნაამბობში ერეკლე მეფის შესახებ, არაფერია გაზვიადებული და გადაჭარბებული, პირიქით, მე შემიძლია კიდევ მეტი გიამბოთ, რადგან მას აქვს ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს იდეალურ მეფეს. ერეკლე ფლობს ამჟამად საქართველოს, სპარსულ სომხეთს და წინამძღოლია აღმოსავლეთის ორი ყველაზე გულადი და მამაცი ერისა, რომელიც თავისი მეფის, ქვეყნისა და ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულით ფრთაშესხმული ისწრაფვის სასახელო გმირობისა და ქველმოქმედებისაკენ.

ლეილა თეთრუაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოეთეს ტორკვატო ტასსოს ტრაგიკული დანაშაული

(მიეძღვნა გოეთეს დაბადების 250-ე წლისთავს)

„ტორკვატო ტასსო", გოეთეს ეს ყველაზე ტრაგიკული ქმნილება, თავისი იდუმალი შთანაფიქრით შემზარავი, მისი შემოქმედების „შუაწელზეა", რომელსაც გამსჭვალავს ერთი ყველაზე რთული პრობლემა — რეზინგაციად წოდებული. ეს რეზინგაცია — პირდაპირი მნიშვნელობით — „შეგუება", „დათმობა" და გოეთეს შემოქმედებით ლექსიკონში კი — მომთმენიანი წინააღმდეგობა (duldender Widerspruch-, ანუ თვითშეზღუდვა (Selbstbesehränkung), გოეთელოგიაში მოიხსენიება „პიროვნების თვითდადგინების სილაღეზე „ხელის აღებად", ხოლო ამდენად, რეზინგატორულ გმირებს „ხელისამღებნიც" (die Entsagenden) ჰქვია, მაგალითად, „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლებში", რომელიც „ფაუსტის" პროზაულ პარალელადაა მიჩნეული. ანუ: ესაა პრობლემა, რომელიც ჯერაც ვერთერის, როგორც უკომპრომისო ინდივიდუალისტის კრახში ჩაისახა, გოეთეს ე. წ. „ადრევაიმარული პერიოდის" სამ ფუნდამენტურ ნაწარმოებში — „ტორკვატო ტასსო", „იფიგენია თავრიდში" და „სულთა არჩევითი ნათესაობა" — მფეთქავ ნერვად განვითარდა, ხოლო „გვიანდელ" შედევრებში — უკვე მძლავრად დამკვიდრდა. გოეთეს შემოქმედების „შუაწელზე" კი „ტასსო" იმიტომაა, რომ მისი გმირი ჯერაც არ არის განრიდებული „შტურმერულ" მაქსიმალიზმს, და კიდევ იმიტომ, რომ ტასსოს სულიერება და, რაც მთავარია, პრეტენზიულობა, რასაც ისევ მისი დიდბუნებოვანება ასაზრდოებს, — „კონტექსტიდან ამოვარდნილი" მისი არსება ისე განავითარებს და ამძაფრებს ვერთერს, რომ უცილობლად გვაყენებს გოეთეს ამ ფორმულირების წინაშე: „დაუსაზღვრავი (აულაგმავი) ქმედება, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, საბოლოოდ აკოტრებს ადამიანს". ანუ: „ტორკვატოში" იმ აულაგმავი განწყობილებების დასაზღვრების აუცილებლობა ჩანს, იმ „რეზინგაციმის" გარდუვალობა, რაც გოეთემ თავის ადრევაიმარულ პერიოდში მიზნად დაისახა და რასაც ეწია კიდევაც. „ტასსო" კი „გარდამავალი" პერიოდის ტრაგედიაა, მასში ჯერაც ვერთერი ფეთქავს, ასე უწოდებს „ტორკვატოს" ბენო ფონ ვიზე — „განვითარებულ ვერთერს" (geweiterter Werther). იგი გოეთემ დაწერა, პირველ რიგში, როგორც „განდობა" საკუთარი სულიერი კრიზისისა, ვთქვათ, შარლოტე ბუფისადმი ემოციამ რომ მოუტანა და ეს „განდობა" მისთვის იგივე იყო, რაც რიჰარდ ვაგნერისთვის „გამოსყიდვა" (Erlösung), — წერს თომას მანი. ამ ნაწარმოებმა მოუტანა მას გაუგონარი წარმატება იმიტომ, რომ იგი „ბანგივით მოქმედებდა". მერე ისეთი აღიარება აღარ ჰქონია — „ფაუსტიც" დაწერა და არც მაშინ! ეს ბანგი აღმოჩნდა, შორს მოქმედი, ანუ ისეთი, მორალისტებს რომ აღაშფოთებდა, მაგრამ გოეთე ისე იყო შეპყრობილი ამ ემოციის ანუ ყოვლად ალოგიკური და უანატომიო ფენომენის ემანსიპაციით, რომ მორალისტების წინაშეც კი დასჭირდა განმარტება და თავისი დიდი შეყვარებულების გულგრილად მოხსენიებაც, მორალისტებს რომ შიშის ზარს სცემდნენ სწორედ იმით, რომ

სიკვდილზე იყვნენ თანახმა და საკუთარ ნებაზე კი უარს არ იტყოდნენ. და ნება კი მათი — იყო კეთილშობილი ემოცია, შილერი რომ „დაძაბულ გრძნობას (angespantes Gefähl) უწოდებს და წერს: „იდეიდან მოდის და იდეალისკენ მიემართებაო" (ჩვენში იგი „გადაჭარბებულ გრძნობად" თარგმნეს ჯორჯანელებმა). გოეთე აღნიშნავს, რომ სამსჯავროსთვის გასწირა შეშლილი გრეთჰენი, ოტელომ შეშლილი მოიკლა თავი, ედუარდიც მოკვდა, ვერთერიც ტასსო გაგიჟდა და ა. შ. „კიდევ რალა უნდათ ჩემგანო, მაგრამ სიტყვაზე მაინც არავინ დაუჯერა, რადგანაც მის ნაწარმოებებში სწორედ იმ გმირებისადმი გულმიდრეკილება იგრძნობოდა. მხოლოდ მორალისტები კი არა, პირველ რიგში ბაირონი აუმხედრდა და შთანაფიქრიც იმან გამოუფინა. ამ დროს გახმაურდა მისი ხუმრობა გოეთეზე, „ამ ბებერ მელაზე", რომელიც „თავის სოროში ზის არხეინად და იქედან გვმოძღვრავს წესიერი კაცივით"; მაშინ როცა, რაც მან ორი რომანის — „ვერთერისა" და „სულთა არჩევითი ნათესაობის" — ფინალად დაგვიწერა — აქაოდა ქორწინებახ ვიცავ ანუ მორალისტი ვარო — ირონიის ისეთი მწვერვალია, თვით მეფისტოფელიც ვერ დაწერდა უფრო ქირდვით და სარკასტულადო. გოეთე, როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, თანაც მისი მასშტაბისა, გრძნობათა ემანსიპატორი იყო, მაგრამ იყო „ურბანისტული ყაიდის ესთეტი მოთამაშეც" და თვით ლესინგისგანაც კი არ მიიღებდა შენიშვნას: „ვერთერის ფინალი შესცვალე, განა რომაელი ან ბერძენი ჭაბუკი შენი ვერთერივით მოიკლავდა თავს უბედური სიყვარულისთვისო". გოეთემ არ მოუსმინა, რადგან იმხანად იყო „ქარიშხლისა და შეტევის" ლიდერი და ვერთერის მხარეზეც იყო. მაგრამ სწორედ „ვერთერის" წიაღში ისახება რეზინიაცია, იმ გაგებით, რაც გოეთემ სამოქმედო მაქსიმად იქცია გვიან ვაიმარულ პერიოდში: „იმაზე მეტი არ უნდა გინდოდეს, რაც შენს შესაძლებლობებს აღემატებაო", მაშინ, როცა ვერთერის ტრაგედია მხოლოდ ის კი არ არის, რომ ღრმა უფსკრული ჩაწოლილა მის იდეალებსა და გარემომცველ სინამდვილეს შორის (ანუ სულ ისეა, რომ ვერთერია კარგი და გარემო არ უვარგა!), არამედ ის, და პირველ რიგშიც, რომ ეს „ღრმა უფსკრული" ჩაწოლილია მის შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის (ანუ იმაზე მეტი სურს, ვიდრე ძალუძს). აქედან — მისი დაღლა ემოციებით, ქანცგაწყვეტა, ძალის წართმევა და, თუ გნებავთ, უცნაური სისუსტეც ლოტეს წინაშე; 26 ივლისის დღიურში წერს: „ჩემმა წინაპარმა ერთი ანდამატის მთის ზღაპარი იცოდა; როცა მთას გემები ახლოს გაუვლიდნენ, ლითონის (რვალის) ყოველი ნაწილი შემოეცლებოდათ, ლურსმნები იმ ანდამატის მთისკენ გარბოდნენ და საბრალო ზღვაოსნები ერთმანეთზე დახორავებულ ფიცრებშუა იღუპებოდნენ"-ო. აქედან — მისი შედარება ცხენის რომელიღაც კეთილშობილ ჯიშთან, რომელსაც როდესაც ქანცს გააცლიან, ინისტინქტურად გადაიჭრის კისრის ძარღვს საკუთარი კბილებით, რათა სუნთქვა გაიიოლოს. ვერთერი, საზოგადოების კრიტიკოსი და მისგან გასული, ვერც ბუნებასთან მიდის საბოლოოდ, რადგან გულს უკლავს მისი „შთანმთქმელ-წარმომქმნელი ძალა" ანუ ტრაგიკული არსი: „უსაზღვრო სიცოცხლის სურათი მარად ყბალია სამარის ხახად გადამექცა; აბა, როგორ იტყვი, „ეს არისო", როცა ყველაფერი მიედინება, როცა ყოველივეს იტაცებს, ნთქავს და კლდეებს ანარცხებს შმაგი დინება" და ა. შ.; ბუნებაშიც „მარადიულ მგზავრად", ყარიბად, „უკონტექსტო კაცად" გრძნობს თავს და, საკუთარ თავში ჩაკეტილი, ფიქრობს, რომ ხსნა სიკვდილშია, ანუ „სიკვდილით უნდა გაიმარჯვოს იმ დამთრგუნველ მდგომარეობაზე, რომელშიც ტანჯვა აყენებს". ეს დიდი ინდივიდუალისტი, რომლის არსებაში თვითმკვლელი იმთავითვე „ზის" და ბუნებით კი „თვითგვემის ოსტატია", „ხატად ღმერთისად" კი არ მიიჩნევს თავს, არამედ ღმერთს „ავალებს" მე დამემსგავსეო. და სწორედ ინდივიდუალისტის ხვედრს მიჰყავს იგი იმ

აღიარებამდე, რომელშიც თუმცა სუსტად, მაგრამ უკვე ჩანს დაუსაზღვრავი ემოციების ალაგმულობისკენ სწრაფვა. ანუ ერთის მხრივ იგი აღიარებს, რომ ადამიანი მარტო თავისთვის კი არ უნდა იყოს, არამედ „სხვისთვისაც უნდა ლამობდეს ადამიანად ყოფნას", ხოლო მეორეს მხრივ, მზადაა „მკერდი გაიპოს და თავის ქალა გახეთქოს", როცა იმაზე ფიქრობს, „თუ რაოდენ მცირე შესაძლებლობა მეხუცემიათ ადამიანებს, რათა ერთმანეთისთვის რაიმე იყვნენ".

თუმცა აქ არა, მაგრამ აქედან აღარც ის განცდაა შორს, რაც „ვერთერში" განწირული სულისკვეთების წილ ჩნდება და რასაც თომას მანი „ემოციურ პანთეიზმს" უწოდებს და ამბობს, არტურ შოპენჰაუერის ვოლუნტარისტულ ფილოსოფიას დაედო საფუძვლადო". ესაა უკანასკნელი დიდი შტურმერის — ფრიდრიპ ჰოლდერლინის ვერთერული გმირების — ემპედოკლესა და ჰიპერიონის სწრაფვა შეუერთდნენ ე. წ. „კოსმიურ ტანჯვას", „მთელი სამყაროს ურვას" და ამ დროს მათი მოწოდებაა: „განა ყოველივე არ უნდა იტანჯებოდეს! შენ რომ ურვა ძალგიძს, ბუნებავ"! ესაა, რაზეც ემპედოკლე წერს სასოწარკვეთილი თავის მეგობარს: „ეხლა მითხარ, სადღა ვპოო მე თავშესაფარი, ჩემო ბელარმინ!" მისი კადნიერი პრეტენზია, მისი ამაღლებული ოცნება იყო საკუთარი „მე"-ს რეალიზაცია, საზოგადოებად განვრცობა; და სწორედ ბუნებასთან შერწყმა (აქ... ეტნის კრატერში შთანთქმამ) აზიარა იგი იმ ყოვლადობას, რაც მისმა ობიექტივაციის მთხოვნელმა არსებამ ცხოვრებაში ვერ ჰპოვა... ესაა განცდა, რასაც ნ. ბარათაშვილი „სულის წადილს" უწოდებს და განასხვავებს მას „სხვათაებრი" ემოციებისგან. მისი არსი „განწირული სულისკვეთებიდან" იღებს სათავეს. ყველაზე მძაფრად „მერანში" იჩენს თავს ამ კოსმიურ მთლიანობასთან თანაზიარების განცდა, ვთქვათ, აქ: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის ტიალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის" და ა. შ. ხოლო თავად არსი კი „სულის წადილისა" განფენილია ლექსში „არ უკიჟინო, სატრფოო!"

გოეთემ მხოლოდ ერთხელ წაიკითხა „ვერთერი" გამოქვეყნების შემდეგ, რადგან მის ყოველ სიტყვაში ისეთი ნაღმი იდო, არ იცოდა, როდის რაგვარად იფეთქებდა იგი პოეტის არსებაში და მუდამ ეშინოდა (და თუ არ ეშინოდა, ღმერთს ევედრებოდა), არასოდეს ჩავარდნილიყო იმ პათოლოგიურ სიტუაციაში, რომელშიც „ვერთერის" წერის დროს აღმოჩნდა. ესაა ე. წ. „გვიანდელი" გოეთეს დამოკიდებულება თავისი „შტურმერული" ყოფისა და რომანტიკოსების მიმართაც, რომელთაც პროშტურმერულ სულისკვეთებად აღიქვამდა და, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ: როცა ჰაინრიხ ფონ კლაისტმა თავისი „პენთეზილეა" გაუგზავნა გოეთეს და მისწერა — „დაჩოქილი გულით გიგზავნითო", გოეთემ არ მიიღო. მისი ვაიმარში გადასვლა კი ზაქსენ-ზაიმარ-აიზენახის ახალგაზრდა ჰერცოგის — კარლ ავგუსტის მიწვევით — ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო იმ ვითარებაში, რადგან იმ დროს გერმანიაში რადიკალიზმის მხოლოდ ის ფორმა იყო შესაძლებელი, რამაც ვერთერი ყოველნაირი „კონტექსტიდან ამოაგდო" და თვითმკვლელობამდე მიიყვანა. გოეთეს „იქ" წასვლა და პირველ კარისკაცად ანუ მინისტრად და „საიდუმლო მრჩევლად" — „ფონ გოეთედ" ქცევა იყო იძულებითი კომპრომისი, სწორედ — მომთმენიანი წინააღმდეგობა, „გენიოსი ცეროდენა ფეოდალის კარს მიეჯაჭვა, მისი ფავორიტი გახდა, ტალანტის გამო დაახლოებული კარისკაცი (აკი ეუბნება ეკერმანს თავის ტორკვატოზე: „ტასსო — ეს მე ვრო"). ცოტა ხნის მერე წერს: წინანდელზე უკეთ ვხედავ მაღალი საზოგადოების გარდამავალი ბრწყინვალების მთელ სიბილწესო". უფრო მოგვიანებით — „ადამიანებთან ჩემი სიახლოვე, როგორც ვატყობ, თანდათან ცლებულობსო". ამ დროს გაუვარდა სწორედ „ცივი ოლიმპიელისა" თუ „გულგრილი

ფილისტერის" სახელი. მაგრამ უკვე ვერთერული განსაცდელის გადამტანი თავის თავში კი არ იკეტება, არამედ რჩება საზოგადოებაში, ოღონდ საკუთარ ციხე-გალავანში მაგრდება, რათა შინაგანი ხელშეუხებლობა დაიცვას, ფრიდრიხ ნიცშეს საყვარელი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, — „დისტანციის პათოსით" განეწყობა „დანარჩენ სამყაროს" ანუ ხდება ისე, რომ რაც იწვნია და განიცადა, „გარდათქვა", ყველაფრის გონებით შემოწმებას მიეჩვია, ამ დროს იყო, მაგალითად, დაისახა: „ისწავლე თავის დაოკება...", „გულგრილობასა და სიწმინდეს ღმერთები ხელშეუხებლად ინახავენ ჩემში — წერს, — მაგრამ სამაგიეროდ დღითიდღე სულ უფრო მიჭკნება ნდობის, გულახდილობის, ალალი სიყვარულის ყვავილი". მისი იმჟამინდელი „ფორმულაა": „ძლიერი იყო, ნიშნავს იყო უგრძნობელი"; მეორე დოქტრინა: „სიბრძნის უმაღლესი პრეტენზია ის არის, რომ არავითარი პრეტენზია არ გქონდეს, რაც შესაძლებელს გახდის, გადაჭარბებებსა და იმედგაცრუებებს ასცდე, ანუ იმას ესწრაფოდე და კიდევაც ეწიო, რაც რეალურადაა შესაძლებელი". ამ „წიაღში" მზადდება მისი „თვითშეზღუდვა", ის რეზინდაცია, რამაც იგი ინდივიდუალისტისა და თვითმკვლელის ბედს განარიდა და რითაც იდეალისკენ მიმავალი ვიწრო და „მცირე" ბილიკი, მაგრამ მაინც რალაც გზაწვრილი ამ მტრულსა და მქირდავ საზოგადოებაში ძლივს შეინარჩუნა. „მე არ მოვითხოვ ადამიანთაგან იმაზე მეტს, რისი მოცემაც ძალუძთ, და მით უფრო არ ვახვევ მათ თავზე იმაზე მეტს, რაც უნდათ, თუმცაღა ზოგჯერ ვერ ვაძლევ ყველაფერს რაც მათ სურთო" — წერს 1782 წ. 13 I-ს, შემდეგ (1784 წ. 5/II) განმარტავს „იმ" ნათქვამს: „მე გაცილებით უფრო მეტად მიმძიმს თავის შეკავება, ვიდრე კაცმა ეს შეიძლება წარმოიდგინოს და ამის აუცილებლობის... სრულმა რწმენამ დამიწესა ის პასიური დიეტა, რასაც ახლა ასე მკაცრად ვიცავ". და ეს „ყოველდღიურობის" მიმართ გულგრილი" გოეთე, რომლისთვისაც ის ჩაუთვლიათ ხშირად ეგოისტად, რაც მისი ღირსებაც უფრო იყო და ტრაგედიაც, — უნდობარი და გულდახურული გახდა; მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მას საკუთარი თავისა და იდეების გარდა არავინ უყვარდა; საყოველთაო კიცხვის „პირისპირ", ვთქვათ, როცა იგი ასეთ სახესაც იღებს — „მაინც რა ღორია ეს გოეთე, როგორც ადამიანი", მის „დამცველთა" შორის ორი უპირატესად გამორჩეული გერმანელია: გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი და თომას მანი. ჰეგელი წერს, რომ „ყოველდღიურობის მიმართ გოეთეს უფრო დახშული ჰქონდა გული, ვიდრე გახსნილი", და ეს იმიტომ, რომ მისი გარემომცველი ყოველდღიურობა ერთგვარად „მოოქრული მეშჩანობის სამყაროს წარმოადგენდა", რომლისთვისაც გულის გახსნა „მის წინაშე განიარაღებასა და კაპიტულაციას ნიშნავდა". რაც შეეხება მის „საგანგებო" და „ესთეტიკურ" ეგოიზმს, ანუ იმას, რომ მას „საკუთარ იდეებზე მეტად არავინ უყვარდა", თომას მანის გაგებით, ეს მართლაც ასეა, მაგრამ იგი საკუთარ სულსაც და სხეულსაც ამ სამსხვერპლოს სწირავდა, რადგან იყო იმ სანთელივით, რომელიც მის ალს დახარბებულ ფარვანებს ვერ „დაიცავს", რადგან თავად იწვის, „რათა სინათლემ ინათოს". რეზინდაცია კი მას საიმისოდ „ემსახურება", რომ იმ ფაიორიტობაშიც თავისუფალი ყოფილიყო, რადგან იგი, ეს რეზინდაცია ერთგვარ სტოიციზმსაც გულისხმობს, ანუ როცა კაცი თავის უმაღლეს ნატვრაზე იმიტომ იღებს ხელს (entsagt), რომ მტრულ, ცხოვრებისეულ ვითარებაში თავისი იდეალური სწრაფვის ერთგული დარჩეს, ანუ მანამდე არ „გაკოტრდეს" სულიერად, ვინემ ფიზიკური სიკვდილი უწევს. „ღმერთებს ვვედრებ — წერს, რომ ბოლომდე შემინარჩუნონ სიმამაცე და შეუხრელობა; დაე, უმალ აღსასრული მომიახლოვონ, ვიდრე მაიძულონ ჩემი გზის უკანასკნელი მონაკვეთი ტილის მსგავსად ვიღოღო, ღმერთებს

კი ვეთაყვანები, მაგრამ ისეთი თამამიც ვარ, რომ სამარადისო ომი გამოვუცხადო მათ, თუ ისინიც ისე მომექცევიან, როგორც მათი მსგავსი ადამიანებიო".

იმხანად იყო, ორი გოეთე: ერთი ფრაკითა და პარიკით გამოპრანჭული ქალებში ერთობოდა, ქეიფობდა, ნადირობდა, ანუ იყო მინისტრი, სამთავროში პირველი კაცი ჰერცოგის შემდეგ, ისე მიღებული, როგორც ფარაონმა აამაღლა ოსები ეგვიპტურ ძონობაში; მეორე რუს, უსახურ ტანსაცმელსა და უხეშ, პრუსიულ ჩექმებში ჩაცმული, თავისი მაღალმგრძნობიარე გულის აღსარებას დიდ პოეზიად გარდათქვამდა: „ფაუსტსა" და „ტასსოს" წერდა... რა ტანჯვად ვლინდებოდა მის პოეზიაში ის მინისტრობა, ამას მოწმობს სულიერი პათოსი „ტორკვატო ტასსოსი", რომელსაც იმიტომ კი არ უწოდებენ „შემზარავ პიესას", რომ მთავარი გმირი გიჟდება, არამედ შემზარავად მიიჩნევენ ამ პიესის იდუმალ შთანაფიქრს, იმას, რომ აქ განსახიერებულია ნიჭიერი, ვნებიანი ადამიანი, ნაღდი კაცი, ანუ ისეთი ნამდვილი, როგორც ბუნების ნატეხი, რომელსაც ტალანტის გამო სასახლის კარზე იახლოვებენ და, რომელიც უცებ გაკადნიერდება და მხოლოდ პრივილეგირებულ მასხარად ყოფნას კი არ ჯერდება, არამედ არისტოკრატთა თანატოლად მოაქვს თავი და ერთ-ერთ პრინცესასაც კი შეიყვარებს. ამისთვის სრული დალუპვა მას, თანაც — მორალური, რადგან პრინცესაც ისე ეკიდება პოეტის ემოციას, თითქოს მისთვის ხელი მაიმუნს შეეთამაშებინოს. მაგრამ არც ეს არის ტრაგედიის არსი; ამ პიესაში არის ანტონიო, კარისკაცი, რომლის „სიბრძნე" ასე შეიძლება გამოიხატოს: ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს! და აი, გოეთეც, ვერთერს რომ თანაუგრძნობდა და ეხლა რეზინგაციის გზას დაადგა, ასკვნის, რომ ანტონიო ბრძენია, რომ იგი ნამდვილი მორალის მქონეა, ხოლო ტასსო — ტრაგიკული დანაშაულის მატარებელი... მაგრამ ტასსოს ტრაგიკულ დანაშაულს მისივე დიდბუნებოვანება ასაზრდოებს, ანუ არის სხვა სულიერი კონსტიტუციის კაცი, და, როცა უყვარს, იმ მაღალი ნეტარების გრძნობითაა ატანილი, რასაც ადამიანი თავისი „ეგოს" სიყვარულის აქტში გალღობისას, „არამეში" განმუხტვისას განიცდის; ამას უწოდებენ პოეტები სიკვდილს, ფილოსოფოსნი — აბსოლუტთან შერწყმას და მორწმუნენი კი ღმერთთან ზიარებას".

„ტორკვატო ტასსოს" მოქმედება მიმდინარეობს იტალიაში, ფერარას მახლობლად, ალფონს II-ის საზაფხულო რეზიდენციაში — ბელრიგუარდოში. და ტასსოს სახე კი უფრო გოეთეს ადრევაიმარულ პორტრეტს მიანიშნებს, ვიდრე ისტორიულ ტორკვატოს. ესაა ახალგაზრდა პოეტი, მოხდენილი და აქ და ყველგან მიღებული, გარშემორტყმული ფსევდომეგობრებითა და ფსევდოკეთილგანწყობით. მათთან მიდის ტორკვატო შიშველი ნერვებითა და ზემგრძნობიარე გულით. ხოლო საპასუხოდ — ყველასაგან „გაყიდული" და სულიერად დარბეული (ბოლოსდაბოლოს, ფსიქიურად შეშლილიც!) — ამბობს: „გულიდან სისხლი თქრიალით (fließend) მოდისო". მაგრამ აქ ის ადგილიცაა, სადაც იგი სხვის გაგებას სწავლობს და საკუთარ სახეს ადგენს „სხვებთან შედარებისას". პრინცესაც ამას ეუბნება: „თუ არ ისურვე სხვისი გაგება", მაშინ ეს მიშვებული აღვირი „ყრუ ჭალებისკენ წაგიძღვება", ანუ „განეშივრდება ჩვენი სული და შეეცდება, თვის გულში შექმნას ოქროს ხანა, ნეტარი ჟამი, რომელსაც იგი თავის ირგვლივ ვერსად პოულობსო"... ის ყრუ ჭალაა (დედანშია: einsames Gebüsch stille Täller), რასაც ვერთერი ეზიარა, სადაც აულაგმავმა ემოციებმა შეიტყუეს და ამიტომ „ნეტარი ჟამიც" და „ოქროს ხანაც" გულში ჩაეკეტა... აქ დატრიალდა სწორედ სინამდვილისა და იმაჟინაციურის (წარმოსახულის) ტრაგიკული წინააღმდეგობა, ანუ როცა იმაჟინაციურს რეალობა ველარ ეწევა... ახლა კი აქ, ტორკვატოს, ამ განვითარებულ ვერთერს, ყველგან მიღებულსა

და ყოფითი საჭიროებებით განებივრებულს, ისე მიაჩნია აუცილებლად, ვთქვათ, სხვა არსებობა — ლირი რომ „ჭეშმარიტ საჭიროებას“ ეძახის — როგორც ჰაერი, რათა იმ დაძაბული ემოციისგან ატანილმა, როგორლაც და უკანასკნელ საზღვარზე „სუნთქვა გაიიოლოს“... ისაა, ლირი რომ პასუხობს ქალიშვილს, მსახურთა სიმრავლის გამო რომ აუხირდება მამას, — „რა საჭიროაო“: „საჭიროებას [ნუ ახსენებ] / გლახა ლატაკსაც მის განწირულ სიღატაკეში / უპოვნი ისეთს რამეს, რაიც მისთვის მეტია! / რაც საჭიროა, მასზედ მეტი რომ კაცს არ მივცეთ / ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა! / აი, დღეს შენ ხარ ქალბატონი, მეფის ასული / სითბო გჭირდება და თბილად ხარ; რატომ არ გყოფნის / ანუ რად იცვამ და იხურავ ეგრე მდიდრულად / გათბობს კია შენ აბრეშუმის ლამაზი კაბა / და საჭიროა იგი ზამთრის მსუსხავ ყინვაში?! / მაგრამ სულ სხვაა ჭეშმარიტი საჭიროება!“ ...ამას არ ლაპარაკობს ტირანი, ამას ამბობს სულით ხელმწიფე, რომლის საუკეთესო გრძნობები შეურაცხყვეს! და სწორედ ამას უმაღლეს ნებად და სულიერ იმპერატივად ესახება ტორკვატოს ელეონორა ფონ ესტე — პრინცესა, რომელიც „იდეიდან [კი არ] მოდის“ შილერის გმირებივით, არამედ ცოცხალი, გრძნობად-კონკრეტული არსებაა ტორკვატოსთვის. თვითონვე ამბობს: ლეონორე ჩემთვის არის „არა ოცნება შექმნილი ჩემგან, მოჩვენება რამ უსხეულო“, არამედ, ჩემი პოეზიაა იმას მიმსგავსებულიო. მერკიც, გოეთეს მეგობარი და მეფისტოფელის პროტოტიპი, ამასვე ეუბნებოდა გოეთეს და ამით მისი პოეზიის არსს განმარტავდა: „შენი პოეზიის შეუხრელი მიმართულებაა სინამდვილეს, ბუნებრივს მისცე პოეტური სახე, მაშინ, როცა სხვა პოეტები იმაჟინაციურს ახამდვილებენო“.

„იმაჟინაციურის განამდვილება“ არა, მაგრამ იმაჟინაციურისგან თავის დაულწევლობა კი ტორკვატოს სულიერი მდგომარეობაა, ანუ მისი პრინცესა თუმცა „იდეიდან [არ] მოდის“, მაგრამ „იდეალისკენ [კი] მიემართება“ — ტასსოს „ყრუ ჭალებში“ ასეა: იგი თავისი იდეალიზირებული სატრფოს ზმანებებიდან ვერ თავისუფლდება და რაც მთავარია, აღარც უნდა ეს თავისუფლება. იმისი იმაჟინაციაც ესაა. ხოლო ლეონორე ფონ ესტე, რომელიც ერთი მხრივ განუწყვეტლივ ასაზრდოებს მის ემოციებს და, ალბათ (ყოველ შემთხვევაში პიესაში ეს არაერთხელ „იკითხება“) რაღაც ილუზიებსაც უქმნის ამ ზემგრძნობიარე სულს, მეორეს მხრივ ტასსოზე შეყვარებული ქალი კი არა, არამედ მხოლოდ მისი პოეზიის დამფასებელია და ცხადია, იცავს თავის „ისტაბლიშმენტს“, ანუ ტასსოს იმდენად და იმ დისტანციით იყოლიებს გვერდით, რამდენადაც მისი პოეზია, ბარათაშვილის ასოციაციით რომ ვთქვათ, „მას ასულდგმარებს“. და ზღვარიც აქაა... ხოლო მის დამოკიდებულებაში ტასსოს მიმართ უკვე „დანარჩენი სიმართლეც“ ჩანს (და აქ ხედავს თომას მანი იუმორს): „ძვირფასს, წმენიერს, საუცხოოს უნდა ვუფრთხოდეთ (დედანშია: ist gefährlich — საშიშიაო!), ვითარცა იმ ალს, დიდებულად რომელიც გვათბობს/, მანამდე, ვიდრე შენს კერაში ანთია იგი,/ ან ჩირაღდნიდან თვალწარმტაცად ციმციმებს ხოლმე/, ერთი მითხარი, მაშინ უარს ვინ იტყვის მასზე! / მაგრამ, როდესაც იგი ირგვლივ ყველაფერს შთანთქავს, უბედურებას თავს დაგვატეხსო“. და ნივთივით გადაულოცავს მეორე ლეონორეს — გრაფი სკანდიანოს მეუღლეს — შენ გეკუთვნოდესო, — ტასსო პოეზიის

პროტაგონისტობაზე მონადირეს, რომელმაც ტორკვატო იმისთვის უნდა მოიხმაროს, რომ „დავიწყებისგან დაიფაროს მისმა სიმღერამ“ — ცივი განსჯითა და სჭეკულატურად ლაურასი რომ შურს: „ნუთუ სახელი ლაურაა, მხოლოდდამხოლოდო“ — ამბობს. ეს ორი ბანოვანი, ორი ლეონორე, მფეთქავ, ზემგრძნობიარე სულის ჭერაზე ორიენტირებული ორი „კეკელა“ (აქ ისევ ბარათაშვილი გამოვიხმოთ პოეზიის „ძვირფას მხარიდან“!) საბოლოოდ ისე შეიტანენ „არსებით წელილს“ ტასსოს სულიერ დარბევაში, რომ იგი ჭკუიდან შეიშლება. მაგრამ მთავარი მაინც ის კი არაა, ანუ ეს მეორე ქალი, ვინც მოსურნეა მის პოეზიის პროტაგონისტად იქცეს — ანუ მის „ლამაზ სულში საკუთარი იხილოს სახე“ — პრინცესამ რომ ტასსო გადაულოცა და პოეტი კი „მაჭანკალს“ ეძახის, არამედ ის, ვინც ნამდვილად არის ტასსოს პოეზიისა და სულის პროტაგონისტი, ლეონორე ფონ ესტე. იმისი ქცევაა სწორედ საზოგადოების სულიერების მენტალიტეტი და ეგევე ექცევა უკანასკნელ აკორდად ტასსოს ჯერაც ცნობიერ სიცოცხლეს; ანუ ის, რომ ერთხელაც, როცა ტორკვატო თავს ველარ აილაგმავს და „გულში ჩაიკრავს მას“, როგორც პიესაში ვკითხულობთ, — „პრინცესა ხელსა ჰკრავს და გარბის: „იქით“-ო (funwegl) — იშორებს. ამგვარად „შედგა“ ტასსოს სულიერი დარბევა და იგი გაგიჟდა... აქ იხეირა გოეთეს დისტიქონში „გამომწყვდეულმა“ და ნებისმიერ დროში ფეთქებადმა სიმართლემ: „ყველა იმედი დამამცირებელია, სასოწარკვეთა კი ვალად გვდევს“ (Jeder Trost ist niederträchtigund Vergweiflung nurist Pflicht). „შეშლილი ტასსო მსხვერპლად მიიჩნევს თავს და ესაა მისი მეორე დანაშაული“, — წერს ჰ. კორფი. მას „ორმაგი დანაშაულის მატარებლად“ (der doppelten Schuld Tragende) ესახება ტორკვატო, ანუ ერთი ისაა, რომ თავს ვერ ილაგმავს და ბუნებისა და საზოგადოების კანონების ურთიერთმიმართებაში ვერ გარკვეულს, ცხადია, არც მათი კანონზომიერების საკუთარი მოქმედების მაქსიმად ქცევა ძალუძს (ანუ ბუნების კანონის საზოგადოების კანონად ქცევა „სასწრაფოდ“ სწადია!), მეორე დანაშაული კი — „მსხვერპლად“ საკუთარი თავის წარმოდგენაში მდგომარეობს, ოღონდ ორივე მათგანს მისი არაორდინალური კონსტიტუცია ასაზრდოებს... და გოეთეს კონცეფციაც ესაა: იგი, თუმცა გულით თანაუგრძნობს ტასსოს, მაგრამ იძულებით, გონების გამოცდილებით ეთანხმება ანტონიოს.

„პიესაში არის ანტონიო“ — ვკითხულობთ გოეთელოგიაში ისე, რომ მის არსებობაზეა მახვილი. სწორედ მას ეუბნება სტუმარი ლეონორე, რაც ფერარას კარის განწყობილებასაც გამოხატავს. საქმე ეხება გვირგვინის რაობას, რომელიც პრინცესამ უბოძა ტორკვატოს უფრო ფსევდოთანასწორობის და, აგრეთვე, თუ მაინცდამაინც, მაღალი ნიჭის დაფასების სიმბოლოდაც. ეს გვირგვინია „პატივისა და წყალობის აჩრდილი“, ნამდვილ საქმეს კი თურმე, კარისკაცი ანტონიო აკეთებს: „ის სამსახური, რომელსაც შენ მბრძანებელს უწევ, არის ნამდვილი, საქმიანი და ამიტომაც დაფნის გვირგვინი შენთვის არის ჰერცოგის ნდობაო“, — მიმართავს ანტონიოს, სახელმწიფო მდივანს და კარისკაცს, რომელსაც ტასსოსაგან განსხვავებით, არ უჭირს კარისკაცობა. უპირველეს ყოვლისა და „კონცეპტუალურად“, ანტონიოს ის დავა აქვს ტორკვატოსთან, რომ მიაჩნია: გვირგვინი, რომელიც ტორკვატომ მიიღო

პრინცესასაგან, „სამართლიანად, ნამდვილი საქმის ფასად" კი არ ხვდა წილად, — არამედ „ოილი გზით" მოიპოვა, „გავლით", „სეირნობის დროს" იშოვა. ტორკვატოს კი ეუბნება, „შენ, რა თქმა უნდა, ამ გვირგვინის ღირსი ხარ, ტასსო"-ო, მაგრამ სწორედ ეს გვირგვინი მიაჩნია მოწყალებად, „შემთხვევით მორთულობად", „მსუბუქ რამედ" და, ამდენად — ტასსოსათვის შესაფერისად, რადგანაც არც ტორკვატოს არსებას აღიქვამს სერიოზულად, რაღაც „ფუნდამენტური", „აუცილებელი" ფუნქციის მქონედ, ანუ ის იცის, რისთვისაცაა დაახლოებული ფერარას კარზე. რომ ფავორიტია და ფუნქციაც ფავორიტული აქვს, რომ მეორადია და მოსახმარი მისი გენიოსობაც და პოეზიის უცხო ტალანტიც. და რომ მთავარი ესაა — მეცენატისადმი მისი მსახურება, პრივილეგირებულ მასხარად ყოფნა თავისი ნიჭიერებითურთ, და რომ მთავარია კიდევ ის, რაც მის მიმართ ანტონიოს ტექსტსა და ქვეტექსტში იკითხება: „სულ დაგავიწყდა ვინა ხარ და სად იმყოფები"-ო (ჩვენში იტყვიან: „არა შეჯდა მწყერი ხესა"-ო). ესაა ანტონიოსთვის ტასსო და სასახლის მთელი კარისთვისაც ესაა ტორკვატო: გარეგნულად და სინამდვილეშიც — ღვთისგან კურთხეული დიდი პოეტი, თითოეული იმათგანის გულისგულში კი — „გამსუბუქებული ზღვენი"... ანტონიოს სულ ის უკვირს, რატომ მიაჩნია ტორკვატოს „მოწყალე (ბის) ჯილდო უმაღლეს ქებად და შემთხვევითი მორთულობა იმ სამკაულად, რომელიც ითქოს ეკუთვნის მას დამსახურებით". იცის, მთელი სასახლეც „ისე" უყურებს, როცა მისი სიუზერენი — ალფონს II გადაუდგება ტასსოს სასახლეში ანტონიოსთან სკანდალის გამო, ანუ მზერაც „შემფასებლური" გაუხდება ტორკვატოს მიმართ და ხმაშიც ყინული ჩაუდგება შენიშვნის მიცემისას, ანტონიო გესლიან კომენტარს არ უგვიანებს დაბნეულ პოეტს: „ველარ გიცვნია ხელმწიფის შენის ლმობიერებაო?!" მაშინ ტორკვატო პირველად დამარცხდა: რეალობის ცივმა, ძლიერმა ტალღამ გამოაფხიზლა: „დაგავიწყდა თუ სად იყავი, ღმერთთა დარბაზად მიიჩნიე შენ ეს ადგილი, ახლა კი დარტყმამ უეცარმა ძირს დაგანარცხა"-ო. და ტასსოც ისე მტკივნეულად განიცდის იმედგაცრუებას, რომ „გული ეფლითება", უფრო კი იმაზე სწუხს, რომ მისი „აქ" არავის ესმის: „ეს ჩემს მეგობრებს არც კი ადარდებთ, უყურებენ ამას სხვაგვარადო" — ამბობს. ესაა მისი ფავორიტობის, უძალი, უფუნქციო არსებობის განცდა და საზოგადოებაში, რომელშიც გოეთეს თქმით, „ლაღად მხოლოდ არაკაცს გაეძლება", ანუ ისეთს, როგორიც ანტონიოა, „ტირანიის საიმედო მცველი"-ო — პიესაში ვკითხულობთ. ხოლო ტასსო ან დამნაშავე უნდა იყოს, ან „დევნილი და შეურაცხყოფილი" (geflogen und gebannt), ანდა, საუკეთესო შემთხვევაში — უზენაეს ნატვრაზე უარისმთქმელი (der Entsagende), თვითშეზღუდვის ტრაგედიით დადაღული, დიახაც ალაგმული. და აქეთკენ „მიდის" გოეთეც იძულებით: აღარც მის გმირებს გაეძლებათ „ამ საზოგადოებაში" და, ვერთერივით, აღარც „ამ ქვეყნად", ვიდრე ის „სულის წადილი" არ აულაგმავთ, ანუ ჯერაც ბრბოს ქირდვის საგნად დაუგდიათ.

მაგრამ „ტორკვატო ტასსო" გოეთეს ნაწარმოებია და „იმთავითვე" გასაგებია, რომ „ამ" უბადრუკობიდან მისი გმირი „მაღალფარდოვან უბადრუკობაში" არ გაიქცევა; საამისოდ გოეთე მეტისმეტად რეალისტიცაა და სრულძალოვანიც: ანუ ზედ-

მიწევნითაა მიჩვეული თავისი სულიერების „სიზიფეს ლოდს“: მუდამ პირისპირ უდგას ე. წ. „უხეშ სამყაროს“ (rohe Weltt) — რადაც არ უნდა დაუჯდეს“ (rotz; allen den). და აქ ისეა, რომ ტორკვატო ვერც მისი უარმყოფელი პრინცესას სიყვარულს ეთხოვება (მაინც უყვარს, ანუ აინტერესებს — ეხლა სად არის, რას აკეთებსო და ა. შ.) და ანტონიოსაც ებღაუჭება „ორივე ხელით“, როგორც შენავე, რომელიც ბოლოს „იმ კლდეს ეხვევა“, სადაც „მას ელის დაღუპვა და განადგურება“. ანტონიოსადმი ტორკვატოს მიმართვაში ჩანს სწორედ ლამის თვითუარყოფა, ანუ მასში საკუთარ თავზე უარის თქმაც „იკითხება“: „ღირსო ვაჟკაცო! (დედანშია: „Dedler Mann“ — კეთილშობილოო!), დგეხარ მტკიცე, შეურყეველი, მე კი ტალღა ვარ ქარიშხლისგან აგორებული“.

აქ მძაფრდება გერმანული ლიტერატურის არსებითი პრობლემა, რომელიც იდეალსა და სინამდვილეს შორის დაუძლეველ წინააღმდეგობაში მდგომარეობს, არასოდეს მოხსნილა და თავისი კლასიკურად დასრულებული სახე თომას მანის შემოქმედებაში ჰპოვა.